

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY



სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი III, №1

Volume III, No 1

2021

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2019 წლის 15-16 ნოემბერს ჩატარებულ მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, პრობლემები, პერსპექტივები“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში).

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the Twelfth International Scientific Conference “Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges, Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 15-16, 2019. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State Teaching University History and Archeology Center.

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიეშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმკე (თურქეთი);
- ჯემალ მაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- Giorgi Sosiashvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzaganian (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

TECHNICAL EDITOR:

Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

შინაარსი

განათლება

- მანანა ზანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – ინკლუზიური განათლების როლი პიროვნების აღზრდაში – 6
- ციური ბაქრაძე – თვითგნობიერებისა და თვითაღზრდის როლი პიროვნების ფორმირებაში – 10
- ეკატერინე გიგაშვილი, თამარ რემიშვილი – ტრანზიცია ადრეული განვითარებიდან დაწყებით საფეხურზე – 15
- მზია გოგიაშვილი – პირველი საბავშვო ბაღები საქართველოში – 19
- თამარ გოგოლაშვილი – ტრადიციული პროფესიების დაუფლება - გარანტირებული კარიერის საწყისია – 22
- მაია მელანაშვილი – პიკარესკა, როგორც დამხმარე რესურსი ქართულის გაკვეთილზე – 29
- ნოდარ მირაზანაშვილი – შემეცნებითი ინტერესები, როგორც სწავლის მოტივის ამძღვრავი მნიშვნელოვანი საშუალება – 33
- ლელა რეხვიაშვილი – ინოვაციური მოთხოვნები კლასის დამრიგებლის მიმართ და მისი მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან – 37
- რუსუდან ფიფია – ლიტერატურის სწავლების მეთოდის საკითხები მასწავლებლის მომზადების პროგრამებში – 42
- პაატა ქურდაძე – თავისუფლებისა და თანასწორობის ფენომენის როლი პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველის მიხედვით – 46
- ზურაბ ჩხიკვაძე, ლელა ხუბულური – კომპიუტერული ტესტირების დანერგვა, როგორც შეფასების თანამედროვე საშუალება – 51
- ხათუნა ხარხელი – შეფასების მნიშვნელობა საგაკვეთილო პროცესში (ინგლისურ ენაზე) – 56

ფილოლოგია

- ნონა ამბოკაძე – წითელი ტერორის ნაკვალევზე (ლადო კოტეტიშვილის მოთხრობის „ემმაკი გალიფეში“ მიხედვით) – 58
- ნანა არახაძია, მირანდა თოდუა – რუსი მწერლები ქართულ ლიტერატურულ პროცესებში – 61
- მაია ბოლაშვილი, მარინე ცერცვაძე – ნოველის განვითარების გზები და თავისებურებანი – 67
- თამარ გოგოლაძე – კამონსის რემინესცენციები ქართულ ლიტერატურაში (გიორგი ერისთავი) – 72
- ანა დათუაშვილი – კლასიკური უტოპია და თანამედროვე ანტიუტოპიური რომანი – 78
- თამარ ვეფხვაძე – გრიგოლ რობაქიძე "მცველნი გრალისა" – 83
- ელენე ზურაბაშვილი – მინდია - ღვთაებრივი ზიარების სიმბოლური სახე – 89
- ვახტანგ ინაური – შალვა კვლავილის ლირიკა – 92
- მარიამ კობერიძე – ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები ფრონეს ხეობის ქართულურში – 97
- კოტე ლომიძე – გალაკტიონ ტაბიძის „ოქრო აჭარის ლაფვარდში“ – 101
- სოფიო მახაჭაშვილი – XIX საუკუნის ეპოქის ინოვაციები გ. ავალიშვილის „მოგზაურობაში“ – 107
- ლელა მახვილაძე – ახალგაზრდული ენა - კომპლექსური ენობრივი ფენომენი გერმანული ენის მაგალითზე – 115
- ციალა მესხია – მზე, კოსმოსი და ადამიანი – 122
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – ფრონეს ხეობის სოფლების ანთროპონიმები XVIII საუკუნის ქართული და თურქული აღწერების მიხედვით – 128
- ზურაბ ოქროპირიძე – ელენე ქართველიშვილის მხატვრული (პროზაული) და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნააზრევებიდან – 133
- ედვარდ რ. რაუპი, დანა რაუპი – ჩოსერი და მიზოგინისტური ტრადიცია „კენტერბერიულ მოთხრობებში“ (ინგლისურ ენაზე) – 142
- ნათია სიხარულაძე – გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ელექტრონული აკადემიური გამოცემა: წინაპირობები და პერსპექტივები – 144
- ლუარა სორდია – „ვინც გრიგალების სიმღერებს მოჰყვა“ სახისმეტყველების ერთი ასპექტი ნიკო სამადაშვილის პოეზიაში – 149
- თამარ ყალიჩავა – ბრბოს ფსიქოლოგია - თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“ – 156

ნელი ჭამპურიძე – *მადლი, როგორც ქრისტიანული მსოფლხედველობის პარადიგმა ილია მართლის შემოქმედებაში* – 164

გიორგი ხორბალაძე – *დათო მადრაძის მხატვრული აზროვნება და ლექსის თავისებურებანი (პოეტური კრებულის „უსადაურო“ მიხედვით)* – 167

CONTENTS

Education

- Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze** – *The Role of Inclusive Education in the Upbringing of the Individual* – 6
- Tsiuri Bakradze** – *The Role of Self-awareness and Self-education in Formation of People's Personality* – 10
- Ekaterine Gigashvili, Tamar Remishvili** – *Transition from the Early Development at the Initial Stage* – 15
- Mzia Gogiashvili** – *The First Kindergartens in Georgia* – 19
- Tamar Gogolashvili** – *Mastering Traditional Professions is the Beginning of the Guaranteed Career* – 22
- Maia Melanashvili** – *Picaresque as an Auxiliary Resource at the Georgian Lesson* – 29
- Nodar Mirazanashvili** – *The Cognitive Interests as the Motivator for Knowledge Increase* – 33
- Lela Rekhviashvili** – *Innovative Requirements for the Form Master and his/her Work with Children with Special Educational Needs* – 37
- Rusudan Pipia** – *Issues of Literature Teaching Methodology in Teacher Training Programs* – 42
- Paata Kurdadze** – *The Role of the Phenomenon of Freedom and Equality in Shaping a Personality According to Shota Rustaveli* – 46
- Zurab Chkhikvadze, Lela Khubuluri** – *Implementation of Computer Based Testing as Contemporary Means of Evaluation and Assessment* – 51
- Khatuna Kharkheli** – *Designing Meaningful Assessments to Use in the Classroom (in English)* – 56

Philology

- Nona Ambokadze** – *On the Footsteps of Red Terror (According to Lado Kotetishvili's Book "A Devil in Galiphes")* – 58
- Nana Arakhamia, Miranda Todua** – *Russian Writers in Georgian Literature Processions* – 61
- Maia Bolashvili, Marine Tsertsvadze** – *The Ways of Developing a Short Story and Its Peculiarities* – 67
- Tamar Gogoladze** – *The Reminiscences of Camoens in Georgian Literature (Giorgi Eristavi)* – 72
- Ana Datuashvili** – *Classical Utopy and Modern Anti-Utopian Novel* – 78
- Tamar Vepkhvadze** – *Grigol Robakidze "The Guardians of the Grail"* – 83
- Elene Zurabashvili** – *Mindia – The Symbolic Face of Divine Communion* – 89
- Vakhtang Inauri** – *Shalva Keghoshvili's Lyric* – 92
- Mariam Koberidze** – *Phonetic Varieties of Prefixes in the Kartluri of Prone Gorge* – 97
- Kote Lomidze** – *Galaktion Tabidze's "The Gold In The Azure of Adjara"* – 101
- Sopio Makhachashvili** – *Innovations of the XIX Century in G. Avalishvili's "Journey"* – 107
- Lela Makhviladze** – *The Language of the Young - a Complex Language Phenomenon According to the German Language* – 115
- Tsiala Meskhia** – *The Sun, The Space, The Human Being* – 122
- Nikoloz Otinashvili** – *Anthronyms of Gorge Prone Villages According to Georgian and Turkish XVIII Century Descriptions* – 128
- Zurab Okropiridze** – *From the Prose and Critical-Publicistic Thought of Elene Kartvelishvili* – 133
- Edward R. Raupp, Danna Raupp** – *Chaucer and the Misogynist Tradition in the Canterbury Tales (in English)* – 142
- Natia Sikharulidze** – *Scholarly Electronic Edition of Galaktion Tabidze's Works: Prerequisites and Perspectives* – 144
- Luara Sordia** – *"Who Followed Songs of the Griggs" One Aspect of Criticizm in Niko Samadashvili's Poetry* – 149
- Tamar Kalichava** – *The Crowd Psychology - Tamaz Bibiluri's "The Time of the Plague"* – 156
- Neli Champuridze** – *Grace as a Part of the Christian Worldview Archetype in Ilia Chavchavadze's Work* – 164
- Giorgi Khorbaladze** – *Dato Maghradze's Artistic Thinking and Peculiarities of the Poem (According to the Poetry Collection "Usadauro")* – 167

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა Education

*მანანა ბანძელაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დარეჯან ჩხიროძე
ქუთაისის უნივერსიტეტი*

ინკლუზიური განათლების როლი პიროვნების აღზრდაში

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, ჩართულობა, თანაბრობა.

შესავალი

საზოგადოება ერთი მთლიანი ორგანიზმია, ადამიანი კი მისი შემადგენელი ნაწილი, და მასთან თავისებური დამოკიდებულება აქვს საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ, აქედან გამომდინარე საზოგადოებაში არსებობს პრობლემა თანაბრობისა და არათანაბრობის მიმართულებით, საზოგადოების თანაბრობის განმსაზღვრელი პრინციპია, „ჩვენ ერთად“, ხოლო არა თანაბრობისა მე და ჩემ შემდეგ ყველა. არა თანაბრობა იწვევს როგორც მენტალური, ასევე ფიზიკური არასრულფასოვნებას, საზოგადოება ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს მოსაზრება, რომ ჯანმრთელობა ცხოვრების მთავარი მიზანია და სწეული ადამიანი ვერ იქნება სრულფასოვანი, თუკი ადამიანს სწეულება შეეყრება, ის ვერ იქნება სრულფასოვანი და საზოგადოების თანაბარი წევრი, რატომღაც ავიწყდება რომ

*„ამისათვისაა შეიწყნარებდით ურთიერთს ვითარც იგი
ქრისტემან შეიწყნარნა, თქვენ სადიდებლად
ღმერთისა“*

რომაელთა მიმართ 13,7

თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ გვერდით არსებობენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ და დღემდე საზოგადოებისადმი გაუცხოვებულად და იზოლირებულად მოიაზრებიან და ისინი კი ჩვენ გვერდით არიან, ზოგჯერ ჩვენგან შეუმჩნევლად. მსოფლიო ჯანდაცვის მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 600 000 000 შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანია. ამ ადამიანების 80% ცხოვრობს ე.წ. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, მათ შორის უმრავლესობა ღარიბია და მათთვის მიუწვდომელია ის სერვისები, რაც მათი ფიზიკური რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა იქნებოდა. ზოგადად მსოფლიოში მოსახლეობის ზრდა, მედიცინის წინსვლა, ომები, ტერორისტული აქტები, შიდსი, ცუდი კვება, ქრონიკული დაავადებები, უბედური შემთხვევები, გარემოს დაბინძურება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები რიცხვის ზრდას.

ინკლუზიურ განათლებას, აღზრდას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას სპეციფიკური კანონზომიერებანი გააჩნია. ეს ის პროცესია, რომლის თეორიული და პრაქტიკულ ღირებულებები მნიშვნელოვანია და დღესაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს, როგორც პროცესი პიროვნების ფორმირებისა.

ადამიანი როგორც სოციალური არსება და მისი განვითარება ბევრადაა დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე. აღზრდა ისტორიული პროცესია და ყველა ეპოქაში ის ატარებს იმ ეპოქის კვალს, სადაც ის მიმდინარეობს. ყველა საზოგადოებაში აღზრდის სხვადასხვა ფორმა უპირობოდ დამოკიდებულია საზოგადოების მორალურ ნორმაზე, ისინი იცვლებიან საზოგადოების განვითარებასთან ერთად. განვითარება დღევანდელ ეტაპზე აღზრდის პროცესის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა, ინკლუზიური განათლება, რომელიც ასევე დაკავშირებულია იმ საზოგადოების მორალურ განვითარებასთან, რომელშიც მისი განხილვა ხდება.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ლიტერატურა, რომელშიც განხილულია სპეციალური საჭიროების მქონე პირების საზოგადოებაში ჩართულობა და ინკლუზიური განათლების უფლება

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ:

„1. „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია

კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.

2. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს“. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2004, №688, მუხლი 9)

2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების 2013-2016 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სტრატეგიაში აქცენტი ინკლუზიური განათლების ახლად ჩამოყალიბებული სისტემების ინსტიტუციონალიზაციაზე, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინკლუზიური განათლების მასშტაბების ზრდაზე კეთდება. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

3 ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება - ლიტერატურა განიხილავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და სასწავლო სტრატეგიებს და ეხმარება პედაგოგებს და სპეციალისტებს სათანადო სტრატეგიების შემუშავებაში და და წამოჭრილი პრობლემის პასუხის გაცემაში. (პაჭკორია, 2008)

მეთოდოლოგია

ვერბალურ ლექცია (ახსნა-განმარტებითი მეთოდი);

სასწავლო პროცესში გამოყენებული არის:

გონებრივი იერიში (Brain Storming)

ჯგუფური (Collaborative) მუშაობა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

შედეგები/დისკუსია

1993 წლის 20 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 48-ე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება: „უნარშეზღუდულების მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის წესები, რომლის მთავარი მიზანი იყო, ამ კატეგორიის ადამიანებს მიენიჭოთ ისეთივე უფლებები, როგორც საზოგადოების დანარჩენ წევრებს. საქართველომ, როგორც გაეროს წევრმა, მიიღო სტანდარტული წესები; შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების თანაბარი მონაწილეობის გარკვეული სტანდარტები, ეს წესები განიხილება, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის მთავარი პირობა, სამწუხაროდ დღესდღეობით საქართველო დგას იმ ქვეყნებს რიგში, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ევრო კავშირში გაწევრიანებაზე. იმედის მომცველია ის, რომ გაეროს წევრმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომაც ადრე არსებული პასუხისმგებლობის სანაცვლოდ, აიღეს სერიოზული მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების თანამედროვე პირობების შექმნის თაობაზე. ამ მხრივ საქართველომ პოზიტიური ნაბიჯები გადადგა როგორცაა:

1. საკანონმდებლო ცვლილებები;
2. საზოგადოების ჩართვის სტრატეგიები (არასამთავრობო ორგანოები);
3. საზოგადოების გათვითცნობიერება;
4. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება;
5. ინსტიტუციონალური ცვლილებები;
6. ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის პირების დახმარების საქმეში;
7. კადრების მომზადება;
8. სოციალური დაცვა (სამედიცინო-სოციალური მოდელი)
9. ფორმალური განათლება, განათლების ალტერნატიული ფორმები, (ინკლუზიური განათლება და ინტეგრირებული განათლება) ადაპტირებული გარემოს შექმნა;
10. არაფორმალური განათლება (სპორტ-დასვენება);

11. ჯანდაცვა და რეაბილიტაცია (პრევენცია, შეფასება, მართვა, მულტიდისციპლინური გუნდების მიერ).

შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების გარკვეული ნაწილი საზოგადოებისგან იზოლირებულია, საქართველოში არსებობს ინსტიტუციური დაწესებულება, ამჟამად მიმდინარეობს მათი რეორგანიზაცია და იმედია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირების შესაძლებლობები, რათა იყვნენ საზოგადოებაში თანაბარი, სრულფასოვანი წევრები, ამათგან კი ერთ-ერთი განათლებაა.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა განათლების სისტემაში. შეზღუდული შესაძლებლობის პირების სისტემასთან დაკავშირებით ამ კანონმა შ.შ.პ. შესაძლებლობა მიეცათ განათლება მიეღოთ თავის თანატოლებთან ერთად.

იუნესკოს ეგიდით შემუშავდა სარესურსო წიგნი პედაგოგებისათვის მსოფლიო მასშტაბით, გარდა ამისა გამოვიდა წიგნები ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით.

თანაბრობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულება:

1. ყველა ბავშვის სავალდებულო განათლების უზრუნველყოფა;
2. შ.შ.პ. ჩვეულებრივ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში უნდა სწავლობდნენ.

3. აუცილებელია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება იმისათვის, რომ ეს ორი მიზანი განხორციელდეს.

განასხვავებენ ინტეგრირებულ და ინკლუზიური განათლებას. ინტეგრირებული განათლება ბავშვებს განიხილავს, როგორც პრობლემას, რადგან ის საჭიროებს სპეციალურ მასწავლებელს და სპეციალურ სწავლებას, განსხვავებულია ამიტომ უნდა მოხდეს მისი კორექცია და რეაბილიტაცია, რათა შეეწყოს არსებულ გარემოს.

ინკლუზიური განათლება – გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

ინკლუზიური განათლება კი განათლების სისტემას განიხილავს, როგორც პრობლემას დაბალი ხარისხის არასაკმარისი სასწავლო ინვენტარის, მოუქნელი მეთოდების და სხვა მრავალი ნაკლის გამო. ამიტომ ამ შემთხვევაში უნდა შეიცვალოს სისტემა და არა ბავშვი.

გვინდა გაგაცნოთ ინტეგრირებული და ინკლუზიური განათლების განხორციელება, ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონი“.

განხორციელდა პროგრამა „ჩვენ ერთნი ვართ!“ პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან. მრავალპროფილიანმა კერძო სკოლამ „გონი“ 2003–2004 წლებში დაიწყო ფუნქციონირება. სკოლა განთავსებული იყო ყოფილ ბავშვთა დღის ცენტრის შენობაში. ამდენად ეს ერთ-ერთი მოტივაცია იყო იმისა, რომ სკოლა ჩართულიყო ინტეგრაციის პროცესში. 2005 წელს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაძლებლობა მიეცა სკოლას ინკლუზიური სწავლების განხორციელებისა. პროფესიონალებთან კონსულტაციის, მოწოდებული სახელმძღვანელოებით და კონსულტაციებით სკოლამ დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან კონტაქტები, თავიდანვე წარმოიქმნა სირთულეები, სპეციალურ დაწესებულებებიდან ამ ბავშვების იზოლაციის გარღვევის და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისა. საჭირო იყო ორივე მხარის მოტივაცია და სწორად დინამიურობა, რაც ეტაპობრივად თანდათან ვითარდებოდა ჩართულობა ჯერ ინტეგრაციით, ხოლო შემდეგ ჩართულობით სასწავლო პროცესში, დაენიშნათ ინდივიდუალური კონსულტაციები, გადამზადდა პედაგოგი, წინ მიიწვედა. პირველი წარმატება იყო 3 მოსწავლის სასწავლო პროცესში, ხოლო შემდეგ საკუთარი უნარების და შესაძლებლობების აღმოჩენით და ორივეს სხვადასხვა შესაძლებლობები პროფესიული დაოსტატების. აღმოაჩნდათ ერთს პოეტური და მეორეს ხელსაქმის უნარები, მათი წარმატებები კარგი მაგალითი აღმოჩნდა დანარჩენთათვის და მალე სხვებმაც გამოთქვეს სურვილი სწავლისა და შრომა-საქმიანობაში ჩართულობისა, რაოდენობამ 14 მიაღწია, შედეგიც სახეზეა - დღეს ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

ინტეგრაციის და ინკლუზიური სწავლების შედეგი სასურველი გამოდგა ორივე მხარისათვის. ჩვეულებრივი განვითარების ბავშვები ეგუებოდნენ განსხვავებულობას, ხოლო სპეციალური საჭიროების პირებმა გაარღვიეს იზოლაცია და ჩაერთვნენ ინტეგრაციის და სპეციალურ საგანმანათლებლო პროცესში.

სკოლაში ამ კატეგორიის კონტინენტის მატებასთან ერთად შეიქმნა სპეციალური პროგრამების მომზადების საჭიროება, მოწვეული იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ტრენინგ გავლილი ქეთევან თევდორაძე, რითაც შესამჩნევად გაიოლდა კონტაქტები, საჭიროა ამ მიმართულებით უფრო მეტი პედაგოგების გადამზადება. ინკლუზიური განათლების მიმართულებით შედეგიც სახეზეა,

აპრობირებული მეთოდებით შეძლეს სხვადასხვა დონეზე განათლების მიღება. პროცესი თანდათან წინ მიდიოდა, ხდებოდა შესაძლებლობების მიხედვით რანჟირება შრომით პროცესში ჩართულობისათვის. სკოლამ მოიპოვა პროფესიული სწავლების უფლება და გაიზარდა ამ კატეგორიის ბავშვების ჩართულობა შრომით პროცესში, ამჟამად ისინი ეუფლებიან პროფესიას, ერთ-ერთი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ დონეზე. ასევე ეუფლებიან მდივან-რეფერენტის, მზარეულის და დურგლის პროფესიებს. მათ მიერ დამზადებული ნიმუშები არის დასტური იმისა, რომ ამ კატეგორიის ადამიანები ახერხებენ თვით რეალიზაციას და უკვე მათი ზრუნვის საგანი ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, დასაქმება და მომავალში საკუთარი სახსრების მოძიებაა.

სკოლის ინიციატივით ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „WORLD VIZION“-მა დედინსტიტუციონალიზაციის პროგრამით ხუთ ბენეფიციარს შეაძლებინა ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება სკოლა „გონში“. ისინი ახლა საზოგადოების ღირებული წევრები არიან. სკოლა ჩართული იყო პროექტში „პატრიარქის ბაღები“, სადაც ერთად შრომობენ როგორც ჩვეულებრივ სასწავლო, ასევე სპეციალურ საგანმანათლებლო სწავლებაში ჩართული ბავშვები. ამასთან ერთად სკოლას ტრადიციად ექცა ქველმოქმედება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან. სკოლამ გადასცა ერთ მოსწავლეს კომპიუტერი.

საგულისხმოა სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს განათლების სამინისტროს გულისხმიერი დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ, კერძოდ სპეცმასწავლებლებთან მიმართებაში.

სპეცმასწავლებლების მიმართულებით 2018-19 სასწავლო წლებში ისინი სტატუსით გაუთანაბრდნენ საგნის მასწავლებლებს. მანამდე ისინი ადმინისტრაციის წევრები იყვნენ და სწორედ ამის შემდეგ მათ ხელფასები მოემატათ დაახლოებით 250 ლარის ოდენობით. საგნის მასწავლებლებთან მიმართებაში მოქმედებს სქემა, რომელიც მორგებულია სწორედ საგნის მასწავლებლის სპეციფიკასთან, ხოლო სპეცმასწავლებლის საქმიანობა განსხვავებული საქმიანობაა, საკმაოდ შრომატევადი, მულტიფუნქციურია, გულისხმობს ძალიან ბევრი ელემენტის გაერთიანებას, მათ შორის თანამშრომლობას სხვადასხვა საგნების მასწავლებლებთან და ამიტომ სპეცმასწავლებლების სქემა განსხვავებული იქნება, რაზეც მუშაობა მიმდინარეობს. გაზაფხულისთვის სქემა დამტკიცდება და 2020-21 სასწავლო წლიდან უკვე ჩაიწერება კონკრეტული საქმიანობები, მათ შორის სტატუსის ამაღლების თუ სერტიფიცირების წესები. ამ ეტაპზე ექსპერტებთან განხილვაშია. იქნება თუ არა ტესტი ან სხვა სახის გამოცდა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ესეც სიტუაციიდან გამომდინარეა და სამინისტრო გაივლის კონსულტაციებს, როგორც მულტიდისციპლინურ ჯგუფებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

აღსანიშნავია განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივა სპეციალური ასისტენტთან დაკავშირებით. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებაზე ინდივიდუალური ასისტენტები იზრუნებენ.

ინკლუზიური განათლების სისტემაში ახალი რგოლი ჩნდება.

ვფიქრობთ, ახალი რგოლის შექმნა მოაგვარებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, რომელზეც წლებია საუბრობენ.

ბიბლიოგრაფია:

ბანძელაძე, მ. (2009). *ეთიკა*. ქუთაისი.

ბანძელაძე, მ., & ჩხიროძე, დ. (2012). *ეთიკა და ეკოლოგიის ზნეობრივი საკითხები*. ქუთაისი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ვებგვერდი: <http://www.un.org/disabilities/>.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების 2013-2016 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა*.

პაჭკორია, თ. (პასუხისმგებ. რედ.). (2008). *ვისწავლოთ ერთად: ინკლუზიური განათლება*. თბილისი.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005. (№1330). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=85>

Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
Darejan Chkhirodze
Kutaisi University

THE ROLE OF INCLUSIVE EDUCATION IN THE UPBRINGING OF THE INDIVIDUAL RESUME

Inclusive education - involves the involvement of students with all types of special educational needs in the general education process with their peers. Inclusive education also includes the teaching of students with disabilities through individual and / or modified curricula. Inclusive education, on the other hand, views the education system as a problem due to low quality insufficient teaching inventory, inflexible methods and many other shortcomings. A new link is emerging in the inclusive education system. Individual assistants will take care of the education of children with special needs.

By order of the Minister of Education, funds for the salary fund of assistants will be allocated from the Ministry of Education. children with special needs.

The creation of a new link addresses the problem of access to education for children with special educational needs, which has been talked about for years.

Keywords: Inclusion, Involvement, Equality.

ციური ბაქრაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თვითცნობიერებისა და თვითაღზრდის როლი პიროვნების ფორმირებაში

საკვანძო სიტყვები: თვითცნობიერება, თვითაღზრდა, მოზარდი, აღზრდა.

თვითცნობიერება ცნობიერების ერთ-ერთი ასპექტია. იგი გულისხმობს როგორც საკუთარი „მე“-ს შემეცნებას, ანუ თვითშემეცნებას, ისე თვითშეფასებასაც, ანუ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითცნობიერება და თვითშემეცნება იდენტური ცნებები არ არის. „თვითცნობიერება“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „თვითშემეცნება“. სწორედ თვითცნობიერების დონეზე უჩნდება ადამიანს ინტერესი საკუთარი თავისადმი, საკუთარი „მე“-სადმი. თვითცნობიერების როლსა და მნიშვნელობას უძველესი დროიდან ექცეოდა ყურადღება. თუნდაც სოკრატეს მოწოდება: „შიცან თავი შენი“ ეს მოწოდება აიძულებდა ადამიანებს საკუთარი თავი ექციათ კვლევის ისეთივე ობიექტად, როგორც გარე სამყაროს საგნები და მოვლენები იყო. თვითცნობიერების უნარი წმინდა ადამიანური უნარია, მხოლოდ ადამიანს შეუძლია გაიცნობიეროს საკუთარი თავი, დაკვირვების ობიექტად აქციოს საკუთარი მოქმედებები, გრძნობები, აზრები, ინტერესები, ქცევის მოტივები, თავისი ადგილი საზოგადოებაში. ცოდნა საკუთარი თავის შესახებ იწყება ფიზიკური იერსახის ცოდნით, უფრო გვიან კი ყალიბდება ცოდნა საკუთარი სამყაროს უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ.

თვითცნობიერებით ადამიანი თავის თავს ადარებს სხვა ადამიანებს, ამით გამოკვეთს თავის შესაძლებლობებს, უკეთ დაინახოს კარგი ან ცუდი თვისებები, კრიტიკულად შეაფასოს თავისი ქმედებები. ა. სპირკინი წერს: „თვითცნობიერება არ არის ცნობიერების მონოლოგი თავის თავთან. უფრო მეტი იგი არის პიროვნების დიალოგი თავის გამოცდილებასთან“ (Спиркин, 1977, стр. 142) თარგმანი ჩვენია ც.ბ.

როგორც აღინიშნა თვითცნობიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა თვითშემეცნება. იგი გულისხმობს საკუთარი თავის გამოკვლევას, მის შესწავლას, ცხადია, ობიექტურად და ადეკვატურად.

თვითშემეცნება, ანუ საკუთარი თავის ცოდნა, ადამიანს აძლევს საშუალებას სწორად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები, სწორად გაერკვეს სიტუაციებში და სწორად მართოს იგი.

არ არის ადამიანი (იგულისხმება ნორმალური), თვითცნობიერების უნარი რომ არ გააჩნდეს, თუმცა თვითცნობიერების დონეები სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირი აქვს. ზოგნი მეტად აღიქვამენ საკუთარ „მე“-ს, მეტად უღრმავდებიან საკუთარ თავს, ზოგიერთები კი ნაკლებ ინტერესს იჩენენ საკუთარი პერსონისადმი. პირველნი მუდმივად აკონტროლებენ საკუთარ მოქმედებებს და ამიტომაც იშვიათად კარგავენ წონასწორობას, სულიერ სიმშვიდეს, მეორენი ნაკლებად ფიქრობენ თავის ქცევებზე და იმპულსურნი, აფექტურნი არიან თავიანთ მოქმედებებში.

აღნიშნული ვითარება თავისთავად აყენებს თვითცნობიერების აღზრდა-განვითარების საკითხს. მოზარდი, რომელიც „გარეთ“ არის მიმართული თითქოს საკუთარი „მე“ არც არსებობდეს, უნდა დავაჩვიოთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას, საკუთარი ქცევის კონტროლს, მას უნდა გამოვუმუშაოთ კრიტიკული მიდგომა საკუთარი თავისადმი. თვითშეფასების გარეშე ადამიანს არ ეცოდინება საკუთარი თავი, საკუთარი შესაძლებლობები. გაუჭირდება ადამიანებთან ურთიერთობა, საზოგადოებაში ჩართვა და საკუთარი ადგილის გარკვევა.

სამწუხაროდ, ადამიანებს უჭირთ საკუთარი თავის ობიექტური, ადეკვატური თვითშეფასება, ხშირად ისინი უფრო უკეთესად წარმოაჩენენ საკუთარ თავს, ვიდრე სინამდვილეში არიან.

იშვიათად, მაგრამ მაინც სხვაგვარი ვითარებაც გვაქვს. ადამიანთა ერთი ნაწილი იმაზე უფრო კრიტიკულია საკუთარი თავის მიმართ და იმაზე ნაკლებად აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე სინამდვილეშია. მაგ: ფიზიკურად მახინჯია, ან უხასიათოა და ძნელად საურთიერთობო, არ შეუძლია საზოგადოებაში ლაპარაკი და ა.შ. ასეთი არაობიექტური, ტენდენციური დამოკიდებულება გარკვეულ კომპლექსს აჩენს, რაც ასევე არასასურველია და საზიანოა.

თვითშეფასება რომ ობიექტური იყოს, საჭიროა სამმაგი კონტროლი; როგორც ა. სპირკინი წერს, ეს მაკონტროლებელი საშუალებებია: „ცხოვრება, საზოგადოებრივი აზრი და საკუთარი გონება“ თარგმანი ჩვენია ც.ბ. (Спиркин, 1977, стр. 150)

განსაკუთრებული როლი მაინც საზოგადოებრივ აზრს განეკუთვნება. ადამიანი მაშინ აფასებს თავის თავს ადეკვატურად, როცა შეძლებს გაიცნობიეროს და გაითვალისწინოს ის, თუ რა აზრის არიან სხვები მის შესახებ. მოსწავლეს საკუთარი თავის მიმართ წარმოდგენა იმის მიხედვით ექმნება, თუ როგორ აფასებს მას სხვა, ამის შემდეგ ცდილობს დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი „მე“.

აღსანიშნავია ის, რომ თვითცნობიერების კვლევის თანამედროვე ეტაპზე მის სამ ძირითად ასპექტს გამოყოფენ, ესენია:

1. ფუნქციონალურ-ემოციური, ანუ „მე“-ს მიმართ სოციალურ-ღირებულებითი დამოკიდებულება;
2. აფექტურ-კოგნიტური, რომელშიც შედის არა მარტო წარმოდგენები საკუთარ „მე“-ზე, არამედ სხვების მიერ ჩემი „მე“-ს დანახვა;
3. მესამე ასპექტად კი გამოყოფენ თვითცნობიერებაში საკუთარი „მე“-ს შეფასების მარეგულირებელ ფუნქციას.

როგორც აღნიშნული იყო, თვითცნობიერება გარდამავალ და სიჭაბუკის (მოზარდილობის) ასაკში ყალიბდება. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსომ მიაქცია ყურადღება და იგი „მკვეთრი გარდატეხის“ სახელით აღნიშნა. თვითცნობიერების ფორმირების საკითხის კვლევა XXI საუკუნეშიც გრძელდება და კვლავაც დასტურდება, რომ „მე“-ს აღმოჩენა იმ ასაკის წარმონაქმნია, რომელიც ვაჟებში 13 წლიდან 19 წლამდე გრძელდება, ხოლო გოგონებში 14 წლიდან 22 წლამდე.

ბევრი ფიქრობს, რომ გარდამავალი და სიჭაბუკის პერიოდების კრიტიკულობა სწორედ თვითცნობიერების ფორმირებით არის განპირობებული.

რაც შეეხება სიტუაციას, რომელშიც თვითცნობიერების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, იგი, თავის მხრივ, მოიცავს მთელ რიგ ავტონომიურ, მაგრამ ურთიერთგანმსაზღვრელ და ურთიერთდამოკიდებულ პროცესებს, რომლებიც თავისებურად მოქმედებენ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე, ფიზიკურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებაზე, ქცევის შინაარსის ცვლაზე, სოციალურ სტატუსზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე, სულიერ ფენომენტთა ცვლილებებზე და ა.შ.

თვითშეფასება, ისე როგორც თვითცნობიერება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იწყება გარეგნობაზე დაკვირვებით, ზოგადად ეს უფრო ეხება გარდამავალი ასაკის მოზარდს, რომლისთვისაც მთავარი საკუთარი გარეგნობაა. ამიტომაც, რომ ამ ასაკის მოზარდი საათობით ტრიალებს სარკის წინ, იცვლის ტანსაცმელს, ვარცხნილობას, ამოწმებს თავის მიხვრა-მოხვრას, ჟესტიკულაციას და თუ თავის თავში აღმოაჩენს რაიმე ნაკლს, ამას მტკივნეულად განიცდის. ამ ასაკის ბიჭები, თავს იწონებენ თავიანთი ფიზიკური სიძლიერით, რის დემონსტრირებასაც ხშირად ახდენენ ჩხუბით, ჭიდაობით და ა.შ. ფიზიკური სიძლიერე ზოგჯერ მეტ თვითდაჯერებულობას მატებს მოზარდს. სხვებთან შედარებით უპირატესობის

განცდას უჩენს მას და პირიქით, თუ ბავშვი ფიზიკურად სუსტია, გამხდარი და ჯანგატეხილი, იგი საკუთარ თავს უფრო მკაცრად აფასებს, ვიდრე სინამდვილეშია.

ყოველივე ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ გარდამავალ ასაკში მოზარდი თავის გარეგნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, შემდგომში ხდება აქცენტთა გადანაცვლება სულიერ თვისებებზე, ნიჭიერებაზე, მეხსიერებაზე, ნებისყოფაზე, ხასიათზე, ტემპერამენტზე და ა.შ. შემდეგი ნაბიჯი ამ გზაზე უკავშირდება საკუთარი თავის შეფასებას ზნეობრივი თვალსაზრისით. ცხადია, ზნეობრივი თვითშეფასება უფრო რთულია, ვიდრე გარეგნობის შეფასება. იგი დაკავშირებულია მოზარდის მიერ საკუთარი სოციალურობის გაცნობიერებასთან, იმ ფუნქციების შესრულებასთან, რაც მას უწევს როგორც ოჯახსა და სკოლაში, ისე საზოგადოებაში. სწორედ ამ საფეხურზე ჩნდება თანატოლებისა და უფროსების პატივისცემისა და სიყვარულის, სოციალური პრესტიჟის მოპოვების სურვილი.

თვითდაკვირვება ანუ „შიგა ხედვა“ მიაჩნდა ჯონ-ლოკს ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი განცდებისა და ემოციების აღქმის ერთადერთ საშუალებად. რ. ნათამე აღნიშნავს: „თვითდაკვირვება ჩვენი ყურადღების, აზროვნების, ჩვენი ობიექტად ქცევის ნებისმიერ ფსიქიკურ მოვლენას, ანუ ახდენს სუბიექტური განცდის ობიექტივაციას. უარის თქმა თვითდაკვირვების გამოყენებაზე დაუშვებელია.“ (ნათამე, 1966, გვ. 18)

როგორც უკვე ითქვა, თვითცნობიერება მოიცავს არა მარტო თვითშეფასებას, არამედ თვითკონტროლსაც, ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რამდენადაც თვითშეფასება კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს საკუთარი თავის მიმართ. არსებობს ნებელობითი და უნებლიე თვითკონტროლი. უნებლიე კონტროლი სათანადო გაცნობიერების გარეშე ხორციელდება. ნებელობითი - რომლის გაცნობიერებაში მიზანთან ერთად ნებისყოფაცაა ჩართული.

როდესაც თვითკონტროლით დაფიქსირებული ნაკლი ან უარყოფითი თვისება სწორდება, მაშინ საქმე გვაქვს თვითსრულყოფასთან, თვითსრულყოფის ყველაზე საიმედო გზა კი თვითაღზრდაა.

თვითაღზრდა ადამიანის ისეთი აქტივობაა, რომელიც მიმართულია საკუთარი პერსონის „მე“-ს შეცვლისა და სრულყოფისაკენ. იგი არის მიზანმიმართული, შეგნებული და სისტემატური სრულქმნა საკუთარი თავისა იმ მიზნით, რომ მივალწიოთ ჩვენივე პიროვნების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და პირად იდეალს. მისი საშუალებით ადამიანი იძენს თავისი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საჭირო თვისებებს და იცილებს ისეთებს, რომლებიც ხელს უშლის იცხოვროს და იმოქმედოს საჭირო მიმართულებით.

თვითაღზრდა ისევე დაუცილებელია აღზრდისაგან, როგორც თვითცნობიერება - ცნობიერებისაგან. აღზრდა აღსაზრდელსაც გულისხმობს და აღმზრდელსაც, ე.ი. იგი გულისხმობს აღმზრდელის ზემოქმედებას აღსაზრდელზე, მაშინ როცა თვითაღზრდის შემთხვევაში აღმზრდელიცა და აღსაზრდელიც ერთი და იგივე პირია. იგი საკუთარ თავზეა მიმართული.

მოზარდის წარმატებით აღზრდა, მისი ნიჭის, უნარებისა და შესაძლებლობების ჩართვა საზოგადოებაში გაიოლდება, თუ აღმზრდელობით პროცესში ჩავრთავთ აღსაზრდელის მცდელობას - გაიუმჯობესოს და სრულყოს საკუთარი თავი. ამდენად, თვითაღზრდა პიროვნების ფიზიკურ-ფსიქიკურ-გონითი ფორმირებისა და სრულყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

წარმატებული თვითაღზრდა ხელს უწყობს მაღალი ზნეობის პიროვნებად ჩამოყალიბებას.

თვითაღზრდის უპირველესი პირობაა თვითონ სუბიექტის დარწმუნება ასეთი ქმედების (თვითაღზრდის) აუცილებლობაში. იმის შემდეგ, რაც ბავშვი გაიცნობიერებს, რომ იგი ფორმირების, ჩამოყალიბების პროცესშია, გაუჩნდება სურვილი გახდეს უკეთესი.

თვითაღზრდა რომ რეალურ საფუძველზე აიგოს, მარტო იმპულსი - „იყო უკეთესი“ საკმარისი არ არის, რადგან ერთია სურვილი, მეორეა რეალობა. სურვილი რომ რეალობად იქცეს, ამას გარეგანი და ასევე შინაგანი მოტივაცია სჭირდება, რომლებიც ასაკისა და განვითარების სტადიების მიხედვით იცვლება. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, თვითაღზრდის მოთხოვნა განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში ძლიერდება, როცა მოზარდები უკვე მოზარდილობის ზღვართან დგანან. ეს ის დროა, როცა საკუთარი თავის შემეცნება სხვა ადამიანებთან შედარების გზით ხორციელდება. ამ დროს ხდება დიდი ცვლილებები ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ, სოციალურ და გონებრივ განვითარებაში.

თვითაღზრდის ფორმირება-განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს როგორც, ცხადია, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ისე ის სოციალური გარემოც, რომელშიც ბავშვს (მოზარდს) უხდება ცხოვრება. თვითაღზრდის პრობლემა ყველა ეპოქისათვის აქტუალურია. ეს საკითხი ადამიანს იმ დღიდან აღელვებს, რა დროიდანაც მან საკუთარი თავის გაცნობიერება დაიწყო, ანუ კითხვით: „ვინ ვარ მე, როგორც ადამიანი?“

თვითაღზრდა ფაქტობრივად აღზრდის პარალელურად ხორციელდება, რამდენადაც თვითაღზრდის მიზანი გარკვეულწილად აღზრდაში დაშვებული ხარვეზების და შეცდომების შეფასება-შესწორებაა. თუ გავიხსენებთ სოკრატეს ცნობილ გამოთქმას: „შეიცან თავი შენი“, რომელიც არა მარტო

თვითშემეცნებას გულისხმობს, არამედ გარკვეული აზრით თვითაღზრდის საჭიროებასაც. იგი არა მარტო ცოდნაზე (სიბრძნეზე) ამახვილებდა ყურადღებას, არამედ სიკეთეზეც, ანუ ზნეობაზე. მას მიაჩნდა რომ ცოდნა არის სიკეთის და ზნეობის საფუძველი.

თვითაღზრდის ეფექტურობა რომ გაიზარდოს, საჭიროა ნებისყოფის გამომუშავებაზე და განმტკიცებაზე ზრუნვა, მით უმეტეს, რომ ბავშვი დასაწყისში იმპულსური ქცევის სუბიექტია და არა ნებელობითი ქცევის. სკოლის მიზანი არ არის მხოლოდ „ცოდნის მქონე რობოტის“ გაზრდა, სკოლის ყველა პედაგოგს უნდა ამოდრავდეს ეს მეტად კეთილშობილური მიზანი, რასაც ჰქვია მოსწავლეთა ნებისყოფის აღზრდა. შ. ჩხარტიშვილის აზრით: „უმჯობესია საკუთარი ნებისყოფის აღზრდა მოსწავლემ დაიწყოს ისეთი დავალების აღებით, რომლის შესრულებასაც იგი დიდი ძალისხმევით გარემოც შეძლებს. ეს იმიტომაც საჭირო, რომ თუ მოზარდი ისეთი რამის შესრულებას იტვირთავს, რაც მისგან დიდ მტკივნეულ ძალისხმევას მოითხოვს, მოსწავლე ამას ბოლომდე ვერ გაუძლებს და შეიძლება ნებისყოფის თვითაღზრდაზე საერთოდ აიღოს ხელი. ამიტომ სასურველია, მოსწავლემ დაიწყოს ნაკლები სიმძნელების დამლევივით და თანდათანობით გაირთულოს განსახორციელებელი ამოცანა“.

(ჩხარტიშვილი, 1974, გვ. 251)

აუცილებელია აღმზრდელმა ფარულად თუ ღიად აკონტროლოს ეს პროცესიც და მოზარდიც, რადგან ხშირად ნებისყოფას ე.წ. „ქუჩის ბიჭებიც“ იკაჟებენ: წარმატებითაც რომ დაამთავროს ასეთმა „ბიჭმა“ ჩხუბი, მან კარგად იცის, მტკივნეული დარტყმის გარეშე ვერც თვითონ გადარჩება, მაგრამ მაინც მიდის ამ სიმწარეზე, რათა ქუჩის თუ უბნის „ყოჩის“ სახელი დაიმკვიდროს. ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, ყველა კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თვითაღზრდას, მით უმეტეს ნებისყოფის თვითაღზრდას კონტროლი სჭირდება. თვითაღზრდა ადამიანური ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, დაწყებული ფიზიკურით, გონებრივით, მესხიერებით, დამთავრებული ზნეობრივით. გარდა ამისა საჭიროა ყურადღების კონცენტრაციის უნარის გამომუშავებაც - თვითგანვითარებაც.

ყურადღება ორგვარია: უნებლიე და ნებელობითი. რატომ უჭირს მოზარდს უნებლიე ყურადღებიდან ნებელობით ყურადღებაზე გადასვლა? ა. ბოჭორიშვილის თქმით: „იმიტომ, რომ უნებლიე ყურადღება ენერჯის განსაკუთრებულ მობილიზაციას არ მოითხოვს, არ საჭიროებს დამაბულობას, მაშინ როდესაც ნებელობითი ყურადღება გარკვეულ დამაბულობას მოითხოვს სუბიექტისაგან, რაც ბავშვს აშკარად უჭირს“.

(ბოჭორიშვილი, 1950, გვ. 195-196)

მორალური თვითაღზრდა დიდადაა დამოკიდებული ოჯახზე, სადაც იზრდება ბავშვი, სკოლაზე, სადაც იგი სწავლობს, ანუ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სული, რა მორალური ატმოსფერო სუფევს იმ ოჯახსა და სკოლაში. ამდენად ზნეობრივი თუ მორალური თვითაღზრდა უნდა განხორციელდეს იმ საზოგადოების მორალური ნორმებისა და წესების მიხედვით, რომელშიც ის ცხოვრობს. ა. ბრეგაძის თქმით: „ადამიანი არ არის კარჩარაზული და უფანჯრო მონა. ის ღია სისტემაა, „ღიაობა“ - ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა - ნიშნავს სხვებთან ცოცხალ ურთიერთობას, მათთვის სულიერი კარების გახსნას“...

(ბრეგაძე, 1997, გვ. 156)

გარდა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი თვითაღზრდისა, ადამიანს ესთეტიკური აღზრდაც სჭირდება. იგი გულისხმობს სინამდვილესთან ისეთი დამოკიდებულების ფორმირებას, როცა იგი აღიქმება როგორც მშვენიერება, როგორც სილამაზე, რომლის მიზანია ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს ადამიანს.

თვითაღზრდა ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს ეხება და შედეგი ყველგან ერთნაირია. რაც უფრო მეტს ვიზრუნებთ თვითაღზრდაზე, მით უფრო სრულყოფილი და სრულქმნილი გახდება ადამიანი.

შეიძლება ითქვას ისიც, რომ თვითაღზრდის მტერია: თვითდაჯერებულობა, თვითკმაყოფილება და თვითგანდიდება, ანუ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა. სამივე ეს თვისება ადამიანის (მოზარდის) გაყოფილებას, ქედმაღლობას, ამბიციურობას იწვევს. იგი მოზარდს არ აძლევს საშუალებას კრიტიკულად შეაფასოს თავისი თავი, დაინახოს საკუთარი ნაკლი. ასეთი თავდაჯერებულობა და თვითკმაყოფილება თანდათანობით აცილებს მოზარდს თანატოლებს და ეგოისტად და ინდივიდუალისტად მის ჩამოყალიბებას იწვევს.

ამდენად, თვითცნობიერებისა და თვითაღზრდის როლი მნიშვნელოვანია პიროვნების ფორმირებაში, ბავშვი ხომ ჯერ პიროვნება არ არის, იგი პიროვნებად ჩამოყალიბების საწყისი ფორმაა. მოზარდისთვის სამოქმედო ასპარეზი არის სკოლა და ოჯახი. ამიტომაც რომ მოზარდის თვითცნობიერების განვითარებაში უდიდესია სკოლის, ოჯახის, აღმზრდელი პედაგოგების, მშობლების როლი. სკოლამ უნდა შეძლოს გარე შთაბეჭდილებებისაკენ მიდრეკილი მოზარდი მოაბრუნოს საკუთარი თავისაკენ და გაუჩინოს მას თვითშემეცნების სურვილიცა და უნარიც. პედაგოგმა ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი მოზარდის თვითცნობიერების განვითარებას. კარგია გამართოს დისპუტები, მსჯელობა,

დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: „რა არის პიროვნება“, „რა არის ცნობიერება და თვითცნობიერება“, „რა არის აღზრდა და თვითაღზრდა“ და ა.შ. ამ მიმართულებით მუშაობა არ უნდა ატარებდეს ერთჯერად ხასიათს. მოზარდის თვითცნობიერების და თვითაღზრდის განვითარებას დიდად შეიძლება შეუწყოს ხელი ისეთმა აღმზრდელობითმა მუშაობამ, როგორცაა: „ემიბდე თავსა შენსა“, სადაც მოსწავლეებს საკუთარი უნარების ძიებისა და წარმოჩენის მრავალმხრივი შესაძლებლობა ექნებათ.

თვითაღზრდის პროცესის ორგანიზაციის დროს, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოზარდობის ასაკში ჯერ კიდევ დაბალია თვითაღზრდისადმი ცნობიერი, შეგნებული დამოკიდებულება. თვითაღზრდა წარმატებით შეიძლება მაშინ განხორციელდეს, თუ მოზარდი გაიცნობიერებს თვითაღზრდის მნიშვნელობას, შეძლებს გარკვეული მიზნებისა და ამოცანების დასახვას და აქტიურობას მათი რეალიზაციისათვის. თვითაღზრდა მოითხოვს საკუთარი სურვილების მართვას, ნებისყოფის გამომუშავებას, თვითაღზრდის გეგმისა და პროგრამის მეთოდურ განხორციელებას. ერთი რამ უდავოა: თვითაღზრდის სწორი წარმოება, მისი წარმატებულობა შეუძლებელია კარგად მოფიქრებული სააღმზრდელო სისტემის გარეშე.

ბიბლიოგრაფია:

- ბოჭორიშვილი, ა. (1950). *ფსიქოლოგია*. თბილისი.
ბრეგაძე, ა. (1997). *რა არის ადამიანი*. თბილისი: ზედაშე.
ნათაძე, რ. (1966). *ზოგადი ფსიქოლოგია*. თბილისი.
ჩხარტიშვილი, შ. (1974). *აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია*. თბილისი.
Спиркин, А. Г. (1977). *Сознание и самосознание*. Москва.

Tsiuri Bakradze

Gori State Teaching University

THE ROLE OF SELF-AWARENESS AND SELF-EDUCATION IN FORMATION OF PEOPLE'S PERSONALITY RESUME

Self-awareness is a purely human ability. Only people can realise their own actions, feelings, thoughts, interests and the objects of their observation, find their own place among the society.

The role of self-awareness and self-education is important in the formation of human's personality. Schools, families, teachers and parents have the most important role in the development of adolescents' self-awareness. Teachers should do their utmost to promote adolescents' self-awareness. The educational work, such as: "seek yourself" can greatly contribute to the development of adolescents' self-awareness and self-education, where students will have the opportunity to explore and demonstrate their skills.

Self-education can be successfully implemented if adolescents' age and individual data will be properly considered. Self-education requires you to manage your own desires, generate your willpower and the methodical implementation of the self-education plan and program.

Keywords: Self-awareness, self-education, adolescent, education.

ტრანზიცია ადრეული განვითარებიდან დაწყებით საფეხურზე

საკვანძო სიტყვები: ტრანზიცია, ადრეული განათლება, ადრეული განვითარების სფეროები, სკოლამდელი დაწესებულებები, დაწყებითი საფეხური

ტრანზიციის ზუსტი ფორმულირება რთულია, რადგან ის არის იმ ძირითადი მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანის სიცოცხლის კონკრეტულ პერიოდში, განსაკუთრებით გარდამტეხ პერიოდებში და ეს შეიძლება იყოს სოციალური, კულტურული, ასაკობრივი, მენტალური და სხვადასხვა კონსტრუქციის მატარებელი. როგორც წესი, ამგვარი ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის/ბავშვის გარეგნულ იერსახეს, საქმიანობას, მის სოციალურ სტატუსსა და იმ გარემოს, რომელშიც იგი იმყოფება, მის როლსა თუ ურთიერთობებს გარშემო მყოფებთან, რწმენებსა და წარმოდგენებს, აზროვნებას და ა.შ. ყველა ადამიანი უნიკალურ ინდივიდს წარმოადგენს და შესაბამისად, მისი განვითარების პროცესიც მთლიანად ინდივიდუალური ელფერის მატარებელია და ტრანზიციებიც მიმდინარეობს ინდივიდუალური პრიზმით. ტრანზიცია შემეცნებით, სოციალურ-კულტურული და ემოციური განზომილებას, ფსიქო-სოციალურ და კულტურულ შემგუბელობასაც მოიცავს და დამოკიდებულია ცალკეული ინდივიდის ბუნებასა, მოწყვლადობასა და ცვლილებებისადმი გამძლეობის ხარისხზე. როგორც ჩანს ტრანზიციის პროცესები სპეციფიკურია და იმის გათვალისწინებით, ინსტიტუციურ თუ პიროვნულ დონეზე ხდება, შესაძლებელია იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური. (Kagan & Neuman, 1998, p. 366) ჩვენი კვლევის ამოცანა არ გახლავთ ამ მიმართულებებზე ჩადრმავება და მათი ცალ-ცალკე განხილვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალური ტრანზიცია შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც „სტატუსების“ ცვლილება, რომელიც ბავშვის ერთი საფეხურიდან, მაგალითად საბავშვო ბაღიდან მეორე საფეხურზე - სკოლის დაწყებით საფეხურზე გადასვლასთან არის დაკავშირებული. ზოგადად, ადრეული ასაკის ტრანზიციები საგანმანათლებლო ტრანზიციებს უკავშირდება. რაც შეეხება ჰორიზონტალურ ტრანზიციას, ის, უფრო ხშირად, ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება და გულისხმობს რუტინულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს ოჯახსა და სხვა ინსტიტუციაში ან ზრუნვის ერთი გარემოდან მეორეში გადასვლის შემთხვევას.

საქართველოში ძალიან ნაკლებადაა შესწავლილი ტრანზიციის საკითხი, რომელიც საკმაოდ მრავალმხრიანი პროცესია და არაერთგვაროვან გამოცდილებას ემყარება. განსაკუთრებული როლი, ტრანზიციების, როგორც სოციალურ-კულტურული ცვლილებების პროცესების აღწერაში, პიაჟეს და ვიგოტსკის მიგნებებმა თუ თეორიებმა ითამაშა. ლევ ვიგოტსკისა და ჟან პიაჟეს შეხედულებით ბავშვები თავად არიან საკუთარი გარემოს შემქმნელები, ისინი თავისი არჩევანის პირობებში ურთიერთქმედებენ სამყაროსთან და საკუთრივ ქმნიან განვითარების გარემოებებს. ტრანზიციის პროცესის გააზრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ორი თეორეტიკოსისა და მეცნიერის ურთიერთგანსხვავებულმა შეხედულებამ, კერძოდ: ლევ ვიგოტსკის მიდგომით სწავლის პროცესი იწვევს განვითარებას, რასაც არ ეთანხმება ჟან პიაჟე და ავითარებს მოსაზრებას სწავლისათვის კონკრეტული ეტაპის მიღწევის აუცილებლობის შესახებ. საკმაოდ საინტერესო მიგნებას ავითარებს ლევ ვიგოტსკი, მისი აზრით, „სწავლასა და განათლებას შორის ტრანზიცია, ე.წ. პროქსიმალური განვითარების ზონაში ხორციელდება, რაც გულისხმობს მანძილს ყველაზე რთული ამოცანიდან, რომელიც ბავშვს შეუძლია დახმარების გარეშე შეასრულოს იმ ყველაზე რთულ ამოცანამდე, რომელსაც ბავშვი სხვისი დახმარებით ასრულებს“. ავტორთა ჯგუფის აზრით (Vogler, Crivello, & Woodhead, 2008) „ტრანზიციები, შეგვიძლია განვმარტოთ როგორც ბავშვის სოციალურ-კულტურული შემეცნების პროცესის ძირითადი მომენტები, რომელთა საშუალებითაც ბავშვები ცვლიან თავიანთ ქცევას იმ ახალი ხედვის შესაბამისად, რომელიც მათ გარემოსთან სოციალური ურთიერთქმედების შედეგად მიიღეს“.

ტრანზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის, რადგან ის წარმოადგენს ინტეგრაციის მთავარ ჩარჩოს, რომელშიც პოზიციონირებს ბავშვი ადრეული ასაკიდან. ჩვენი ნაშრომის ფარგლებში, შევხებით ადრეულ ასაკში

ტრანზიციების ძირითად ასპექტებს და მოვახდენთ ტრანზიციის პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიკაციას. ტრანზიციის პერსპექტივების მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება ინტეგრირებულ და ბავშვზე ფოკუსირებული ადრეული განათლების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ბავშვთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, ადრეული ბავშვობის პერიოდი განისაზღვრება 8 წლის ასაკამდე პერიოდით და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ადრეულ პერიოდში ბავშვთა უფლებების რეალიზების საკითხი და ასევე, ეს პერიოდი მიიჩნევა, როგორც დაჩქარებული და ინტენსიური ცვლილებების პერიოდი, რომელიც როგორც სოციალურ, ასევე ინსტიტუციონალურ ტრანზიციებს მოიცავს და მნიშვნელოვანია როგორც მოკლევადიანი განვითარებისთვის, ასევე გრძელვადიანი კეთილდღეობისთვის.

ცნობილია, რომ ბავშვის ადრეული განვითარება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს:

- ფიზიკური და სენსორული განვითარება;
- სოციალურ-ემოციური განვითარება;
- კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება;
- შემეცნებითი განვითარება;
- დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარება.

ნაშრომის ფარგლებში მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით და განვითარების სფეროების შესახებ ძირითად ტენდენციებზე მივაწვდით ინფორმაციას მკითხველს. **ფიზიკური და სენსორული განვითარების ადრეულ ეტაპზე**, ბავშვი აკონტროლებს სხეულის მიზანმიმართულ მოძრაობას და კოორდინირებულად ახერხებს მის შენარჩუნებას ისე, რომ შეუძლია წოლა მუცელზე, ზურგზე, ასევე ახერხებს ჯდომას და დგომას, ნატიფი მოტორიკის, კიდურების შეთანხმებული, კოორდინირებულ მოძრაობას და გადაადგილებას. ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის აღნიშნული ქმედებების განხორციელება ნორმის ფარგლებში ჯდება და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას არ მოითხოვს. გარდა ამისა, ამავე ასაკის ნორმალური განვითარების ზონას წარმოადგენს მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების და კინესთეტიკური უნარების განვითარება. ადრეული ასაკის ბავშვის ფიზიკური და სენსორული განვითარების შემდეგ, მნიშვნელოვან სფეროს მისი **სოციალურ-ემოციური განვითარება წარმოადგენს**. სწორედ ამ პერიოდში იწყებს ბავშვი მიჯაჭვულობის გამოხატვას, რაც შესაძლოა ახლობელი ადამიანთან განშორებისას ტირილით იქნას გაფორმებული, ამავდროულად ტირილი ეხმარება ამ ასაკის ბავშვს ემოციის გამოხატვაში და ასევე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, მას შეუძლია თვითიდენტობის გამოხატვა და ასევე ისეთი კომპეტენციის გამომჟღავნება, როგორიცაა მიმანიშნებელი ხმის, ყესტის გამოხატვა და ამით ყურადღების მიპყრობა. ასევე აღსანიშნავია, რომ მას უვითარდება ემოცია, რაც გაფორმებულია როგორც ემოციების გაგებითა და გამოხატვით, ასევე ემოციების მართვით. ადრეულ ასაკში, ემოციური განვითარების ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანია პროსოციალური ქცევის გამოვლენა, რაც მჟღავნდება ურთიერთობებით, თამაშით და კონფლიქტების მოგვარებით. **კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების** სფეროს განვითარების გზით, მას ძალუმს სიტყვების, აზრების, ინსტრუქციების მოსმენა, გაგება და ასევე გადმოცემა, ინტერაქციას მიმართავს და ამ დროს იყენებს კომუნიკაციის როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ფორმებს. ოდნავ მოგვიანებით, განვითარების ტენდენციების კვალდაკვალ ინტერესდება წიგნით და ავლენს წერისთვის მზაობის ნიშნებს. ამ პერიოდისთვის განვითარების უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს შემეცნებითი მიმართულება, რაც მოიაზრებს ცნობისმოყვარეობის, ყურადღების კონცენტრაციის შემოქმედებითი მიდგომისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ბავშვური გამოცდილების ინტერპრეტირებას გამოხატავს კრიტიკული აზროვნებით და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარებით. ამგვარად, ადრეული განვითარების ეტაპები, პირობითად დაყოფილია ასაკობრივ კატეგორიებად:

1. 0-2 წელი;
2. 2-3 წელი;
3. 3-4 წელი
4. 4-5 წელი;
5. სასკოლო მზაობის პერიოდი.

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში განვითარების სფეროებში ბავშვი ვითარდება სწორედ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით და ეს განვითარება ყველა ეტაპზე საკმაოდ საინტერესო გამოვლინებებს გთავაზობს; წინამდებარე სტატიის ინტერესის საგანს წარმოადგენს ტრანზიციის ადრეული განვითარებიდან დაწყებით საფეხურზე, ანუ რა გამოცდილებით მიდის ბავშვი ოჯახიდან ადრეული განვითარების სფეროების გათვალისწინებით და რა ხდება დაწყებით სასკოლო პერიოდში? როგორ ახდენს ბავშვი იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების რეალიზებას, რომელიც დაბადებიდან სასკოლო ასაკამდე შეიძინა? მეტი თვალსაჩინოებისთვის, გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც

დაჯგუფებულია ბავშვის ადრეული განვითარების მიმართულებები 0-5 წლამდე და სასკოლო მზაობის ასაკის მიხედვით. ჩვენი მიგნება ნათლად წარმოაჩენს 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების ძირითად ტენდენციებს ხუთი ძირითადი მიმართულებით. თვალში საცემი ცვლილება შეინიშნება განვითარების საბაზისო სფეროებში სასკოლო მზაობის პერიოდში, რომელიც ხუთი წლიდან იწყება და რეალურად, გადამყვანს წარმოადგენს ადრეული ბავშვობის პერიოდიდან სკოლის დაწყებით საფეხურამდე. ჩვენი ნაშრომის საკვანძო კითხვას, ამ ასაკობრივი ჭრილის გათვალისწინებით, წარმოადგენს ის ძირითადი ცვლილება, რომელიც ამ გარდამავალ პერიოდს ახასიათებს და ამავდროულად, ერთმანეთისგან განასხვავებს 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვს სასკოლო მზაობის პერიოდის ბავშვისაგან.

ბავშვის ადრეული აღზრდის, განვითარებისა და განათლების სფეროები ასაკობრივ ჭრილში		
0-2-3-4-5 წლამდე		სასკოლო მზაობის პერიოდი
1	ფიზიკური და სენსორული განვითარება	ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება
2	სოციალურ-ემოციური განვითარება	სოციალურ-ემოციური განვითარება
3	კომუნიკაციური უნარები ენისა და მეტყველების განვითარება	მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება
4	შემეცნებითი განვითარება	შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა
5	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	სწავლისადმი მიდგომა

ტრანზიცია, როგორც პროცესი, 0-დან 5 წლამდე ძირითადად ერთი პრინციპით მიმდინარეობს და ამიტომაც, 5 წლის ასაკის ბავშვზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ სწორედ განვითარების წარმოდგენილი მიმართულების მიხედვით. ამ ასაკში ბავშვი, ნორმალური განვითარების პირობებში, უკვე სტაბილურად განვითარებულია ფიზიკურად, აქვს საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების უნარი, შეუძლია ურთიერთობა გარშემომყოფებთან, გამოხატავს საკუთარ ემოციებს, იქცევა საკუთარი ნებისა და შეხედულებისამებრ და ამ მოცემულობით გადადის სრულიად ახალ გარემოში, ახალი გამოწვევების წინაშე დგება და სრულიად ახალი სოციალურ-კულტურული კონტექსტით გაფორმებულ რეალობაში ტრანსფორმირდება. გარკვეული „ცხოვრებისეული“ ცოდნითა და გამოცდილებით ის გადადის სრულიად ახალ გარემოში, სადაც ახალი რეალობის წინაშე დგება და უწყევს მისთვის არცთუ სასიამოვნო სასწავლო პროცესში ინტეგრაცია და სწავლისადმი საკუთარი მიდგომის ჩამოყალიბება. სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს მის ადგილს სოციუმში და მკვეთრად მოქმედებს მისი განვითარების მანამდე არსებულ გეგმებზე. რა გამოცდილება მიაქვს ბავშვს ოჯახიდან, სადაც ყველაფერი მისი კეთილდღეობისთვის კეთდება და თბილი და კულტურული გარემო აქვს? ხვდება მას შესატყვისი გარემო სკოლაში? მის სოციუმში არიან ისეთი ღირებულებებისა და გამოცდილების მატარებელი ბავშვები, რომლებიც შეძლებენ ერთ სივრცეში თანამშრომლობას? თუ ეს ურთიერთობა შედგა და ბავშვს აქვს რეალური შანსი ნაკლები ძალისხმევა დახარჯოს ურთიერთობების დარეგულირებაზე და მეტი ძალისხმევა მიმართოს სწავლის პროცესში ჩართულობაზე, ეს საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ არც სწავლის პროცესი არის ხელშეწყობილი და ასევე თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობებიც კონფლიქტებზეა დამყარებული. სკოლამდელი დაწესებულებიდან, მით უმეტეს ოჯახიდან მოსული ბავშვები საკლასო გარემოში ვერ ახერხებენ კონფლიქტების პრევენციასა და მართვას, ვერ უმკლავდებიან სხვა სირთულეებსაც, რაც ხელს უშლის სწავლის პროცესის ეფექტურად განხორციელებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვთა ადრეული განვითარების ტრანზიციებზე საუბრისას ე.წ. „განვითარების ნიშის“ გათვალისწინება, რომელიც ეყრდნობა: 1) ოჯახის ეთნოწარმოდგენებს, 2) მატერიალურ პირობებს, განსაკუთრებით იმ გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება და 3) ბავშვის აღზრდის არსებულ პრაქტიკას.

გასათვალისწინებელია, რომ საადმორდელო ინსტიტუციებში, სადაც ხდება ტრანზიცია, განვითარების ნიშა იმდენია, რამდენიც ბავშვი და ეს ნიშნავს, რომ სრულიად განსხვავებულია ამ

პარამეტრის გათვალისწინებით ყველა ბავშვის აღზრდის პრაქტიკა, გარემო და მატერიალური პირობები. განვითარების ნიშის სამი ქვესისტემა გვიჩვენებს, როგორ ყალიბდება ბავშვის სამყარო და როგორ უკავშირდება უფრო ფართო კულტურულ გარემოს. ამ თვალსაზრისით, ბავშვებს საკუთარი მოლოდინებისა და აღზრდელთან ურთიერთქმედების საშუალებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თავიანთი განვითარების ნიშების ფორმირებაში. შესაბამისად, ის გამოცდილება, რაც ადრეული ბავშვობიდან მოყვებათ ჰორიზანტალური ტრანზიციების სახით, ვერტიკალური ტრანზიციის დროს, შესაძლებელია მოვიწოდოთ, როგორც ბაზისი ახალი ტრანზიციისთვის.

ჩვენი მიმოხილვით ნათლად დასტურდება, რომ ადრეული განვითარების პერიოდი მოიცავს ბავშვის ცხოვრების ისეთ მომენტებს, როდესაც ის შესაძლოა იყოს ჰარმონიაში ან დისჰარმონიაში სკოლაში ტრანზიციასთან. სკოლის დაწყებით საფეხურზე ბავშვებს უწევთ ახალი ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გააზრება და საკუთარ თავზე აღება.

ბიბლიოგრაფია:

- Kagan, S. L., & Neuman, M. J. (1998). Lessons from three decades of transition research. *The Elementary School Journal* (4), 365–379.
- Vogler, P., Crivello, G., & Woodhead, M. (2008). *Early childhood transitions research: A review of concepts, theory and practice*.

Ekaterine Gigashvili

Gori State Teaching University

Tamar Remishvili

Georgian Technical University

TRANSITION FROM THE EARLY DEVELOPMENT AT THE INITIAL STAGE RESUME

In the first years of life, at an early stage of development, children undergo major changes related to changes in social roles and expectations. As a result of changes in life events and adaptation to these processes, the child develops and his/her behavior or character gets its forms. Horizontal transition between areas of early development has a significant impact on a child's development and subsequently affects his/her elementary school achievement. Understanding the transition process in the long-term perspective enables the development of more integrated, culturally relevant and rights-based educational programs.

Keywords: Transition, Early education, Early Development Areas, Preschool institutions, Primary education.

პირველი საბავშვო ბაღები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: საბავშვო ბაღი, სკოლამდელი აღზრდა, პედაგოგიკა, განათლება.

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში საბავშვო ბაღები იხსნება საქართველოში, ძირითადად თბილისში (რუსულ ენაზე). მას პირველ რიგში ეკისრებოდა რუსული ენის შესწავლა და სკოლისათვის მომზადება. საბავშვო ბაღის გახსნის თაობაზე პირველმა ცნობებმა, რომელიც აუწყა ქართულ საზოგადოებას გაზეთმა „დროება“, ფართო რეზონანსი პოვა ქართული და რუსული პრესის ფურცლებზე. 70-იანი წლებიდან იწყება თარგმნილი თუ ორიგინალური სტატიების გამოქვეყნება სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე, რომლებმაც დასაბამი მისცა საქართველოში სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას.

საქართველოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები დადებითად აფასებდნენ ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდის სისტემის ჩამოყალიბების იდეას. თანაუგრძნობდნენ და დახმარებას უწევდნენ საბავშვო ბაღის ორგანიზატორებს.

გაზეთი „დროება“, შემდეგ კი გაზეთი „კავკაზი“ მიუთითებდა სკოლამდელ დაწესებულებათა უდიდეს მნიშვნელობაზე. ოჯახში, იმის გამო რომ მშობლები დაკავებულნი იყვნენ, ბავშვები უმეტესადაც იზრდებოდნენ. ამ ოჯახის დედებს არ ჰქონდათ საჭირო განათლება, რომ სწორად, გონივრულად, საქმის ცოდნით აღეზარდათ ბავშვები. ახალგაზრდა ქალები, შეძლებული ოჯახებიდან, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ გარკვეული განათლება, თვითონ არ ზრდიდნენ საკუთარ შვილებს და მათ აღზრდას ანდობდნენ უვიც, უცოდინარ გადიებს და ძიძებს ანუ აღზრდა ოჯახში არ პასუხობდა პედაგოგიურ მოთხოვნებს.

საქართველოს საზოგადოებრიობა, რომელიც იბრძოდა საბავშვო ბაღების გავრცელებისათვის, საბავშვო ბაღების ამოცანად თვლიდა ბავშვთა ყოველმხრივ განვითარებას და ადგილობრივ მოსახლეობაში სკოლამდელი პედაგოგიკის იდეების გავრცელებას. კაპიტალიზმის განვითარებამ დააყენა საკითხი საბავშვო ბაღების ინტენსიური განვითარებისა.

რუსულ-ქართული პედაგოგიური ურთიერთობის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თავშესაფრებისა და მომავალი სკოლამდელი აღზრდის საკითხები, რომლებიც მომდევნო პერიოდში გარკვეულ სისტემატურ და თანმიმდევრულ ხასიათს იღებს.

1859 წელს მეფის ნაცვლის ბარიატინსკის მზრუნველობით თბილისში იხსნება მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი.

კაპიტალისტურ რელსებზე გადასულმა წყობამ, რომელმაც გამოიწვია ქალთა დასაქმების აუცილებლობა, მოითხოვა ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების არსებობა, როგორც თავშესაფარია, სადაც იყვნენ უღარიბესი ოჯახის ბავშვები. ცხადია, სხვადასხვა სახის სამსახურში პირველად ის ქალები გადიოდნენ, ვინც ძალზე კრიტიკულ, მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდნენ. ეს ფაქტი მართო საქართველოსთვის როდი იყო დამახასიათებელი. ეს ფაქტი ნაცნობი იყო რუსეთისათვის და უფრო ადრე ევროპისათვის. მომდევნო პერიოდში რუსეთსა და საქართველოში „თავშესაფარი“ ეწოდება არა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, არამედ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა დაწესებულებას, ხოლო საბავშვო ბაღი ჩადგა პრესტიჟულ უფლებათა რანგში, რასაც ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდის სისტემა.

1868 წელს გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდება გ. წერეთლის ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა საყმაწვილო ბაღზე“, რომლის დაარსებაც უნდათ თბილისში. მასში ნათქვამია „ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, რომელთაც ჰსურთ თფილისში გახსნან „საყმაწვილო ბაღი“, ჩვენი ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ.“

პირველი „საბავშვო ბაღი“ მოხსენებულია თბილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ 1868 წელს თბილისში არსებობს ორი საბავშვო ბაღი. ბავშვთა შემადგენლობა მთლიანად ქრისტიანულია და ეკუთვნის თავად-აზნაურთა კლასს.

სამწუხაროდ, შეუძლებელი გახდა რაიმე მნიშვნელოვანი მასალის მოპოვება ამ ბაღის დამაარსებლისა და საერთოდ, ბაღის მუშაობის შესახებ. მაგრამ ჩვენს ხელთ არის მეორე 1868 წელს დაარსებული საბავშვო ბაღის მასალები, რომლის დაარსების ინიციატორებად და ხელმძღვანელებად წარმოდგენილია დიმიტრი ლავრენკო (თბილისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი) და მისი

მეუღლე ლიდია ლავრენკო. საბავშვო ბაღში იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3-დან 7 წლამდე. ამ ბაღის საქმიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ისინი აიძულეს დაეტოვებინათ კავკასია.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ რუსული სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი ფუძემდებლები ცოლ-ქმარი ადელაიდა და იაკობ სიმონოვიჩები. სიმონოვიჩებმა 1870 წელს თბილისში გახსნეს ფასიანი საბავშვო ბაღი ელემენტარული სკოლით, სადაც იღებდნენ ბავშვებს 4-დან 14 წლამდე. აქ სწავლობდა 60 სხვადასხვა ეროვნების ბავშვი.

1872 წელს გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ად. სიმონოვიჩის წერილი „საჭიროა თუ არა საბავშვო თამაშობანი“. სტატიის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს საქართველოში საბავშვო ბაღის გახსნის იდეას (კავკასიაში), აცნობს მშობლებსა და მასწავლებლებს ამ საქმის არსს, ბავშვის განვითარების ძირითად ეტაპებს და ასაბუთებს საბავშვო ბაღის აღზრდის უპირატესობას საოჯახო აღზრდასთან შედარებით.

სიმონოვიჩების საბავშვო ბაღის მუშაობას ეცნობიან ქართველი პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები და თვით იაკობი გოგებაშვილი, რომელიც რეკომენდაციას უწევდა ამ ფრიად საინტერესო წამოწყებას. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იაკობის დამოკიდებულება სიმონოვიჩების ოჯახის მიმართ. „სიმონოვიჩებმა დააარსეს ჟურნალი „დეტსკი სად“, რომლის გაცნობამ დამიბადა აზრი შემედგინა და გამომეცა „კონა“, პირველდაწყებით მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებითგან“ - ამბობს იაკობი.

საქართველოში საბავშვო ბაღები გახსნილი იქნა ემა ჟაბას და ა. ფედოროვას მიერ. 1877 წელს საბავშვო ბაღის გახსნას ითხოვს მარია სვეშნიკოვა. ამავე წელს ემა ჟაბას ბაღი ჩაიბარა პეტერბურგიდან დაბრუნებულმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატმა არშაკ ნახაპეტიაძემ. როგორც ჩანს, თბილისში არსებულა ს. ბაბაიანის საბავშვო ბაღი, მაგრამ სამწუხაროდ ამ ბაღის მასალები არ შემონახულა. ბაბაიანს დაუმთავრებია ფრებელის კურსები და ყოფილა მდიდარი ოჯახის შვილი.

საქართველოს სკოლამდელი აღზრდის ისტორიაში საინტერესო ფურცელი ჩაწერა სოფიო არლუთინსკაია-დოლოგორუკოვამ. მისი მოღვაწეობა აღინიშნა მაღალი პროფესიული და მეცნიერული დონით, მოქალაქეობრივი პათოსით და არჩეული პროფესიისადმი უანგარო სამსახურით. მან დაამთავრა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი და მუშაობდა ბაბაიანის საბავშვო ბაღში. სოფიომ გახსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც თვით გოგებაშვილი დასწრებია. არლუთინსკაიამ პეტერბურგში მიიღო უმაღლესი განათლება, სადაც სწავლობდა სკოლამდელი აღზრდის საქმეს. იქ გატარებული წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის, და როდესაც საქართველოში დაბრუნდა (1886 წელს), გახსნა სასწავლებელი პანსიონითა და საბავშვო ბაღით. სოფიო არლუთინსკაია იყო „კავკასიის ფრებელის საზოგადოების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ს. არლუთინსკაიამ სპეციალურად დაამუშავა სკოლამდელი პედაგოგიკის ის მონაკვეთი, რომელიც მონტესორის სისტემის ღრმად შესწავლას ითვალისწინებდა. ის ერთ-ერთი პირველი სკოლამდელია, რომელმაც სცადა შეეჯერებინა და გარკვეული პარალელი გაეტარებინა ამ ორი თეორეტიკოსის (ფრებელისა და მონტესორის) სისტემებს შორის. მან დააარსა ჟურნალი „დიტია“ დედებისათვის და ნაყოფიერად იმუშავა 1924 წლამდე. ის საქართველოში მოწვეული იყო პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ არნახულ კულმინაციას მიაღწია მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. მე-19 საუკუნის დასასრულს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამლიერებამ დასვა საკითხი ქართული სკოლისა და ქართული ენისათვის უფლებებში აღდგენის შესახებ. ქართული სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რიცხვი თანდათან გაიზარდა.

პირველი ქართული საბავშვო ბაღი გაიხსნა 1892 წელს ქალაქ ქუთაისში, ცნობილი ქართველი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების სიმონ და იოსებ ოცხელების ინიციატივით.

უფრო გამოკვეთილი პირველი ქართული საბავშვო ბაღი ეკუთვნის ფრიად განათლებულ ქართველ მანდილოსანს მარია იოსელიანს (1908 წ). თბილისში იხსნება საბავშვო ბაღი ანასტასია გედევანიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ენაზე, ქართულ გიმნაზიასთან.

პირველ ქართულ საბავშვო ბაღში მოღვაწეობდა სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი პირველი დიდი ამაგდარი თამარ ერისთავი, რომელსაც სპეციალური განათლება ჰქონდა მიღებული შვეიცარიაში, საიდანაც იცნობდა ანასტასია გედევანიშვილს (მუშაობდა მონტესორის სისტემით), სადაც ფართოდ იყო წარმოდგენილი ბავშვის თავისუფლება, რომელიც ოუენის სისტემას უახლოვდება. ასევე თ. ერისთავის შემდეგ აღნიშნულ ბაღს შეემატა მარიამ მეძმარიაშვილი, რომელმაც განათლება მიიღო ჯერ საფრანგეთში და შემდეგ, შვეიცარიაში.

1927 წელს ნატალია უნაფქოშვილმა საქართველოში პირველმა შეიმუშავა სკოლამდელი აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრინციპები და მეთოდები. ბავშვის აღზრდაში დიდი როლი მიანიჭა ზღაპარს, კერძოდ საბავშვო ლიტერატურას, რასაც პედაგოგიკაში ეჭვით უყურებდნენ, როგორც რეალობისაგან ბავშვის დაშორების მიზეზს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული ხალხური ზღაპრები და

დადასტურდა მათი დადებითი გავლენა ბავშვის სულიერ აღზრდაზე. ამ დროს ქართველი მწერლები და მუსიკოსები ქმნიდნენ ნაწარმოებებს ბავშვებისათვის. ასევე ბავშვებთან მუშაობაში მნიშვნელოვანი იყო ხალხური თამაშების შეტანა.

ნ. უნაფქოშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბაღის გაფორმებასა და მოწყობაში, მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნატურალურ მასალებს, მაგალითად ხეს. იყენებდნენ ქართულ ორნამენტებსა და ჩუქურთმებს, ყურადღებას აქცევდნენ ეზოს გამწვანებას, ბაღის ეზოში მოწყული ხილით უმასპინძლებოდნენ პატარებს. ბავშვთა ასაკის მიხედვით კეთდებოდა ბავშვთა სათამაშო მოედნები.

1932 წელს ნ. უნაფქოშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსდა სათამაშოების სახელოსნო, რომელიც საქართველოს ყველა საბავშვო ბაღისათვის ამზადებდა სათამაშოებს. მოგვიანებით ამ ბაზაზე შეიქმნა დიდაქტიკური მასალების კვლევითი ლაბორატორია.

1923 წელს ბაღი საცდელ-საჩვენებელ ბაღად გადაკეთდა. ნ. უნაფქოშვილი ბაღში იწვევდა ფსიქოლოგებს, ფიზ. აღზრდის მაღალი დონის სპეციალისტებს.

ნ. უნაფქოშვილმა სკოლამდელ აღზრდას მიუძღვნა თავისი ცხოვრების 42 წელი. იგი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ვანათში. 1900 წელს შევიდა საეპარქიო სასწავლებელში, რომელიც 1908 წელს დაამთავრა. 1916 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

1956 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ბიბლიოგრაფია:

დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა: სკოლა და ცხოვრების ყოველკვირეული დამატება. (1972). 1. ვასაძე, ნ. (რედ.). (1998). *პედაგოგიკის ისტორია*. თბილისი.
თბილისის №1 ბაგა-ბაღი. (1996). თბილისი: ნეკერი.
უნაფქოშვილი, ნ. (1975). *თამაშობები საბავშვო ბაღში*. თბილისი: განათლება.

Mzia Gogiashvili
Gori State Teaching University
THE FIRST KINDERGARTENS IN GEORGIA
RESUME

In 60-70s of the XIX century kindergartens began to open in Georgia, mainly in Tbilisi (in Russian). Its first goal was to teach the Russian language and prepare children for the school. The first notes about the opening of the kindergartens had great resonance on the pages of Georgian and Russian press. The newspaper 'Droeba' informed the Georgian society of the news. From the 70s begins the publication of pre-school education issues, either translated or original, which gave the basis for the development of theory and practice of pre-school education in Georgia.

The distinguished public figures of Georgia positively evaluated the idea of the establishment of pre-school education in our country. They sympathized and supported the organizers of the kindergartens.

Keywords: Kindergarten, Pre-school education, Pedagogy, Education.

ტრადიციული პროფესიების დაუფლება - გარანტირებული კარიერის საწყისია

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული პროფესიები, გუნდური მუშაობა, ლანდშაფტური ხელოვნება, ინკლუზიური, ტერასა.

ნაშრომის მიზანია: ჩვენს ქვეყანაში, მისი რეგიონებისა და ეპარქიების მიხედვით საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება კონკრეტული ტრადიციული შრომითი პროფესიებისა და მათი მეთოდოლოგიების აღდგენა, ამ პროფესიაში ცოდნის საგანძურის მომავალი თაობებისათვის გადაცემა, ამ საქმით დაინტერესებულ პირთათვისაც - უწყვეტი განათლების მსურველთათვის, განსაკუთრებით კი რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესის გაზრდა მივიწყებული ძირძველი დეფიციტური შრომითი ტრადიციული პროფესიების მიმართ, მათი შენარჩუნება უახლესი ტექნოლოგიური ბაზის დახმარებით. მიღებული პროფესიით კურსდამთავრებულთა რეგიონშივე დასაქმება, რითიც ხელი შეეწყობა ახალგაზრდობის ადგილზე დარჩენა-დამაგრებას, ეს კი გარკვეულწილად პოზიტიურად იმოქმედებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ“ ანუ „მთის კანონის“ განხორციელებას, სოფლებიდან ახალგაზრდების გადინებას შეამცირებს და დასაქმების პრობლემასაც ნაწილობრივ გადაჭრის. თითოეული ახალგაზრდის, მოზარდის ცხოვრების გზა დამოკიდებულია მის გადაწყვეტილებაზე როგორ პროფესიას ამოირჩევს, როგორ გამოიყენებს და მოერგება ამ პროფესიას, როგორ წაადგება მის ქვეყანას საკუთარი არჩეული პროფესიით. ჩვენ დამატებითი შემოსავლის წყაროს ვთავაზობთ.

თანამედროვე სამყაროში ჩვენი ყოფნის დროის უდიდესი ნაწილი მუშაობაში ტარდება, ამიტომ თუ როგორ პროფესიას ავირჩევთ და როგორ მოვახერხებთ საკუთარი სამუშაოს შერწყმას პრაქტიკულ ცხოვრებასთან, ბევრადაა დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის სწორ გადაწყვეტილებაზე, რომ ჩვენი საქმიანობით კმაყოფილებიც ვიყოთ და წარმატებულებიც შრომასა და კარიერაში. დღეს კარიერის არჩევისას ახალგაზრდები ორ ასპექტს ითვალისწინებენ:

ა) სამუშაოს შინაარსი;

ბ) სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული სიამოვნება.

პედაგოგების, მეცნიერების, ოჯახის და საერთოდ ყველას ვაღიარებთ, დავეხმაროთ და ბიძგი მივცეთ როგორც ახალგაზრდებს, ისე უწყვეტი განათლების მსურველთ, რათა ამ რთულ და მრავალმხრივ პროცესში, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ცხოვრებას, საქმიანობას და პიროვნულ ზრდას თავიდანვე სწორად აირჩიონ ტრადიციული პროფესიები, რომლებიც მათთვის ძირითადი თუ არ იქნება, დამატებითი შემოსავლის წყაროდ მაინც გამოადგებათ და ფინანსურად ცხოვრებას მცირედით მაინც გაიუმჯობესებენ.

„როცა ადამიანი ირჩევს პროფესიას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პრესტიჟული და „მოდურია“, ამ დროს დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს პროფესია შეიძლება აღარ იყოს პრესტიჟული და „მოდური“. ასეთ შემთხვევაში პიროვნება დგება რეალობის წინაშე და უინტერესოდ ეჩვენება თავისი სამუშაო, შესაბამისად, იმედგაცრუება და ზოგჯერ სასოწარკვეთაც კი ეუფლება“. (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2007, გვ. 11) დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მაღალი ანაზღაურების მქონე არჩეული პროფესია, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები მიუტოვებიათ და დაბრუნებიან ტრადიციულ პროფესიებს. ასევე პოზიტივად მიგვაჩნია, რომ ბოლო წლებში პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე ადრე იყო. თანამედროვე შრომის ბაზრის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოთხოვნა დღითიდღე იზრდება ტრადიციულ სახელობო სპეციალობებზე, რომელთა წარმატებული მომზადება დამოკიდებულია პროფესიულ მასწავლებლებზე, რათა მათ უზრუნველყონ კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ტრადიციული პროფესიების მიმდევარი კადრების მომზადება. მასწავლებლებს (ოსტატებს, დამრიგებლებს) უნდა ახასიათებდეთ ინიციატივა და გულისხმიერება დამოუკიდებლად მომუშავე ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც შრომით ამოცანებს ასრულებენ, მზრუნველობა თითოეულ მათგანზე, შორსმჭვრეტელობა, მზადყოფნა იმუშაონ ძალიან რთულ კლიმატურ პირობებშიც კი.

უნარები, რომელსაც ძირძველი ტრადიციული დეფიციტური პროფესიების მასწავლებლები (ოსტატები, დამრიგებლები, წინაპრები) უნდა ფლობდნენ:

ა) კარგად ფლობდნენ პროფესიასთან ერთად პედაგოგიურ, (ოსტატობრივ, დამრიგებლობრივ)-ფსიქოლოგიური დისციპლინების ცოდნასაც, უყვარდეს თითოეული აღსაზრდელი, მოზარდი თაობა, თავისი ერი და გააჩნდეთ მენეჯერული უნარები - ახალგაზრდობის მართვასა და სწავლებაში, ორგანიზებაში, დაგეგმვაში, კონტროლში და პრიორიტეტების განსაზღვრაში; იყოს მომზადებული არა მარტო პროფესიონალურად, არამედ მსოფლმხედველობრივად და ზნეობრივადაც.

ბ) დროის მართვა - მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი აქტივობების შერჩევა. ამა თუ იმ ნაკეთობების შესასრულებლად დროის განაწილებასთან ერთად ოსტატობისა და ჩვევების ერთობლიობის სრულყოფილად ფლობა, ეფექტიანი განრიგის მომზადება და დაცვა;

გ) სხვადასხვა ინფორმაციების მოძიება, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მოცემული მასალის ათვისებას და მეტი ცოდნის ზიძგს მისცემს მსმენელებს, ინფორმაციის საჭიროების შესაბამისი წყაროების მოძიება, შერჩევა, გაანალიზება და შენახვა და მისი წარდგენა ტრადიციული პროფესიის მსურველთათვის;

დ) გადაწყვეტილების მიღების უნარი, ალტერნატივების მოძიება და შეფასება, რისკების გათვალისწინება და საუკეთესო ვარიანტის ამორჩევა, მოსწავლეები ჩართოს გუნდურ მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღებით იყო სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მიმართ, საჭიროებისამებრ ამუშაოს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და გუნდში;

ე) ლოგიკური აზროვნების - ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გამოტანა, ძიებისათვის. შეგეძლოს ყველაფრის გათვალისწინება: განსაკუთრებულის, მცირემნიშვნელოვნისა და უმნიშვნელოსი, რადგანაც მას ზოგჯერ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე.

ყოველ მეცადინეობაზე თეორია და პრაქტიკა ერთიანი უნდა იყოს, სადაც თორიას გაკვეთილის დროის მეხუთედი ნაწილი დაეთმობა ანუ 20%, ხოლო პრაქტიკას გაკვეთილის 80%.

პროფესიის სწორად არჩევისას ახალგაზრდებს ძირითადად ორი სახის დახმარება სჭირდებათ:

1. მათი დარწმუნება მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომ ზუსტად შეეფერებათ თავისი ამორჩეული პროფესია;

2. დაფიქრდნენ - არჩევანის მიღმა უფრო სასურველი პროფესია ხომ არ დარჩათ?

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში განვითარებული პროცესების ფონზე, ყოვლად გაუმართლებელი, მავნე პოზიცია დაიკავეს „ვაი“ რეფორმატორებმა განათლებაში არსებული მრავალი პრობლემის გადაჭრის თაობაზე, მათ შორის აშკარად ნეგატიური აზრი დაამკვიდრეს რიგი სასწავლო დისციპლინების მიმართაც. ამ თვალსაზრისით სასკოლო რეფორმამ დიდი ზიანი მოუტანა შრომით სწავლებასაც. იგი, შეიძლება ითქვას, იგნორირებულია, არადა დიდია მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის მისი როლი. იგი იშვიათად თუ რომელიმე სკოლაში ისწავლება და ისიც ერთი სემესტრის განმავლობაში გამოყენებითი ხელოვნების სახით, რაც საკმარისი არ არის ახალგაზრდობის პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებაში, მით უმეტეს თანამედროვე ცხოვრების პირობებში, როდესაც ფაბრიკა-ქარხნები არ მოქმედებს და მათი ნაწარმის შესაბამის პროფესიებზე წარმოდგენა არა აქვთ მოზარდებს. ამ ხარვეზის შესავსებად მივიჩნევთ საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ძირძველი, დეფიციტური პროფესიების დღემდე შემონახული ტრადიციების გამოვლენას, მათი შესწავლისათვის მომავალ თაობებში და საზოგადოებიდან „უწყვეტი განათლების“ მსურველებში ინტერესის გაზრდას მამაპაპური პროფესიების დასაუფლებლად, რაც ძირითად პროფესიებთან ერთად თითოეული ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება. გარდა ამისა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, დანაშაულების პრევენციისაზეც დადებით შედეგს მივიღებთ. (მოზარდი, რომელიც ფიქრობს შემოქმედებითად რა და როგორ გააკეთოს ესა თუ ის ნაკეთობა, ცუდზე ნაკლებად ფიქრობს). ახალგაზრდებმა პროფესიული არჩევანი რომ გააკეთონ: „თქვენ გაცნობიერებულად უნდა ეცადოთ ამოიცნოთ თქვენი „ნამდვილი მე“, კონცენტრირება მოახდინოთ ბუნებისაგან მონიჭებულ თქვენს ძლიერ მხარეებზე და მიდრეკილებებზე, ისწავლოთ მათი იმ საქმეში გამოყენება, რომლისათვისაც მთელი ცხოვრების მიძღვნას აპირებთ“. (აირჩიე პროფესია, 2013, გვ. 215)

საქართველოში მრავლადაა შემორჩენილი ხელსაქმის, ხელოსნობის, კულინარიის და სხვ. ტრადიციული პროფესიები - როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ტექნიკურ და საყოფაცხოვრებო შრომით საქმიანობებში. ტრადიციულად დღესაც ბევრ რეგიონში გავრცელებულია წნულის ხელობა ანუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების დამზადება - კალათა, გიდელი, გოდორი და ნაგებობები, მათ შორის რეგიონებში დაწნულ ღობეს კიდევ შეხვდებით. ასევე სხვა საოჯახო ატრიბუტებსა და სარიტუალო ნაკეთობებს. აქვე აღსანიშნავია ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და

დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების უსაფრთხოდ ხმარება.; ხის საამშენებლო მასალად გამოყენების ტრადიციული ხერხები, მისგან აივნის ჭვირულის, მარხილის, ურმის, ხალხური საკრავებისა და ტრადიციული საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება - სკივრი, გობი, კოვზები, ქაფქირი. მასალის შერჩევა, ნაკეთობის დამზადების ტრადიციული მეთოდები; ნაბდის მოთელვა თუშური ტრადიციული ტექნოლოგიით, თუშური ჩითის (ფეხსაცმელი) მოქსოვა, შეკერვა, ფირფიტას ქსოვა; მეთუნეობა, მეკეცეობა. თიხისაგან კრამიტის, ქვევრის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება; ოქროს მოპოვების უძველესი წესი, ტყავის დამუშავების უძველესი ტექნოლოგია, ლითონის დეკორატიული დამუშავება, ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია და ინსტრუმენტები, ტიხრული მინანქარი, ფერები; კირის დამზადება, მეწაღკოტეობა; საკვები, ბუნებრივი საღებავების მომცემი და სამკურნალო მცენარეების შესწავლა და გამოყენება „მწვანე აფთიაქისათვის“; თოჯინებისა და სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა, გამოყენების წესი, ტყავის დამუშავება და სხვ.

მეთუნეობის ისტორია ჩვენს ქვეყანაში უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და უკავშირდება ადამიანის პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, ანუ მეთუნეობის გაჩენა ღვინის წარმოებასა და შენახვის მთავარ ფაქტორად იქცა. ქართულ ხალხურ შრომით ტრადიციებში ქვევრის ფენომენალური ღირებულებები შეუდარებელია, რის საფუძველსაც მისი 8000 წლიანი ისტორია გვამღვეს. იგი აქტუალობას დღესაც არ კარგავს მინერალურ-ქიმიური შემადგენლობით, რადგანა თიხა მდიდარია ფერადი ლითონებით, კირით, ოქროთი. ჭური და ქვევრი ხშირად სხვადასხვა სახისა და ტევადობის ღვინის ჭურჭელი ჰგონიათ - ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ქალაქად მცხოვრებთ, ამიტომ უნდა განვუმარტოთ, რომ ტერმინი ჭური იგივე ქვევრის სინონიმია და ორივე მატერიალური კულტურის საგანძურია. ქოცოს 10-12 ლიტრი ტევადობის პატარა ქვევრის ფორმის ჭურჭელს ეძახიან, ხოლო ქვევრს აღმოსავლეთ საქართველოში და ჭურს დასავლეთ საქართველოში უწოდებენ. ნაკეთობების დამზადებამდე სასურველია მოსწავლეებს გავაცნოთ მასალები და მისი შემადგენლობა, სარგებლიანობა, მასზე უსაფრთხოდ მუშაობისა და ჰიგიენის წესები. თიხის გაცნობის დროს მის მრავალ დანიშნულებაზე ვესაუბროთ ახალგაზრდებს, რომ იგი ცემენტის ნაცვლადაც მოიაზრება და ნაირსახეობები არსებობს, რომლებსაც ფერების მიხედვით არჩევენ. მაგალითად ცისფერი კოსმეტიკაში გამოიყენება და რეკომენდებულია ცხიმიანი კანისათვის. ის აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ასუფთავებს და ადუზინფიცირებს, აქრობს ანთებებს, ცხიმიან ბზინვარებას, ხელს უშლის მუწუკების, მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას. ცხელ, მზიან ამინდში გვშველის პიგმენტური ლაქებისა და ჭორფლთან ბრძოლაში. მწვანე კოსმეტიკური თიხაა და აუმჯობესებს კანის სტრუქტურას, ავიწროებს ფორებს და ამცირებს კანზე ცხიმის გამოყოფას. რეკომენდებულია პრობლემური და ფერისმჭამელებით დაფარული კანისათვის. იგი კანს კვებავს ცივით, ვერცხლით და კალციუმით. ყვითელი ებრძვის ცელულიტს. კანს ჯანსაღ იერს აძლევს, უჯრედების რეგენერაციას უწყობს ხელს და ცხიმიან კანზეც დადებითად მოქმედებს და სხვ. ასევე შეიძლება გავაცნოთ ახალგაზრდებს „საზედაზე“ ქვევრების მნიშვნელობა, სადაც წმინდანებისა და ეკლესიისათვის შეწირულ ღვინოს ინახავდნენ. მასალებისადმი დადებითი დამოკიდებულებების გარდა, შეიძლება მოსწავლეებს ვესაუბროთ და გავაცნოთ იყალთოს „პირველი სკოლა-აკადემიის სახელოსნოში“ მათი თანატოლების მიერ დამზადებულ ქვევრზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ანუ ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში 2017 წელს ოთხი თვე იყო ყურადღების ცენტრში გამოფენაზე სახელწოდებით: „საქართველო ღვინის აკვანი“. ქვევრზე მითითებული იყო, რომ მასში ღვინის დამზადების ტექნოლოგია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია. ასეთი სახით მიწოდებული მასალა ახალგაზრდების მეტ ინტერესს იწვევს მოცემული პროფესიის ან ნაკეთობის დამზადების მიმართ და დადებითი დამოკიდებულება ეუფლებათ ნედლეულზე, მასალებზე, რათა ის ყაირათიანად დახარჯონ.

სოფელ ბოსლევში 15 წლის ლაშა მახათაძე ერთადერთი მოზარდია ვინც წინაპრების მიერ გადაცემული შრომითი ტრადიციების გაგრძელება ისურვა. შვიდი წლის ასაკში ბაბუამ კრამიტის მოჭრა და გამოწვა ასწავლა. პირველად 13 წლის იყო, როდესაც დამოუკიდებლად დაამზადა კრამიტი და ამჟამად რეალიზაციასაც უკეთებს. მასალის მოზიდვაში მამა და ძმა ეხმარებიან. მან კარგად აითვისა და შეიყვარა ეს ტრადიციული პროფესია, რადგანაც იცის თანამედროვე გადასახური საშუალებებიდან ყველაზე სანდო კრამიტია - ეკოლოგიურად სუფთა, სუნთქავს, ზამთარში სითბოს და ზაფხულში სიგრილეს ინარჩუნებს. კრამიტი ისე ეწყობა, რომ ქარი და წვიმა ვერაფერს აკლებს. ერთი კრამიტი დაახლოებით 2 კგ-ს იწონის და საკმაოდ მყარია. ლაშას სოფელში მიმდევრებიც უჩნდება ნელ-ნელა და ჯგუფური მუშაობის მეთოდით მუშაობენ შეხმატკბილებულად. ტრადიციული პროფესიის გარდა შეუძლია სხვა სპეციალობებიც ისწავლოს და გამოიყენოს, მაგრამ მეთუნეობიდან კრამიტის დამზადება ყოველთვის იქნება მისი დამატებითი შემოსავლის წყარო. აგრეთვე ეს სპეციალობა შემდგომში საშუალებასაც აძლევს ადვილად აითვისოს მონათესავე პროფესიები ახალი ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით.

ქართული ეროვნული შრომითი ტრადიციების მომიება-დაუფლების საქმეს მნიშვნელოვნად გაართვა თავი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ეკა წულუკიძემ სვანეთის სოფ. ფარში, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საპნის დამზადების უძველესი რეცეპტი მოიპოვა მოსწავლეებთან ერთად და აღადგინა ანუ მათთან ერთად დაიწყო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არტვაქტების შეგროვება. ერთ-ერთი სვანური საპონი იყო. 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონკურსში, სადაც სვანური საპნის ბიზნესგეგმა წარადგინეს. ტრადიციული სვანური საპონი მზადდება ხის ნაცრის თუთქისაგან (წყალში არეული ნაცრისა) და ცხოველური ცხიმის ხარშვის შედეგად. ნაცარს სვრიან ნაჩვრეტებიან ტაფაში და სისტემატურად ასხამენ თბილ წყალს თუთქის ჩამოსაღვინთავად. ის მთელი დღის განმავლობაში იხარშება მთის წყალში და ემატება ცხოველური ცხიმები ღორის ან საქონლის ქონის. ცხიმის დაკლება არ შეიძლება, რადგანაც ფშვნადი გამოვა. ეკოლოგიურად სუფთაა, აქვს დამარბილებელი ეფექტი და ქერტლისა და თმის ცვენის საწინააღმდეგოდ გამოიყენება. სკოლის მოსწავლეებთან ერთად გადაწყვიტა, რომ სვანური საპონი სოფლის სავიზიტო ბარათად აქციოს. გასაყიდად სვანური ორნამენტებით გაფორმებულ თექაში აქვთ გახვეული. ეკა მასწავლებელი კიდევ იმითაა გამორჩეული, რომ კლასგარეშე ჭრა-კერვის წრეში მოსწავლეები ეუფლებიან მკერავის სპეციალობას, ხოლო გამოფენა-გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 30-35 პროცენტი მოსწავლეებს ურიგდებათ, რაც მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია.

ჩვენმა მრავალწლიანმა დაკვირვებამ როგორც მოსწავლეებზე, ისე მასწავლებლებზე გვაჩვენა, რომ გუნდური მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ახალგაზრდებს ამზადებს რეალური ანუ პრაქტიკული ცხოვრებისათვის. აქ ჯგუფის თითოეული წევრი მაქსიმალურ, აკადემიურ სარგებელს ხედავს გუნდური მუშაობისაგან. გუნდში მუშაობა საპასუხისმგებლოა. იგი შეიძლება გაკვეთილის მიზანიც გავხადოთ. უფრო შედეგიანია როცა გუნდები ჰეტეროგენულია ანუ აქ გაერთიანებულია სხვადასხვა სქესის, წინარე ცოდნისა და მოსწრების მქონე მოსწავლეები, რომელთა რაოდენობა გუნდში 4-5 მოსწავლეს არ აღემატება. მუშაობამ ნაყოფიერად რომ ჩაიაროს, საჭიროა წევრებმა გაიაზრონ, რომ უნდა გაერთიანდნენ და სამუშაოს ორგანიზება დამოუკიდებლად შეძლონ. აქ გუნდის წევრები ყველა ერთმანეთს ეხმარება და ამხნეებს ანუ საფუძველი ეყრება თანამშრომლობით დამოკიდებულებას. გათვალისწინებულია:

- სხვისი აზრის ტოლერანტობა;
- თავიდან ვიცილებთ პიროვნულ უპატივისმცემლობასა და შეურაცხყოფას;
- ყველა მაქსიმალურად იღებს მონაწილეობას და ცდილობს მის მიერ შესრულებული სამუშაო ყველაზე ხარისხიანად გამოიყურებოდეს;
- არ გავრიყოთ ჯგუფის წევრი;
- ყველამ დავიცვათ უსაფრთხოების და ჰიგიენის წესები.

გუნდური მუშაობის დაწყებამდე თეორიულად უნდა მოვამზადოთ მოსწავლეები.

„ფინეთის განათლების სისტემა ასევე დიდ ყურადღებას აქცევს გუნდურ მუშაობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ მოსწავლეები პროექტებზე ცალკე არ მუშაობენ, ისინი მცირე ჯგუფებში სწავლობენ პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას“ (ამბები.გე, 2019) ტრადიციული პროფესიების ათვისებისათვის მისაღები იქნება ფინური განათლების ახალი სისტემა, რომელიც 2020 წლისათვის ამოქმედდება და 16 წლის მოსწავლეზე იქნება გათვლილი, რის შემდეგაც მოზარდს ექნება ჩამოყალიბებული ინტერესები და ამის მიხედვით აირჩევს პროფესიას. თავისუფალი დროის სანაცვლოდ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გამოიმუშაონ სხვადასხვა უნარი და გამოკვეთონ საკუთარი ინტერესები, რომელსაც სამომავლოდ გამოიყენებენ. ყველა ფინურ სკოლაში არის პედაგოგი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი მომავლის განსაზღვრაში, ის ბავშვის შესაძლებლობებს იკვლევს, მათი გემოვნების შესაბამისად, ხოლო საზაფხულო არდადეგები ფინეთში 10-11 კვირა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში თავისუფლად შეიძლება მარტივი ტრადიციული პროფესიის დაუფლება და გარკვეული პროდუქციის შექმნაც, რომლის რეალიზაციის შედეგად მესამე საფეხურის მოსწავლე ახალი სასწავლო წლისათვის თვითდაფინანსებული იქნება, ეს კი კარიერული წინსვლის საწინდარია, საკუთარი შრომით შეძენილ სასწავლო ნივთებსა და ჩასაცმელს უფრო მეტად გაუფრთხილდება და ეყვარება.

ჩვენი წინაპრები კარგად იყვნენ დაუფლებულები ლანდშაფტურ ხელოვნებას, ველური ყვავილ-მცენარეების მოვლა-მოშინაურების წესებს. ისინი ვაზის ხეივნებით ამკობდნენ საკუთარ კარ-მიდამოს, კაკლის და ცაცხვის ხეების საჩრდილობებში რიყის ქვით ქმნიდნენ სხვადასხვა სახეობის მაგიდებს თუ სავარძლებს, რომელთა გარშემო წალკოტ-სავარდეები იყო გაშენებული. საქართველოში ვარდს რომ უპირატესობას ანიჭებდნენ, ჩვენი სოფლის, საკუთარი სახელებისა და გვარების დასახელებებიდანაც ჩანს: ვარდასანი, ვარდგინეთი, ვარდიგორა, ვარდჟანური, ვარდისუბანი, ვარდციხე. გვარები: ვარდოსანიძე, ვარდიაშვილი. სახელები: ვარდიკო, ვარდო, ვარდოფინე და სხვ. ლანდშაფტური ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ყვავილების მცხეთელ ჯადოქარ მიხეილ

მამულაშვილს, რომელიც დახვეწილი გემოვნებით იყო დაჯილდოებული და მთელი სიცოცხლის დიდი ნაწილი მცხეთაში წალკოტად ქვეულ ბაღის მოვლა-გამწვანება-გამშვენებებში გაატარა. მას მცხეთელ ყვავილების ჯადოქარსაც ეძახოდნენ როგორც თაიგულებისა და კალათების შემქმნელ დიდოსტატს. მ. მამულაშვილს ყვავილების სიყვარულმა მთელი ევროპა, რუსეთი და საქართველოს რეგიონები შემოატარა. 1913 წელს ჰოლანდიაში იყო. თეორიულ ცოდნას პრაქტიკით ანაცვლებდა, ხოლო გამოცდილებას უშურველად უზიარებდა ახალგაზრდებსა და დანტერესებულ პირებს. ლანდშაფტური ხელოვნების ტრადიციებით მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა უცხოეთიდან არ უნდა გვიწევდეს სპეციალისტების ჩამოყვანა. მაგალითისათვის საკმარისია აღნიშნოთ ავლაბრის მეტროს სადგურის ფასადის ცოცხალი ვერტიკალური კედელი, რომელიც წლების წინ მსოფლიოში 14 ულამაზეს ბაღს შორის ჩამონათვალში მოხვდა ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსისა და ლანდშაფტის არქიტექტორის პატრიკ ბლანის პროექტის მემკვიდრეობით. აქ 104 დასახელების 4400 მირი მარადმწვანე და მოყვავილე მცენარეა გაშენებული 107 კვმ. ფართობზე. იგი ვერტიკალურად ამწვანებდა მეტროს ფასადს. დღეს იგი სავალალო მდგომარეობაშია. ყველას ვაღია ამაზე დაფიქრება და აღნიშნული პროფესიების მხარდაჭერა და ხელშეწყობა, ახალგაზრდების მომზადება ამ პროფესიებით, რათა ჩვენივე გაშენებულ ბაღ-პარკებსა თუ დეკორატიულ მცენარეებით გალამაზებულ ლანდშაფტსა და ტოპიარს მოვუაროთ. ტოპიარი, მოგეხსენებათ, საბაღო დეკორატიულ-ორნამენტული ხელოვნებაა, სადაც ხეებსა და ბუჩქებს სხვადასხვა საგნების, ცხოველების, ფრინველების, ადამიანების და მისთანების ფორმა აქვს. თანამედროვე ბაღებისა და პარკებისათვის ტოპიარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და მიმდევრებიც საკმარისად ჰყავს ახალგაზრდებში. იგი ელემენტარული სკოლის ასაკიდან შეიძლება დავიწყოთ ფანჯრის რაფაზე მოსწავლეების მიერ გახარებული ნაძვის ან ბზის და სხვ. მცენარეების გაკრეჭვით და მისცენ ამ მცენარეებს კუბის, კონუსის, ნახევარსფეროს და სხვა მარტივი სახეები. ამ პროფესიის მიმდევართ უნდა ჰქონდეთ მოთმინების, აკურატულობის, დროის რაციონალურად გამოყენების უნარი. საქართველოში არსებული ისტორიული ბაღ-პარკების მშვენიერი ლანდშაფტები ხანგრძლივი, დაუცხრომელი შემოქმედების მშენებელთა რამდენიმე თაობის შრომის შედეგია. ეს შრომითი ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში მზარდია ფარმაცევტული კომპანიები, მაინც მიგვაჩნია, რომ ხალხური მედიცინა დიდი ფარმაცევტული საგანძურია, რომელსაც ფართოდ იყენებს ყველა ფენის საზოგადოება. საუკუნეების წინ ამა თუ იმ დაავადებების სამკურნალოდ გამოსაყენებელი მცენარეები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და სხვადასხვა სენით დაავადებულ ავადმყოფებს დიდ შვებას გვრიან. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები ოდიტგანვე იყენებდნენ მცენარეებს არა მარტო საკვებად, არამედ სამკურნალოდაც. კოლხეთის მეფის აიეტის ასულ მედეას სამკურნალო მცენარეების ბაღიც კი ჰქონია გაშენებული. მცენარეული სამკურნალო საშუალებები ადვილად შესათვისებელია და ნაკლებად მავნებელი. მწვანე აფთიაქის გაცნობამ მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია 8-9 კლასებში. ამიტომ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში შევიტანეთ მათი სწავლება უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით. ნედლეულის არასწორი გზით შეგროვება და შრომის ტექნოლოგიური მომენტების უზუსტობა აუცილებლად უკუჩვენებს მოგვცემს. ფოთლებს, ბალახებს და ყვავილებს აგროვებენ მშრალ ამინდში დილით, ცვრის შემრობის შემდეგ, ფოთლებს კრეფენ მცენარის ყვავილობისას. ყვავილებს ხელით კრეფენ ყვავილობის დასაწყისში, მცენარეთა ნაყოფის შეგროვება მშრალ ამინდში ხდება - მისი სრული მწიფობისას. გვიან შემოდგომაზე აგროვებენ ფესვებსა და ფესვურებს, რომლებსაც რეცხავენ ცივ წყალში და ამრობენ. შრობის პროცესში რამდენიმეჯერ გადააბრუნებენ. მათი გადაღუნვისას თუ ხმაურით გადატყდებიან, ე.ი. შრომაც დამთავრებულია. აქვე შეიძლება რამდენიმე სახის სამკურნალო ბალახი გააცნოს პედაგოგმა. დავალებად კი ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო მცენარეების შეგროვება და მათი შრომა შეიძლება იყოს ტექნოლოგიის სრული დაცვით. (გოგოლაშვილი, 1999, გვ. 46-49) მიგვაჩნია, რომ მეტად ღირებული მოსაზრება აქვს გამოთქმული არქიტექტურის დოქტორ, პროფესორ ჯუმბერ მალაღურაძეს მთიანი ქვეყნის მიწათსარგებლობის სტრატეგიისათვის: „მიწის მთავარი მოსარგებლებიდან - სოფლის მეურნეობასა და ქალაქთმშენებლობაში, პრიორიტეტით ისარგებლებს სოფლის მეურნეობა; ვაკეები და მეტად გამზიანებული ფერდობები დაეთმობა სოფლის მეურნეობას; ფერდობების დატერასება მოხდება მასზე მიწოლილი, ერთმანეთზე დაშენებული, მეწყერადმკვეთი კონსტრუქციებით; სახლთმშენებლობაც წარიმართება ფერდობზე მიწოლილ დაყრდნობილი, ან მიწოლილ-შეკიდული, მრავალსართულიან-საფეხურებიანი და ბინებთან საბაღე ნაკვეთებიანი სახლებით“. (მალაღურაძე, 2019, გვ. 46) ტერასებიან ნაკვეთებზე გნებავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები მოიყვანეთ, გააშენეთ დეკორაციული ბაღები ან ტოპიარულ-დეკორაციული ხელოვნებით დაკავდით, რაც სილამაზესთან ერთად სარგებელსაც აუცილებლად მოგიტანთ ტოპიარული ხელოვნებით დამშვენებული აქ გამოზრდილი ნერგები.

დმანისის რაიონის სოფელ სარკინეთში შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“ გაიხსნა, რომელიც საქართველოს განათლების სფეროში უპრეცედენტო არაკომერციული კერძო ინიციატივაა. შვეიცარიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი კოლეჯი სპეციალიზირებული იქნება მეცხოველეობაში, რძისა და ყველის გადამამუშავებაში. აღსანიშნავია, რომ ამ დარგში შვეიცარიელების შრომითი ტრადიცია გრძელდება. მათ მეცხრამეტე საუკუნეში სკოლა და 33 ყველის საწარმო ჰქონდათ გახსნილი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. ისტორიის გაცოცხლებისა და პროფესიული განათლების სფეროში უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, პროექტის მთავარ პარტნიორად შეირჩა შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა-პლანტაჰოფი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების შედგენას, მასალების შერჩევას, სასწავლო საწარმოების დაგეგმვასა და მასწავლებლების გადამზადებას. კოლეჯის ძირითადი საქმიანობა სამწლიანია; პროფესიული პროგრამა - მეცხოველეობაში, რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებაში. მოკლევადიანი პროფესიული კურსების გავლის საშუალება ექნებათ ფერმერებსა და მოყვარულებს. თეორიულ-პრაქტიკული სწავლება ამავე ტერიტორიაზე იქნება, აქვე მოეწყობა მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ყველის ქარხანა. სტუდენტები თვითონ გაუძღვებიან ყოველგვარ სამუშაოს პროფესიონალი პედაგოგების მეთვალყურეობის ქვეშ. მათ მიერ დამუშავებული რძე და რძის პროდუქტები სკოლისავე კუთვნილ მაღაზიაში გაიყიდება. სკოლის ინფრასტრუქტურა 30 სტუდენტსა და მცირე ზომის სასტუმროზეა გათვლილი მოწვეული უცხოელი მასწავლებლებისათვის. აქ სასწავლო პროცესი 2020 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაიწყება. კოლეჯის გრძელვადიანი მიზანია 10 წლის შემდეგ 100 ძლიერი პროფესიონალი ფერმერი გაუზარდოს საქართველოს. ზუსტად ასეთი კადრების მომზადება ესაჭიროება დღეს თანამედროვე სოფლის მეურნეობას. სასწავლებლის კურსდამთავრებული მზად იქნება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, რაც ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოთხოვნაა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემისათვის. კარგი იქნება ანალოგიური სკოლები გაიხსნას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ტრადიციული პროფესიების დაუფლება აუცილებლობას წარმოადგენს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. მათზე ზრუნვა თითოეული ჩვენთაგანის ვალია, რადგანაც მათ სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათი ინტერესი ამ ხელობებისადმი პოზიტიურია. ასეთი სახის ახალგაზრდების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩავრთავთ მათ მშობლებსაც, რომლებიც დაგვხმარებიან შვილებთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაში. პედაგოგებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე ახლოს გაეცნობიან მოცემულ ტრადიციულ-შრომითი პროფესიების აკვარგაიანობას, სასწავლო პროგრამას, მისი შესრულების გზებს, დაუფლებიან ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭირო იქნება კონკრეტული პროფესიის ასათვისებლად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებს მშობლები თეორიულ-პრაქტიკულად მიეხმარებიან ცოდნის განმტკიცებაში, დავალებების შესრულებაში, რაც პედაგოგებს ხშირ შემთხვევაში შვებას აძლევს. მშობლებს აუცილებლად უნდა მიეთითოთ თუ როგორ იმუშაონ შვილებთან პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით. სასურველია აქ ჩავრთოთ უწყვეტი განათლების მსურველებიც, რომლებიც მოზარდებთან მუშაობით უფრო დიდ გამოცდილებასაც იღებენ და თავს გრძნობენ უფრო საჭირო, ღირებულ და სასარგებლო ადამიანებად.

ამრიგად: - ტრადიციული პროფესიების მოძიება-დაუფლების პროცესში ვითარდება ის უამრავი უნარი, რაც თითოეულ ახალგაზრდას პრაქტიკულ ცხოვრებაში ანუ ცხოვრების ყველა სფეროში გამოადგება. პროფესიის სწორად არჩევისას წარმატებები მიიღწევა კარიერაში, რაც საკუთარი შესაძლებლობების მარტივად გამოვლინებაში ხდება, შრომა სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს და სიხარულით მიდიოდეს სამსახურში. ამისათვის ის პროფესია უნდა აირჩიონ, რომელიც წარმატების მიღწევის ყველაზე მეტ შანსს მისცემთ, გამოადგებიან ქვეყანას, ოჯახს და საკუთარ თავს. ცხოვრება უფრო ხალისიანი იქნება. ტრადიციული პროფესიების დაუფლება დაეხმარება საკუთარი თავის შეცნობაში. ღირებულებების, ინტერესების, უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების გააზრებაში, რაც შესაძლოა ახალგაზრდებისათვის იდეალური სამუშაოსა და შემდეგ ძირითადი პროფესიის არჩევის საფუძველიც კი გახდეს;

- ფინური განათლების სისტემა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული და მისაბამია - აქ პროფესიულ ცოდნას საფუძველი თავიდანვე ეყრება. „წარმატების მთავარი გასაღები თითოეულ სტუდენტზე მორგებული განათლებაა, რომელიც ყველა სტუდენტის ჩართულობასა და თანასწორობას უზრუნველყოფს... მასწავლებლებთან ერთად, თითოეულ მოსწავლესთან ურთიერთობაში ჩართული არიან ფსიქოლოგები, სპეციალური განათლების პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. ეს ყველაფერი კი მშობლების მონაწილეობითა და თანხმობით ხდება“. (ამბები.ge, 2019) 2020 წლისათვის ახალი სისტემა

ამოქმედდება 16 წლის მოსწავლეზე იქნება გათვლილი, რადგანაც ამ ასაკში მოზარდებს ჩამოყალიბებული ინტერესები აქვთ და ამის მიხედვით ირჩევენ პროფესიას. სასურველია მსგავსი მოდელი დაინერგოს საქართველოს განათლების სისტემაშიც;

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გაგრძელდეს და გამოვლინდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი არა მარტო ხელსაქმისა და ხელოსნობის დღემდე შემონახული კონკრეტული ტრადიციული პროფესიები, არამედ სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ელემენტებიც კი მთლიანად კულინარიიდან დაწყებული თუ რაიმეს მოვიძიებთ ყველაფერი დავაფიქსიროთ კუთხეების მიხედვით. მიგვაჩნია, რომ თითოეული საგნის პედაგოგმა, დაწყებითი კლასებიდანვე, პროფორიენტაციული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე უნდა იმუშაოს, განსაკუთრებით მომავალ თაობებში გავზარდოთ ინტერესი მივიწყებული შრომითი ტრადიციული პროფესიების მიმართ.

ბიბლიოგრაფია:

- აირჩიე პროფესია. (2013). (თ. ბენიძე, ქ. კანდელაკი, გ. ლომიაშვილი, ლ. სუხიტაშვილი, & ნ. ჯორჯაძე, მთარგმნ.) თბილისი.
- ამბები.ge. (2019 წლის 23 სექტემბერი). *ფინეთის „საგანმათლებლო სასწავლო“ და მოსწავლეები უმაღლესი შედეგებით - რა უნდა გადმოვიღოთ ფინური სკოლებიდან?* მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.ambebi.ge/article/237773-pineti-saganmatleblo-sascauli-da-moscavleebi-umaglesi-shedegebit-ra-unda-gadmovigot-pinuri-skolebidan/>
- ბლიაძე, მ. (2018 წლის 17 თებერვალი). *15 წლის ბიჭი, რომელმაც მეთუნეობა ისწავლა და წინაპართა ტრადიციებს აგრძელებს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.shin.ge/index.php/2015-08-11-07-18-26/traditsiebi/1756-15-tslis-bichi-romelmats-metuneoba-istsavla-da-tsinaparta-traditsiebs-agrdzelebs>
- გოგოლაშვილი, თ. (1999). *ტექნოლოგია: მე-8-9 კლ.* თბილისი.
- მალალურაძე, ჯ. (2019). *სიზმარში დამოუკიდებლობა და საქართველოს სტრატეგია.* თბილისი: უნივერსალი.
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. (2007). *პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები.* თბილისი.
- სიბაშვილი, ნ. (2019 წლის 02 სექტემბერი). *საპნის დამზადების უძველესი რეცეპტი, შესაძლოა, სვანურის იდენტური იყოს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/56723-qsapnis-damzadebis-udzvelesi-recepti-shesadzloa-svanuris-identuri-iyosq.html?lang=ka-GE>
- Georgian Dairy. (2019 წლის 25 სექტემბერი). *დმანისში შვეიცარიული აგრარული კოლეჯი აშენდება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://georgiandairy.org/ka/post/dmanisshi-shveitsariuli-agraruli-koleji-ashendeba>

Tamari Gogolashvili

Ilia State University I. Gogebashvili Pedagogical Scientific and Research Institute

MASTERING TRADITIONAL PROFESSIONS IS THE BEGINNING OF THE GUARANTEED CAREER RESUME

The paper considers learning of traditional national professions for the purpose of transfer of professions, created by our ancestors, from generation to generation, which may turn into not main, but additional source of income for many families.

Out of many ancient professions, mentioned in the paper, special focus is made on pottery, in particular, production of qvevri and roof tiles; besides, the most advance education system of the world – that of Finland is taken into account and the school (Caucasian), Established by the Swiss in Dmanisi, where the students will master in diary production, is specially mentioned.

In addition to the above-mentioned, out of landscaping art, the paper focuses on topiary and gardening, in order to reduce the need of inviting experts from abroad.

Team work is the most appropriate form for working with traditional professions.

The work contains some pedagogical helpful advice and recommendations.

Keywords: Traditional professions, Teamwork, Landscape art, Inclusive, Terasse.

პიკარესკა, როგორც დამხმარე რესურსი ქართულის გაკვეთილზე

XX საუკუნის პროზაში პიკარესკული ჟანრის ფორმა მთლიანად დამოკიდებულია შემოქმედებით ინდივიდუალობასა და მწერლის ნებაზე; თუმცა, ჟანრის შინაარსი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ცენტრალური პერსონაჟის კონცეფციას, დღემდე ტრადიციული რჩება. პიკარესკული გმირი თითქოს „შლის“ ყველა იმ ვერსიას, რომელიც ჩამოყალიბდა წინა საუკუნეების მსოფლიო რომანისტიკაში. XX საუკუნის პროზაში, ერთსა და იმავე დროს, იგი წარმოგვიდგება ასოციალურ მაწანწალად და მაღალი საზოგადოების წევრად, ღარიბად და ფულის მფლანგველად, მახვილგონიერ ცინიკოსად და სულგრძელ ხუმარად.

მკვლევრები იმაზეც თანხმდებიან, რომ თანამედროვე ეტაპზე პიკარესკული რომანის სახით მხატვრული ლიტერატურა პირველად შემოდის ცხოვრებაში როგორც მასობრივი ლიტერატურა, მასკულტურა.

XX საუკუნის ქართული პიკარესკას გმირები - კვაჭი კვაჭანტირაძე და ყვარყვარე თუთაბერი მსოფლიო პიკარესკული ჟანრის საინტერესო პერსონაჟებია. ორივე ლიტერატურული გმირის „დაბადება“ თითქმის ერთსა და იმავე პერიოდს მიემართება (მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ - 1924, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ - 1928). მართალია, ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობს მოსაზრება, რომ პიკარესკული რომანის ელემენტები შეინიშნება ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქაში; კერძოდ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ (ამირხანაშვილი, 2006) და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სივრუსაში“ (გაჩეჩილაძე, 2009). ასევე, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად პირველ ქართულ პიკარესკულ ნაწარმოებს ბარბარე ჯორჯაძის ნოველა „ტიტია და ივანე“ წარმოადგენს (მონიავა, 1988); თუმცა ჩვენი აზრით, პიკარესკა, მისთვის დამახასიათებელი ჟანრული მარკერებითა და ნარატიული მახასიათებლებით, პირველად სრულყოფილად იჩენს თავს მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“; ამდენად, საქართველოში პიკარესკული ჟანრის დაბადების თარიღად სწორედ აღნიშნული ნაწარმოების გამოცემის წელი უნდა განვსაზღვროთ.

შევნიშნავთ, რომ XX საუკუნის დასასრულს, 1990-იან წლებში კვლავ ჩამოყალიბდა ხელსაყრელი ფაქტორების (როგორც გარეგანი, ასევე შიდა- ლიტერატურული) კომპლექსი პიკარესკული პროზის რეაქტუალიზაციისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა თანამედროვე პროცესები: სოციალური კატაკლიზმები, მასობრივი გადატაკება, გადარჩენის პრობლემის აქტუალიზაცია; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია კომერციული ავანტიურის აქტივიზაციის პროვოცირება. კულტურის საერთო დემოკრატიზაციასა და ვესტერნიზაციას მოჰყვა პარა-ლიტერატურის გაჩენა, რომლის ერთ-ერთ წამყვან ჟანრად კვლავ ავანტიურულ-სათავგადასავლო ლიტერატურა მოგვევლინა. ამ ჟანრის სკოლაში სწავლებამ შეიძლება ბევრი დადებითი შედეგი მოიტანოს. პიკარესკული ჟანრის ნაწარმოებებში ამოკითხული ერთი-ორი გაბედული ფრაზა, მწარე სიმართლე ან კარგი ხუმრობა ეფექტური საშუალება იქნება მოსწავლეებისთვის დისკუსიის, ანალიტიკური უნარების ჩამოსაყალიბებელი აქტივობების მიწოდებისა.

გარდა ამისა, მსგავს ჟანრის ლიტერატურას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა შეუძლია: პირველ რიგში, ის მოსწავლეს ისტორიულ განზომილებაში ჩააყენებს და მისცემს საშუალებას, გაითავისოს ისეთი დეტალები, რომლებსაც დღეს ვეღარ ნახავს; ბავშვი იმ ტრადიციებს ეზიარება, რომლებიც ქრება ან უკიდურესად დამახინჯდა. ძველი ლიტერატურა საოცარ სიღრმეს და სიბრძნეს ინახავს. ამ ტექსტებს ენის წარსულში გადაყავხარ, ისინი გასწავლიან, თუ როგორ უნდა გაერკვე სემანტიკურ ქაოსში და აღმოაჩინო ის ერთადერთი სწორი მნიშვნელობა, რომელიც ამა თუ იმ სიტყვის მიღმა დგას – მნიშვნელობა, რომელიც კონკრეტულ ეპოქას გვიხასიათებს, ან კონკრეტულ ავტორს გვაცნობს. მოზარდებს, როგორც წესი, ზოგადი განცდები აქვთ და დაკონკრეტება უჭირთ ხოლმე, ხოლო ლიტერატურა იმას ახერხებს, რომ წვრილმანებისკენ მიაპყრობს მათ ყურადღებას, ზუსტია და, შესაბამისად, ნამდვილ პოეტურ განცდებს აღძრავს და არა ყალბს, რისი მაგალითებიც საკმარისად გვაქვს საქართველოში. ცნობილია, რომ საზოგადოებას პერიოდულად ქვეყნის ხელისუფლებად ერის მხსნელისა და ხალხის გადამრჩენის მანტიამორგებელი ანტიგმირები ევლინებიან, რომლებიც საუცხოოდ გრძნობენ დროის მაჯისციმას, სარგებლობენ პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე შექმნილი მასობრივი ისტერიითა და ქაოსით, ზნეობრივი კრიტერიუმების ჩამოშლით და ამ სიტუაციაში დაბნეულ, უმწეო, დამფრთხალ ადამიანებს საკუთარ „კანონებსა“ და „ახალ წესრიგს“ ახვევენ თავს. ასეთ დროს ერთეულები

უმღებენ ცდუნებას, რომ საზოგადო ინტერესები - პირადულით არ ჩაანაცვლონ, ქვეყნის სამსახურზე მაღლა - პირადი კეთილდღეობა არ დააყენონ. პოლიკარპე კაკაბაძის პიესის აქტუალობას სწორედ ის განაპირობებს, რომ ავტორმა ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენა ერთი რიგითი ავანტიურისტის აღზევების ისტორია, რომელიც კაცობრიობის მაღალ იდეალებს მორგებული ნიღბით ქადაგებს უზნეობასა და ფარისევლობას.

პ. კაკაბაძემ ეპოქის თანადროული პრობლემის წარმოსაჩენად განსხვავებულ გზას მიმართა. პიესის პუბლიკაციის შემდეგ არავის დაუწყია ყვარყვარეს ავთენტიკური პროტოტიპების მოძიება, არც რეალური ისტორიები გახსენებია ვინმეს, რადგან ავტორმა პიესის პირველსავე წინადადებაში მიუთითა თავისი გმირის წარმომავლობაზე, მის ფოლკლორულ ძირებზე: „რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია და ქექავს ნაცარს“.

საგულისხმოა, რომ ცნობილმა მკვლევარმა, ელენაზარ მელეტინსკიმ ავანტიურული რომანის გმირის ტიპაჟის ანალიზისას ცალკე ჯგუფად გამოყო ე.წ. „ფოლკლორული თაღლითი“; ანუ მატყუარას/თაღლითის ტიპაჟი, რომელიც ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობს. მელეტინსკის შენიშვნით, ხშირად ეს არის კომიკური პერსონაჟი, რომელსაც ახასიათებს დაბალი სოციალური სტატუსი, მარგინალური გარეგნობა და ფენომენალური ბედის წყალობა. იგი ენათესავება ფოლკლორულ „...გმირს, რომელიც იმედებს არ იძლევა... ცუდად არის ჩაცმული, გარშემო მყოფნი მას ვერ იტანენ, ზარმაცი და უემპატიო ჩანს, თუმცა მოულოდნელად გმირობას სჩადის ან ჯადოსნური ძალების მხარდაჭერით და მიაღწევს თავის მიზანს“. ნიშნდობლივია, რომ ფოლკლორული თაღლითი ინარჩუნებს მითოლოგიური ტრიქსტერის თვისებებს: ზნეობრივ დუალიზმს, სათამაშო იმპულსებს (გადაცმა, ტყუილი, „სხვად წარმოჩენა“), ჰედონიზმს (ღორმუცელობა, ავხორცობა) და სხვა.

სწორედ ფოლკლორული თაღლითის ტიპაჟს განასახიერებს პოლიკარპე კაკაბაძის გახმაურებული პიესის მთავარი გმირი. ყვარყვარე თუთაბერი - ნაცარქექია, გაუნათლებელი, უტიფარი, ტლუ მედროვეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა; რომელსაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებათა ჟამს ყველგან, ყველა ეპოქაში შეუძლია აღზევება და მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება. პ. კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერი“ 1928 წელს შექმნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 30 იანვარს, პიესის დადგა კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა. აღსანიშნავია, რომ რეჟისორმა იმთავითვე გაითვალისწინა, რომ პიესის მამხილებლური პათოსი თანამედროვეთა გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა; ამიტომ წინასწარ იზრუნა და სპექტაკლის დადგმაზე ცეკადან აიღო ნებართვა. „...ამით ყველაფერი დადგინდა. ჩეკას თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი სახეები იყო აღწერილი პიესაში, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ“.

საგულისხმოა, რომ მწერლური ოსტატობის წყალობით პ. კაკაბაძემ ქართული ფოლკლორის წიაღში შობილი ნაცარქექიას, ქოსატყუილას ნიღაბი ავანტიურისტის ზოგადსაკაცობრიო ნიღაბად, თაღლითის არქეტიპად აქცია. ყვარყვარეს ფოლკლორულ საწყისებთან დაკავშირებით ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. 1980 წელს გურამ ასათიანმა წიგნში „სათავეებთან“ აღნიშნა, რომ პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და დემნა შენგელაიას ბათა ქექიას, იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთის ანტიპოდები არიან, „...ერთი ღერძი აქვთ. ქართულ ფოლკლორში მათი პაპისპაპა ნაცარქექიაა...“

აღნიშნულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა. იგი შენიშნავს, რომ „...სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის მიექცა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ყვარყვარე თუთაბერის მხატვრული სახე გენეტიკურად ხალხურ ნაცარქექიას ემსგავსება. ამდაგვარი პარალელისთვის საფუძველს თავად პ. კაკაბაძე ქმნის, როცა ნაწარმოებში ხაზგასმული სიზუსტითა და პირდაპირი მინიშნებებით შემოაქვს ნაცარქექიასთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები“. (ნიკოლეიშვილი, 1997, გვ. 105) თუმცა, ა. ნიკოლეიშვილის აზრით, ამ ორი ლიტერატურული გმირის მსგავსება მხოლოდ გარეგნული ნიშნებით არის განპირობებული; რაც შეეხება შინაგან ბუნებას, იგი რადიკალურად განსხვავებულია: „სახელდობრ, ნაცარქექიასთვის დამახასიათებელი გონება-გამჭირახობა, სიბრძნე და წინდახედულება სრულიად უცხოა ყვარყვარესათვის. ეს ბრიყვი ავანტიურისტი მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ შემთხვევათა და მოულოდნელობათა წყალობით წამოტივტივდება ცხოვრების ასპარეზზე, მაშინ, როდესაც დევბთან შეჭიდებული ნაცარქექია, ჩვეულებრივ, თავისი სიბრძნით, გონებამახვილობითა და მოხერხებულობით აღწევს წარმატებებს. თანაც, დევბთან შერკინებული ნაცარქექიას მოქმედების მთავარ მიზანსწრაფვად, უმთავრესად, ადამიანური ბოროტების დასათრგუნად მიზანმიმართული ბრძოლაა ქცეული. ამდენად, იგი, ტრადიციული გაგებით, სამართლიანობისთვის მეტროპოლი პიროვნებაა. ცხოვრების ასპარეზზე წამოტივტივებული ყვარყვარეს ყოველი მოქმედება კი ბოროტებისა და უსამართლობის დამკვიდრებას ემსახურება“. (ნიკოლეიშვილი, 1997, გვ. 105) ა. ნიკოლეიშვილის აზრით, ტიპოლოგიური თვალსაზრისით ყვარყვარეს უფრო მეტი ნიშან-თვისება აახლოვებს მ. ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძესთან, რადგან ორივე ლიტერატურული გმირი, საბოლოო ჯამში, განასახიერებს მედროვე-ავანტიურისტს, რომელიც თანდაყოლილი მოხერხებულობის

წყალობით იოლად უღებს ალღოს პოლიტიკური კატაკლიზმების ვითარებაში შექმნილ სიტუაციას და სათავისოდ იყენებს მას.

XX საუკუნის 20-იან წლებში ოქტომბრის რევოლუციით გამოწვეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა და „ნეკ“-ის ეპოქამ განაპირობა სატირულ პროზაში თაღლითური/ავანტიურული რომანის რეაქტულიზაცია. რუსეთის პოსტიმპერიულ სივრცეში (მათ შორის, საქართველოში) ჩამოყალიბებული გარდამავალი ეპოქისთვის დამახასიათებელი რიგი წინაპირობების გათვალისწინებით, სწორედ პიკარესკა მიიჩნის მწერლებმა ახალი პოსტრევოლუციური რეალობის წარმოჩენისა და გააზრების ადეკვატურ ჟანრად.

აღნიშნულ პერიოდში პიკარესკას ჟანრული მოდელი, კონკრეტული ავტორის შემოქმედებითი ძიებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, გარკვეულ ტრასფორმირებას განიცდის, თუმცა მაინც ინარჩუნებს შესაბამისობას წინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ჟანრის ტრადიციულ კანონებთან. ცენტრალური პერსონაჟი - პიკარო კვლავაც წარმოადგენს ანტიგმირს, ანტიიდეალს, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება არსებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ „მაღალ“ იდეალებს; ამდენად, იგი სატირული განქიქებისა და დაცინვის სამიზნეს წარმოადგენს; ამ პასაჟის გაკვეთილზე შემოტანით შეიძლება მოსწავლეების დაინტერესება, მათთვის ცნობისმოყვარეობის გაღვიძება და მსგავს პერსონაჟებთან პარალელების გავლება.

პიკარესკული ჟანრი ორგანულად ჩაეწერა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში, რასაც ადასტურებს ორი შესანიშნავი ნაწარმოები: მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“. თემატიკის, პრობლემატიკისა და ქრონოსის ერთიანობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებში პიკაროების ტიპოლოგია რამდენადმე განსხვავებულია; კერძოდ, გასული საუკუნის 20-30-იანი წლების „პოლიტკარნავალების“ წარმოსაჩენად მ. ჯავახიშვილმა მიმართა ტიპურ ისტორიებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ავთენტიკური ფიგურანტები ჰყავდათ; რაც შეეხება პ. კაკაბაძეს, მან „ფოლკლორული თაღლითი“ - ნაცარქექია - გამოიყვანა თავისი პიესის გმირად.

თითოეული პიკარო თავისი ეპოქის შვილია, იგი წარმოადგენს იმ ისტორიული რეალობის სიმბოლოს, სადაც უწევთ ცხოვრება მის თანამედროვეებს. პ. კაკაბაძის პიესაში არ არის საგანგებოდ წარმოჩენილი ყვარყვარეს ბავშვობის წლები; ამდენად, ვერ ვიმსჯელებთ, როდის და ვისი შეგონებებით ჩამოყალიბდა ყვარყვარე თუთაბერის „ცხოვრებისეული ფილოსოფია“, თუმცა მისი შეხედულება საზოგადოებაზე/ხალხზე და მასთან დამოკიდებულებაზე დიდად არ განსხვავდება კვაჭის ხედვისგან; ყვარყვარეს თანახმად, „...ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყემსე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა. როგორც პერსონაჟების (და თავად ყვარყვარეს) საუბრიდან ირკვევა, ბავშვობიდანვე მატყუარასა და უქნარას, ხალხმა ნაცარქექია შეარქვა; მოგვიანებით კი მუქთახორა შვილის რჩენა მამამისს - წყვიწყვისაც - მობეზრდა და სახლიდან გააგდო. მას შემდეგ ყვარყვარე უსაქმოდ დაწანწალდება სოფელ-სოფელ, სანამ ერთმა მეწისქვილემ არ შეიფარა. ყვარყვარეს გამორჩეული თვისებები - ცრუპენტელობა და სიზარმაცე - პიესის პირველსავე სცენაში იკვეთება, როდესაც ეს უკანასკნელი ბუხრის პირას ნაცარში იქექება და კლდეში გვირაბის გაყვანაზე ოცნებობს. ყვარყვარე უკადრისობს მისი ტყუილებითა და ბაქიობით თავმოზებებული მეწისქვილის შენიშვნას - „...პატარა ხიდის გაკეთება აიღე იჯარით და ისეთი ბუქი დააყენე, თითქოს მთა და ბარი გქონდა გასასწორებელი და ის ხიდი მაინც ვერ გააკეთე“ - იხტიბარს არ იტებს და თავმოწონედ პასუხობს: „მთავრობას ამ მთის გარშემო გაჰყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს (ამაყად). აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარვუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში ამოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო“ .

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარემაც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს: სუსტთან - დიდგულობს, ძლიერთან - უკანდახევის ტაქტიკას ამჯობინებს; მისი სამოქმედო პრინციპია: „კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა, მოთხარე; თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქელოს“. მაგ., პირველსავე სცენაში, როდესაც მინავლებულ ცეცხლში გარედან ჯირკის შემოტანა დაეზარება, მეწისქვილეს დაემუქრება კარში გაგდებით, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან ადეკვატური აღშფოთება მოჰყვება: „ეს რა გადავიკიდე. მე ისე ვატყობ, აქედან გადენასაც მიპირებ... როგორ, ვინ უნდა გავიდეს აქედან, მე თუ შენ?! ვისია ეს წისქვილი?!“. მსგავს სიტუაციაში ყვარყვარე კონფლიქტის მოგვარების ორ ხერხს მიმართავს: შეუძლია უკან დაიხიოს და თავი მოისაწყლოს („ახლა ეს ზამთარიც ილევა და რომ გამოზაფხულდება, მერე მე ვიცი შენი სამაგიერო პატივისცემა“) ან თავხედურად გადავიდეს შეტევაზე („ჭკუაზე მოდი, ეს კერა არ გამიცივო, თორემ... (მუშტს მოუღერებს) სულს ამოგაცლი, თუთაბერი ვარ, სულმაღლო! ... ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია. ისე გავადენ ბღღვირს აქაურობას!“). ორივე შემთხვევაში ყვარყვარეს მთავარი დასაყრდენი - საკუთარი ენაა, რადგან მტკიცედ სწამს, რომ ლაპარაკსა და ენის

ტრიალში მას ბადალი არა ჰყავს; ამდენად, რიტორიკულად ჟღერს მისი კითხვა: „მე ყვარყვარე თუთაბერს ენით შენ შემომიარ?“

1990-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოყალიბდა რიგი ფაქტორების კომპლექსი, რომელმაც ხელი შეუწყო პიკარესკული პროზის რეაქტუალიზაციას. სსრკ-ს დაშლას მოჰყვა სოციალური კატაკლიზმები, უმუშევრობა; კვლავ გააქტიურდა საკუთარი თავის გადარჩენისათვის ბრძოლის პრობლემა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მოჰყვა კომერციული ავანტიურის აქტივიზირების პროვოცირება და სხვა თანამდევ პროცესები. აღნიშნულ პერიოდში ქართულ მწერლობაში შექმნილ ავანტიურულ გმირებს ზოგჯერ ავთენტური ფიგურანტები ჰყავთ პროტოტიპებად (მაგ., ელგუჯა თავბერიძის რომანი „აირევი ივერია“), ზოგჯერ კი - ლიტერატურული არქეტიპები (მაგ., მიხეილ ანთაძის რომანი „ლაზარეს თავგადასავალი“).

რატომ უნდა ვასწავლოთ მხატვრული და მათ შორის პიკარესკული ლიტერატურა? ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ალბათ ის არის, რომ მხატვრული ლიტერატურა ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას და ფანტაზიის უნარს, ამავე დროს, ლიტერატურა ხვეწს მოზარდის ენას და მეტყველებას, ანუ აყალიბებს აზრებს და მათი გამოხატვის ხერხებს, ავითარებს ანალიტიკურ უნარებს, საშუალებას აძლევს, გასცდეს საკუთარ ვიწრო საზღვრებს და წარმოდგინოს სხვა კონტექსტი, განიხილოს იგი ან საკუთარი თავი ჩააყენოს ამ კონტექსტში. შესაბამისად, ლიტერატურა სოციალურ თანაგრძობას იწვევს და მოზარდებს მხატვრული ლიტერატურის კითხვისას უჩნდებათ შესაძლებლობა, დაინახონ ერთი რეალობის სხვადასხვა მხარე, გააკეთონ არჩევანი (თუნდაც მორალური). კარგი ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას ყოველთვის ჩნდება ლოგიკური განცდები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პროტესტისა და რეალური სამყაროთი უკმაყოფილების გრძობა. ასეთი ლიტერატურა ყოველთვის რაღაცის შეცვლისა და არსებულის კრიტიკული შეფასებისაკენ უბიძგებს ადამიანს. პიკარესკას გმირები, რომლებიც მწერლის მიერ აღწერილ სიტუაციაში ადვილად პოულობენ გასაქანს, ადგილს, წარმოაჩენენ საკუთარ თავს აღნიშნული მოვლენის მთავარ გმირებად. მიუხედავად იმისა, რომ პიკარესკებს სხვა გმირები გულში დასცილიან, ისინი მაინც ხდებიან მოვლენის გმირები. საკლასო სივრცეში პიკარესკას შემოტანა მოსწავლეებში კრიტიკული ანალიზის, ასევე დისკუსიისა და დებატების უნარის განვითარებაში დაგვეხმარება.

ბიბლიოგრაფია:

ამირხანაშვილი, ი. (2006). იოანე ბატონიშვილი. *ქართული მწერლობა*. „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია (ტ. X). თბილისი.

ბენაშვილი, დ. (1952). *ლიტერატურული ძიებანი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გაჩეჩილაძე, გ. (2009). რენესანსი და ბაროკო (წანამძღვრები „ვეფხისტყაოსნისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ შედარებითი ანალიზისათვის). *სულხან-საბა ორბელიანი 350. საიუბილეო კრებული*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

თავბერიძე, ე. (2006). *აირევი ივერია*. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.

თავბერიძე, ი. (2005). *ჯუმათის მონასტრის სიძველეები*. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

კაკაბაძე, გ. (2012). „სიცრუე და ორპირობა...“. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/18858>

კაკაბაძე, მ. *როგორ გადაურჩა დახვრეტას პოლიკარპე კაკაბაძე - გვესაუბრება პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი მანანა კაკაბაძე*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.sana.ge/.../%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83...>

კვანჭილაშვილი, ტ. (1966). *მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მეტრეველი, ს. (2014 წლის 17 ივლისი - 23 ივლისი). ათეისტური ქართული მწერლობა. წერილი მეორე. *პრემიერი* (45). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://premieri.ghn.ge/com/news/view/889>

მონიავა, მ. (1988). ბარბარე ჯორჯაძე (წინასიტყვაობა). წიგნში: ბ. ჯორჯაძე, *რჩული თხზულებანი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ნიკოლეიშვილი, ა. (1997). *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები* (ტ. II). ქუთაისი: გ. ტაბიძის სახ. სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომც. ცენტრი.

ჯავახიშვილი, მ. (1964). *თხზულებანი* (ტ. VI). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Maia Melanashvili
Gori State Teaching University
PICARESQUE AS AN AUXILIARY RESOURCE AT THE GEORGIAN LESSON
RESUME

The modern education system is in the reform stage. The educational sphere is full of rough, unprocessed, raw material, which can be used during a lesson by the teacher. One of the resources that can be provided to students are the picaresque novels, which have a special meaning to characterize either a society or an individual. Georgian literature offers the masterpieces, where the picaresque genre is fully expressed and can be used as a resource in the educational program.

The picaresque genre continues to function up to the present day and maintains the tendencies of expansion and content enrichment of genre frames. Many scientists express the idea that the transformation of the picaresque antihero had an impact on the transformation of the picaresque genre, in general. The closeness of the borders of picaresque genre to the 'life' literature, confession, initiation or educational belle-lettre is noticeable. The researchers unanimously admit that around the core of the conventional genre, which unites the genre classics, there are texts, that bring together the picaresque narration with different genre works on different levels.

ნოდარ მირაზანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შემეცნებითი ინტერესები, როგორც სწავლის მოტივის ამალღების მნიშვნელოვანი საშუალება

საკვანძო სიტყვები: შემეცნებითი, მოტივაცია, სწავლა, სწავლება.

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია შემეცნებითი ინტერესები, როგორც სწავლის მოტივის ამალღების მნიშვნელოვანი საშუალება.

სწავლება, რომელიც მოსწავლეთა შემეცნებით ინტერესებს ავითარებს, თანდათანობით რთულდება, მოსწავლეთა ასაკობრივი განსხვავებულობის გათვალისწინებით და ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და შემეცნებითი ინტერესების განვითარება დიდად არის დამოკიდებული სწავლების სტრატეგიებსა და სასწავლო აქტივობებზე, რომ სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება-მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტებია.

მოტივაცია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისათვის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ტერმინი „მოტივაცია“ ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვიდრდა და არსებობის მანძილზე, ფაქტობრივად, არ შეუცვლია პირვანდელი მნიშვნელობა. მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს ენერჯის მიმართვას გარკვეული მიმართულებით. სწორედ ამიტომ ხშირად მოტივაციაზე საუბრისას მიმართული ქცევის ტერმინს იყენებენ პედაგოგიაში. ტერმინს „მოტივაცია“ იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღსანიშნავად.

არაერთ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში დამტკიცებულია, რომ მოტივაცია ინდივიდუალურია, ანუ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც მოტივაციის აღმძვრელი ფაქტორების, ისე მოტივაციის ხარისხის, მისი სიძლიერის თვალსაზრისით.

იმის მიხედვით, თუ რა აღძრავს მოსწავლის ინტერესებს, რა განაპირობებს მის ქცევას განსხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას - შინაგან და გარეგან მოტივაციას. შინაგანი მოტივაცია - ადამიანის ქცევა განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, კონკრეტული ქცევის/მისი შედეგების მიმართ შინაგანი ინტერესით. გარეგანი მოტივაცია - ადამიანის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორით. ადამიანისათვის კონკრეტული ქცევა /აქტივობა არ არის იმთავითვე საინტერესო ან სასურველი, თუმცა ასეთად იქცევა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიზნების/ორიენტაციის კვალდაკვალ ადამიანებიც იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვა დროსა და გარემოში შეიძლება იყოს ორიენტირებული ხან საკუთარ განვითარებაზე და ხან შესრულებაზე.

მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებიც მუშაობდნენ. ასე მაგალითად დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში. (უზნაძე, 2003, გვ. 234) იგივე მოსაზრება ჰქონდა ცნობილ მკვლევარს შ. ჩხარტიშვილსაც. თავის შრომებში იგი ერთმანეთისგან ასხვავებს ჰომოგენურ (შინაგან) და ჰეტეროგენურ (გარეგან) მოტივებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ჰომოგენური მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულებების შეგნებას. (ჩხარტიშვილი, 1972, გვ. 52)

შემეცნებითი ინტერესები, სწავლის მოტივის ამადლების მნიშვნელოვანი საშუალებაა, ამიტომაც მასზე ზრუნვა სწავლების პირველი წლიდანვე იწყება და სწავლების მთელ მანძილზე გრძელდება. სწავლება, რომელიც მოსწავლეთა შემეცნებით ინტერესებს ავითარებს, თანდათანობით რთულდება მოსწავლეთა ასაკობრივი განსხვავებულობის გათვალისწინებით.

სინამდვილის საგნების და მოვლენების წვდომის სურვილი ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ჩნდება. ბავშვი ამჟღავნებს უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას. ეს კითხვები მათ უჩნდებათ მაშინ, როდესაც ხვდებიან მათთვის გაუგებარ უცნობ საგნებს და მოვლენებს.

უფროს სკოლამდელელებში უკვე განვითარებულია სინამდვილისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება. ბავშვს იქამდე ვერ ჩავთვლით სკოლისათვის მომზადებულად, სანამ ის ვერ შეძლებს თავისი პრაქტიკული მოქმედებიდან - კერძო თამაშიდან - საკუთრივ ინტელექტუალური ამოცანების გამოყოფას.

სკოლის წინარე ასაკის ბავშვის შემეცნების ყველაზე უფრო ელემენტარული მხარე, რომელიც ყველაზე ადრე იჩენს თავს, სინამდვილის გრძნობადი შემეცნებაა. ბავშვს უჩნდება სურვილი აღიქვას ახალი მოვლენები გრძნობის ყველა ორგანოებით. ბავშვში სასიამოვნო ემოციებს იწვევს ფერები, ხმები, ფორმები, მოძრაობანი, რაც მას ახალი მოვლენების აღქმის დროს აძლევს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვს არ აქვს განვითარებული ცნებითი აზროვნება. ამ ასაკის ბავშვებთან გამოკვეთილია ცნობისმოყვარეობის სენსორული მხარე, ახალი მოვლენების გრძნობითი აღქმის ხარზი მოთხოვნილება. ბავშვის ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო ვითარდება უმცროს სასკოლო ასაკში და მასწავლებლის ხელმძღვანელობით თანდათან ღრმავდება მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად.

მ. ფ. მოროზოვი თავის გამოკვლევებში გვიჩვენებს, რომ დაწყებითი საფეხურის კლასის მოსწავლეს აინტერესებს, სწავლის მთელი პროცესი. მის წინაშე სწავლა, თამაშისაგან განსხვავებით, წარმოსდგება, როგორც სერიოზული მოქმედება. ავტორი ასაბუთებს, რომ თვით პირველ და მეორე კლასების მოსწავლეებსაც კი აინტერესებთ არა მარტო ის, რაც მიმზიდველი და ადვილია, არამედ ის, რაც სერიოზული დავალების ხასიათს ატარებს.

სისტემატიზირებული ცოდნის მიღებისა და ასაკის ზრდის შესატყვისად მესამე-მეოთხე კლასების მოსწავლეების ინტერესები ღრმავდება და ისინი თვისობრივად ახალ ხასიათს იძენენ. ახლა მათი ინტერესები უკვე არა ცალკეული ფაქტები, არამედ მათ შორის არსებული კავშირები, მათ აინტერესებთ მთელი საგანი მისი შინაარსის თავისებურებებით. „სუფთა ემპირიულიდან, რომელსაც წარმოადგენს სასწავლო ინტერესი უმცროსი სასკოლო ასაკის მთელი პერიოდის მანძილზე, ამ ასაკის ბოლოს თავს იჩენს ინტერესი კანონზომიერებებისადმი, რომლებიც ასევე საგნის შინაარსს შეადგენენ“. (Морозов, 1955, стр. 73)

შემეცნებითი ინტერესების განვითარების ტენდენცია უმცროსი სასკოლო ასაკის ყველა მოსწავლეს არ ახასიათებს. ეს ინტერესები უმთავრესად იმ მოსწავლეებს ახასიათებთ, რომლებიც სწავლობენ და იზრდებიან მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებთან, იმ მასწავლებლებთან, რომელთაც ესმით, რომ

აუცილებელია საგანგებო, მიზანდასახული მუშაობა ბავშვებში ცოდნისმოყვარეობის აღზრდისათვის მათი შემეცნებითი ინტერესების, ცნობისმოყვარეობის განვითარებისათვის.

მოზარდებთან შემეცნებითი ინტერესების განვითარება გამოიხატება ამ ინტერესების შინაარსის შემდგომ გაღრმავებაში. მოზარდის ინტერესები იღებენ გარკვეულ მიმართულებას, იძენენ სიმყარეს, მათი შინაარსი უფრო გაცნობიერებული ხდება ბავშვისთვის. მეხუთე-მეცხრე კლასების მოსწავლეების შემეცნებითი ინტერესების სფერო ფართოვდება. თვით სასწავლო საგნებიც მოზარდების წინაშე საგნობრივ სამყაროს უფრო ფართოდ წარმოადგენენ. შემეცნებითი ინტერესები ხელს უწყობენ მოსწავლის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. ხოლო მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნა თავისთავად ახალ ინტერესებს ბადებს.

მოზარდების შემეცნებითი ინტერესები ხასიათდება აქტიურობითა და ქმედითობით. მეხუთე-მეექვსე და განსაკუთრებით, მეშვიდე-მეცხრე კლასების მოსწავლეები აქტიურად ცდილობენ გაიგონ რაც შეიძლება ბევრი რამ იმ საკითხის შესახებ, რომლებიც მათ აინტერესებთ. მოზარდების შემეცნებითი ინტერესების ამორჩევითი ხასიათი განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება მათ მიერ ამა თუ იმ სასწავლო საგნის კატეგორიულ შეფასებაში, - ზოგიერთ სასწავლო საგანს ისინი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ, ზოგიერთის მიმართ კი პირდაპირ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ. აქაც განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს საგნის მასწავლებელი, მასწავლებლის მომზადების დონე, მისი პედაგოგიური მიდგომები.

სწავლის მოტივთა საერთო სისტემაში სწავლის შემეცნებითი მოტივი ფართო ადგილს იკავებს მოზარდებთან. ჩატარებული გამოკვლევები ამ მიმართულებით ადასტურებს, რომ საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეთა 50 პროცენტისათვის სწავლის წამყვანი მოტივი ეს შემეცნებითი ინტერესებია. შემეცნებითი ინტერესების შინაარსი ღრმავდება უფროსი კლასების მოსწავლეებთან. ამ ინტერესებიდან ჭარბობს ინტერესი თეორიული პრობლემებისადმი, მეცნიერული შინაარსის საკითხისადმი. უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან განსაკუთრებით გამოიყოფა ის ინტერესები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მათ მიერ არჩეულ მომავალ პროფესიას. წარმოიშობა კავშირი შემეცნებით და პროფესიონალურ ინტერესებს შორის. უფროს კლასებს განსაკუთრებით ის საგნები აინტერესებს, რომლებიც აუცილებელია არიან მის მიერ ამორჩეული პროფესიის დაუფლებისათვის.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სწავლა მოსწავლეებისათვის მძიმე ვალდებულება ხდება იქ, სადაც მასწავლებელი არ აღვიძებს მათ ინტერესებს მეცნიერების შინაარსისადმი, არ ავითარებს მათში მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას.

სწავლის შემეცნებითი ინტერესების განვითარება, მთელი ის მუშაობა, რომელიც სწავლების პროცესში ხორციელდება იმ მიზნით, რომ ახალი ცოდნის მიღება მოსწავლის სწავლის მოტივად გადაიქცეს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხორციელდება. მასწავლებელი ეყრდნობა სასწავლო პროცესის ლოგიკას, მართავს მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის გაცნობიერების მთელ მსვლელობას, ობიექტური სამყაროს შესახებ მოსწავლეთა წარმოდგენებისა და ცნებების ჩამოყალიბების მსვლელობას. მასწავლებელი ავითარებს მოსწავლეთა ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას (ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, არგუმენტების ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრა, სისტემური აზროვნება) და ამით შესაფერის პირობებს ქმნის მათი შემდგომი აქტიური თანმიმდევრული აზროვნებითი მოქმედებისათვის.

მოსწავლის აზრის აქტივიზაცია მაშინ ხდება, როდესაც მათ წინაშე დგას თეორიული ან პრაქტიკული პრობლემა, რომელიც შეიცავს მათი ძალების შესაბამის სირთულეს. ამიტომ აზროვნებითი პროცესის საწყისი მომენტი ეს პრობლემური სიტუაციაა. ადამიანი აზროვნებას მაშინ იწყებს, როცა რაიმეს გაგების მოთხოვნილება უჩნდება.

ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და შემეცნებითი ინტერესების განვითარება დიდად არის დამოკიდებული სწავლების სტრატეგიებსა და სასწავლო აქტივობებზე. სასწავლო აქტივობებში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობები. როგორც აღმოჩნდა, იმას, თუ როგორ აღიქვამს მოსწავლე ამა თუ იმ სასწავლო აქტივობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მიმდინარე აკადემიურ წარმატებების, ისე ზოგადად, სწავლის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისათვის საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების ერთგვარი საზომია. თუკი აქტივობას რთულად, მისთვის დაუძლევედ მიიჩნევს, დიდია ალბათობა იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და გულგრილი გახდეს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა მოტივაცია შეიძლება დაკარგონ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ესა თუ ის სასწავლო აქტივობა ძალიან მარტივია, განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს და შესაბამისად, უინტერესოა. როდესაც დავალება განსაკუთრებით რთულია, არ არის გამორიცხული მოსწავლემ ეჭვის ქვეშ დააყენოს შრომისა და გულმოდგინების საჭიროება/ეფექტურობა, რაც ნეგატიურად აისახება მის ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ამავდროულად არც ძალიან მარტივი დავალებებია

გამოსავალი, ვინაიდან მოსწავლე მათ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ადვილად გაართმევს თავს და ვერ შეიძენს ახალ ცოდნას. იდეალური სირთულის დავალებები ერთგვარი გამოწვევაა მოსწავლისათვის, მაგრამ დაძლევადი. ამისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა გამოიყენონ განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები. კარგი იქნება თუ ერთსა და იმავე საკითხზე/თემაზე განსხვავებული სირთულის დავალებებს/აქტივობებს მოიფიქრებენ. ეს შესაძლებლობას მისცემს გაითვალისწინონ მოსწავლეთა შესაძლებლობები და შესაფერისი სირთულის დავალებების მიცემის გზით გააღვივონ მათი მოტივაცია.

აქტიურობა სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ბავშვებისათვის ბევრად უფრო სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის გააქტიურება არაერთგვაროვანი სტრატეგიით შეიძლება. ჩაატარონ დისკუსიები, გამოიყენონ, პრეზენტაციები, როლური თამაშები, ჯგუფური მუშაობა, საგანმანათლებლო ექსკურსიები, ჩართონ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, გამოიყენონ „უნიშნო“ აქტივობები ა.შ.

ამრიგად, სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება- მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტებია. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში შემეცნებითი ინტერესების, როგორც სწავლის მოტივის ამძღვრისათვის, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლეთა წარმატებების ხელშეწყობა როგორც სასკოლო გარემოში, ისე ზრდასრულობაში.

ბიბლიოგრაფია:

- ტყემალაძე, რ., & დალაქიშვილი, ნ. (2008). *სწავლება და შეფასება*. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი.
- უზნაძე, დ. (2003). *სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი.
- ჩხარტიშვილი, შ. (1972). *სწავლის მოტივაციური სტრუქტურა. სკოლა და ცხოვრება*.
- Морозов, М. Ф. (1955). *Возникновение и развитие учебных интересов у детей младшего школьного возраста*. *Известия АПН РСФСР*. М: МГПИ.

Nodar Mirazanashvili

Gori State Teaching University

THE COGNITIVE INTERESTS AS THE MOTIVATOR FOR KNOWLEDGE INCREASE RESUME

Motivation is a necessary precondition for curiosity of a learner that establishes a positive approach towards the education and knowledge. Having cognitive interest is essential for the students to increase their motivation towards learning. Therefore, this should be a focus starting from the very first year throughout the whole process of teaching.

Teaching, that develops cognitive interest among the students, gets continually comprehensive for the students in line with their age specificities.

If the teaching process is correctly organized, the old material prepares the students to absorb the new knowledge as well as to rise their interest. As the students understand value of science in their lives, they become more motivated to obtain the new knowledge.

Thus, the teaching activities, assessment policy and distribution of responsibilities are inseparable elements of motivation. The teacher should provoke cognitive interests of the students as a motive for learning. This is the only way to support the students to achieve success in the school environment or at the later stage during adolescence.

Keywords: Cognitive, Motivation, Learning, Teaching.

ინოვაციური მოთხოვნები კლასის დამრიგებლის მიმართ და მისი მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან

საკვანძო სიტყვები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინკლუზიური კლასი, კლასის დამრიგებელი, მშობელი.

თანამედროვე სკოლაში აღიარებულია მრავალფეროვნება, მათ შორის მოსწავლეთა მრავალფეროვანი შესაძლებლობები, გამოცდილებები, ინტერესები და საგანმანათლებლო საჭიროებები. შესაბამისად, ერთსა და იმავე სკოლაში სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეები შესაძლოა იყენებდნენ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს, მაგრამ ყველა ერთად უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო პროცესში და საბოლოოდ ერთი მიზნისკენ ისწრაფოდნენ, რაც გულისხმობს დამოუკიდებელ მოქალაქედ, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებას. (ბაგრატიონი-გრუზინსკი, კვაჭაძე, ლორთქიფანიძე, გაჩეჩილაძე, 2018, გვ. 7)

საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების პროცესს წარმართავს მასწავლებელი, რომელსაც „მინდობილი აქვს ყველაზე საპასუხისმგებლო და ძნელი საქმე - ახალგაზრდების ჩამოყალიბება სინდისიერ, კაცთმოყვარე, მცოდნე და კულტურულ პიროვნებად, რომლებსაც საზოგადოების წინაშე წამოჭრილი ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა უნდა შეეძლოთ. მასწავლებელს ოთხი ძირითადი ფუნქცია აქვს: სასწავლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და საზოგადოებრივ-პედაგოგიური“. (მალაზონია, 2001, გვ. 352)

კლასში არსებულ მდგომარეობაზე მთელი პასუხისმგებლობა კლასის ხელმძღვანელს აკისრია. ის სასწავლო-პედაგოგიური პროცესის მთავარი ორგანიზატორია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის ცხოვრებაში. სწორედ მას ეკისრება უდიდესი როლი მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენასა და რეალიზებაში, ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაში. (ოსიაშვილი, 2018)

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-19-ე მუხლის მიხედვით: (გთავაზობთ შემოკლებით)

1. სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი, ის უნდა ასწავლიდეს თავის სადამრიგებლო კლასს...

2. დამრიგებლის მუშაობის მიზანია - დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ, სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაზიარებაში.

3. დამრიგებლის მოვალეობებია:

- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები;

- რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი;

- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური და სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

- იყოს შუამავალი მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს შორის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში;

- რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ;

- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

- გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა

იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში. მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის... (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018)

კლასის ხელმძღვანელის მუშაობა ინკლუზიურ კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან - განსაკუთრებულია. ის მოითხოვს ანალიტიკური, კოორდინაციური, ორგანიზაციური ჩვევების გამოუმუშავებას, ზოგადი და სპეციალური ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის ღრმა ცოდნას. თავისი ძირითადი საგნობრივი განათლების გარდა, მან უნდა მიიღოს დამატებითი განათლება სპეციალურ პედაგოგიკაში. აუცილებელია ხასიათის ისეთი პიროვნული თვისებების ფლობა, როგორიცაა მოქნილობა, მოთმენა, დაკვირვება. გარდა ამისა, პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ის დიაგნოზი, რომლითაც მის კლასში მოდიან ბავშვები და რაც ყველაზე მთავარია - ხედავდეს მათში მხოლოდ დადებით თვისებებს და სჯეროდეს, რომ თითოეული მათგანი რაღაცაში ნიჭიერია. (Гуныко, 2016)

როგორია აღზრდის საკვანძო მიმართულებები რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად კლასის დამრიგებლის მუშაობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან?

- უპირველესად ეს არის კლასში ურთიერთობების რთული სისტემის რეგულირება, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები იძენენ პირველ სოციალურ უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათ მომავალზე. კლასის ხელმძღვანელის მხარდაჭერით მოსწავლეები იღებენ ურთიერთობის სხვადასხვა გამოცდილებას: ჯგუფურს, პიროვნებათშორისს, საქმიან, არჩევითს და ა.შ. თუ ეს მხარდაჭერა პედაგოგიურად დასაბუთებულია, მაშინ ეს გამოცდილება აგებული იქნება ურთიერთდახმარებაზე, ურთიერთპასუხისმგებლობაზე, პატივისცემაზე, დათმენაზე.

- მეორე - ეს არის ურთიერთობის დეფიციტის შევსება, რომელსაც განიცდიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები. სკოლის მიერ ორგანიზებული მრავალფეროვანი აღმზრდელი საქმიანობის ორგანიზების ხარჯზე (შემეცნებითი ექსკურსიები, წრეები, სტუდიები) პედაგოგს შეუძლია შექმნას ურთიერთობების წრის გაფართოების და შემეცნებითი თუ შემოქმედებითი ნიჭის განვითარების პირობები.

- მესამე - ეს არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ფსიქოლოგიური დაცვის ამოცანის გადაწყვეტა ნეგატიური ზემოქმედებისგან, რომელიც მოდის ზოგიერთი უფროსის, ოჯახისა და სოციუმიდან. კლასის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში, ბავშვები თავს გრძობენ დაცულად. (Панфилова, 2012)

დროსთან ერთად იცვლებოდა კლასის ხელმძღვანელის ფუნქციები სკოლაში. დღეს ის არის ბავშვის პიროვნების განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნულ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია, პირობების უზრუნველყოფა წარმატებული სოციალური ადაპტაციისათვის. ჩამოყალიბებულ სასკოლო პრაქტიკაში კლასის ხელმძღვანელს უკავია ორიდან ერთი პოზიცია, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც „დისპეტჩერი“ და „შემოქმედი“. პირველ შემთხვევაში პედაგოგის მუშაობა ხშირად ატარებს ფორმალურ ხასიათს. მაგალითად, ის ყურადღებას აქცევს დასწრებას, ამოწმებს დღიურებს, ატარებს სადამრიგებლო საათს, უზრუნველყოფს კლასის მონაწილეობას სასკოლო ღონისძიებებში. მშობლებთან ურთიერთობა შემოიფარგლება მშობელთა კრებაზე შეხვედრებით და სატელეფონო ზარებით მოსწავლეების გაცდენის ან ცუდად მოქცევის შემთხვევაში.

მეორე შემთხვევაში მასწავლებელი დიდ ძალასა და დროს ხარჯავს ადმინისტრაციის მოთხოვნების შესასრულებლად, კლასთან ურთიერთობაზე, თანაკლასელებს და პედაგოგებს შორის კონფლიქტის მოგვარებაზე, ბავშვების ოჯახებში პრობლემების გადაწყვეტაზე. (Панфилова, 2012)

კლასის ფორმირების პირველი თვეები შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილესათვის საადაპტაციო პერიოდად. ეს პერიოდი, ალბათ, ყველაზე რთულია იმიტომ, რომ ვლინდება არაფორმალური ლიდერი, ბავშვებს შორის ჩნდებიან გარიყული და უპირატესობა მინიჭებულები. კლასის ხელმძღვანელი ფხიზლად ადევნებს თვალს სიტუაციას, იყენებს დიაგნოსტიკური მუშაობის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვება, ტესტირება, ინდივიდუალური საუბარი.

აუცილებელი დიაგნოსტიკის პირველ ეტაპზე იწერება ბავშვის დახასიათება, შემდეგ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხდება ყველა იმ პრობლემის დაფიქსირება, რომელსაც ეჯახება ბავშვი, მისი მიღწევები სწავლაში და ურთიერთობაში. სასწავლო წლის ბოლოს ისევ კეთდება დიაგნოსტიკა და კლასის ხელმძღვანელი ადარებს რა შედეგებს, აკეთებს თავისი მუშაობის წლიურ ანალიზს, დასკვნას და მის საფუძველზე სახავს მიზანს მომავალი წლისათვის. ასეთი დეტალური მუშაობა პიროვნების თვისებების შესწავლის მიზნით, ეხმარება მასწავლებელს კლასთან ერთად სამუშაო გეგმის შედგენაში. მასში უნდა იყოს გათვალისწინებული დიაგნოსტიკური, კორექციულ-განმავითარებელი,

საგანმანათლებლო მუშაობის მიმართულება კლასთან, ასევე კოლექტივთან მუშაობის მიზნობრიობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტაცია. საგანმანათლებლო მუშაობის ბლოკში აუცილებელია ჩართოს სადამრიგებლო საათი, საუბრები, თამაშები, ტრენინგები მოსწავლეთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მოფრთხილების მიზნით.

პედაგოგიური კონსილიუმი კლასში შეიძლება ჩატარდეს მაშინ, როდესაც ბავშვების ყველა თავისებურება გამოვლენილია და კლასის დამრიგებელს შეუძლია საგნის მასწავლებლებს მიაწოდოს საგანმანათლებლო რეკომენდაციები კლასის თითოეულ ბავშვზე სწავლებაში და კლასისადმი განსხვავებულ პედაგოგიურ მიდგომებში. საჭიროა ასევე მივუთითოთ გაკვეთილის განსაკუთრებულობაზე ასეთ ინტეგრირებულ კლასში:

1. მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა;
2. გაკვეთილზე ყოველ 20 წუთში მოქმედებათა სახეობის ცვლა;
3. ფიზკულტურული პაუზის გამოყენება;
4. დავალების ეტაპობრივი ახსნა;
5. თამაშობითი ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილზე;
6. სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
7. შესრულებული დავალების ყოველდღიური შეფასება.

პედაგოგიური კონსილიუმი ასეთ კლასში შეიძლება ჩატარდეს წლის განმავლობაში რამდენჯერმე. ეს შეიძლება იყოს კონსილიუმი ცალკეულ ბავშვზე, რომელიც ცუდად შეეგუა კლასის კოლექტივს, შეიძლება იყოს მოსწავლეთა ცალკეულ ჯგუფზე ან ბოლოს მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ანალიზზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურების შესწავლა კლასში მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. კლასის დამრიგებელს საჭიროა ჰქონდეს „ინდივიდუალური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რუკა“, სადაც ხელმძღვანელი აფიქსირებს ბავშვის განვითარების ყოველ ნაბიჯს. პირველ ეტაპზე აუცილებელი დიაგნოსტიკის შემდეგ იწერება ბავშვის დახასიათება, შემდეგ კი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ფიქსირდება ყველა პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ბავშვი, მიღწევა სწავლაში, შრომაში, ურთიერთობაში. სასწავლო წლის ბოლოს ისევ ტარდება დიაგნოსტიკა და კლასის ხელმძღვანელი შედეგების შედარების შემდეგ აკეთებს წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ანალიზს, გამოაქვს დასკვნა და ისახავს მიზანს მომავალი წლისათვის. ასეთი კირკიტა მუშაობა ბავშვების თავისებურებების შესწავლასთან დაკავშირებით, ეხმარება მას კლასის სამუშაო პროგრამის აგებაში, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს კლასთან მუშაობის დიაგნოსტიკური, კორექციულ-განვითარებადი და საგანმანათლებლო მიმართულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტაციის პრიორიტეტულობით. (Гунько, 2016)

კლასში და გარემოში ბავშვთა უფრო სწრაფი და მაქსიმალური ადაპტაციისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, სასურველია მშობელთა რესურსის გამოყენება, რადგან მშობელმა უკეთ იცის თავისი შვილის თავისებურებები და შესაძლებლობები. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობელთა ნაწილი უიმედოდ არის განწყობილი თავისი პირმშოს შესაძლებლობების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, დამრიგებლის ამოცანაა მაქსიმალურად მოამზადოს ასეთი მოსწავლეები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, შესაძლებლობების და ინტერესების მიხედვით ჩართოს ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში და დაანახოს მშობლებს, რომ მათაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. კლასის ხელმძღვანელმა მშობლებს უნდა ჩაუსახოს იმედი, რომ მათი შვილების აღზრდა-განათლება აუცილებლად იქნება წარმატებული, მთავარია, მათ დაინახონ მასწავლებლის პოზიტიური დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ, იყვნენ დარწმუნებულები, რომ პედაგოგი მოქმედებს ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე და ერთობლივი ძალისხმევით - ყველაფერი მიღწევადია. (Кощеева, 2015)

სკოლაში არსებობს მუშაობის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, რომლებიც მიმართულია ბავშვების სოციალიზაციაზე, მაგრამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება კლასგარეშე საქმიანობა.

სკოლის კლასგარეშე მუშაობა ითვალისწინებს: კლასის დამრიგებლის საქმიანობას, წრეობრივ მუშაობას და დასვენება-გართობის ორგანიზაციას. აღმზრდელობითი სამუშაოების ჩატარებისას არ არის მიზანშეწონილი კლასის სპეციალური საჭიროების მქონე და ჩვეულებრივ ბავშვებად დაყოფა. ეს იძლევა დადებით შედეგს: ერთს უმაღლესს სოციალიზაციისა და განვითარების დონეს, მეორეს კი უყალიბებს კაცთმოყვარეობას. სასწავლო პროცესისგან განსხვავებით, რომელიც შეზღუდულია სასწავლო პროგრამებისა და გეგმების ჩარჩოთი, აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს სკოლის ერთიანი

გეგმით, რაც საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალებას აძლევს განსხვავებულ უნარებისა და შესაძლებლობის ბავშვებს. სკოლაში ჩატარებული დღესასწაულები, კონკურსები, შეჯიბრებები, თამაშები და ა.შ. შესაძლებლობას აძლევს თითოეულს მიიღოს მონაწილეობა და მიაღწიოს წარმატებას.

კლასგარეშე საქმიანობის შემდეგი მიმართულება - **სექციები და წრეებია**. მათი მიზანია - განავითარონ შემეცნებითი ინტერესი, მოამზადონ მომავალი პროფესიის არჩევისთვის, აღზარდონ ბავშვში აკურატულობა, ესთეტიური გემოვნება, ურთიერთობის უნარი, შრომისმოყვარეობა, განავითარონ მაცურებლის წინაშე გამოსვლის უნარი.

არაჩვეულებრივ ხერხად ითვლება **პროექტული საქმიანობა**, რომელიც ავითარებს არა მარტო პროექტირების ჩვევას, არამედ ასწავლის აუდიტორიის წინაშე გამოსვლას, თავისი იდეის დაცვას, პასუხისმგებლობის აღებას მიღებულ შედეგზე. პროექტზე მუშაობისას ბავშვებს უმაღლდებათ მოტივაცია, რადგან ისინი ხედავენ თავისი ნაშრომის შედეგს.

კლასგარეშე საქმიანობის შესანიშნავ მიმართულებად მიიჩნევა **სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა**, მაგრამ ის სსსმ ბავშვებისათვის არის ძალიან რთული, რადგან აქვთ არასაკმარისი ცოდნა, ყურადღება და კონცენტრირების უნარი, უჭირთ ჯგუფურ მუშაობაში ჩართვა და ა.შ. (Гуњько, 2016)

სკოლაში სასწავლო პროცესის აუცილებელ ფორმას წარმოადგენს სადამრიგებლო საათი. მისი მეშვეობით დამრიგებელი მოსწავლეებს ეხმარება სკოლასთან, საქმიან გარემოსთან ადაპტაციაში, უყალიბებს ელემენტარულ სასწავლო ჩვევებს, თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარს, ჯანსაღ ღირებულებებს. (რეხვიაშვილი, 2012)

გარდა ამისა, სადამრიგებლო საათი მეტად მნიშვნელოვანია ინკლუზიური კლასის კოლექტივის შედუღებისათვის, მიმართულია ურთიერთობების აწყობაზე კლასში, სსსმ ბავშვის საკუთარი მნიშვნელოვნების გაგებაზე საერთო საქმეში.

სასურველია, სადამრიგებლო საათზე პედაგოგმა ბავშვებს უჩვენოს ფილმი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა შესახებ და ისაუბროს მასზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი სამყაროს, რა თვალთ უყურებენ მას; იმ სირთულეებზე, რისი გადატანაც უხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჯანმრთელ ბავშვებში ასეთი სახის ღონისძიება ხელს შეუწყობს ემპათიის, ტოლერანტობის და კომუნიკაციური უნარების აღზრდას.

დამრიგებელმა შეიძლება შესთავაზოს მათ ფსიქოლოგების მიერ რეკომენდებული თამაში - თავის თავში „გათიშონ“ რამე (მაგალითად: აიხვიონ თვალები, დაიცონ ყურები, შეინახონ ხელი ან ფეხი) და მოსინჯონ რომელიმე დავალების შესრულება. თავიდან შეიძლება ბავშვებმა იცინონ, თამაშის ბოლოს კი თანაგრძნობით შეხედავენ თანატოლს. ასეთი თამაშების შემდეგ თანაკლასელები გახდებიან უფრო ყურადღებიანები და იმედია, არავინ გაიცინებს თანატოლის ნაკლზე. სსსმ ბავშვიც დამაჯერებლად იგრძნობს თავს და გამხიარულდება, შესაძლოა აკადემიური მოსწრებაც გაუუმჯობესდეს. (Гуњько, 2016)

კლასის დამრიგებელსა და მშობლების ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობელთა კრება, რომელიც ჩვენი აზრით, ითვლება არანაკლებ რთულ „ქანრად“, ვიდრე გაკვეთილები ან კლასგარეშე მუშაობა. აქ ერთმანეთს ხვდება ორი მხარე - პედაგოგები და მშობლები, რათა მოუსმინონ ერთმანეთს და განიხილონ მესამე მხარის, ბავშვების, ძირითადი პრობლემები. (რეხვიაშვილი, 2012, გვ. 70)

მშობელთა კრების ჩასატარებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას არასტანდარტული ფორმები: მიკროკრება ან კრება პრობლემურ ჯგუფთან, საუბარი ჭიქა ჩაიზე, მასტერკლასი მშობელთაგან, როლური თამაში და სხვ. სასურველია, მულტმედიაური პრეზენტაციის მეშვეობით, მშობლები გაეცნონ მათი შვილების სასკოლო ცხოვრებას. არ იქნება ურიგო, ტრადიციად დამკვიდრდეს კლასში საახალწლო ვიდეოგზავნილი „ბავშვები-მშობლებს“ და „მშობლები-ბავშვებს“.

დამრიგებელი უნდა ეცადოს მშობლების ჩართვას კლასისა თუ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, კონკურსებში, გამოფენებში, დაიხმაროს საკლასო ოთახის ესთეტიკურ გაფორმებაში და ა.შ. ამ ღონისძიებების მთავარი მიზანია - მშობლების დაინტერესება კლასის ცხოვრებით, მათი შვილების პრობლემებით და მიღწევებით, არ გამოიჩინონ გულგრილობა და არ გააჩინონ ბარიერები სკოლასა და ოჯახს შორის. ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების პროცესში მშობლებთან დამყარებულმა ურთიერთობებმა შესაძლოა განაპირობოს ბავშვების მიერ მათი სხვა კუთხით დანახვა და უფრო ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბება. (Кошчеева, 2015)

ამრიგად, კლასის დამრიგებლის მუშაობა ფლობს უდიდეს აღმზრდელობით პოტენციალს სსსმ ბავშვთა ღირსეული განათლებისა და განვითარებისათვის.

შემოქმედებითად წარმართული აღმზრდელობითი საქმიანობის მრავალფეროვნების ხარჯზე დამრიგებელს შეუძლია სსსმ ბავშვთა ინტერესთა წრის გაფართოება, მათი შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და საკუთარი თვითშეფასების ამაღლება - ანუ განცდა

იმისა, რომ თუ სასწავლო საქმიანობაში მათ აქვთ სირთულეები, სხვა საქმიანობით ისინი კონკურენტუნარიანები არიან.

ბიბლიოგრაფია:

- ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., კვაჭაძე, ჟ., ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. (2018). *სასწავლო აქტივობები ყველასათვის: სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.wvi.org/sites/default/files/TEORIA.pdf>
- ეროვნული სასწავლო გეგმა. (2018). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/ესგ%20-%202018%20წლის%207%20სექტემბრიდან.pdf>
- მაღაზონია, შ. (2001). *პედაგოგიკა*. თბილისი.
- ოსიაშვილი, ქ. (2018 წლის 28 სექტემბერი). *კლასის ხელმძღვანელის როლი თანამედროვე სკოლაში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=19305>
- რეხვიანი, ლ. (2012). *პედაგოგიური ინფრასტრუქტურა სასკოლო პრაქტიკაში*. თბილისი: უნივერსალი.
- Гунько, Н. П. (2016). *Роль классного руководителя в социализации детей с ОВЗ*. Получено из <https://infourok.ru/rol-klassnogo-rukovoditelya-v-socializacii-detey-s-ovz-2061184.html>
- Кошечкина, Г. Н. (2015). *Роль классного руководителя во взаимодействии с семьями обучающихся с ограниченными возможностями здоровья (из опыта работы)*. Получено из <https://cyberleninka.ru/article/n/rol-klassnogo-rukovoditelya-vo-vzaimodeystvii-s-semjami-obuchayuschih-s-ogranichennymi-vozmozhnostyami-zdorovya-iz-opyta-raboty>
- Панфилова, Е. В. (2012). *Специфика работы классного руководителя 5-9 классов в специальном (коррекционном) образовательном учреждении VIII вида*. Получено из <https://moluch.ru/conf/ped/archive/64/2855/>

Lela Rekhviashvili

Sokhumi State University

INNOVATIVE REQUIREMENTS FOR THE FORM MASTER AND HIS/HER WORK WITH CHILDREN WITH SPECIAL EDUCATIONAL NEEDS RESUME

Modern school recognizes diversity, including students' diverse abilities, experiences, interests and educational needs.

The work of a form master in an inclusive classroom in the Georgian educational space is a less studied and therefore urgent topic. In the author's deep conviction, the form master has the greatest educational potential for decent education and development of children with disabilities and offers innovative ways and methods of working with them. According to them, while conducting educational activities, the form master can expand the circle of children with special educational needs, develop their cognitive and creative skills, and increase self-esteem.

Keywords: Pupil with special educational needs, Inclusive class, Class tutor, Parent.

ლიტერატურის სწავლების მეთოდის საკითხები მასწავლებლის მომზადების პროგრამებში

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, მეთოდის, პროგრამა, შეფასება, განათლება.

სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა დროის მოთხოვნაა. მასწავლებლის მომზადების პროგრამებში ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის სასწავლო კურსის მიზანია მომავალ მასწავლებლებს შეასწავლოს და გააცნოს ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდები, მხატვრული ტექსტის ანალიზის უახლესი მიმართულებები. სწავლების მეთოდის ხელს შეუწყობს პროფესიონალს ქართული მწერლობა განიხილოს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; დაეხმაროს მხატვრული ტექსტის გაგებასა და თვითგამოხატვის სწავლებაში, მხატვრული ტექსტის ორგანიზაციული თავისებურების გააზრებაში. მომავალმა მასწავლებელმა „ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში უნდა განსაზღვროს და გააზროს დიფერენცირებული სწავლების უპირატესობანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში, სწორად გააზროს საფეხურებრივ სტანდარტში გრძელვადიანი მიზნების გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპის გაძლიერებას.

საფეხურებრივი სტანდარტი მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სწორად შეუწყოს ხელი ბავშვზე მორგებული სისტემის ამოქმედებას, საგანმანათლებლო პროცესი მოარგოს ცალკეული მოსწავლის განვითარების ტემპს, გაითვალისწინოს თითოეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, სწავლის სტილი, პირადი გამოცდილება და აკადემიური საჭიროებები. ასევე, ყოველ კონკრეტულ სკოლას საშუალება ეძლევა, თავად დაგეგმოს დროის გარკვეული მონაკვეთისათვის საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ყველაზე დიდი სიახლე, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, არის მისი ორ დიდ ნაწილად დაყოფა: საგნობრივი სტანდარტად და წლიურ პროგრამებად. 2018–2024 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტი მოსწავლეზე ორიენტირებულ და რელევანტურ მიზნებს მოიცავს და აერთიანებს სწავლა-სწავლების სამ კომპონენტს: **შედეგებს, შინაარსსა და შეფასებას**, ასევე განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს (საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებს) და წარმოადგენს ორიენტირს, რომლისკენაც უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო პროცესი. ამ ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა მკაფიო მიჯნის გავლება ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო და სარეკომენდაციო ნაწილებს შორის. წინა თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დიზაინი ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. წლიური შედეგებისა და ინდიკატორების სისტემა ამ საკითხზე გარკვეულ პასუხს არ იძლეოდა. სკოლებს შემოქმედებითი თავისუფლება თითქოს ინდიკატორებში უნდა ეძებნათ, თუმცა ინდიკატორების ფუნქციური დატვირთვა არ იყო ბოლომდე ნათელი. საფეხურის სტანდარტისა და წლიური პროგრამების შემოტანით ეს პრობლემა მარტივად გადაიჭრა. სტანდარტი წარმოადგენს მოთხოვნებს, წლიური პროგრამა კი მათი რეალიზების საშუალებებს. (ჯაყელი & სილაგაძე, 2018, გვ. 41)

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისაღწევი სწავლის შედეგები სისტემატიზებულია საფეხურებრივი სტანდარტების სახით. შესაბამისად, საგნობრივ პროგრამებში მოცემული სწავლის შედეგები განსაზღვრულია საფეხურისთვის (და არა სასწავლო წლისთვის) და აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად მოსწავლე მუშაობს მთელი საფეხურის განმავლობაში. ამავდროულად, მოსწავლეს ევალება აჩვენოს უწყვეტი ყოველწლიური პროგრესი შედეგთან მიმართებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ წელს მოსწავლის მიღწევა კონკრეტულ შედეგთან მიმართებაში უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე მისი მიღწევის დონე იგივე შედეგთან მიმართებაში გასულ წელს. მამასადაძემ, სწავლის შედეგების მიღწევისა და მყარი, დინამიკური კომპეტენციის განვითარებისთვის მოსწავლე ხანგრძლივად არის კონცენტრირებული ღირებულ მიზანზე და ეტაპობრივად ახდენს ცოდნის დაგროვებას და სათანადო უნარის შექმნას. (ბაგრატიონი-გრუზინსკი, კვაჭაძე, ლორთქიფანიძე, & გაჩეჩილაძე, 2018, გვ. 22) ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, კონცეპტუალურად გავიზაროთ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები. გავხადოთ სასწავლო აქტივობები მიზანმიმართული და სწავლების ყველა საფეხურზე ვიზრუნოთ ხარისხიანი სწავლა-სწავლების დასაწერად, თანამედროვე გამოწვევების გასააზრებლად.

ქართული ლიტერატურის სწავლების მიზანი და ამოცანები ეროვნული სასწავლო გეგმითა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითაა განსაზღვრული. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ლიტერატურის სწავლება განიხილება, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების, მისი ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარების, ასევე, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ზიარების საშუალება. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი ასეა განსაზღვრული: ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. სწავლების ძირითადი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა. პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს **ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება.**

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგებზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ქმედითუნიანობას. შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს შემდეგი პრინციპების დაცვას: ცოდნის კონსტრუირება; გადრმავებული სწავლება; პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა; მოტივაციის ამაღლება; მოსწავლეების ჩართულობა; ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება; ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

მხატვრული ლიტერატურა მკითხველისათვის საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის წყაროს წარმოადგენს, მისი მიზანმიმართულად გამოყენება კი დიდ შესაძლებლობებს ქმნის ისეთი პიროვნების აღსაზრდელად, რომელიც „თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს“. (ლეიაშვილი, 2012)

ლიტერატურის მთავარი დანიშნულება ადამიანის სულიერი აღზრდაა, მისი ზნეობრივი სახის სრულყოფაა, რათა მან შეძლოს საზოგადოებაში ცხოვრება, სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის იდეალების დაფასება. ლიტერატურის სწავლების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს და ერთგვარი ბიძგი მისცეს თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური, ინდივიდუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. მხატვრული ლიტერატურის შესწავლისას, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ბუნებრივად ჩნდება საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივა.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ✓ მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- ✓ მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- ✓ მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- ✓ მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;

✓ მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;

✓ ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირებას;

✓ ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

სწავლების მეორე, საბაზო საფეხური, არის გარდამავალი ეტაპი დაწყებითა და საშუალო საფეხურებს შორის, აქ უნდა გაღრმავდეს დაწყებით საფეხურზე შეძენილი ცოდნა და განვითარდეს შეძენილი უნარ-ჩვევები, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობის განვითარება, მოტივირება, რათა მიაღწიონ წარმატებას. მას შემდეგ, რაც სწავლების დაწყებითი საფეხური მოსწავლეს გამოუმუშავებს ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული ტექსტის გაგებისა და აღქმის უნარებს, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს უნდა დავადღევინოთ მხატვრული ტექსტისადმი მიმართების მაღალი უნარები. ვინაიდან, „ადამიანი შეუჩერებლად ვითარდება. მუდმივად ახლდება მხატვრული ტექსტის აღქმა და გააზრება. რაღაც რჩება – დროს უძღვება, რაღაც კი იცვლება – რაც ადრე შეუვალი ჭეშმარიტება ეგონათ, ახლებურად წარმოაჩენს.“ (მურღულია, 2018, გვ. 5) მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი ლიტერატურა არის ერთგვარი გზამკვლევი მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ის გვაცნობს წარსულს და გვეხმარება წარმატებული მომავლის დაგეგმვაში, ასევე საკუთარი უნარების შეცნობაში და გვასწავლის დამოუკიდებელ აზროვნებას.

მესამე თაობის საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამას აქვს ჩარჩო-სქემის სახე. მის საფუძველზე შესაძლებელია საბაზო საფეხურის ცალკეული კლასებისთვის გამიზნული წლიური პროგრამების შექმნა. თემები და ცალკეული თემის ფარგლებში შერჩეული მასალა მოწოდებულია რეკომენდაციის სახით. დასაშვებია თემების შეცვლა-მოდიფიცირება, შევსება და მისთ. მთავარია, შერჩეული თემატიკა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: თემები უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს; საბაზო საფეხურის თემატიკა მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს ძირითად თემატურ ბლოკებს. სარეკომენდაციო პროგრამაში შესულია მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ნაწარმოებები, ცალკეულ შემთხვევებში ტექსტები დასახელებული არ არის. ამდენად, შეთავაზებული ჩარჩო-სქემის გამოყენების შემთხვევაში, იგი უნდა მოდიფიცირდეს საბაზო საფეხურის კონკრეტული კლასისთვის. ეს გულისხმობს, რომ კლასების შესაბამისად უნდა: ა) გადანაწილდეს დასახელებული ნაწარმოებები; ბ) შეირჩეს რელევანტური დამატებითი მასალა - სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები (თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით). დასაშვებია ჩარჩო-სქემაში წარმოდგენილი მასალის (საკვანძო შეკითხვების, თემატური მკვიდრი წარმოდგენების, კომპლექსური დავალებების, შეფასების ინდიკატორების) შერჩევა-გადანაწილება, მოდიფიცირება, შევსება და მისთ. საბაზო საფეხურის ამა თუ იმ კლასისთვის. თემების ფარგლებში შერჩეული ტექსტების/რესურსების შესაბამისად, შეივსება და დაკონკრეტდება ჩარჩო-სქემის ცნებებისა და საკითხების ბლოკში შესული მასალაც. (ეროვნული სასწავლო გეგმა. საბაზო საფეხური. 2018–2024, 2018)

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს. (ეროვნული სასწავლო გეგმა. საბაზო საფეხური. 2018–2024, 2018)

ჟანრობრივი მახასიათებლების მიხედვით, კლასში მკვლევრები რეკომენდაციას უწყვეტ მითების, ზღაპრების, ლეგენდების, მოთხრობების, ნოველების, იგავებისა და ლექსების შესწავლას. პროგრამის საყრდენს ამ ეტაპზე ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა წარმოადგენს, მაგრამ დასაშვებია უცხოური ლიტერატურის საუკეთესო თარგმანების გამოყენებაც. მხატვრული ტექსტის გაგებისა და თვითგამოხატვისათვის, სპეციალისტებს სასურველად მიაჩნიათ, რომ პოეტური ნაწარმოებებიდან შეირჩეს „ბგერწერული“ ეფექტების მქონე ტექსტები, რაც ხელს უწყობს ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების - რითმის, ასონანსის, ალიტერაციის შესწავლას.

ტექსტის შერჩევა მნიშვნელოვანია, რადგან მასში ხორცს ისხამს მოსაუბრისა და დამწერის აზრი, ტექსტზე დიდ წილად დამოკიდებულია ურთიერთობის წარმატება. ტექსტი წარმოადგენს რთულ გამონათქვამს, რომელსაც ახასიათებს ლოგიკურ-კომპოზიციური და ლოგიკურ-აზრობრივი სტრუქტურა,

საგნობრივი შინაარსი, ენობრივი მახასიათებლები და კომუნიკაციური თვისებები. სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით. საკითხავი ლიტერატურა შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკის სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. აქვია წარმოდგენილი ჩამონათვალი სავალდებულო ნაწარმოებებისა, რომლებიც დამუშავდება შეთავაზებული თემატური ბლოკების ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა. სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში. (ეროვნული სასწავლო გეგმა. საბაზო საფეხური. 2018–2024 , 2018)

სამწუხაროდ, საბაზო საფეხურზე გრიფირებული მხოლოდ მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოებია და სიახლეების სრულად წარმოჩენის საშუალება ჯერჯერობით სრულად არ გვაქვს. კარგი იქნება თუ სახელმძღვანელოს შემდგენლები გაითვალისწინებენ მკვლევართა აზრს იმის შესახებ, რომ ლიტერატურული ტექსტები უნდა გამოირჩეოდეს აქტუალური (როგორც მხატვრული, ისე ყოფითი თვალსაზრისით) პრობლემეტიკით, რათა მოზარდს მიეცეს საშუალება მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე მსჯელობისა და განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმისა. სასურველია სახელმძღვანელოში შევიდეს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოზარდთათვის თვალსაჩინოს გახდის ლიტერატურაში ასახული კონკრეტული პრობლემების სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, სხვაგვარად გააზრების საშუალებას (აუცილებლობას).

მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისიც, რომ მოზარდს შეექმნას გარკვეული თეორიული წარმოდგენა ლიტერატურის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესახებ, შეძლოს ყოფითი რეალობისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთმიმართების თავისებურებების გაცნობიერება.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის იმ ნიმუშების შეთავაზებაც, რომლებიც ტიპოლოგიისა და პრობლემეტიკის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს სწავლების ამ ეტაპისთვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.

სიახლეები საბაზო საფეხურის ენისა და ლიტერატურის სწავლებაში, რომელიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმითა და ახალი მიდგომებითაა განსაზღვრული, უნდა მივაწოდოთ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის სტუდენტებს. მუშაობის პროცესმა დაგვანახა, რომ მასწავლებლობის მსურველი ახალგაზრდების მოტივაცია მაღალია. მთავარია, სიახლეების და მეთოდების სწორი გააზრება, რაშიც პროგრამა ნამდვილად დაეხმარება ახალგაზრდებს და განავითარებს მათ პროფესიული უნარებს.

ბიბლიოგრაფია:

ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., კვაჭაძე, ჟ., ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. (2018). *სასწავლო აქტივობები ყველასათვის: სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან:

<https://www.wvi.org/sites/default/files/TEORIA.pdf>

ეროვნული სასწავლო გეგმა. საბაზო საფეხური. 2018–2024. (2018). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://ncp.ge/files%E2%80%9393/ESG/NC%202018-2024>

ლეიაშვილი, ნ. (2012 წლის 6 ნოემბერი). *მხატვრული ლიტერატურის განმავითარებელი ასპექტები სასწავლო პროცესში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=3616>

მელიქიძე, მ., ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., & ლორთქიფანიძე, რ. (2018). *სასწავლო აქტივობები ყველასათვის. სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში. ქართული ენა და ლიტერატურა. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

https://www.wvi.org/sites/default/files/Qartuli_Print_HQ_2mm_bleed.pdf

მურღულია, გ. (2018). *საზრისები: ფიქრი ქართულ ლიტერატურაზე*. თბილისი: საქართველოს მაცნე.

საგნობრივი სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. (2018). თბილისი.

ჯაყელი, თ., & სილაგაძე, ნ. (2018). *კურიკულუმი – პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გზამკვლევი*. თბილისი.

Rusudan Pipia
Sokhumi State University
**ISSUES OF LITERATURE TEACHING METHODOLOGY IN TEACHER TRAINING
PROGRAMS
RESUME**

New understanding of the learning process and leading it according to modern requirements is a demand of time. The aim of the course of Georgian Literature in Teacher Training Programs is to teach and introduce future teachers of Georgian Literature teaching methods, the latest directions of literary text analysis. The teaching methodology will help the future teacher to review Georgian literature in the context of world literature; assist him/her in understanding literary text and self-expression, understanding the organizational features of the literary text. The future teacher within the "New School" model should identify and understand the benefits of differentiated teaching in the teaching of Georgian language and literature, correctly identifying the long-term goals in the step standard that will enhance the principle of student orientation. Working in the teacher training program has highlighted several important problems that are analyzed in the paper.

Keywords: Teacher, Methodology, Program, Assessment, Education.

პაატა ქურდაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**თავისუფლებისა და თანასწორობის ფენომენის როლი პიროვნების ფორმირებაში
შოთა რუსთაველის მიხედვით**

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, თანასწორობა, „ვეფხისტყაოსანი“, ქრისტიანობა.

ადამიანი ამ ქვეყანაზე, ამ განზომილებაში, შემოდის, იბადება „დედიშობილა“. მას არ გააჩნია არაფერი მატერიალური და ასევე მიდის ამ ქვეყნიდან. ეს ამ ქვეყანაზე შემოსვლის და ამ ქვეყნიდან გასვლის სცენარი ერთია ყველასათვის. ვინც კი ამ ქვეყანაზე ოდესმე დაბადებულა და ამ ქვეყნიდან წასულა, გარდაცვლილა. ღმერთისა და ბუნების წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. თანასწორობის პრობლემატიკა ადამიანს, მოდგმას დასაბამიდან მოსდევს. ეს პრობლემატიკა ყოველთვის იყო სხვადასხვა რელიგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ისეთ მნიშვნელოვან ადამიანისეულ პრობლემატიკასთან ერთად, როგორც თავისუფლების ფენომენია. ამ ორი ფენომენის, ადამიანური პრობლემატიკის განხილვას და გააზრებას სხვადასხვა ეპოქის მოწინავე გონი, თავისი ეპოქალური გადმოსახედიდან არსებული სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საფეხურის ღირებულებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად განიხილავდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომელნიც თავისი ნააზრევით ხსენებულ საკითხებთან მიმართებაში, პასუხობდნენ რა თავისი დროის მოთხოვნებს, ხშირად დროსაც უსწრებდნენ და იძლეოდნენ ამ საკითხების ინტერპრეტაციას, რომელნიც ერთნაირად მიესადაგებოდა მათ თანადროულობას და ასევე იწინასწარმეტყველებდა კაცობრიობის განვითარების შორეულ მომავალში მათი გაგებას და ღირებულებას. ამ საკითხთა გააზრება დღესაც აქტუალურია და მიესადაგება თანამედროვეობას. ზემოთ ხსენებულ მოაზროვნეთა მიდგომები ახლაც განსაზღვრავს ხსენებული საკითხისადმი ინოვაციურ დამოკიდებულებებს. სწორედ ასეთ ნააზრევს განეკუთვნება გენიალური შოთა რუსთაველის შეხედულება პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. ეს უკანასკნელი კი, გვინტერესებს

განვიხილოთ, პიროვნების ფორმირების „სკულპტურულ ძერწვაში“, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი.

ვიდრე პიროვნებად ჩამოყალიბებაში ამ ფენომენის როლის შესახებ ვისაუბრებთ, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობის მოაზროვნეთა შეხედულებები თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. ამ საკითხებზე თავის მიდგომა ჰქონდათ სხვადასხვა რიგის ფილოსოფიური სკოლების წარმომადგენლებს. ასე მაგალითად, სოკრატეს აზრით, თავისუფალი არის ის, ვინც ზნეობრივად და გონივრულად იქცევა. (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 170) პირიანდრე კორინთელის მიხედვით, თავისუფლება არის სუფთა სინდისი. (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 30) პლატონის აზრით, ლტოლვებით და სურვილებით შეპყრობილი ვერ იქნება თავისუფალი, რადგან ის მონაა თავისი ლტოლვებისა. (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 218) თავისუფლება, პლატონის მიხედვით, პასუხისმგებლობას გულისხმობს. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ბრძენი მოაზროვნე თავისუფლების პრინციპების მიხედვით მოქმედებს, იგი თავისუფალია თავის ქმედებებში და არ ემორჩილება გარეგან ზემოქმედებას, მიზანდასახულობას. (წერეთელი, 1968, გვ. 87) სტოიციზმის ფილოსოფიურ მიმდინარეობაში, რომელშიც მისი ფუძემდებლის ზენონის აზრს ავითარებდნენ თავისუფლების შესახებ, თავისუფლების გაგება წარმოადგინეს, გარეგან იძულებებთან, სურვილებთან (ლტოლვებთან) და სხვა მავნე მიდრეკილებებთან მიმართებას. მათი მიხედვით თავისუფლება აუცილებლად ნიშნავდა ამ უკანასკნელზე უარის თქმას. მათ წინა პლანზე წამოსწიეს „აფექტისაგან თავისუფალი“ - ისა და „სულიერი სიმშვიდის პრინციპი. (ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია) ზენონის მიხედვით, „თავისუფლება ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც ჭკვიანები აღწევენ“. (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 143) იგულისხმება, სურვილებზე და გარეგან იძულებაზე გამარჯვება, რასაც გონიერი ადამიანი თავისუფლებამდე მიჰყავს. შინაგან თავისუფლების მიღწევის საკითხში, სურვილებზე უარის თქმით შეიძლება ითქვას, ეპიკურესთან ყველაზე ნათლად არის გამოხატული პიროვნული თავისუფლების საკითხი - „სურვილების შეზღუდვის უდიდესი ნაყოფი - თავისუფლება“ (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 217) იმ ფაქტს, რომ თავისუფლება გარკვეულ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ნათლად ვხვდებით ციცერონთან. „თავისუფლად მხოლოდ ის ცხოვრობს, ვინც სიხარულს თავისი მოვალეობის შესრულებაში პოულობს“ (გიყვარდეს გონიერება, 2000, გვ. 309) ამ ციტატით ციცერონი გარკვეულწილად იზიარებს პლატონის შეხედულებას თავისუფლების შესახებ. მეტად საინტერესოა თავისუფლების საკითხი ქრისტიანულ მოძღვრებაში. ქრისტე გვასწავლის, რომ თავისუფლება, მხოლოდ ჭეშმარიტების შეცნობით მიიღწევა. ქრისტიანობაში თავისუფლების ფენომენი დაკავშირებულია თავისუფალ არჩევანთან, ანუ ადამიანური ქმედების არჩევანის თავისუფლებაში. ქრისტიანული მოძღვრების მიდგომა ადამიანური თავისუფლებისადმი სათანადოდ არის წარმოდგენილი პავლე მოციქულთან. პავლე მოციქულთან თავისუფლება, იმეორებს რა მაცხოვრის სწავლებას, პირველ რიგში ცოდვისაგან თავისუფლებაა. პავლე მოციქულისათვის თავისუფლება არ არის თავისუფლება რადაცისაგან, არამედ თავისუფლება რადაცისათვის. თავისუფლება სიკეთისათვის, სიყვარულისათვის, თავისუფლებაა, რომ თავი მიუძღვნა სხვას თავისუფლად და სიყვარულით. „ქრისტეს განმათავისუფლებელი ძალა გვიხსნის ცოდვის ძალაუფლებისაგან და გვაძლევს შესაძლებლობას ვიცხოვროთ სულის მიხედვით და არა ხორცის კარნახით. სულის მიხედვით ცხოვრება ჩვენ გაგვხდის ღმერთის შვილებად“. (აბრამიშვილი, 2016, გვ. 343)

რენესანსის ეპოქაში და შემდგომ პერიოდშიც თავისუფლების შინაარსის გაგებაში იგულისხმებოდა არაწინააღმდეგობრივი ყოველმხრივი განვითარება, როგორც ადამიანის პიროვნული თვისება. შემდგომში განმანათლებელთა ეპოქაში თავისუფლების ცნებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. მაგალითად შ. ლ. მონტესკიე და ჟ. ჟ რუსო ცდილობდნენ დაედგინათ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ კანონებმა, რომ თავისუფლება უზრუნველყონ.

გერმანულ ფილოსოფიაში თავისუფლების გაგების ძირითად ცნებებს წარმოადგენენ ჰეგელის და კანტის კონცეფციები თავისუფლების შესახებ. ჰეგელის მიხედვით ისტორიულ-ფილოსოფიური ძირითადი პრინციპი არის ხალხებსა და კულტურაში განვითარებული თავისუფლების იდეა. თავისუფლება შედეგია საკუთარ თავთან დაბრუნებული სამყაროს სულის ცნობიერების თავისუფლება. კანტის აზრით თავისუფლება არის ნების წინაპირობა, რომელსაც საკუთარი კანონები აქვს. მარქსის მიხედვით, თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია. (ვასაძე, 1998) თავისუფლების საინტერესო გაგებაა მოცემული ჰერბერტ სპენსერის შრომებში. სპენსერი სოციუმის განვითარებაში სახელმწიფოს როლის გაზრდის წინააღმდეგია, რადგან მისი აზრით ეს უკანასკნელი გამოიწვევს პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას. იგი უარყოფითად არის განწყობილი ახალი ტიპის ლიბერალიზმის კონცეფციების მიმართ. ეს უკანასკნელი სპენსერის მიხედვით მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს ინდივიდს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. (Крившенко, 2015, стр. 190) როგორც ცნობილია, თავისუფლების საკითხი მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი

ეგზისტენციალურ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში. ეგზისტენციალიზმში თავისუფლება ადამიანის არსის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად არის მიჩნეული. თავისუფლება ადამიანის განუყრელი ფენომენია. ადამიანი თავისუფლებით პასუხს აგებს თავის მოქმედებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისუფლებას თან ახლავს უდიდესი პასუხისმგებლობა. (Шахназаров, 1959, стр. 376)

მეტად საინტერესოა თავისუფლების ფენომენის საკითხის მეტაფიზიკური გაგება, რომლის მიხედვითაც თავისუფლების მიღწევა, ეს არის ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს იძულების უარყოფას. ქართულ აზროვნებაში თავისუფლების საკითხის კვლევა შემოდის იოანე პეტრიწის მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნეში. შემდგომში თავისუფლების საინტერესო განმარტება მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა. მისი აზრით, სიტყვა „თავისუფალი“ ნიშნავს არავის „მონას“ და „რაც ენებოს ქმნას“. სულხან საბასთან თავისუფლების გაგების ორ მხარეზეა გამახვილებული ყურადღება: იძულებაზე უარის თქმა და საკუთარი ნების განხორციელებაზე, ანუ თავისუფალ არჩევანზე. (ორბელიანი, 1965, გვ. 299) ასევე საინტერესოა ანტონ 1-ლის მიერ თავისუფლების საკითხის გაგება. მისი აზრით, თავისუფლების განხორციელების პრინციპს საფუძვლად უნდა დაედოს განათლება. მხოლოდ განათლებული, გათვითცნობიერებული ადამიანი შეიძლება იყოს თავისუფალი. (ავალიანი, 1987, გვ. 147)

მეოცე საუკუნის გამოჩენილი გერმანელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ერიხ ფრომის აზრით, თავისუფლება არის ადამიანური, პიროვნული განვითარების უმთავრესი მიზანი. (Фромм, 2009, стр. 7) თავისუფლების ასეთი გაგება, ჩვენი აზრით, ახლოს არის შოთა რუსთაველის თავისუფლების გაგებასთან. შინაგან, სოციალურ და ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება თანასწორობის ფენომენს, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად ადამიანის თავისუფლების პრობლემის განხილვის პარალელურად და ბევრ შემთხვევაში ერთდროულად ვითარდებოდა თანასწორობის პრობლემის კვლევა. ანტიკურ აზროვნებაში თანასწორობის ფენომენი პირველ რიგში პლატონის და სხვა ბერძენი ფილოსოფოსების ნააზრევში, ეფუძნებოდა ფორმულას „თითოეულს თავისი“. ასეთი ფორმულა გულისხმობდა თანასწორობას საზოგადოების მოცემულ წოდებრივი ფენის შიგნით, ხოლო სხვადასხვა წოდებრივ ფენებს შორის კი უთანასწორობას.

რაც შეეხება რელიგიურ შეხედულებას, ბიბლიის მიხედვით ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. (სწორედ ამას ვგულისხმობდით შესავალში, როდესაც ვსაუბრობდით, რომ ამ განზომილებაში ადამიანი შემოდის „დედიშობილა“ და ასევე მიდის ამ ქვეყნიდან). ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ღმერთმა თავდაპირველად ერთი ადამიანი „ადამი“ შექმნა, რომლისაგანაც განვითარდა მთელი კაცობრიობა. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ღმერთისთვის ყველა ადამიანი თანასწორია. ქრისტიანულ რელიგიაში ეს საკითხი თვალნათლივ არის წარმოსახული პავლე მოციქულთან წერილში გალატელთა მიმართ: „აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთი ხარტ ქრისტე იესოში“. (ბიბლია, 1989, გალატელთა მიმართ, 3. 28)

თანასწორობის ფენომენი ერთდროულად არის როგორც ფილოსოფიური, ასევე ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი. ფსიქოლოგიური პოზიციებიდან თანასწორობა, შეიძლება ითქვას, ადამიანის შინაგანი პიროვნული მოთხოვნილებაა ჰქონდეს საზოგადოებაში სხვათა მსგავსი მდგომარეობა, რათა არ გამოვიდეს „თეთრი“ ყვავის როლში, რომ ის არავსზე ნაკლები არ არის თავისი უნარებით და სურს იყოს ისეთი, როგორც უმრავლესობაა. თუმცა არიან ისეთი გამონაკლისი ფსიქოლოგიური ტიპები, რომელთაც სურთ იყვნენ სხვებისაგან განსხვავებული. საერთოდ კი, ადამიანებს სურთ და აქვთ თანდაყოლილი სწრაფვა იყვნენ თანასწორნი სხვა ადამიანებთან. პიროვნების ასეთი მდგომარეობა შეესაბამება გაწონასწორებულ ინდივიდს, ანუ ჩამოყალიბებულ პიროვნებას, რომელიც, როგორც ცნობილია, მიიღწევა სწორად წარმართული აღზრდის შედეგად. ფილოსოფიური გადმოსახედიდან თანასწორობა გარკვეულწილად უახლოვდება რელიგიურ წარმოდგენებს თანასწორობის შესახებ. ძირითადად აქ წარმოდგენილია აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ნამდვილი თავისუფლებისა და თანასწორობის პირობებში ეძლევა ადამიანს, ინდივიდს შესაძლებლობა განავითაროს თავისი ნიჭი და უნარები, რათა ჩამოყალიბდეს სრულფასოვან პიროვნებად. რაც შეეხება სოციალური თანასწორობის არსის გაგებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ თანასწორობასთან, ანტიკურობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ეფუძნებოდა პლატონისეულ ფორმულას „თითოეულს თავისი“. ანტიკური ეპოქის შემდეგ აღორძინების ეპოქაში და ცოტა მოგვიანებით განათლებულთა ეპოქაში სოციალური თანასწორობის საკითხმა ისევ შეიძინა აქტუალობა. წინა პლანზე წამოიწია ადამიანთა ბუნებრივმა თანასწორობის კონცეფციამ. ბურჟუაზიული საზოგადოების ჩასახვამ და განვითარებამ წარმოშვა ახალი შეხედულებები ადამიანთა კომუნიკაბელობის და არსებობის სფეროში, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ადამიანთა საზოგადოების წინაშე დამსახურებიდან გამომდინარე მატერიალური და სხვა სახის ღირებულებათა გადანაწილების

პრობლემას. ადამიანთა სოციალური მდგომარეობა აღარ იყო დამოკიდებული ამა თუ იმ სოციალურ ფენების მიკუთვნილობაზე, არამედ ის განისაზღვრებოდა ადამიანის პიროვნული უნარების ხარისხით და დამსახურებით. შეხედულებათა ასეთი რევოლუციურმა ცვლილებამ ახალი ხედვით წარმოშვა ადამიანთა უფლებების გაგება, რომელიც აისახა კონკრეტულად „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“-ში და ლოზუნგში „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“. (Грицапов, 1998, გვ. 168)

თანასწორობის იდეა გაფართოებული სახით წარმოდგენილი იყო კაპიტალიზმის ინდუსტრიული განვითარების ბაზაზე მეცხრამეტე საუკუნეში, თავდაპირველად სენ-სიმონის და ტოკვილის შრომებში. ასე მაგალითად ტოკვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ პირველმა მიაქცია ყურადღება დემოკრატის ისეთ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას თანასწორობისა და თავისუფლების, თანასწორობის და სამართლიანობის იდეათა შორის.

შემდგომში სოციალისტურმა იდეოლოგიამ წინა პლანზე წამოსწია ადამიანთა სოციალური თანასწორობის იდეა. ამ შემთხვევაში თანასწორობას უნდა ამაგრებდეს საკანონმდებლო და მორალური თანასწორობის პრინციპი, ინტელექტუალურ-ცოდნითი ღირებულებების თანასწორად მიღების შესაძლებლობანი (რაც საყოველთაოა და გულისხმობს საყოველთაო უფასო სწავლებას, მეცნიერული კვლევებისადმი და ყველა სახის ლიტერატურისადმი დაუფლების ხელმისაწვდომობას. (Шахназаров, 1959, стр. 9)

დღეისათვის მოდაშია სახელმწიფოთა ერთი შეხედვით ლიბერალური პოლიტიკის საფუძველზე მოწყობა, რაც დემოკრატის ყველაზე აღიარებულ ფორმად ითვლება. ლიბერალიზმის პოზიციებიდან, თანასწორობა პირველ რიგში, კანონის წინაშე თითოეული ადამიანის თანასწორობას გულისხმობს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა რეალური თანასწორობის პოსტულატი პრაქტიკულად, სრულად ვერც ლიბერალიზმში ხორციელდება, რადგანაც ადამიანთა ინდივიდების უნარები და შესაძლებლობები სხვადასხვაა, რის გამოც თანასწორი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერთნაირ შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა თანასწორობის პრაქტიკული განხორციელებისათვის, ძალისხმევა მთელ მსოფლიოში გრძელდება.

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, ასეთი სახის თანასწორობა დღეისათვის შეიძლება ითქვას ზენიტშია. მაგრამ მას აქვს გარკვეული შეზღუდვები ადამიანის ბუნებრივი მოწყობის საფუძველებიდან გამომდინარე, თუმცა მრავალ ეგრეთ წოდებულ მამაკაცურ საქმიანობაში, წარმატებით მოღვაწეობენ ქალები. იდეაში კი თანასწორობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს თანასწორობას სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის, კარგად წარმოსახავს ადამიანთა თანასწორობის პოსტულატის გაგებას, რაც განსაკუთრებით წარმატებულია პოლიტიკის სფეროში, რომლის მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ თამარ მეფიდან მოყოლებული მარგარეტ ტეტჩერისა და ანგელა მერკელის სახით.

ამდენად სრულყოფილი საზოგადოება უნდა შედგებოდეს სრულყოფილი ინდივიდებისაგან, სრულყოფილი პიროვნებებისაგან. სრულყოფილ პიროვნებას სხვა ღირებულებებთან ერთად უნდა ჰქონდეს თავისუფლება და თანასწორობის ღირებულებანი. ჯერ ერთი, თუ ის არ არის თავისუფალი, მაშინ ის რაღაცის ან ვიღაცის იძულების ზეგავლენაშია. მეორე მხრივ, თუ ის არ არის საზოგადოების სხვა წევრებთან თანასწორი ან დაჩაგრულთა რანგში იმყოფება, ან თვითონ არის მჩაგვრელის როლში ორივე შემთხვევაში მის პიროვნულში დარეულია თავისუფალი არჩევანის ფენომენი. ის ვეღარ ჩაითვლება სრულყოფილ პიროვნებად, რომელსაც ძალუმს აღასრულოს ღვთის ნება, აღასრულოს ადამიანის ამ ქვეყანაზე მოსვლის ძირითადი მისია. აღარ შეუძლია აკეთოს კეთილი ქმედებანი და ამდენად ვეღარ იქნება დემოკრატიული ჰუმანური სოციუმის წარმომადგენელი. ამდენად პიროვნების აღზრდაში თავისუფლებისა და თანასწორობის ფენომენის მცნების ჩანერგვას ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება შოთა რუსთაველის ნააზრევს პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ მიჯნურს, ანუ სრულყოფილ პიროვნებას უნდა ამკობდეს ისეთი ცნებების ქონა, როგორებიც თანასწორობისა და თავისუფლების ფენომენებია. ამ ფენომენის როლი მიჯნურად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად არის მიჩნეული რუსთაველის მსოფლმხედველობის მიხედვით. აი რას გვეუბნება რუსთაველი ამ უკანასკნელთა შესახებ:

„მეც გლახაკთა საჭურჭლე ათავისუფლე მონები!“

მოყვანილ ციტატაში ნათლად არის გამოხატული პიროვნების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ თავისუფლება. რუსთაველმა კარგად იცოდა, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ და ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფენ პიროვნების სრულ თავისუფლებას. თუ ადამიანი ეკონომიკურად არ არის უზრუნველყოფილი, თუკი მას არ გააჩნია კერძო საკუთრება, ის ვერც თავისუფალი იქნება და ვერც თანასწორი საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებაში.

რაც შეეხება პიროვნების შინაგან თავისუფლებას, ამის შესახებ საკმაოდ ვისაუბრეთ წინა პუბლიკაციებში, როდესაც შევეხეთ სურვილებზე უარის თქმის პრობლემატიკას რუსთაველთან.

შინაგანი თავისუფლების მეტად მნიშვნელოვანი მომენტია საკუთარი თავის შეცნობა. ამის შესახებ ასევე მნიშვნელოვნად ვიმსჯელებთ რუსთველის აფორიზმის - „თუ თავი შენი, შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ განხილვისას. ღარიბში აქ შეძლება ვიგულისხმობთ საკუთარი სურვილების ტყვეობაში მყოფი ინდივიდი, რომელიც ვერანაირად ვერ იქნება თავისუფალი თუნდაც დიდ სიმდიდრეს, ან თანამდებობას ფლობდეს.

თანასწორობის შესახებ რუსთველი მეტად ხატოვნად გადმოგვცემს შემდეგ სტროფში:

„ვარდთა და ნეხვთა ვისთაგან მზე სწორად მოეფინების“

მზის შუქში რუსთველი გულისხმობს როგორც თავისუფლებას, ასევე თანასწორობას. ისინი ერთად ქმნიან იმ დამოუკიდებელ პიროვნება-მიჯნურს, რომელსაც ძალუმს აკეთოს კეთილი საქმეები როგორც პირადი ბედნიერებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის. მეტად მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის აზრი გენდერული თავისუფლების შესახებ. გავიხსენოთ სტროფი:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“

თანასწორობის ასპექტში, ასეთი მსოფლმხედველობით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველმა დროს გაუსწრო. მან თავისი ნააზრევით იწინასწარმეტყველა დემოკრატიული განვითარების ძირითადი პოსტულატები. შეიძლება ითქვას ერთ-ერთმა პირველმა იქადაგა ლიბერალიზმის პრინციპები, როგორც სოციუმის კეთილი ნებით არსებობის აუცილებლობა. რუსთველის მიხედვით პიროვნების სრულყოფაში ერთ-ერთი მთავარი ასპექტია თავისუფლებისა და თანასწორობის ფენომენი. მონათა გათავისუფლების აუცილებლობის ხაზგასმა საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც იწინასწარმეტყველა რუსთაველმა, განხორციელდა შემდეგ, შვიდი-რვა საუკუნის შემდეგ გახდა რეალობა კაცობრიობის განვითარებაში. რუსთველი გვასწავლის, რომ მარტო საკანონმდებლო წესით თავისუფლება, ანუ ადამიანის გათავისუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის რეალურ თავისუფლებას. აქვე რუსთველს ადამიანის, ინდივიდის რეალური თავისუფლებისათვის შემოაქვს ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხი. მან კარგად იცის, რომ საკუთრების, კერძო საკუთრების გარეშე ადამიანის თავისუფლებას არარეალური სახე აქვს. გავიხსენოთ რას გვასწავლის რუსთველი - მიეც გლახაკთა საჭურჭლე. მისი აზრით, ადამიანი რომ გაათავისუფლო, მას ჯერ „საჭურჭლე“ უნდა მისცე და შემდგომ გაათავისუფლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება თავისუფალი. საკუთრებასთან ასეთი დამოკიდებულების გააზრებით, შეძლება ითქვას, შოთა რუსთველი გვევლინება კაპიტალისტური წყობის ადრეული პერიოდის იდეოლოგად. (როგორც ცნობილია, კაპიტალისტური ფორმაციის მთავარ იდეოლოგებმა, კრომველის ინგლისური და რობესპიერული ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციების ფილოსოფოს იდეოლოგებმა და კლასიკოსმა პედაგოგებმა: ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსომ, შეიძლება ითქვას, გაიმეორეს და განვითარებული სახით წარმოადგინეს შოთა რუსთაველის ნააზრევი სრულყოფილი პიროვნების ფორმირებაში თავისუფლებისა და თანასწორობის ფენომენის როლის შესახებ, რომელიც შემდგომ, XX საუკუნეში, ვალდროფის სკოლაში, მარია მონტესორესთან და ლევ ვიგოტსკისთან უფრო ვრცლად იყო წარმოდგენილი). (ვასაძე, 1998, გვ. 88, 99; Крившенко, 2015, стр. 78, 88) რუსთველს მიაჩნდა, რომ მხოლოდ თავისუფალი (შინაგანად და დეკლარირებულად), თავისი უნარების მიხედვით მატერიალურად უზრუნველყოფილი საზოგადოების სხვა წევრთა თანასწორი ადამიანი, ინდივიდი შეიძლება იყოს სრულყოფილი პიროვნება, რაც საწინდარია და აუცილებელია კეთილი ნების მატარებელი სოციუმის, საზოგადოებრივი წყობის არსებობისათვის.

ბიბლიოგრაფია:

- აბრამიშვილი, ნ. (2016). პავლე მოციქული თავისუფლების შესახებ. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება XXI საუკუნეში“. 13-14 ნოემბერი, 2015* (გვ. 343-346). თბილისი: ჯეოპრინტი.
- ავალიანი, ს. (1987). *ანტონ პირველი (ბაგრატიონი). (ცხოვრება, მოღვაწეობა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა)*. თბილისი: მეცნიერება.
- ბიბლია. (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
- გიყვარდეს გონიერება: *ფილოსოფიური აფორისტიკა* (ტ. 1). (2000). თბილისი.
- ვასაძე, ნ. (რედ.). (1998). *პედაგოგიკის ისტორია*. თბილისი.
- ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია. *თავისუფლება (ფილოსოფია)*. მოძიებულია ვებგვერდიდან: [https://ka.wikipedia.org/wiki/თავისუფლება_\(ფილოსოფია\)](https://ka.wikipedia.org/wiki/თავისუფლება_(ფილოსოფია))
- ორბელიანი, ს. ს. (1965). *თხუზულებანი: ლექსიკონი ქართული* (ტ. 4). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- წერეთელი, ს. (1968). *ანტიკური ფილოსოფია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Грицанов, А. А. (Ред.). (1998). Социальное равенство (social equality). *Новейший философский словарь*. Минск: Книжный Дом.
- Крившенко, Л. П. (2015). *Педагогика*. Москва.

Спенсер, Г. (2014). *Личность и государство*. Москва: Социум.
Фромм, Э. (2009). *Бегство от свободы*. Москва.
Хрестоматия по философии. (1997). Ростов-на-Дону: Феникс.
Шахназаров, Г. Х. (1959). *Социализм и равенство*. Москва.

Paata Kurdadze

Gori State Teaching University

**THE ROLE OF THE PHENOMENON OF FREEDOM AND EQUALITY IN SHAPING A
PERSONALITY ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI
RESUME**

In the article it is discussed the importance of the formation of personality and the role of the phenomenon of freedom equality in the adolescent's worldview. The article states that only inwardly and socially free individual can be considered as a person. The article also provides a brief historical excursion on the historical genesis of the notions of freedom and equality. According to the author, all this was well thought out by Shota Rustaveli and it seems that this factor is necessary and decisive for him. It can be said, this is the cornerstone in a "scab" of personality, who is capable of being a good-natured, God-willing individual. The result of the highest development is the person in the real sense of the word.

Keywords: Freedom, Equality, "The Knight in the Panther's Skin", Christianity.

ზურაბ ჩხიკვაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლელა ხუბულური

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

კომპიუტერული ტესტირების დანერგვა, როგორც შეფასების თანამედროვე საშუალება

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირება, ფურცელზე ტესტირება, კომპიუტერული ადაპტირებული ტესტირება, ინტერნეტ / ქსელური ტესტირება.

კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირება

ტესტირების კომპიუტერით ჩატარების პირველი მცდელობა 1937 წელს აშშ-ი IMB მოდელი 805 „შეფასების მანქანა დანადგარის“ საშუალებით მოხდა, რომელიც შექმნა სკოლის მასწავლებელმა რეინოლდ ჯონსონმა (შემდგომში კომპანია IMB-ის ინჟინერმა). ტესტირების ამ ფორმამ მნიშვნელოვნად შეამცირა შეფასების პროცედურების ხარჯები და მიჩნეულ იქნა როგორც უფრო სანდო შედეგების მომცემი, ვიდრე ხელით შეფასებული ტესტები.

1970, 1980-იან წლებში ტექნოლოგიების სწრაფი ცვლილებების პარალელურად გამოცდების ორგანიზატორებმა დაიწყეს ახალი კომპიუტერული სისტემების გამოყენება ტესტირების პროცესში. კომპიუტერი ახლა უკვე გამოიყენებოდა სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა: ტესტის დიზაინი, კონსტრუქცია, ნიმუში, მართვა, შეფასება, ანალიზი, ინტერპრეტაცია უკუანგარიში. „კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირების“ (CBT) ტექნოლოგიები 80-იანი წლების შუა ხანებში უკვე სკმაოდ

დახვეწილია, მაგრამ ტესტებში კომპიუტერების გამოყენება 1990-იანი წლების დასასრულამდე ვერ იკიდებს ფეხს ტესტის ჩამბარებლებში კომპიუტერის ცოდნის ძალიან დაბალი დონის გამო. ამ მიზეზით TOFL-ის კომპიუტერული ვერსია, რომელიც 1998 წელს აშშ-ი გამომცდელმა შესთავაზეს კონკურსანტებს, ვერ ხდებდა პოპულარული.

კომპიუტერული ადაპტირებული ტესტირება

როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების მკვლევრები აღნიშნავენ „კომპიუტერული ადაპტირებული ტესტირება“ (CAT - Computer Adapted Test) 90-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კომპიუტერით ტესტირების განვითარებაში. მისი საწყისი სისტემები შემუშავდა 70-იან წლებში. მთავარი პრინციპი, რომელიც CAT-ს გამოყენებისას გამოარჩევს არის „პუნქტის რეაგირების თეორია“ (Item Response Theory), რომელზე საუბარიც ახლა ჩვენი სტატიის შინაარსის ფარგლებს სცილდება.

ნებისმიერი CAT ტესტის შესრულების დროს კანდიდატს თავდაპირველად ეძლევა საშუალო დონის საკითხი. თუ მისი პასუხი სწორია, პროგრამა აძლევს უფრო რთულ საკითხს. თუ პასუხი მცდარია - უფრო ადვილს. ამ გზით კომპიუტერი გამოსაცდელს „მორაგებს“ მისი დონის შესაბამის სირთულის ტესტს, რაც ენობრივი უნარების გამოვლენის უყუარო საშუალებაა.

ორი ყველაზე ცნობილი CAT-ის პროგრამებია MicroCat, რომელიც გამოვიდა 1984 წელს, და FastTEST, რომელიც 1999 წელს გამოუშვა ACS კორპორაციამ (Assessment System Corporation). ასევე ბევრი სხვა ტესტირების ორგანიზაცია ჩართულია CAT-ის სისტემების შემუშავება-განვითარებაში. მაგალითად, იუტას შტატის (აშშ) ბრიგამ იანგის უნივერსიტეტმა (BYU) შეიმუშავა CAT-ის პროგრამა ფრანგული, გერმანული და ესპანური ენებისათვის. ასევე, კემბრიჯის უნივერსიტეტის საგამოცდო სინდიკატმა (UCLES) შეიმუშავა CAT-ის პროგრამები სხვადასხვა ენებისა და მიზნებისათვის. დღესდღეობით CAT-ის პროგრამები ტესტირების ყველაზე პოპულარული საშუალებებია. მას ბევრი უპირატესობა აქვს ფურცელზე კალმით შესრულებული ტესტირების შეფასებასთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, იგი მოიცავს უზარმაზარ ბაზას საკითხებისა, რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს გამოსაცდელის საჭიროებებს. მეორე, თითოეული კანდიდატის ტესტი განსხვავებულია მეორისაგან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ტესტების დაცულობას. მესამე, პროგრამის მიერ საკითხების დონეების მიხედვით შერჩევა დროისა და რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. მეოთხე, შედეგები სახეზეა ტესტის დასრულებისთანავე. და ბოლოს, მას შეუძლია გამოავლინოს ტესტირების კანდიდატის დაბალი, საშუალო ან მაღალი შესაძლებლობები უმოკლეს დროში. (Fulcher, 2000) კიდევ შეიძლება დავამატოთ, რომ ტესტირების ეს სახეობა მიჩნეულია უფრო კომფორტულ საშუალებად, რადგან პროცესში არ ხდება კანდიდატისათვის გამაღიზიანებელი ძნელი ან ადვილი საკითხების მიწოდება. ტესტირების ეს ფორმა პედაგოგიურად უფრო გამართლებულია, ვიდრე ფიქსირებული ფორმატის ტესტები. (Alderson, 2000, p. 596)

როგორც ფულჩერი თავის სტატიაში (2000) აღნიშნავს CAT-ს აქვს ასევე უარყოფითი მხარეებიც. პირველი, ამა თუ იმ პროგრამის საკითხების ბაზის შევსება შრომატევადი და ძვირადღირებული მხარეა. მეორე, ასევე შრომატევადია შესაფერისი მასალის მოძიება და საკითხების დაკომპლექტება. მესამე, ტესტების სირთულის ცვალებადობიდან გამომდინარე ნიმუში საკითხის ვალიდობა. და ბოლოს, ფურცელზე შესრულებული ტესტირებისგან განსხვავებით საკითხს ვერ „გამოტოვებ“, რომ შემდეგ უკან დაუბრუნდე და დაასრულო.

ინტერნეტ ტესტირება

ინტერნეტით ტესტირება ან კიდევ როგორც მას როვერი (2001) უწოდებდა ქსელური ტესტირება (WBT - web-based testing) ეს არის ენის ცოდნის დონის დადგენა ინტერნეტ ქსელის საშუალებით. ტესტები შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას მომხმარებლის კომპიუტერში. ეს ჩვეულებრივი CBT და CAT-ის ტესტების ახალი ტექნოლოგიებით შესრულების შესაძლებლობებია, რომელთაც ხმოვანი და ვიდეო ფაილებიც ახლავთ თან. კითხვაზე პასუხი - თუ რა უპირატესობა აქვს WBT ტესტირებას მანამდე არსებულ კომპიუტერულ ტესტირებებთან შედარებით: იგი უფრო მოსახერხებელია დროისა და ადგილის თვალსაზრისით. ინტერნეტ ტესტირება მომხმარებელს შეუძლია გაიაროს სადაც სურს და როცა სურს მხოლოდ კომპიუტერისა და ინტერნეტის არსებობის შემთხვევაში;

WBT ტესტირება უფრო მოქნილია მათი დიზაინის თვალსაზრისით. მთელი რიგი ჩარჩოების სახით მომხმარებელს შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს ტექსტები, სურათები, აუდიო და ვიდეო მასალა; ხელი მიუწვდეს სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან ან ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან; ტესტირების ქულები დაუყოვნებლივ მიეწოდება შემფასებლებს; თანაც, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, WBT ტესტირება ძალიან იაფია მასში მონაწილე ყველა მხარისათვის.

DIALANG ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინტერნეტ ტესტირების პროექტია, რომელიც 14 სხვადასხვა ევროპულ ენაში უნარ-ჩვევების შეფასების საშუალებას იძლევა. მაგრამ პროგრამას აქვს საშიშროება ჰაკერების მხრიდან გატეხვისა, რომელიც მეტად პრობლემურია, როცა ტესტირება მაღალი ენობრივი კომპეტენციის შეფასებას ეხება.

მიმდინარე კვლევა

რადგან კომპიუტერული და ინტერნეტ ტესტირება არ წარმოადგენს მეტყველებისა და წერის პროდუქტული უნარების შეფასების ეფექტურ გზებს, ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მათი შეფასება უნდა მოხდეს ბუნებრივი ენობრივი პროცესების გზით ან მეტყველების ავტომატური ამომცნობით. ბოლოდროინდელ კვლევაში ჩაპელმა და ჩუნგმა (2010) განიხილეს საზოგადოდ გამოყენებული მეტყველების შეფასების სიტემის ორი ნიმუში: PhonePass და Speech Rater SM v 1.0. და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მეტყველების ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენების რამდენიმე მცდელობა იქნა განხორციელებული, როგორც მეტყველების უნარ-ჩვევის შეფასების საშუალება.

1997 წელს ბერშტეინის მიერ გამოკვლეული იქნა PhonePass-ის პროგრამა. ტესტი, რომელსაც ჯერ კიდევ იყენებენ ზოგიერთ საგანმანათლებლო სივრცეში, მიზნად ისახავს მეორე უცხო ენის შემსწავლელთა მოსმენისა და მეტყველების უნარის შეფასებას. იგი მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს, როგორიცაა ხმამაღალი კითხვა, წინადადებების გამეორება და მოკლე კითხვებზე პასუხის გაცემა. პროგრამის მთავარი ფუნქცია იყო მეტყველების ამომცნობი ტექნოლოგია, რომელიც ტელეფონზე გაცემულ პასუხებს აფასებდა.

Speech Rater sm არის მეტყველების შეფასების ავტომატური სისტემა, რომელიც გამოიყენება TOEFL-ის ინტერნეტით საუბრის უნარის ტესტირებისას (iBT). კანდიდატი ფასდება გაბმული მეტყველებით, ლექსიკა გრამატიკის ცოდნით, სიტყვებისა და ფრაზების სწორი წარმოთქმით. ზოგი ანალიტიკოსი კრიტიკულია Speech Rater SM ვალიდურობასთან მიმართ. მაგალითად, კლაუზერი კეინი და სვანსონი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია ტესტების შედეგების განხილვის შედეგად მიღებულ დასკვნებში. ისინი ახლებურად უდგებიან ტესტის შესაბამისობას, როგორც უფრო მეტს, ვიდრე არსებული ურთიერთობა ჩვეულებრივ შეფასებასა და ავტომატურ შეფასებათა პროცედურებს შორის.

ამავე თვალსაზრისით, მაგრამ ამჯერად წერითი დავალების შეფასების სფეროში, საგანმანათლებლო ტესტირების სამსახურმა (ETS) შეიმუშავა ელექტრონული შემმოწმებელი e-rater, რომელიც აფასებს გამოსაცდელის წერით სამუშაო ესეს. დღეს e-rater გამოიყენება მენეჯმენტის სამაგისტრო ტესტში GMAT-ში, მაგისტრატურის დამამთავრებელ გამოცდაში GRE-ში, TOEFL iBT-ის დამოუკიდებელ წერილობით დავალებაში და სხვა.

სამომავლო პერსპექტივები

ყველა სხვა ენის კვლევების მსგავსად პროგრამის ქმედითუნიანობის კონცეფცია მთავარია კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირების სფეროშიც. CBT-ის პროგრამების განახლება მოთხოვნილებების შესაბამისად მკვლევართა მუდმივი ყურადღების ობიექტს წარმოადგენს. მათ მიერ მრავალი კვლევა ჩატარებული პროგრამების ტიპებსა და გარკვეულ მიზნებთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე. ყოველთვის მნიშვნელოვანია ზუსტად იცოდეთ თუ რას ზომავს და აფასებს ტესტი. ალდერსონის აზრით კვლევა ყოველთვის სჭიროა, „იგი გამოავლენს მეტს ტესტის ვალიდურობის შესახებ, რომელიც საშუალებას მოგცემს წინასწარ განვჭკრიტოთ ამა თუ იმ მეთოდით ტესტირების შედეგები და გავითვალისწინოთ მიწოდების საშუალებები“ (გვ. 63). იგივე ნაშრომში მითითებულია, რომ საჭიროა კვლევის განრიგი, რომელიც დეველოპერებს დაეხმარება ყველაზე ეფექტურ და მნიშვნელოვან გამოხმაურებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი საუკეთესო გზაა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, ასევე სათანადო ინფორმაციის გააზრებისათვის. ასევე, ტექნოლოგიების გავლენის გამოკვეთაში სწავლა, სწავლებასა და სასწავლო გეგმებში. და კიდევ ფულჩერის (2000) აზრით, კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირების დროს გასათვალისწინებელია ეთიკური ასპექტი, როგორც ეს ხდებოდა ფურცლითა და კალმით ტესტირების დროს: გამოსაცდელის ასაკი, სქესი, განათლება, სამუშაო გამოცდილება და ტექნოლოგიებთან ურთიერთობის გავლენა ტესტის შეფასებაზე.

ფულჩერი ასევე ეხება სამომავლო მეოთხე თაობის შეფასებათა სისტემას, რომელიც განსაზღვრულია ენის სწავლების ტრადიციების გამოსათვლელად. ხელოვნური ინტელექტის (AI) მიღწევათა უპირატესობა გამოიხატება შემდეგში: სისტემას შეეძლება ივარაუდოს ინდივიდების პროგრესი ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით.

რაც შეეხება NLT და მეტყველების ამომცნობ ტექნოლოგიებს, მიმდინარეობს მუშაობა, რომ კომპიუტერმა გააუმჯობესოს ენობრივი შეფასების ეფექტურობა. როუტერი (2001) ხაზს უსვამს, რომ

„ინტერნეტი მნიშვნელოვნად აფართოებს კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირების ხელმისაწვდომობას თავისი ყველა უპირატესობით და მომავალში უდავოდ გახდება ტესტირების უმთავრესი საშუალება“ (გვ. 92).

კომპიუტერული ტესტირების უპირატესობანი

დროისა და ადგილის თვალსაზრისით, კომპიუტერით ტესტირებას დიდი უპირატესობა აქვს, რადგან კანდიდატებს შეუძლიათ აირჩიონ სად და როდის უნდათ ტესტების გავლა. ეს მათ საშუალებას აძლევს, რათა დაგეგმონ სასწავლო ან წინასწარ მომზადების პროგრამა თავიანთი განრიგის შესაბამისად, შეარჩიონ მათთვის სასურველი საგამოცდო ცენტრი და გამოცდის ადგილი;

ტესტირების ეს ფორმა განსაკუთრებით ფასეულია სასერტიფიკატო პროგრამებში, რაც, როგორც წესი, გულისხმობს თანამშრომელთა ტესტირებას სამუშაო ადგილებზე, მით უმეტეს, თუ კომპანიას არ სურს, რომ მათი მენეჯერი სამსახურში არ იმყოფებოდეს გამოცდების გამო;

მხედველობადაქვეითებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ ტექსტის გადიდების, ციფრული გამაღიანებელი სათვალის და კონტრასტის ფუნქციები იმავე ტესტში, რასაც სხვა გამოსაცდელი გადიან;

ორგანიზატორებს შეუძლიათ საგამოცდო კომპიუტერებში შეიტანონ სამეცნიერო ან ფინანსური გამომთვლელი, ან თუნდაც Excel. ამ გზით, ისინი თავიდან აიცილებენ კალკულატორების აკრძალვის დილემას, მაგალითად, რომელიც შეიძლება „შპარგალკის“ გამოყენების რისკს წარმოადგენდეს;

ექიმთა ტესტებში შეიძლება შევიდეს ტომოგრაფიების გამოსახულებები, რომელთა დეტალურად განხილვა შესაძლებელია სპეციალური გამაღიანებელი „შუშის“ გამოყენებით;

ენობრივ ტესტებში ინდივიდუალურად შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიდეო და აუდიოფაილები, რათა თავიდან აიცილოთ კოლექტიური ყურებით გამოწვეული შესაძლო სტრესი, დაბნეულობა და უხერხულობა;

ტესტირების სპეციფიკიდან გამომდინარე ორგანიზატორებს შეუძლიათ შეაირჩიონ საცნობარო ან დამხმარე მასალა, მაგალითად, კანონებიდან ამონაწერი, მნიშვნელოვანი მათემატიკური ან სხვა ფორმულები;

კანდიდატს შეუძლია ადვილად გამოტოვოს საკითხები, დაბრუნდეს უკან და ხელახლა გადახედოს თავის პასუხებს მაუსის დაწკაპუნებით. ასევე შეუძლია უპრობლემოდ შეცვალოს ისინი პასუხების ფურცლის „გადაჯდაბნის“ გარეშე. ასევე, კანდიდატს შეუძლია მაშინვე ნახოს თავისი შედეგი, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან დამომდინარე, ელექტრონულად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ლოდინის ემოციებს და ასევე, უზრუნველყოფს შედეგების კონფიდენციალობას;

CBT ხელს უწყობს ტესტირების გავლას უფრო თანამედროვე, რეალისტურ, სამართლიან და ნაკლებად სტრესულ გარემოში;

შესაძლებელია ტესტის ნიმუშში შევიტანოთ განმარტებები სწორი და არასწორი ვარიანტების შესახებ. ეს ფუნქცია ძალიან კარგად ემსახურება სასწავლო პროცესის საჭიროებებს, რადგან იგი აერთიანებს შეფასებისა და ტესტის შემდგომ სწავლების პროცესებს;

საგამოცდო ტესტის საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნების გაკეთება შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-პორტალის შესაბამის გვერდზე;

ტესტს შეიძლება დაერთოს ბოლოს უკუკავშირის კითხვარი, რომელიც შეეხება ტესტირების შინაარსის ხარისხის შეფასების, როგორც ზოგად მხარეს, ასევე კონკრეტულ საკითხებს, როგორიცაა პროფესიული გამოცდილება და მომზადება სახელდობრ ამ ტესტის გასავლელად;

რეგისტრაციის პროცესში მოთხოვნილი ინფორმაციები (ასაკი, პოზიცია, ადგილმდებარეობა და სხვ.) მონაცემთა ფასეულ ბაზას შეადგენენ ტესტირების ორგანიზატორთა ხელში. მათი გამოყენება გაცილებით სწრაფადაა შესაძლებელი კომპიუტერული ტესტირების დროს, ვიდრე ფურცელზე შესრულებული ტესტირებისას;

შედეგები და სერტიფიკატები შეიძლება გამოქვეყნდეს ციფრულად, რითაც შემცირებულია დოკუმენტებთან დაკავშირებული თაღლითობის შესაძლებლობა - სისტემის იმავს ტრიქონში, რომელიც მან გამოიყენა პირადი მონაცემების შეტანისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით;

ეს ანალიზები აგრეთვე ხელს უწყობს ორგანიზაციებს სადავო საქმეებში, რადგან თითოეული ტესტის თითოეული ჩანაწერი და კანდიდატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება, ყოველთვის შენახულია.

დასკვნა

სტატიაში განხილულია კომპიუტერზე დაფუძნებული ტესტირების თანამედროვე მიღწევები. განხილულია სხვადასხვა სახის კომპიუტერული სისტემები, რომლებსაც იყენებდნენ წარსულში. მიმოხილულია მათი თანამედროვე ვარიანტების პრაქტიკაში გამოყენება და სამომავლო ტენდენციები.

მკვლევარებს აქვთ საზოგადოების ინფორმირების პასუხისმგებლობა ახლად შეთავაზებულ ტესტირების პროცედურებზე.

ტესტირების პროცესის ნაყოფიერად წარმართვისათვის საჭიროა მომხმარებლებმა აიმაღლონ კომპეტენციები ტესტირების თანამედროვე ტექნოლოგიებით ადმინისტრირებაში. ხოლო, შესაბამისი ინსტიტუტები რაც შეიძლება დროულად გადავიდნენ კომპიუტერული ტესტირების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, როგორც წარმატების უტყუარ წინაპირობაზე ნებისმიერ ინსტიტუციურ დაწესებულებაში.

ბიბლიოგრაფია:

- Alderson, J. C. (2000). Technology in testing: the present and the future. *System*, 28 (4), 593-603.
- Burstein, J., Frase, L. T., Ginther, A., & Grant, L. (1996). Technologies for Language Assessment. *Annual Review of Applied Linguistics*, 16, 240-260.
- Chalhoub-Deville, M. (2001, May). Language testing and technology: Past and future. *Language Learning & Technology*, 5 (2), 95-98.
- Clauser, B. E., Kane, M. T., & Swanson, D. B. (2002). Validity Issues for Performance-Based Tests Scored With Computer-Automated Scoring Systems. *Applied Measurement in Education*, 15 (4), 413-432.
- Dunkel, P. (Ed.). (1991). *Computer assisted language learning and testing: Research issues and practice*. New York: Newbury House.
- Fulcher, G. (2000). Computers in language testing. In P. Brett, & G. Moterram (Eds.), *A special interest in computers: Learning and teaching with information and communications technologies* (pp. 93-107). Manchester: IATEFL Publications.
- Parhizgar, S. (2012). Testing and Technology: Past, Present and Future. *Theory and Practice in Language Studies*, 2 (1), 174-178.
- Prepona. (2018, May 23). *Paper Based Test or Computer Based Test: Which one is the best?* Retrieved from <http://www.prepona.com/news/?p=1012&lang=en>
- Roever, C. (2001). Web-based Language Testing. *Language Learning & Technology*, 5 (2), 84-94.
- Stanfield, C. (Ed.). (1986). *Technology and Language Testing*. Washington: DC: TESOL.
- Thurlow, M., Lazarus, S. S., Albus, D., & Hodgson, J. (2010). *Computer-based Testing: Practices and Considerations (Synthesis Report 78)*. Minneapolis, MN: University of Minnesota, National Center on Educational Outcomes. Retrieved from <https://nceo.umn.edu/docs/OnlinePubs/Synthesis78/Synthesis78.pdf>

Zurab Chkhikvadze

Gori State Teaching University

Lela Khubuluri

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

IMPLEMENTATION OF COMPUTER BASED TESTING AS CONTEMPORARY MEANS OF EVALUATION AND ASSESSMENT RESUME

The emergence of new technologies is perceived as a "normal" event in the eyes of the users shortly after their introduction. But the area of language learning and testing is more or less exception. This is an area where the use of technology is not yet a common occurrence and is constantly under change. Modern computer technologies used for study languages and evaluation are viewed with a bit of skepticism and even a kind of fear. Therefore, it is necessary for the representatives of the relevant institutions to get acquainted with the theoretical and practical innovations that have been achieved in conducting computer-based testing.

The article presented here is about the use of computer technology in teaching and evaluation English as a second foreign language.

Keywords: Computer based testing, Sheet testing, Computer-adapted testing, Internet/network testing.

DESIGNING MEANINGFUL ASSESSMENTS TO USE IN THE CLASSROOM

Abstract

Designing assessments for is often a problematic experience for academic staff, a challenge that is magnified in today's highly internationalized student environment. While teaching, we commonly refer to these tools as assessments, and they are an integral part of teaching and learning. Quizzes, tests homework, worksheets, journals, games, and activities are all tools we use to understand to what depth our students are learning the skills we teach.

In this article we will focus on making and designing meaningful assessments to use in the English language classroom.

Keywords: Meaningful assessment, Practicality, Validity, Reliability.

Considerations in Assessment

Assessment has three major functions. First, it is the means by which student learning is fostered. Because student effort is understandably centered on assessment the way to promote learning that is critical to the course is to make it the focus of assessment.

Second, assessment is the way academics make judgments about the extent to which students have achieved the course learning outcomes. To make this possible, assessment must be aligned with the course learning outcomes in a transparent and explicit way. If the assessment is measuring something other than the course learning outcomes, however valuable those things are in themselves, the course has a major issue with validity. That is, student success in the assessment is not an indicator of achievement of the course learning outcomes.

Third, assessment provides diagnostic feedback to both students and staff. That is, performance in assessment is a powerful indicator of how well students are grasping the substance of the course and, by implication, the effectiveness of teaching.

Test writers consider a number of components when they design large-scale and small-scale assessments. While most teachers are not professional test writers, it is important to recognize and Understand the components of appropriate assessments. These include: practicality, validity, Reliability, authenticity, and wash back. Let's take a closer look at each of these elements.

Practicality

Practicality refers to the ease of design and use for both teachers and learners. (Brown, 2004) Is the assessment easy to give and score? Can the assessment be given and scored within a reasonable amount of time? Occasionally, we are faced with highly detailed assignments or scoring rubrics. On first glance, these assessments seem strong, but when we try to use them we find that they are time-consuming and tedious. Instead, we need give careful attention to the practicality of our assessments in order for them to be considered successful.

Validity

Validity focuses on whether a test accurately measures what it intends to measure. For test writers, validity is by far the most difficult and complicated component to measure. Let's look at an example to see how we might consider validity in a classroom assessment. You and your students have just completed a series of lessons about writing thesis statements. You have spent a lot of time teaching students that each thesis statement must have a topic and a controlling idea. How do we find out if students have learned how to write thesis statements according to our guidelines? One possible assessment is to give learners a topic that is familiar to them and ask them to write a thesis statement about the topic. We must then consider how to score this assessment. We could make the sentence worth three points according to the criteria described in the lessons: a) Is the sentence a complete sentence? b) Is the topic listed? c) Does the writer give a controlling idea? While this may sound simple, it is a valid assessment of writing thesis statements because it measures what has been taught through a similar task.

Content validity refers to the onnections between the items and the subject-related tasks. The test should evaluate only the content related to the field of study in a manner sufficiently representative, relevant, and comprehensible. (Clark, 1975)

Hughes (1989) said that a test is to have content validity if its content constitutes a representative samle of the language skills, structure, etc. with which it is content to be concerned. Hughes (1989) also said that in order to judge whether or not a test has content validity, we need a specification of the skills or structures. That it is meant to cover a principled selection of elements for inclusion in the test. The greater a test content validity, the more likely it is to be an accurate measure of what it is supposed to measure.

Reliability

In order to make a strong assessment, we want to see consistency and dependability across testing (Brown, 2004). Consistency points to the idea that every time an assessment is scored or taken, results will be similar when everything else is equal. If two students of similar abilities take a reliable assessment, then they will get similar scores. At the same time, if two teachers separately score a reliable assessment, they will produce similar results. Reliability is easy to maintain in objective assessments with right or wrong answers but can be more difficult in subjective assessments. For example, we know that the simple past tense for do is did. English language teachers would reliably score did as the correct form of simple past for do. We might see more variation in teachers scoring student presentations where the potential mistakes and successes students make are less clearly identifiable. Reliable rubrics can help ease the bias that scorers bring to assessments or that different types of learners bring to unclear tasks, but full reliability is not always possible. Regardless, we must still work toward creating assessments that reliably produce results and relevant feedback.

According to Clark (1975) said that reliability is in fact a prerequisite to validity in performance assessment in the sense that the test must provide consistent, replicable information about candidates language performance. And Clark (1975) said that there is no test achieve its intended purpose if the test results are unreliable. Reliability in a performance test depends on two significant variables: 1.the simulation of the test tasks, and the consistency of the ratings, and four types of reliability have drawn serious attention: (1) inter-examiner reliability, (2) intra-examine reliability, (3) inter-rater reliability, and (4) intra-rater reliability.

Authenticity

In terms of authenticity, we are looking at the realistic nature of the assessment. In language teaching and learning, authenticity often comes up in both material and assessment design. As English language teachers, it is important to create realistic or authentic opportunities to practice language. Materials, activities, and assessments are measured in terms of how well they prepare learners to communicate outside the classroom. In test design, authenticity is also important. Will the assessment be an authentic and applicable task or too arbitrary for real-world applications? As teachers, we want authenticity so that our assessments will be as relevant and useful to the learning process as possible.

Washback

Washback is an aspect of testing that plays a larger role in testing and assessment than most of us realize. In washback, we are looking at how much an assessment influences our teaching and our students' learning. When we talk about "teaching to the test," we are talking about washback. Well-designed assessments are viewed as the answer to some of our biggest teaching and learning concerns. As a result, we turn away from innovative and relevant lessons to focus on test-related lessons. In such situations, the test becomes the answer, and we become more attuned to preparing students for a test than providing them with all of the skills they need in order to be successful in the English language classroom. As teachers, we need to take special care not to fold to the demands of a strong assessment, but instead, focus on the language needs and goals of our learners.

Bibliography:

- Brown, H. D. (2004). *Language assessment: Principles and classroom practices*. White Plains, NY: Pearson Longman.
- Clark, C. (1975). *Educational Philosophy and Theory*.
- Hughes, A. (1989). *Testing for teachers*. Cambridge and New York: Cambridge University Press.

წითელი ტერორის კვალდაკვალ
(ლადო კოტეტიშვილის მოთხრობის „ემშაკი გალიფეში“ მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: რეპრესიები, წითელი ტერორი, გასაბჭოება, საბჭოთა ადამიანი.

გასული საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლები ქართველი ერის ტრავმული მეხსიერების ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია. რეპრესიების ტალღამ, რომელსაც ბოლშევიკები ახორციელებდნენ ქართული საზოგადოების წინააღმდეგ არისტოკრატია გაანადგურა. გასაბჭოების ავბედითი დღეებია გადმოცემული ლადო კოტეტიშვილის მოთხრობაში „ემშაკი გალიფეში“, რომელიც სულ ახლახანს 2019 წლის 5 ივნისს გამოიცა.

ლადო კოტეტიშვილი¹ ვახტანგ კოტეტიშვილის² ძმა იყო. როდესაც ვახტანგი დააპატიმრეს 1937 წელს, მისი ოჯახის მოვლა თვითონ იკისრა. ლადო კოტეტიშვილში იმდენად დიდი იყო ბოლშევიკებისადმი სიძულვილი, რომ საკუთარი შვილები სკოლაში არ შეიყვანა, სულს დაუმახინჯებნო და სახლში მიაღებინა განათლება. ოჯახში რუსულად აკრძალული ჰქონდათ ლაპარაკი. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დედამ მიიყვანა ბავშვები სკოლაში, უფროსი გოგონა მაშინ ათი წლის იყო.

ამ ინფორმაციას მისი ქალიშვილი, იათამზე კოტეტიშვილი გვაწვდის „კვირის პალიტრაში“ (ავტორი - ლელა ჯიყაშვილი) გამოქვეყნებული ინტერვიუს სახით. (ჯიყაშვილი, 2013) ლადო ყველანაირად ერიდებოდა ჩეკისტებთან ურთიერთობას, ფაქტობრივად ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და სახლშიც არავის უშვებდა, ვისაც მათთან ურთიერთობა ჰქონდა. ასეთი განცალკევების გამო იყო, რომ მას დამბეზღებელიც არავინ გამოუჩნდა, თორემ ისიც ძმის ბედს გაიზიარებდა (ვახტანგი ხომ მეგობარმა დაასმინა). ბავშვებიც სახლში ჰყავდა გამოკეტილი. ნანა კოტეტიშვილი მამის შესახებ გვიყვება: „მამა იმდენად უკომპრომისო იყო, რომ პროფკავშირის სხდომაზე უთქვამს: არ ვარ პროფკავშირის წევრი და არც ვიქნები, რადგან თქვენს ტრავმაში არ ჩაიჯდომება, თქვენს აბანოში არ წაისვლება, ყველგან სიბინძურე და უწესრიგობააო“. (ჯიყაშვილი, 2013)

მიუხედავად იმისა, რომ ლადო კოტეტიშვილის თხზულებები („გველიანდარის მოდგმა“. „კეთროვანთა ზრპრები“, „გოჩმანა“, „მიმქრალი ჩრდილები“) არც ისე დიდი ხანია, რაც ფართო საზოგადოებამ გაიცნო (პირველი ნაწარმოები 2012 წ. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა), თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის გარეშე უკვე წარმოუდგენელია ქართული ბელეტრისტიკა. როსტომ ჩხეიძე წიგნს „ემშაკი გალიფეში“ „ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტს“ უწოდებს და მართალიცაა, რადგან ავტორი პირდაპირ ამხელს ხელისუფლებას, არანაირ შეფარულ ხერხს არ იყენებს თავისი ემოციების დასაფარად და მთელი სიზუსტით გადმოგვცემს „სოვიეტიკური“ ცხოვრების სულ მცირე დეტალსაც კი.

ნაწარმოები 1929 წელსაა დაწერილი, რევოლუციონერთა აღზევების დროს. მოთხრობის გმირი ერთ წიწაკისფერ სახლში ცხოვრობს, სადაც ყველაფერი მიყრილ-მოყრილია და უწესრიგობაა, როგორც იტყვიან არც შეისვლება. ასევეა აფორიაქებული ამ სახლის პატრონის გულიც, რომელსაც გარეთ მყოფი ხალხი ეზიზღება მონური ცხოვრების რიტმს გულმშვიდად და გულმხურვალედ რომ მიუყვება.

ზენო, ასე უწოდებს ავტორი მთავარ პერსონაჟს და მიუთითებს, რომ ბოლო ასო „ნ“ აღარ მიუწერა, რადგან ბოლო დროს საჭირო აღარ გახდა მისი აღდგენა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სახელი „ზენონ“ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის“ პერსონაჟია, რადგან დის გამო შეურაცხყოფილი ზენონი როცა

¹ ლადო კოტეტიშვილი - დაიბადა 1895 წელს, სოფ. დიდ თონეთში (კახეთი). გარდაიცვალა 1940 წ. (45 წლის ასაკში). განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო მედიცინის განხრით (ნევროპათოლოგი). მუშაობდა თბილისში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იყო უფროსი მეცნიერმუშაკი სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. იყო ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი. გამოაქვეყნა „წიგნი საექიმო“ (1936), „იადიგარ დაუდი“ (1938), „უსწორო კარაბადინი“ (1940) (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: ლადო კოტეტიშვილი)

² ვახტანგ კოტეტიშვილი - ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. დ. 1893 - გარ - 1937. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: ვახტანგ კოტეტიშვილი)

კაცის მოსაკლავად მიდის, გზიდან მობრუნდება, ეშმაკეულ ფიქრებს „განაგდებს“ და კიდევ მოიპოვებს ცათა სასუფეველს. მაშინ სხვა დრო იყო და სხვანაირად მოიქცა ადამიანი. ახლანდელმა ზენომ კი ვერ გაუძლო ცდუნებას, ეშმაკისეულ ფიქრებს აჰყვა, კანის (ჩეკისტების) მიერ გამოწვედილ ხელს მაგრად ჩაეჭიდა და კიდევ დამარცხდა, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა. ეს მოთხრობის ერთი მთლიანი მონახაზია, აქამდე კი მან ჯერ საკუთარ თავთან შეჯიბრში უნდა „გამარჯვოს“, ოღონდ ეს „გამარჯვება“ რამდენად სასარგებლო აღმოჩნდება მისი სულისთვის, ეს სხვა საკითხია.

ზენო როცა დაიბადა ორ ნაკლი დაჰყვა; ერთი იყო, რომ ასო „რ“-ს ვერ ამბობდა, ენა ჰქონდა დაბმული და მიუხედავად ოპერაციისა, უფრო მეტად შეჯავრდა ყველა სიტყვა, რაც ამ ასოთი იწყებოდა. (მაგ: რევოლუცია); მეორე ნაკლი კი ის იყო, რომ შუბლსა და ყურს შორის ადგილი ამოწეოდა, ამკარად ჩანდა, რომ შეგნების უნარი ჰქონოდა გადიდებული: „დავაჟკაცების შემდეგ კი ნათლად გამოჩნდა, რომ მეტისმეტად ჰქონდა განვითარებული სინდისი, რაც სრულიად გამოუსწორებელი შერჩა სიკვდილამდის“. (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 15) ამას კიდევ დაემატა ის, რომ სკოლაში უნებურად ეცინებოდა გაკვეთილებზე და ამ დამცინავი ღიმილის გამო ყველას შეაძულა თავი. მწერალს სულ რომ აღარაფერი დაეწერა ამის შემდეგ, ესეც საკმარისი იქნებოდა გვეგრძნო, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას კომუნისტებისადმი.

რევოლუცია მწერლისთვის მიუღებელია, რადგან მას ყოველთვის სისხლი მოჰყვება განსაკუთრებით მაშინ, როცა: „დგება 1921 წელი და რისხვა...“. (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 18) გასაბჭოების შემდეგ, სოფელი სოფელს აღარ ჰგავს და ქალაქი - ქალაქს, ყველგან რკინის ხელი მართავს. ყველა კმაყოფილია და ყველა ერთნაირია, სწორედ ეს აღიზიანებს მწერალს. თუმცა ასე უნდოდა სოციალისტურ ქვეყანას, „და იმ საერთაშორისო სოლიდარობას, რომელიც ძველ ღმერთზე მაღალი და მაგარი იყო“... (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 18)

ზენო მათგან განსხვავებულია, რის გამოც კაცი ორად გახლეჩილია და როცა ხალხის მშვიდ სახეებს უყურებს, ისევ ის დამცინავი ღიმილი აუთამაშდება ხოლმე სახეზე. „საბჭოთა რესპუბლიკაში ყველა კმაყოფილი იყო მკვდრების გარდა, ისინიც უკმაყოფილოები ზამთარში იყვნენ, როცა უმუშევარი ხალხი მათი საფლავებიდან ხის ჯვრებს იპარავდნენ და საკუთარ ქოხებს ითბობდნენ მკვდარი ხალხის ხარჯზე...“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 31)

წინავისფერ სახლში მყოფ ზენოს გალიფისშარვლიანი ეშმაკი ეცხადება, რომელსაც პორტფელი უჭირავს ხელში და მშვიდი საუბრით ცდილობს ზენოს გადაბირებას. (ეს ეპიზოდი გამოძახილს პოვებს გოეთეს „ფაუსტთან“ და იგრძნობა კიდევ მისი გავლენა). ეშმაკი შუა ღამისას ჩნდება და მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დიდი ხანია ღმერთი უარყვას, მაინც რაღაცისა ეშინია. ეშმაკის სახით მწერალმა საბჭოთა სისტემის სიმბოლური სახე დაგვიხატა, რომელსაც ვერავინ მოისყიდის, სწორედ ამით განსხვავდებოდა ის ადამიანთა მოდგმისაგან.

ნაწარმოები ძირითადი ღერძი ზენოსა და ეშმაკს შორის საუბარია. ზენო ცდილობს თავიდან მოიშოროს ეს საზარელი არსება, რომელიც თითქოს რევოლუციას გარდაუქმნია და ახლებური სახე მიუღია, სწორედ ამის გამოა, რომ შავი ურჩხული არწმუნებს თავის მსხვერპლს და გამუდმებით ჩასძახის: „ჰოდა, რევოლუცია, რომელიც ეშმაკსაც გარდაქმნის, ის აუცილებლად დიდი რევოლუციაა“. (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 34) ამიტომ უნდა დაიჯეროს ახალი გარდაქმნების და ისიც უნდა ჩაებას მათ ფერხულში. თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა ეშმაკს ზენოს გადაბირება და გამწარებული დაემუქრა: „მამ, შენ არა გჯერა სოციალიზმის? მამ ვნახოთ სადამდის გაჯიუტდები, ვნახოთ, ვნახოთ...“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 37)

ზენო ყველანაირად ცდილობს საკუთარ თავს აჯობოს, მოიშოროს მეორე მე, რომელიც ლუციფერის სახით ეჩვენება და ტკბილ ცხოვრებას ჰპირდება, არ უნდა დაემორჩილოს მზაკვარ ფიქრებს, იცის, რომ ბავშვობიდან გამოყოფილი ზედმეტი პატიოსნების გამო მასთან ვერ იმეგობრებს, ამიტომ გაემგზავრება განდევნილ ბერთან, რომელიც მარტოდ დაყუდებულია და მასზე არც დროს და არც ჟამს არ უმოქმედნია. კელაში შესულ ზენოს სახარება დახვდება გადაშლილი და ამ სიტყვებს მოჰკრავს თვალს „და ვერ მოასწრებს მამალი სამჯერ დაყვილებას, რომ უარს იტყვი და განმეშორები“. (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 41) სახარებისეული სიტყვები ბევრჯერ გვხვდება ნაწარმოებში და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ავტორს სოციალისტური ეშმაკისა და ქვეყნის შემქმნელი ღმერთის პაექრობის ფონზე მიჰყავს მოთხრობა. რა თქმა უნდა ღმერთი ყველგან და ყველაფერში იმარჯვებს, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როცა უფლის სახელს კომუნისტები ჩაენაცვლნენ, საბჭოთა ადამიანისთვის ძნელი აღმოჩნდა სწორი გზის არჩევა. ზენოს საკუთარმა სინდისმა უკანასკნელად გააფრთხილა, რომ არ განშორებოდა უფალს. ვერც ბერის სიტყვებმა იმოქმედეს მასზე, რომელიც ურყევი რწმენით ადვსილი მოძღვრავდა და ურჩევდა, არ გადაეხვია სწორი გზიდან. ზენო სულგამწარებული ეუბნება: „დავიღალე ბერო, ამდენი წვალებით, აღარ შემძლია, კაცი ვარ და ხო იცი რა ცოტა შეუძლია აიტანოს კაცმა, აბა ერთ წუთს ჩადი დაბლა, იცხოვერე ხალხში, გადაიტანე ეს დიდი წამება და მერე ვნახოთ, იწამებ თუარა ღმერთს...“... შეიყვარე მოყვასი შენო,

როგორ შევიყვარო, როცა მოყვასი მოყვასსა ყვლეფს და პირში ლუკმას აცლის“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 43)

ზენო ამ ადგილიდან მოდის და არ იცის რა გზას დაადგეს, უკან რომ მიიხედავს დაინახავს, დაინახავს თუ მოეჩვენება ორი დიდი სურათი; ერთი ჯვრის მონასტერი იყო, მეორე კი ლენინის ძალიან დიდი ფიგურა. ერთი ზეცისკენ იშვერდა ხელს, მეორე - მიწისკენ, ერთი იყო ქვის და ცივი, მეორე - რკინის და ცხელი. ერთი ძველი იყო, მეორე - ახალი. დიდხანს უყურა ზენომ ამ სურათს და ახალი არჩია. მწერალი საბჭოეთში მცხოვრებ ადამიანის სისუსტეზე მიუთითებს, რომ მისნაირებისთვის ძნელი აღმოჩნდა არჩევნის გაკეთება

ამ დღიდან იცვლება ზენოს ცხოვრება; აღარც ეშმაკი ეცხადება, აღარც გული აქვს გახლეჩილი, კომუნისტთა რიგებში ჩადგება და ისიც ბედნიერია სხვებივით: „რვა წლის განმავლობაში ეს პირველი დღე იყო, ასე დაწყნარებული რომ ადგა ძილიდან“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 64)

მაგრამ ეს იყო დროის დაცინვა, რადგან მასში ადამიანი დროებით კვდება, საკმარისია თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ დემონსტრაციაზე მოხვდეს, რომ მასში ისევ იჩინოს მიძინებულმა პროტესტმა, ყოველთვის ეჯავრებოდა კომუნისტური ზეიმები, დასცინოდა ხოლმე მათ და ახლა ხალხის ტალღას რომ შეხედა ტვინი აერია: „ტრაგედია იხლართებოდა იქ, რომ ყველაფერი სხვისთვის უნდა ექადაგა, (სიტყვით უნდა გამოსულიყო), ესე იგი უნდა ეკეთებინა ის, რისაც თვითონ არ სწამდა, ეს სამსახური და მოსამსახურეობა, ე.წ. „ჩინოვნიკობა“ ყოველთვის ეზიზღებოდა“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 70) უნდა აერჩია: ან საკუთარი პიროვნებისთვის უნდა ეღალატა და ახლა უკვე გამოსაქცევდნენ აღარ ექნებოდა, ან სამუდამოდ დარჩენილიყო სიბინძურეში. ზენო ვეღარ აიტანს ასეთ გაორებულ ყოფას და ეშმაკთან პაექრობის დროს, რომელიც ისევ გამოეცხადება, თავს იკლავს.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლადო კოტეტიშვილმა ამ ნაწარმოებით მართლაც გაიმარჯვა ბოროტ ძალაზე. მან ისეთ დროსა და ვითარებაში ამხილა რევოლუციით მოტანილი საბჭოური ყოფის 20-იანი წლების შემზარავი სურათები, როდესაც ამაზე ერთი სიტყვაც ვერავისთან დამრავდი. ამიტომ სთხოვდა თავის შვილებს, არასოდეს დაებეჭდათ მისი მოთხრობები. დიდი გმირობა იყო 1929 წელს დაწერო ასეთი ნაწარმოები და არ გამჟღავნდეს. მწერალი საოცარი სიცხადით აღწერს კომუნისტური რეჟიმის მიერ გამოფიტულ, ღმერთს დაშორებულ ხალხს. ყველა ერთნაირია, მაგრამ მათ შორის თუ გამოჩნდა განსხვავებული ადამიანი განსხვავებული აზრით, ის ჩუმად უნდა იყოს, თუ ბრძოლას გამოუცხადებს კომუნისტურ მოძღვრებას (ნებით თუ უნებლიედ, ჩუმად თუ ცხადად), აუცილებლად დამარცხდება. ლადო კოტეტიშვილს ისე ზუსტად აქვს დახატული ადამიანის ფსიქო-სოციალური სახე, მათი სულიერი ყოფა, რომ დიდ მწერლურ ნიჭთან ერთად, ალბათ თავისი სპეციალობაც (ნევროპათოლოგია) დაეხმარა პერსონაჟთა სახის დასახატად. ავტორს ნაწარმოების სახელიც, „ეშმაკი გალიფეში“, ისეთი სიმბოლურად აქვს შერჩეული, რომ არა მარტო ბოროტი ძალა, არამედ მისი მსახური ადამიანებიც კი გიდგას თვალწინ. (მაშინ მართლაც გალიფე შარვლებს იცვამდნენ თანამდებობის პირები).

ლადო კოტეტიშვილის მიერ თავის მეგობარ, გრიშასადმი მიწერილ წერილში, ვფიქრობთ ყველაფერია ნათქვამი მისი პიროვნების შესახებ და რა თქმა უნდა ასეთი ღირებულებების მქონე ადამიანი არასოდეს გადაუხვევდა ღვთის გზას: „ხომ იცი, დაბერტყილ და დაცარიელებულ ჩონჩხის მეტს მე მიწას არაფერს მივცემ. რაც კი არის ჩემში გონებრივი, ზნეობრივი და ადამიანური აქ უნდა დარჩეს ამ ქვეყანაზე. ეს იმიტომ კი არა, რომ ან სახელი მაინტერესებს, ან ხარისხი, ან კეთილდღეობა - სრულიადაც არა. მე ვცდილობ მხოლოდ, ვიყო ადამიანი, სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მაღალი კლდიდან რომ დააგორეს, ძირამდის ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვთიც არ შეშლია - რატომ? იმიტომ რომ სწორედ იყო გაკეთებული“ (კოტეტიშვილი, 2019, გვ. 03) მის პატიოსნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ღარიბ ხალხს უანგაროდ ემსახურებოდა და წამლის ფულსაც ამღევდა. იგი 1940 წელს გარდაიცვალა და, ალბათ, დიდხანს რომ ეცოცხლა რამდენ შეუდარებელ ნაწარმოებს დაუტოვებდა ხალხს სულის საკვებად.

ბიბლიოგრაფია:

კოტეტიშვილი, ლ. (2019). *ეშმაკი გალიფეში*. თბილისი: ჩვენი მწერლობა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიოგრაფიული ლექსიკონი: ვახტანგ კოტეტიშვილი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001154/>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიოგრაფიული ლექსიკონი: ლადო კოტეტიშვილი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007487/>

ჯიყაშვილი, ლ. (2013 წლის 09 სექტემბერი). ლადო კოტეტიშვილი - „ლიტერატურული პალიტრის“ აღმოჩენა. *კვირის პალიტრა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.kvirispalitra.ge/public/18603-lado-kotetishvili-literaturuli-palitr-is-aghmochena.html>

Nona Ambokadze
Sokhumi State University
ON THE FOOTSTEPS OF RED TERROR
(ACCORDING TO LADO KOTETISHVILI'S BOOK "A DAVIL IN GALIPHES")
RESUME

The research topic is about human's rights of occupied territories in Georgia By Russia, which include 20-30s years of the last century. According to one person's example this article analyzes the soviet repressing methods to make people obey them.

Suicides were very frequent, because not many could endure Bolsheviks' pressure.

This work is also very interesting because, the writer Lado Kotetishvili has had all these repression on his own family. He was introduced to the public not long ago and maintained a good reputation in Georgian fiction.

The story "A Davil in Galiphes" is shown the soviet human's phsico-social condition with all its quality and through his/her slavery life "Devils" tempterness is more visible and behind this there is an iron curtain of a great empire. And if you are not mentaly strong "The Red Devil" will beat you.

Keywords: Repressions, Red Terror, Soviet people.

ნანა არახამია, მირანდა თოდუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსი მწერლები ქართულ ლიტერატურულ პროცესებში

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ტექსტი, კულტურულ-ლიტერატურული, ურთიერთობები, წერა.

თარგმანს, როგორც ერთა ურთიერთმიმართების მიღწევის ერთადერთ გზას ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. გარკვეულწილად, თარგმანზეა დამოკიდებული ჩვენი კულტურული ღირებულებებიდან რამდენი და რა სახით შევა ერთიან მსოფლიო კულტურულ საგანძურში.

თარგმანის ფენომენით ინტერესდებოდნენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები და სხვები. საუკუნეების მანძილზე მრავალი აზრი და შეხედულება გამოთქმულა თარგმანის დანიშნულებასა და მის აუცილებლობაზე. მრავალი თეორიული გამოკვლევა მიემდვნა ამა თუ იმ თარგმანს და თარგმანის ფენომენს.

თარგმნა, ერთი მხრივ, როგორც ერებსა და კულტურებს შორის ურთიერთობის პროცესი და, მეორე მხრივ, თარგმანი, ანუ თარგმნილი ტექსტი, როგორც ამ ურთიერთობის შედეგად შექმნილი ლიტერატურული ფაქტი, ძველთაძველი მოვლენაა და კაცობრიობის ცივილიზაციის პირველივე საფეხურზე ჩნდება. თარგმანი უხსოვარი დროიდანვე ახალი, ეროვნული მწერლობის შექმნაში არათუ მონაწილეობს, არამედ ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც ასრულებს. ქართული მთარგმნელობითი მეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, წმინდა ეფრემ მცირემ, ჯერ კიდევ ათასი წლის წინ, დასახა თარგმნის შერჩევის ის ზოგადი პრინციპი, რომლებიც, მთლიანად ქართული მწერლობის მთარგმნელობითი პრაქტიკის ერთ-ერთ ამოსავალ საფუძვლად იქცა. ქართული კულტურის კერებმა ქ. თბილისის მონასტერი, გარეჯა, იყალთოს აკადემია, ცურტავი, შიო მღვიმე, ბოლნისი, რუის-ურბნისი, წილკანი, ალავერდი, გრემი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოში მთარგმნელობითი და ასევე კულტურულ-ლიტერატურული პროცესების განვითარებას. ქართველები

მიმართავდნენ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა, რათა ქართულ ენაზე გადმოედოთ აქ შექმნილი თხზულებანი.

როდიდან იღებს სათავეს მთარგმნელობითი კულტურა საქართველოში? რა როლი დაეკისრა თარგმანს ძველსა და მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში? რა ინტერესებით სულდგმულობდნენ აღნიშნული პერიოდის ქართველი მთარგმნელ-მოაზროვნეები? რა იყო მათი საერთო მიზანი? როგორია ძველსა და ახალ ქართულ მწერლობაში მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესების კულტურულ-ლიტერატურული დინამიკა? აი, საკითხთა წყება, რომლის ირგვლივაც გვიწევს საუბარი ჩვენს ნაშრომში.

მე-5-მე-10 ს. და გვიან ხანებშიც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად იგრძნობოდა ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა, განათლების დონის თანდათანობით ამაღლება, ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური გათვითცნობიერება. ყოველივე ამაში დიდი როლი შეასრულა ქართველთა ურთიერთობამ სხვა ხალხებთან, უცხო ლიტერატურულ სამყაროსთან, ქართველ მწიგნობართა მიერ ბერძნული, სომხური, სირიული, არაბული, სპარსული, რუსული და სხვა ენებიდან თარგმნილმა ლიტერატურამ. თარგმნილი წიგნებით მდიდრდებოდა ქართული მწერლობა, ქართველ მოღვაწეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მეზობელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ კერებთან, მეცნიერული აზროვნების ცენტრებთან. (მენაბდე, 1980, გვ. 10)

1005-1019 წლებში მოღვაწეობდა ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, მთარგმნელი, სასულიერო მოღვაწე, სალიტერატურო სკოლის მამამთავარი ექვთიმე მთაწმინდელი. მან დიდი წვლილი შეიტანა ბიზანტიური კულტურის გაცნობასა და ათვისების საქმეში. მან ქართული მწერლობა გაამდიდრა ბიზანტიელი მოღვაწეების თხზულებათა თარგმანებით. ძველი და ახალი აღთქმის წიგნთაგან ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა სახარება ოთხთავი, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება (აპოკალიფსი) და დავითნი. მის მიერ თარგმნილ ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან აღსანიშნავია ანდრია კრეტელის „თარგმანი იოანე მახარებლის ხილვისაი“ და სხვ. ასევე თარგმნა გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანელის, მაქსიმე აღმსარებლის და სხვათა ეგზეგეტიკური თხზულებანი. მთარგმნელია მრავალი ჰომილეტიკური ძეგლისა. ექვთიმე მთაწმინდელმა ჰაგიოგრაფიაშიც დატოვა ღრმა კვალი. მნიშვნელოვანია მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი კანონიკური სამართლებრივი ძეგლები, მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები და ე.წ. მცირე სჯულის კანონი, რომელსაც დაურთო განმარტებებიც. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნის საქართველოში სამართლის განვითარებაზე. ფილოსოფიისადმი ექვთიმე მთაწმინდელის ინტერესის მაჩვენებელია იოანე დამასკელის შრომათა თარგმანები.

ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანები უაღრესად თავისებურია, მისთვის უცხოა დედნის ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოღება. ის ავრცობდა ან ამოკლებდა სათარგმნ თხზულებას, შეჰქონდა სხვადასხვა წყაროდან ამოკრეფილი ცნობები და ხშირად საკუთარი დამატებები და კომენტარები. ეფრემ მცირეს თქმით, „ხელეწიფებოდა შემატებაცა და კლებაცა“.

ქართული თარგმანის თეორიის რეკონსტრუქტორად არის მიჩნეული მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ეფრემ მცირე. ქეთევან ბეზარაშვილი თავის ვრცელ მონოგრაფიაში: „ბიზანტიური ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით“ აღნიშნავს, რომ „ეფრემი იყო, ვინც პირველად დაიწყო საუბარი თარგმანის თეორიაზე, მხოლოდ მასზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ამ უძველესი მეთოდების რეკონსტრუქცია. თუკი შედარებით ადრეული თარგმანების მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ გვინდა ხოლმე რამე გავიგოთ, პირველ რიგში ბერძნულ-ქართული, ბერძნულ-სომხური, ან ბერძნულ-არაბული ტექსტების შედარების საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნებს, ეფრემ მცირესთან კი თეორიული მოსაზრებებიცაა გამოთქმული. თანაც ეს არის მნიშვნელოვანი, რომ მეთოდმა სწორედ ექვთიმესა და ეფრემთან მიიღო კონცეპტუალური ხასიათი, უფრო ადრე კი შედარებით სპონტანური ხასიათის თარგმანები სრულდებოდა“. (ბეზარაშვილი, 2011, გვ. 65-75) ეფრემ მცირე იყო პირველი, ვინც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ჩამოაყალიბა ლიტერატურულ-თეორიული ფორმულირებები და ქეთევან ბეზარაშვილის წიგნიც ეფრემ მცირეს იმ ანდერძ-მინაწერებს ეძღვნება, სადაც ეს უპვირფასესი ცნობები და ფორმულირებებია დაცული.

ეფრემ მცირის კოლოფონების ისტორიულ ფილოლოგიურ საკითხებზე ასევე ვრცლად საუბრობს მ. რაფავა. კონკრეტულად ეხება ეფრემისეულ გრიგოლ ნაზიანელის თხზულებათა ქართულ თარგმანებს. (რაფავა, 1995, გვ. 120)

ქართველებს გვეამაყება, რომ „ვეფხისტყაოსნის არაერთი თარგმანია შესრულებული მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. მათ შორის ოთხი ინგლისური თარგმანია. საგულისხმოა ისიც, რომ მთარგმნელთაგან მხოლოდ ერთია ქართველი ქალბატონი ვენერა ურუმძე, დანარჩენები კი გახლავთ ინგლისელები: მარჯორი უორდროპი, ქეთრინ ვივიენი, ამერიკელი რობერტ სტივენსონი. საგულისხმოა მარჯორი უორდროპის დის ოლივერ უორდროპის სიტყვები, რომელიც მან მარჯორის მიერ ინგლისურად

თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის გამოცემას დაურთო. იგი წერს: „ათზე მეტი წლის შრომის შედეგად გადაწყვიტა დასრულებულად მიეჩნია შრომა... ამდენი შრომა გასწია და კმაყოფილი მაინც არ იყო. თარგმანი უნაკლოდ მაინც არ ეჩვენებოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართული ენის შესწავლის საქმეს ევროპაში და უნდა ჩაითვალოს იმ კიბის საფეხურად, რომელიც მომავალ მთარგმნელთ სიარულს გაუადვილებს ამ სამნელო საქმეში“. (Rust'haveli, 1912, p. 37)

აღორძინების ხანაში გამოცოცხლდა ეროვნული თვითშეგნება, გაღრმავდა კავშირურთიერთობანი, როგორც აღმოსავლეთთან, ისე დასავლეთთან გაძლიერდა კულტურულ-საგანმანათლებლო ტენდენციები, ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა.

სწორედ ამ პერიოდში ქართველ პოეტთა-მთარგმნელთა ყურადღება მიიქცია კლასიკური სპარსული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებმა, ფირდოუსის მონუმენტურმა პოეტურმა ქმნილებამ „შაჰნამე“, „დიდი წიგნი“, როგორც უწოდებენ მას ირანში. „შაჰნამეს“ ქართული პროზითი ვერსია „უთრუთიან-სამიანი“, რომელიც მისდევს „შაჰ-ნამეს“ ძირითად ხაზს და სიუჟეტურად მოჰყვება როსტომის ამბავს. ამ ვერსიის ნუსხა გადაწერილია მამუკა თავაქარაშვილის მიერ. ოდიშის მთავარ ლევან დადიანის ბრძანებით იგი შემკულია ხალხური სტილით შესრულებული მინიატურებით.

აღმოსავლეთის ხანას განეკუთვნება ცნობილი აღმოსავლური სამიჯნურო-რომანტიკული სიუჟეტების, ამ სიუჟეტებზე შექმნილი სპარსული თხზულებების ლიტერატურული „გარდაქმნა“ გადამუშავებებიც „ლეილმაჯნუნიანის“, „ვარდ-ბულბულიანის“, „შამიფარავანიანის“, „იოსებელიხანიანის“ ქართული თარგმანები. ცნობილია ამ უკანასკნელის თეიმურაზ პირველისა და ანონიმის მიერ შექმნილი ვერსიები.

მე-17-18 საუკუნეებში, ქართული განმანათლებლობის პერიოდში იქმნება დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებები, რომელთა საჭიროება და მათზე მოთხოვნილებაც უადრესად დიდია საზოგადოებაში. იქმნება სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ და ყალიბდება ცნობილი აღმოსავლური ძეგლის „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიები. ვახტანგ მე-6 მიერ თარგმნილი ვერსია (პწკარედული თარგმანი) და სულხან საბას მიერ ვახტანგის თხოვნით „გაჩალხული“ ვერსია. ეს ვერსია სულხან-საბას ავტოგრაფითაა შემონახული.

გერმანიაში მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან გაჩნდა ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი. არაერთი მეცნიერი - ი. ადლერი, ფ. ალტერი, ი. ადელუნგი, ფ. ზოდენშტედტი, ი. შერი, ფ. ფინკი, ო. ჰაუზერი შეეხო საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და მწერლობის საკითხებს. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი გამოკვლევა 1897 წ. დაიბეჭდა ფრაიზბურგში - ალექსანდრე ბაუმგარტნერის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულში, რომელშიც ცალკე თავადაა გამოყოფილი „ქართული ლიტერატურა“.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას და წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას ეხება ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, თეოლოგის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის მ. თარხნიშვილის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო მწერლობის ისტორიის შესწავლას.

„მოქცევაი ქართლიაი“ და ლეონტი მროველისაული „ნინოს ცხოვრება“ გერმანულ ენაზე თარგმნა ქართველოლოგმა იენის უნივერსიტეტის პროფესორმა გერტრუდ პეჩმა. მან 1961 წ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში დააარსა კავკასიურ ენათა ცენტრი. პარალელურად იგი იკვლევდა ქართული ლიტერატურის საკითხებს. მან წერილების ციკლი უძღვნა რუსთველს და მის პოემას, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. გერმანულად თარგმნა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

წმინდა ნინოს სახელი არაერთხელ იხსენიება იენის უნივერსიტეტის პროფესორ ჰაინც ფენრიხის წიგნში. „ქართული ლიტერატურა“ ეს არის ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა დასაბამიდან მე-20 საუკუნის ლიტერატურის ჩათვლით. (მენაბდე, 2007, გვ. 15)

მე-18 საუკუნის გასულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპული რაციონალიზმის საგანმანათლებლო იდეებმა ერთბაშად მიიქცია ქართველების ყურადღება: ალექსანდრე ამილახვარის, დავით ბატონიშვილის, იასე გარსევანიშვილის, დავით ჩოლოყაშვილის და უფრო მოგვიანებით ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილმა და გადმოკეთებულმა თხზულებებმა აზიარეს ქართველობა ევროპის უახლეს იდეალებს და მისწრაფებებს. ამ თარგმანებმა დაუსახეს ჩვენი ხალხის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას მომავლის ის გეგმები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო აღმოსავლეთის კულტურასთან. ეს იყო სწრაფვა ევროპული კულტურისაკენ, რუსული კულტურის გავლენით. „ეს სწრაფვა ქმნის იმ იდენტობათა მაგალითს, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართულ-რუსულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს“ ქართველი მწერლები განიცდიან რუსული და ევროპული მწერლობის გავლენას, მაგრამ ეს გავლენა ძირითადად გარეგნული მხარით და ფორმით გამოიხატებოდა, რასაც ისინი უფარდებენ ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს. აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კი ამ საუკუნის ქართულ მწერლობაში

საყოველთაო მოვლენად იქცა, რაც დასავლური ლიტერატურისადმი გაღვიძებული დიდი ინტერესისა და მისი გავლენის უეჭველი შედეგი იყო. ეს არის მისწრაფება გაამდიდრონ თავიანთი ქვეყანა, ლიტერატურა და არა ის, რომ გახდნენ უბრალოდ გადმომტანები.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწეები რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ლომონოსოვის, კერამზინის, ბესტუჟევი-მარლინსკის, რილევის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებებს. მთარგმნელობით მუშაობას ეწევიან ჩვენი გამოჩენილი მწერლები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები. სწორედ მათი მეშვეობით ხდება იმ ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელთაც სიახლე შემოჰქონდათ ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.

ევროპისა და მისი ლიტერატურისადმი გაზრდილი ინტერესის შესატყვისად ქართულ მწერლობაში თანდათან იზრდებოდა ევროპელი მწერლების თხზულებათა თარგმანის ხვედრითი წონაც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლიტერატურას ყოველმხრივ დევნიდა ცარიზმი. ევროპულ-რუსულ-ქართული ურთიერთობები დამახასიათებელია მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისთვის და არა მარტო ქართულისთვის. რუსული მწერლობა ბაძავს ევროპულს, ხოლო ქართული ორივეს. ამგვარი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“. დოკუმენტურადაა ცნობილი, რომ „სადღეგრძელოს“ წერის პროცესში გრ. ორბელიანი დიდ ინტერესს იჩენდა ვ. ჟუკოვსკის „მომღერლისადმი“. ეს გავლენა არის, როგორც ფორმალურ-კომპოზიციური ხასიათის, ასევე თემატურ-შინაარსობრივი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟუკოვსკის პოემა არ არის აბსოლუტურად ორიგინალური ნაწარმოები. რუს პოეტზეც გავლენა მოუხდენია ინგლისელ მწერალს თომას გრეის ნაწარმოებს „The bard“ (შარაბიძე, 2017)

ალ. ჭავჭავაძე თარგმნის პუშკინის ლექსებს, რომელიც „თბილისის უწყებანის“ ფურცლებზე იბეჭდება. ამ გაზეთთან შედარებით, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1832 წლის პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურო ნაწილის თბილისის უწყებანის“ გამოსვლას ს. დოდაშვილის რედაქტორობით. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა სოლომონ დოდაშვილის თარგმნილი მოთხრობები, პუშკინის ქართული თარგმანები, 30-იან, 40-იან წლებში თეატრმა ქართული საზოგადოების აზროვნების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.

ვახტანგ ორბელიანსა და გიორგი ერისთავს რუსულიდან ქართულად უთარგმნიათ საყოფაცხოვრებო ხასიათის კომედია, რომლის დადგმაზეც ენერგიულად მუშაობდნენ როგორც მთარგმნელნი, ასევე თეატრის მოყვარული ქართველი ახალგაზრდობა. ალ. ჭავჭავაძე თეატრალური ინტერესების ერთ-ერთი გამღვივებელია. იგი ფრანგულიდან თარგმნის რასინის „ესთერს“ და „ვედრას“, კორნელის „სინნას“ და „უდიპს“, ვოლტერის „აღზირა ანუ ამერიკელი“ და „მეროპას“. 1841 წელს ნ. ბარათაშვილმა თარგმნა ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, ხოლო დიმიტრი ყიფიანმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

ამ პერიოდს უკავშირდება რუსი მწერლების განსაკუთრებული ინტერესი ქართული თემისადმი, რასაც გარემო ფაქტორებიც განაპირობებდა. ამ პერიოდში თვითმპყრობელი მეფეები რუს პოეტებს დასასჯელად გზავნიდნენ საქართველოში. (ამის გამო ჩვენს ქვეყანას სამხრეთის ციმბირს უწოდებენ). რუსი მწერლები კი აქ მეორე სამშობლოს და უშრეტი შთაგონების წყაროს ნახულობენ. რუსულმა მწერლობამ, განსაკუთრებით გრიბოედოვმა, პუშკინმა და ლერმონტოვმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. ძლიერი სტიმული მისცეს და ახალი მოტივებითა და იდეებით გაამდიდრეს იგი.

პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა „კავკასიის ტყვე“. მისი რამდენიმე ლირიკული ლექსიც კავკასიას მიეკუთვნება. გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჭკუისაგან“. კავკასია შეიქმნა ახალი დიდი ტალანტის - ლერმონტოვის პოეტური სამშობლო, რომელიც მას მგზნებარედ უყვარდა.

ქართული თემისადმი განსაკუთრებული ინტერესით არის გამოწვეული გრიბოედოვის „მგზავრის წერილები“, ლექსი „იქ სადაც რბის ალაზანი“, „მეყალიონე“. ჩვენი ხალხური ზეპირი გადმოცემის შესწავლის საფუძველზე შექმნა გრიბოედოვმა დრამა „ქართული ღამე“, ხოლო მეორე დრამაში „როდამისტი და ზენობია“, დეკაბრისტების ბრძოლის პრინციპების საკითხი ქართული ისტორიის უძველეს პლასტებთანაა დაკავშირებული. კიდევ უფრო გაღრმავდა გრიბოედოვის ინტერესი ჩვენი სამშობლოს მიმართ მას შემდეგ, რაც დიდმა რუსმა მწერალმა ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე.

რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანით ქართველმა მწერლებმა თითქოს ზნეობრივი ვალი გადაუხადეს რუსული პოეზიის კლასიკოსებს იმ დიდი სიყვარულისთვის საქართველოს მიმართ, რაც მათ ასეთი შთაგონებით გამოხატეს თავიანთ შემოქმედებაში.

ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობის სურვილს რუსეთისა და ევროპისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს შესახებ არაერთი ისტორიული შრომის გამოქვეყნება

რუსულ და დასავლურ-ევროპულ ენებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა გამოჩენილი ქართველოლოგის, მარი ბროსეს მოღვაწეობა. მისი შრომები ქართული ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ქვეყნდებოდა უმთავრესად ფრანგულ და რუსულ ენებზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამ დროს ქართველი მოღვაწეები, საერთოდ, აყენებენ საკითხს ქართული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის შესახებ.

30-40-იან წლებში ხელახალი ძალით განსაკუთრებული ინტერესი აღიძრა „ვეფხისტყაოსნისადმი“. ფრანგულ პრესაში რუსთველის თხზულების მიმართ ყურადღება გაამახვილა მარი ბროსემ, ხოლო 1841 წელს პეტერბურგში გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ მარი ბროსეს, დ. ჩუბინიშვილისა, ზ. ფალავანდიშვილის რედაქციით.

საერთო შეგნება და სურვილი იმისა, რაც შეიძლება მეტი თარგმანით გამდიდრებულიყო ქართული მწერლობა, სათანადოდ აისახა ჟურნალ „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილ მწერალთა მთარგმნელობითი მუშაობითა და ღვაწლით. თარგმანი გახდა ლიტერატურული პროცესის მასტიმულირებელი. ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში თარგმანის მნიშვნელობის შესახებ ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა ვრცელი წერილი „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდან შემოღობის თარგმანზედა“, თუმცა ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე მანამდეც არსებობდა. „სენტიმენტალისტი კოზლოვის“ „შემოღობის“ თარგმანს მთელი ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის უკან დახევას მოასწავებდა.“ სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა ილია მარმონტელის „მეუდაზნოეს“ თარგმნასაც, რომელიც ეკუთვნოდა ალექსი მესხიშვილს. საქმე ის იყო, რომ მარმონტელი სენტიმენტალური ლიტერატურის მიმდევარი იყო, ხოლო ამ პერიოდის სენტიმენტალიზმის ლიტერატურული მონაპოვარი საზოგადოებისთვის უკვე საეჭვო ღირებულებას წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძე სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის საკითხს აყენებდა და მოითხოვდა ისეთი თხზულების თარგმნას, რომელიც ქართული თანადროული ლიტერატურული განვითარების წინაპირობად იქცეოდა... თარგმანით მდიდრდებოდა ენა და მისი ლექსიკური მარაგი, რამდენადაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული კულტურის ახალი ნაკადი შემოდიოდა. (ჩიტაური, 2008)

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ადეკვატური თარგმნის ცნება სიახლეს არ წარმოადგენდა, რადგან თარგმნის რეალისტური პრინციპების ჩანასახი თითქმის ორი ათეული წლით ადრე ჩნდება ნიკო ბერძენიშვილის, დიმიტრი ჩუბინაშვილის, გიორგი თუმანიშვილის და გრიგოლ წინამძღვრიშვილის კრიტიკულ წერილებში.

„ცისკარმა“ ქართველ მკითხველს გააცნო დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“, ვ. ჰიუგოს „საბრალონი“, შილერის „ვილჰელმ ტელი“ და გოეთეს „ეგმონტი“. „ცისკარმა“ აზიარა ქართველობა პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, პეტრარკას, ჰაინეს, ბერანჟეს, კრილოვის და სხვა გამოჩენილ მწერალთა შემოქმედებას. „ცისკარში“ იბეჭდებოდა კოლცოვის, ნეკაროსოვის, დობროლიუბოვის, კორნელის თხზულებები. დიდი ინგლისელის უილიამ შექსპირის უკვდავ ნაწარმოებებთან „ცისკარში“ დაიბეჭდა ოთხი ტრაგედია. ესენია: „ჰამლეტი - პრინცი დანიის“ - თარგმანი არდაზიანისა (1858), „რომეო და ჯულიეტა“ - თარგმანი დიმიტრი ყიფიანისა (1859), „ორი ვერონელი აზნაური“ - თარგმანი დიმიტრი ყიფიანისა (1867), „იულიუს ცეზარ“ - თარგმანი დ. ყიფიანისა (1867). საერთო რაოდენობით თარგმნები სჭარბობდა „ცისკრის“ ორიგინალურ თხზულებებს, რის გამოც ჟურნალმა კოსმოპოლიტური ხასიათი მიიღო.

შექსპირის ნაწარმოებთა თარგმანებიდან აღმოცენდა და განვითარდა ახალი სკოლა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნებისა. ივანე მაჩაბელი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულია, როგორც უზადლო მთარგმნელი შექსპირისა, ამავე დროს, ახალი ქართული მხატვრული მთარგმნელობითი ხელოვნების ფუძემდებლადაც გვევლინება. 1880 წელს ივანე მაჩაბელი თარგმნის „ოტელოს“, 1882 წელი „მაკბეთი“, 1893 წელი „რიჩარდ მესამე“, 1886 წელი „იულიუს კეისარი“, 1891 წელი „ანტონიოს და კლეოპატრა“, 1886 წელი „ჰამლეტი“. (გოგილაშვილი, 2012)

ამდენად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა, თარგმანი, ანუ თარგმნილი ტექსტი, როგორც ამ ურთიერთობის შედეგად შექმნილი ლიტერატურული ფაქტი ძველთაძველი მოვლენაა. ქართული კულტურის კერებმა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ძალიან შეუწყვეს ხელი მთარგმნელობითი და ასევე კულტურულ-ლიტერატურული პროცესების განვითარებას. ადრეულ საუკუნეებში მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესებისაგან განსხვავებით, რომლებიც, სპონტანურ ხასიათს ატარებდნენ, მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე მთარგმნელის, ფილოლოგის და ფილოსოფოსის ეფრემ მცირის მიერ იქნა შემუშავებული თარგმანის თეორიის საკითხები, თარგმანის კონცეპტუალური ხასიათის შესახებ. ეფრემის მიერ შემუშავებულმა თარგმანის ამ თეორიამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი და შემდგომი დროის მოღვაწეთა მთარგმნელობით-ლიტერატურული საქმიანობანი ამ

მეთოდით იყო განპირობებული. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, მთარგმნელი და სალიტერატურო სკოლის მამამთავარი ექვთიმე ათონელიც სწორედ ეფრემისეული თარგმანის თეორიის მიმდევარი იყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა თარგმანის ფენომენი აღორძინების მწერლობის ქართულ ლიტერატურაში. მომრავლდა და დახვავდა სპარსული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშთა თარგმანები. გაჩაღდა ურთიერთობა როგორც აღმოსავლეთთან, ისე დასავლეთთან. ამ პროცესებმა დიდად შეუწყვეს ხელი ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას და კავშირურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან.

ჩვენი ქვეყნის კულტურით და ლიტერატურით უცხოელ მკვლევართა მრავალრიცხოვანი თარგმანები და ასევე ქართული ლიტერატურის კვლევები მიგვითითებს იმაზე, რომ ფართოა ჩვენი მწერლობის ლიტერატურული არეალი მსოფლიო მწერლობის თვალსაზრისით. ასევე უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს ქართულ-ევროპულ ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისითაც.

მე-19 საუკუნეში გაღვივდა ის მინავლული, თითქმის ჩამქრალი მთარგმნელობითი ტრადიცია, რასაც საფუძველი ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად საქართველოში ჩაეყარა. ივანე მაჩაბელმა ამ ეპოქის სხვა დიდ კლასიკოს მოღვაწეებთან ერთად სათავე დაუდეს დახვეწილ ქართულ მთარგმნელობით პრინციპებს. მათი შეხედულებებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპული წესით წარმართვას უკავშირებენ სამშობლოს კეთილდღეობას. მათი საქმიანობა და მხატვრული მემკვიდრეობა, რუსული-ევროპული ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარგმანთან ერთად, აშკარად ადასტურებს ევროპული განათლების დამკვიდრებისა და ფართოდ გავრცელების გაბატონებულ ტენდენციას.

ბიბლიოგრაფია:

- ბეზარაშვილი, ქ. (2011). *ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე*. (ნაწ. 2) თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გოგილაშვილი, მ. (2012). *უილიამ შექსპირის დრამების ქართული თარგმანები XIX საუკუნეში*. დისერტაცია. თბილისი: საქართველოს საპასტორიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
- მენაბდე, დ. (2007). ძველი ქართული მწერლობის ძეგლები გერმანულ ენაზე („მოქცევაი ქართლისაი“ და „ნინოს ცხოვრება“). *ლიტერატურული ძიებანი, XXVIII*.
- მენაბდე, ლ. (1980). *ძველი ქართული კულტურის კერები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რაფავა, მ. (1995). ეფრემ მცირის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ. *ფილოლოგიური ძიებანი* (2).
- შარაბიძე, თ. (2017). ლიტერატურული ურთიერთობანი - იდენტობის ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში (XIX საუკუნე). *Ars Georgica: ელექტრონული ჟურნალი*. მოძიებულია ვებგვერდიდან:
http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=91%3A-xix-&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka
- ჩიტაური, ნ. (2008). ილია ჭავჭავაძის უცნობი პროზაული თარგმანები და მათი ადგილი მწერლის შემოქმედებაში. *ლიტერატურული ძიებანი, XXIX*.
- Rust'haveli, S. (1912). *The Man in the panther's skin: a romantic epic by Shot'ha Rust'haveli*. (M. S. Wardrop, Trans.) London: The Royal Asiatic Society.

Nana Arakhamia, Miranda Todua
Sokhumi State University

RUSSIAN WRITERS IN GEORGIAN LITERATURE PROCESSIONS RESUME

In presented paper is developed the phenomena of the old and new translation of Georgian writing. Translated text - literary fact, created as a result of the relationship between the nations, which in Georgian reality is still lay from the old Georgian literature period. One of the founders of Georgian translation science St. younger Ephrem thousand

years ago established the general principle of translation selection, which has become one of the starting basis of translation practice into Georgian writing. The paper deals with developed by younger Ephrem theory of translation. Also bring up Euthymius the Athonite of Monastery of Iviron translational work and his translation method characteristics.

The paper means details of English translation of epic poem “The Knight in the Panther's Skin”. Particular attention is paid to the Renaissance thinkers and literary translators and translation, oriental culture with their aspirations. We are talking about the interests of European thinkers- translators in relation with Georgian culture.

In 18th-19th ages translation work deepened. By these translations Georgians approached proximal European ideals, aspirations and had nothing in common with East culture. It was the aspiration to European culture avoiding Russian. We present our famous Georgian writers A.Chavchavadze, G.Orbeliani, N.Baratashvili, M.Tumanishvili, V.Orbeliani’s translations. Focusing on European-Russian-Georgian relations. We give an examples of such literary – translational relations. The paper describes the materials, concerning special Russian writer’s interest to Georgian community (Pushkin, Lermontov and other). Touch upon outstanding specialist in Georgian studies Marie-Félicité Brosset translation and cultural literary work. The paper presented translation practice, figured around Georgian doers in magazine “Down” about Ilia Chavchavadze merits, concerning the theory of translation. Discuss Ivane Machabeli’s role and contribution in the new Georgian translation art history and great Shakespearean translations.

Keywords: Translation, Text, Cultural-literatural, Relations, Writing.

*მაია ბოლაშვილი, მარინე ცერცვაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ნოველის განვითარების გზები და თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: ლაკონურობა, ფორმა, ეფექტი, ინტენსივობა, კომპოზიცია.

1937 წელს ელიზაბეთ ბაუენი წერდა, რომ ნოველა ახალგაზრდა ხელოვნებაა... ამ საუკუნის შვილი, რომელიც კინოხელოვნებასა და ფოტოგრაფიასთან ერთად განვითარდა (Bowen, 1937, p. 22) ამ ჟანრის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსის, მერი როუბერტის აზრით, მცირე მხატვრული ნაწარმოები და ლიტერატურის ისტორია თანატოლები არიან, მაგრამ ნოველა, როგორც სახითაც ის დღესაც წარმოდგენილი, ლიტერატურის უახლესი ჟანრია. (Rohrberger, 1976, p. 80)

მცირე პროზის ფესვები მითებსა და ბიბლიურ თქმულებებში, შუა საუკუნეების ქადაგებებსა და რომანებში, იგავ-არაკებსა, ზღაპრებსა თუ ბალადებშია საძიებელი და ასევე მე-18 საუკუნის აღორძინებულ გერმანულ გოტიკას უკავშირდება. თუმცა მისი მითოსური წარმოშობა, რომელმაც რომანტიზმის გავლენა განიცადა, მე-18-19 საუკუნეებში გამეფებულ რეალიზმს ვერ ასცდა. ჩარლზ მეი აღნიშნავს, რომ მცირე პროზაში თავიდანვე აღინიშნებოდა როგორც ძველი რომანტიზმის მეტაფორული ხერხები, ასევე ახალი რეალიზმის მეტონიმური გამოხატვის გზები და საშუალებებიც. (May, 1976, p. 83)

მიუხედავად ნოველის ფორმის თვითმყოფადობისა, იმ სხვა ჟანრებთან შედარებით, როგორცაა, პოეზია, ეპოსი, დრამა და რომანი, მას თეორიულად მაინც უარყოფდნენ. როგორც მეი აღნიშნავს, ჟანრის დამოუკიდებელ არსებობას მხოლოდ მაშინ აღიარებენ, როდესაც მას ლიტერატურის დიდ კონცეპტუალურ კონტექსტში, როგორც მთლიანს, ისე განიხილავენ. ნოველის შემთხვევაში ამ პროცესს საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე, ვინც ამ ჟანრის თეორიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ, არცერთი ლიტერატურის კრიტიკოსი არ ყოფილა და მისთვის ფორმის მოძებნას მხოლოდ პრაქტიკულად ახორციელებდნენ, ხოლო მოგვიანებით ედგარ ალან პომ, ჰერმან მელვილმა და ანტონ ჩეხოვმა არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ თეორიული ნაშრომებითაც

დაადასტურეს სრულიად ახალი ლიტერატურული ჟანრის დაბადება და ჰენრი ჯეიმსმა, ჰენერი ო'კონორმა, ხულიო კორტასარმა და ეუდორა ველთმა, უკვე მე-20 საუკუნეში დიდი წვლილი შეიტანეს მის ფორმირება-განვითარებაში. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მცირე პროზის მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება და მის შესახებ უამრავი კრიტიკული თუ თეორიული ნაშრომიც უკვე არსებობს.

მე-19 საუკუნის შუა წლებში, ედგარ პოს მიერ გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები აშკარად მცირე პროზის უნიკალურობაზე მეტყველებს. მან, როგორც ნოველის ჟანრის პირველმა თეორეტიკოსმა, მსჯელობის საგნად აქცია ფორმის, სტილის, სიგრძის, გემის, ავტორის მიზნების საკითხი და მისი ეფექტი მკითხველზე. ედგარ პომ ნოველა ხელოვნების მაღალ საფეხურზე განავითარა და ხელოვნების დარგებს შორის, პოეზიის შემდეგ მეორე ადგილი მიანიჭა. მისი ყველაზე დიდი წვლილი იმაში მდგომარეობს, რომ მან ნოველაში დამაბულობის, ინტრიგის ელემენტები შეიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე პროზას პოეზიისათვის დამახასიათებელი თვისებები შესძინა და ამ ნიშნებით უზვადაც დატვირთა. ნოველის მცირე და მრავლის გამაერთიანებელი ფორმა, რითიც ის პოეტურ ტექსტს ემსგავსება, არის ზუსტად იმ ეფექტის გამომწვევი მიზეზი, რომლის მიღწევაც რომანში შეუძლებელია. ედგარ პო ასევე აღნიშნავდა, რომ მცირე პროზის ლაკონიურობამ და ინტენსიურობამ „შემოთავაზებთა ფარული ტენდენცია“ შექმნა. პო იყო ნოველის პირველი მკვლევარი, რომელიც ნაწარმოების დასასრულს კომპოზიციურ სტრატეგიათა მნიშვნელოვან და საჭირო ელემენტად მიიჩნევდა და ნოველას კითხვის გამოცდილების კუთხით განმარტავდა. (Poe, 1836, pp. 59-72)

ნოველის მიმართ ტრადიციული შეხედულება ისაა, რომ მას შემოკლებული, გაერთიანებული ფორმა გააჩნია, სადაც სიუჟეტის განვითარების თანმიმდევრულობა დაცულია. ლიტერატურის ამ ჟანრის თეორიულმა კვლევამ მას ისეთი თვისებებიც შესძინა, როგორიცაა მთლიანობა, ლაკონიურობა, ინტენსიურობა, შეთავაზება, ეფექტი, დასასრული და დიზაინი. ნოველის ფორმალური სტრუქტურა მე-20 საუკუნეში იქნა ჩამოყალიბებული, ხოლო ამავე საუკუნის სამოციანი წლებში მისმა ესთეტიურობამ კრიტიკოსთა და თეორეტიკოსთა ყურადღება მიიპყრო. ნოველის განვითარება შემდგომში ნარატოლოგიის, მკითხველის-პასუხის კრიტიკის, დისკურსის ანალიზის და კოგნიტიური მეცნიერების მიმართ მზარდი ინტერესის პარალელურად მოხდა.

ნოველის თეორიული ანალიზის შესახებ პირველი გამოკვლევები ასევე ფრენკ ო'კონორს (O'Connor, 2011, p. 45) და მერი როუბერგერს (Rohrberger, 1976, pp. 64-71) ეკუთვნის.

ნოველის თეორიული კვლევა ფართოდაა დაკავშირებული ჩარლზ მეის წიგნთან „ნოველის თეორიები“ (May, 1976). ეს არის ესეების კრებული, რომელიც ნოველის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა აზრებს აერთიანებს და მკვლევრებს ამ ჟანრის სამომავლოდ შესწავლის გზას უხსნის. მეის წიგნი „ნოველის ახალი თეორიები“ სახელმძღვანელოდ უმაღლვე იქცა.

ასევე მნიშვნელოვანია სუზან ლოჰაფერის თეორიულ ნაშრომთა კრებული „ნოველასთან დაკავშირებული საკითხები“ (Lohafer, 1983), რომელიც ლიტერატურის ამ ჟანრს კოგნიტიურ ჭრილში განიხილავს.

დამოუკიდებელი მცირე პროზის შესწავლამ თეორიული ანალიზის ახალი ჟანრის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელთაგან აღსანიშნავია ფორესტ ინგრემის „ნოველის ციკლო“ (Ingram, 1971), ლუშერის „ნოველის თანამიმდევრობა“ (Luscher, 1989) და რალფ ლანდენის „ნოველის კომპოზიცია“ (Lundén, 1999). რალფ ლანდენის აზრით, ნოველის კომპოზიციური სურათი ახლოა ბოკაჩოს „დეკამერონთან“ და ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებთან“ და დამოუკიდებლად განვითარდა, როგორც ამბავი ან ეპიზოდი, რომელიც უძველეს საგებსა და ეპიკურ თქმულებებზეა აღმოცენებული. მათი თანამედროვე ანალოგიები ისეთ ნოველებშია საძიებელი, როგორიცაა ჯეიმს ჯოისის „დუბლინელები“ (Joyce, 1944), შერვუდ ანდერსონის „უინსბურგი, ოჰაიო“ (Anderson, 1980), ერნესტ ჰემინგუეის „ჩვენს დროში“ (Hemingway, 1925), უილიამ ფოლკნერის „გარდავედ მოსე“ (Faulkner, 1991) და ეუდორე ველთის „ოქროს ვაშლები“ (Welty, 2010) და სხვა მრავალი. კომპოზიციის ჟანრული სპეციფიკა სხვადასხვაგვარობასა და მთლიანობას, განცალკევებასა და ურთიერთკავშირს, ფრაგმენტულობასა და განგრძობითობას, დასაწყისსა და დასასრულს შორის არსებულ ინტენსივობას უსვამს ხაზს. (Lundén, 1999) ნოველის კომპოზიციის შესწავლა ყურადღებას ამახვილებს ტექსტუალურ სტრატეგიათა არსებულ სხვადასხვაობაზე, ასოციაციურ ქსელებზე და მთავარ მოდელზე, თემებზე, მოქმედ პირებსა და მოტივებზე, რომელიც ცალკეულ ამბებს ერთმანეთთან აკავშირებს. ასეთი სტრატეგიები აღნიშნული ჟანრის ფორმის სონეტის თანამიმდევრობასთან, მუსიკასა და ლირიკულ პოეზიასთან ახლო კავშირზე მეტყველებს.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდანვე ნოველა ისეთი ლიტერატურული მიმდინარეობების შესწავლის საგნად იქცა, როგორიცაა მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. კლარა ჰენსონის „მცირე პროზა და მცირე მხატვრული ნაწარმოებები“ (Hanson, 1988), ისევე როგორც მისი

კრებული „ნოველის ხელმეორედ წაკითხვა“ (Hanson, 1988) და დომენიკ ჰედის „მოდერნიზტული ნოველა“ (Head, 1992), იმ ბევრ ხერხს ანალიზებს, რომელთა საშუალებითაც მოდერნიზმმა თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას ფორმა უცვალა, სიუჟეტი ხასიათმა, შთაბეჭდილებებმა და ცნობიერების მომენტებმა ჩაანაცვლა.

რომანის და ლირიკული ფორმების გარდა, ნოველა ასევე ახლოა ესესთან, წერილთან, კინოსთან, ფოტოგრაფიასთან, ფერწერასა და ხელოვნების ვიზუალურ ფორმებთან.

ნოველის განმარტების ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს ირლანდიელი მწერალი ფრენკ ო'კონორი, რომელიც ნოველას „მარტოსულის ხმას“ უწოდებს (O'Connor, 2011, pp. 86-87). მისი აზრით, ნოველა ლიტერატურის ის ჟანრია, რომელსაც „გმირი არასოდეს ჰყოლია“ და მისი მოქმედი პირები უკიდურესი სიღარიბისგან დაბეჭავებული ადამიანთა ჯგუფები არიან. მარი ლუის პრეტი დაახლოებით იგივე აზრს ავითარებს, როდესაც ნოველას რეგიონალურ, გენდერულ და პოლიტიკურ მარგინალიზაციას უკავშირებს. (Pratt, 2007, pp. 83-93) პრეტს მიაჩნია, რომ ლიტერატურის ეს ფორმა იმ რეგიონებში აღორძინდა, სადაც ადამიანთა ახალი დაჯგუფებები ეროვნული ლიტერატურის დამკვიდრებას ცდილობენ ან დეკოლონიზაციის პროცესში არიან ჩართულნი. კლარა ჰენსონი (Hanson, 1988, pp. 1-88) ნოველაში დომინანტი კულტურის რეპრესირებული ცოდნის გამოხატვას ხედავს. ლიტერატურის თეორიის კრიტიკოსები დღემდე ამტკიცებენ, რომ მცირე პროზაული ნაწარმოებები იმ საზოგადოებაში ყალიბდება და ვითარდება, სადაც არავითარი ფიქსირებული კულტურული ჩარჩოები არ არსებობენ, განსაკუთრებით კოლონიალურ კონტექსტში და ადამიანთა მარგინალურ ფენასთან, ქალებთან ან უცხო პირებთან არის დაკავშირებული, ყველა მათგანთან, ვინც გადასახლების სიმწარე და ეგზისტენციალური განმარტოება განიცადა.

ასეთი მრავალრიცხოვანი კრიტიკისა თუ შეფასების მიუხედავად, მაინც რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ნიშან-თვისებები განასხვავებს ლიტერატურის აღნიშნულ ჟანრს სხვათაგან და რაში მდგომარეობს მისი უნიკალური ხასიათი. თუმცა უკვე აღიარებულია, რომ ნოველის წარმოშობა მითებსა და ზეპირ გადმოცემებშია საძიებელი, მისი მოცულობა თანამედროვეობისთვის შესაფერისად მინიმალისტურია, დიდი ყურადღება ეთმობა მის ფრაგმენტებს, ჩარჩოებსა და დასასრულს, ნოველა რომანთან, პოეზიასთან, ავტობიოგრაფიასთან, კორესპონდენციასა და მუსიკასთან გენეტიკურ კავშირშია. როგორც ჩარლზ მეი აღნიშნავს (May, 1976, p. 72), ყველაზე რთულ ჟანრულ საკითხებად კვლავაც თანამიმდევრობასა და აზრის, მისტიკისა და მოდელის, ტრივიალურისა და მნიშვნელოვანის აღრევას შორის არსებული კავშირები და ექსპლიციტურობისაგან თავის არიდება რჩება.

1980 წელს რამდენიმე კრიტიკოსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ნოველის განმარტება შესაძლებელია, თუმცა მერი ლუიზ პრეტი ამას შეუძლებლად მიიჩნევდა. ჩარლზ მეი იმედოვნებდა, რომ მისი განმარტება ვიტგენშტეინის ოჯახური მსგავსების თეორიის მიხედვით შეიძლებოდა, რომელიც თვისებათა ჯგუფის, ოჯახური ნიშან-თვისებებისა და დომინანტი მოქმედი პირების შესწავლაზეა დაფუძნებული. რუსი ფორმალისტის, ბორის ეიხენბაუმის (Eichenbaum, 1980, pp. 81-82) მიხედვით, ნოველა მთავარი ელემენტარული ფორმაა, რომელსაც მითებთან მჭიდრო კავშირი გააჩნია და რომლისთვისაც სიმოკლე და აზრის თავმოყრაა დამახასიათებელი. მისი აზრით, რომანი და ნოველა არა მხოლოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არამედ არსებითად ვერ ეგუებიან ერთმანეთს. ნოველა ფუნდამენტური ელემენტარული ფორმაა, ხოლო რომანი - სინკრეტული ანუ სადაც სხვადასხვა რელიგიები, კულტურები და ფილოსოფიები ერთმანეთთანა აღრეული. ამ ორ ლიტერატურულ ჟანრს შორის არსებული განსხვავება უპირველესად გრძელი და მოკლე ფორმების საშუალებით გამოიხატება.

ნოველას და რომანს შორის მსგავსება მათ შუალედურ პროზაულობაში მდგომარეობს, თუმცა ნოველაში პოეტური ტექსტისთვის დამახასიათებელი მეტაფორული ენა და ასევე გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სტრატეგიები და შემოთავაზებებიც გვხვდება. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ნოველაც და რომანიც ერთსა და იმავე პროზაულ მედიუმს ემსახურება, მათი მხატვრული მეთოდები მაინც განსხვავებულია. მცირე პროზას ლირიკის მსგავსი ნარატიულობა, ინტენსივობა, დამაბულობა, კუმშვადობა და შემოთავაზებები ახასიათებს. მასში პოეზიის ლაკონიურობა და ინტენსივობა ნარატივისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებთანაა შერეული, როგორიცაა სიუჟეტი, კვანძის გახსნა, მოქმედი პირები და მოვლენათა განვითარება. ასევე ხშირად ვხვდებით პოეტურ ენას და მეტაფორას, რომლებიც იმპლიციტური თხრობით ან ელიფსითაა გამოხატული. ნოველაში ძირითადი აქცენტი ჟღერადობასა და წარმოსახვაზეა გაკეთებული, ხოლო გაცილებით უფრო ექსპლიციტური წინადადებები და შემთხვევითი ეფექტები ვრცელი პროზისთვისაა ნიშანდობლივი.

ასეთი ერთმანეთში არეული ურთიერთსაწინააღმდეგო შტრიხების საშუალებით აღწევს ნოველა მის მკითხველზე ეფექტს და ამიტომაც უწოდებს მას ედგარ ალან პო ნარატივის უნიკალურ ფორმას. (Poe, 1836, pp. 61-63) ის ასევე აღნიშნავდა, რომ ლირიკული ლექსის მსგავსად, ნოველაც მხოლოდ ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მისი მცირე მოცულობიდან გამომდინარე, მას ილუსტრირებული აღქმის უნარი

გააჩნია და შესაძლებელია, რომ მკითხველის მიერაც სივრცული კუთხითაც იქნეს აღქმული. მცირე პროზის ლაკონიურობა ანალოგიას ახდენს ვიზუალური ხელოვნების იმ დარგების სივრცულ განზომილებათა მიმართ, როგორცაა ფერწერა და ფოტოგრაფია, რაც მას კიდევ ერთხელ განასხვავებს რომანისაგან, რომელიც დროშია გაწელილი. მაშინ, როცა რომანი ადამიანის გამოცდილების შესახებ სრულ და ავთენტურ ინფორმაციას გვაწვდის, ნოველა მხოლოდ ერთი ფრაგმენტით, შემთხვევით, ერთი პატარა უმნიშვნელო მოვლენით ნათლად გადმოგვცემს ავტორის ჩანაფიქრს. რომანისაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს საგნებისა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განვითარებულ მოვლენათა შორის კავშირზე აკეთებს, ნოველა მხოლოდ ერთი ფრაგმენტის აღწერით კმაყოფილდება. ის ყურადღების ეპიცენტრში აქცევს სცენას ან გაცილებით დიდი სოციალური, ისტორიული ან ეგზისტენციალური კონტინუმიდან მოკვეთილ ადამიანს და აქცენტს ცნობიერების ერთ მომენტზე უფრო მეტად აკეთებს, ვიდრე დასრულებულ ქმედებებზე. ნოველა არ ცდილობს მკითხველს თავს მოახვიოს მთელი გამოცდილება თავისი კომპლექსური შემთხვევითი პროცესების ნაწარმით ან დეტალურად დაამუშაოს დროებითი მოვლენები. მის ნაცვლად ის რეალობის „ნაჭრებს“, წამიერად „გადაღებულ ფოტოებს“ წარმოგვიდგენს. რაიმონდ ქერვერი აღნიშნავს, რომ ნოველა არსებული ცხოვრების ერთ რომელიმე მომენტს ერთი გაელვებით გვთავაზობს, რომელსაც თანამიმდევრობა და არსებითი მნიშვნელობა აქვს და მისი ავტორის ამოცანასაც ამ ერთი გაელვების გამოკვლევა წარმოადგენს. (Carver, 1983, p. 246)

ხულიო კორტასარი ნოველასა და რომანს შორის განსხვავებას მეტაფორული შედარებით ახდენს, კერძოდ, მას ფოტოგრაფიასა და მოძრავ სურათებს ადარებს. მისი აზრით, ფილმის მსგავსად, რომანი „ღია თანამიმდევრობაა“, ხოლო ნოველა იმ ფოტოგრაფიას ჰგავს, რომელიც ფრაგმენტს მთლიანისგან აცალკევებს, ზღუდავს და ამ შეზღუდვებს პარადოქსულად იყენებს, რათა სავსებით საკმარისი რეალობა წარმოაჩინოს, წარმოგვიდგენს „დინამიურ ხედვას, რომელიც სულიერად გადმოაბიჯებს იმ სივრცეს, რომელიც კამერის საშუალებით მიიღწევა“. (Cortázar, 1982, p. 246)

ლაკონიურობა რეალურის დეფორმაციას ახდენს და სტილიზაციის დიდ საჭიროებას ითხოვს, რომელიც, თავის მხრივ, დიზაინის დიდ აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ხანგრძლივი ლიტერატურული წარმომავლობის მიუხედავად, ნოველა, როგორც თანამედროვე ფორმა, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ედგარ პოს მიერ მცირე პროზის ფართო კონცეპტუალურ ჩარჩოში მოთავსების წყალობით, ის ამერიკის ყველაზე ადვილად ამოსაცნობი, პოპულარული ლიტერატურული ჟანრი გახდა და მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. მე-19 საუკუნეში ირვინგის, პოსა და ჰოთრონის ალეგორიულმა და სიმბოლოების ენამ მცირე პროზას რომანტიკული ფორმა შესძინა, ხოლო ჰერმან მელვილმა ის რეალისტურად განავითარა. ეს ორი მემკვიდრეობა, მითოსურ-რომანტიკული ტრადიცია და თანამედროვე რეალისტური, კვლავაც თანაარსებობენ მე-20 საუკუნის ისეთ დიდ ნოველისტთა შემოქმედებაში, როგორცაა ანდერსონი, ჰემინგუეი, ჯოისი, ფოლკნერი და ველთი და ასევე პოსტმოდერნისტი მწერლებიც, რომლებიც მის გავლენას ვერ ასცდნენ.

თუ მე-19 საუკუნის ნოველა ძირითადად დრამატული იყო და სიუჟეტს მყარად ეყრდნობოდა, მოდერნისტულ ნოველაში უკვე ნარატივის სტრუქტურა განვითარდა. ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებშიც კი, ასეთი მოდერნისტული ფორმები მიზეზ-ეფექტის ლოგიკას ექვემდებარება. ჩეხოვის ტექნიკის გავლენით, რომელიც რეალისტურ დეტალს რომანტიკულ პოეტურ ლირიზმთან აერთიანებს, მოდერნისტულმა ნოველამ ისეთი ცნებები განავითარა, როგორცაა სიუჟეტი და დიზაინი. ეს მოხდა 1910 წლის დეკემბერში, როცა ვირჯინია ვულფმა ინგლისში პოსტ-იმპრესიონისტი მხატვრების - სეზანის, ვან გოგის და მატისეს - უკვდავსაყოფად გამოფენა მოაწყო და თანამედროვე აზროვნებაში მკვეთრი ცვლილება მოახდინა, რომელმაც არა მხოლოდ ვიზუალურ ხელოვნებაზე, არამედ პოეზიის, მცირე პროზისა და რომანის კონცეფციასაც გავლენა იქონია. ამ დისციპლინებში სტანდარტული დისკურსი თუ ნარატივი უარყოფილ იქნა და ყურადღება გამახვილდა სტილზე, რომელმაც წუთიერ შთაბეჭდილებებს, ხასიათებს, გრძნობებს და ატმოსფეროს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა. აზროვნებაში ახალი ცვლილება ასევე იმპრესიონიზმის გავლენით განხორციელდა, რომელშიც რომანტიკული სუბიექტურობა რეალიზმის ობიექტურობასთანაა შერწყმული, იმიტომ, რომ ხასიათისა და გრძნობის „უკანასკნელი მშვენიერი ჩრდილი დააფიქსიროს“. როგორც სუზან ვერგიუსონი შენიშნავს, ამ პერიოდში არჩევანი გრძნობების იმიტაციაზე და მოქმედი პირების ხასიათზე შეჩერდა... იმიტაცია, იმისა, თუ რეალურ სამყაროში საგნები რას წარმოადგენენ (Ferguson, 1988, p. 220)

იმპრესიონიზმის აღმავლობასთან ერთად, სიუჟეტის ტრადიციული ელემენტებისადმი ნდობა და მიზეზ-ეფექტის დროებითი თანამიმდევრობა გრძნობებისა და შინაგანი გამოცდილების წარმოდგენით ჩანაცვლდა. მოდერნისტული ნარატივი გრძნობების, ხასიათებისა და შთაბეჭდილებათა მოზაიკურობას გაცილებით მეტად ავითარებს, ვიდრე თანამიმდევრულ ნარატივს. მოდერნისტული ნოველა წარმოსახვების, სიმბოლოებისა და თემების საშუალებით შემოიფარგლება. მისი ინტენსივობა სიუჟეტიდან კი არ ხდება, არამედ მოსაზრებათა სტრატეგიებიდან, წარმოსახვის ეფექტების და

ჟღერადობის, ფორმალური ან სტილისტური ეკონომიიდან გამომდინარეობს. ხასიათები და გარემო მოვლენათა განვითარებას უგულვებელყოფს და ნოველის სტრუქტურას ქმნის. სიუჟეტი, სტანდარტული ნარატივის სტრატეგიები და სასწაული შეხვედრები ცნობიერების ამაღლებული მომენტებითაა ჩანაცვლებული.

ფრაგმენტულობა, უძრაობა, წუთიერი მომენტების დაჭერა, ხასიათი თუ ნიუანსი ნოველას თითქოს მოთხრობას მოთხრობის გარეშე გადააქცევს. ის ცნობიერების აღიარების და რეალურობის იმპრესიონისტულად აღქმის საშუალება ხდება. მოდერნისტულ ნოველას თანამედროვე რელატივიზმის სული გააჩნია.

მოკლე, ფრაგმენტული, არადამაჯერებელი ფორმის წყალობით მოდერნისტული ნოველა ადამიანის სამყაროში არსებულ ცოდნას საზღვრებში აქცევს.

ინტერტექსტულობის, კოლაჟის, ორიგინალობის საკითხებით და ავტორობის საშუალებით, პოსტმოდერნისტული ნოველა მის წინამორბედთან შედარებით კიდევ უფრო უსიუჟეტოა. პოსტმოდერნისტი მწერლისთვის ცნობილია, რომ მცირე პროზა ვერბალური კონსტრუქციის არტიფაქტებია, რომლისთვისაც ილუზიათა რეალობაა დამახასიათებელი. ისინი მხატვრულ სტანდარტებს და მხატვრული გამოსახვის საშუალებებს საკუთარი შემოქმედების სუბიექტად აქცევენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ისეთმა მწერლებმა, როგორებიც არიან ჯონ ბარტი და დონალდ ბარტლიმი და მინიმალისტი რეიმონდ ქარვერი, რობერტ ქუვერი და ტობაიას ვულფი, სხვებთან ერთად ნოველის დიდი წვლილი შეიტანეს პოსტმოდერნისტული სტილის განვითარებაში. 21-ე საუკუნის ნოველის ერთ-ერთი უახლესი და ყველაზე საინტერესო სტილი მინი ბელეტრისტიკა და მისი თანამიმდევრობაა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩვენს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. მწერლობის მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ფორმებს შორის მერყევი მინი ბელეტრისტიკა, მცირე პროზის განვითარების ისტორიის ახალი ფაზაა. წამიერად გაელვებული, ნაუცხბათევი მხატვრული ლიტერატურა, მინი ბელეტრისტიკა, მინიატურა, ღია ბარათების მხატვრული ლიტერატურა და მოკლე-მოკლე მოთხრობა, ის ახალი ფორმებია, რომლებიც ერთმანეთისგან უკიდურესი ლაკონურობით განსხვავდება. ლიტერატურის და არალიტერატურის, ნარატივისა და ესეს, ნარატივისა და პოეზიას, ესესა და პოეზიის საზღვარზე მდგომი მინი ბელეტრისტიკა ასევე ექსტრა ლიტერატურულ ელემენტებსაც აერთიანებს და კანონიკური ჟანრის საზღვრებისა და განსაზღვრებათა შესწორების პრეტენზია გააჩნია. ჰიბრიდული, მრავალგვარი და ფრაგმენტული მინი ბელეტრისტიკა ჟანრების ახალ თანადროულობას წარმოგვიდგენს და შესაძლოა წაკითხულ იქნას როგორც პროზაული ლექსი, ესე ქრონიკა, ალეგორია ან ნოველა.

მინი ბელეტრისტიკა მწერლობისა და სამყაროს წაკითხვის ახალ ფორმას წარმოადგენს და ახალი მგრძობელობის დასაბამია. ნოველის ტრადიციისგან განსხვავებით, მინი ბელეტრისტიკა ამავე დროს ჟანრის უახლესი ფორმით გამოხატვის მცდელობაა. მისი ყველაზე შესამჩნევი განვითარება ესპანურ-ამერიკულ კონტექსტში შეინიშნება, რომელსაც ამ ჟანრის ექსპერიმენტის ძლიერი და წარმატებული ლიტერატურული ტრადიცია გააჩნია, სერიულობასა და ფრაგმენტულობას უკავშირდება და იმ ახალ ხერხებსა და საშუალებებს გვთავაზობს, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა მომავალში თავად განვითარდეს.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მცირე პროზამ განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსეულ წევრად იქცა, რომელიც კვლავაც განაგრძობს განვითარებას და ვინ უწყის სამომავლოდაც კიდევ სხვა რა უამრავ სიახლესაც გვპირდება.

ბიბლიოგრაფია:

გვეტაძე, მ. (1963). *ნოველა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ხვედელიძე, რ. (2006). *მოდერნისტული ნოველა ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურაში*. თბილისი: უნივერსალი.

Anderson, S. (1980). *Winesburg, Ohio*. England: Penguin Books.

Bowen, E. (1937). *The Faber Book of Modern Short Stories*. Athens: Ohio University Press.

Carver, R. (1983). *On Writing*. New York: Yale University Press.

Cortázar, J. (1982). *Some Aspects of the Short Story*. London: Academic Press.

Eichenbaum, B. M. (1980). *O'Henry and the Theory of the Short Story*. Canada: Canadian-American Slavic Studies.

Faulkner, W. (1991). *Go Down, Moses*. New York: Vintage, Reissue edition.

Ferguson, S. (1988). Defining of Short Story, Impressionism and Form. *Modern Fiction Studies*, 28 (1).

Hemingway, E. (1925). *On Writing*. New York: Scribner.

- Hanson, C. (1988). *Short Stories and Short Fictions*. Macmillan: The University of Michigan.
- Head, D. (1992). *The Modernist Short Story*. England: Cambridge University Press.
- Ingram, F. L. (1971). *Representative twentieth-century short story cycles: studies in a literary genre*. Los Angeles: University of Southern California.
- Joyce, J. (1944). *Stephen Hero*. New York: New Directions.
- Lohafer, S. (1983). *Coming to Terms with the Short Story*. Baton Rouge: Louisiana State University Press.
- Lundén, R. (1999). *The United Stories of America*. Leiden, Netherlands: Brill Publication.
- Luscher, R. M. (1989). *A Literary Analysis of the Short Story sequence*. Oxford: Oxford University Press.
- May, C. E. (1976). Why Short Stories are essential and Why they are seldom read. *Style*, 27(3).
- O'Connor, F. (2011). *The Lonely Voice: A Study of the Short Story*. Washington: Melville House.
- Poe, E. (1836). *Review of Hawthorne's Twice Told Tales*. Washington: Washington University Press.
- Pratt, T. (2007). *The Short Story*. London: Longman.
- Rohrberger, M. (1976). *The Short Story: A Proposed Definition*. Athens: Ohio University Press.
- Welty, E. (2010). *The Reading and Writing of Short Stories*. May, The New Short Story Theories.

Maia Bolashvili, Marine Tsertsvadze
Gori State Teaching University

**THE WAYS OF DEVELOPING A SHORT STORY AND ITS PECULARITIES
 RESUME**

The present study deals with an interesting, hard history and development of a short story as one of the most modern genres of the world literature and its critic by different European and American authors. Various opinions of well-known literary critics are analyzed and discussed, examples of romantic, realistic, modern and postmodern short stories are focused on. Similarities and differences of short prose to other literary genres are compared according to epochs. The study also refers to the structure, content, plot, intensity and brevity of a short story which are still remain the issues of its researching. Development of this new kind of writing is outlined and it gives necessary and important material to its researchers, readers and all interested people to continue its studying in future.

Keywords: Structure, Plot, Intensity, Brevity, Modern, Postmodern.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**კამოენსის რემინესცენციები ქართულ ლიტერატურაში
 (გიორგი ერისთავი)**

საკვანძო სიტყვები: გიორგი ერისთავი, პოემა, „შემლილი“, „დავა“.

შესავალი. XIX საუკუნიდან ქართულ ცნობიერებაში შემოდის უცხოელ (უმეტესწილად ევროპელ) მწერალთა სახელები, რომლებიც ნელ-ნელა იკავავს გზას მკითხველისაკენ, ძირითადად პრესის განვითარების მხარდამხარ. „ქართული პერიოდიკის, რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩამოტანილი, ორიგინალში წაკითხული თუ თარგმნილი ლიტერატურის მეშვეობით საზოგადოება ეზიარა მისი თანადროული მსოფლიოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს,

საზროვნო ტენდენციებს, ესთეტიკურ იდეალებს“. (ქართული რეალიზმის სათავეებთან, 2015, გვ. 55) ასე შემოდის 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ბაირონის, ტორკვატო ტასოს, დანტეს, ოვიდიუსას და... კამოენსის სახელები, რომლებიც 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულების აქტიური მონაწილის, ქართული თეატრის, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელ პოეტსა და დრამატურგ გიორგი ერისთავთანა დაკავშირებული.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში 3 საუკუნისწინანდელი პოეტის, კამოენსის, შემოსვლა ქართულ სინამდვილეში, აშკარაა, რაღაცა მიზეზებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული. ეს კი დამოუკიდებლობადაკარგული, 1832 წლის შეთქმულების, პოლონეთის აჯანყების ჩახშობის, გადასახლებებისა და დასჯის შიშისქვეშ მიყუჩებული ერისთავისათვის მაინც სხვა ქვეყნის, პორტუგალიელი ავტორის, პატრიოტული აღმოკვნესა შეიძლება გამხდარიყო, რომლის სამშობლოს დამოუკიდებელი არსებობა ესპანეთის უღელქვეშ თითქმის სიცოცხლის ხოლო პერიოდს დაემთხვა. ამიტომ აღმოხდება შიმშილსა, ავადმყოფობასა და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ პოეტს მეგობრისადმი მიწერილ ერთ წერილში: „მე ვკვდები არამარტო ჩემს სამშობლოში, არამედ მასთან ერთად“. მშობლიური პორტუგალიის ისტორიული წარსულისა და მისი გმირული არამადას წარმატებებით აღფრთოვანებული კამოენსის განცდა რომანტიზმის ეპოქაში საკმაოდ მძლავრად გაჟღერდა.

კამოენსის გვარი თანამედროვე პორტუგალიურ ენაზე ასე ჟღერს: „ლუიმ დე კამოინში, რუსულ ენაზე მ. ლომონოსოვი მას, როგორც კამუენსს, ისე ასახელებს, მაგრამ, სადაც კი მოიხსენიებოდა „ლუზიადები“, ავტორს კამოენსს უწოდებდნენ. 1959 წელს „საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის“ (1959 წ.) სახელმძღვანელოში ნატალია ორლოვსკაიას მიერ აღორძინების ეპოქის ესპანური და პორტუგალიური ლიტერატურის მიმოხილვაში გადმოცემულია მისი მოკლე ბიოგრაფია და „ლუზიადების“ შინაარსი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 1969 წლის გამოცემა) III ტომში დავით გამეზარდაშვილის წერილში „გიორგი ერისთავი“ პოემა კომედიის „შემლილის“ პერსონაჟის ბეგლარის მონოლოგის ნაწყვეტში კი გაჟღერებულია:

„ტორკვატო ტასი?
ვერ სცანით ფასი;
უწოდეთ მტერი,
ჰქმენით ჰერობილი
მის მღერა ტკბილი,
ვერ მოიგონეთ!
თქვენში არ იყო, კამოენსი მოკვდა მშიერი?!“

(ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 312)

2013 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ლუის დე კამოენსის „ლუზიადების“ პოეტ ჯემალ ინჯიასეული თარგმანი, რომლის ბოლოსიტყვაობაში კვლავ მოყვანილია ფრაზა, ამჯერად გიორგი ერისთავის პიესა „დავიდან“: „თქვენთან არ იყო კამოენსი მოკვდა მშიერი?!“ (კამოენსი, 2013, გვ. 390) ყოველივე ამან დაბადა ჩვენში ინტერესი საკითხისადმი, საიდან იცნობდა (უფრო ზუსტად, რა წყაროდან იცნობდა) ქართველი პოეტი, დრამატურგი კამოენსს, მის ბიოგრაფიას და რატომ მოიხსენიებს მას მსოფლიოს გამოჩენილი პოეტების სახელების გვერდით. გარდა ამისა ორივე მონოლოგის ნაწყვეტი („შემლილიდან“, „დავიდან“) ეკუთვნის ახალგაზრდა პოეტს, პერსონაჟ ბეგლარს, რომელიც არაა დაფასებული იმდროინდელ თავადაზნაურულ თუ ვაჭრულ საზოგადოებაში, ქცეულა დაცინვის ობიექტად და დაწუნებულია, როგორც მომავალი ღირსეული სასიძო.

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხების კვლევა, თვით კამოენსის ქართულ კულტურულ სივრცეში მოხვედრის წყაროს მოძიებით, მნიშვნელოვანია XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ საზოგადოებრივი ცნობიერების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ძირითადი ნაწილი. კამოენსმა ჭეშმარიტად დაიმკვიდრა სახელი დიდი პოეტისა აღორძინების ეპოქის შემოქმედთა შორის. მისმა ცხოვრებამ თავისებურად მეტად რთული გზა გაიარა. იგი უძველესი გალისიური გვარიდან იყო, დედის მხრივ ენათესავებოდა ცნობილ მოგზაურს ვასკო და გამას, მამის მხრიდან ვასკო პირეს დე კამოენსი ყოფილა მეომარი და ბრწყინვალე პოეტი-ტრუბადური. დედის, ანას, გარდაცვალების შემდეგ მამა სიმონი მეორედ დაქორწინებულა და შემდგომ გემის კაპიტანად ინდოეთში გამგზავრებულა, სადაც, გოას მახლობლად, მოჰყვა ქარიშხალში და გარდაიცვალა კიდევ. 1537-1542 წლებში კამოენსს უსწავლია კოიმბრეს უნივერსიტეტში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ევროპაში (დაარსებულა 1290 წელს). ეს უნივერსიტეტი ჯერ ლისაბონში დაარსდა, შემდეგ კი გადასულა ქალაქ კოიმბირში, რომლის ბიბლიოთეკაც ძალზე მდიდარია. განსაცვიფრებელია ის ფაქტი, რომ კამოენსს

მიუღია საკმაოდ გლობალური ცოდნა ისტორიასა, მითოლოგიასა, ფილოლოგიასა და ასტრონომიაში, რაც ასე საოცარი სიცხადით პოეტურადაა წარმოდგენილი მის „ლუზიადებში“. მომდევნო პერიოდში სამეფო კართან სიახლოვემ მას ბედნიერებაც მოუტანა და განდევნილობაც, რასაც მოჰყვა სამხედრო სამსახური (1551-1552 წ.წ.), ტუსაღობაც და, ბოლოს, მეფე ჟუან III ბრძანებით, ინდოეთში გაგზავნილ გემზე უბრალო მეზღვაურად განწესება. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი „ქებების“ შექმნა პოემისათვის. ინდოეთში მან რაღაც ქონებაც შეიძინა, რაც დაკარგა უკან დაბრუნებისას გემის ქარიშხალში მოხვედრის დროს, როდესაც პოეტმა მხოლოდ „ლუზიადების“ ხელნაწერი გადაარჩინა და ასე დაბრუნდა (1570 წ.) ლისაბონში. „ლუზიადებიც“, რომელიც მეფე სებასტიანს მიუძღვნა, გამოქვეყნდა 1572 წელს და, შედგება რა 10 „ქებისაგან“, მოიცავს 1102 ოქტავას.

ერთ-ერთი ბრძოლისას სეუტას გარნიზონში მან დაკარგა მარჯვენა თვალი. უსახსროდ დარჩენილ პოეტს მეფემ დურგალ-ხელოსნის შემოსავლის ტოლფასი პენსია დაუნიშნა და აღსასრულიც ჰპოვა უპატრონოთა ჰოსპიტალში 1580 წლის 10 ივნისს. დაკრძალეს შეგროვილი მოწყალებით, ლისაბონში, წმ. ანას ტაძარში, თუმცა სხვა ლეგენდით, იგი დაკრძალული იქნა სხვა ლატაკ ადამიანებთან და 16 წლის შემდეგ დონ გონსალო კუტინიუმ იმ ადგილას გათხარა, შეაგროვა მისი ნაწილები და დაკრძალა წმ. ანას ტაძარში, თანაც პოეტის გამოსახულებიანი ქვა დაადო წარწერით: „აქ განისვენებს ლუის კამოენსი, თავისი დროის პოეტების მეფე, ის, რომელიც ცხოვრობდა სილატაკეში და ასევე გარდაიცვალა MDLXXIX“.

1755 წლის მიწისძვრის დროს წმ. ანას ტაძარი დაინგრა და მის ქვეშ მოჰყვა იქ დაცული საფლავებიც, რომლებშიც 1855 წელს იპოვეს კამოენსის სარკოფაგიც, ხოლო 1880 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან 3 საუკუნის აღსანიშნავად განათავსეს ჟერონიმუმის მონასტერში, ბელენში, ვასკო და გამას ნემტთან ერთად. მათ შუაშია დამოუკიდებელი პორტუგალიის უკანასკნელი მეფე სებასტიანის სარკოფაგი, მარცხნივ ვასკო და გამასი, მარჯვნივ კი - კამოენსისა.

ჟერონიმუმის მონასტერი ერთ-ერთი უმთავრესი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობაა ლისაბონისა. მისი საოცარი ინტერიერი „сравнивали с грандизным морским гротом, с рошей пальм, с тянущимся ввысь образованиями сталагмитов. Достигнутое в интерьере церкви единство простраственного впечатления вызывает ассоциацию с великолепным залом, залитым ясным светом. Данное обстоятельство следует подчеркнуть особо, ибо освещенность и простраственность, свойственное португальским храмам (в отличие, например от испанских), достигает здесь своей кульминации.

Тени сгущаются в беленской церкви лишь в рукавах трансепта, в более поздней по времени и более громоздкой главной капелле (последняя треть XVI века, архитектуры Диого де Торральва и Жеромино де Руан). В западной части храма находятся гробницы великих сынов Португалии – Васко да Гамы и Луиса де Камоэнса.“ (Каптерева, 1990, стр. 133-136)

კამოენსის გარდაცვალების დღე, 10 ივნისი, აღინიშნება პორტუგალიაში დამოუკიდებლობის დღედ, მისი სახელი ეწოდა მერკურზე ერთ-ერთ კრატერს, არსებობს კამოენსის სახელობის ლიტერატურული პრემია პორტუგალოენოვანი ქვეყნების პოეტებისათვის. მისი მუზეუმებია ჩინეთში, მაკაოში.

მსოფლიოში არსებობს კამოენსის „ლუზიადების“ და სონეტების არაერთი თარგმანი, რუსმა ა. ი. დმიტრიევმა 1788 წელს ფრანგული წყაროებიდან (ჟ. ფ. დე ლაბარტისა) პროზაულია თარგმანი გააკეთა.

ევროპაში მოგზაური რუსი რომანტიკოსი პოეტი ვასილი ჟუკოვსკი ავადმყოფობის გამო ვენაში ჩერდება. აქ ბურგთეატრში ესწრება ფრიდრიხ ჰალმის ხუთაქტიან დრამატულ პოემას „კამოენსი“, რამაც მას შთააგონა გაეკეთებინა თავისუფალი თარგმანი. და აი, 1839 წლის მარტში ჟურნალ „Отечественные записки“-ს VI ტომში სათაურით „დრამატული ნაწყვეტი“ იბეჭდება ფ. ჰალმის პოემის თავისუფალი თარგმანი.

ფრიდრიც ჰალმი ფსევდონიმია ბარონ ელიგი-ფრანც მიუნხელიგჰაუზენისა (1806-1871) გერმანელი პოეტისა და დრამატურგისა, რომელმაც დაწერა დრამატული პოემა, ხოლო ჟუკოვსკიმ მეტად თავისუფალი თარგმანი 1839 წელს გამოაქვეყნა.

პოემა აღწერს კამოენსის სიცოცხლის ბოლო დღეებს, რომელიც მან უპატრონოთა ჰოსპიტალში გაატარა. აქ მას ეწვია ბავშვობის მეგობარი დონ იოზე კვეველო კასტელ ბრანკა, რომელმაც დიდი ქონება ჩაიგდო ხელში და ახლა ეპატიჟება თავისთან საცხოვრებლად, მაგრამ ერთი პირობით, რომ ამოუგდოს მის ვაჟს, ვასკოს, პოეტობის სურვილი და გატაცება. შემდგომ თვით ვასკოც ეწვევა კამოენსს და ესაუბრება მას. ვასკო გრძნობს, რომ პოეზია უპირველესია, ხოლო კამოენსი უკანასკნელ წუთებს სწორედ პოეზიაზე საუბრობს, მას მიიჩნევს ამქვეყნიური უწმინდესი ოცნებების ღვთაებად:

„Ты, ты, поэзия, тебя я узнаю
У гроба я постиг тебя знаменование,
Благославляю жизнь тревожную мою!
Благословенно будь души моей старанием!

Смерть! смерть, великий дух! я слышу весть твою;
Меня всего твою проникнуло сияние“.

(<http://zhukovckiy.lit-info.ru/zhukovskiy/poet/Kamoens.htm>)

როგორც მკვლევარი ც. ს. ვოლპე აღნიშნავს, ვასილი ჟუკოვსკის ეს პოემა ავტობიოგრაფიულ იერს ატარებს. ჰალმთან არაა ლექსები „პოეზია ზეციური რელიგიისა მიწიერი და“. „Тему поэзии Жуковский развивает самостоятельно. Обожествление поэзии и утверждение ее «святого» назначения имеет при этом не только религиозный, но и общественный смысл.“ (<http://zhukovckiy.lit-info.ru/zhukovskiy/poet/Kamoens.htm>).

რატომ დაგვჭირდა ეს ვრცელი ექსკურსი? სწორედ იმისათვის, რომ პოეზიის უზენაესობაზე საუბარი თავად მხატვრულ ტექსტში ქართულ სინამდვილეში, ჩვენი ვარაუდით, ჟუკოვსკის პოემიდან უნდა მომდინარეობდეს, საიდან უნდა შეეცყო გიორგი ერისთავს ამის შესახებ და როდის?

1838 წელს გიორგი ერისთავს უშვებენ ერთწლიანი შვებულებით საქართველოში საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად.

„1839 წლის ბოლოს გ. ერისთავი კვლავ დაბრუნდა პოლონეთში და 1841 წლამდე დაჰყო სამხედრო სამსახურში.

1841 წლის 3 ივნისს იგი შტაბს-კაპიტნის ჩინით გაუთავისუფლებიათ სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ 1842 წლის გაზაფხულამდე მაინც ვერ ბრუნდება საქართველოში“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 309)

დავით გამეზარდაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (ტ. III) კრებულში მოთავსებულ გიორგი ერისთავზე წერილის ავტორი, აღნიშნავს, რომ მანანა ორბელიანის სალონში გაუცვნია საზოგადოებისათვის გ. ერისთავს თავისი დრამატული ნაწარმოებები „რომელთა წერას მან ჯერ კიდევ 1839 წელს, შვებულებაში ყოფნის დროს მოჰკიდა ხელი. ამ წელს დაწერა მან „შემლილი“, ხოლო მომდევნო წელს (პოლონეთში ყოფნისას) დაასრულა კომედია „დავა“, რომლის წერა საქართველოში (1839 წელს) დაიწყო“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 310)

„შემლილის“ დაწერის თარიღად მკვლევარი ლადო მინაშვილი (ქართული ლიტერატურა 2) ასევე 1839 წელს ასახელებს. განსხვავებული აზრი ეკუთვნის მკვლევარ შალვა რადიანს, რომლის გ. ერისთავის თხზულებათა (1936 წ.) გამოცემის შენიშვნებში, ემყარება რა „გ. ერისთავზე დაწერილ დღემდე უცნობ ერთ მოგონებას (რომელიც დ. გ. ერისთავის არქივშია დაცული), ვკითხულობთ შემდეგს: „როდესაც (ერისთავი) 1838 წ. დაბრუნდა პოლშიდან, მაშინ დასწერა პოემა „შემლილი“, ხელთნაწერის სახით პოემის ეს პირვანდელი რედაქცია დაცულია ლექსთა კრებულ ავტობიოგრაფიაში №1-ში, საქარ. მუზ. ყოფ. წერა-კითხვის №5075 და ამავე მუზ. ყოფ. საისტ. საით. საზ. ხელთ. №2899-ში. დაბეჭდილი სახით კი ავტორის ხელმოუწერლად მოთავსებულია დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომატიკაში“ (1863 წ.) პოემის საბოლოო ტექსტი კი შემუშავებულია 60-იან წლებში და დაბეჭდილი გ. ერისთავის სიცოცხლეშივე ჟურ. „საქართველოს მოამბის“ 1862 წლის №2-ში“. (ერისთავი, 1936, გვ. 399) თუ მოყვანილი ციტირება სანდოა, უნდა ვიფიქროთ, რომ 1838 წელს დაიწყო პოემა „შემლილზე“ მუშაობა გ. ერისთავმა. მაგრამ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ დამოწმება კი არაზუსტია. იგი 1863 წელს, №2-ში, დაიბეჭდა. „საქართველოს მოამბე“ ამ ნაწარმოებს სათაურქვეშ მიწერილი აქვს „კომედია-პოემა“, რაც უთუოდ მის ჟანრობრივ რაობაზე ავტორისა და რედაქციის თვალსაზრისს გამოხატავს. თხზულება დაწერილია მსუბუქ, კარგად გამართულ ლექსით, ავტობიოგრაფიული ხასიათის არის და 1838 წლითაა დათარიღებული“ (კალანდაძე, 1985, გვ. 195) ა. კალანდაძე არ მიუთითებს წყაროს, თუმცა აქ ავტორი და რედაქციაა ნახსენები, და, სავარაუდოდ, თავად ავტორს, ე.ი. გ. ერისთავს უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ საიდან გაჩნდა 1839 წელი მოგვიანებით ლიტერატურათმცოდნეთა ნააზრევში, ან ვინაა იმ უცნობი მოგონების ავტორი?

თუ ვივარაუდებთ, რომ „შემლილი“ დაწერილია 1838-1839 წლებში, მაშინ უნდა გამოირიცხოს ის ფაქტი, რომ „შემლილში“ იგრძნობა გ. ჟუკოვსკის დრამატული პოემის, „კამოენსის“ ერთგვარი ანარეკლი, მით უფრო, რომ 1839 წლის მარტისათვის არის დასრულებული პოემა.

მიუზღვრუნდეთ ჩვენს თვალსაზრისს, რომ „შემლილმა“ განიცადა გ. ჟუკოვსკის დრამატული პოემის „კამოენსის“ გავლენა, მით უფრო, რომ კამოენსი სწორედ „შემლილში“ გვხვდება, ბეგლარის მონოლოგში, რომელშიც საოცარი გულსტკივილია გადმოცემული მისი, როგორც პოეტის, ვერგაგების გამო. ლიტერატურათმცოდნეთა ნააზრევი „შემლილის“ ანალიზისას უფრო მის შინაარსს მისდევს და იმ კოლიზიას, რაც ტასოსა და ბეგლარის ტრაგიკული სიყვარულის ირგვლივ ვითარდება.

პოემაში ბეგლარი უცხოეთში განათლებამიღებული ყმაწვილი პოეტია, რომელიც რომანტიკულ სიყვარულს შეუპყრია. მისი დაწუნება პოეტობის გამო შეურაცხმყოფელია. ამიტომაც ცდილობს გაამართლოს თავისი არსებობა და მისი, როგორც რიგითი მოქალაქის, უფლება. ამიტომ ოცნებით აღმოხდება:

„მოდით მერცხალნო, მომეცით ფრთენი.

მიწით შევიქმნე აღმა საფრენი!
 აღფრინდე მაღლა და კვალად მაღლა,
 რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა;
 გავშალო ფრთენი
 სანავარდენი,
 ვნახო რა მზისა
 შარავანდენი,
 მერე რძის გზასა,
 ვარსკვლავთა კვალსა,
 შევუდგებოდე
 მნათობთა სვლასა!
 მთვარისა ვრცელსა,
 ღამესა ბნელსა.
 განვჩხრეკდე მასში
 საცხოვრებელსა!...
 გარნაღა ვაი! მე ღვთისა ქმნილი,
 ვარ ამა მიწას, მაგრა მიკრული!“

(ერისთავი, 1936, გვ. 103)

და ამ დროს ერები, მომღერალთ მტერნი, სავსენი შურით, რომლებმაც არ იციან, როგორ იზადება ლექსი, უწოდებენ პოეტს სამარცხვინო სახელს, გიჟს, ლოტრანგს, ერთიანად არიან გამსჭვალულნი დიდი პოეტების ტორკვატო ტასის (რომლის ფასი ვერ გაიგეს და შტერი უწოდეს), ბაირონს (რომელსაც დასცინეს და განაშორეს მშობლიურ კუთხეს) დანტეს (რომელსაც მტრად გაუხდნენ), იქნებ ისიც მოიძულონ კამოენსივით, რომელიც მოკვდა მშიერი. თუ ფრაზის „თქვენში არ იყო კამოენსი მოკვდა მშიერი?“ წყაროდ დ. გამეზარდაშვილი ასახელებს კომედია-პოემა „შემლილს“, „ლუზიადების“ ქართულ ენაზე მთარგმნელს პოეტ ჯემალ ინჯიას მოჰყავს გ. ერისთავის მეორე ცნობილი კომედია „დავა“. აღმოჩნდა, რომ ბეგლარის მონოლოგი („შემლილში“) და „დავის“ პერსონაჟ ბეგლარისა მესამე მოქმედებაში, ერთი და იგივეა სტრიქონიდან.

ბეგლარ

„ჩემო გულისა აღმაშფოთო და ჩემო ბედო“

....

სტრიქონამდე

„იქნებ მეც ისე მოგიძულოთ, არვიც დაგნანდეთ!“

(„შემლილი“)

(ერისთავი, 1936, გვ. 105)

„ჩემო სულისა აღმაშფოთო და ჩემო ბედო,

....

„იქნებ მეც მისებრ მომიძულოთ არვიც დაგნანდეთ“

(„დავა“)

(ერისთავი, 1936, გვ. 152)

აქ განსხვავებულია მხოლოდ:

ჩემო გულისა - „შემლილი“

ჩემო სულისა - „დავა“

და თქვენცა ერნო, მომღერალთ მტერნო, - „შემლილი“

და თქვენცა ერნო, მწერალთა მტერნო! - „დავა“

უწოდეთ შტერი - „შემლილი“

ვერ მოიგონეთ - „შემლილი“

არ მოიგონეთ - „დავა“

და ოვიდია რომისაგან რისთვის განაძეთ?... - „შემლილი“

და ოვიდია რომისაგან რისთვის განაგდეთ? - „დავა“

„დავის“ დაწერის თარიღს ასე გვთავაზობს შ. რადიანი: „ხელნაწერს 31 ფურცელი უკავია. გარეკანზე ვკითხულობთ: „დავა კომედია ხუთს მოქმედებაში თავადის გიორგის ერისთავის ჩემ (1840) წელსა“. რომ კომედიის დაწერის თარიღი 1840 წ. შემთხვევით ვინმეს მიერ არ არის დასმული, ჩანს იქიდან, რომ იმავე ფურცლის მეორე გვერდზე წერია: „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“. (ერისთავი, 1936, გვ. 402)

თავად ტექსტი პიესისა პერსონაჟთა როლების შემსრულებლებისაგან არის ჩაწერილი, ნაწილობრივ კი „ზოგიერთის რუსულის ლიბრეტოსაგან“, რომელიც მშვენივრად არის შედგენილი დ. ი. ყიფიანისაგან“ (ერისთავი, 1936, გვ. 401)

„დავა“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ 1871 წლის №5-ში.

დ. გამეზარდაშვილის ცნობით, გ. ერისთავმა მომდევნო წელს (პოლონეთში ყოფნისას) დაასრულა კომედია „დავა“, რომლის წერა საქართველოში (1839 წელს) დაიწყო. (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 310) ლ. მინაშვილთანაც 1840 წელია.

დგება კითხვა:

როდის და რა პერიოდში დაიწერა კომედია-პოემა „შემლილი“ და პიესა „დავა“?

1838-1839 წლები პოლონეთიდან საქართველოში ჩამოსვლის ერთი წელია, როდესაც უნდა შექმნილიყო, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, „შემლილი“ და „დავა“. უკვე დაბრუნების შემდეგ ორივე ქვეყნდება: „შემლილი“ „საქართველოს მოამბეში“ (ე.ი. დრამატურგის სიცოცხლეში) და „დავა“ ჟ. „კრებულში“. (გარდაცვალების შემდგომ), სავარაუდოდ, მიუხედავად ა. კალანდაძის შენიშვნისა და ს. რადიანის ინფორმაციისა, არ მიგვაჩნია სარწმუნოდ.

ჩვენი ვარაუდით, სწორედ ვ. ჟუკოვსკის პოემა „კამოენსი“ უნდა გამხდარიყო გიორგი ერისთავისათვის წყაროდ, გამოეკვეთა სულით სუფთა, ჭეშმარიტი პოეტის სახე კომედია - პოემაში „შემლილი“ და კომედიაში „დავა“. იგი იქვე იმეორებს ბეგლარის პერსონაჟსა და მის მონოლოგსაც, სადაც ავტორი ღრმა გულსტკივილს გამოხატავს გაუგებარი ბრბოს მისამართით და მაგალითად სხვა ტრაგიკულად ვერმიღებულ პოეტების გვერდით ასახელებს კამოენსაც.

კამოენსის „ლუზიადების“ მე-7 ქებაში ინდოეთის ერთ მეფესთან მისული გამა გაოცდება კედელზე გამოსახული მოხუცის ფრესკით, რომელსაც ერთ ხელში ვაზის ლერწი ეჭირა. აქ პოეტი მიმართავს ერთგვარ ლირიკულ გადახვევას და მსჯელობს პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე:

„არა ვყოფილვარ დაჩვეული ხალხისგან ჯილდოს,

ეს დამებედა და იმიტომ უფრო ვეგზნები,

რომ უნდა მათგან უსამართლო კირთება ვზიდო,

არც სიხარული და არც მოცლა მაწყენდა ვითომ

დაფნის გვირგვინი, ჯიუტი თმით ნაალერსები?

ცილნაწამები, ლაფდასხმული, სირცხვილნაჭამი,

დავიარები, როგორც ერთი ვინმე აჯამი“ (კამოენსი, 2013, გვ. 228)

იქნებ ამით იყო სწორედ ნასაზრდოები თვით ჰალმისა და ჟუკოვსკის პოემები?

დასკვნა:

1. გიორგი ერისთავი პირველია ქართველი საზოგადო მოღვაწეთა, პოეტთა და დრამატურგთა შორის, რომელიც საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, ეცნობა რა ლიტერატურას (შლეგელს, პუშკინს, დმიტრიევს, ჟუკოვსკის და სხვ.) წიგნებსა თუ პრესაში, აყალიბებს მოდელს მისი თანამედროვე პოეტისა, რომლის გაგებაც თავადაზნაურულ თუ ვაჭრულ საზოგადოებაში უჭირთ, და, თუმცა „შემლილი“ საკმაოდ პოპულარული ყოფილა იმ დროისათვის, კითხულობდნენ ხელნაწერში, იზეპირებდნენ, კომედია უფრო მკვეთრად გამოხატავს ბეგლარის სახეს და ეს მოხდა კიდევ 50-იან წლებში ქართული თეატრის სცენაზე. ამით უნდა აიხსნას კიდევ, ჩვენი ვარაუდით, გამეორებული მონოლოგები „შემლილსა“ და „დავაში“.

2. „შემლილი“ და „დავა“ დაახლოებით ერთ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი, 1839-1840 წლებში, კერძოდ გ. ჟუკოვსკის „კამოენსის“ პუბლიკაციის შემდეგ;

3. საზოგადოების მიერ უარყოფილი პოეტის სახე კამოენსის „ლუზიადების“ მე-7 ქების 77-ე, 87-ე სტროფებით, ტრანსფორმირებული სახით გ. ჟუკოვსკის პოემაშია წარმოდგენილი. ვფიქრობთ, აქედან უნდა იყოს, ამოზრდილი გ. ერისთავის ნაწარმოებთა პერსონაჟის, ბეგლარის სახეც.

ბიბლიოგრაფია:

გამეზარდაშვილი, დ. (რედ.). (1972). *ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია* (ნაწ. 1). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ერისთავი, გ. (1936). *თხზულებანი*. ტფილისი: ფედერაცია.

კალანდაძე, ა. (1985). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია* (ტ. III). თბილისი: განათლება.

კამოენსი, ლ. (2013). *ლუზიადები*. (ჯ. ინჯია, მთარგმნ.) თბილისი: ჩვენი მწერლობა.

საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია. (1959). თბილისი: თსუ.

ქართული ლიტერატურის ისტორია. (1969). (ტ. III) თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქართული რეალიზმის სათავეებთან. (2015). თბილისი.

Каптерева, Т. П. (1990). *Искусство Португалии*. Москва: Изобразительное искусство.

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
THE REMINISCENCES OF CAMOENS IN GEORGIAN LITERATURE
(GIORGI ERISTAVI)
RESUME

Since the beginning of the XIX century the information about European writers and their recognized creations comes into cognition of Georgian people by books written in foreign languages or translated from foreign languages and later by means of press. The excellent example of this is mentioning outstanding European poets' names (Torquato Tasso, Shakespeare, Dante, Ovid, Camoens) in the early plays ("The Mad", "The Dispute") of Giorgi Eristavi (1811-1864), the playwright, the founder of the Georgian theatre and the Journal "Tsiskari" and famous Georgian poet. Later, he creatively expands the goal and purpose of the poet, discussing his fate by reminiscences of the main character of the comedies and in the monologues of a young poet Beglar, which is presented as the first attempt of the poet to introduce a lyrical hero in playwriting in the episode (the seventh) of a famous Portuguese Writer, the author of "The Lusians", Luis De Camoens (1524-1580).

Keywords: Giorgi Eristavi, Poem, "The Mad", "The Dispute".

ანა დათუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კლასიკური უტოპია და თანამედროვე ანტიუტოპიური რომანი

საკვანძო სიტყვები: უტოპია, დისტოპია, ფენტეზი, რომანი.

პირველი სახელმწიფოების შექმნის დღიდან მოქალაქეები ფიქრობდნენ როგორ გაეხადათ უკეთესი სახელმწიფო და რა შემთხვევაში იქნებოდა ის „სწორი“ ანუ სამართლიანი და ყველასთვის მისაღები. უამრავი პოლიტიკური თუ ფილოსოფიური ნაშრომი მიემდგვნა ამ თემას, ბევრი ნაშრომი ნაშრომად დარჩა, მაგრამ ზოგმა პოლიტიკოსმა სცადა თეორია ექცია პრაქტიკად. თუმცა რამდენადაც ფურცელზე იდეალური სახელმწიფოს მოდელები თითქმის სამოთხედ გვეჩვენება, იმდენად მათი პრაქტიკაში განხორციელება ჯოჯოხეთად ექცა არა მარტო პრაქტიკის ობიექტს, არამედ მთელს მსოფლიოს.

ჩემი აზრით ნებისმიერი უტოპიის შექმნა თეორიულად მხოლოდ ფურცელზეა შესაძლებელი, პრაქტიკულად კი ასეთი სახელმწიფოს შექმნის მცდელობამ ანტიუტოპიის ანუ დისტოპიის სახე მიიღო.

უტოპიური თეორიები:

პირველი უტოპიური სახელმწიფოს მოდელი ეკუთვნის ძველ ბერძენ ფილოსოფოსს-პლატონს, რომელიც მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში (427-347 წ) და რომელმაც თავის ნაშრომში „სახელმწიფო“ აღწერა იდეალური სახელმწიფოს მოდელი, სადაც ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეთ ფილოსოფოსებს, რომლებიც მართავენ კეთილგონივრულად, სამხედროები იცავენ ქვეყანას და ხელოსნები, რომლებიც ქმნიან პროდუქტს, ანუ პლატონის აზრით იდეალურ ქვეყანაში ყველა იმას აკეთებს, რაც იცის და ამით ეხმარება დანარჩენებს, თუმცა პლატონი როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფოსი ასეთი ტიპის სახელმწიფოშიც კი ხედავდა რისკებს და ამ რისკების დაძლევის კეთილშობილი ტყუილით აპირებდა, საინტერესოა, სად შეიძლება მიგვიყვანოს კეთილშობილი ტყუილით ცხოვრებამ? თუმცა საბედნიეროდ ეს უტოპია მხოლოდ თეორიას და მსჯელობას წარმოადგენდა და განხორციელება არავის უცდია.

შემდეგი მოდელი თავად ტომას მორის (1477-1535 წ) ნაშრომია, რომლის სახელწოდებიდანაც წარმოდგება თავად ტერმინი „უტოპია“, რაც არარსებულ კარგ ადგილს ნიშნავს. ტომას მორს პოლიტიკურად ასეთი სახელმწიფოს შექმნის პრეტენზია არც ქონია, ნაწარმოები ერთგვარ ირონიას უფრო წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მაშინდელი ხელისუფლების მმართველობაზე და მასში მოთხოვნილია კუნძულ „უტოპიის“ შესახებ, სადაც გაშენებულია იდეალური სახელმწიფო, სადაც არ არის ომი, შიმშილი, გაჭირვება, ბოროტება და შური, სადაც ადამიანების ძირითადი საქმიანობა მეცნიერება და ხელოვნებაა“. ამ ნაშრომში ტომას მორმა გააკრიტიკა შუა საუკუნეების სიბნელე და უმეცრება და მიანიშნა, რომ იდეალური სახელმწიფო ის სახელმწიფოა, სადაც მოქალაქეებს აქვთ განათლება, რომელიც არის ჭეშმარიტი სიყვარულის, სამართლიანობის და განვითარების საფუძველი.

მიუხედავად ტომას მორის წიგნის არაპოლიტიკურობისა, მისი ნაშრომი ძალიან პოპულარული გახდა შემდგომ დასავლური პოლიტიკის ფილოსოფოსებს შორის. თითოეული მათგანი ცდილობს ჩამოაყალიბოს სრულყოფილი პოლიტიკური წყობის მოდელი. თუ პლატონი ცდილობდა პასუხი ფილოსოფიაში ეპოვა, ფრენსის ბეკონმა (1561-1626) მისი პასუხის ძიება მეცნიერებაში სცადა, თავის ნაშრომში „ახალი ატლანტიდა“ ფრენსის ბეკონმა აღწერა იდეალური სახელმწიფოს - ბენსალემის-მოდელი, რომლის საფუძველიც იყო მეცნიერება და სახელმწიფოს ტექნოლოგიური განვითარება, პროგრესული მოსახლეობა, რომლის მთავარ ღირებულებას ოჯახი წარმოადგენდა. ფრენსის ბეკონიც წინა ავტორების მსგავსად ერთ ვერსიას გვთავაზობდა იდეალური სახელმწიფოსი, თუმცა არც მას ჰქონია პრეტენზია, რომ ექცია ფანტაზია რეალობად. კიდევ რამდენიმე ასეთი მოდელის შექმნის მცდელობა ჰქონდათ: ტომაზო კამპანელას, ჯეიმს ჰერინგტონს, ჩარზ ფურიეს, სენ-სიმონს, ედვარდ ბელამს და სხვებს. თუმცა ისინიც მხოლოდ იდეის დონეზე შემოიფარგლებოდნენ. განსაკუთრებული გავლენა კაცობრიობის ისტორიის განვითარებაზე მოახდინა კარლ მარქსის ნაშრომებმა ეგრეთ წოდებული უკლასო საზოგადოების შესახებ, თავად მარქსი ბოლომდე დარჩა თეორიტიკოსად, თუმცა მისი იდეები გადაიღეს და განახორციელეს პრაქტიკაში. რატომ აიტაცეს მარქსის შრომები, ამაზე პასუხი მარტივია, მარქსი იდეალური სახელმწიფოს მოდელს არც ფილოსოფიაში ეძებდა და არც მეცნიერებაში, მისი იდეა კაპიტალს ანუ ეკონომიკას ეფუძნებოდა და ამიტომაც ის ყველზე მომხიბლავი იყო ყველა არსებულ იდეათა შორის.

უტოპიური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა:

კარლ მარქსის იდეებით გატაცებულმა და შთაგონებულმა ვლადიმერ ულიანოვმა ლატაკ და გაუნათლებელ რუსეთის იმპერიაში გადაწყვიტა ჩაეტარებინა ერთგვარი პოლიტიკური ექსპერიმენტი და შეექმნა უტოპიური სახელმწიფო რეალობაში, ანუ ქვეყანა, სადაც არ იარსებებდა კლასები და სადაც საბოლოო მიზანი იქნებოდა მსოფლიო კომუნისტური შექმნა, ყველა მოქალაქე დედამიწაზე გახდებოდა კომუნისტი და მაშინ „თხა და მგელი ერთად მოძოვდა“, არ იქნებოდა ფული, არ იქნებოდა მთავრობა, ავადმყოფობა და შიმშილი. ერთი სიტყვით ბოლშევიკები, რომლებიც რელიგიას უგულვებელყოფდნენ, თავად ჰპირდებოდნენ მოქალაქეებს ბიბლიურ სამოთხეს.

მარქსის იდეით მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ და განვითარებულ ქვეყანაშია შესაძლებელი ადამიანების ჰარმონიული ცხოვრება. და სწორედ ამ სამოთხის შენების იდეით დაიწყო მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ბიბლიური ლევიანთის, ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის შექმნა.

სამოთხის შენება ჯოჯოხეთით დაიწყო, ტერორი და სისხლისღვრა გახდა ოცნების სახელმწიფოს შენების საძირკველი, ფართოდ გაიშალა იდეოლოგიური მუშაობა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი კეთილშობილი იყო მიზანი იმ საშინელი ჯოჯოხეთისა, ქვეყანაში რომ ტრიალებდა. სწორედ აქ გამოჩნდა ის ფაქტორი, რასაც პლატონი კეთილშობილ ტყუილს ეძახდა, და ერთგვარ ხარკადაც კი მიიჩნევდა კეთილშობილი ხალხისთვის. მაგრამ ტყუილი ვერ იქნება კეთილი, რადგან მისი ბუნება კეთილი არ არის, ტყუილი უკვე თავისთავად ნიშნავს ღალატს მათთვის, ვინც გენდობა. ბოლშევიკურ რუსეთში ამუშავებული ტერორის მანქანა პარალელურად სიცრუის გავრცელებით იყო დაკავებული. გაზეთი, წიგნი, მწერლობა, რადიო, კინო, ყველა სიცრუის ტირაჟირებით იყო დაკავებული, გაუთავებლად იწერებოდა და შუქდებოდა არარსებული ამბები კომუნისტურ შრომით გმირობებზე, გადაიღეს ფილმები არარსებულ სოფლებზე, სადაც ყველისა და ძეხვის მთები იდგა და ხალხი მთელი დღე მუშაობდა და ერთობოდა და ეს იმ დროს, როცა ქვეყანაში ტოტალური შიმშილი იყო გამეფებული. ამ დროს ადამიანები ფიქრობდნენ, რომ იშრომებდნენ და მალე მათი სოფლებიც ასე გამდიდრდებოდა. ადამიანებს უხსნიდნენ, რომ კომუნისტს ყავდა მტრები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ხელისუფლებას შეექმნა იდეალური სახელმწიფო და ისიც იძულებული იყო ხალხის მტრები უმკაცრესად დაესაჯა. აქაც ბიბლიურ წარდვანსთან გვაქვს პარალელი, ყველა ცოდვილი უნდა დაისაჯოს და გაქრეს რათა ახალი ქვეყნისა და ახალი ხალხისთვის შეიქმნას სამოთხე.

მარქსისტული სამოთხის შექმნის მცდელობის შედეგი მთელმა მსოფლიომ საკუთარი თვალთი იხილა და გამოსცადა საკუთარ თავზე. ასე რომ, ერთადერთი ყველაზე ცნობილი მცდელობა, შექმნილიყო იდეალური სახელმწიფო პრაქტიკაში, კრახით დასრულდა, რადგან იდეალურის მიღწევა შეუძლებელია, უფრო სწორად არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი ყველა ადამიანისთვის იყოს იდეალური, რადგან ის აწესებს გარკვეული ტიპის შეზღუდვებს, რომელიც ზღუდავს ადამიანთა თავისუფალ ნებას და გადადის დისტოპიაში.

დისტოპია

სიტყვა „დისტოპია“ ბერძნული წარმოშობისაა და ითარგმნება როგორც (დის - ცუდი და ტოპოს - ადგილი) ცუდი ადგილი, დისტოპიის წარმოშობა განაპირობა იდეალური სამყაროს შექმნის მცდელობის უარყოფითმა შედეგებმა, ამ მიმდინარეობის ავტორები თვლიან, რომ იდეალური არაფერია და შეუძლებელია შექმნა ისეთი მექანიზმი, რომელიც თითოეულ ადამიანს გააბედნიერებს, ამიტომ იქმნება ხელოვნური მითოლოგია არარსებულ სიკეთეზე და ბედნიერ ცხოვრებაზე, რისიც სჯერათ იდეოლოგიით თავგამოტენილ ადამიანებს, ხოლო ვისაც არ სჯერა, ის საშიშია და სწორედ ასე იწყება ადამიანების შეჯახება ჯოჯოხეთის მექანიზმებთან, რომელთან ბრძოლაშიც იღუპებიან მილიონები. დისტოპიის მამამთავრად ითვლება ოლდოს ჰაქსლი, რომელმაც 1932 წელს დაწერა „საოცარი ახალი სამყარო“, სადაც ის აღწერს უტოპიურ სახელმწიფოს, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვითაა იდეალური. იდეალური მხოლოდ დაპირებად დარჩა და რადგან იმის მიღება, რასაც ხალხი ამ სახელმწიფოსგან ელის, შეუძლებელია, მმართველები ადამიანებს აკონტროლებენ, უთვალთვლებენ, აიძულებენ იფიქრონ ისე, როგორც დაუწესეს და ვინც ასე არ ფიქრობს და ვისაც საკუთარი აზრი გააჩნია, უმკაცრესად უსწორდებიან.

დისტოპიის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშები ჰაქსლის შემდეგ ეკუთვნის ჯორჯ ორუელს, რომლის შემოქმედება მთლიანად ანტიუტოპიას ეძღვნება, კერძოდ კი საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის შექმნის მცდელობის კრიტიკას წარმოადგენს. „ცხოველების ფერმაში“ ორუელი გვიჩვენებს თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის მცდელობას, რომლის პირველადი ჩანაფიქრიც ნამდვილად კეთილშობილურია, მაგრამ შემდგომ იქცევა საძაგელ საზოგადოებად და ეს გარდაუვალიცაა, რადგან ორუელის აზრით საზოგადოება ერთსახოვანი ვერასოდეს გახდება, მასში სხვადასხვა ფსიქოტიპის ადამიანები არიან თავმოყრილი, რომელთაგან ზოგი ღორია, ზოგი - ბატი და ზოგიც - ცხენი, ზოგს სინდისი არ ჰყოფნის, ზოგი ზარმაცია, ზოგი უბრალოდ შემგუბელი, ზოგი მშრომელი და ასე შემდეგ. ამიტომ უნამუსონი ყოველთვის ეცდებიან პატიოსანი ადამიანების გამოყენებას, მათ სულს შრომაში ამოხდიან და თვითონ ყველანაირი სიკეთით უსინდისოდ ისარგებლებენ. ამიტომ თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის მცდელობიდან ყოველად უსამართლო საზოგადოება მივიღეთ.

„1984“-ში ორუელი უკვე გვიხატავს ქვეყანას, სადაც, ისევე როგორც ჰაქსლისთან, უკვე არსებობს საოცნებო ქვეყანა, რომელშიც ყველა ბედნიერად ცხოვრობს და ყველა ერთ ტალღაზეა, უყურებენ მამოტივირებელ ფილმებს და ერთნაირად ფიქრობენ ყველა საგანთან დამოკიდებულებაზე, მაგრამ აქაც, როგორც ყველა დისტოპიურ რომანში, ყველაფერი ფასადურია და ლოზუნგი „დიდი მმა გვიყურებს“ მზრუნველობის კი არა, ტოტალური კონტროლის მექანიზმია. არასოდეს ხარ მარტო საკუთარ თავთანაც კი, ვიღაც აკონტროლებს შენს ცხოვრებას, შენს აზროვნებას და არ არსებობს არავითარი თავისუფალი ნება. სინამდვილეში ეს იდეალური ქვეყანა კი არა, ერთგვარი ციხეა, რომელშიც ადამიანთა თავისუფლებაა გამოკეტილი.

საინტერესო დისტოპიური რომანია ივანე ყიფიანის „ამონი“. ეს ნაწარმოები საინტერესოა იმიტომ, რომ ის უშუალოდ საბჭოთა კავშირში შეიქმნა 1936 წელს და მაშინვე გამოიცა კიდეც, რომანი ერთი შეხედვით სწორედაც რომ უტოპიაა და იდეალური სახელმწიფოს აღწერას წარმოადგენს, სახელმწიფოს რომელიც ყველაფრის დანგრევის შედეგად წარმოიქმნა და „ამონი“ ჰქვია, ამონში ადამიანები 300 წელს ცოცხლობენ, შეიძლება ითქვას, რომ ამონი არის პლატონის, ბეკონის და მარქსის უტოპიების ერთგვარი სინთეზი, აქ მეცნიერება და ხელოვნებაა მთავარი საქმიანობა, რადგან ყველაფერს მანქანები აკეთებენ, მუშები არაა საჭირო, ომი არ არის და სამხედროები არ არიან საჭირო, არ არსებობს ფული, არ არსებობს ერები, ენები, საჭმელი და ა.შ მთავარ გმირს გიორგი მოგელს ამონელები უხსნიან რომ ეროვნებებისა და სხვადასხვა სახელმწიფოების არსებობა მხოლოდ ხელს უშლიდა კაცობრიობის განვითარებას და ახლა დედამიწაზე მხოლოდ ერთი სახელმწიფოა, ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობს და არავითარი კონფლიქტი, ომი და საფრთხე აღარ არსებობს, არ არსებობს ციხე, რადგან არავინ სჩადის დანაშაულს, ამიტომ ადამიანები მხოლოდ მეცნიერებაში და ხელოვნებით ტკბობაში არიან ჩართული. ყველაფერი კარგადაა მანამ, სანამ გიორგი მოგელს, რომელსაც სულ აწუხებს თავისი ქართული ენისა და ქვეყნის ნოსტალგია, სინდისიც არ შეაწუხებს, რასაც საბოლოოდ მისი გარდაცვალება მოჰყვება. რომანის გარეგნული იდეა ეთანხმება კომუნიზმის იდეას - ძველი ადამიანების დრო დასრულდა, ახალმა დრომ უნდა შეას ახალი ადამიანები, მაგრამ ივანე ყიფიანი მთავარი გმირის სიკვდილით იგავურად გვანიშნებს, რომ ახალ

რობოტებად გადაქცეულ საზოგადოებას შეიძლება არ შიოდეს, მაგრამ მას მთავარი ადამიანური ნიშნები დაკარგული ექნება და მომავლის ადამიანისათვის ზნეობის გაგება აღარ იარსებებს. ამიტომ საზოგადოება ადრე თუ გვიან ისე დაასრულებს, როგორც მთავარმა გმირმა დაასრულა.

თანამედროვე დისტოპია/ფენტეზი

თანამედროვე მწერლობა განებივრებულია დისტოპიური რომანებით, რომლებიც თუმცა უტოპიური სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მოგვითხრობენ იმ საშიშროებებზე, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის იდეალურად გადაქცევის სურვილს შეიძლება მოჰყვეს, უამრავი ნაწარმოები თუ ფილმია გადაღებული ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირი აღარაა და არც ახალი უტოპიის აშენებას გეგმავს ვინმე, მაგრამ დისტოპია მაინც პოპულარულია თანამედროვე ხელოვნებაში. დისტოპიის მთავარი ჟანრი ფენტეზია, ყველა მათგანში ჯოჯოხეთის შექმნა უკავშირდება ადამიანთა სიხარბესა და გაუმადლობას, მეტისმეტი კომფორტის შექმნის სურვილს, სურვილს დაიმორჩილოს ბუნება, სურვილს დაიპყროს და აითვისოს კოსმოსი, სურვილს იყოს მსოფლიოს ბატონ-პატრონი, სურვილს უკიდურეს სრულყოფილებამდე მიიყვანოს ტექნიკა, შექმნას ახალი სიცოცხლე და ბევრ სხვა მანკიერებას, რომელიც სიკეთის სახელით იწყება და ბოროტებად მოგვიბრუნდება.

თანამედროვე დისტოპიური რომანები და ფილმები ძალიან ბევრია, ამიტომ ყველას ვერ მიმოვიხილავთ, თუმცა ჩამოვთვლით: „შიმშილის თამაშები“, „ლაბირინთში მორბენალი“, „თორმეტი მაიმუნი“, „მაიმუნების პლანეტა“, „ყველაფრის გახსენება“, „მატრიცა“ „დივერჯენტი“, „მოსამართლე დრედი“, „შეშლილი მაქსი“, „ინტერსტელარი“, „იდიოტოკრატია“ და სხვა. ყველა ამ ნაწარმოებს აერთიანებს ცუდი ადგილი, ანუ იქ, სადაც არასოდეს გენდომებათ მოხვედრა, მთავარი გმირი, რომელიც ვერ ეგუება არსებულ რეალობას და ცდილობს შეცვალოს იგი, ფანტასტიკის ჟანრი და ბოლოს ყველა ანტიუტოპიური ქვეყანა თუ საზოგადოება აუცილებლად ნადგურდება.

არ არსებობს მიზანი, რომელიც საშუალებას ამართლებს, რადგან კეთილი მიზნისკენ სწრაფვა ბოროტების გზით ყოვლად შეუძლებელია, და ის, რასაც დღეს არ გავუფრთხილდებით, ხვალ ჩვენივე დაღუპვის საფუძველი გახდება, არ არსებობს იდეალური სრულყოფილება, იდეალურიც და სრულყოფილიც სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირად წარმოუდგენია, იმისათვის, რომ ყველამ ერთნაირად იფიქროს, უნდა დაწესდეს გარკვეული ტიპის შეზღუდვები, რაც ადამიანთა თავისუფლებას ზღუდავს. რენე დეკარტი ამბობდა: „ვაზროვნებ მაშასადამე ვარსებობო“, ამიტომ ადამიანებისთვის აზროვნების აკრძალვა არსებობის უფლებასაც ართმევს მას. არ არსებობს უფრო დიდი საჩუქარი კაცობრიობისთვის, ვიდრე თავისუფლებაა და არც მისი შეზღუდვის გამამართლებელი მიზეზი.

შეიძლება ითქვას დისტოპია ერთგვარი ლოგიკური წინასწარმეტყველებაცაა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მივიღოთ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შედეგად, მაგალითად როდესაც ცუდად ვექცევით ეკოლოგიას, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ისეთი გარემო, როგორც „თორმეტ მაიმუნში“, მიწისქვეშეთში ჩამალული კაცობრიობა და დედამიწაზე გამეფებული სპორები და ვირუსები. ეკონომიკურმა უთანასწორობამ, რომლისკენაც მიდის დედამიწის მოსახლეობა და ძლიერი ქვეყნების კიდევ უფრო გამდიდრებამ შეიძლება მოგვცეს ისეთი დისტოპიური ადგილი, როგორც „შიმშილის თამაშების“ ღარიბი რაიონებია.

ადამიანების ზომბირებამ და მხოლოდ კანონებისადმი მორჩილებამ შეიძლება მოგვცეს ისეთი უგრძნობი საზოგადოება, როგორიცაა ფილმში „დივერჯენტი“.

განათლების როლის დაკნინებამ, მეტყველების გადაგვარებამ და ყველაფრისადმი ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ შეიძლება მიგვიყვანონ ისეთ შედეგებამდე, როგორც „იდიოტოკრატიაშია“, როდესაც ჩვეულებრივი ჯარისკაცი 500 წლის შემდეგ იღვიძებს ნიუ-იორკში, რომელიც ნავის გროვებადაა ქცეული, სასმელი წყალი არ არსებობს და ყველა ადამიანი ბილწსიტყვაობს, მათ შორის მოსამართლე და პრეზიდენტიც კი. მოკლედ დისტოპია ერთგვარი გაფრთხილებაა, როგორ არ უნდა მივიღეთ ამ შედეგებამდე.

დასკვნა

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- უტოპიური სახელმწიფოს შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოდის, სახელმწიფოს განვითარებაზე მზრუნველი ადამიანები ბევრს ფიქრობდნენ და წერდნენ როგორი წარმოედგინათ იდეალური სახელმწიფო;
- სამი ძირითადი მოდელი იდეალური სახელმწიფოს შექმნის შესახებ იყო ფილოსოფიური - პლატონი, მეცნიერული - ბეკონი და ეკონომიკური - მარქსი;

- უტოპიური სახელმწიფოს შექმნის პრაქტიკული მოდელი საოცნებო სახელმწიფოს მაგიერ ჯოჯობხეთურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, კეთილმა მიზნებმა ვერაფრით გაამართლა ბოროტი საშუალებები, რეალურად ამას მოყვა სისხლი და ტერორი და მილიონობით მსხვერპლი მთელს მსოფლიოში;
- ტერმინი „უტოპია“ ერთგვარ ნეგატიურ ტერმინად იქცა, თუმცა უტოპიის თეორიტიკოსებს მიზნად არც ჰქონდათ ამ მოდელის ცხოვრებაში დანერგვა. ისინი ემებდნენ გზებს და გვთავაზობდნენ ვარიანტებს, როგორ გაეხადათ სახელმწიფო უკეთესი;
- უტოპიის პრაქტიკაში დანერგვამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც სამწერლობო ჟანრი და რომელმაც უტოპიური მოდელების მხილება დაიწყო. მისი მამები, ჰაქსლი და ორუელი, მკაცრად აკრიტიკებდნენ იმ უტოპიას, რომელსაც ერქვა ტოტალური კონტროლი და ადამიანებით მანიპულირება;
- თანამედროვე დისტოპია მხოლოდ სახელმწიფოს მოწყობის უტოპიურ მოდელებს არ მოიცავს, ის აკრიტიკებს და ერთგვარად ლოგიკურად წინასწარმეტყველებს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომელი საერთოდ ნებისმიერ უტოპიურ იდეებს შეიძლება მოჰყვეს თან;
- და ბოლოს უნდა დავასკვნათ, რომ იდეალური სახელმწიფო, ისევე როგორც ბოლომდე სრულყოფილი მოდელი საზოგადოების არსებობისა, შესაძლებელია მხოლოდ ფურცელზე არსებობდეს, რადგან ნებისმიერი მცდელობა ვაქციოთ უტოპიური წარმოდგენები რეალობად შესაძლებელია ისეთი საშინელი შედეგით დასრულდეს, როგორც კომუნისმის შექმნის მცდელობა იყო მეოცე საუკუნის დასასრულამდე.

ბიბლიოგრაფია:

ბეკონი, ფ. (2016). *ახალი ატლანტიდა*. თბილისი: ნეკერი.
 ბული, პ. (2016). *მაიმუნების პლანეტა*. თბილისი: ბაკურ სულაკაური.
 კოლინზი, ს. (2013). *შიმშილის თამაშები* (ტ. 1, 2, 3). ბაკურ სულაკაური.
 მაგშტატი, თ. (2010). *გავიგოთ პოლიტიკა*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
 მორი, ტ. (1983). *უტოპია*. თბილისი.
 ორუელი, ჯ. (2014). *ცხოველების ფერმა*. თბილისი: პალიტრა L.
 ორუელი, ჯ. (2015). *1984*. თბილისი.
 პლატონი. (2003). *სახელმწიფო*. თბილისი: ნეკერი.
 ყიფიანი, ი. (1987). *ამონი*. თბილისი.
 ჰაქსლი, ო. (2018). *სოცარი ახალი სამყარო*. სიესტა.

Ana Datuashvili
Gori State Teaching University
CLASSICAL UTOPIA AND MODERN ANTI-UTOPIAN NOVEL
RESUME

Discussion about utopian society started and comes from antiquity. People who cared about society's development, were thinking and writing about, how they imagined their ideal society. A practical model for creating utopian society turned their dream society to infernal society. The term utopia turned into some sort of negative term

Introduction of utopia into practice laid the foundation to new branch, dystopia, which was formed as a writing genre and which started a revelation of utopian models

Modern dystopia does not only include models of society creation, it criticizes and Somehow logically prophesies those expected results, which can come with any utopian ideas.

Keywords: Utopia, Dystopia, Fantasy, Novel.

გრიგოლ რობაქიძე „მცველნი გრალისა“

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, ქრისტიანული სიმბოლიკა, გრაალი.

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება მეტად დრამატული იყო. საბჭოთა კავშირის დატოვებისთანავე ის ხალხის მტრად შეირაცხა და ქართულ სივრცეში დიდი ხნით აიკრძალა, თუმც, მანამდე, 1900-იანი წლებიდან 20-იანი წლების ბოლომდე აღიარებულ ავტორად, კულტურული და სალიტერატურო პროცესის ერთ-ერთ წინამძღოლად და გემოვნების კანონმდებლად მიიჩნეოდა. ამიტომ მისი რომანები ჯერ საქართველოში, შემდეგ კი ემიგრაციაში იწერებოდა. მათი დიდი ნაწილი ზედიზედ ითარგმნა და გამოიცა წამყვან გერმანულ გამოცემებში.

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძე, როგორც სამშობლოს უდიდესი გულშემატკვიარი, 1927 წელს შტეფან ცვაიგს მხარდაჭერას სთხოვდა და სწერდა: „საქმე ეხება არა პოეტის ლიტერატურულ სახელს, არამედ ერთი პატარა აღმოსავლური ერის სულიერი მდგომარეობის გაცნობას ევროპელი ხალხებისათვის.“

სწორედ ამის მტკიცებაა გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველნი გრალისა“, რომელიც 1937 წელს იენაში, დიდერიხის გამომცემლობაში გერმანულ ენაზე დაიბეჭდა. ამ ნაწარმოებს ქართული საზოგადოება გაეცნო 1989 წელს, ნაწარმოების მიხედვით ნაირა გელაშვილმა დაწერა პიესა „გრაალის მცველნი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა რეჟისორმა დავით ანდლულაძემ. შემდგომ ნაწარმოები მთლიანად თარგმნა თამარ კოტრიკაძემ. „მცველნი გრალისა“ მოდერნისტული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშია, მაღალესთეტიკური ქართული სახეებითა და ხასიათით დატვირთული. მეტად საგულისხმოა კავშირი ნიცშესთან. მთავარი გმირი - ლევან ორბელი კი თვით გრიგოლ რობაქიძის პროტოტიპად აღიქმება.

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ ქართულმა ლიტერატურამ უდიდესი მისია შეასრულა ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. „ეს ტრადიცია „აბოს წამებით“ იწყება. იოანე საბანის ძემ დაწერა თხზულება, რომელმაც, ძნელბედობის ჟამს, ქართველ ხალხს რწმენა, ძალა, იმედი, ენერჯია ჩაუნერგა და მტკიცე თავდაცვა ასწავლა. ასე მოდის და მოდის საუკუნეების მანძილზე“. (ბაქრაძე, 1990, გვ. 3) საკმარისია გავიხსენოთ სულხან-საბა, რომელმაც ელჩის როლიც შეასრულა. დავით გურამიშვილი, რომელმაც ქართლის ჭირი გაიზიარა და ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავს ერის წინამძღოლად თვლიდა: „ღმერთთან მისთვის ვლასპარაკობ,/რომ წარვუძღვე წინა ერსა.“ (ჭავჭავაძე, 1983, გვ. 66)

ყოველი ეპოქა თავისებურად მძიმე იყო საქართველოსთვის. XIX-XX საუკუნეები კი ერთი ნიშნით გამოირჩეოდა, ეს იყო ბრძოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველი მწერლები და პოეტები ცდილობდნენ თავიანთი სათქმელი როგორმე გადმოეცათ, რაც ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც უჯდებოდათ. გურამ დოჩანაშვილი თავის შესანიშნავ მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, თვლის, რომ „არსებობს მწერალი - ვაჟკაცი, რადანაირად დინჯად თავზეხელაღებული, ეს უცნაური მომთვინიერებელი, რომელიც ლომს ხახაში თავს უყოფს, და აგერ, სხვა მომთვინიერებლებიც - რგოლში ახტუნებს პატარა, ჩახუჭუჭებულ, ყელბაფთიან ძაღლებს, და არიან სხვა, ჭეშმარიტი მომთვინიერებლებიც - მგლის გახედნა, უბრალოდ, შეუძლებელია...“ იქვე კი აგრძელებს: ნამდვილი მწერალი, „ესაა მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე - ისიც არ იწვრთნებაო, ამბობენ.“ (დოჩანაშვილი, 2010, გვ. 164)

მძიმე იყო გაუწვრთნელი მწერლების ბედი, ან შეფარვით უნდა ეწერათ, ან რეპრესიები უნდა ეწვნიათ, ან ემიგრაციაში უნდა წასულიყვნენ. გრიგოლ რობაქიძე ამ უკანასკნელთაგანი იყო. ძნელია თქვა, ვისი ტვირთი უფრო მძიმე იყო, გალაკტიონის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ გრიგოლ რობაქიძისა. გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში აღმოჩნდა 1931 წლიდან, ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ კი შვეიცარიაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწერები გერმანულ ენაზე იბეჭდებოდა, მასში არასოდეს ჩამქრალა ქართული სული: „ჩემს შემოქმედებას ვთვლი ნაყოფად საქართველოს გენიისა, რომლის მაღლი მე ვიგემე,“ - წერდა გრიგოლ რობაქიძე და წუხდა, რომ ამ გენიას არ იცნობდა კაცობრიობა და არც თვითონ ქართველობა. ამიტომაც ცდილობდა, თავისი პროზით, პოეზიითა და წერილებით გაეცნო ქართული კულტურა მსოფლიოსათვის,

მისივე სიტყვით, „ასე ინდივიდუალური და ეგზოტ უნივერსალური“ და დაებრუნებინა ცივილიზაციის იმ არეალში, რომელშიც უძველესი დროიდანვე იყო ჩართული“. (ჯალიაშვილი, 2009, გვ. 14)

გრიგოლ რობაქიძემ შეძლო გერმანული ენისთვისაც ისეთივე გამომსახველობა მიენიჭებინა, როგორც ქართულისთვის. გერმანელმა პოეტმა და მკვლევარმა ტასილიო ფონ შეფერმა ასე მიმართა მას: „როგორ შეძელით თქვენ, უცხოელმა, ამნაირად ჩვენი ძნელი გერმანული ენის გაშლა და ამაღლება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი.“ ამაში მას ტარტუს და ლაიპციგის უნივერსიტეტებში მიღებული განათლება დაეხმარა. აკაკი ბაქრაძე კი წერდა: „მართალია, მისი ძირითადი რომანები „ჩაკლული სული“, „გრალის მცველნი“ და სხვები გერმანიაში გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე, მაგრამ ისინი ქართული პროზის მკვიდრი, ორგანული და მოუცილებელი ნაწილები არიან. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: გრიგოლ რობაქიძის გერმანულად დაწერილ რომანებში ქართული სამყაროს ტრაგედია უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე მწერალთა ქართულად დაწერილ და საქართველოში გამოქვეყნებულ თხზულებებში.“ (ბაქრაძე, 2003, გვ. 65) ამის მიზეზად კი შეგვიძლია ჩავთვალოთ საბჭოთა რეპრესიები, რაც, ასევე, იყო მიზეზი გრიგოლ რობაქიძის ემიგრაციაში წასვლისა. საბჭოთა ხელისუფლებამ გრიგოლ რობაქიძე ხალხის მტრად გამოაცხადა და სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლა გამართა მის წინააღმდეგ. გაზეთებში „კომუნისტსა“ და „მნათობში“ გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ მიმართული სტატიები, წერდნენ, რომ რობაქიძე თვალთმაქცობდა და „სოციალისტური სამშობლოს“ მოღალატედ გამოაცხადეს. ერთადერთი, ვინც მას გამოესარჩლა, მიხეილ ჯავახიშვილი იყო, თუმც, უშედეგოდ.

მართალია, გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში იყო, მაგრამ „ყურადღების მიღმა არ რჩებოდა არც ერთი მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე ეროვნული საკითხი“. მუდმივად თვალყურს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მისი გულისცემა საქართველოს მაჯისცემის თანხვედრილი იყო. მისი შემოქმედება მხოლოდ ქართულ სინამდვილეს ასახავდა იმდენად, რომ მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში. ქართულ სინამდვილეში მხოლოდ 90-იანი წლებიდან გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ქართულ ენაზე. (1989 წელს ალექსანდრე კარტოზიამ თარგმნა „ჩაკლული სული“). გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერჯიას, მაგრამ წლების განმავლობაში მას კლავდა და სულს უფერფლავდა ჯავრი და სულს უღვენთავდა ვარამი სამშობლოსი“... (კარმანი, 2010)

„გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ქართული ეროვნული გონი განსაკუთრებული ძალით გაცხადდა რელიგიურ-ფილოსოფიური, ეროვნული, მითოლოგიური, ესთეტიკური ასპექტებით და გაუნელებელი ინტერესის საგნად იქცა როგორც მშობლიური, ისე უცხოური სამყაროსათვის. დიდი კლასიკოსის ესთეტიკის საფუძველია მწერლის ფილოსოფიურ-რელიგიური და ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისი, მისი შემოქმედების ღერძია შესაქმისეული სიბრძნე, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ნააზრევი“. (სორდია, 2017, გვ. 3) ამ ყველაფრის გამო, რა თქმა უნდა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება სრულიად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იდეოლოგიას და, ამიტომაც გამოაცხადეს ეს „მოუთვინიერებელი მწერალი“ ხალხის მტრად.

როგორც ზემოთ ვთქვით, გრიგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისა“ 1937 წელს იენაში დაიბეჭდა გერმანულ ენაზე. წერილში „მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი“, რომელიც 1954 წელსაა დაწერილი მიუნხენში, გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როცა თავისუფალია; თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში - „ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? - არავინ. საბჭოეთში კაცს შიშით მოსვენებით ვერ დაუძინია. ეშინია, სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე, ეს სამოთხე მივატოვე მე და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი. მოწყვეტილი ვარ ჩენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია, უცხოეთში რომ მაცოცხლებენ.“ იქვე კი აგრძელებს: „გულწრფელად აიღეთ ყურად ესე, სიტყვა, რომელიც წრფელი გულიდანაა წარმოშვებული და მამური გრძნობებით თქვენკენ მოშვებული. დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდან; აქაა გულის ძგერა და მაჯის ცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წარმოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვრით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი - ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი - წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვრისათვის... იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, შოთა, საბა სულხან ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წარმოჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართულთ თქვენ ვერა გძლევეთ რა, იყვეს იგი თუგინდ დემონური ძალა ბოლშევიზმისა. დაიმყენით სიტყვა ესე თქვენ ყმაწვილნო გულებში, ახალგაზრდებო! ხალასო ნერგებო საქართველოს მომავლისა! გესმით? გიხმობთ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდად აქვს ამართული მარჯვენათი მზიურ მეწამული ალაში საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასამახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელ იყავ საქართველო!“ ამ მიმართვაში კარგად ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძეს გასიგრძეგანებული აქვს საქართველოს წარსული და მომავლის იმედს, საქართველოს ძალას, ხედავს ერის

სულიერ გაერთიანებაში, რა თქმა უნდა, რწმენასთან ერთად: „ქართველი ერი არა თუ ჰქმნიდა მარტო მწერლობას, იგი კიდევ სცოცხლობდა მით“ („ქართველ მწერლებს“). გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნდა, რომ ხელოვანი ერის სულიერი მსახური უნდა იყოს: „შემოქმედებითს აქტში ხელოვანი სცილდება ემპირიულ საზღვრებს და შთაგონებით ფრთაასხმული თავს გადადის ყოფითს ავსილს ჭურჭელს ინდივიდუალობისას... მაგარამ ვიკითხოთ: სად გადადის იგი ამ ჟამს? პასუხი ერთია: ერის სულში. ყოველი ხელოვანი ორგანული ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი ინდივიდუალური სახეა ერის სულისა“ (ერის სული და შემოქმედება). ამ საკრალური კავშირის საწყისად კი ავტორს მთავარი შემოქმედი - უფალი მიაჩნდა: „მე მწამს, რომ მსოფლიო ღვთის ქმნილია და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი. მწერალი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის რელიგიურობას: მე მწამს ღმერთი და მის წიაღში არა იკარგება რა“. (სორდია, 2017, გვ. 3)

ამ ყველაფრის მტკიცებად შეიძლება ჩაითვალოს რომანი „მცველნი გრაალისა“. რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: რა არის გრაალი (გრაალი) და სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა აქვს ნაწარმოებში? ვინ არიან მისი მცველნი?

წიგნში „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ეძღვნება, შესულია მარიამ კარბელაშვილის ძალზე საინტერესო კვლევა: „წმინდა გრაალის მისტერია და გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“. მასში განხილულია გრაალი, როგორც სიმბოლო: „მეთორმეტე საუკუნეში დასავლეთ ევროპაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა წმინდა გრაალის თემამ, რომელიც, როგორც სახე-სიმბოლო, დიდი ფრანგი რომანისტის, თანამედროვე რომანის მამამთავრად აღიარებული კრეტიენ დე ტრუას მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია, „პერსევალი, ანუ გრაალის ამბავი“ (1181-1191 წწ.) გრაალის ლეგენდამ შუასაუკუნეთა ევროპაში დიდი პოპულარობა მოიპოვა. დიდმა გერმანელმა პოეტმა ვოლფრამ ფონ ეშენბახმა შექმნა „პარციფალი“ (1200-1210 წწ.) წმინდა გრაალის პრობლემატიკას სპეციალური სამეცნიერო დარგი-გრაალოლოგია - სწავლობს და მას მთელ მსოფლიოში უამრავი მკვლევარი ჰყავს, მაგრამ წმინდა გრაალის თემა მხოლოდ აკადემიურ ინტერესთა საგანი არაა: ეს რთული, მრავალწახნაგოვანი სახე-სიმბოლო თავისი იდეური სიღრმით და ესთეტიკური მომხიბლაობით იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ XX საუკუნის გამოჩენილ მწერალთა ყურადღება მიიპყრო: ოცდაათიან წლებში, თითქმის ერთდროულად და ამასთანავე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წმინდა გრაალის თემაზე შეიქმნა პიესა „მრგვალი მაგიდის რაინდები“ და რომანი „გრაალის მცველნი“. პირველის ავტორია ფრანგი ჟან კოკტო, მეორესი - ქართველი გრიგოლ რობაქიძე.

ვნახოთ რა წერია გიორგი კენჭოშვილის წიგნში „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“: „გრაალი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და ლეგენდარული სიმბოლოა. იგი ორ ძირითად თემას მოიცავს, თავად გრაალის სიმბოლიკას და მისი ძიების პროცესს. ლეგენდის მიხედვით გრაალი ანგელოზებმა იმ ზურმუხტისგან გააკეთეს, რომელიც ლუციფერის შუბლიდან მაშინ ჩამოვარდა, როდესაც ღმერთმა იგი ქვესკნელში ჩაამხო. ამგვარად, როგორც ქალწულმა მარიამმა გამოისყიდა ევას მიერ ჩადენილი ცოდვა, ასევე მაცხოვარმაც, თავისი სისხლითა და გრაალის საშუალებით გამოისყიდა სატანის მიერ შეცდენილი ადამის ცოდვა. გრაალის დაკარგვა, შინაგანი წონასწორობის დაკარგვის ტოლფასია, ამიტომ ამგვარ დანაკარგს პირველყოფილი ანუ სამოთხეში ყოფნის მდგომარეობის დაკარგვა მოჰყვება. გრაალის მნიშვნელობა ბარძიმს (grasase) და, ამავე დროს, წიგნსაც (gradaie) უკავშირდება.

თორმეტი რაინდის მრგვალი მაგიდის ცენტრში მოთავსებული გრაალის სიმბოლიკა ძალზე ახლოსაა ჩინური ცის გამოსახულებასთან, რომელსაც შუაში გახვრეტილი წრის ფორმა აქვს (თასის ანალოგი). პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული მონუსკრიპტის მინიატურაზე „გაბრწყინებული ლანსელოტი“, გამოსახულია ორი ანგელოზი, რომლებიც გრაალს მისტიკური მრგვალი მაგიდის ცენტრში ათავსებენ.

ყველაზე პოპულარული ლეგენდის მიხედვით, იოსებ არიმათიელმა გრაალის თასი ჯვარცმული იესო ქრისტეს სისხლით შეავსო, ამიტომ გრაალის სიმბოლიკა დაკავშირებულია ნებაყოფლობითი თავგანწირვისა და ცოდვათა გამოსყიდვის იდეასთან.

გრაალი შუა საუკუნეების ლეგენდებისა და მისტიკური ნაწარმოებების სახელგანთქმული სიმბოლური საგანი, ცოდვების გამოსყიდვისა და მადლის წმინდა ჭურჭელია. ნიკოდემოსის აპოკრიფული სახარების მიხედვით გრაალი ის თასია, რომელიც ქრისტემ საიდუმლო სერობის დროს გამოიყენა, ხოლო მოგვიანებით, ჯვარცმისას, მისი სისხლით შეივსო. გადმოცემის თანახმად გრაალი მაღალ მთაზე აგებულ ციხე-სიმაგრეში ინახება. იგი ანგელოზებმა შეავსეს სასწაულებრივი ძალის მომნიჭებელი სანუკვარი ელექსირით, რომელიც ზიარებისთვის არის განკუთვნილი.

გრაალის ძიების სიმბოლიკა ზეციური კეთილდღეობისა და სულიერი ღირებულებების ძიებასთან არის დაკავშირებული. თქმულების მიხედვით, გრაალს თავისი მფლობელისთვის მარადიული ახალგაზრდობა მოჰქონდა. გრაალის შესახებ ლეგენდების წარმოშობას ძალზე შეუწყო ხელი ჯვაროსანი რაინდების მიერ რელიკვიის ფანატიკურმა ძიებამ. მოგვიანებით, ეს ლეგენდები მრავალმა ავტორმა

დაამუშავა და გააფორმა (ვოლფრამ ფონ ეშენბახმა, კრეტინ დე ტრუამ, რობერ დე ბორონმა და სხვ.), ხოლო კულმინაციას პარციფალის თქმულებებში მიაღწია.“

ასევე, ზვიად გამსახურდია სტატიაში „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ ამბობს: „თუ ადრეულ სამყაროში იცოდნენ, რომ პირველადი მისტერიალური სიბრძნის იყო კოლხეთი, შუა საუკუნეებშიაც კავკასიას უწოდებდნენ ფილოსოფოსთა მთას, სადაც იყო ზეციური რწმენის მადანი და ფილოსოფიური ქვის სამშობლო, ანუ მონს ფილოსოფორუმ. და ამ ფილოსოფიურ ქვას მეორენაირად ევროპაში, ევროპის ქრისტიანულ მიმდინარეობაში ეწოდებოდა გრაალი. გრაალი სემანტიურად არის იგივე, რაც ფილოსოფიური ქვა. ეს არის თასი, რომელიც ედგა მაცხოვარს უკანასკნელი საიდუმლო სერობის დროს და რომელშიც ღვინო, რომელშიც იყო პური და როდესაც მან მიმართა მოწაფეებს... ეს თასი ჩვეულებრივი თასი არ იყო. ეს იყო ძვირფასი ქვისგან შექმნილი თასი, იასპის ძვირფასი ქვის სუბსტანციისაგან შექმნილი თასი, რომელიც მისი ჯვარცმის შემდეგ მისმა ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმათიელმა მართლაც ადავსო მაცხოვრის სისხლით (ხშირია ეს მოტივი ჩვენს ჭედურ ხელოვნებაშიც). ხოლო ლუარა სორდია წიგნში: „გრაალის ორდენის რაინდი“ წერს: „გრაალ“ სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს არის უკვდავების მიწაც, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ. გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას.“ (სორდია, 2017, გვ. 72)

დავით შემოქმედელის სტატიაში „გრაალის მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი“ კი ვკითხულობთ: „ქართულ კლასიკურ მწერლობაში „გრაალის“ თემა ქრისტიანულ სინამდვილესთან მიმართებაში თავისებურადაა დამუშავებული გრიგოლ რობაქიძესთან. რომანში „გრაალის მცველნი“ მოხმობილია ასეთი ისტორია: როცა ფრანგები ნაპოლეონის სარდლობით, იტალიაში, სან ლორენცოს ტაძარში შეიჭრნენ, უბრალო ტყავის შალითაში იპოვეს შვიდეკუთხიანი თასი, რომელიც ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მიერ იყო ჩამოტანილი და წმინდა „გრაალად“ ითვლებოდა. ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა მისი მიწიერი ღირებულების დასადგენად. სან ლორენცოს ტაძარში შეჭრის პარალელურად ფრანგების ჯარი ესპანეთში, ბარსელონაში, ბენედიქტელთა მონასტერში შევიდა. მონასტერში იყო ხატი, რომელიც მოციქულმა ლუკამ გამოჭრა ხისგან, იმ წამს, როცა ეს ბარბაროსობა მოხდა, პარიზში გაიბზარა სან ლორენცოს ტაძრიდან ჩატანილი თასი, რომელიც წმინდა „გრაალად“ ითვლებოდა. ამ ორ მოვლენას შორის ღრმა მისტიკური კავშირი ცხადად იკვეთება. რომანში მოთხრობილია ეპიზოდი: უკანასკნელი რაინდები უფსკრულის პირას დგანან და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებენ. მათი რელიკვიაა წმინდა ნინოს ჯვარი, ხისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. ის-ის იყო მიიღეს გადაწყვეტილება - უფსკრულში უნდა გადაშვებულიყვნენ, რომ პაწია მტირალი გოგო შეეხო ჯვარს. ამ დროს გამხმარი ხე აყვავდა. ოქროსფერი მტევნები დაისხა. მხედრებმა ღვთაებრივი სისხლი დაწურეს - როგორც იოსებ არიმათიელმა - გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვრისა, თასში დააგროვეს ფარულად და შეინახეს. იცავდნენ ვითარცა სიწმინდეს. თასის გარშემო წმინდა „გრაალის“ მსგავსი ორდენი ჩამოყალიბდა. საკრალურად თასში დევს გული, ანუ საქართველოს მზე, ხოლო რაინდები გახდნენ იდუმალი მიწის დარაჯი-გუშაგები. გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის“ დაცვის მისია ავალიათ არა უშუალოდ „გრაალის“ გუშაგებს, არამედ - ქართული მწერლობისა და კულტურის მსახურთ. ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება ორი იდეა - გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევის. ნაწარმოებში გატარებულია საყურადღებო აზრი: „გრაალის“ გადარჩენით გადარჩება ქართული ცნობიერება, ნგრევით კი ქართული სულიერების კატასტროფა გარდაუვალია.“

ამავე აზრს ავითარებს ლუარა სორდია: „გრიგოლ რობაქიძემ საკრალური გრაალიც ქართულ მიწას დაუკავშირა: „გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია. უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი.“ (სორდია, 2017, გვ. 71) ასევე, ლუარა სორდია იმ აზრსაც იზიარებს, რომ გრაალი საიდუმლო სერობაზე გამოყენებული წმინდა თასია: „წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლომგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.“ (სორდია, 2017, გვ. 71)

როგორც ირკვევა, გრაალის შესახებ უამრავი ლეგენდა არსებობს და იგი ყველგან სიწმინდის სიმბოლოდ აღიქმება. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „მზეო თიბათვისა“: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,/ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,/ იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,/ ფრთებით დაიფარე - ამას გევედრები.“ (ტაბიძე, 1988, გვ. 126)

რომანში „მცველნი გრაალისა“ გრაალის არსი გახსნილია ხილვაში, რომელიც „ლევან ორბელს ჰქონდა 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ დღეებში, იმ დღის შემდეგ, როცა მეთერთმეტე ბოლშევიკური არმია თბილისში შემოვიდა... უსასოობის ჟამს.“ (რობაქიძე, 2018, გვ. 615) ეს დეტალი საგულისხმოა, რადგან ხილვაც და გრაალის დაცვის იდეაც ამ მოვლენას უკავშირდება: „რამდენიმე ხნის წინ ხილვა

მეწვია, - დაიწყო ლევანმა თხრობა, - მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში. მთელი ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ ერთი გვარი რჩება მესხეთში, ვისთანაც წმინდა ვაზის ჯვარი ინახებოდა. ისინი ჯერაც არ უდრეკდნენ თავს ნახევარი მსოფლიოს დამპყრობლებს. ვიდრე თუნდაც ერთია უდრეკი, ერის ღირსება არ მოისპობა, თუნდაც მთელი ხალხი დამარცხებული და ზნედაცემული იყოს. გვარის უზუცესი ძლეთამძლე ვაჟკაცია. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ წყვეტს, არადა თანდათან ისიც უკვე ძალისაგან იცლება. ბოლოს და ბოლოს, თავისიანებთან ერთად, ტოვებს თავის მამულს და თავადაც არ უწყის, რა გზას დაადგეს. ზურგს უკან მონღოლები ჰყავს, წინ - უფსკრული. უზუცესი და მისი შეფიცულნი უკვე მზად არიან, კლდიდან უფსკრულში გადაეშვან. უკანასკნელად ჩაიმუხლებენ ჯვრის წინაშე. უეცრად იქ საიდანღაც პატარა გოგონა ჩნდება და თავისი უმწიკვლო ხელით ეხება ჯვარს. ხდება საოცრება: სამი ოქროს მტევანი ამოსკდება ჯვრიდან. უდიდესი ციური მადლი. ვინდა მოდრეკს ამის შემდგომ გმირებს? ასე ვიხილე ეს ყოველივე. ჩემი საგალობელი, კაცმა რომ თქვას, ჯვრის წინაშე აღვლენილი იმ ლოცვის გამეორებას ლამობს.“ (რობაქიძე, 2018, გვ. 616). სამი ოქროს მტევანი - წმ. სამების სიმბოლოა, იდეა კი შემდგომში მდგომარეობს: საქართველო გადარჩება უფლის ძალითა და ნებით, ათეიზმი დამლუპველი იქნება ერისათვის, სწორედ ამ სასწაულებრივი სამი მტევნის ნაჭურით აავსეს გრაალის წმინდა თასი ქართველებმა და თასის გარშემო შეფიცულთა სამძო შეიქმნა. წმინდა თასის დაცვა იგივეა საქართველოს დაცვასთან. „მართალია ქართული გრაალი იმ გრაალს ვერ შეედრება, - ამბობს ავტორი, იმ გრაალში ხომ თვით მაცხოვრის წმინდა სისხლია დაცული. და მაინც, თავისი საგნობრიობით ჩვენი გრაალი უფრო ხელშესახები და არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი მეჩვენება. თანაც მასში ზიარების წმინდა წესი ამქვეყნიური, მიწიერი სურათითაა გაცოცხლებული: მტევანთა წვენი საკრალურ სისხლთან იგივეა.“ (რობაქიძე, 2018, გვ. 619) საბოლოოდ კი ავტორი ამბობს: „ეს თასი საკუთარ თავში საქართველოსთვის ზეგარდმო მინიჭებულ მადლს ინახავდა“. (რობაქიძე, 2018, გვ. 620) „ზეგარდმო მინიჭებული მადლი“ - უფლის მადლია, რომლის გარეშეც ქართველი ერი ვერ აღორძინდება...

ძალზე საყურადღებოა ნაწარმოებში მზის სიმბოლო. ნაწარმოების მთავარი გმირი, ლევან ორბელი, თვლის, რომ საქართველო - „მზის ნიშნულია“: „ჭემმარტად მზის ნიშნულია საქართველო!“ (რობაქიძე, 2018, გვ. 572). თავადი გიორგი კი ამას ასე განმარტავს: „სწორედ მზეში გამოზრწყინდა ქრისტიანობის უღრმესი არსი. ამის საუკეთესო სიმბოლო ვაზის ჯვარია. მათ, ვისი მოწოდებაც ვაზის მოვლა და ღვინის შენახვა იყო, სულიცა და სხეულიც უმწიკვლოდ უნდა შეენარჩუნებინათ მზესთან შესაუღლებლად.“ (რობაქიძე, 2018, გვ. 619). თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ ლიტერატურაში არაერთი მწერალი იყენებს მზეს უფლისა და ღვთისმშობლის სიმბოლოურ სახედ (მაგ.: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“... (ტაბიძე, 1988, გვ. 129) ცხადი გახდება ამ მონაკვეთის არსი და დანიშნულება. საგულისხმოა ერთი ფაქტიც, გრიგოლ რობაქიძე სოფელ სვირშია დაბადებული. სვირი კი ძველქართულად, სულხან-საბას განმარტებით, „მცველს“ ნიშნავს. (ორბელიანი, 1993, გვ. 84)

გრიგოლ რობაქიძის პროზა და პოეზია გამორჩეულია რელიგიურობით. რელიგიური აზროვნება ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმებს, სიმბოლო-ალეგორიებს მოითხოვდა, რითაც მდიდარია მწერლის შემოქმედება. მისი უმთავრესი მიზანი იყო ზრუნვა რწმენის განმტკიცებისათვის (სორდია, 2017, გვ. 145), „ქართული სულის და არსის წმინდად და საიდუმლოდ შენარჩუნება“. (რობაქიძე, 2018, გვ. 621).

ბიბლიოგრაფია:

- ბაქრაძე, ა. (1990). *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი: სარანგი.
- ბაქრაძე, ა. (2003). *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი*. თბილისი: ლომისი.
- ბენაშვილი, გ., & სულავა, ნ. (რედ.). (2003). *თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით: კრებული ეძღვნება გრიგოლ რობაქიძეს*. თბილისი.
- ბურუსი – თენგიზ ვერულავა. (2009 წლის 29 მაისი). *გრიგოლ რობაქიძე – “მიმართვა ქართველი ახლავაზრდობისადმი”*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2009/05/29/გრიგოლ-რობაქიძე-მიმართვ/>
- ბურუსი – თენგიზ ვერულავა. (2009 წლის 18 ნოემბერი). *გრიგოლ რობაქიძე – ბიოგრაფია*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2009/11/18/grigol-robakidze/>
- ბურუსი – თენგიზ ვერულავა. (2009 წლის 30 მაისი). *გრიგოლ რობაქიძე: “საკრალური წყობა”*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2009/05/30/გრიგოლ-რობაქიძე-საკრალუ/>
- დოჩანაშვილი, გ. (2010). *კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა*. თბილისი: პალიტრა L.
- კარმანი, რ. (2010 წლის 05 თებერვალი). *გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2010/02/05/grigol-robakidze-8/>
- კენჭოშვილი, გ. (თ. გ.). *სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0--->

Oprompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASH8a8af947237a93deb7735d>=1

- მკითხველთა კლუბი: გამსახურდია ზ. „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“. (2019 წლის 30 მარტი). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://message.ge/2019/03/30/ზვიად-გამსახურდია-გელათ/>
- ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ხმა II). თბილისი: მერანი.
- რობაქიძე, გ. (2018). *5 რომანი*. თბილისი: არტანუჯი.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (თ. გ.). *ქართველები უცხოეთში - ბიოგრაფიები და მოღვაწეობა: გრიგოლ რობაქიძე*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000161/>
- სორდია, ლ. (2017). *გრაალის ორდენის რაინდი: გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა*. თბილისი: უნივერსალი.
- ტაბიძე, გ. (1988). *თხზულებანი ორ ტომად* (ტ. I). თბილისი.
- შემოქმედელი, დ. (2012 წლის 14 ნოემბერი). *"გრაალის" მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.urakparaki.com/?m=4&ID=64126>
- ჭავჭავაძე, ი. (1983). *კრებული*. თბილისი: საბჭოთა საართველო.
- ჯალიაშვილი, მ. (ავტ. და შემდგ.). (2009). *ქართველი მწერლები სკოლაში*. თბილისი: საქართველოს მაცნე.

Tamar Vepkhvadze
Sokhumi State University
GRIGOL ROBAKIDZE “THE GUARDIANS OF THE GRAIL”
RESUME

Grigol Robakidze's life was very dramatic. Upon leaving the Soviet Union, he was widely regarded as the enemy of the people and was banned in the Georgian space for a long time, though previously - from 1900 until the late 20s he was regarded as a recognized author, one of the leaders and the taste legislators in the cultural and literary processes. That is the reason why at first his novels were written in Georgia and then - in immigration. Most of them were, in succession, translated and published in the leading German publications.

Each epoch was difficult for Georgia in its way. XIX –XX centuries featured similarly in one aspect - it was a struggle against the Russification Policy. Georgian writers and poets sometimes tried to express themselves somehow - even at the cost of their lives. Guram Dochanashvili in his remarkable story, "The Man Who Loved Literature," considers: "There is a writer - a brave man, somewhat calmly brazen, a weird tamer who puts his head into the lion's throat, and- there are some other tamers who make small, curly-haired dogs with a ribbon around the neck jump through the ring and there are also some real tamers – it is simply impossible to tame a wolf...". And: a real writer, he continues, is a "a proud, wolf-riding tramp with an eagle on his shoulder – it (*the eagle*) is not tamable either". [Dochanashvili 2010: 164].

Grigol Robakidze turned out to be such untamable writer. He spent all his life in immigration.

The research topic of my thesis is his work "The Guardians of the Grail." Grigol Robakidze believed that "the world is created by God and an art-worker is God's co-creator." Grigol Robakidze always underlined his religious feelings: "I believe in God and nothing has been lost with God". This work of Grigol Robakidze is the proof to these words. The main question, of course, is: What is a Grail? And the main research focuses on its symbolic-allegorical meaning in this work and as well as on who are the Knights – the Guardians of the Grail and what mission is charged on them by the author in their striving to save the homeland.

Keywords: Grigol Robakidze, Christian symbolism, Grail.

მინდია - ღვთაებრივი ზიარების სიმბოლური სახე

საკვანძო სიტყვები: ყოფიერება, სიბრძნე, პიროვნება, ღირსება, ღვთაება.

ვაჟა-ფშაველა ქართული კულტურის ფენომენია. მისი პოეტური სტილი მკვეთრად გამოირჩევა მთელი XIX საუკუნის ფონზე. ქართველ პოეტთა შორის ვაჟა ყველაზე ღრმად ჩაწვდა ბუნების საიდუმლოებას, რადგანაც მგოსნის ხატოვანი აზროვნების პირველწყაროდ ითვლება ხალხური შემოქმედება. ამ თემას ეძღვნება მისი პოემა „გველის მჭამელი“, რომლის თემატურ-სიუჟეტური სახე მეტად უჩვეულოა. ლაპარაკია გველის ხორცზე.

მინდიას ქაჯთა ტყვეობაში ყოფნა გაგებულია, როგორც მითოლოგიური სიმბოლიკა, რადგან „უძველეს ქართულ მითოლოგიურ პანთეონში ქაჯეთი საიქიოს, შავეთს, სულეთს, ქვესკნელს გულისხმობდა“ (ბაქრაძე, 1968, გვ. 8), ვკითხულობთ აკაკი ბაქრაძესთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თ. ჩხენკელის მოსაზრებაც: „მის მაგიურ ცოდნის მოხვეჭაზე, და ზეგარდმო გულთმისნობაზე“ (ჩხენკელი, 1971, გვ. 242)

გველის ხორცის ჭამა არის არა თვითმიზანი, არამედ ზეადამიანურობისადმი, ღვთაებრივისადმი ზიარება, რომელიც ადვილად არ მოიპოვება: „მხოლოდ საშინელი არაბუნებრიობით კაცის ან გველის ხორცის ჭამით, სულის გაყიდვით და მამასადაძე, უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანური საზღვარი“. (ბაქრაძე, 1968, გვ. 251), მაგრამ გველის ხორცის ჭამა გმირის მიერ ამგვარად უნდა აიხსნას მხოლოდ მითოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული თვალთახედვით, რომელიც აუცილებელი ეტაპია, მაგრამ პოემის მსოფლმხედველობრივი ანალიზის მთლიანობისათვის იგი არ არის საკმარისი. გველი, წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით ტოტემია მკაცრად ტაბუირებული; მისი ყოველგვარი ხელყოფა არის ცოდვა. მაგრამ წარმართობა უშვებს გამონაკლისს: ადამიანი რომ ეზიაროს ზებუნებრივს, ამისთვის მან ტოტემი უნდა გამოიყენოს. ტოტემის მეშვეობით უნდა უახლოვდება ღვთაებრივს. ამიტომ მინდიას მიერ გველის ხორცის ჭამა არის ღვთაებრივისადმი ზიარების სიმბოლური სახე და წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით აქ არავითარი შეუსაბამობა არ არის. მაგრამ ვაჟა პირდაპირ გვეუბნება, როცა მინდიამ გველი ჭამა, მხოლოდ მაშინ მიხვდა იგი, რომ „ჭამა გველისა ქაჯთაგან იყო ზმანება“. (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)

თუ გავიხსენებთ, რომ წარმართობაში ქაჯები ზებუნებრივის, ზეადამიანურის სიმბოლოები არიან, ისინი იოლად ერევიან მინდიას ცხოვრებაში. 12 წელი ჰყავთ იგი ტყვედ. რას უნდა ნიშნავდეს ასე ხანგრძლივად მისი ტყვედ ყოფნა? ამ ფაქტს ასე ხსნიდა აკაკი გაწერელია: „ქაჯური ნიჭის შეძენა ანუ გაბრძენება, ადამიანური საზღვრების გადალახვა და ზებუნებრივის ზიარება მინდიას მძიმე საფასური უნდა დასჯდომოდა და რომ ეს მძიმე საფასური იყო სწორედ მისი 12 წლის განმავლობაში ტყვედყოფნა“. (გაწერელია, 1967, გვ. 8)

სიბრძნის მიღწევის, ცოდნის შეძენის გრძელი და ძნელი პროცესის სიმბოლური გამოხატულება არის მინდიას ასე ხანგრძლივად ყოფნა ტყვედ. ქაჯების ძალები და შესაძლებლობები აშკარად აღემატება მინდიას ძალებს და შესაძლებლობებს; მათ შეეძლოთ დატყვევებისთანავე მოეკლათ მინდია ან კიდევ თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ სურვილისამებრ; საამისოდ მათ ეყოფოდათ არა მარტო ფიზიკური ზეაღმეტება მინდიას მიმართ, არამედ ის ზებუნებრივი გრძნეულებაც, რომელიც იმთავითვე თანაყოფობს მათში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინდია 12 წელი იმყოფებოდა ქაჯების ტყვეობაში ისე, რომ არც სხვაგვარი შეურაცხყოფა განუცდია ქაჯთაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტყვედ ყოფნა თავისთავად ყველაზე დიდი შელახვაა ადამიანური ღირსებისა და საერთოდ, ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა.

სანამ მინდიას ქაჯები დაატყვევებდნენ, ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ცხოვრობდა სხვა ადამიანების მსგავსად, ჰყავდა ოჯახი, ცოლ-შვილი, თიბავდა ბალახს, ჭრიდა შემას, უვლიდა საქონელს. აი, სწორედ ეს მისი უპიროვნო ყოფნა არის მისი ტყვეობა.

პოემის ეს მონაკვეთი უდავოდ ეხმაურება ეგზისტენციალიზმის ცნობილ პრინციპს ადამიანის უპიროვნო ყოფიერების შესახებ. ვაჟა-ფშაველა, როგორც მოაზროვნე, მუდამ იდგა თავისი ეპოქის დონეზე და დროის მიერ მოტანილი პრობლემებისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. XX საუკუნის დასაწყისი კი სწორედ იმ თავისებურებებით ხასიათდებოდა, რომ უკვე აშკარა ხდებოდა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსის ცვლილება და მოახლოვებული დიდი სოციალური ძვრები

აშკარაა, რომ ადამიანური ყოფიერების ბევრ ისეთ მხარეს, რომელნიც მანამდე ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი. ამ მნიშვნელოვან სოციალურ გარდაქმნათა ფონზე, სულ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა რაგვარობა ადამიანური ყოფიერებისა, რომლის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გააზრება ხდება საუკუნის არა ერთ ძირითად ამოცანად. ამიტომ არაფერი არ არის უჩვეულო იმაში, რომ დიდი მოაზროვნეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცდილობდნენ თავიანთი აზროვნების ქურაში გადაეხარშათ ეპოქის მიერ მოტანილი პრობლემები.

ვაჟა-ფშაველა მინდიას უპიროვნო არსებობის მოტივს აძლიერებს მისი ხანგრძლივი ტყვეობის „მონობით“:

„ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა,
მიდის დრო, განვლო მრავალმა,
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუდნო მონობამ
ამოსვლას ლამობს სულია“.

(ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 7)

ავტორი ამაფრებს მინდიას მდგომარეობას, რათა მიიყვანოს მინდია სასოწარკვეთილამდე. მას აყენებს არჩევანის წინაშე: ან დარჩეს ძველებურად, გააგრძელოს ჩვეულებრივი არსებობა, ან კიდევ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად.

არჩევანის გაკეთება ნიშნავს უარის თქმას უამრავ სხვა შესაძლებლობაზე. მაგრამ ამის გაკეთება არაა იოლი საქმე. იმიტომ, რომ ადამიანი უარყოფს მთელ თავის მანამდელ ყოფიერებას. სასოწარკვეთილამდე მისული მინდია დგება ამ მტანჯველი გზის წინაშე. მას რომ ასეთი არჩევანი არ ჰქონოდა, ასეთ ტანჯულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ქაჯებს ეს გარემოება არ გამოჰპარვიათ და სულიერი სფეროს გასაძლიერებლად ხშირად აყენებენ მინდიას არჩევანის წინაშე: აჩვენებენ, თუ როგორ იკვებოდნენ გველის ხორციით:

„იცოდა გველსა ჰხარშავდნენ,
იმისა სჭამდნენ ხშირადა - (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)
მიუხედავად ამისა, მინდია გადაწყვეტს:
„ბოლოს სთქვა: თავს მოვიკლავ,
ასეთ სიცოცხლეს სჯობია, - (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)
და იმ ქვაბიდან, რომელშიც ქაჯები გველის ხორცს ხარშავდნენ:
აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით, ქურდულად შეჭამა“.

(ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)

შემდეგ მინდია შეიგნებს, რომ ქაჯებმა განგებ მოაჩვენეს მას თითქოს გველის ხორცს ჰჭამდნენ, რათა ჩვეულებრივი პიროვნებისათვის უცხო და მიუღებელი საქციელით გაეძლიერებინათ მისი მიჯაჭულობა თავისი არსებობის მოჩვენებით თავისუფლებასთან, დაეტოვებინათ იგი სამარადქამოდ უშუალო დამოკიდებულებაში ყოფიერებასთან და ამით თავიანთი ფიზიკურ-ინტელექტუალური უპირატესობა შეენარჩუნებინათ. თუმცა გარეგნულად თითქოს აქეზებენ, უბიძგებენ ამ თანაფარდობის დარღვევისაკენ:

„შეიგნო, ჰამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება,
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმცა „შენც ჰამეო, მინდიავ“,
არა ზარობდნენ სათქმელად“.

(ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)

მაგრამ ქაჯების უპირატესობა არ აღმოჩნდა სამარადქამო. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ სასოწარკვეთილების უკიდურეს ფორმაში ჩავარდნილ მინდიას შეიძლება გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. მაგრამ არჩევანის თავისებურება იმაშია, რომ ეს ურთულესი სულიერი ნახტომი არის არსებითი გარდაქმნა, ხელახალი დაბადება ადამიანისა. არჩევანის მეშვეობით ქმნის ადამიანი თავის ნამდვილ ყოფიერებას, იბადება ხელახლა. ასევე იბადება მინდია მას შემდეგ, რად გველის ხორცს შეჭამს. იგი მთლიანად გარდაიქმნება:

„ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი შაისხა:
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუს, გაესხნა“.

სულიერ-ხორციელად გარდაიქმნა მინდია, ძირის-ძირეულად გამოიცვალა მისი სულიერი ბუნება და ამის გამო იგი თითქმის ხორციელად განსხვავებული გახდა, თავის მსგავს ხორციელთაგან. მან შიშინა ყველაფერი, მთელი სამყარო:

„ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო“. (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 72)

მხოლოდ ახლა ამოხსნის იგი საიდუმლოს საკუთარი ტყვეობისა, გასწყვეტს ბორკილებს მონობისა და სამშობლოში ბრუნდება თავისუფალი.

ყოველ არსებას თავისი ენა აქვს. მინდია სამყაროს ენით მეტყველებს, მსოფლიო ყოფის დაფარულ საიდუმლოებებს წვდება. მისთვის გასაგები ხდება: ფოთოლთა შრიალი, ტყეთა გარინდება, მინდორთა ჩაფიქრება, ნაკადულთა რაკრაკი, მისთვის არ არსებობს უსულო-უმეტყველონი. პირიქით, ყველაფერი მეტყველია და მის შემოქმედებით წარმოსახვაში სამყარო აისახება, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელშიც თითოეულ ნაწილაკს თავისი მნიშვნელობა აქვს, თავისი აზრი გააჩნია. გენიალური უბრალოებით მიმოხაზავს პოეტი სამყაროს საიდუმლოში შედღწევის სურათს.

მინდიას შინაგანი არსება ამიერიდან სავსეა ბუნების ხმებით. ბუნება მისეული გახდა, მასში არსებული. მინდია ხელახლა დაიბადა. მან თვითონ შექმნა თავისი ახალი ყოფიერება, არსებობა. შექმნა დამოკიდებულება სინამდვილისადმი ანუ სინამდვილის განცდის ესთეტიკური საფეხური. იგი აღარ იმორჩილებს ყოველდღიურობის კანონებს. ის ამაღლებულია და მარადიულობისკენ მიმავალ გზას მიჰყვება. მარადიულობისაკენ სწრაფვა, მარადიულ ღირებულებათა წვდომა მისთვის უკვე რეალობაა, სინამდვილეა.

ამგვარია ინდივიდის ყოფიერების არსი. მაგრამ მინდია სხვაგვარი ყოფიერებაა, გონითი ყოფიერება და ამიტომ არსებითად განსხვავებული სხვათაგან. მას განასხვავებს გონი, გონიერება, რომელიც არჩევანის შედეგად შეიძინა. ამრიგად, მინდიას პიროვნებად გარდაქმნა მისი გაბრძანების წყალობით ხდება. გონიერების მოპოვება სიბრძნის შექმნის შედეგია. ვაჟა-ფშაველა ამგვარად გადმოსცემს მინდიას გაბრძანებას. მის წინაშე ბუნების კარი გაიხსნა იმის წყალობით, რომ ამიერიდან მას ესმის მცენარეთა და ცხოველთა ენა. ყოველივე ამის შემდეგ იგი იმდენად გაძლერდა, რომ „მას არაფერის ეშინის, თუნდ თავს დაატყდეს მუხია“. (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 73)

ამრიგად, თუ მინდიას მიერ ბუნების ენის შეცდომების უნარის შექმნა მის გაბრძანებას ნიშნავს, თვით გაბრძანება მისი სიძლიერის საფუძველია. საინტერესო და ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ მინდიას სიბრძნე აბსოლუტურად დაცლილია, თავისუფალია ბოროტების ქმნისაგან. იგი ღვთაებრივი სიბრძნის ტოლფასია, „მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხი“. (ვაჟა-ფშაველა, 2012, გვ. 73)

მინდიამ ბუნების გაგების უნარი შეიძინა, რადგან ყოფიერების შინაგანი ხმა, ლოგოსის ხმა სწორედ მეცნიერთა და ცხოველთა „მეტყველებაშია“. ლოგოსის გაგება, წვდომა კი ღვთაების, ღმერთის წვდომას ნიშნავს, რადგან ღმერთი ლოგოსია. მინდია გაბრძენდა იმიტომ, რომ მან ღვთაების ხმის მოსმენის უნარი შეიძინა. მას ამიერიდან შეუძლია ღვთისნიერი ხმებით ივსებოდეს, ღვთის ხმა განაპირობებს მის ყოფიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტერზე გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. მტრის მძევალი ვერ გახდებოდა და დარჩებოდა მხოლოდ ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა პასიურ „მსმენლად“. მაგრამ იგი ღმერთთან ზიარებულია. ესმის მისი როგორც მის თანაზიარს და ამიტომ არის უძლეველი. მაგრამ მინდია ბუნების ხმებს ვერ მოისმენდა, ვერ ჩასწვდებოდა მათ, თვით ბუნება რომ არ ყოფილიყო ღვთაებრივი. ეს გარემოება რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას ქადაგებს, რომელიც ღმერთს აიგივებს ბუნებასთან, ხოლო ბუნებას განიხილავს როგორც ღვთაების განსახიერებას.

პოემაში ნაჩვენებია ბრძოლა კერძო-პირადულსა და სასიყვარულო-მსოფლიო საწყისებს შორის. მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს. ოჯახს სჭირდება შეშა და მინდიამ უნდა მოჰკრას ხეები, ოჯახს სჭირდება საკვები და მინდიამ უნდა მოკლას ნადირი. მაგრამ როგორ შემოჰკრას მან ცული ჭადარს, მოსიყვარულე ხე ასე ტკბილად რომ ესალმება? იტანჯება კაცი. მინდია თანდათან უთმობს ოჯახის მოთხოვნებს, რომ არ შეიგრძნოს სხვათა ტანჯვა: მოთქმა ცხოველთა და ცრემლიანი გოდება მცენარეთა, მან მკერდს „გული ჩაიდო ქვისა“. მინდიას უკვე აღარ ესმის სხვათა კვნესა-ჩივილი, მაგრამ სამაგიეროდ წაერთმის ენა ბუნებისა. ის კარგავს უნარს სამყაროს წვდომისა და მის იდუმალებათა შეცნობისა, „ცარიელდება ცოდნითა“ საიდუმლოთამხილავისა. მაგრამ მინდიამ იგი, რომ სამყაროში შესაძლებელია მტკივნეული წყვეტა. ყველა ნაწილაკი ბუნებისა მიილტვის საკუთარი თავის დამკვიდრება-

განმტკიცებისაკენ. სამყაროს ნაწილაკებიდან არცერთს არ ძალუძს სრული უარყოფა დანარჩენთა. აუცილებელია ყოველგვარი შეზღუდულობის ბორკილებიდან დახსნა, წვდომა „სხვაგვარისა“, „სხვანაირისა“, „სხვად“ ქცევა. მან სძლია თავის თავში ვიწრო-პირადული, განასხეულა საკუთარ თავში შემოქმედებითი გენია ბუნებისა. ის უკვე არა მხოლოდ უბრალო კაცია, არამედ ზეკაცი რელიგიური უნივერსალიზმის მნიშვნელობით და, რა თქმა უნდა, ის პიროვნებაა.

მხატვრულ სახეში, მოცემულია ადამიანი, ვის არსებაშიც ორი ძალა იბრძვის: ბუნებრივი და ზებუნებრივი. ბუნებრივი ყოფითი შემოფარგლული, მიილტვის იმისაკენ, რაც შექმნა უზენაესმა, პოულობს კიდევ საკუთარ თავს. მინდია სამყაროს მიმართ ჰჰოვა თავისი „მე“.

ბიბლიოგრაფია:

ბაქრაძე, ა. (1968). *გველის-მჭამელი და ქართული მითი*. მნათობი: თბილისი.

გაწერელია, ა. (1967). *ქართული პოეზიის დიდება*. თბილისი: მნათობი.

ვაჟა-ფშაველა. (2012). *პოემები*. თბილისი.

ჩხენკელი, თ. (1971). *ტრაგიკული ნიღბები*. თბილისი.

Elene Zurabashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MINDIA – THE SYMBOLIC FACE OF DIVINE COMMUNION RESUME

Thematic-fabulous type of the poem is very unusual. Main character's being the captive of the demons, eating of the snake meat by him is understood as a mythological symbol that is not a goal in itself but rather the desire to overcome the human limits and share something superhuman, divine and the latter cannot be achieved easily.

Mindia acquired ability of understanding of the nature, as the internal voice of being, the voice of logos is in "speech" of the plants and animals.

He overcame narrow-personal in him, embodied in him the creative genius of the nature. He is not a common human any more, he is a superhuman, in the sense of religious universalism and of course, he is a person.

Keywords: Existence, Wisdom, Personality, Dignity, The deity.

ვახტანგ ინაური

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შალვა კელოშვილის ლირიკა

საკვანძო სიტყვები: ლირიკა, პოეტი, მესხეთი, თმოგვი, სიყვარული.

იშვიათია შემოქმედი, რომელიც შ. კელოშვილივით ყოველთვის პოეტურ განწყობილებაზე იქნება. მის გონებაში გამუდმებულად ლექსები ტრიალებდნენ. მხიარული იყო თუ დარდიანი მუდამ სალექსო ფორმებსა და პოეტურ სახეებზე ფიქრობდა.

ყოველ პოეტს თავისი პრეტენზია აქვს პოეზიაში და თავის ადგილის დამკვიდრებაზე ფიქრობს ლიტერატურის ისტორიაში. შალვასაც თავის სურვილები და შეხედულებები აქვს ამ საკითხზე. „მე პოეტი

ვარ“ – აცხადებს იგი ერთ–ერთ ლექსში და ამით გარკვეულწილად მიგვანიშნებს თავის აზრს საკუთარ შემოქმედებაზე. მისთვის დუმილი ლექსის თხზვის პროცესი არ არის. დადუმება სიმართლის თქმაზე უარს გულისხმობს. მისთვის „ყველა სიცოცხლეს აღემატება ჭეშმარიტება“. (კელოშვილი, 2015, გვ. 17)

ამ პრინციპით იგი ეხმაურება აკაკი წერეთელსა და დავით გურამიშვილს. მეტი პრეტენზიაა გადმოცემული ლექსში „ჩემი ლექსი“. პოეტის აზრით მისი ლექსი „ჩუქურთმა, გალობა, ღვინო, დუღუკის კვნესა, სიყვარულის წამალია და ბოლოს „ვეფხისტყაოსანივით“ მზითევეში გასატანებელი წიგნია. „შალვას ლექსი თუ არა გაქვს, მზითევიც არაგქონია“. (კელოშვილი, 2015, გვ. 106)

შ. კელოშვილი ლექსში „მე ვარ პოეტი“ ტრადიციულ, ილიასეულ აზრს უბრუნდება პოეტის დანიშნულების შესახებ. „მე უფლის ნებით ვარ მოვლენილი. მან ერთგვარად გააცოცხლა ანტიკური პერიოდიდან მომდინარე შემოქმედის უფლისმიერი საწყისის საკითხი და ამავე დროს ილიას „პოეტის მსგავსად ლექსს მამულისადმი სამსახური დააკისრა.

„მე ისიც ვიცი, რომ გავჩნდი ქვეყნად,
უნდა ვიხადო მამულის ვალი“.

შ. კელოშვილის შეხედულება საკუთარ შემოქმედებასა და თავის ადგილზე ქართულ პოეზიაში ძირითადად მაინც თავმდაბლურია

„მე ვარ პოეტი, პოეტი გესმით?!

პოეტთა შორის ციცქნა პოეტი.“ (კელოშვილი, 2015, გვ. 122)

შალვა კელოშვილი მესხია, ის იმ გვარის შთამომავალია, რომელმაც გაუძლო ოსმალთა ბატონობას. რწმენაც შეინარჩუნა, ენაც და ეროვნულობაც, ასე მოვიდა იგი ჩვენ საუკუნემდე. ამიტომაც იგი მესხეთის გადასახედიდან უყურებს საქართველოს. როგორც მესხისთვის, ისე კაცისთვის, ისე როგორც შემოქმედისთვის, საქართველო ერთ მთლიან ქვეყნად აქვს წარმოჩენილი. აქ იგულისხმება არა მარტო დღეს საქართველოს შემადგენლობაში მყოფი მხარეები, ან მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორია, არამედ მთლიანი ისტორიული საქართველო. ქართლ–კახეთს, გურია–სამეგრელოსა და ფშავ–ხევსურეთთან ერთად ახსენებს ტაოს, კლარჯეთსა და იქით მხარეს დარჩენილ წმინდა სალოცავებსა და ციხე ქალაქებს.

ერთი ქართლი და კახეთი,
ფშავ–ხევსურეთი,
გურია და სამეგრელო
რაჭა აფხაზეთი
სვანეთი და იმერეთი,
აჭარა და მესხეთ–ჯავახეთი,
–ერთი ოშკი, ზარზმა,

ხახული და ბანა
იყალთო და გრემი.
ვარძია და თმოგვი.
ერთი საქართველო
მკვდრეთით წამომდგარი.

ამ სტრიქონით იგი დუტუ მეგრელის პოეზიას ეხმიანება.

შალვა კელოშვილის შემოქმედებაში ძირითადი თემაა ქალი, ღვინო და საქართველო. ეს სამი ფენომენი მის ლექსებში ერთმანეთს ავსებს.

ისინი ხშირ შემთხვევაში ერთად აისახება. ქალის მშვენიერება, ღვინის მაღლი და საქართველოს სიყვარული ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ქალი მშვენიერების საწყისია, ღვინო ტრადიციული ქართული სუფრისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის, მოლხენისა, აღმაფრენისა და პოეტური განწყობის სიმბოლო და საქართველო, სამშობლო, რომლის სიყვარული აერთიანებს ღვინოს, ქალსა და მასთან დაკავშირებული ყველა ფენომენს, ზნეობას, გულისხმიერებას, ეროვნულ სულს, კულტურულ ტრადიციებს და სხვა.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ის ლოთი არ არის, თრობა მისთვის სასურველი არ არის, მაგრამ ღვინის ტრადიციას უარს ვერ ეუბნება. ეს ნათლად ჩანს ლექსში „და ხვალეიდან წვეტსაც აღარ დავლეე“, რომელიც უმღვანა ბ–ნ მერაბ ბერიძეს.

„თუ რაბათთან ავერიდე მერაბ !
ახალციხის ციხისძირის დუქანს.
ლოთი არ ვარ, შენ ხომ ჩემი გჯერა.
ღვინო მითრევს და მაფიცებს უფალს.“

შ. კელოშვილის პოეზიაში წარსული სიდიდე ქალის მშვენიერებასთან ერთად გაიაზრება. თმოგვი, ხერთვისი, ვარძია, წუნდა და სხვა უძველესი ციხე–ქალაქები მუზეუმებსა და ტურისტულ სანახაობას კი არ განასახიერებს, არამედ სიცოცხლით აღსავსე თანამედროვე, დიდებული ისტორიის მქონე სოფლებსა

და დაბებს თავისი ხალისიანი, შრომით დაუღალავი მოსახლეობით, ლამაზი ქალებითა და გოგონებით, რომელთა წარმოსახვა ლექსში ავტორის სტიქიაა, მისი პოეტური გატაცებაა, მისთვის ძვირფასია მესხი ქალის ერთი გაღიმება, ერთი შემოხედვა და მის გვერდით „პტენელი გოგოს ჩაცქრიალება“

მესხეთს ახლოს უნდა იცნობდეს შ. კელოშვილის პოეზია კარგად რომ აღიქვა და გაიაზრო. ვარძიას დიდი ადგილი უკავია მის პოეზიაში. ეს კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. ახლა ორასამდე სენაკია შემორჩენილი. ახლად გამოკვეთილ ვარძიაში 1200 სენაკამდე უნდა ყოფილიყო და უშუალოდ მტკვრის ნაპირიდან უნდა ყოფილიყო აღმართული ციცაბო კლდე. ეს კი ისტორიულადაც საინტერესოა და პოეტურადაც. ამიტომ ეკამათება იგი ჩვენი ქვეყნის ოპონენტებს „მაშ, ვარძია არაფერი, უფლისციხე არას მთქმელი“. ეს ციტირება მოყავს პროფესორს მერაბ ბერიძეს შ. კელოშვილის რჩეულის შესავალში, სადაც საფუძვლიანად და დიდი გულისხმიერებით გაანალიზა. პოეტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები და აღნიშნა შ. კელოშვილის მხატვრულ სახეთა სიახლეები, ფერთა სიმბოლიკა, ფრაზეოლოგიზმი და სალექსო ფორმების ორიგინალობა.

ვარძიის პეიზაჟი, ჩვენი ღრმა რწმენით, ასახულია „ვეფხისტყაოსანში“. ქვაბულები, რომელშიც ტარიელი და ასმათი ბინადრობდნენ, ძალიან ჰგავს ვარძიას. პოემაში არ არის აღწერილი სენაკების რაოდენობა და განლაგება, მაგრამ გარკვეულია იმ ქვაბულთა რაოდენობა, სადაც დევებს განძი ჰქონდათ შენახული. ეს იყო ორმოცი განძსაცავი ოთახი. შესაბამისად, ოცჯერ და ოცდაათჯერ მეტი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, რადგან იქ საკმაოდ ბევრი დევი ცხოვრობდა.

გარდა ამისა შოთა რუსთაველი ტარიელის „ქვაბში“ მისვლისას აღწერს იმ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც გმირის სადგომი მდებარეობდა.

„დღისით ვლეს და საღამო ჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,

კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,

წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,

ხე დედრონი, თვალ-უწვდომი მაღლა კლდემდის ან აყრდენი“. (რუსთაველი, 1978)

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ეს ვარძიაა, კლდის ძირში მტკვარი ჩაედინება, წყლის ნაპირებზე ახლაც ვერ იტყვი შამბნარია, თუ ნაზარდი ბუჩქნარი. „ხე დედრონი“, რომლის კლდის სიმაღლეზე იყო აწეული და მიყრდნობილი, მე მახსოვს, სამხრეთის მხარეს იდგა ვერხვი იყო, თუ არ ვცდები, მაღალი იყო, მაგრამ უკვე ხმებოდა, კენწერო და ტოტები მომსხვრეული ჰქონდა. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ტარიელის სადგომი ვარძიის პროტო პეიზაჟია, რა თქმა უნდა პოეტი თავის მშობლიურ გარემოს აღწერს და სხვაგან არ დაიწყებს ასახვის ობიექტის ძებნას. ამდენად შ. კელოშვილი ვარძიის განდიდებით რუსთაველის ტრადიციებსაც ეხმაურება.

ასევე დიდი სიყვარულითა და პოეტური შთაგონებით წერს შ. კელოშვილი თმოგვის ციხე-ქალაქზე. მისი ისტორიული სიდიადე, ხუროთა სამშენებლო ოსტატობა, მისი გრანდიოზული კედლები და ქონქურები კლდეში გამოკვეთილი მტკვარში ჩასასვლელი გვირაბი კიბეებით, პოეტს სიამაყით ავსებს და პოეტური შთაგონებით აღაფრთოვანებს.

თმოგვის ტოპონიმიკა და ხედიც პოეზიაა. ადვილი წარმოსადგენია პოეტი როგორი ამაღლებული გრძნობით შეხედავდა თმოგვს. აქ ვარძიაში, ხერთვისსა და თმოგვში საქართველოს დიდი წარსულია შემონახული. შ. კელოშვილისთვის ეს წარსული თანამედროვეობის მშვენებაა, იგი ცოცხალია ლექსში „თმოგვის წყაროსთან“.

ისტორიული სიდიადე და დღევანდელი მესხი ქალის სილამაზე ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნის.

„თმოგვის წყაროსთან ვიდექი,

გოგომ რომ ჩამიცქრიალა,

წუნდის თვალები მესროლა

ღელის ბუჩქები შრიალა.

(„თმოგვის წყაროსთან“)

თმოგვის ათასწლიანი წყარო და წყაროსთან გოგო ტრადიციული სურათია. წყაროზე ხვდებოდნენ ერთმანეთს გოგო-ბიჭები, სხვაგან ამისი საშუალება არ ჰქონდათ. წყაროზე კი, როგორც წესი, ახლგაზრდა უნდა წასულიყო და იქ მათი შეხვედრა შეიძლებოდა. „ჩამიცქრიალა“ ლამაზად წარმოთქმული სიტყვაა, თავის დროსა და თავის ადგილას პოეტურად ნათქვამი. „წუნდის თვალები და წუნდის ფერი“ ბ-ნ მერაბ ბერიძის აზრით, სიახლეა დღემდე არავის მოსვლია აზრად თბილისის თვალები ან ქუთაისის, თუნდაც ახალციხის თვალები ეთქვა, „წუნდის თვალები“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს შ. კელოშვილის ლექსებში. შეიძლება იგი მრავალმხრივ გავიაზროთ, პირველ რიგში იგი შეიძლება დაწუნებას შეესატყვისებოდეს, მეორე და მთავარი, წუნდა ჯავახეთის უძველესი დედაქალაქი იყო, სადაც გვარამ მამფალის რეზიდენცია იყო და საიდანაც იგი მართავდა ჯავახეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, იგი ვარძიამდე იყო გაშენებული მკვლევართა აზრით, თუ უნდა გამართულიყო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ასახული საეკლესიო კრება მაღალი რანგის საეკლესიო პირებს – ეპისკოპოსებსა და

მიტროპოლიტებს ხელმწიფის გვარამ მამფალის მონაწილეობით უნდა გადაეწყვიტათ ქართლის კათალიკოსის აღსადგენის საკითხი. ეს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, სადაც ვლინდება ქართველ სასულიერო და საერო ხელისუფალთა ერთიანობა, ობიექტურობა და ქვეყნისათვის ერთგული სამსახური. კრების მერე გვარამ მამფალის მასპინძლობით გაშლილ სუფრას, ცხადია, წუნდელი წუნდისთვალემა ქალები ემსახურებოდნენ, რომლებიც შ. კელოშვილის პოეტურ წარმოსახვაში ცოცხლდებიან. „წუნდის თვალემა მესროლა“ მეტაფორული აზრია, რომელშიც მოიაზრება წუნდელისათვის დამახასიათებელი გამოხედვა, წარსულის აწმყოში გადმოიტანა, რაც იმას გულისხმობს, რომ ძველი წუნდელი ქალის ისტორიულ-ეროვნული სახე ახლაც ცოცხალია. „ლელის ბუჩქებში“ ხშირი თმა მოიაზრება, „წუნდის თვალემა“ და „ლელის ბუჩქები“ კვლავ ხიბლავს პოეტს. „გადიქროლა და გაფრინდა, წაიღო გული ფრიალა,“ მას უფრო გაეხარებოდა „წუნდისფერთვალემა“ გოგო თმოგველი რომ ყოფილიყო, რადგან თმოგვის ისტორიულ სიდიადეს თანამედროვეობაში დიადი სილამაზის ქალი შეეფერება. ავტორი ამ გოგონას სახეში აგრძელებს წუნდისა და თმოგვის ღირსეულ წარსულს და ცდილობს დაგვანახოს, რომ აწმყოშიც თმოგველი თუ პტენელი გოგონას სახე ქვეყნის ლამაზი ისტორიის ლამაზი გაგრძელებაა.

შ. კელოშვილის პოეზიაში ქალის ტანი, მკერდი და თვალემა ხოტბაშესხმული. მესხ ქალს ტანი ბუნებრივად მოხდენილი აქვს. სახე როგორც არ უნდა ჰქონდეს, მაინც ლამაზი აღნაგობა აქვს. ამიტომაც ადარებს პოეტი მას ხან ლერწმის ტოტს, ხან სოსნის რტოს. მაღალი მკერდის ხიბლი ერწყმის ცქრიალა ტანს და მომდიმარე სახეს „ტუჩზე შვინდი გახლეჩოდა, ნარიყალა ედგა მკერდზე.“

თვალემა განსაკუთრებული ხიბლი აქვს შ. კელოშვილის პოეზიაში. თვალემის ასახვისას მრავალ ორიგინალურ მეტაფორას იყენებს: „წუნდის თვალემა“ „წუნდის ფერი თვალემა“, „სოსნისთვალა“ და სხვა.

სოსანს გარკვეული ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსანში“, იგი ტანის სინატიფესა და მოხდენილობის აღსანიშნავად გამოიყენება. ავთანდილის შესახებ შოთა რუსთაველი წერს: „დილასა ადრე მოვიდა იგი, ნაზარდი სოსანი, მოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი“.

სოსანი, მოცისფრო-იასამნისფერი ყვავილია, მინდორში ყვავის დაახლოებით ყაყაჩოს ყვავილობის დროს. იგი უფრო ხშირია მესხეთსა და ქართლში. ტანაყრილი და ლამაზი ყვავილია, მისი ყვავილობისას რომანტიკული და პოეტური განწყობილება ამაღლებულია.

შ. კელოშვილის შემოქმედებას, მის პიროვნულ ღირსებებს მესხური კოლორიტი და ხასიათები ასაზრდოებს. მესხეთი მისი პარნასია, მისი შემოქმედებითი ცეცხლია.

„ზეკარს ირემი დაჰკვივის
თორში მაჭარი დაღვინდა,
ტაბაწყურს მწვადი ავაგე,
ნეკერჩხლის ცრემლებს მაყრიდა.“

მას ეამაყება, უხარია, რომ მესხია. ამიტომ არ ზოგავს მხატვრულ ფერებს მესხური სოფლების ხვავის, ბარაქისა, ნაყოფიერებისა და მესხური ბუნების ასახვისას.

„მესხი ვარ, მესხის გული მაქვს,
მარღვებს სისხლი ჩქეფს მესხების,
მშობელი მიწის ხნული ვარ!
ტოტი ვარ მუხის ფესვების.
რა არ მაქვს, შეხე, რა არ მაქვს.
ცა, მიწა, ზღვა და მდინარე,
მე ჩანჩქერი ვარ ღვართ-ქაფი
ჭულეში ჩამომდინარე.“

ჟამთა სვლას შ. კელოშვილი ისე მწვავედ არ განიცდის, როგორც ალ. ჭავჭავაძის „გოგჩაშია“ ასახული, მაგრამ მსუბუქი სევდა მაინც აწუხებს. ეს ადამიანური განცდაა, რომელიც არავისთვის უცხო არ არის. შალვა თითქოს აცილებს მიმავალ წლებს და მასთან ერთად „გაფრენილ“ სიყვარულს.

„ნეტავ მგლის მუხლი შემაბა
ქორის თვალემა მომცა!
სოფლის ორლობის ბოლოზე
შემომეყრები როცა,

ათითასი ღიმილი,

ათითასი კოცნა,

სიჭაბუკეში გაივლის

გაფრინდება და მორჩა.

ბავშვობის წლების გახსენება ყოველ ადამიანში აღძრავს სინანულის და მონატრების განცდას. ეს ასახულია გალაკტიონის პოეზიაშიც „მოგენატრება ბავშვური ცრემლი, ეცდები, მაგრამ ვერ ატირებდი“,

ლადო ასათიანის ლექსში „ბარდნაღა“: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი“. შ. კელოშვილსაც აწუხებს „ბავშვობის წლები“.

„თვალს და ხელს შუა გაფრინდა
ჩვენი ბავშვობის წლები.
–ქარი ყვავილებს გვაცრიდა
ავსილი იყო გზები
ღიმილის წვიმა გვაწვიმდა
და გადიოდა წლები.
როგორ მიყვარდი, გიყვარდი,
ცას ვეხლებოდით გზნებით
ზღვა სიყვარულის ღელავდა
და გადიოდა წლები.“

შალვა კელოშვილმა თავისი სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში. მან გაამდიდრა მესხეთის თემა, რომელიც მეოცე საუკუნის უდიდესმა პოეტებმა გალაკტიონ ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ დაიწყეს და საუკეთესო ლექსები უძღვნეს მესხეთს. მათი ტრადიციების ერთგვარი გაგრძელებაა შ. კელოშვილის პოეზია.

მისი ლექსები გათვლილია მხატვრულ კითხვასა და პოეტურ დეკლამაციაზე. თავის მრავალფეროვანი სალექსო ფორმებით, ორიგინალური მხატვრული სახეებითა და პოეტური ნააზრევით შალვა კელოშვილის სახელი თავის ადგილს დაიკავებს ქართული მკითხველის ცნობიერებაში.

ბიბლიოგრაფია:

ბერიძე, მ. (2015). წინასიტყვა შ. კელოშვილის ლექსებზე. წიგნში: შ. კელოშვილი. *ლექსები*.

კელოშვილი, შ. (2015). *ლექსები*.

რუსთაველი, შოთა. (1978). ვეფხისტყაოსანი. წიგნში: *ქართული პოეზია* (ტ. 2).

Vakhtang Inauri
Gori State Teaching University
SHALVA KEGHOSHVILI'S LYRIC
RESUME

Shalva Keghoshvili's poetry, with its thematic issues and lyrical moods, occupies an important place in modern Georgian literature. The love of the homeland, the beauty of a woman, and the traditional supra (table), with toasts full of high attitude and wisdom, completely set her apart from her poetic vision and poetic thinking.

Meskheta is for him Parnassus, where the poet was born and raised, where Sh. Keghoshvili's poem was developed. Beautiful artistic faces, pronounced rhythms, the exoticism of the native land and history arouse great interest in the reader and arouse in him a love for the homeland, beauty and the past of the country.

Keywords: Lyrics, Poet, Meskheta, Tmogvi, Love.

ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირხაზობები ფრონეს ხეობის ქართულში

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტი, ფრონეს ხეობა, ზმნისწინი, ფონეტიკური ცვლილება, ასიმილაცია, დისიმილაცია, ანალოგია, ბგერის დაკარგვა.

ნაშრომში გაანალიზებულია ფრონეს ხეობის მეტყველებაში ზმნისწინის შემადგენელი ხმოვნითი ელემენტის ზოგი ფონეტიკური ცვლილების (ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათა დაკარგვის, ანალოგიის..) შედეგად წარმოქმნილი ვარიანტების პარალელური გამოყენების შემთხვევები. საკვლევი საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ მოპოებულ უახლეს მასალას.

ზმნისწინი ზმნის ერთ-ერთი რთული და საინტერესო კატეგორიაა. ამას განაპირობებს მისი რაოდენობა, ფუნქცია და ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც მასთან დაკავშირებით დიალექტებში გვხვდება. ქართული ენის დიალექტებში ფონეტიკურად იცვლება ზმნისწინის შემადგენელი ხმოვნითი ელემენტი. ზმნისწინებში წარმოდგენილი ოთხი ხმოვანი: ა (ა-, გა-, და- ჩა-, წა-), ე (შე-), ი (მი-) და ო (მო-) ცვლილებისას იძლევა როგორც იდენტურ, ასევე განსხვავებულ შედეგებს. (ჯორბენაძე, 1998, გვ. 610)

ქართულში ზმნისწინთან დაკავშირებით შეინიშნება როგორც ერთფეროვნება კილოკავთა და თქმების დონეზე, ისე განსხვავება ფონეტიკური ვარიანტების სახით. (კობერიძე, 2015ბ, გვ. 51)

რა ცვლილებას განიცდის ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი ფრონეს ხეობის მეტყველებაში? მისდევს თუ არა შიდაქართულ მეტყველებას? გამოხატავს თუ არა მსგავსებას დასავლურ ქართულთან?

ა ხმოვნის შემცველი ყველა ზმნისწინი დიალექტებისა და პოზიციის მიხედვით ერთი და იმავე წესით იცვლება. (ჯორბენაძე, 1998, გვ. 611)

ა- ზმნისწინი ფრონეს ხეობის მეტყველებაში ისევე ჩვეულებრივია, როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში. მის ფონეტიკურ ვარიანტად დასტურდება ე- ე ხმოვნის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (ეე←აე). მაგ.: ამ გლეხსა ეეწია (←აეწია) და მიეცა მთელი ქონებაი (ტახტისძირი). სოფელ ქემერტის მეტყველებაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს პრევერბის ა ხმოვნის ასიმილაცია მომდევნო ე-სთან: სახლი ეეშენებინათ (ნოზაძე, 1970, 338). იგივე შემთხვევები დასტურდება შიდა ქართლის სხვა სოფლებშიც: რო სახლი ეეშენებინა (← აეშენებინა) ქვიტკირისა (სამთავისი). (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 10)

გა- ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტად დასტურდება გე- (გე←გა) კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის გზით. მაგ.: იმასაც გეერეცხა (←გაერეცხა) (წვერი)(იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 84); იმ სიბნელეში ვერ გეერკვია (←გაერკვია) გზაი (დირბი). გეეტენა (←გაეტენა) ვებერთელა გოდორი (ბრეთი); ამ გოგოსაც გეეღვიძებინა (←გაეღვიძებინა) (არადეთი).

შდრ. შიდაქართული: გეერიდნენ (←გაერიდნენ) ბატონეფსა” (ხვედურეთი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 79); მერე შემდეგი თვინ შეიძლებოდა რამდენიმე თვეს გეეველო (←გაეველო) (თორტიზა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 30); ერთ ბიძას ყურმნიანი ვენახი უნდა გეეთიბა (←გაეთიბა) (ბერბუკი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 33); ერის ხალხს ისე გეეხარდათ (←გაეხარდათ) (ხელთუბანი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 41). დასავლური ქართული: ვერც მანდ გეეზარდათ (←ზავშევი) (ქინძათი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 61); გეებერა (←გაებერა) მუცელი (წალვერი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 98).

ატენისა და წედისის ხეობის ქართულში ჩვეულებრივია პრევერბის ა ხმოვნის ასიმილაცია ე-სთან: გეერივნენ, გეეპარათ... (კახაძე, 1953, გვ. 281)

გადე ← გადა დისიმილაციით: ე, ღვინოი აუცილებელივ უნა გადავილოთ (←გადავილოთ) თორემა მიენ გაფუჭდება (არადეთი).

სოფელ წითელუბანსა და შავშვებში მცხოვრებ აჭარელთა და ქართლელთა მეტყველებაში დასტურდება გა- ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტად გი-. მაგ.: „დაბერდა და არ გიემტყუნება (←გაემტყუნება) (წითელუბანი); „ქალი წავიდა და კაციც გიეკიდა (←გაეკიდა)“ (შავშვები).

ეს ფონეტიკური მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია „ე-პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის შემდგომ რეგრესული დისიმილაციის გზით: გა-ე-ღ-ო→გე-ე-ლო→გი-ე-ლო.....

დადასტურებულია მესხურში, გურულში, აგრეთვე აჭარულში (სადაც პროცესი, ჩვეულებრივ, უფრო შორსმიმავალია: გი-ე-ლო → გე-ე-ლო, გიეტანა → გეეტანა)”. (ჯორბენაძე, 1998, 611)

წითელუბნისა და შავშვების მეტყველებაში ზმნისწინის ასეთი ცვლილება შიდაქართლისათვის არ არის დამახასიათებელი მოვლენა. ეს მოვლენა სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევით უნდა აიხსნას. (კობერიძე, 2015ა, გვ. 26)

დე←და კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის გზით -ე-სთან მეზობლობაში: მერე აქაურ ბატონს **დეემორჩილა** (←დეემორჩილა) (წვერი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 84); **დეერქვა** (←დაერქვა) სალოლაშენი (ფცა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 92); „**დეეცემი** (←დაეცემი) და მერე ნახან შენა (დირბი).

შდრ. **შიდაქართლური**: მე **დევეჭიდები** (←დავეჭიდები)” (ხელთუბანი)(იმნაიშვილი, 1974 ბ, 41); **დასავლური ქართლური**: მაგი გულითვინ **დეერქვა** (←დაერქვა) დანახვისაი (დეგელა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 5).

ფრონეს ხეობის ქართლურში **დე-** დასტურდება მ-სა და გ-ს მეზობლობაშიც. მაგ.: **დემეწყო** (←დამეწყო) მეცა საქმეი და გამეთავებინა (ტახტისძირი); კიდე კაი თქვენ არ **დეგენგვანათ** (←დაგემგვანათ) (დირბი).

იშვიათად შეინიშნება **დე-** ი ხმოვნის წინ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის გზით (**დეი←დაი**): ესენიცა სუ თვითონ **დეიზარდნენ** (←დაიზარდნენ). შდრ. **დასავლური ქართლური**: იქ **დეიწყო** (←დაიწყო) ცხოვრებაი” (დიდი ახალდაბა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 88).

ჩე←ჩა კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ასფუთიან ქვევრში **ჩეესვა** (←ჩაესვა) (წვერი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 84); მწუხარებით გული **ჩეთუთქა** (←ჩათუთქა) (დვანი); მტრეფს **ჩეპარათ** (←ჩაეპარათ) როგორღაცა (არადეთი); თუ **ჩეესო** (←ჩაესო) ეგ ეკლები, ვეღარც ამოიღებ ხელიდანა (ავნევი).

ზოგჯერ ჩე- გვხვდება შე- ზმნისწინის ნაცვლად: ისინიც იმა **ჩეეხიზნენ** (= შეეხიზნენ) (ტახტისძირი).

წე←წა სრული რეგრესული ასიმილაციით: მას მერე რაც **წეეჩხუბა** აღარ ჩანს (ბრეთი); **წეეგდოთ** ძალღებსა და **წეებუბნათ** (სალოლაშენი).

შეინიშნება ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევა ი-ს წინ (**წე←წა**): **წეისლუკუნა** (←წაისლუკუნა) ერთი გულამოსკვნითა (ნული).

შე- ზმნისწინის **შა-** ვარიანტი ფრონეს ხეობისათვის არ არის დამახასიათებელი. ეს მოვლენა დამახასიათებელია შიდა ქართლის სხვა სოფლებისათვის. მაგ.: შავხედეთ (შეგხედეთ) და ზემოდან მოდის ერთი ბიჭი ცხენითა (წინამძღვრიანთკარი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 7); **შაძმობილებული** (←შემძმობილებული) ვიყავით თხმომცი კაცი (შავშვები) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 27); **შავარდნილა** (←შევარდნილა) რამდენიმე სოფელში (არაშენდა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 22); სიმინდს **შავურევდით** (←შევურევდით) პურსა და ქერსა (ქვემო ჭალა) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 26).

ალგეთის ხეობის ქართლურში **შა-** გვხვდება როგორც ზმნებში, ისე სახლზმნებში. მაგ.: სიცხემ არ **შააწუხოს** (სადრ.); **შამაბეზრეს** ბატებმა (ჩხ.); ფეხები აქ **შაკრული** (სალარიძე, 1978, გვ 75).

შე-ს მაგიერ **შა** - გვხვდება ქსნის ხეობის ქართლურშიც. მაგ.: „შაირთო ერთი ხემწიფის ქალი“ (ქვემოქსნური); „მეცხრე თავს ცოტა ხორცი შარჩენილიყო“ (ზემოქსნური). (სომხიშვილი, 1968, გვ. 65).

გრ. იმნაიშვილის აზრით, შე ზმნისწინის ნაცვლად შა-ს ნაკლებად ხმარებას ხელს უწყობს ის, რომ „აე კომპლექსი რეგრესული ასიმილაციით გვაძლევს ეე-ს, ამიტომ ისეთ ზმნებთან, რომელთაც აქვთ თავკიდურ ხმოვნად ვნებითის თუ ფუძისეული ე, ქართულში ჩვეულებრივ გვაქვს შე- (და არა შა-); მაგ.: შეეკითხა, შეეჭიდა, შეებრძოლა, შეეპარა, შეეძლო, შეერთდნენ და სხვ.“ (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 208-209).

ზემოთ განხილულ შემთხვევებში (შე←შა) არ გამოირიცხება ანალოგია ა- ხმოვნიან ზმნისწინებთან. (ჯორბენაძე, 1998, გვ. 616).

ში←შიე ა პრეფიქსის წინ რეგრესული დისიმილაციით: ხამი მეხრეები **შიაბამდნენ** (←შეაბამდნენ) ხარეფს უღელში (ბრეთი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 90); ამდენი ჩხუბითა ერთი კარქათა **შიახურა** (←შეახურა) და გაუშვა (ავნევი). შდრ. **შიდაქართლური**: **შიათრიეს** (←შეათრიეს) დარბაზში (ხიდისთავი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 14).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **მი-** ზმნისწინის ხმოვნის ცვლილება (**მე←მი**) კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე. ეს მანამდე **მეეთითა** (←მიეთითა) გასაკეთებლათა (დვანი).

ეს მოვლენა იშვიათია ქართლის სხვა სოფლებისთვისაც: ჭალას მერე მანთამოვი **მეეპატრონა** (←მიეპატრონა) (რატევანი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 103);

მი- ზმნისწინის პარალელურად წარმოდგენილია რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი:

მე←მი კონტაქტური სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: **მეეწონათ** (←მოეწონათ) აქაურობა (ქვენატკოცა) (იმნაიშვილი, 1974 ბ, 66); **მეეცალე**, **მეეცალე** (←მოეცალე// გაეცალე) ბიჭო

(დირბი). შდრ. კაცი რო **მეწონებოდა** (←მოეწონებოდა) ბატონს“ (დიდი ხურვალეთი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 21).

მა ←მო ფონეტიკური ვარიანტი **მ** პრეფიქსის წინ: ამაღამ შენი ქალი **მამეციო** (←მომეციო) (კნოლევი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 80); **მამადგა** (←მომადგა) ქეთინოი“ (დირბი); პატარა **მამიტეხე** (←მომიტეხე), შიმშილ მაინ **მამიკლავს** (←მომიკლავს)“ (დირბი); **მამიტანე** (← მომიტანე) წყალსაც დავლევ (ავნევი); არავინ ჩემი **მამკითხავი** (← მომკითხავი) არ არი (არადეთი); წადი, შვილო და **მამიტანე** (← მომიტანე) ამბავი (არადეთი); მაინც არ უნდა **მამხდარიყო** (← მომხდარიყო) (არადეთი).

მა←მო ფონეტიკური ვარიანტი **ი** ხმოვნის წინ: ისა, კიდენა სულ **მაიტა, მაიტას** (←მოიტანე) გაიძახის (სალოლაშენი).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ოა პოზიციასში და მხოლოდ შემდეგ გაეფართოებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაში, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს (თოფურია, 1925, გვ. 131; სალარიძე, 1978, გვ. 20). ამ მონაცვლეობას ერთგვარი კანონზომიერება ახასიათებს: ო იქცევა ა'დ მაშინ, როდესაც ზმნის თავკიდურ ბგერად გვაქვს ი ხმოვანი, ან მ ბილაბიალური თანხმოვანი. სხვა ბგერების წინ მო- უცვლელი რჩება (სალარიძე, 1978, გვ. 21; კობერიძე, 2015ბ, გვ. 53-54).

შ. ფუტყარაძე კიდევ უფრო უღრმავდება აღნიშნულ პროცესს: „იმერხელში დაახლოებით ასეთივე სურათია, მაგრამ შესამჩნევია ისიც, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი ცვლილება ხდება იქ, სადაც საფუძველია მომზადებული ასიმილაციისათვის და თანაც ეს ხდება ძირითადად სუბიექტის მეორე და მესამე პირის ფორმებთან“. (ფუტყარაძე, 2016, გვ. 115; კობერიძე, 2019, გვ. 106).

მა←მო მონაცვლეობა ქართლურის გარდა დასტურდება ფშაურში, კახურში, იმერულში. (მარტიროსოვი & იმნაიშვილი, 1956, გვ. 35; მოწინიძე, 1973, გვ. 29, 65; ჯორბენაძე, 1998, გვ. 613).

ზოგიერთ კილოში მო ზმნისწინის ო ელემენტის ანით შეცვლა ზოგჯერ შეპირობებულია ზმნის პირთა ცვლით. მაგალითად, კახურში პირველ სუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ გვევლინება მო-, ხოლო პირველ ობიექტურ და მეორე და მესამე სუბიექტურ პირთან-მა- (მე მოიტანე, მე მოვჭერი; შენ მოგიტანე, შენ მოგიჭრი; მე მამიტანე, მე მამიჭრი; შენ მაიტანე, შენ მაშჭერი, მან მაიტანა, მან მაშჭრი). (მარტიროსოვი & იმნაიშვილი, 1956, გვ. 89-90).

ფრონეს ხეობის ქართლურში მო- ზმნისწინის ცვლილება მა- ვარიანტით ი ხმოვნის წინ უნდა აიხსნას ერთგვარი მიდრეკილებით, რომ პირველ სუბიექტურ პირთან ჩვეულებრივ იყოს მო-, მეორე და მესამე პირთან მა- .

მო- ზმნისწინის ფონეტიკური ვარიანტი **მუ-** (მუ ←მო) გვხვდება ა ხმოვნის წინ: რო **მუახლოვდნენ** (მოახლოვდნენ) (ბრემა) (იმნაიშვილი, 1974 ბ, 64). შდრ. **შიდაქართლური**: მე ისე **მუაჩვენე** (←მოაჩვენე// მოვაჩვენე) ჩემი თავი (ხიდისთავი) (იმნაიშვილი, 1974, გვ. 15).

ზმნისწინის ასიმილირებული ე ხმოვანი იმსგავსებს რთული ზმნისწინის პირველ ხმოვანს: დები **გედევზვიენენ** (← გადაევზვიენენ) ერთმანეთს (დირბი); **გედევჭრა** (← გადაევჭრა) საბელი (ტახტისძირი).

ხმოვანთა დამსგავსება ხდება არა მარტო მეზობლად მყოფ ხმოვნებს შორის, არამედ თანხმოვანთა შორისაც (განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნას ორი ზმნისწინი გააჩნია. მაგ.: გემეერჩა, გემეეგება, წამეეყვანა, გედერჩინა, გემეეღვიძა, წემეელო და სხვა) (მარტიროსოვი, 1939, 25).

აღნიშნული შემთხვევები დამახასიათებელია ბორჯომის ხეობის ქართლურისათვის. მაგ.: **გედევკიდა** (რველი); **გედევხვია** (წადვ.) (იმნაიშვილი, 1956, გვ. 88).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში შეინიშნება **გადა** ზმნისწინის ბოლოკიდურ ა-ს დაკარგვის შემთხვევები (**გად←გადა**): უცბათ **გადუჭურჩულა** (←გადაუჭურჩულა)“ (ავნევი); **სულ გადუკრიფა** (←გადაუკრიფა) ჯიბრიტაი (ნული). შდრ. **შიდაქართლური**: **გადუყაროს** (←გადაუყაროს) კალთაში“ (წინამძღვრიანთკარი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 7).

ვ. სომხიშვილი პრევერბის კვეცად მიიჩნევს ა-ს დაკარგვას ქსნის ხეობაში შემდეგ შემთხვევაში: **გადი ←გადაი**. მაგ.: „ისე **გადიყვანეთ**, არაფერი და დაუშავდესო“; „**გადიწერა** პირჯვალი და ღმერთმა ახსენა“; „**გადიხედა**, იქით და დაინახა“ (ქვემოქსნური). (სომხიშვილი, 1968, გვ. 65).

ანალოგიური შემთხვევა დასტურდება ფრონეს ხეობის სოფლებშიც: **გადიკითხა** (←გადაიკითხა) ბიბლიაი (ტახტისძირი); **გადიგრიხე** (←გადაიგრიხე) თოვი შენკენა (დვანი).

გადმო ზმნისწინის პარალელურად იშვიათ შემთხვევაში დასტურდება მისი ფონეტიკური ვარიანტები: **გადმა←გადმო**: დილასა გურამ **გადმამირიცხა** (←გადმომირიცხა) ერთი ლარი (დირბი); ფრინველები რო **გადმაფრინდებიან** (←გადმოფრინდებიან)“ (დირბი). **გადმუ←გადმო**: დილასა ადრიანათ **გადმუაკითხა** (←გადმოაკითხა) მევალებმა (დვანი).

გამო ზმნისწინის პარალელურად გამოიყენება მისი რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი. **გამა←გამო**: ე ნახირ რო **გამარეკამ** (← გამორეკამ) ხოლმე (არადეთი); **გამამიგზავნე** (←გამომიგზავნე) ქალიო (კნოლევი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 80). მეორე ბატონმა წყალი არ **გამაატარებინა**

(←გამოატარებინა) (წვერი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 85). შდრ. მეთევზეებმა **გამააცხადეს** (ხელთუბანი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 9); ისე ვინ **გამამატანს** ქალსაო (წაღვერი), (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 96); ერთმა კაცმა **გამაიარა** (გალავანი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 54); პური **გამააცხო** თონეში (ლარგვისი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 132); **გამაიზამთრიანონ** (უკანამხარი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 139); რათ გამაღვიძეო (ანანური) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 146).

ამრიგად, დიალექტური მონაცემების ქრონოლოგიურად შესწავლისას გაირკვა, რომ ფრონეს ხეობის მეტყველებაში ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის **ა, ე, ო** ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინები, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ზმნისწინების პარალელურად ფონეტიკური ვარიანტების სახით იხმარება. გაანალიზებულ საილუსტრაციო მასალებში არ დასტურდება ი ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის ფონეტიკური ცვლილება. ამ ხეობისათვის დამახასიათებელი ზმნისწინის ფონეტიკური ცვლილებები (ასიმილაციით, დისიმილაციით, ანალოგიით, ბგერის დაკარგვით) მსგავსია ქართლურისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა.

ბიბლიოგრაფია:

თოფურიას, ვ. (1925). *ქართლური*. ტფილისი.

იმნაიშვილი, გ. (1956). ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, VIII.

იმნაიშვილი, გ. (1974ა). *ქართლური დიალექტი* (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.

იმნაიშვილი, გ. (1974ბ). *ქართლური დიალექტი* (ტ. 2). თბილისი: მეცნიერება.

კახაძე, ო. (1953). ატენისა და წედისის ხეობის ქართლური. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, IV.

კობერიძე, მ. (2015ა). ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში. *XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. თბილისი.

კობერიძე, მ. (2015ბ). ზმნისწინთა ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში. *ენა და კულტურა* (14).

კობერიძე, მ. (2019). ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში (შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით). *ქართველური მეცნიერება*, XXIII.

მარტიროსოვი, ა. (1939). ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე* (ტ. IV 3). ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მარტიროსოვი, ა., & იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ნოზაძე, ლ. (1970). ქართლური დიალექტური მასალები. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XVII.

სალარიძე, თ. (1978). *ალგეთის ხეობის ქართლური*. თბილისი: მეცნიერება.

სომხიშვილი, ვ. (1968). *ქსნის ხეობის მეტყველება*. ცხინვალი: ირისთონი.

ფუტკარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული* (წიგნი მეორე). ბათუმი: გამომცემლობა აჭარა.

ძოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.

ჯორბენაძე, ბ. (1998). *დიალექტოლოგია* (ტ. 2). თბილისი: მეცნიერება.

Mariam Koberidze

Gori State Teaching University

PHONETIC VARIETIES OF PREFIXES IN THE KARTLURI OF PRONE GORGE RESUME

The paper analyzes the various regional recorded and published texts and material we have obtained on the basis of preverbs integral element vowel some phonetic changes (assimilation, dissimilation, loss of sound, analogy..) resulting from the use of parallel versions.

Preverbs existing in Georgian literary language as a result of phonetic changes may appear in Prone Valley with the following form: **a→e, ga→ge, gada→gade, gada→gede, da→de, da→de, cha→che, tsa→tse, she→shi, mi→me; mo→ma....**

In the verb prefixes mainly changes three vowels: a, e, o.

Keywords: Kartlian dialect, Prone valley, Preverb, Phonetic changes, Assimilation, Dissimilation, Loss of sound, Analogy.

გალაკტიონ ტაბიძის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, შოთა რუსთაველი.

გალაკტიონის კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ 1944 წელს ბათუმში გამოიცა. წიგნს გამოსვლისთანავე გამოეხმაურა დ. დუმბაძე (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 1944 წელი, 12 ივლისი)¹. წლების შემდეგ, როდესაც გალაკტიონის რუსთაველთან მიმართების შესწავლა დაიწყო, ამ კრებულმა არაერთხელ მიიქცია მკვლევართა ყურადღება, რადგან წიგნში შეტანილ თითოეულ ლექსს ეპიგრაფად უძღვის სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ფატი ნიშნიანიძე 1964 წელს გამოქვეყნებულ წერილში „აჭარა და გალაკტიონი“ მოგვითხრობს პოეტის აჭარასთან „ურთიერთობაზე“. სტატიაში გარკვეული ადგილი ეთმობა ჩვენთვის საინტერესო კრებულს. ავტორი გვაწვდის ცნობებს წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, საუბრობს მის შედგენილობასა და ზოგიერთ ლექსს განიხილავს კიდევ. 1975 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში“ მ. გუგუშვილი ზოგადად აღნიშნავს: „ასეთი გზებით ზღვისთვის გალაკტიონამდე ქართულ პოეზიაში არავის უძღვრია“. (გუგუშვილი, 1975, გვ. 19)

შედარებით კონკრეტული ხასიათი აქვს ნანა რჩეულიშვილის სტატიას. მასში განხილულია ლექსი „ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს“, წარმოდგენილია ნაწარმოების შექმნის ისტორია და შესაძლო იმპულსი, შემდგომში ეპიგრაფად დართულ რუსთველისეულ სტრიქონთან დაკავშირებით კი ნათქვამია: „მოგვიანებით შერჩეული ეპიგრაფი რუსთველის პოემიდან, ზოგადად, ამაღლებულ განწყობაზე მიუთითებს“. (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 154)

მკვლევარი „ვეფხისტყაოსნიდან“ ეპიგრაფად გამოყენებულ ციტატებზე ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნას გამოთქვამს, რომ ციტატები მხოლოდ ამ კრებულშია, რომელიც უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და სხვაგან აღარ გვხვდება, აკადემიურ თორმეტტომეულშიც კი მხოლოდ ვარიანტებსა და შენიშვნებშია წარმოდგენილი: „სამწუხაროდ, აღნიშნული ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონის ლექსებს მხოლოდ კრებულის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ 1944 წლის გამოცემაში შემორჩა... გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეულში იგი არ ახლავს ლექსებს. მხოლოდ შენიშვნებში, სადაც ხელნაწერთა აღწერილობაა მოცემული, მითითებულია ამ ეპიგრაფების შესახებ“. (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 155) ავტორი სტატიას შემდეგნაირად ასრულებს: „შევნიშნავთ, რომ გალაკტიონის აღნიშნული ეპიგრაფები დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საქმიანობის შესწავლისა და შემდგომი კვლევის საქმეში“. (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 155)

ასეთია მკვლევართა შეხედულებები გალაკტიონის 1944 წელს გამოცემული წიგნის — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ — შესახებ. რაც შეეხება ამ კრებულთან დაკავშირებულ ჩვენს დაკვირვებებს: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ვფიქრობთ, უპირველესად ყურადღებას იქცევს იმით, რომ გარეკანზე, სათაურთან ერთად აწერია არა გალაკტიონ ტაბიძე, არამედ — გალაკტიონი. მართალია, პოეტმა 1944 წლამდე რამდენჯერმე დაბეჭდა ცალკეული ნაწარმოებები გვარის მითითების გარეშე, მაგრამ, წიგნის ასე, ხელმოწერით — გალაკტიონი — გამოქვეყნება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველი შემთხვევა იყო.

„ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ 75 ნაწარმოებს აერთიანებს. ამ ტექსტებს ერთმანეთთან საერთო აქვს ზღვის თემა. როგორც პოეტი მიუთითებს, აღნიშნული თემის ქართულ პოეზიაში დამკვიდრება ყოფილა ამ წიგნის მომზადების მიზეზი.

1944 წელს გამოცემულ კრებულს გალაკტიონი რამდენიმე ჩანაწერში იხსენებს. ამ ჩანაწერთაგან ყველაზე სრულია 1948 წლით დათარიღებული „ზღვა ქართულ ლიტერატურაში“:

„1921-22 წ. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობრის არტურ ლაისტის წერილი: „ზღვა და ქართველები“. ამ წერილის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: საქართველოს აქვს მშვენიერი ზღვის სანაპიროები, მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში არ სჩანს ზღვის თემატიკა, მოტივები, რუსთველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ ზღვა მხოლოდ გაკვრითაა ნახსენებო და სხვა. დასკვნა ისეთი იყო, რომ ქართველებს თითქო საზოგადოთ არ უყვართ ზღვა. მართალი არის თუ არა

¹ სტატია ხელმოწერილია ინიციალებით - დ.დ.

არტურ ლაისტის ეს შეხედულება, ეს მკვლევრების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთველის შემდეგ არ სჩანდა, ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოტივები არის პირველ წიგნში (1914), მეორეში (1919), არის მასალები სახელგამის მიერ გამოცემულ I, II, III და IV ტომებში, ცალკე წიგნად გამოცემულ „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. (ტაბიძე, 1975, გვ. 142-143)

სწორედ არტურ ლაისტის ამ პუბლიკაციის შთაგონებით არის შექმნილი ეს კრებული, რომელიც აერთიანებს ზღვის თემაზე დაწერილ ლექსებს.

როგორც დასაწყისში ითქვა, კრებულში შეტანილ თითოეულ ლექსს ეპიგრაფად უძღვის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები, რომელთა დიდი უმრავლესობა ზღვას შეეხება. ეს ეპიგრაფებია ის თავისებურება, რომლითაც „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ გალაკტიონის სხვა წიგნებისაგან გამოირჩევა.

თუ კრებულის არქიტექტონიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პოეტს ტექსტები რაღაც პრინციპის მიხედვით დაულაგებია. წიგნის კომპოზიციის შესწავლისას, პირველი, რაც გვახსენდება, გალაკტიონის ორი წიგნი-მთლიანობაა.

როგორც თ. დოიაშვილმა დაასაბუთა, გალაკტიონის 1914 წელს გამოცემული პოეტური კრებული — „ლექსები“ არის წიგნი-მთლიანობა: „წარმოდგენილი დაკვირვებანი გალაკტიონის პირველ წიგნზე მაფიქრებინებს, რომ ჩვენ წინაშე არა ტრადიციული „რჩეული“ — ლექსების ნაკრები, არამედ ერთიანი ტექსტი — **წიგნი-მთლიანობა**. სწორედ მთლიანობა უნდა იყოს ის პრინციპი, რომელმაც განსაზღვრა ლექსების შერჩევაც და მათი არაქრონოლოგიური განლაგებაც. ერთიან სივრცეში მოქცეულ ყოველი ლექსი მხატვრული მთლიანობის წახნაგია, ერთდროულად ამხსნელიც ასახსნელიც წინარე თუ მომდევნო ტექსტებისა“. (დოიაშვილი, 2014, VIII-IX)

მკვლევარს ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული გალაკტიონის 1919 წელს გამოცემული კრებულის — „არტისტული ყვავილების“ შესახებაც. ეს წიგნიც, მისი შეხედულებით წიგნი-მთლიანობაა, რომელსაც გარკვეული აზრობრივ-სტრუქტურული ერთობა ახასიათებს. (ტაბიძე, 2016, გვ. 167)

დავაკვირდეთ კრებულს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და გავარკვიოთ, ეს წიგნიც მთლიანობად ხომ არ ჰქონდა ჩაფიქრებული ავტორს და ამ თვალსაზრისით რა როლი შეასრულა ეპიგრაფებმა?

კრებულში შესულია 75 ლექსი. პირველი ნაწარმოების სათაურია „დასაწყისი“, ბოლო ლექსის სახელწოდებაა „დასასრული“. ამ ე.წ. პროლოგსა და ეპილოგს შორის მოთავსებულია 7 კარი. თითოეულ კარი საერთო მოტივის მქონე ლექსების გარკვეულ ჯგუფს აერთიანებს. კრებულის გამამთლიანებელი კი ზღვის თემა და „ვეფხისტყაოსნიდან“ მომდინარე ეპიგრაფებია.

ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივ, ტიპურ წიგნი-მთლიანობად, რადგან მას არ ჰყავს ერთი ლირიკული გმირი. ლექსების მიხედვით პერსონაჟი იცვლება, თანაც, კრებულში პოემების ტექსტებიცაა დაბეჭდილი.

თუმცა, ისიც აშკარაა, 1944 წელს გამოცემული ეს წიგნი ჩვეულებრივი კრებული ანუ ნებისმიერი ლექსების ერთობლიობა რომ არაა.

როგორც აღვნიშნეთ, კრებული იხსნება ლექსით „დასაწყისი“, რომელიც ამ წიგნის ერთგვარი პროლოგია. ტექსტში გამჟღავნებულია ავტორის პოეტური კრედი. როგორც ცნობილია, გალაკტიონი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე ქმნიდა თავისი პოეტური პრინციპების გამომხატველ ნაწარმოებებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია 1910-იან წლებში დაწერილი „Art Poetique“.

შეიძლება ითქვას, რომ „დასაწყისი“ არის გალაკტიონის ორმოციანი წლების პოეტური ხელოვნება.¹ ლექსს რეფრენად გასდევს სიტყვები „რომ შექმნა რამე დიადი“ (აკადემიურ გამოცემაში ნაწარმოებს სწორედ ეს სტრიქონი აქვს სათაურად).² პოეტი ჩამოთვლის ყოველივე იმას, რაც აუცილებელია გამორჩეული ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად, ეს მახასიათებლები, ამავე დროს, ზღვასაც მიემართება: პოეტი ზღვას უნდა ჰზამავდეს და „ედარებოდეს რომ შეჰქმნას რამე დიადი!“

ლექსს ეპიგრაფად უძღვის შემდეგი ფრაზა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან: „იგია საქმე საზეო მომცემი აღმაფრენათა“.

ამ კონტექსტში რუსთველის სტრიქონი მოწყვეტილია პოემისეულ გაგებას — გალაკტიონის მიხედვით, ზღვა არის აღმაფრენის მომცემი ძალა, რაც პოეტს „დიადს შეაქმნევინებს“. რუსთველის პოემაზე ალუზია გამოჩნდება ტექსტშიც: „პოეტს **სცდის გზა იშვიათი**“, ეს სიტყვები ისევ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგთან გვაგზავნის, კერძოდ, შაირობის ცნობილ ტაეპთან: „ვითა ცხენსა შარა

¹ ამავე თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი ლექსი „შედულება ოცნებისა და სინამდვილის“.

² რეფრენად განმეორებული სიტყვების შესახებ — „რომ შექმნა რამე დიადი“ — გალაკტიონის დღიურში ვკითხულობთ: „რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა, რომ მთელი ძალა სულისა ერთი წერტილისაკენ მიმართო. ტოლსტოი იმეორებს შილლერის ლექსის („სიფართოვე და სიღრმე“) ამ აზრს.“ ეს მინიშნება თავისთავად ძალიან საინტერესოა და ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა“... რუსთველის პოეტურ სამყაროზე მიგვანიშნებს ლექსიკური ერთეული „დარებაც“, ასევე, პოეტისა და პოეზიის შესახებ ნათქვამი ფრაზა „მოსწიე ბედის მშვილდები“ (მდრ.: „ვამსგავსე მშვილდი ბედითი“... თუმცა, „ბედისა“ და „ბედითის“ მნიშვნელობებს შორის დიდი განსხვავებაა).

ყურადღებას იქცევს ლექსის ფორმაც, იგი დაწერილია რვა მარცვლედით (5/3). როგორც ცნობილია, ეს საზომი მიღებულია რუსთველური დაბალი შაირის დატეხვის შედეგად. დაბალი შაირითაა შესრულებული ეპიგრაფიც. ეს, რასაკვირველია, არაა უბრალო დამთხვევა. გალაკტიონის ეპიგრაფი მოხმობილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის იმ მონაკვეთიდან, რომელიც მიჯნურობას ეხება. უშუალოდ ტექსტში არსებული მინიშნებები კი რუსთველისეული შაირობის პასაჟს უკავშირდება. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გალაკტიონი ამგვარად ამ ორ ცნებას — მიჯნურობასა და შაირობას აერთიანებს და ქმნის პოეტი-მიჯნურის მანიფესტს.

გალაკტიონის ამ ლექსში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ალუზია. ვგულისხმობთ სტრიქონებს:

ზღვაო, ოცნება პოეტის
ლაჟვარდი - არაზვიადი -
შენ უნდა გედარებოდეს,
რომ შეჰქმნას რამე დიადი!
სიყვარულს ნუ მოგარიდებს
მწუხრია თუ განთიადი -
ეძებდეს შენს მარგალიტებს,
რომ შეჰქმნას რამე დიადი!

გალაკტიონი ამ სიტყვებით ამკარად მიგვანიშნებს აკაკი წერეთლის საპროგრამო ლექსზე „ზღვაო, აღელდი, აღელდი!“:

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
ამთაგორე ტალღები,
კიდევებს გადააცილე!
მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მყუდროების დროს ის განმი
ქვეყნისთვის დაფარულია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორივე ნაწარმოებში ზღვის თემა დაკავშირებულია პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხთან.

აკაკი, რუსთაველის გარდა, ერთადერთი პოეტია, რომელიც აღნიშნულ წიგნში არა მხოლოდ იხსენიება, არამედ ცალკე ლექსიც — „აკაკი წერეთელი შავი ზღვის პირად“ — ეძღვნება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, უპირველესად, გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმის თავისებურებებია, 1930-იანი წლების ბოლოდან, როგორც შენიშნულია, იგი თანდათან უბრუნდება აკაკისებურ კლასიკურ სისადავეს.¹

გარდა ამისა, მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის, რომ გალაკტიონი ამ კრებულში იზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ აკაკისეულ ინტერპრეტაციას. როგორც ცნობილია, აკაკიმ რუსთველის გმირები საქართველოს კუთხეებს დაუკავშირა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსები „ბათუმი“ და „მოადგა ნაპირს ათასი ნავი“, რომლებშიც მულღაზანზარი და ბათუმია გაიგივებული. როგორც შენიშნულია: „თუ კრებულში შეტანილ ლექსებსა და მათ ეპიგრაფებს ერთმანეთთან მიმართებაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გულანშარო და განსაკუთრებით მულღაზანზარი პოეტს გაუაზრებია, როგორც შავი ზღვის სანაპირო — აჭარა“.

კრებულის პირველ ლექსში „დასაწყისი“ არის ასეთი სტრიქონები:

ზღვაო, პოეტის დარებას -
ვერარას აკლებს წყვდიადი -

¹ გალაკტიონის ბოლო პერიოდის ლირიკის შესახებ იხ. თეიმურაზ დოიაშვილი „გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმა“. (დოიაშვილი 2001).

რომ შეხვდეს შენს მღელვარებას,
რომ შეჰქმნას რამე დიადი!

პოეტი გრძნობს მოღრუბლებას,
ტალღების ჰქუსს მირიადი,
გრძნობდეს შენს თავისუფლებას,
რომ შეჰქმნას რამე დიადი!

ტოტალიტარულ ეპოქაში მცხოვრები პოეტის ეს სიტყვები ქმნის საფუძველს, ვივარაუდოთ ამ კრებულში რაიმე ანტისაბჭოთა ნაწარმოების ან თუნდაც იმგვარი მინიშნების არსებობა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს გალაკტიონის სოციალისტური სინამდვილისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

ამ ასპექტით საინტერესოა ეპიგრაფებისა და ტექსტების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვება. არის შემთხვევები, როდესაც ეპიგრაფად მოტანილი სტრიქონები ამაღლებულ თემას ეხება, ხოლო გალაკტიონის ლექსში ყოველდღიური ყოფაა გადმოცემული. ამგვარად იქმნება ერთგვარი ირონიული კონტექსტი, რაც არაპირდაპირ ამჟღავნებს გალაკტიონის პოზიციასა და დამოკიდებულებას იმ სინამდვილისადმი, რომელსაც იდეოლოგიზებულ ლექსებში ასახავს. მოსალოდნელიც იყო ამგვარი ვითარება, რადგან ამ პერიოდში გალაკტიონის შემოქმედებიდან ძირითადად განდევნილია ამაღლებული თემატიკა და მის ადგილს ეპოქასთან მორგებული კონიუნქტურული ლექსები იკავებს. ამ თვალსაზრისით კარგი მაგალითია თუნდაც ლექსი „ღია არ დაგრჩეს კარი“.

კრებულში შეტანილი ლექსების ეპიგრაფები საგანგებოდ შევისწავლეთ, გავარკვიეთ „ვეფხისტყაოსნის“ რომელი მონაკვეთიდანაა მოყვანილი თითოეული მათგანი, შემდეგ პოემის კონტექსტის გათვალისწინებით ეს ეპიგრაფები შევაჯერეთ ტექსტებთან და გამოიკვეთა ერთი ასეთი ტენდენცია:

ეპიგრაფების ძირითადი ნაწილი გალაკტიონთან მორგებულია ლექსის სათქმელს და არა პირიქით ანუ, არცთუ იშვიათად, პოემის ცალკეული პასაჟების გათვალისწინება ლექსის უკეთ აღქმაში არ გვეხმარება. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, თუნდაც ლექსი „სანთლები“.¹

ნაწარმოებში ლირიკული გმირი იღუპება იდეალებისკენ სწრაფვისას, ხოლო ეპიგრაფი „აწ თავსა მისსა სამებრად მივსცემ სად ტყე და წყალია“ ნაწარმოებს სხვაგვარად გაგვააზრებინებს, რადგანაც დამოწმებული სიტყვები ტარიელის გადაწყვეტილებას გვამცნობს, მოძებნოს ნესტან-დარეჯანი. ეს ცვლილებაც — იდეალებისკენ სწრაფვის ჩანაცვლება სატრფიალო მოტივზე მინიშნებით, სავარაუდოდ, ეპოქის კონტექსტით უნდა იყოს განპირობებული.

თუმცა ეს, როგორც ითქვა, გამონაკლისი შემთხვევაა და ზოგადად ამ კრებულში ეპიგრაფები ნაწარმოების სათქმელთანაა მორგებული. თუ ეს ასეა, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყვანილ სტრიქონებს?

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ასე უნდა აიხსნას: ზღვის თემა ქართულ ლიტერატურაში რუსთველის შემდეგ არ ჩანდა და გალაკტიონმა ააღორძინა, ამგვარად, ეპიგრაფები პოეტისთვის მეთორმეტე საუკუნესთან დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდია. ამ მხატვრული ხერხით გალაკტიონი კიდევ ერთხელ აცხადებს თავს რუსთველის მემკვიდრედ.

თუ როგორი დაკვირვებით მუშაობდა პოეტი ეპიგრაფების შერჩევისას, ამას ცხადყოფს მის არქივში დაცული ერთ-ერთი უბის წიგნაკი. გალაკტიონის ამ დღიურისა და ზოგადად ეპიგრაფების შესახებ მსჯელობს ნანა რჩეულიშვილი ჩვენ მიერ უკვე დამოწმებულ სტატიაში „ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონის ლექსებისათვის“.

მისი დაკვირვებით: „ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“ ეპიგრაფებად ერთვის გალაკტიონის თითქმის ექვსათეულ ლექსს. იგი ავტორისაგან დიდი ინტერესითა და რუდუნებითაა შერჩეული, ნიშნად რუსთაველის პოემისადმი უდიდესი თავყვანისცემისა. (რჩეულიშვილი, 2016, გვ. 154-155)

ჩვენ საგანგებოდ დავაკვირდით ამ კრებულის ვერსიფიკაციულ მხარეს და აღმოჩნდა, რომ 75 ლექსიდან 11 არის შაირით შესრულებული, ამათგან 4 დაწერილია დაბალი შაირით, 7 კი — მაღალი შაირით. მათ შორის სამ ლექსში სალექსო საზომი შინაარსობრივადაც მოტივირებული და გამართლებულია. ეს ლექსებია: „თამარი ზღვის პირად“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“, „აკაკი წერეთელი შავ ზღვასთან“. თამარისა და რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსებში საზომს კოლორიტის შექმნის ფუნქცია ეკისრება. აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი მაღალი შაირითაა შესრულებული,

¹ ამ კრებულში შეტანილია გალაკტიონის არაერთი ადრეული ნაწარმოები, მათ შორის: „ზღვის სიმფონია“, „გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“, „იზობოქრე ცხოვრების ზღვა“, „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“, „გემზე“, „მიყვარს ქარიშხალი“ ... ეს ლექსები პოეტმა საგანგებოდ მთარგო გაასწორა და წიგნის თემატიკას შეუსაბამა.

მოგეხსენებათ, აკაკი უპირატესობას სწორედ ამ ფორმას აძლევდა, ასე რომ გალაკტიონის არჩევანი არც აქაა შემთხვევითი. რადგან ჩვენი დაკვირვების საგანი არის რუსთველის სახე გალაკტიონის პოეზიაში, ვრცლად შევჩერდებით ლექსზე „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“.

როგორც ვიცით, არაერთი ლეგენდა ვრცელდებოდა რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. ზოგიერთ მათგანს გალაკტიონთანაც ვხვდებით - პოეტურ ნაწარმოებად გარდაქმნილს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები მესხი-მელექსის შესახებ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „მესხის გამოხედვა“, „ისევ მესხის გამოხედვა“, „მესხეთ-ჯავახეთი“ და სხვა).

რუსთველის საქართველოდან გამეგების ფოლკლორულ გადმოცემას ეხმაურება ლექსი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“. ნაწარმოების ლირიკული გმირია რუსთველი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება, იგი ლექსში იხსენიება მის მიერვე დახატული ტარიელის ეპითეტით „**მოყმე ვინმე**“. პოეტი მიმართავს მონატრებულ ქვეყანას:

„ამბობს: ჩემო სამშობლოო,
ღვიძლო დედავ, ჩემო კარგო,
დაგიბრუნდი შენი შვილი,
ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო,
გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს,
მინდა შენთვის გარდავაგო,
სიბრძნეს - ვეყმო, მოძმეს - ვემმო,
საკადრისი მტერს მივაგო.“

ამ ლექსში საყურადღებოა ერთი დეტალი. აქ რუსთველი საკუთარ თავს უწოდებს ბავშვს:

„მე შენ შემჭერ სხვა ცხოვრების,
სხვა გარემოთ უცნობ ზვავში,
როსმე წყნარი და უღრუბლო,
ზამბახივით **ნაზი ბავშვი**...
ვნახე **უცხო მხარეები**,
გადავემვი სიბრძნეთ ზღვაში.“

აქვეა ნახსენები „ოქროს ნავები“:

„რაღაც უცხო სიმსუბუქით
მივეყვარ სიმთ **ოქროს ნავებს**“...

ვფიქრობ, ეს პასაჟი უკავშირდება ცნობილ ლექსს „მთვარის ნაამბობიდან“, რაზეც მეტყველებს ლექსიკურ-შინაარსობრივი დამთხვევები:

„**ბევრი მხარე** მოვიარე, -
ასე იწყებს ამბავს მთვარე...
.....
რუსთაველი მახსოვს **ბავშვი**
ოცნებობდა **ოქროს ნავები**...“

ე. ხინთიბიძე ლექსს „მთვარის ნაამბობიდან“ განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივ ჭრილში, ჩვენ მიერ დამოწმებული ლექსი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“, ვფიქრობთ, მეცნიერის ამ თეორიას ეხმიანება.

ეს ლექსი კიდევ ერთი კუთხითაა საინტერესო. ტექსტი სიახლოვეს ამჟღავნებს აკაკის „სიზმართან“. პირველ რიგში, რაც ამ ორ ლექსს აახლოებს, არის რიტმი და ინტონაცია. ორივე ლექსი შესრულებულია მაღალი შაირით. თვალსაჩინოა დამთხვევებიც:

„შემოვიდა რუსთაველი
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი ვეფხის-ტყაოსანი.“

თაყვანი სცა სწორუპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოლვარა!..“
(აკაკი „სიზმარი“)

გალაკტიონთან ვკითხულობთ:

„გადმოვიდა მოყმე ვინმე,
ამაყი და სახემკრთალი.
პირველ მუხლი მოიყარა,
მოწიწებით გადგა შორა.
თაყვანი სცა მშობელ მიწას,
რამდენჯერმე ეამბორა...“
(გალაკტიონი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“)

ლექსში გვხვდება ლექსიკური ერთეული ჩონგური, („ჩონგურები აშრიალდნენ, ვით დღეები“) რაც ასევე აკაკის პოეზიაზე მინიშნებას წარმოადგენს. ლექსში გამოჩნდება ალუზია ილიას „მგზავრის წერილებზე“: „დაგიბრუნდი შენი შვილი, ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო“ (გალაკტიონი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“).

კრებულის ეპილოგია ლექსი „დასასრული“. ნაწარმოებს ეპიგრაფად უძღვის ფრაზა „თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა...“ ეს ტაეპი არის თავიდან „წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“: ავთანდილი მიდის უცხო მოყმის სამეზნელად და წერილს უტოვებს ჯარს, რომ დაახვედრონ „სამეფო მტერთაგან დაულეწველი“, ეპილოგი — უმცროს თანამოკალმეებს უბარებს ანდერძს. ამ ეპიგრაფის ფუნქცია ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: პოეტი, ფაქტობრივად, ანდერძს უტოვებს მომავალ თაობას, როგორი უნდა იყოს შემოქმედი „რომ მანმა იმასოს და თაიგულმაც ითაიგულოს“ და ასევე აღწერს როგორ დაწერა ხსენებული წიგნი: „ასე დავსწერე, მეგობრებო, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“... თქვენთან, მოკრძალებით, მომაქვს ეს წიგნი“.¹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრებული მრავალმხრივ საინტერესოა. ჩვენ მხოლოდ ეპიგრაფებზე და ცალკეულ ნაწარმოებებზე დაკვირვებით შემოვისაზღვრეთ, თუმცა, წიგნი ნამდვილად იმსახურებს უფრო ფართო კონტექსტში განხილვას.

ჩვენი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ კრებულში ეპიგრაფებს აქვს თავისებური ფუნქცია: ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონისთვის მეთორმეტე საუკუნესთან დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდია. ამ მხატვრული ხერხით გალაკტიონი კიდევ ერთხელ აცხადებს თავს რუსთაველის მემკვიდრედ. განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის პროლოგი და ეპილოგი („დასაწყისი“ და „დასასრული“), სადაც პოეტი რუსთაველის პოემაზე ალუზიით ამბობს თავის სათქმელს. მნიშვნელოვანია ადრეული ტექსტზე — „სანთლები“ — დაკვირვებაც. აქ ეპიგრაფის გათვალისწინებით ნაწარმოების სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა იქმნება. კრებული საყურადღებოა ვერსიფიკაციულადაც: სალექსო საზომის შერჩევა არაერთ შემთხვევაში პირდაპირ უკავშირდება ნაწარმოების სათქმელს.

ბიბლიოგრაფია:

გალაკტიონ ტაბიძე. ვებგვერდი: <http://www.galaktion.ge/>

გუგუშვილი, მ. (1975). *რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში*. თბილისი: მეცნიერება.

დოიაშვილი, თ. (2014). წიგნი-მთლიანობა. *გალაკტიონოლოგია* (ტ. VII).

ნიშნინანიძე, ფ. (1964). აჭარა და გალაკტიონი. *ლიტერატურული აჭარა* (2).

რჩეულიშვილი, ნ. (2016). ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონის ლექსებისათვის. *ენა და კულტურა* (16).

ტაბიძე, გ. (1975). *თხზულებანი თორმეტ ტომად* (ტ. 12). თბილისი.

ტაბიძე, გ. (2016). *თხზულებანი თხუთმეტ ტომად* (ტ. 1). თბილისი.

¹ ლექსის ერთი მონაკვეთი ილიას „განდევლის“ სტრიქონებს გვახსენებს: „სხვაგან ნისლი და სიბნელეა — აქ კი — ნათელი, სხვაგან თოვლი და ყინულია, აქ კი — მისი!“ (შდრ. „აქ სიკვდილია, იქ კი — სიცოცხლე, აქ ჭირია და იქ კი ლხინია“).

Kote Lomidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
GALAKTION TABIDZE'S "THE GOLD IN THE AZURE OF ADJARA",
RESUME

The report is about a collection of Galaktion Tabidze's "The Gold In the Azure of Adjara", published in 1944 in Batumi. While studying the relation of Galaktion to Rustaveli, this collection has repeatedly attracted the attention of scholars, as each verse in the book is preceded by epigraphic lines from "The Knight in the Panther's Skin".

As the study of the collection reveals, these epigraphs have a peculiar function: the quotations from Rustaveli's poem are a kind of bridge linking the twelfth century to the Galaktion. In this artistic way, Galaktion once again claims to be Rustaveli's successor. The book's prologue and epilogue ("the beginning" and "the end") are particularly noteworthy. In these poems the poet says the allusion about Rustaveli's poem. It is important to observe the early text - "candles" - as well. Here, given the epigraph, there is the possibility of a completely different interpretation of the work. The collection is noteworthy version as well: Selection of the measuring instrument is in many cases directly related to the work being said.

Keywords: Galaktion Tabidze, "The Gold In the Azure of Adjara", Shota Rustaveli.

სოფიო მახაჭაშვილი
რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის
სახელობის უნივერსიტეტი (თურქეთი)

XIX საუკუნის ეპოქის ინოვაციები გ. ავალიშვილის „მოგზაურობაში“

საკვანძო სიტყვები: მოგზაურობა, სიახლეები, სარგებლობა.

აბსტრაქტი

კაცობრიობის ისტორია განვითარების ერთი მთლიანი ჯაჭვია, რომლის თითოეული რგოლი დიდად მნიშვნელოვან ცვლილებას, სიახლეს უკავშირდება. არსებულის შეცნობა ანუ შესწავლა და სიახლისაკენ სწრაფვა - გამორჩეული თვისებაა ადამიანისა, რომლის მიზანი გარემოს უკეთესობისაკენ შეცვლაა.

„... მოსული ვარ არა სიძველეების სანახავად, არამედ სიახლეებისა, რომლებმაც მოუტანეს მამულს სარგებლობა... და რომელზეც საუბრობენ უშორეს ქვეყნებში უფრო მეტი განდიდებით, ვიდრე ძველ ძეგლებზე.“ - სწორედ ეს მიზანი იკვეთება XVIII-XIX ს-ში მოღვაწე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, დრამატურგის, მთარგმნელის, კალიგრაფის, გიორგი ავალიშვილის ეგვიპტის ფაშისადმი მიმართულ სიტყვებში, სამოგზაურო ლიტერატურის ჟანრის წიგნიდან „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“... იგი წარმოადგენს ჩანაწერების დღიურს თურქეთში, ეგვიპტეში, პალესტინასა და საბერძნეთში მოგზაურობისა, რომელიც ზუსტად 200 წლის წინ, 1819 წლის 6 ივლისს დაიწყო და სრული ერთი წელი, 1820 წლის 16 ივლისამდე გრძელდებოდა.

იყო თუ არა სიახლეების ძიება გ. ავალიშვილის მოგზაურობის ნამდვილი, რეალური მიზნის ნაწილი; რა სიახლეები, იმ ეპოქაში არსებული რა ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები ექცეოდა მოგზაურის თვალთახედვის არეში, რაზე ამახვილებდა ყურადღებას და მამულისათვის სარგებლის მოტანის რა პერსპექტივას ხედავდა მათში; აღიბეჭდა თუ არა მოგზაურობის შემდგომ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე მათი კვალი; რამდენად იყო თავისი სამშობლოს დახმარებისა და არსებული რეალობის უკეთესობისაკენ შეცვლის იმედით მოტივირებული და, ზოგადად, რა „სარგებელი“ მოუტანა ურთულეს პერიოდში განხორციელებულმა ერთწლიანმა

მოგზაურობამ ქვეყანას - ეს საკითხებია სამსჯელოდ წარმოდგენილი წინამდებარე სტატიაში. იგი დააინტერესებს სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს.

შესავალი

პილიგრიმობა, ცარისტული რუსეთის დავალება თუ საიდუმლო დიპლომატიური მისია? მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ძირითადი მიზანი მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გიორგი ავალიშვილის მოგზაურობისა, რომელიც ზუსტად 200 წლის წინ, 1819 წლის 6 ივლისს დაიწყო და სრული ერთი წელი, 1820 წლის 16 ივლისამდე გრძელდებოდა და რომელიც ოსტატურადაა აღწერილი სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებაში „მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე...“. თხზულება, რომელიც მოგზაურობის დროს დღიურებად და საბოლოო სახის მიღებამდე მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში იწერებოდა თბილისსა და მოსკოვში, უამრავ საინტერესო მასალას იძლევა სააზროვნოდ და სამსჯელოდ; ისეთივე მრავლისმეტყველი და მრავალაწახნაგოვანია, როგორც თავად ავტორის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. ბედისწერითაც დაემსგავსა ავტორს მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით.

ინტერპრეტირების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა მოგზაურობის მიზანი, რომლის შესახებაც მკვლევრები არაერთგვაროვან ვერსიას გვთავაზობენ.

დღევანდელი, ორსაუკუნოვანი გადასახედიდან თხზულებაში წარმოდგენილი საკითხები სხვაგვარი პერსპექტივით გაიზრება და მათი გაანალიზება განსხვავებული დასკვნების გამოტანისა თუ შეფასების საშუალებასაც იძლევა.

თუ გავიხსენებთ მოგზაურობის პერიოდისა და მარშრუტის სირთულეს, მიამიტობა იქნებოდა დაგვეჯერებინა, რომ მოგზაურობის მიზეზი იყო მხოლოდ „სურვილი ხილვად უცხოთა ქუეყანათა და ერთა...“ - როგორც ავტორი წერს თხზულების დასაწყისშივე. ან მოგზაურობის ნებართვის სათხოვნელად მიწერილ ოფიციალურ დოკუმენტში დასახელებული მიზეზი: „ეგვიპტედ სახესა ქვეშე რომელსამე მემკვიდრეობითისა სარგებლობისასა“ და ან „გარნა ნამდვილ მოხილვად წმიდათა ადგილთა პალესტინისათა“, როგორც თხზულების წინასიტყვაობაში თავადვე მოიხსენიებს ავტორი. ზოგიერთი მკვლევარი ამ ვერსიებს პირდაპირ იღებს და უდავოდ მიიჩნევს. ზოგიერთი მათგანი კი ცდილობს თხზულებაში წარმოდგენილი ფაქტებისა და მოვლენების საფუძველზე განსხვავებულად ახსნას მოგზაურობის მიზანი.

მკვლევარი ნ. საღირაშვილი წიგნში „მოგზაურობანი“ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ ორიოდ სიტყვით მოიხსენიებს „მოგზაურობას...“ და აღნიშნავს: „გ. ავალიშვილმა, რომელსაც მოგზაურობით გატაცება და უცხო ქვეყნების ნახვის სურვილი სიცოცხლის ბოლომდე არ ასვენებდა, 1819-1820 წლებში იმოგზაურა იერუსალიმში თურქეთისა და ეგვიპტის გავლით“. (საღირაშვილი, 1989, გვ. 20) როგორც ჩანს, ამ სიტყვების ავტორი ამ მოგზაურობის მიზნად მხოლოდ ტურისტული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას მიიჩნევს.

პროფ. ელ. მეტრეველი, რომლის რედაქტირებითა და კომენტარებით დაიბეჭდა „მოგზაურობა...“ 1967 წელს, სიღრმისეულად მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხს; თხზულების გაანალიზების საფუძველზე აკეთებს დასკვნებს და მიიჩნევს, რომ გ. ავალიშვილი ცარისტული რუსეთის დავალებას ასრულებდა. მკვლევრის ვარაუდით, „გამოცდილი დიპლომატის მოგზაურობა ისეთ ქვეყნებში, რომლებთანაც რუსეთს ხან აშკარა და ხან ფარული ბრძოლა ჰქონდა, შეუძლებელია დიპლომატიური მიზნებისთვისაც არ ყოფილიყო გამოყენებული.“ (ავალიშვილი, 1967, გვ. 6)

თუ გადავხედავთ მოგზაურობის მარშრუტს, რომელიც ავტორისეულ სრულ სათაურშივეა წარმოჩენილი: „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე საბერძნეთის გავლით და უკან მობრუნება იერუსალიმიდან თბილისამდე კუნძულ კვიპროსის, მცირე აზიისა და ანატოლიის გავლით“; თვალს გავადევნებთ ტექსტში ჩართულ ავტორის მიერვე შედგენილ მოგზაურობის რუკებზე დატანილ მარშრუტს; ტექსტში რუსეთის იმპერიის მიმართ არაერთგვაროვანი გამოთქმულ სადიდებელ სიტყვებსაც თუ გავითვალისწინებთ, ერთი შეხედვით, ზედაპირულად თუ შევფასებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მოგზაურობის ურთულეს ჟამს; გ. ავალიშვილის ბიოგრაფიულ დეტალებს, რომლის გაცნობა მოგვიანებით, საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ გახდა შესაძლებელი, ეს ვარაუდი შესაძლოა დამაჯერებლადაც მოგვეჩვენოს.

სწორედ საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე სხვაგვარი პერსპექტივით წარმოაჩენს აღნიშნულ საკითხს მკვლევარი ლ. კიკნაძე ვრცელ ნაშრომში „გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება.“ მოგზაურობის მიზნის განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს: გ. ავალიშვილი ასრულებდა როგორც ცარისტული რუსეთის დიპლომატიურ მისიას, ასევე მისი ვერაგობის „წყალობით“ უტახტოდ დარჩენილ ქართველ ბატონიშვილთა საიდუმლო დავალებას, რომლის მიზანი იყო რუსეთის უღლისაგან

გათავისუფლებაში დასახმარებლად საქართველოსთვის მოკავშირეების მოძებნა როგორც მცირე აზიაში, კერძოდ, ოსმალეთსა და ეგვიპტეში, ასევე ევროპის ქვეყნებში და მათთან ფარული კავშირების დამყარება. ამ აზრის დასასაბუთებლად მკვლევარს საარქივო მასალებიდან და თავად თხზულებიდანაც მოჰყავს არგუმენტები.

ამგვარი ვარაუდის საფუძველს მართლაც იძლევა „მგზავრობაში“ აღწერილი ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალთან თუ აქ მომუშავე ევროპის ქვეყნების: ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, შვედეთის და სხვ. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ასევე სასულიერო პირებთან შეხვედრები და საქმიანი საუბრები; მათი მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი უდიდესი ყურადღება და პატივისცემა არა მარტო როგორც რუსი დიპლომატისა, არამედ როგორც ქართველი თავადის მიმართ, რაც არაერთგზისაა ხაზგასმით აღნიშნული ჩანაწერებში.

პროფ. გ. ჯავახიშვილი ნაწილობრივ იზიარებს აზრს, რომ მოგზაურობის რეალური მიზეზი ნამდვილად დიპლომატიური მისია იყო, მაგრამ გამორიცხავს ცარისტული რუსეთის დავალების შესრულებას; მისი ვარაუდით, დიპლომატი სამეფო ტახტწართმეული ქართველი ბატონიშვილების საიდუმლო დავალებას ასრულებდა. მოგზაურობის ერთ-ერთი მიზეზი კი თურქეთის მემკვიდრეობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ნიადაგის მომზადება იყო. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. ჯავახიშვილის არქივი №144)

პროფ. ელ. მეტრეველი გაზვიადებულად მიიჩნევს გ. ჯავახიშვილის აზრს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში თურქეთის როლის შესახებ და არადაამაჯერებლად თვლის მის მცდელობას, „მგზავრობის“ სტრიქონებს შორის ამოიკითხოს ავტორის ფარული აზრები და თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებთან კონტაქტების გაბმის დამამტკიცებელი ფაქტები.

ელ. მეტრეველი ითვალისწინებს ამ პერიოდის რუსეთის ძლიერებასა და ავტორიტეტს, რომელიც აქტიურად მოქმედებდა თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ ომის დაწყებას ვერ ბედავდა ევროპის ქვეყნების, პირველ რიგში კი ინგლისისა და საფრანგეთის აშკარა პოზიციის გამო, რომლებიც არ დაუშვებდნენ თურქეთის დამარცხებას. ასეთ ვითარებაში სახმელეთო და საზღვაო გამაგრებული პუნქტებისა და ციხეების შესახებ ზუსტი ცნობების მოსაპოვებლად, ეგვიპტის ფაშის განწყობის დასაზუსტებლად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის თურქეთ-ეგვიპტეში მოგზაურობის საბაზით გაგზავნას სარწმუნოდ თვლის. სპეციალური დავალების აღსრულებად მიიჩნევს გ. ავალიშვილის მიერ გამაგრებული პუნქტებისა და ციხეების დეტალურ აღწერასაც. ამავე მიზეზით ხსნის მის სახელზე გაცემული პასპორტის ჩანაწერსაც, რომელშიც გ. ავალიშვილი „ნამდვილ მრჩეველად“ მოხსენიებული, ოფიციალურ დოკუმენტებში კი მას მხოლოდ უმცროსი მოხელის პოზიცია ეკავა საგარეო საქმეთა კოლეგიაში. ვფიქრობთ, ეს ახსნა არადაამაჯერებელია.

ჩვენი აზრით, ეს ჩანაწერი გარკვეულ ეჭვს იწვევს და საკითხის ჩაღრმავებას სხვაგვარ დასკვნამდე მივყავართ. ამ საბუთის მიზნობრიობა უდავოა. დანიშნულებაც ცალსახაა: საზღვრებზე გასვლისას ადგილობრივ ხელისუფლებთან დაკავშირებისას დაბრკოლებების თავიდან აცილება ან მარტივად გადალახვა. მისი ჯადოსნური ძალის „დამსახურებით“ უცხოეთში წინააღმდეგობების მარტივად დაძლევის არაერთი ფაქტია მოხსენიებული „მგზავრობაში“, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რატომღაც, მისი ჯადოსნური ძალა სწორედ რუსების მიერ კონტროლირებად ზონებში არ მოქმედებს და რუსი მესაზღვრეები მას რიგითი ქართველი მოქალაქის მსგავსად ეპყრობიან, რაც ტექსტში მრავალგზისაა ხაზგასმული.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1817 წლის მაისში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გ. ავალიშვილი, მისივე თხოვნის საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით გაუთავისუფლებიათ საგარეო საქმეთა სამინისტროდან (კოლეგიიდან), სადაც იგი 1814 წლიდან მუშაობდა რიგით სახელმწიფო მრჩეველად, როგორც მისი გათავისუფლების ცნობაშია აღნიშნული. რაიმე საგანგებო თანამდებობაც არ ეჭირა. საქართველოში სამკურნალოდ გამომგზავრების ნებართვაც მიუღია, რაზეც მანამდე კატეგორიულ უარს ეუბნებოდნენ. ე. ი. პასპორტის გაცემის დროს (1819 წლის 25 აპრილი) იგი 2 წლის გათავისუფლებული იყო კოლეგიიდან უვადოდ და საქართველოში იმყოფებოდა. ამდენად, საგარეო საქმეთა მინისტრის, ნესელროდეს ხელმოწერით გაცემულ მის პასპორტში გაკეთებული ჩანაწერი - „ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი“ გავლენიანი ახლობლების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. რისთვის, რა გზებით და საშუალებებით მოახერხეს მათ ეს? ამის ინტერპრეტირებაც არაერთმნიშვნელოვნადაა შესაძლებელი. ამას რომ მხოლოდ მისთვის, როგორც რიგითი მოგზაურისთვის, პილიგრიმისთვის ან მემკვიდრეობის მისაღებად მიმავალი ადამიანისთვის სავალი გზის გასაიოლებლად გამოჩენილი კეთილი ნების გამოსახატავად არ გააკეთებდნენ, უდავოა.

თხზულებაში გამოკვეთილი ავტორისეული მსოფლმხედველობა მართლაც მოგზაურობის დიპლომატიური მისიის უეჭველობაზე მეტყველებს. მაგრამ რა იყო ამ მისიის მთავარი მიზანი და ვისი დაკვეთით სრულდებოდა იგი?

არადამაჯერებელია, ცარისტული რუსეთის ხელისუფლებას ასეთი საგანგებო მისია დაეკისრებინა ადამიანისათვის, რომელიც, „საეჭვო პირებთან ურთიერთობის გამო“, არასანდოდ მიაჩნდა და სიცოცხლის ბოლომდე, არაერთი თხოვნის მიუხედავად, სამშობლოში ცხოვრების უფლებაც კი არ მისცა და მხოლოდ მკურნალობის მიზნით უშვებდა ხანმოკლე ვადით საქართველოში. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგაც მხოლოდ ერთი წელი დაჰყო გ. ავალიშვილმა საქართველოში და შემდეგ ისევ მოსკოვს გამგზავრება უბრძანეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე, ეკონომიურად დუხჭირ ყოფაში, მცირე პენსიისამარა ცხოვრობდა.

ასევე გასათვალისწინებელია სხვა გარემოებანიც: წინასამოგზაურო სამზადისი, საჭირო სახსრების მოსამიებლად გაყიდული სამი სახლი თბილისში, ამ გზით შეგროვილი 400 თუმანი ვერცხლით და ფაქტიურად უსახლკაროდ დარჩენილი გ. ავალიშვილი.

ეს მისია რომ რუსეთის საგანგებო დავალების აღსრულება ყოფილიყო, მთავრობა უზრუნველყოფდა კიდევ მას ფინანსურად; ამასვე გვაფიქრებინებს როგორც დიპლომატის, ისე მისი თხზულების შემდგომი ბედიც: მოგზაურობიდან დაბრუნებულის მიმართაც არ შეცვლილა რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება; არც მისი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესებულა. მის თხზულებასაც არ ღირსებია მათი ყურადღება. იქნებ არც იცოდნენ მისი არსებობის შესახებ. რუსული ენის კარგად ცოდნის მიუხედავად, არც თავად ავტორს უცდია მისი რუსულად თარგმნა და არც მას შემდეგ უთარგმნია ვინმეს.

ვის დაკვეთას ემსახურებოდა ეს მოგზაურობა? - ამ კითხვის პასუხად უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია სამეფო ტახტწართმეულ ქართველ ბატონიშვილთა დასახმარებლად გ. ავალიშვილის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული საიდუმლო მისიის გ. ჯავახიშვილისეული ვერსია.

მას შემდეგ, რაც გ. ავალიშვილის დიპლომატიური მოღვაწეობა არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული საზოგადოების მხრიდან: ბატონიშვილების მკვეთრად უარყოფითი, აგრესიული დამოკიდებულების შერბილება, მათი ნდობის დაბრუნება და რუსოფილის იარლიყის საბოლოოდ მოშორება, საკმაოდ დიდი ძალისხმევის შედეგი უნდა ყოფილიყო. ორმაგი თამაშიც, ერთი მხრივ, რუსეთის მთავრობის ერთგულებაში დასარწმუნებლად რომ იყენებდა უფრო დიდი მიზნების განსახორციელებლად, მეორე მხრივ, ქართველ ბატონიშვილთა ნდობის შესანარჩუნებლად და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მათი თანადგომის გამოსახატავად, ეროვნული საქმისათვის ერთგულებითაა ნაკარნახევი და უდავოდ მისი პროფესიული, დიპლომატიური აღლოს გამოვლინებად და ერთგვარ სტრატეგიად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს ეს მოგზაურობაც. მისთვის კარგად იყო ცნობილი საქართველოს რუსეთთან, სპარსეთსა და ოსმალეთთან ურთიერთობის საიდუმლო ასპექტები, რაც ამ მისიის წარმატებით შესრულებას განაპირობებდა. მთელი მოგზაურობის მანძილზე „იგი თავისი ქვეყნის გამოხსნის გზებზე ფიქრობს, საქართველოს მოკავშირეებს ეძებს დამოუკიდებლობისათვის მომავალ ბრძოლაში, პოლიტიკოსის თვალით ზომავს რუსეთის მტრული ძალების თანაფარდობას საერთაშორისო არენაზე. გარეგნულად კი არაფერს იმჩნევს, ძლევამოსილი რუსეთის მაღალჩინოსნად წარმოგვიდგენს თავს და დიდად ამაყობს რუსული მუნდირით.“ (კიკნაძე, 1993, გვ. 39) რეალურად კი, ყოველთვის თავს ქართველობით იწონებს და ქვეშევრდომობა „დიდისა როსიისა საიმპერატოროისა საყდრისა“, მისი სავალალო ხვედრია, რომლისაგანაც თავის დაღწევა მხოლოდ აუხდენელ ოცნებად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

გ. ავალიშვილის თხზულებიდან ნათელია, რომ მოგზაურობის მიზანი მრავალმხრივია. ერთ-ერთი მათგანს გამოვარჩევთ, რომელიც ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ძირითადი მიზანი; უფრო ზუსტად, ძირითად მიზანთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მას მწერალი თავადვე ამჟღავნებს:

„...სიახლეთა გამო თვისთა არს უმცირეს მათსა გონებისა ჩემისა მომზიდუელთა, ახალთა შემოდებულთასა, რომელნიცა მორთმევენ მამულსა სარგებლობასა და მიზეზთა მათი შემოდებისასა - უკვდავსა სახელსა, რომელთაცა მსგავსი, რაოდენცა ვიცი მე, ადრით უკუე დროითვე არ უხილავთ არცა კაირის მცხოვრებთა და არცა ეგვიპტელთა, და კუალად რომელთათვისაც უბნობენ უმორესთაცა ქვეყანათა შორის უფროს დიადითა განდიდებითა, ვიდრელა რა ძუელთა მათ სახსოვართათვის.“ (ავალიშვილი, 1967, გვ. 126)

მოგზაურის ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ ძველი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით კი არაა დაინტერესებული, რომლებსაც „ყოვლად უსარგებლოს“ უწოდებს, არამედ სიახლეების გასაცნობად, რომლებმაც მოუტანეს ქვეყანას სარგებლობა და უკვდავი სახელი, რომლებზეც საუბრობენ შორეულ

ქვეყნებში უფრო მეტი განდიდებით, ვიდრე ძველ ძეგლებზე. - აქედან გამომდინარე, ის ინტერესდებოდა იმ ეპოქაში არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით, ანუ პროგრესით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს და ხალხის კეთილდღეობას განაპირობებდა.

ავტორი აქვე განმარტავს, რას გულისხმობს კაიროს აყვავების მდგომარეობამდე მიყვანის ცდაში: ახლად გაკეთებულ ფაბრიკებს, მანუფაქტურებს, ქარხნებს და მდინარე ნილოსზე გადებულ არხს, რომლითაც იგი უკავშირდება ხმელთაშუა ზღვას და მასში მცურავ გემებს; სწორედ მათში ხედავს მწერალი კაიროს აყვავების მდგომარეობამდე მიყვანის მიზეზს; უკვირდება მრავალი ათასი ადამიანის მათივე ქონებითურთ დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმს; ცდილობს გააანალიზოს გაუნათლებელ ხალხთა შორის ძალადობის, მარცვის, ქურდობისა და მკვლელობის აღმოსაფხვრელად შემოღებული წესების ეფექტურობა, რომლითაც ხალხი უშფოთველი ცხოვრებით ტკბება და მადლიერებითა და სიყვარულით ეგებება ამგვარი კეთილდღეობის მიზეზს. აქედან გამომდინარე, ის ინტერესდებოდა იმ ეპოქაში არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით, ანუ პროგრესით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და ხალხის კეთილდღეობას განაპირობებდა.

მაინც რა მიიჩნეოდა იმ პერიოდის ინოვაციად? რა ექცეოდა გამოცდილი დიპლომატისა და მოგზაურის თვალთახედვის არეალში? რატომ ამახვილებდა მათზე ესოდენ დიდ ყურადღებას?

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში „მოგზაურობამდე“ მომხდარ და შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, ნათელი გახდება, რომ ეს ინტერესიც მომავალში თავისი სამშობლოს დახმარების იმედით იყო მოტივირებული. ან, იქნებ, ესეც იმ „საიდუმლო დავალების“ ნაწილი იყო, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მოგზაური განსაკუთრებული ყურადღებით ეგვიპტესა და საბერძნეთში არსებულ სიახლეებს უკვირდება. მისი თვალსაწიერი სწვდება თითქმის ყველა სფეროს; აინტერესებს, ყველაფერი, რაც მის ქვეყანას მაგალითად გამოადგება სამომავლოდ, კერძოდ:

❖ სახელმწიფო მოწყობის პრინციპები; ადგილობრივი მმართველობის სისტემა; მოგზაურისთვის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კუნძული ხიოსი, რომელზეც, მისი თქმით, „არს საკუთარი მმართველობაი ბერძენთა, ზედამხედველობასა ქუეშე აქაურისა მუსალიმისასა“ (ავალიშვილი, 1967, გვ. 94) და შემდეგ დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ხორციელდება ადგილობრივი მმართველობა:

გამოარჩევენ ყოველ წელს მომრიგებელ-მოსამართლეებად საზოგადოებაში გონიერებითი სამართლით პატივცემულ და ნდობამოპოვებულ 4 კაცს, რომლებიც იქნებიან თავისი ხარჯით და განაგებენ არა მხოლოდ კუნძულის მკვიდრთ, არამედ შემოსულ ქრისტიან მოგზაურებსაც, რომლებიც მიმართავენ მათ კუნძულზე გარკვეული დროით დარჩენის შემთხვევაში. წესი კი ასეთია: ჩამოართმევენ თუ მოეპოვებათ ფული ან პირადი ნივთები, მისცემენ წერილს თანხის და ნივთების რაოდენობის შესახებ, დაუტოვებენ სახარჯოდ თანხის ნაწილს. ხოლო წასვლის დროს მოუბრუნებენ თავის ქონებას, აიღებენ სარგებელს თუმანზე თვეში ორ შაურს. თავის მიცემულ წერილს გამოართმევენ და გაუშვებენ.

აქვე აღწერილია ასევე აქ არსებული სასწრაფო სახლი: მართლმადიდებელი ქვეყნებიდან მოსული უცხოელები, თუ ვერ შეძლებენ თავის მოვლას, წაიყვანენ სასწრაფოში, მოუვლიან თავისი ანგარიშით; მორჩენილებს შემწეობას მისცემენ და გაათავისუფლებენ, ხოლო გარდაცვლილებს, შესაბამისი წესით მარხავენ. მასში მომსახურე პერსონალი, მასწავლებლების მსგავსად, ხელფასს იღებენ ფაშა მაჰმად ალის შემოსავლიდან.

მოგზაური ყურადღებას ამახვილებს ასევე იქაური ფოსტის მოწესრიგებულ მუშაობაზეც: მაცხოვრებალი, ვისაც სურს წერილის გაგზავნა ქვეყნის რომელიმე მხარეს, ნაცნობ დროს მიიტანს მას ბაზარში, სადაც ელის ადამიანი, რომელიც ქვეყნის ნებისმიერ მხარეს გზავნილის დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

❖ ინოვაციები ეკონომიკაში: საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნებისა თუ მანუფაქტურული წარმოების მუშაობის მექანიზმი, მომუშავეთა სამუშაო პირობები;

აქ მოგზაური აღწერს მის მიერ მონახულეულ რამდენიმე ფაბრიკას: მათ შორის ბამბის გადასამუშავებელ ფაბრიკას, რომელშიც 40-მდე 250-260 ტარიანი დაზგა დგას და ართავენ ბამბას ჩარხებით, პენტენ, აქულავებენ და აფთილავებენ აქვე სხვა ჩარხებით. მოინახულა ფაბრიკები, რომლებშიც ჰქსოვენ ფარჩას, ხავედს, ატლასს, ჩითს, ტილოს, მაუდს, ჩულქებს, წინდებს, შალს, ხელსაწმენდებს, ცხვირსახოცებს, პირსახოცებს და სხვ. მოინახულა თითბრის, რკინის, კალისა და ტყვიის საწარმოები, რომლებშიც აკეთებენ საბრძოლო იარაღსა და საოჯახო ნივთებს.

„მოდღურებად არიან ფაბრიკათა და ზავოდთა ამათ შინა ფრანცუზნი და ანგლიელნი ჯამაგირით პერობილნი, ხოლო მუშაკებად - არაბნი და თათარნი, ესრეთუე სასყიდლით დადგინებულნი“ (ავალიშვილი, 1967, გვ. 134)

გ. ავალიშვილი მოიხსენიებს ამ ფაბრიკების მწარმოებელ ფრანგ ახალგაზრდას, მუსიო-ჟამელს, რომელიც თავადვე განაგებს საწარმოებს. მან აჩვენა ბამბის რთვის პროცესი. დაათვალიერებინა ასევე მისი სხვა ქმნილებანიც. მათ შორის შადრევანი, რომლის მოწყობილობას დაწვრილებით აღწერს მოგზაური.

მოგზაური არა მარტო ყურადღებით აკვირდება ეპოქის ნოვაციებს, ცდილობს კიდევ გადმოიღოს ისინი თავისი ქვეყნის სასიკეთოდ. მაგალითად, 1 წლით ქიროზს კაიროში ადრევე დამკვიდრებულ ხარკოველ პეტრე შჩერბაკოვს და საქართველოში დაუპირებს წამოყვანას ლილის წარმოების დასაწარმად. თუმცა, ეს უკანასკნელი იერუსალიმამდე გაჰყვია და შემდეგ გადაუფიქრებია რუსეთის იმპერიაში დაბრუნება.

❖ ვაჭრობის ორგანიზაცია, საპორტო თუ სავაჭრო გზების ინფრასტრუქტურა, საქონლის ასორტიმენტი; მოგზაური აკვირდება საექსპორტო საქონლით სავსე საწყობებს, ათვალიერებს სავაჭრო სახლებსა და ბაზრებს. გასაყიდი საქონლის ხარისხსა და ღირებულებასაც კი აღნიშნავს;

ალექსანდრიაში, რომელიც ძველთაგანვე სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, მოგზაური აღწერს, თუ როგორაა ორგანიზებული სავაჭრო სისტემა: ვაჭრებსაც ჰყავთ სანდო კაცები, რომელსაც სულთანს უწოდებენ და რომლებიც აწარმოებენ დიდ გარევაჭრობას. მათი ორგანიზებით იკრიბება ალექსანდრიიდან კაიროსკენ მიმავალ საქონელი და შემდეგ სხვა გემებში გადაიტვირთება. აქვე ყურადღებას ამახვილებს აქ არსებულ ევროპული ქვეყნების სავაჭრო დაწესებულებაზე - კანტორაზე, რომლის არსსაც სქოლიოში განმარტავს: კანტორა - ვგონებ ლათინური იყოს; სახლი განსაკუთრებით ვაჭართაი, რომელსა შინაცა უპყრიესთ დავთარნი აღებ-მიცემათა თვისთა და განაგებენცა ყოველსავე შესახებელად საგნისა ამის. რომელნიცა აწარმოებენყე აღებ-მიცემასა თვისსა, გამცულელნი საქონლისა საქონელსა ზედა. (ავალიშვილი, 1967) აქვე მოიპოვება ფრანგული, ინგლისური, ვენეციური და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში წარმოებული უამრავი ნივთი. - დასძენს იგი.

❖ მოგზაური ყურადღებას აქცევს ასევე სოფლის მეურნეობაში არსებულ ინოვაციებს: ეგვიპტეში მოუხიბლავს ბაღ-ვენახ-ბოსტნის სიმრავლესა და იქაური პროდუქციის გემოს; მერქნის გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ნივთების დასამზადებლად. აღფრთოვანებულია საირიგაციო სისტემებით, რომელიც მაღალ დონეზე ყოფილა მოწყობილი მაჰმად ალი ფაშას ხელშეწყობით და რომლის წყალობითაც ნაყოფიერ ბაღნარად უქცევიათ უდაბნო;

❖ განსაკუთრებული ინტერესი იკვეთება განათლების სფეროს მიმართ: სასწავლო დაწესებულებების დაწვრილებით აღწერა, გიმნაზიებისა და სემინარიების მუშაობის თავისებურებები, სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა სამუშაო პირობების გაცნობა - ამ საკითხისადმი ავტორის გამორჩეულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. მან დიდი ინტერესი გამოიჩინა კუნძულ ხიოსზე მოქმედი გიმნაზიისა და სემინარიისადმი. გიმნაზიის დათვალიერებისას გაეცნო და დაწვრილებით გადმოსცა სწავლების ხასიათი, შესასწავლი დისციპლინები, მოწაფეთა კონტინგენტი. შესასწავლი დისციპლინებიდან იგი ჩამოთვლის ბერძნულს, ფრანგულს, იტალიურს, არაბულს, თათრულს, ღვთისმეტყველებას, მათემატიკას, ფორთიფიკაციას, გეომეტრიას, ფიზიკას... მან დაათვალიერა ფიზიკისა და მათემატიკის ხელსაწყოებით აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. პარიზში განსწავლული გიმნაზიის დირექტორისგან გიმნაზიაში მიღებული სწავლების მეთოდსაც გაეცნობია. კაიროს აღწერისასაც მოგზაური ხაზგასმით გამოჰყოფს იქაურ სასწავლებლებს, რომელიც ჯერ კიდევ მე-12 ს. დაუსრულებია სულთან სალადინს და „რომელიცა მოწვევნიდმდე თათართსა ყოფილა ფრიადსა დიდებასა შინა“ (ავალიშვილი, 1967, გვ. 172) აქვეა ჩამოთვლილი დისციპლინები, რომლებსაც ამ სასწავლებელში ასწავლიდნენ: ყურანის განმარტება, გრამატიკა, ვარსკვლავთმრიცხველობა, არითმეტიკა, ალგებრა, ფორთიფიკაცია, ფიზიკა, მათემატიკა. ენებიდან: ბერძნული, ფრანგული, იტალიური, არაბული და თათრული. შენიშნავს იმასაც, რომ მასწავლებლები მაჰმად ალის შემოსავლიდან იღებდნენ ხელფასს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ავალიშვილი განსაკუთრებული სიმპათიით არის განწყობილი ეგვიპტის ფაშა მაჰმად ალის მიმართ და დიდ ადგილს უთმობს „მოგზავრობაში“ მის ბიოგრაფიასა და ქვეყნის გასაძლიერებლად განხორციელებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დახასიათებას. ავტორის განსაკუთრებულ ყურადღებას ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის გარდაქმნები იქცევს. მაჰმად ალისთან საუბარში იგი ვერ მალავს აღფრთოვანებას ნანახი თუ გაგონილი სიახლეების გამო. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს მასში სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებებისადმი ფაშის მიერ გამოჩენილი დიდი ყურადღება, რომელთაც თავისი პირადი შემოსავლებიდან აფინანსებს, ისევე როგორც უზარმაზარი ჯარის შენახვას, რომელსაც მისი შემოსავლის მეოთხედს ახმარს. იგი არ ივიწყებს მაჰმად ალის კონფესიურ შემწყნარებლობასა და ჰუმანური ბუნების აღნიშვნასაც, რაც სიკვდილით დასჯის ნაცვლად მიტევებისთვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატება. მოგზაური ხაზს უსვამს მის წარმომავლობასა და პიროვნულ ღირსებებს; როგორც უბრალო ოჯახიდან გამოსული და ელემენტარულ განათლებას მოკლებული პიროვნების, დიდ სიბეჯითესა და ცოდნის შეძენის მისწრაფებას, რომელიც

„ბუნებისა მიერ მინიჭებული გონიერებითა, განსჯითა, მშვიდმეტყველებითა, მდაბლითა ქცევითა, საამოდ უზნობითა... იმოსს უკუდავსა სახელსა და სიყვარულსა სამფლობელოისა თვისისა ერთა მიერ“.

(ავალიშვილი, 1967, გვ. 175)

ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ფაშის ევროპულ ორიენტაციაზე: იგი მფარველობს და რჩევას ეკითხება განათლებულ ფრანგ და ინგლისელ მეცნიერებს თავისი ქვეყნის ასაყვავებლად. ვაჭრობას აწარმოებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან, იღებს ევროპის თითქმის ყველა გაზეთს, რომელთა დახმარებით საერთაშორისო პოლიტიკის კურსშია: „მოკლედ ვსთქუათ, ფაშაი ესე არს აქა გუარსა შინა თვისსა მეორეი ნაპოლეონ, რომელიცა მცირე-მცირედ აძლევს ცნობასა ღირსებათათვის თვისთა მბრძანებელსა თვისსა, თუმცა ერჩის ჯერეთცა, გარნა არა ეგრეთ, ვითარცა სხუანი იგი მისისა წოდებისაგან“.

(ავალიშვილი, 1967, გვ. 176)

მაჰმად ალი ფაშის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. იგი ზუსტად ემთხვევა იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის დამოკიდებულებას ფრანგების მიმართ. საქართველოთი საფრანგეთის დაინტერესება გარკვეულ რწმენას უნერგავდა დამოუკიდებლობის აღდგენის მოიქმედებს. როგორც ცნობილია, 1818 წელს თბილისში ფრანგული საელჩოც გაიხსნა. მწელად დასაჯერებელია, სამოგზაუროდ წასვლამდე თბილისში მყოფ გ. ავალიშვილს არ ჰქონოდა კავშირი ფრანგ კოლეგებთან. მოახერხა თუ არა მათთან ან მოგზაურობის დროს საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან შეხვედრებისას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ საუბარი, ჩვენთვის უცნობია. არც „მოგზაურობაში“ დაკონკრეტებული მათთან საუბრის შინაარსი. ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შესაძლებელი, ისევე როგორც 1820 წელს საქართველოში საფრანგეთის კონსულის გამბას მომაგრებაზე, რომელსაც ოფიციალურად ევალეზობდა თბილისის გადაქცევა აღმოსავლეთთან ვაჭრობის ცენტრად და რომელიც მოგვიანებით გაწვეული იქნა რუსეთის მთავრობის მიერ ანტირუსული ტენდენციების გაღვივების გამო.

საფრანგეთი ნაპოლეონის მარცხის შემდეგ იმ სიძლიერის ქვეყნად აღარ მოიაზრებოდა, რომლის დახმარების მოლოდინიც შესაძლოა ჰქონოდათ კავკასიიდან რუსეთის განდევნის იდეის მომხრეებს, თუმცა ევროპა, იქ მიმდინარე მოვლენების გამო, მაინც რჩებოდა ერთადერთ შორეულ იმედად რუსეთზე ზემოქმედების მოსახდენად.

ევროპასთან კავშირის დამყარებისა და ევროპული განათლების შემოტანის ერთ-ერთ საშუალებად ქართველ უმაღლეს არისტოკრატებს კათოლიკე მისიონერები მიაჩნდა. ევროპული კულტურა და ევროპული ყაიდის ცხოვრების წესი უკვე ძალზე პოპულარული იყო ამდროინდელ საქართველოში. ამით აიხსნება გიორგი ავალიშვილის ახლო ურთიერთობაც საქართველოში მცხოვრებ კათოლიკე პატრებთან: ფილიპე თბილელთან, გორელ ონოფრესთან და ქუთაისელ პატრ იოსებთან. გიორგი ფილიპეს მეგობრად მოიხსენიებს. პატრი ონოფრეს შესახებ კი სიყრმიდანვე მეგობრულ ურთიერთობას ახსენებს. კონსტანტინეპოლში ინახულა ასევე იერუსალიმის პატრიარქი პოლიკარპე. ეს ვიზიტიც, სავარაუდოდ, დიპლომატიური მისიის ნაწილს წარმოადგენდა.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ავალიშვილი ევროპული ორიენტაციის მქონე მაჰმად ალი ფაშას სახით წარმოაჩენს სახელმწიფოს მმართველის მისეულ იდეალს, რომელმაც შეძლო შეექმნა აყვავებული ეკონომიკის მქონე, ჰუმანურ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს მოდელი, რომელიც დამოუკიდებლობისაკენ მიიკვლევდა გზას და აშკარა იყო, მიაღწევდა კიდევ დასახულ მიზანს. თავად ფაშაც სიმპათიით იყო განწყობილი მისი, ვფიქრობთ, არა მხოლოდ როგორც რუსი მოხელის, არამედ როგორც ქართველი დიპლომატის მიმართ. არასწორად მიგვაჩნია მკვლევარ ლ. კიკნაძის ვარაუდი, თითქოს მაჰმად ალი ფაშასა და გ. ავალიშვილს შორის კონტაქტი მხოლოდ ეგვიპტის გასათავისუფლებლად რუსეთის დახმარების ძიებით შემოიფარგლებოდა, ან საგარეო პოლიტიკაში ესოდენ გაცნობიერებული ადამიანი, ქართველ დიპლომატს მხოლოდ რუსეთის სამომავლო საიდუმლო გეგმების გამჟღავნებას სთხოვდა პირისპირ დარჩენისას.

„აქ მოჰყუა მფლობელი ესე, ესევითართა საგანთა ზედა უზნობასა, რომელთათვისცა მაყენებს მე აწინდელი დროი მოხსენებად აქა და ესრეთ დაჰშეთეს იგი მემრეცა დროდმდე საიდუმლოებასა შინა“.

(ავალიშვილი, 1967, გვ. 134) მართლაც ასევე დარჩა საიდუმლოდ იგი, ვიდრე თავად დრომ და განვითარებულმა მოვლენებმა არ გაამჟღავნა.

მომდევნო წლებში, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით საქართველოში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას ა. სურგულაძე წერდა: „შეთქმულნი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს აგრეთვე ეგვიპტის ფაშას მუჰამედ ალის მოქმედებას, რომელიც თავისი სუზერენის - თურქეთის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებსაც აღწევდა. საქართველოში მოდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ მუჰამედ ალი წარმოშობით ქართველია, იგი საქართველოს საუკუნო მტერს, თურქეთს, დამხობას უმზადებს და ამასთან, დაუძინებელი მტერია რუსეთისა და საფრანგეთისა მინდობილიო“.

(სურგულაძე, 2013, გვ. 61) მკვლევარი შემთხვევითად არ მიიჩნევს შეთქმულთა კავშირს

სულთნის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიპტის ფაშასთან, რომელიც საფრანგეთის მფარველობით სარგებლობდა. ვინაიდან შეთქმულნიც საფრანგეთის დახმარებას არ გამოორიცხავდნენ და ცდილობდნენ კიდევ შინაგანი მმართველობის ორგანიზაციაში საფრანგეთის კონსულტაციისთვის მიეღწიათ.

ამგვარი მსჯელობა ჩვენს მოსაზრებას ზუსტად ესადაგება, თითქოს მისი ერთგვარი გაგრძელებაა. რასაკვირველია, არც ეს კავშირია შემთხვევითი, ისევე როგორც შეთქმულებთან „მოგზაურობის“ ავტორისა, რომლის მსოფლმხედველობა აშკარად გამოსჭვივის მათი იდეოლოგიიდან. სხვაგვარად წარმოდგენილიც კია. შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე ალ. ჭავჭავაძე ხომ გ. ავალიშვილის დისშვილია, რომლის აღზრდაშიც ბიძას დიდი წვლილი მიუძღვის. იმის გახსენება, რომ სამოგზაუროდ წასვლის წინ გაცილება რამდენიმე თავადთან ერთად სწორედ მან მოუწყო თავისივე ხარჯით, ვფიქრობთ, ნათელს ჰფენს მოგზაურობის ძირითად მიზანსა და „დამკვეთის“ ვინაობაზეც მიგვანიშნებს.

60 წელს გადაცილებული გიორგი ფიზიკურად ვერ იქნებოდა შეთქმულების აქტიური მონაწილე, ვინაიდან საქართველოში არ იმყოფებოდა, მაგრამ იდეოლოგიური მხარდამჭერი და მხურვალე გულშემატკივარი ნამდვილად იყო. ამას მოწმობს ახლო კონტაქტი შეთქმულების ერთ-ერთ თავკაცთან ოქროპირ ბატონიშვილთან და არა მარტო მასთან. როგორც ცნობილია, რუსეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდები მისი მზრუნველობითა და მდიდარი ბიბლიოთეკით უმურველად სარგებლობდნენ. შემთხვევითი ალბათ არც ისაა, რომ მათ შორის იყო სოლომონ დოდაშვილიც. არ გამოვრიცხავთ, რომ „საქართველოს მართველობის პროექტის“ - შეთქმულთა ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტის შემუშავებაში მასაც გარკვეული წვლილი ჰქონდეს შეტანილი. და რამდენად მტკივნეული იქნებოდა მისთვის შეთქმულების მარცხი, ძნელი წარმოსადგენი არაა. მასაც სამშობლოს გათავისუფლების ოცნება, სხვა მრავალი მამულიშვილის მსგავსად, აუხდენელი დარჩა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: გ. ავალიშვილის მოგზაურობის მთავარი მიზანი საიდუმლო დიპლომატიური მისია იყო, ოღონდ არა ცარისტული რუსეთის ინტერესების გასატარებლად. შესაძლოა მათ მიერ მიცემული გარკვეული სახის მცირედი დავალება მართლაც შეასრულა მოგზაურობის ნებართვისა და პასპორტის მიღების სანაცვლოდ, თუმცა, ესეც „ორმაგი თამაშის“ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც იგი თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უფრო დიდი მიზნების განსახორციელებლად აწარმოებდა მთელი ცხოვრების მანძილზე. „დიდი მიზნის“ განხორციელების მცდელობა იყო ამ მოგზაურობის დედააზრიც: საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ტახტწართმეული სამეფო ოჯახისა და ქართველი არისტოკრატის მიერ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ევროპული დიპლომატიის თვალთახედვის არეში მოქცევა; მათი დაინტერესებითა და მხარდაჭერით რუსეთის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა მეტი შინაგანი ავტონომიის მისაღებად; ამავდროულად, სახელმწიფო მმართველობის ისეთი მოდელის გააზრება და შემუშავება, რომელიც ეკონომიკურად დაცემულ და განადგურებულ ქვეყანას მოკლე დროში ფეხზე წამოდგომას შეაძლებინებდა. ამგვარი მოდელის ეფექტურობის წინაპირობად კი ეპოქისეული ინოვაციების წარმატებით დანერგვასა და განხორციელებას მიიჩნევდა გამოცდილი დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე.

ბიბლიოგრაფია:

- ავალიშვილი, გ. (1967). *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*. (ე. მეტრეველი, რედ.) თბილისი: მეცნიერება.
- კეკელიძე, კ. (1958). *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*. თბილისი.
- კიკნაძე, ლ. (1993). *გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება*. თბილისი: მეცნიერება.
- სალირაშვილი, ნ. (1989). *"მოგზაურობანი" XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში*. თბილისი: განათლება.
- სურგულაძე, ა. (2013). *1832 წლის შეთქმულება*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. *გ. ჯავახიშვილის არქივი №144*.

Sopio Makhachashvili
Recep Tayyip Erdogan University (Turkey)
INNOVATIONS OF THE XIX CENTURY IN G. AVALISHVILI'S "JOURNEY"
RESUME

The history of mankind is one whole chain of development, each link of which is connected with a great change, a novelty. Cognition of the existing or the pursuit of innovation - a distinctive feature of a person whose goal is to change the environment for the better. Studying the existing and striving for innovation - a distinctive feature of a person whose goal is to change the environment for the better

“...I have come not to see the antiquities, but to see the news that has brought benefits to the country... ”

And they are talked about with more praise in distant lands than on ancient monuments. "- This goal is expressed in the words of the famous Georgian public figure, writer, playwright, translator, calligrapher, Giorgi Avalishvili, who worked in the XVIII-XIX centuries, from the book of the travel literature genre "Journey from Tbilisi to Jerusalem" ... It is a diary in Turkey, Egypt, Palestine and Greece travel, which is exactly 200 years ago, in 1819, on July 6, started one year, 1820 until July 16, continued.

Was the search for news part of the real purpose of G. Avalishvili's trip; What news, what technical and technological advances in that era were in the traveler's field of vision, What he focused on and what prospects he saw in benefiting his country; Whether it influenced the developments in Georgia in the period after the trip; How much he hoped to help his homeland and change the existing reality for the better And, in general, what "benefits" did the one-year trip to the country during the most difficult period bring? - These issues are discussed in this article. It will interest readers interested in travel-memoir genre literature.

Keywords: Travel, News, Benefits.

ლელა მახვილაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ახალგაზრდული ენა - კომპლექსური ენობრივი ფენომენი გერმანული ენის მაგალითზე

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდების ენა, სოციოლინგვისტიკა, სპეციფიკური ენა, სოციოლექტი, ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა.

1. შესავალი

გერმანული ენა - ისე როგორც სხვა ბუნებრივი ენები - არ არის ერთგვაროვანი ფენომენი. იგი არსებობს ვარიანტული ფორმების/ვარიაციების (Varietät, Variante, Subsystem) სახით. სუბსისტემები ბევრ საერთო ნიშან-თვისებასთან ერთად მნიშვნელოვან განსხვავებებსაც ავლენენ, და ამდენად, ჰეტეროგენული სისტემებია. ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცალკეულ სისტემებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სტატუსი აქვთ. ვარიანტულობა სოციოკომუნიკაციურ ფაქტორებსაც ეყრდნობა, რადგან ენობრივი კოლექტივის სოციალური დიფერენციაცია კლასებისა და ფენების, პროფესიული, ასაკობრივი, ინტერესისა და სხვა ჯგუფების მიხედვით მათ ენობრივ ქმედებაშიც ვლინდება. ამდენად, სოციალური ჯგუფი გარკვეული ენობრივი თავისებურებებით გამოირჩევა. „სოციოლექტი არის რომელიმე განსაზღვრული სოციალური ჯგუფისათვის სპეციფიკური ენობრივი ვარიაცია“ - წერს გადლერი (H. Gadler, წიგნში: გვენცაძე, 2009, გვ. 203). ჯგუფური ენების ცნება აერთიანებს არაერთ ენობრივ ვარიაციას (მაგ., დარგობრივი და პროფესიული ენები, განსაკუთრებული/სპეციფიკური ენები, საიდუმლო ენები და სხვ.).

ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ განსაკუთრებულ/სპეციფიკურ ენას - „ახალგაზრდების ენას/ახალგაზრდულ ჟარგონს“ („Jugendsprache/Jugendjargon“). შესწავლილია ახალგაზრდების/

მოზარდების ენობრივი სტილის ფენომენი (სოციოლინგვისტური კონტექსტი), რომლისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად ემოციურ-ექსპრესიული და ვულგარული ლექსიკა, მეტაფორული წარმოებები, არასტანდარტული შემოკლებები და შემოქმედებითი ფორმები, გრამატიკული წესების უგულვებლყოფა, ანგლიციზმებისა და ამერიკანიზმების უხვად ხმარება. სტატია ეფუძნება ცნობილ ენათმეცნიერთა: ჰ. ჰენეს, ე. ნოილანდის, პ. ბრაუნის, თ. შიპანის, ვ. შმიდტის, ე.ვ. ჰეს-ლუტიხის, ჰ. გლუეკის, მ. გვენცადისა და სხვათა ნაშრომებს და გერმანულენოვან ლექსიკოგრაფიულ წყაროებს და ინტერნეტმასალებს. მოპოვებულ და გაანალიზებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია ახალგაზრდების ენობრივი სტილის ვარიანტები და ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში. გამოკვეთილია ის თავისებურებები, რაც ახალგაზრდულ ლექსიკას და სპეციფიკურ ენობრივ სტილს ენის სტანდარტისაგან (Standardsprache) განასხვავებს.

2. განსაკუთრებული/სპეციფიკური ენები როგორც გარემოსგან გამიჯვნის საშუალება

სოციალური ჯგუფების ენობრივი თავისებურებები უპირველესად ეხება სპეციალურ ლექსიკას, რასაც ემატება გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები. აქ იგულისხმება არა დამოუკიდებელი ენები, არამედ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკა (Sonderwortschatz)¹ სპეციალური გამოთქმებით და ფრაზეოლოგიზმებით (მდრ. Schmidt, 2008, S. 34; Schönfeld, in: Kleine Enzyklopädie, 1983, S. 447). ამისათვის ჯგუფის წევრები გამოიყენებენ სტანდარტულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობით, ადგენენ განსხვავებულ სტრუქტურებს, გადმოაქვთ უცხო ენებიდან სიტყვები და ხმარობენ მათ შეცვლილი მნიშვნელობით. მოვლენა კლასობრივ საზოგადოებაში დამახასიათებელი იყო უპირატესად გაბატონებული კლასის ზედა ფენებისთვის, რასაც ისინი უბრალო ხალხისგან იზოლირების საშუალებად იყენებდნენ. თუმცა ტენდენცია სხვა ჯგუფებზეც ვრცელდებოდა და შესაბამისად განვითარდა პროფესიული და სპეციფიკური ენები, როგორცაა, მონადირეთა ენა, მეთევზეთა ენა, მეზღვაურთა ენა, მევენახეთა ენა, სტუდენტებისა და მოსწავლეთა ენა, ჯარისკაცების ენა და სხვ. (მაგ., Schmidt, 2008, S. 34f.).

სოციალურ ფაქტორთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ/სპეციფიკურ ენებს (Sondersprachen) შენიღბვისა და გამიჯვნის ფუნქცია აქვთ. წიგნში Metzler Lexikon Sprache (2010) ვკითხულობთ: კონტრაენებს ისეთ სპეციფიკურ ენებს უწოდებენ,

„[...] რომლებიც შესაძლებელს ხდიან სხვა დიდი სოციალური ჯგუფებიდან გაიმიჯნონ (ახალგაზრდული ენა/ახალგაზრდების ენა, საიდუმლო ენა), რომლებშიც ენობრივი კოდი ისე იცვლება, რომ ის უფრო დიდი ჯგუფისათვის გაუგებარია, და ასე, ამ ხერხით ის იძენს შენიღბვის (შეფუთვის) ფუნქციას.“ (Raith, in: Glück, 2010, S. 626)

3. ახალგაზრდების ენა როგორც კომპლექსური ენობრივი ფენომენი, ენობრივი სტილი

ახალგაზრდების ენა/ახალგაზრდული ჟარგონი არ არის ახალი ფენომენი. ყოველთვის მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ახალგაზრდები ერთმანეთთან საურთიერთოდ გამოიყენებდნენ მეტყველების საკუთარ სტილს, რაც უპირველესად ზეპირი ფორმით ხორციელდებოდა.

გერმანულ ენათმეცნიერებაში ახალგაზრდების ენა მუდმივად აქტუალური შესწავლის ობიექტია. ამ არატერმინოლოგიზებული ცნებით აღნიშნავენ ახალგაზრდების მიერ გამოყენებულ ლექსიკას. ახალგაზრდული ენა, როგორც ასეთი, არ არსებობს. ცნების ქვეშ იგულისხმება სტუდენტების ენა (Studentensprache), ქუჩის ხელოვანთა ენა (Szenesprache), მოსწავლეთა ენა, დისკოენა (Diskosprache), თინეიჯერების ენა (Teenager-Sprache) და სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფების (Rocker, Punks, Hip-Hoper, Diskobesucher, ...) ენა/ჟარგონი². ახალგაზრდების ენა არის კომპლექსური ენობრივი ფენომენი. ნოილანდი თავის წიგნში (Eva Neuland (2008). Jugendsprache. Eine Einführung.) განაზოგადებს ახალგაზრდების ენის/ჟარგონის მეცნიერული კვლევის ძირითად პრობლემებს, როგორცაა: ახალგაზრდების ენა როგორც ისტორიული ფენომენი (სტუდენტების ენა, და სხვ.), როგორც განვითარების ფენომენი (ენობრივი სოციალიზაციის ფაზა), როგორც ჯგუფური ფენომენი (სხვადასხვა ჯგუფისთვის სპეციფიკური მეტყველების სტილის კვლევა), ახალგაზრდული ენა როგორც ინტერნაციონალური ფენომენი, როგორც ენობრივი კონტაქტების ფენომენი და სხვ. (Bahlo, 2009). სპეციფიკური ენების კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, ახალგაზრდების ენობრივი სტილი მიეკუთვნება კონტრაენებს.

¹ ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყენება ცნება-ტერმინი ჯგუფური ენა (Gruppensprache, მაგ., Schmidt, 2008, S. 34f.), ასევე: ჯგუფური ჟარგონი (Gruppenjargon, Allgemeine Sprachwissenschaft I, 1975, S. 398f.).

² სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ჟარგონის არაერთ განმარტებას, მაგ.: ჟარგონი: „ვარიაციათა კოლექტიური ცნება, რომლის გამოთქმებიც (ჟარგონიზმები) მხოლოდ რომელიმე სპეციფიკური ჯგუფის წევრებისთვის არის გასაგები და ცნობილი.“ (Glück, წიგნში: Glück, 2010, S. 313)

ჰენე (Henne, 1982, S. 372) ახალგაზრდობის პერიოდს, რომელიც 13 წლის ასაკიდან შეიძლება აითვალოს, „ენობრივი პროფილის განვითარებით/პროფილირებით“ („Sprachprofilierung“) ახასიათებს, რადგან სწორედ ამ ასაკში ხდება მოზრდილთა სამყაროზე ორიენტირებული იდენტობის ჩამოყალიბება, რაც „საკუთარი ენობრივი სტილის პოვნასაც“ გულისხმობს. საკუთარი ენობრივი სტილის/ენობრივი პროფილის მიღწევას ჰენე „ჩვენ“ ჯგუფში იდენტიფიკაციით, ე.ი. მათი მოტივებისა და თვისებების საკუთარ „მე-ში“ გადმოღებითა და „თქვენ“ უფროსებისგან დაშორებით ხსნის (იქვე).

ჰენე „ახალგაზრდული ენის“ ცნებას შემდეგნაირად აზუსტებს: „ახალგაზრდული ენა ეს არის სპეციფიკური ლექსიკის გამოყენებით საუბარი და წერა, რის საშუალებითაც ახალგაზრდები თავის ენობრივ პროფილს/სტილს პოულობენ და ამის საშუალებით კი თავის იდენტობას იძენენ“. ასეთი პროფილირების ერთ-ერთი შესაძლებლობა კი მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდულ ჯგუფში ჰქონდეს საკუთარი 'ახალგაზრდული ტონი/მანერა' - წერს ჰენე (Henne, 1982, S. 373).

ახალგაზრდულ ლექსიკას ახასიათებს ორიგინალურობა და ექსპრესიულობა. ამასთან იგი ძალიან ცვალებადია. როგორც კი ორიგინალურობა დაიკარგება (ე.ი. უფროსებისთვის სიტყვა ან გამოთქმა გასაგები გახდება), ჯგუფის წევრები მას დაუყოვნებლივ ახლით ჩაანაცვლებენ, რაც სხვადასხვა გზით ხორციელდება. მაგალითად, ხდება ენობრივი სტანდარტიდან სიტყვებისთვის მნიშვნელობის შეცვლა, მაგ., steiler Hirsch 'მოტოციკლის' აღსანიშნად (შდრ. Hirsch – 'ირემი'), მეორე მხრივ, წინადადებების მოდელის, სტერეოტიპების ახალი ლექსიკური ერთეულებით გამოყენება, „რასაც ხშირად უაზრო გამოთქმებით“ ავსებენ, შდრ. Ich denk, mein Hamster bohntert, mein Sparschwein quiekt, mich streift ein Bus. (Schippa, 2002, S. 238, მაგალითები წიგნიდან). ჯგუფის წევრები ემიჯნებიან სხვებს, „განსაკუთრებით კი ენობრივ სტანდარტს და ამავდროულად აკრიტიკებენ დადგენილ ნორმებს და ენობრივ მსოფლხედვას“ - წერს ბრაუნი (Braun, 1987, S. 53). ნაცნობი სიტყვებიდან ადგენენ ახალ გამოთქმებს („Ich mach' mir da jetzt echt keinen Kopf drüber.“). უფროსები, როგორც წესი, არ იწონებენ ჟარგონს და ასეთ სიტყვათთამაშს „ენის დაკნინებად“ („Sprachverfall“) მიიჩნევენ და ავიწყდებათ, რომ ცვალებადი სამყაროს შესაბამისად ენაც იცვლება.

მაგალითად, ინტერნეტურბრიკით Slow German¹ ერთ-ერთი ავტორი იხსენებს, რომ მოზარდები აქტიურად გამოიყენებდნენ სიტყვას geil, როდესაც მათ რაღაც განსაკუთრებით მოსწონდათ, ე.ი. 'super' 'შესანიშნავი, დიდებულის' მნიშვნელობით. ბუნებრივია, ასეთი სიტყვის ხმარება მშობლებისათვის მისაღები არ იყო, რადგან ენობრივ სტანდარტში აღნიშნული სიტყვა (უმეტეს. ნეგატიური კონოტაცია) „სქესობრივ ლტოლვას“ ნიშნავდა, თუმცა მათთვის ეს არ იყო ცნობილი. იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ასევე: prima, knorke, dufte (იქვე). ახალგაზრდებმა მოიფიქრეს სიტყვა geil-ის გაძლიერებული ფორმაც affengeil, მოგვიანებით კი მეტი ეფექტურობისათვის შეადგინეს ორმაგად ექსპრესიული ფორმები: oberaffengeil და ultraoberaffengeil. დღეს ძალიან გავრცელებულია სხვა ფორმებიც: endgeil, megageil, turbogeil, ultrageil, hypergeil.

შდრ.: affengeil (ჟარგონი, განსაკუთრებით ახალგაზრდული) 'ადტაცების დონეზე კარგი, ლამაზი': Das war ein affengeiler Film; Sie trägt immer die affengeilsten Klamotten.² (DUW, 2001, S. 106).

ორიგინალურობა ახასიათებს მისალმების ფორმებსაც. ნოილანდი თავის კვლევაში ახდენს ასეთი ფორმების დიფერენციაციას ადრესატის მიხედვით (თანატოლი თუ მოზრდილი). ამასთან ითვალისწინებს ახალგაზრდების ასაკობრივ საფეხურს, სქესს, სკოლის ტიპს. მაგალითად, თანატოლებთან მიმართებაში აქტიურად გამოიყენებენ შემდეგ ფორმებს: Hey, was geht / Was geht ab Bruder / Du, Hallo / He, Was geht, Hau rein / Chirio/ Alles klar? / Hallöchen / Hey Bella! / Na, wie geht's dir? / Alles fit? და სხვ. (Neuland, 2015). ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ნაწილაკების ხმარება.

Kids (როგორც ახალგაზრდები საკუთარი ჯგუფის წევრებს უწოდებენ) ძალიან შემოქმედებითები არიან და მუდმივად ახდენენ საკუთარი ლექსიკის განახლებას: იგონებენ ახალ ცნებებს; მაგალითად, ახლახანს ენაში გაჩნდა სრულიად ახალი სიტყვა Covidiot 'პირი, რომელიც პანდემიის დროს ჯანმრთელობის საყოველთაო რჩევებს არ იზიარებს და არ იცავს; შესაბამისად კორონავირუსის საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამს და საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს'. ახალგაზრდულ ჟარგონში ინტენსიურად ხდება ასევე სხვა ენებიდან სიტყვების გადმოღება, მაგალითად, თურქულიდან: (თურქ. Lan სიტყვისთვის: Kumpel (ein [alter] Kumpel) საუბრ. 1. 'მალაროელი, 2. ამხანაგი მუშაობაში, ძმაკაცი'): „Treffen wir uns nachher in der Shishabar, Lan?“³ განსაკუთრებით ინტენსიურია ინგლისური ენიდან ცნებების გადმოღება, მაგალითად, chillen - 'მოდუნება, დასვენება' ('entspannen, sich

¹ <https://slowgerman.com/2017/11/21/jugendsprache/>

² 'ეს იყო უმაგრესი ფილმი'. 'მას მუდამ უმაგრესი [სუპერზე სუპერი] ტანსაცმელი აცვია'.

³ <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>

ausruhen’), შდრ. Chill-out-Room (ამერ. to chill out) ‘Entspannungs-, Erholungsraum’. ახალგაზრდული ენისთვის დამახასიათებელია გრამატიკული წესების უგულვებლყოფა. მათთვის მისაღებია ასევე ე.წ. „Kanak Sprach“ (ე.ი. გერმანული ენა თურქულის ზეგავლენით). ხდება ასევე უბრალოდ სიტყვების შემოკლება, მაგ., funzen (< funktionieren), telen (< telefonieren). როგორც ითქვა, ახალგაზრდები ზოგჯერ სტანდარტიდან სიტყვებს სულ სხვა მნიშვნელობით გამოიყენებენ, აწარმოებენ ახალ სტრუქტურებს, ხშირად გაუგებარია, თუ საიდან მოდის ესა თუ ის სიტყვა, შდრ.: Hammer გამოიყენებენ მნიშვნელობით ‘კარგი’ ‘gut’ (ენობრივ სტანდარტში - ‘ჩაქუჩი, ურო’); ასევე: Pfosten ‘სულელი ადამიანი’ ‘dumme Person’ (სტანდარტში - ‘სვეტი, ბოძი’), შდრ. სიტყვის ინტენსიური ფორმა/ხარისხში Vollpfosten.¹ Raffen = ‘გაგება’ verstehen: „Im Französisch raffte ich nichts.“² სხვა მაგალითები: Auf deinen Nacken = მოთხოვნა, მოწოდება (ფულის) გადახდაზე: „Das Bier heute geht auf Petras Nacken!“; „Ich küsse deine Augen“ = მე შენ მაღლობას გიხდის: „Danke für die Unterstützung, ich küsse deine Augen.“ (იქვე).

ახალგაზრდულ ჟარგონში, რეჰსა [Rap] და ჰიპ-ჰოპში [Hip-Hop] ძალიან არის გავრცელებული გამოთქმა Alles gucci ‘ყველაფერი წესრიგშია’: „Kein Ding, alles gucci!“ გამოთქმა Alles Gucci წარმოადგენს სიტყვათა თამაშს, სადაც სიტყვა gut ჩანაცვლდა იტალიური მოდის ბრენდი „Gucci“-ს სახელით და ნიშნავს „Alles gut?“ ან „Alles klar?“. ჟარგონში „Gucci“ გამოიყენება როგორც ზედსართავი სახელი.³ მსგავსი მოვლენაა „zuckerbergen“ - ახალი სიტყვის წარმოება საკუთარი სახელიდან, კერძოდ, ფეისბუქის დამაარსებლის გვარიდან ნაწარმოებია ზმნა მნიშვნელობით ‘stalken/verfolgen’: „Warst du wieder zuckerbergen?“⁴

ახალგაზრდები მიმართავენ ასევე ტაბუირებული, ვულგარული (სექსუალური სფეროდან) სიტყვების გამოყენებას, უცვლიან სიტყვებს ფორმას და გამოიყენებენ არასტანდარტულ შემოკლებებს, მაგალითად: af / as fuck (as fuck-ის შემოკლებული ფორმა, გამოიყენება ზედსართავი სახელის გამამღიერებლად, ხარისხში ასაყვანად), მნიშვნელობით ‘ძალიან’: „Ich bin müde as fuck.“ ‘ძალიან დაღლილი ვარ,’ „Die Party war so richtig gut af;“, „Die Aufgaben waren easy af.“ „af“ წარმოითქმის როგორც „A-Eff“.⁵

2008 წლიდან სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით ხდება წლის სიტყვის არჩევა. მაგალითად, 2012 წლის ახალგაზრდულ სიტყვად შეირჩა YOLO, რომელიც არის გამოთქმის ‘You Only Live Once’-ის შემოკლებული ფორმა/აბრევიატურა. YOLO დღეს ინტერნეტ-ქსელის ჟანგონია. ასევე: Carpe Diem – ‘nutze den Tag’ ‘გამოიყენე დღე’. 2015 წლის სიტყვად აღიარეს I bims. შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო ინტერნეტის ენაა (Internet-Sprache) ვიდრე ახალგაზრდული (შდრ.: Ich bin’s > I bims). მეორე ადგილზეა სიტყვა merkeln (< Merkel). 2018 წელს ჯიურის მიერ შეირჩა Ehrenmann და Ehrenfrau.

სპეციფიკური ენების ცალსახა აღწერა და გამიჯვნა ძნელია, გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივი და სოციალური ენობრივი ფორმები ხშირად ერთმანეთს კვეთენ, და ამდენად, ვარიანტებს შორის საზღვრები ძნელად დასადგენია. სპეციფიკური ენებისათვის დამახასიათებელია ენობრივი ფორმების გამოყენებიდან გადახრები, მაგალითად, მეტაფორიზაციის საშუალებით. ამ ტიპის სპეციალურ ფორმებს მიეკუთვნება ისეთი ვარიანტებიც, სადაც ბგერათა თანმიმდევრობის შეცვლით ან ბგერების დამატებით იცვლება თავდაპირველი სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა. სტატიის ავტორს მაგალითად მოჰყავს მე-15 საუკუნის I ნახევარში სანკტ გალენში გავრცელებული ე.წ. „b-ენა“, რომელიც დღეს როგორც „Räubersprache“ (‘ყაჩაღების ენა’) პოპულარობით სარგებლობს ბავშვებში, შდრ.: Abavebe Mabaribiaba < Ave Maria (Raith, in: Glück, 2010, S. 626)

დიალექტისა და სოციოლექტის ფორმების გადაკვეთის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია ერთ-ერთი ახალგაზრდული ჯგუფის „Dorffrocker“-ის პოპულარული სიმღერა “ფართიშლაგერი” (Partyschläger) როკისა და ხალხური მუსიკის ნაზავი. საესტრადო ჯგუფის წევრები - ძმები წარმოშობით ბავარიიდან ბამბერგის რეგიონიდან (Kirchaich) არიან. მათ სიმღერებში სწორედ ადგილობრივი დიალექტისა და ახალგაზრდული ენის ელემენტები ისმის.

„Dorffkind“ (Refrain):

Ich bin a Dorffkind und darauf bin i stolz, (ein, ich)
 denn wir Dorfkinder sin’ aus gutem Holz. (sind)
 Ich bin a Dorffkind was kann’s Schönres geb’n (ein, Schönes)
 Als aufm Land zu leb’n. (auf dem)
 Bei uns is alles viel gelassner, einfach cool. (ist)
 so wie die Oma vor ihr’m Häusla aufm Stuhl. (Häuslein)

¹ <https://slowgerman.com/2017/11/21/jugendsprache/>

² <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>

³ <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-alles-gucci-bedeutung-erklaerung-jugendsprache-antwort/>

⁴ <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>

⁵ <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-af-as-fuck-auf-deutsch-bedeutung-definition-und-wortherkunft/>

Wir feiern Feste wie sie fall'n und dann aa g'scheit (fallen, gescheit)
 Und nach am' Bier gibt's amal a wenig an Streit. (einem, auch mal)
 Doch wenn's drauf ankommt halt mer immer zamm (zusammen)
 Des und viel mehr g'fällt mir halt aufm Land. (gefällt)
 (Funk, Kuhn, & Winzer-Kiontke, 2015, S.133)¹

როგორც წარმოდგენილი ნიმუშიდან ჩანს, სიმღერის ტექსტში ფიქსირდება დიალექტური და ახალგაზრდული ენისთვის დამახასიათებელი ფორმები. არის სიტყვების არასტანდარტული შემოკლებები: ნაცვალსახელების, ზმნების არასრული ფორმები. გვაქვს ენობრივი მოვლენები აპოკოპე და სინკოპე (ამოვარდნა) (Apokope, Synkope, Elision) - ერთი მხრივ, ბოლოვიდური (sin, is, i), და მეორე მხრივ, სიტყვის ფუძეში უმახვილო ხმოვნების და თანხმოვნების დაკარგვა (fall'n, am_[einem]) და სიტყვის ფორმის ცვლილება (Metaplasmus: zamm < zusammen) (Schönhaar, in: Glück, 2010, S. 425).

4. Denglisch / Anglodeutsch

ახალგაზრდული ჟარგონისთვის დამახასიათებელია ანგლიციზმების უხვად ხმარება, რაც ასევე ძალიან აშფოთებთ მოზრდილებს (Götze & Hess-Lüttich 2005, S. 601. ექსპერტები ამ მოვლენისათვის გამოიყენებენ ტერმინებს „Denglisch“, „Anglodeutsch“ („Deutsch“ + „Englisch“), არა სამეცნიერო კრიტერიუმების შესაბამისად, არამედ სუბიექტური შეფასებით.

ინგლისური ენის ზეგავლენა ეხება, პირველ რიგში, წერის მანერას. ასე რომ, გერმანული ასომთავრულით წერა და ინგლისური ვარიანტები გვხვდება პარალელურად (შდრ.: Kids/kids, Kommicks/comics, Disko/disco). ახალგაზრდებმა ინგლისურ ზმნებსაც მოარგეს გერმანული ფლექსიური სისტემა (ასე ვთქვათ, გააგერმანულეს) (Götze & Hess-Lüttich, 2005, S. 602), როგორც, მაგ.: comebacken (zurückkommen: Neubeginn einer Karriere), live-acten, relaxen, walken, shoppen, abchecken, joggen, updaten; ასევე: Sie müssen am Flughafen *einchecken*, durch die Welt *jetten*, einen Song *promoten*, einen Termin *canceln* და სხვ. (იქვე). სხვა მაგალითები: Ich habe das Programm *gedownloadet* oder *downgeloadet* (= Ich habe das Programm heruntergeladen), der Flug wurde *gcancelt* (= Der Flug wurde abgesagt).

5. Disco-Deutsch / Diskodeutsch

ენობრივი ფორმის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ Disco-ტექსტს და შესაბამისი თარგმანს ენობრივ სტანდარტზე (H. Grimm & I. Sontheimer, in: Braun, 1987, S. 52):

„Als ich neulich mit Peter in die Disco *drückte*, macht der mich unheimlich an aufs Tilbury. Na, schon *bohren* wir dahin, obwohl ich eigentlich aufs Lollipop stand. Ich *Chaot* hatte keine *Matte* mit, weil ich meinen *Kaftan* vergessen hatte, und sagte zu Peter, er solle mal *ausklinken*. In dem *Schuppen* *zogen* ein paar *People* schon *eine heiße Show ab*. Wir machten eine *kurze Fleischbeschauung*, und Peter machte sich sofort daran, *eine riesige Tussi auszugraben*. Die war echt *einsam*, aber ich *hatte einfach keinen Schlag* bei ihr (. . .).“

„Als ich neulich mit Peter in die City fuhr, überredete er mich, ins Tilbury zu gehen. Nun, wir fuhren dorthin, obwohl ich lieber ins Lollipop gegangen wäre. Dummerweise hatte ich kein Geld dabei, weil ich mein *Jackett* vergessen hatte, und bat Peter, er möchte für mich zahlen. In dem Lokal sorgten einige Leute gehörig für Stimmung. Wir sahen uns etwas um, und Peter begann sofort mit einem sehr hübschen Mädchen zu flirten. Sie war wirklich schön, aber ich hatte keine Chancen bei ihr (. . .).“

როგორც ვხედავთ, გამონათქვამების უმეტესობა მოდის ენობრივი სტანდარტიდან, თუმცა Disco-ენაში ისინი განიცდიან გარკვეულ სემანტიკურ ცვლილებებს, შდრ.: drücken – ‘fahren’, bohren – ‘fahren’, Matte – Geld, Kaftan (< თურქ. kaftan < არაბ. Quftan სამხედრ. ‘ზედა სამოსი’) – ‘Jackett’, Schuppen – ‘Lokal’, ausgraben – ‘flirten’. გარდა ამისა, ტექსტში ვხვდებით ახალგაზრდული ჟარგონისთვის დამახასიათებელ გამოთქმებსა და ფრაზებს: „auf etwas stehen“, „eine heiße Show abziehen“, „keinen Schlag bei jemandem haben“, ასევე: „kurze Fleischbeschauung“, „ich Chaot“, „eine riesige Tussi ausgraben“ (შდრ., Braun, 1987, S. 52f.).

6. ენობრივი საშუალებები და თავისებურებანი

ჩვენ ვისაუბრეთ ენობრივ საშუალებებზე, რომლებსაც ახალგაზრდები საკუთარი ენობრივი სტილის შექმნისათვის მიმართავენ. ისინი მეტად მრავალფეროვანია (შდრ.: გვენცამე, 2009, გვ. 210; Römer & Matzke, 2003, S. 49):

- მნიშვნელობის ცვლა: steiler Hirsch (= Motorrad ‘მოტოციკლი’, შდრ. Hirsch - ‘ირემი’); Hammer (= gut ‘კარგი’, შდრ., ჩაქუჩი, ურო); raffen (= verstehen ‘გაგება’);
- ნეოლოგიზმები, სიტყვათათამაში: gucci (= gut ‘კარგი’), გამოთქმაში: Alles gucci (= Alles gut? ან Alles klar?)

¹ ხაზგასმულია სოციოლექტისა და დიალექტის ფორმები, ცალკე გამოტანილია ენობრივი სტანდარტი.

- რეგიონალიზმები: Häusla (= Häuslein)
- სიტყვის ფორმის ცვლა: funzen (< funktionieren); telen (< telefonieren), amal (=auch mal)
- შემოკლებული ფორმები/აბრევიატურები: YOLO (= You Only Live Once)
- ანგლიციზმები: kid(s), cool, Chill-out-Room
- ანგლიციზმები გერმანული ფლექსიებით: chat – chatten; chillen (= entspannen, sich ausruhen 'მოდუნება, დასვენება'); joggen, walken
- უცხო ენებიდან ფორმების გადმოღება: Carpe Diem” (=‘nutze den Tag’ ‘გამოიყენე დღე’); თურქ. Lan (= Kumpel)
- ენობრივი საშუალებების კომბინაციები: I bims (< Ich bin’s); litation (eine Situation, die lit (cool) ist)
- ნაწილაკები: ey, halt ; wa = დადასტურება რიტორიკულ შეკითხვაზე.
- სიტყვაწარმოებითი მოდელები: Besti (=beste Freundin), Konzi (= Konzert), normal – normalo; zuckerbergen (საკუთარი სახელიდან წარმოება)
- აღმატებითი ხარისხის გამოხატვა ექსპრესიული ფორმებით: affengeil, oberaffengeil, ultraoberaffengeil, endgeil, megageil, turbogeil, ultrageil, hypergeil
- შორისდებულების გამოყენება: wow (= წამოძახილი /გაოცება)
- ორიგინალური მიმართვისა და მისალმების ფორმების შექმნა: Hey, was geht? Hallöchen! Alles fit?

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალწარმონაქმნთა დიდი ნაწილი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობით გამოირჩევა, რაც ძირითადად სიტყვათა თხზვით და მეტაფორიზაციით მიიღწევა: Pauker, Spießler, Sklaventreiber ('für Lehrer'), Obermacker ('Direktor'), Parkphilosoph ('Obdachloser') (შდრ., Braun, 1987, S. 54; გვენცაძე, 2009, გვ. 210). გარდა ამისა, ენობრივ ფორმებს ახასიათებს ტერიტორიული სხვაობები, რაც დიალექტისა და ჟარგონის ნაზავია.

ცალკე უნდა გამოიყოს -i სუფიქსით წარმოება. გერმანულ არსებით სახელებში -i სუფიქსით წარმოების მოდელი პროდუქტიულია და დამახასიათებელია როგორც ზეპირი, ისე ყოველდღიური ენისათვის (Glück & Sauer, 1990, S. 82). სუფიქსი, რომელიც ძველი ზემოგერმანული პერიოდიდან ფიქსირდება, იხმარება უპირველესად საკუთარი სახელებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ჰიპოკორისტული (ექსპრესიულ-მოფერებითი) ფორმების (Fleischer, 1976, S. 201; Glück & Sauer, 1990, S. 76), მაგ.: Rudi < Rudolf, Fritzi < Fritz, Heini < Heinrich, Gitti < Brigitte, ასევე შემოკლებული სიტყვების საწარმოებლად (Ami < Amerikaner, Assi < Assistent, Uni < Universität, ასევე: Studi < Student(in), ასევე: Schmachti (=Weichling, Schwächling), schluffi, და სხვ.).

7. დასკვნა

ამდენად, ნაშრომში გაანალიზებული მასალა წარმოდგენილია სოციოლინგვისტურ კონტექსტში. ჯგუფური ენების ფონზე შესწავლილია და განხილული ახალგაზრდების/ მოზარდების ენობრივი სტილის - როგორც კომპლექსური ენობრივი ფენომენის - საკითხი გერმანული ენის მაგალითზე. გამოკვეთილია კომუნიკაციურ-ფუნქციური, სტრუქტურული, სტილისტური და პრაგმატული ასპექტები. ახალგაზრდების მეტყველების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია საკუთარი სპეციფიკური ლექსიკის გამოყენებით საუბარი და წერა, რაც ჯგუფში იდენტიფიკაციისა და მოზრდილთა სამყაროდან, განსაკუთრებით ენობრივი სტანდარტისგან გამიჯვნის, ზოგჯერ კი პროვოკაციის კარგი საშუალებაა. მოპოვებულ და გაანალიზებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია ახალგაზრდების ენობრივი სტილის ვარიანტები და ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში. გამოკვეთილია ენობრივი მოვლენები და ის თავისებურებები, რაც ახალგაზრდულ ლექსიკას და სპეციფიკურ ენობრივ სტილს ენის სტანდარტისაგან განასხვავებს.

ბიბლიოგრაფია:

- გვენცაძე, მ. (2009). *ლინგვისტური გერმანისტიკა (ზოგადი კურსი ბაკალავრიატის სტუდენტთათვის)*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Altmann, H. (1986). Jugendsprache heute. In *Engagement. Zeitschrift für Erziehung und Schule*. 4 (S. 304-322), Munster: Aschendorff.
- Bahlo, N. (2009). *Rezension zu: Eva Neuland. Jugendsprache. Eine Einführung*. Tübingen und Basel: A. Francke. Abgerufen von <http://www.gespraechsforschung-online.de/fileadmin/dateien/heft2009/rz-bahlo.pdf>
- Braun, P. (1987). *Tendenzen in der deutschen Gegenwartssprache. Sprachvarietäten* (2. Aufl.). Stuttgart, et al.: Verlag W. Kohlhammer.
- Glück, H. (Hrsg.). (2010). *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). Stuttgart et al.: J.B. Metzler.
- Glück, H., & Sauer, W.W. (1990). *Gegenwartsdeutsch*. Bd. 252. Stuttgart: J.B. Metzler.

- Gwenzadse, M. (2002). *Einführung in die Stilistik der deutschen Sprache. Vorlesungsmaterialien und Seminarübungen für georgische Germanistikstudenten*. Tbilissi: Bakur Sulakauri Verlag.
- Götze L., & Hess-Lüttich E.W.B. (2005). *Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch*. Gütersloh/München: Bertelsmann Lexikon Institut.
- Henne, H. (1982). Jugendsprache und Jugendgespräche. In H. Moser, H. Steger (Hrsg.), *Dialogstrukturen. Jahrbuch des IdS* 54 (S. 370-384).
- Kleine Enzyklopädie. Deutsche Sprache*. (1983). Leipzig: VEB Bibliographisches Institut.
- Neuland, E. (2015). „Hey, was geht?“ Beobachtungen zum Wandel und Differenzierung von Begrüßungsformen Jugendlicher. In *IDS Sprachreport* 31, 1 (S. 30-35).
- Römer, Chr. & Matzke, B. (2003). *Lexikologie des Deutschen. Eine Einführung*. Gunter Narr: Tübingen.
- Schippan, Th. (2002). *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache* (2.Aufl.). Tübingen: Niemeyer.
- Schmidt, W. (2008). *Deutsche Sprachkunde. Ein Handbuch für Lehrer und Studierende mit einer Einführung in die Probleme des Sprachkundlichen Unterrichts*. (8., bearb. Aufl.) Paderborn: IFB.

წყაროები:

- Deutsche Sprache. „I bims“ ist Jugendwort des Jahres. (17.11.2017). In *Spiegel*. Panorama. dpa/him/koe, Abgerufen von <https://www.spiegel.de/lebenundlernen/schule/jugendwort-des-jahres-2017-ist-i-bims-a-1173278.html>
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. (2001). (4. neu bearb. und erw. Aufl.). Mannheim, et al.
- Funk, H., Kuhn, Chr., & Winzer-Kiontke, B. (2015). *Studio 21 / Das Deutschbuch. Deutsch als Fremdsprache. A2.2. 1. Aufl., 1. Druck*. Berlin: Cornelsen Verlag.
- Jugendsprache: Das Wörterbuch 2019. (31. Oktober 2019). In *Fokus*. Abgerufen von <https://fokus.swiss/2019/10/woerterbuch-der-jugendsprache-2019/>
- Rubens, A. (21. November 2017). Jugendsprache. (SG # 151). In *Slow German*. Abgerufen von <https://slowgerman.com/2017/11/21/jugendsprache/>
- Was bedeutet „Alles Gucci“? Bedeutung, Erklärung, Jugendsprache, Antwort. (4. Dezember 2019). In *Bedeutung Online*. Abgerufen von <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-alles-gucci-bedeutung-erklarung-jugendsprache-antwort/>
- Was bedeutet „AF“ / „As f*ck“ auf deutsch? Bedeutung, Definition und Wortherkunft. In *Bedeutung Online*. Abgerufen von <https://www.bedeutungonline.de/was-bedeutet-af-as-fuck-auf-deutsch-bedeutung-definition-und-wortherkunft/>

Lela Makhviladze

Gori State Teaching University

**THE LANGUAGE OF THE YOUNG - A COMPLEX LANGUAGE PHENOMENON ACCORDING TO THE GERMAN LANGUAGE
RESUME**

The material analyzed in the work is presented in a sociolinguistic context. Against the background of group languages, the language style of the Young - as a complex linguistic phenomenon - is studied and discussed in German. The „Youth Language“ („Jugendsprache“) is characterized by emotional-expressive vocabulary, metaphorical productions, non-standard abbreviations and creative forms, neglect of grammatical rules, abundance of Anglicisms and Americanisms. The article is based on the works of well-known linguists and German-language lexicographical sources and Internet materials. Based on the obtained and analyzed factual material, the paper presents the variants of language styles of young people and linguistic means in German. The features that distinguish youth vocabulary and specific language style from the standard language are highlighted. Communicative-functional, structural, stylistic and pragmatic aspects are highlighted.

Keywords: Youth Language/Language of the Young, Sociolinguistics, Sublanguage, Sociolect, Emotional-expressive vocabulary.

მზე, კოსმოსი და ადამიანი

საკვანძო სიტყვები: კოსმოსი, მზე, ადამიანი, რეზო ადამია.

შესავალი

მხატვრული სამყაროს დიაპაზონმა და იმ შინაგანმა ბოზოქარმა შთაგონების ენერგიამ, რომლითაც რეზო ადამია, როგორც შემოქმედი მოძრაობს ამ სამყაროში, შესამღებლობები მისცა დაეპყრო კოსმიური გამოცდილების ახალი სფერო და შეექმნა ორიგინალური რომანი „მზე“. (ადამია, 2018)

სტატიაში ნაჩვენებია რეზო ადამიას მწერლური ოსტატობა, რეალობის ღრმა ფილოსოფიური შეცნობა, კერძოდ, ფანტასმაგორული სიუჟეტი რომანისა, როცა მზემ სამი საათით დააგვიანა ამოსვლა. ეს სამი საათი კი პლანეტაზე უმადურობის დამკვიდრების პერიოდია და უმზეობით გამოწვეულმა განსაცდელმა ადამიანებს საშუალება მისცა დაფიქრებულიყვნენ და განვლილი გზის სისწორე გაეანალიზებინათ... ამოდის მზე და დამაბულობაც ქრება. მხატვრული ოსტატობითა და ბიბლიური წყაროების მოშველიებითაა გამართლებული მზის ფუნქცია...

ძირითადი ტექსტი

ჩვენს საუკუნეში დიდმა ფერმწერმა, მწერალმა და ესეისტმა რეზო ადამიამ კოსმოსური სულის შემოქმედმა მაცხოვარივით იტვირთა ჯვარი ულამაზესი სიცოცხლისა, ტანჯვისა, მუდმივი ბრძოლისა და „რა ვქნისა“ ციხის აგებისა... ჩვენს წინაშეა კოსმოსური ინსტინქტით შობილი რომანი „მზე“, რომელიც მთელ სამყაროს იტევს. მკითხველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ დეტალს, რომელიც დაქვემდებარებულ როლს თამაშობს მზის, კოსმოსისა და ადამიანის ურთიერთობის წარმოსაჩენად. საინტერესოა მწერლის აზრი ადამიანის, ბუნების, ცალკეული საგნებისა და მოვლენების ურთიერთმიმართებაზე. და მაინც: „ყოველგვარი პორტრეტი, მხატვრის პორტრეტი და არა მოდელისა, მენატურე მხოლოდ საბაბია, გარემოება“ (ოსკარ უაილდი). ამ პარადოქსულ ნათქვამში მესახება რეზო ადამიას როგორც შემოქმედისა და მხატვრული ნაწარმოების ურთიერთმიმართების ასპექტი, რაც ჩვენი წერილის კონტექსტში ავტორისა და რომანის მთავარი იდეის ერთგვარ შერწყმაში გამოიხატება...

რეზო ადამიას მზე არაა ცივი აბსტრაქცია, ჭვრეტა, მხოლოდ მეტაფორა, ჩვენი ღრმა რწმენით, ესაა თავდადება, სულის წეწვა, კოსმიური ინსტინქტი, კოსმოსისა და ადამიანის მოკრძალებული თავყვანისცემა და დიადი განცდა... ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სამყარო, კოსმოსი, მზე, ადამიანი, უშუალოდ აღქმული თუ ხელოვნებით გარდასახული თავისთავადაა შთამბეჭდავი სანახაობა, რომ ხილული და არა უხილავი სილამაზეა ქვეყნიერების უდიდესი სასწაული, ცხოვრების, ჩვენი ყოფიერების ერთადერთი აზრი, უცნაური მიზანი და დანიშნულება და აგერ, რეზო ადამიამ შექმნა წიგნი — სასწაული, თავად შემოქმედი სამყაროს უსასრულობის საყრდენ წერტილს რომ პოულობს საკუთარ თავში და კოსმიური ინსტინქტით, ნიჭისა და ინტუიციის ენერგიით შობილი ტილო შემოგვთავაზა, ჩვენდა სასიხარულოდ, თაობების განსაცვიფრებლად.

რეზო ადამიამ კარგად იცის, რომ ადამიანს მზე მუდამ სჭირდება, მზის ჰანგს უნდა გამოსცემდეს მისი სუნთქვა. ადამიანი ხომ მუდამ ილტვის იმ ბილიკისკენ, სადაც მზით ავსება შეიძლება, მას არაერთი ფერწერული ტილო აქვს მზეზე, აქ უნებურად გაგვახსენდება მისი „ჩამავალი მზე“, რომელიც ფერმწერსა და მწერალ ესეისტს სხვაგვარ სამყაროს აგონებს. მაგრამ გვარწმუნებს, რომ ჩამავალი მზე საოცრად ლამაზია, მისი მოცეკვავე სხივები სიმშვიდით გვავესებს. ფერის, მდიდრული კოლორისტიკისა და ზომიერი კონტრასტის ფანტასტიკურობაა აქ, დაეხეტება შემოქმედი კოსმოსურ სამყაროში, ჰოდა, ლაღადებს კოსმოსიდან გამოხმობილი სული რომანში „მზე“, სადაც სრულიად ახალი ფორმის ოპტიმიზმი და მძაფრი სევდა ერთმანეთს გადაჯაჭვია... ადამიანის სულის სხვაგვარ სრულყოფილი ძერწვას კი მხოლოდ ბუმბერაზ შემოქმედებთან თუ ვხედავთ, და აგერ, ჩვენს თვალწინ თითქოს უმზეოდ დარჩენილი ადამიანები რაღაც უჩვეულო თავაწყვეტივ შემბიან კოსმოსურ დრამას.

აქვე საგულისხმოდ გვეჩვენება აღვნიშნოთ, რომ მთელ მის ესეებსა თუ ჩანახატებში (არაფერს ვამბობთ ფერწერაზე, საკმარისია დავასახელოთ ფერწერული ციკლი „კოსმიური ქარიშხალია გალაკტიონში“ და ტერენტი გრანელზე შექმნილი სოლიდური წიგნი-მონოგრაფია). წინამდებარე რომანში მისი მაძიებელი სულია გაცხადებული და მზის, ადამიანისა და კოსმოსის ასტრალური საიდუმლოა ამოხსნილი. და წერს შემოქმედი ქვესკნელსა და ზესკნელზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, სიყვარულსა და

სიმულვილზე, სიკეთესა და ბოროტებაზე და გვჯერა ქვესკნელისა და ზესკნელის, მთელი კოსმიური სამყაროს ნაზიარები შემოქმედის ყოველი მონასმი კალმისა მძლავრი და მძაფრი განწყობილებისა და კოსმიურ სულის მარადიული სახეა. დიახ, აქ ყველგან მზის სხივებით გალიციციებული კოსმიური უსასრულობის ლამაზი სევდაა.

რეზო ადამიას უკიდურესად აქვს გამძაფრებული სამყაროს იდუმალებაში შეღწევა, უსასრულობისაკენ ჯიუტი სწრაფვა, სამყაროს ჰარმონიის მიკვლევა მისი შემოქმედებითი გაბედულების დასტურია. „რასაც გარეგანი გრძნობები აღიქვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყაროსი, სულთან წილნაყარი უნდა გახდეს, რათა შეძლო მისი გამოცხადების გადმოტანა გრძნობად სამყაროში. (შტაინერი, 1993, გვ. 23)

„სიკვდილი სამყაროს სასტიკი, ბნელზე უკუნი და მზისსხივოსანი სიცოცხლის დამთრგუნველი ჩამქრობი ქმედებაა, უცხო უხილავი ფორმის შორეული მოუსავლეთის ავთვისებიანი თანამგზავრივითაა ყოველსა შავი წერტილის დამსმელი, ის უფერული და უკეთურია თავის გამოცხადებამდე, ზოგჯერ ჩაგვიქროლებს ხოლმე უმძაფრესი და უმძიმესი განწყობილებით და მწარედ, ჟრუანტელის მომგვრელად შეგვანჯღრევს. მთლიანობაში ყოველ ცოცხალ არსებას შემფოთებით ერიდება მისი და რატომ, ის ხომ უსასრულობაში სხვადასხვა ფუნქციებით დედამიწის შემავსებ-აღმდგენელი და სულის სულთა სივრცეში გადაადგილების შეუცნობადი აუცილებელი მიზან-კანონ-ძალაა, ქვეყნიერების უსასტიკესი ფორმა — ფერსახეა, მაგრამ ვიმეორებ, და მაინც სიკვდილით აღმოცენდება სიცოცხლე (ადამია, 2018, გვ. 40) ... როცა ამ რომანს კითხულობ, თავს სხვა სამყაროში წარმოიდგენ, თითქოს მარადისობის კარიბჭესთან დგახარ და ერთგვარად გამფოთებს მზის გაუჩინარება. შენც ხედავ „უბინაო ცხედრებს“, არ ხდება განაყოფიერება, არც მშობიარობა ნებისმიერი ცოცხალი არსებისა. „თითქოს ძველი და ახალი საფლავებიც გაუგებრად აშიშინდნენ და აიშალნენ, ქვესკნელის უსასრულობიდან საფლავებზე შინდისფერმა კლავნილმა უხილავმა სულმა გამოაცვლად სივრცეში გაიელვა, შეწყდა სტიქიური ქმედება-მოულოდნელობანი, რატომ, რომ მიცვალებულთან — მკვდართან ახლოს მისვლა ძალიან გვიჭირს, თითქოსდა რაღაცამ დამალა, დაგირღვია სული, ორგანიზმი? იმიტომ, რომ იქ მიწა გვხვდება სიცოცხლით სავსე და მიცვალებულის მარადიული გამომქცევი, სიკვდილის ყოვლად განმდევნელი. (ადამია, 2018, გვ. 41)

უაღრესად საინტერესოდაა ასახული კოსმოსის, მზისა და ადამიანის ურთიერთობა და გეგვენება, რომ შემოქმედმა შექმნა რაღაც უჩვეულო მხატვრულ-მითოსური აზროვნება და თავადაც კოსმოსს გაუმთლიანდა და ადამიანური სიმაღლის საიდუმლოებითაც გაგვაოცა. მთელ რიგ პასაჟებში ფანტაზია და ლოგიკური მსჯელობა ისე ენაცვლება, ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ ძნელიც კი ხდება დაზუსტებით იმის თქმა სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. ჩვენ კი ალღოთი ვგრძნობთ ადამიანისა და კოსმოსის, მზისა და ადამიანის ჰარმონიისათვის ბრძოლას... და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გონების თვალსაწიერში ვერაფერს ვხედავთ მზის, კოსმოსისა და ადამიანის ამ სიმბოლური ურთიერთმიმართების ბადალს მთელი ნაწარმოების მხატვრული კონტექსტის ფონზე. მთელი რომანი პოეტური პროზის უბადლო ნიმუშია, ასეთი მეტაფორები თვით პოეზიაშიც ძნელია დაიძებნოს. ყოველი ეპითეტი, შედარება უნიკალურია, დააკვირდით აბა მათში რეალიზებულ სახეებს: „მზე, გამარცვული ცის სიღრმე-სიგრძე-სიგანის განზომილებაზე არ ჩანდა. დედამიწა ფერშეცვლილი, სხეულდაჟეკილივით, გაბუტული ეკიდა სივრცეში და ნაღვლიანად დუმდა რაღაც დაუდგენელის, გაურკვეველი, ჯერგაუგონარის, არქაული ფიქრთიქითა აზრით სიშორიდან ან მოახლოებული მძაფრი მოვლენების შეგრძნებით“. (ადამია, 2018, გვ. 71)

„რეზო ადამია ფერმწერია და სწორედ ფერწერა დომინანტობს რომანში. აი, თურმე რატომ ხატავდა ბატონი რეზო ამომავალ და ჩამავალ მზეებს. ეს მზეები შემზადება იყო მზემდე მისასვლელად.

ამ რომანის უმთავრესი პრობლემა არ გახლავთ ლოკალურად ერთი ქვეყნის პრობლემა: იგი მსოფლიოს პრობლემაა, თუმცა ნაწარმოები უაღრესად ეროვნულია აზროვნების სტილით და ენობრივ-მხატვრული აქსესუარებით“. (მიშველაძე, 2018, გვ. 7)

რეზო ადამიას მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელია ექსრესიულობა, საოცრად მაღალია რომანის ესთეტიკური პოტენციალი. მოვლენების დინების პარალელურად წარმოიქმნება ახალი დინება ემოციებისა და განცდებისა, მხატვრული პროზის რაღაც უჩვეულო სიმაღლე, პოეზიას რომ უახლოვდება, მთელ რომანში მკითხველის თვალწინ პოეტური ხატსახეები ანათებენ... მომაჯადოებელია რეზო ადამიას მეტაფორის, შედარების სიმბოლოს პრიზმაში გადამტყდარი სინამდვილე. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინამდებარე რომანში მხატვრული ხატი უფრო ლამაზსა და მიმზიდველს ხდის სიტყვით გამოხატულ ცნებას, მთელ რომანში აზრის სიღრმე ფორმის სისადავეს ერწყმის, შემოქმედმა უკანასკნელ წვეთამდე ჩაწურა ამ წიგნში მთელი მისი ასოციაციური აზროვნების პოტენციალი. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ბიბლიური ასოციაციების გარეშე ენობრივი ხატი ვერ იქნება ძლიერი ინფორმაციის წყარო. უნებურად, „ნოდარ დუმბაძე გაგვახსენდება: გვიანია!.. — თქვა მზემ და ცალი თვალი ჩაუქრა“.

„მზემ სუნთქვას მოუხშირა, ახლა იგი ძლივსღა ფეთქავდა, მხოლოდ ცალი თვალით გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას“.

„მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და მეორე თვალის ჩაუქრა“. — აქ მხატვრულადაა მოტანილი მზის სიკვდილი და ამ სიკვდილთან და ამ სიმბოლოს ისეთი სპეციფიკური დეტალი, როგორცაა სიმბოლიზირებული მზის თვალები!“

„მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო! მზე მიიცვალა ღია თვალებით! ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით!“ (გალაკტიონი).

რეზო ადამია მიგვანიშნებს რომ სიკვდილი მზისა, მისი ჩაქრობა ადამიანის სიკვდილის მომასწავლებელიცაა. ადამიანის უდიდესი სევდის გამოხატულება მზის გაუჩინარების გამო „ახალი აღთქმის“ კონტექსტში პოულობს ანალოგს. „და დაბნელდა მზე და გაიპო კრეტსაბმელი ტაძრის მის შორის“. (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1998, გვ. 23)

და ხმა-ჰყო ხმათა დიდითა იესო და ჰრქუა: მამამო! ხელთა შენთა შევავედრებ სულსა ჩემსა და ესრეთ ჰსთქუა, განუტევა სული“ და კიდევ: „ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და არც მზის ნათელი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნით უკუნისამდე!“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1998, გამოცხადება, 22, 5)

რეზო ადამიას რომანში, მთლიანად მის შემოქმედებაში მზეს, სინათლეს ძალიან დიდი იდეურ-ემოციური დატვირთვა აქვს. დიდია და უსამანო რეზო ადამიასეული ცნების, მკვდარი მზის ესთეტიკური ღირებულება. ასე მგონია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიემართებიან ის ასოციაციები, როცა მწერალი ამ საგნებისგან შექმნილი სიმბოლოში გვიხატავს ადამიანის სულიერ სიღამაზეს: „მეძნელებოდა სიშორე, მისი ბროლ-ბადახშ-მინისა, მე გამიახლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა, ჩუმად ჩნდა იგი სინათლე ეთერთ მზედ ნაჩინისა, აწ მიკვირს, მისი გამყრელი გული მიც კლდისა ტინისა“...

მზის უჩვეულო ესთეტიზაცია რეზო ადამიას რომანში მხატვრული, მეტაფორული აზროვნების სტრუქტურის თავისებურებით ჩვენში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ასოციაციას იწვევს. და მაინც, მის მიერ შექმნილ სურათი ორიგინალურია და ექსპრესიულობით გამორჩეული.

მზე შემოქმედის სულის ოაზისია, ყოველივე ძვირფასის ხატი და სიმბოლო. „ადამიანი პატარა სამყაროა, მიკრო ორგანიზმი“ გვარწმუნებს ბერდიავი, უფრო მეტიც ჭეშმარიტი შემოქმედება ყოველთვის გულისხმობს ტრანსცენდენტურისკენ ლტოლვას, ამქვეყნიური საზღვრების გარღვევას... რეზო ადამიამ ლიტერატურულ სივრცეში სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა. თვალს ვერ ვაშორებთ ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური ფიქრების უჩვეულო მდინარეებს, ვფიქრობთ, ეს რომანი მხატვრისა და მწერლის სულისა და გონის, კოსმიურ სივრცეში სრულყოფილების ჭეშმარიტი გარანტია. ერთობ ძნელია გაშიფრო ამ ქმნილების ზოგადი სახე, მისი კოსმიური დანიშნულება და მაინც, გვეჩვენება რომ მთლიანი კოსმიური სამყაროს სურათ-ხატია ეს წიგნი, მისტიკისა და რეალობის დაპირისპირებით ავტორი რომანის დრამატულობის საოცარ ეფექტს აღწევს. იგი მკითხველსაც უხმობს ამ ბრძოლაში, რომელშიც ადამიანის გმირული და შემართული სული, მისი რწმენა რეალურ, მითიურ სინამდვილეში, ჭეშმარიტებაში, სამართლიანობაში, ძმობაში, თანასწორობაში განსაკუთრებული სიცხადითა და დამაჯერებლობით ვლინდება.

ვკითხულობთ წიგნს და თვალწინ რიალებენ მითიური პასაჟები და მწერლის აზვირთებული ჰეროიკული სული მზის — სიცოცხლის მარადისობის სიმბოლოს არსში გვახედებს, შეუძლებელია იმის გააზრებაც კი, თუ რას წარმოადგენს მზე რეზო ადამიასთვის: ნაწარმოების თითოეული თავი გვარწმუნებს, რომ რეზო ადამიას შემოქმედებაში უფლის ხელი ურევია, დიახ, „ანუ ნაწარმოების სიღრმეში, სამყაროს უსასრულო სისტემა და მისი მძლავრი უზენაესობაა“. (რ. ადამია).

მწერალმა ჩვენამდე მოიტანა უხსოვარი დროის ჟრუანტელის მომგვრელი შემოქმედებითი უშუალობა და სულის პირველყოფილი ეგზოტიკაც.

ნ. ტაბიძე წერს: „რევაზის ესეები ფერწერული სურათების კარს მიღმა დუმის ფარდის ახდა და მათი გამონათებაა, ფერწერული ქანდაკების შედევრებში გამარადილებული სულის ამ სახით დასურათხატება. ვიტყვოდი იშვიათობაა. ავტორის უფაქიზესი გააზრების სფეროზე განსაკუთრებული თვალყური და გონებაა მისადევნებელი“. (ტაბიძე, 2011, გვ. 6)

რეზო ადამია კოსმიური სულის შემოქმედია, მას გალაკტიონივით ადამიანები მზის ბინადრებად მიაჩნია. მზე, მთვარე, კოსმიური სამყაროს ათასობით მანათობელი მისი სულის თანაზიარია. მისი რწმენით მზე სამყაროს იდუმალებისგან შექმნილი მცნებაა და ამიტომ განსაკუთრებულად მომავლის ათასწლეულებს უნდა გადავაბაროთ.

მზე რომანის გლობალურ კონტექსტში კაცობრიობის მეტაფიზიკური მსაჯულია, ხოლო მისგან მიტოვებული კაცობრიობა უკეთურობისა და ბოროტების მსაჯული მთლიანად მისტიკური ელემენტებისგან შედგება რეზო ადამიას მზის სიკვდილი. „სული ისეთი იდუმალი ძაფებითაა

დაკავშირებული კოსმოსთან, რომ ეს უკანასკნელი პირველ დიაგრამად შეიძლება ჩათვალოს. ადამიანი პატარა სამყაროა, მიკროკოსმოსი (ნ. ბერდიაევი).

რეზო ადამია ჭეშმარიტი ქრისტიანია, რომლის იდეაც გახსნილია ემოციებში, რომანის ფურცლებზე, სიუჟეტში, კომპოზიციაში, ადამიანთა ხასიათებში, სიმბოლოში, ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს სიცხადე რომ დაჰყოლია, ისინი ერთმანეთს აცისკროვნებენ ალმასის თვლებივით... და მაინც, ამ რომანის პერსონაჟები მეტად თავისუფალი და უჩვეულონი არიან. აქ არიან მღვდელმთავრები, პატიმრები, მებადრაგეები, პროკურორები, ხალხი და ერთი მეტად საინტერესო პერსონაჟი ხატმწერი ბერი, რომელსაც მზისა და ჯვრის ერთობლივი გამოხატვა გადაარჩენს. როინ მეტრეველი წერს: „ამ ბერს თავის მრევლში გამორჩეული ახალგაზრდა ჰყავდა. იგი ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილი, უხიავ ურწმუნოებისთვის შეუფერებელ სიზმრებს უჩიოდა და როცა მან თავი ვეღარ დააღწია, თავად გამოიტანა განაჩენი — ჩამომხვრჩალი ნახეს (აქაც იმძლავრა სატანამ) ეს ამბავი მზის დაგვიანების წინ ერთი დღით ადრე მოხდა. თავის თავს ადანაშაულებდა — როგორ ვერ ჩავწვდი ამ ფარულ ცოდვას — ეშმაკულ შემოსევებსო. (მეტრეველი, 2018) ნებისმიერი მხატვრული სახე, ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელზეც მოგვითხრობს მწერალი (მისტიკურ სამოსელში) თავისთავად შეიცავს უჩვეულო თემას და მის იდეურ შეფასებას და მაინც, რეზო ადამიას რომანში მზის სიმბოლოურ გააზრებას განსაკუთრებული ხვედრითი წონა აქვს. რომანში საინტერესოაა მოცემული მზის სიკვდილი, მზის გაუჩინარება, უმზეობით გამოწვეული ტრაგიზმი. აი, თუნდაც, „ახალდაქორწინებული წყვილი სარეგელს მოშორდებიან და ფანჯარას მიადგენენ. ვაჟი აფორიაქებულია, მეუღლეს აფრთხილებს: „ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად არ მომწონს ჩვენს ირგვლივ გამომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურივე — ანანო! ახლავე გულმკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი“. (ადამია, 2018) მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და მავალდებულებელი მწერლის აზრი ამის თაობაზე: „ქვეყნიერების მანათობელის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩაქსოვილი“. (ადამია, 2018, გვ. 42)

უმალლესი მხატვრობითაა მოტანილი მზის გაუჩინარება და მისი გავლენა ადამიანებზე: „დაფრთხნენ და დაიბნენ უნაზესი, უკვე მიბნედილი შუქ-ჩრდილები, მოიშალა მათი უზენაესისგან დაკანონებული მიმდევრობით მოძრაობა-მოქმედებები. საშინელმა უმოძრაობამ ქვეყნიური ელფერი დაუკარგა, სადაცაა, ღამესა და დღეს შორის განსხვავება უკიდურეს წაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა, ფერი და არსი წარმოუდგენელ გაუცხოებას მიუახლოვდა, გაურკვეველი სივრცის ვარსკვლავეთური დაუდგენელი თავბრუდამხვევი ასტრონომიული განზომილება ეუფლებოდა ურთულესი მოვლენით შეკუმშულ ბნელში ჩავარდნილ ქვეყანას“. (ადამია, 2018, გვ. 66) მიუხედავად იმისა, რომ მზე სამი დღით არ ათბობს დედამიწას, მწერალი მთელი ძალისხმევით გვაგრძნობინებს უწყვეტსა და მარადიულ კავშირს მოვლენებისას. „ყოვლად საკვირველი და გამოაგნებელი ვარსკვლავეთის უდიდესი შემოქმედებითი მოძრაობა, რომელიც უზომო სიკეთისა და სიყვარულის ფონზეა განფენილი, ხოლო ბოროტება ამ გარემოებაში როგორ ინარჩუნებს თავის თავხედურ ფუნქციას და ქმედებას, ეს კი საკითხავია. ეშმაკი ხომ ყველგან ლაჩრულად იპარება და ხშირად თავისას აღწევს. (ადამია, 2018, გვ. 27) მწერალმა მზის ფენომენის არსი ბიბლიურად გახსნა და მონუსხული ვრცებით ავტორის განწყობილებით, აქ სულის საოცარი დინამიკაა, მწერლის შინაგანი სამყაროს განწყობილება და სრული კოსმიურობა ცის თავანამდეა აზიდული.

არ შეიძლება არ დაეთანხმო შემოქმედს, როცა წერს „სიცოცხლის მარადიულობა-ჩაუქრობლობის მასულდგმულებელი მთავარი კვანძი თუ უხილავი ძაფთაგანი, ანუ მშვენიერებისა და სილამაზის ცისფერი მომავლის კაპილარი, მალული, იდუმალი და ზეციური მრავალ ელემენტარევი წმინდანური ინტიმით კოსმიური სილამაზე ძუძუებზე გადის და ამიტომაცაა ადამიანები განსაკუთრებით უფრთხილდებიან და მოკრძალება-მოწიწებით ექცევიან მზისებრ ირმის რმის ფერთმოფენილი უწყინარ და უნაზეს ნახევარსფეროს, რადგან ქალის სხეულში თავისი ფორმით და თვისებით ყოვლისმტკეველი მზეა გადმოსული, თითქოსდა ფარული შიში, რიდი, განწმენდილ-მოკრძალებული ლტოლვა და სულიერად ამაღლებული ხედვაა მისდამი. (ადამია, 2018, გვ. 42)

როგორც რომანიდან ვგებულობთ სამი საათი არ ჩანს მზე, ამ ხნის მანძილზე მწერალი ბორგავს, შფოთავს და გვაგრძნობინებს, რომ სხვაგვარი დაყურადებაა საჭირო მზის მიმართ. კითხულობ და ქვეტექსტებით, მინიშნებებით გრძნობთ თუ როგორ ანთია შემოქმედის სულში მარადისობის მზე. სიყვარული სილამაზე და მშვენიერება. რად ღირს მარტო ის ადგილი, როცა მწერალი ქალზე, დედაზე საუბრობს და აქცენტირებას აკეთებს ხატზე „ღმრთისმშობელი ყრმით“: „როგორი ბრწყინვალე სიღრმეებითი გაელფერებით, მოწიწებითა და სიწმინდითაა შესრულებული მშობელი დედის და მხსნელის ზეციურ რმით სავსე მცირე სამყაროს მონაკვეთი, რომელიც ფრთხილი და ზნეობრივად წმინდა ხატმწერლებისგანაა ქმნილი. ის ხომ განსხეულებული სიცოცხლის სულიწმიდად ამომავალი სავსე მზეა, იესო ქრისტე-მაცხოვრის გამზრდელ-მაცოცხლებელი მშობელი დედის კოსმოგენური წმინდანური

მთლიანობის სახე ღვთისმშობელშია გაცხადებული, ბუნებაში უფრო დიდი კეთილი ფორმა, ვარსკვლავეთური ზნეობრივ ინტიმით ფეთქვა და წმინდანური სიყვარულით ქვეყნიური გზავნა არ არსებობს. (ადამია, 2018, გვ. 47)

და მაინც საინტერესო დეტალი, რომელიც რომანში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მზის დაბრუნებაა დედამიწაზე. ამ დეტალს უდიდესი იდეურ-ემოციური დატვირთვა აქვს. თანდათან ვითარების განვითარების საერთო ფონზე მზის სიმბოლო ექსპრესიულობის უდიდეს მასშტაბებს იძენს: „ეკლესიების ზარების ხალისიანი გუგუნ-რეკვა და იმედით სავსე გაბმულ ხმათა ზეცისკენ შემახილები გაისმა და საყოველთაო დაღუპვისაგან გადარჩენილთა სრული ხსნა ეუწყა ქვეყანას. ფერი და ბგერა საამოდ გამოიკვეთა ზეცაზე. იხეიმეს აურაცხელმა ვარსკვლავებმა, მთვარემ, მზემ თავად დიდებულმა, და უჩვეულო ვარსკვლავეთური ბრწყინვალეობა იწყეს, მიუწვდომლად კიდევ რაღაც წარმოუდგენლობა ხარობდა შორეულში... (ადამია, 2018, გვ. 111)

რეზო ადამიასათვის მზე ყოველივე საუკეთესოს ხატი და სიმბოლოა. აკი გალაკტიონიც მზეს პოეტთა ღმერთად მიიჩნევდა: „ჩვენ პოეტები, მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლოვან აზარფემებით მზის სადღეგრძელოს...“ კითხულობ ნაწარმოებს და თითქოს უკვე იქ ხარ, ვარსკვლავეთში და აშკარად იკვეთება უმთავრესი უდიდეს საიდუმლოებათა სავსეობა სიცოცხლისა და სულის ფრესკიდან გადმოფარვატებულ მთავარ ანგელოზთა თუ სერაფიმთა გარინდული სახეები.

საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი რეზო ადამიას მეტაფორული სამყარო, მისი მხატვრული სახეები გვანცვიფრებს მოულოდნელობით (ვფიქრობ პოსტმოდერნისტული მოულოდნელობით) მთელი ტექსტი ღრმა ტროპული სახეობრობითაა რეალიზებული.

დუმილის ესთეტიკასთან, იდუმალებასთან თანაზიარობა მწერლის შინაგანი მოთხოვნილებაა. რეზო ადამიამ ფერწერასა და პროზაში სასწაული მოახდინა, მთელი კოსმიური სამყარო გაიშინაურა, სიკეთის, მშვენიერების, სილამაზის მარადიული ჰანგებით აახმიანა ჩვენი სული. ფერმწერისა და შემოქმედის მაღლიანი კალმის ქვეშ ყველაფერი ცოცხლობს, და გვეჩვენება „მესამე თვალით“ ხედავს კოსმიურ სამყაროს, თითქოს ხელისგულზე უსვენია მთელი პლანეტარიუმი და ფარდას ხდის რეალობას, კერძოდ, როგორ ექაჩება კაცობრიობას წყვდიადი და როგორ სპობს დედამიწას. თითქოს დროც წინ მიდის და სრულდება სამყაროს კანონი... და უნებურად ისევ გალაკტიონი გაგვახსენდება: „ეშვება ფარდა, დედამიწის ეშვება ბინდი, რომლითაც უკურნებლად წუხდა რემბრანდტი, ლანდი რომლითაც ბოტიჩელი იჩრდილებოდა და ფერადები დაღალულნი პოეტის შელლის“. (ტაბიძე, 1977, გვ. 75)

მისტიკის ელემენტებითაა გაჯერებული რეზო ადამიას „მზის სიკვდილი“. მწერლის რწმენით სამყარო, დედამიწა, პლანეტების ბუნების მრავალგვარი ფენომენები დაკავშირებულნი არიან ადამიანის სულთან, მის ბედთან, სული კი იდუმალი ძაფებით კოსმოსთანაა დაკავშირებული. რეზო ადამია სიკეთით, თავისი ხმით, თავისი ხატებითა და ზმანებით, მზის დედამიწაზე დაბრუნებით ამარცხებს ბოროტებას და სწორუპოვარი გრძნობებით გვიხატავს მზით გაცისკროვნებულ სამყაროს, უფრო მეტიც მთელი კოსმოსი ქალის გულმკერზე დააშენა... და შექმნა წიგნი სასწაული, თავად შემოქმედი სამყაროს უსასრულობის საყრდენ წერტილს რომ პოულობს საკუთარ თავში, უცნაური და უჩვეულო წიგნის დაბადება სრულიად ახალ მხატვრულ ფურცელს გადაშლის თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში.

P.S. რეზო ადამიას რწმენით ადამიანს სულიერად აკეთილშობილებს და ალამაზებს უფლისადმი კრძალვა და სიყვარული. მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია სამყაროს სიკეთე მოუტანოს, რამეთუ მზე ღვთის ქმნილებაა. მაგრამ სამყაროს იდუმალებისაგან შექმნილი მოვლენა შეუსწავლელი მცნებაა და ამიტომ „განსაჭვრეტად მომავლის ათწლეულებს უნდა გადავაბაროთ“.

სიყვარულის, სულიერების, სიცოცხლის მარადიულობის რწმენამ რეზო ადამიას შემოქმედებით სამყაროში პოვა უმაღლესი მხატვრულ-ესთეტიკური და ზნეობრივ-ადამიანური ღირებულებები.

მეთოდოლოგია. პრობლემის კვლევას საფუძვლად უდევს მეცნიერული მიღწევები ლიტერატურისმცოდნეობის, ფილოსოფიისა და ესთეტიკის დარგში, სადაც ხაზგასმულია ლიტერატურისა, ფილოსოფიისა და ესთეტიკის უდიდესი საზოგადოებრივი ღირებულება ადამიანის სულიერი ფორმირების, მისი ზნეობრივი აღზრდის საქმეში, განუზომელი მნიშვნელობა ეროვნული კულტურის დარგში. რომანში უმთავრესად კოსმიურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულებაა წარმოსახული მზესთან მიმართებაში. ნაწარმოების სიდიადეც ადამიანისა და კოსმიური სამყაროს ჰარმონიაა.

შედეგები. როგორც კვლევამ გვაჩვენა ზნეობრივად ამაღლებული შემოქმედი ვერ ეგუება პლანეტაზე ქაოსურ ყოფას და შექმნა მსოფლიო ორკესტრის უჩვეულო პარტიტურა მისი შემოქმედების უჩვეულო და უმშვენიერესი გობელენი რომანი „მზე, რომლის სიმბოლოს გააზრებას განსაკუთრებული ხვედრითი წონა აქვს. რეზო ადამიასეული მზის პარადიგმა ასე შეიძლება გავიაზროთ: მხოლოდ

უფლისადმი რწმენას შეუძლია სამყაროს მოუტანოს სიკეთე, რამეთუ მისი რწმენით მზე ღვთის ქმნილებაა. მაგრამ სამყაროს იდუმალებისაგან შექმნილი მოვლენა შეუსწავლელი მცნებაა და ამიტომ ის განსაკუთრებულად მომავლის ათწლეულებს უნდა გადავაბაროთ“...

კვლევის გზით მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკაში არა მარტო სალექციო კურსის მომზადებისას ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ფილოსოფია, რელიგიის ისტორია და ესთეტიკა, არამედ სემინარული მეცადინეობების დროსაც და სადიპლომო ნაშრომების დაწერისას.

ბიბლიოგრაფია:

ადამია, რ. (2018). *მზე*. თბილისი: უნივერსალი.

ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1998). ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი: სტოკჰოლმი.

მეტრეველი, რ. (2018). *მზე დადაა ჩემი*. წიგნში: რ. ადამია, *მზე*. თბილისი: უნივერსალი.

მიშველაძე, რ. (2018). დიდი გაფრთხილება. წიგნში: რ. ადამია, *მზე*. თბილისი: უნივერსალი.

ტაბიძე, გ. (1977). *რჩეული ლირიკა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ტაბიძე, ნ. (2011). არა მხოლოდ ფუნჯითა. წიგნში: რ. ადამია, *შედეგები და მარადიულობა*. თბილისი: ინტელექტი.

შტაინერი, რ. (1993). *როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?* თბილისი.

Tsiala Meskhia
Sokhuml State University
THE SUN, THE SPACE, THE HUMAN BEING
RESUME

The first decades of the 21th century is productive for Georgian prose. The authots give special moral interpretations if contemporary.

One of the most important representatives of Geogrian Huinters revaz Adamia (a well knewrpainter as well as a social activist) has created too interesting novel “The Sun”.

The Sun is late and everything changes. People, the human beings begin to think to feel mystery of Life, of the Lord God, of Universe, Eternity and heaven.

In the book reader mecsts reminiscences of the Reritage of rgeat thinkers of the ancient world, Biblical profels, prilosophers and mystical exomplos.

The auther heas his own individual and unrepeatable literary world reflected in the novel “The Sun”.

Keywords: Cosmos. Human. The Sun. Rezo Adamia.

ფრონეს ხეობის სოფლების ანთროპონიმები XVIII საუკუნის ქართული და თურქული აღწერების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: ფრონეს ხეობა, აღწერა, ანთროპონიმები, გვარსახელები.

შესავალი

ფრონეს ხეობა მდებარეობს ქართლისა და იმერეთის საზღვარზე. კავკასიონის წინამთებიდან მხარეში რამდენიმე მდინარე ჩემოედინება, რომლებიც მტკვრის მარცხენა შენაკადებია. ამ მდინარეთა სახელებია დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი, შენაკადებიც ასეთივე სახელით არის ცნობილი, მაგ. ნულის წყალი, წორბისის წყალი, წუნარის წყალი, ვახტანის წყალი. ვახუშტი ბაგრატიონი ხეობის აღწერისას ჰიდრონიმებს წყალს უწოდებს, ხოლო ბოლოს აღნიშნავს: „ლიახვის მდინარეთა აქათ, ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე ხევნი აღვსწერენი უწოდებენ თვინიერ შოლისა ფრონეთა“.

(ბაგრატიონი, 1997, გვ. 83)

მხარის ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“ და თურქული წყარო „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი I, ოსმალური ტექსტით, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარება გამწვავდა ჯერ ირანის, ხოლო შემდგომ თურქული აგრესიის შედეგად, რაც ქართლის დაპყრობით დამთავრდა. ამ დროისათვის ოსმალთა მოხელეებმა აღწერეს მთელი ქართლი და დაბეგრეს სხვადასხვა გადასახადებით.

ზემოთ ხსენებული ხეობის სოფლების ისტორიის, ენობრივი მონაცემების ონომასტიკის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორივე აღწერის მონაცემებს. „1715 წლის აღწერაში“ ხეობის მცხოვრებთა იდენტიფიკაცია მოცემულია გვართა და სახელით, ხოლო თურქულ აღწერაში სახელითა და მამის სახელით, ასევე ვინ ვისი შვილი, ძმა ან თავადი თუ აზნაურია.

ცნობილია, რომ საკუთარ სახელად არა მხოლოდ ინდივიდუალური სახელი, არამედ მამის სახელი და გვარსახელი ითვლება. სახელების სისტემა განპირობებულია ენობრივი თავისებურებებით, ხალხის მიერ განვლილი ისტორიულ-პოლიტიკური გზით, რელიგიით, წინაპართა ხსოვნით, გეოგრაფიული არეალით და სხვ.

გვარსახელებს, ადგილის სახელებს სწავლობს ონომასტიკა, რომელიც ითავსებს ისტორიას, ენას, დიალექტს, ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მაგრამ საკუთარი სახელი უპირველესად არის სიტყვა, რომელიც ენის დარგისაა, ლინგვისტიკის შესწავლის საგანია. ონომასტიკა დღეს დამოუკიდებელ დარგად არის წარმოდგენილი, სადაც სხვა დისციპლინებიც გამოიყოფა.

სიტყვის მნიშვნელობა ისტორიულად შეიძლება შეიცვალოს, ამოსავალია ის გარემოება, რომ რასაც აღნიშნავს, მას მნიშვნელობა აქვს, ის სინამდვილის ობიექტური ფაქტია.

მეთოდი: გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, ანალიზი.

ძირითადი ნაწილი

„1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“ ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ძეგლია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის. ამ დროს გახშირებული იყო ლეკთა და სხვა მთიელთა თარეში, მოსახლეობა მთელ ქართლში და მათ შორის ფრონეს ხეობაში ნადგურდებოდა, იყიდებოდა, ადგილი ჰქონდა მიგრაციასა და სხვ.

„აღწერაში“ ფიქსირებულია ხეობის თითქმის ყველა სოფელი, მოცემულია მოსახლეობის სახელები და გვარები, ვის რამდენი გადასახადი უნდა გაეღო. მაგალითად დვანის ფრონეს სოფელ თორმანულში აღნიშნულია: „ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას იღებენ. ამათი სახუცო აბაზი ცამეტი: აქს:“

სოფელ ერკნეთში „ბოგანო ნახევარ კოდსა“ და სხვა მთელს კოდს დრამას იღებენ: ამათი სახუცო აბაზი ექვსი:“

მდავში, დღევანდელი მალდა: ბოგანო ნახევარ კოდსა, ამათი სახუცო აბაზი ექვსი“. (თაყაიშვილი, 1907, გვ. 143-144)

დავთარში აღნუსხული მოსახლეობა ძირითადად მოსულია საჩხერის, ხარაგაულის, რაჭის სოფლებიდან, რაც გამოვლენილია –ელ სუფიქსიან გვარებში: მრაჭველი, რაჭველი, იმერელი, კოხაჯელი, მჭელი...

ამჯერად განვიხილავთ დვანის ფრონეს ხეობის სოფლების ყორნისის, თორმანეულისა და არკნეთის ონომასტიკურ მასალებს ქართული და თურქული აღწერების მიხედვით, რომლებიც საინტერესო წყაროებია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისა და ოციანი წლების საქართველოს, კერძოდ ქართლის მთელი რიგი საკითხების წარმოჩენისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე, რომელიც სწავლულმა 1745 წელს შეადგინა, დვანის ფრონეს ხეობაში მარცხენა შენაკად მტლიანაზე ყორნისში არის შესაბამისი ნიშნები სიმაგრეებისა, ასევე აზნაურის ცხოვრების ნიშნით. დღეს დასტურდება რვა ერთეული ციხე-კოშკები, რომელთა ნაწილი იშლება.

დღევანდელი სოფელი თორმანეული 1715 წლის აღწერაში არის თორმანაული, ხოლო თურქულ აღწერაში თურმანაული. ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ ქართული ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესაძლებლობები, სხვადასხვაობაა თურქულთან შედარებით, რომელიც ძირითადად სარგებლობდა არაბული გრაფიკით, რომელიც თვით თურქულისათვის არ იყო შესაფერისი, ქართულისათვის საერთოდ გამოუსადეგარი იყო. ეს მოვლენა ყველგან გვხვდება, მათ შორის თურქულ აღწერაში, საკუთარი სახელების დაწერილობისას.

„1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში“ გვხვდება ორი ტოპონიმი, რომლებიც ბგერობრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან, ესენია ერკნეთი და არკნეთი. ერკნეთი ზემოხსენებული აღწერით დიდი სოფელი ყოფილა, რომლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „წუნარის ხევს ზეით არს ეკლესია, დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“. (ბაგრატიონი, 1997, გვ. 141)

თურქულ აღწერაში სოფლის სახელია „ერკნეთი“, რომელიც მდებარეობდა და ახლაც არის დვანის ფრონეს მარცხენა მხარეს, ტყის პირში, შემალღებულ ადგილზე, სადაც არის ნასახლარები და ბერძნული ეკლესიის ნანგრევები, სადაც ბერები ცხოვრობდნენ.

სოფელი არკნითი მდებარეობდა (ავნევთან) დვანის ფრონეს მარცხენა შენაკად მტილიანას წყალზე, სადაც ცხოვრობდნენ იარღანაშვილები, სხირტლაძეები, კობახიძეები, რომლებიც სხვადასხვა სოფლებში გადასახლდნენ და ის ადგილი დღეს ნასოფლარია, დარჩენილია ეკლესიის ტუფის კვადრები ბრწყინვალე ორნამენტებით, ზოგი შეტანილია იქ მცხოვრებთა ეზოებში, იყენებენ შეძლებისამებრ ან სამშენებლოდ.

ქართული სინამდვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი I, რომელიც გამოსცა კავკასიის და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრმა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ამ აღწერის მიხედვით ხდებოდა ზოგადად მთელ ქართლში სხვადასხვა გადასახადების გაწერა, სულ არსებობდა 16-17 სახის გადასახადი, ესენია: ისფენჯი – 25 ახჩის ოდენობით, გადასახადი წისქვილზე, ვენახზე, ღორზე, ასევე იყო ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ცხვარზე, მიწის მფლობელობაზე.

ზემოხსენებული გადასახადი შეწერილი ჰქონდათ თორმანეულს, ყორნისსა და მცირე ნაწილი იყო განკუთვნილი შედარებით პატარა სოფელ ერკნეთისათვის.

რაც შეეხება საკუთარი სახელების (ანთროპონიმების) სისტემას, განსხვავებით ქართულისაგან საბეგრო დავთრებში ქალები არ შეჰყავდათ და მხოლოდ ოჯახის უფროსების სახელებს აფიქსირებდნენ. ისტორიულად ასე იყო და ამ მეთოდით აღწერდნენ.

ჩვენში საკუთარ სახელად მიჩნეულია როგორც პირადი სახელი, ისე მამის სახელი, გვარსახელი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. II) აღნიშნულია, რომ „სახელი, სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე ან რასმე, რასაც უწოდებენ სახელწოდებას, რასაც ცალკეულ პიროვნებას, ინდივიდს უწოდებენ“. (ჩიქობავა, 1951, გვ. 1431)

გვარის შესახებ: „გვარი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. ბიოლოგიური სისტემური ერთეული, რომელიც აერთიანებს წარმოშობით ახლო მდგომ ორგანიზმთა სახეობებს. არის გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც გადმოსცემს ზმნაში აღნიშნული მოქმედების ამოსავალ სუბიექტსა და ობიექტს...“ (ჩიქობავა, 1951, გვ. 1431)

როგორც ჩანს, სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებულ სახელთა სისტემა ჩამოყალიბდა, რაც განპირობებულია განვითარების სხვადასხვაობით. აქ ბუნებრივია იგულისხმება ენა, დიალექტი, გეოგრაფია და სხვ. სახელების შესწავლას კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

როგორც ვხედავთ ორივე აღწერაში მნიშვნელოვანია ონომასტიკური მასალა, კერძოდ ანთროპონიმები, რომელიც ლექსიკის ძველ ფონდს განეკუთვნება. ამ მხარის ძველი წერილობითი ძეგლები, ხელნაწერები, საისტორიო დოკუმენტები საინტერესო მასალებს გვთავაზობს სახელებისა და გვარების შესახებ. აქ ვხვდებით როგორც ქრისტიანულ, ისე არაქრისტიანულს. ბევრი საკუთარი სახელი, რომლებიც ამ მასალებში მოხსენებული, შემდგომ საფუძვლად დასდებია გვარებად წარმოქმნას და

შემორჩენილია: ნასყიდადან – ნასყიდაშვილი, ბერიდან – ბერიძე, ზაქარადან – ზაქარაშვილი, ლექვინადან – ლექვინაძე, თანდილადას – თანდილაშვილი, გიორგიდან – გიორგაძე და სხვ.

ხეობის ონომასტიკურ მასალებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი სახელებისა, ესენია ძირეული, წარმოქმნილი და თხზული. ძირეული სახელები ძირითადად ბოლოვდება ხმოვანზე. „რუისის დავთარი, 1715 წელი“:

სოფ. თორმანული:

- ა: მახარ-ა, სუხ-ა, თამაზ-ა, პაპუნ-ა...
- ე: პეტრ-ე, ლაზარ-ე, იორდან-ე, ივან-ე, პავლ-ე...
- ი: გიორგ-ი, იორგ-ი, ბერ-ი, ქიტ-ი...
- ო: ში-ო, ხოსრ-ო, გვრიტ-ო...

სოფ. ერკნეთი:

- ა: პაპ-ა, მახარ-ა, ძული-ა, შიომ-ა...
- ე: დემეტრ-ე, ივან-ე, თედორ-ე...
- ი: ბერ-ი, გოდერძ-ი, დიმიტრ-ი...

ორივე სოფელში არცერთი საკუთარი სახელი არ არის –უ ხმოვანზე დაბოლოებული.

„1715 წლის აღწერაში“ სოფელ ყორნისის გვარსახელები არ არის დაფიქსირებული, სოფლის სახელები გვხვდება თურქულ აღწერაში, რაც ავსებს ხარვეზებს, რომელიც ამ ეპოქაშია წარმოქმნილი.

საკუთარი სახელები, სოფ. ყორნისი:

- ა: ხოსიტ-ა, ანდრი-ა, ბერიკ-ა, ნადირ-ა, ბერდინ-ა...
- ე: პავლ-ე, თედორ-ე, ივან-ე, ესტატ-ე...
- ი: ნაზარ-ი, ბერ-ი, გიორგ-ი, აივალ-ი...
- ო: ქაიხოსრ-ო, შილ-ო...

როგორც ზემოხსენებულ სოფლებში, ისე ხეობაში საკუთარი სახელები თურქული აღწერის მიხედვით წარმოდგენილია „ბერი“ ფორმით. როგორც ცნობილი მკვლევარი ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს: ბერი სახელი ვარიანტებით ბერა, ბერო, ბერუა, ბერიკა, ასევე გვარები: ბერიძე, ბერაძე, ბეროძე, ბერიშვილი, ბეროშვილი, ბერუაშვილი, გააზრებულია როგორც „მოხუცი“, მაგრამ სხვა წარმოშობისა არის, კოლხურად ბერე, ბერი ნიშნავს შვილს, ვაჟს. (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 397)

აღნიშნული დებულების გასამაგრებლად სრულიად საკმარისია ის მოვლენა, როდესაც დასავლეთ საქართველოდან მთელი რიგი გვარები, ჩამოსახლდნენ ხეობაში და ბუნებრივია ასეთი სახელები თან მოიყოლეს. მიგრაცია მხარეში ასევე ბევრჯერ განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდანაც, სადაც სახელის რქმევის ეს ფორმები იყო გავრცელებული.

„რუისის დავთარში 1715 წელს“ სოფელ თორმანულში ძირითადად გვხვდება ხმოვანფუძიანი სახელები:

მახარა	ივანე
სუხანა	პაპუნა
თამაზა	პეტრე
გელია	ლაზარე
დათუა	პაატა
თანდილა	სეხნია
შიო	დათუნა

სოფელ ერკნეთში ხმოვანფუძიანები:

პაპა	ივანე
გელია	პაპუნა
შიო	შემაზა
ივანე	თამაზა
დემეტრე	
გიორგი	

თურქულ აღწერაში სოფელ ყორნისში საკუთარი სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

ჯამასკ	ზურაბ
აღაბეგ	ბეჟან
ლუარსაბ	სიმუნ
ავთანდილ	შემაზან
რაჯდან	დავით
იოსებ	
თეიმურაზ	

ხმოვანფუძიანები:

პავლე	ბასია
ადუა	ხოსიტა
მამუკა	თამაზა
გაბუნა	ბათა
ისაკა	საქუნა
ბერუკა	

ერკნეთში ხმოვანფუძიანები:

პაპა	ღაკრა
გელია	თამაზა
შიო	ხოსიტა
ლაზარა	გელისა
ივანე	

სოფელ თორმანელში ხმოვანფუძიანი სახელები:

შიო	ნადირა
ივანე	ბორა
ბაბუნა	ლაზარა
ნაზარა	გიორგი
მახარა	აბო
სეხნია	ლაზარა
ქიტესა	ლაზარე
თამაზა	თანდილა

აღსანიშნავია, რომ „1715 წლის რუისის აღწერაში“ სოფ. თორმანელში მოხსენებული საკუთარი სახელები: მახარა, ივანე, თანდილა, ლაზარე, შიო, სეხნია დაფიქსირებულია 1728 წლის თურქულ აღწერაშიც.

თურქული აღწერის მიხედვით მამის სახელები ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

სოფელი ყორნისი:

თეიმურაზ ძე იასესი
გიორგი ძე ბერუკასი
ოთარ ძე ლაზარესი
ბერდინა ძე ფილიპესი
პავლე ძე ოთარასი

სოფ. თორმანელი:

ბაბუნა ძე დათუნასი
ნადირა ძე ნასყიდასი
შიო ძე ზაქარასი
ლაზარა ძე ბათასი
ელიზბარ ძე ნადუალასი

სოფ. ერკნეთი:

ბასილა ძე თამაზასი
ბერი ძე ხოხობასი
ბერი ძე ზამუკასი
ბიძინა ძე გოდერმასი...

-ისი სუფიქსი, პროფ. შ. მიძიგურის გამოკვლევით, არის ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოება და აღნიშნავს, რომ მას სასიყვარულო, მოფერებითი მნიშვნელობა აქვს. (მიძიგური, 1946, გვ. 62)

მამის სახელებში ასევე გვხვდება სავრცობი ა:

სოფ. ყორნისი:

ალაბეგ ძე ზაალისა
თაყა ძე ზაალისა
ზურაბ ძე ბეჟანისა
ბერი ძე გიორგისა
მამუკა ძე გიორგისა
ნალდი ძე იოსებისა

ხოსია ძე აბრამისა

ქიტესა ძე გიორგისა და სხვ.

ძველ ქართულში ა-ს ხმარებას სისტემური ხასიათი ჰქონდა, დაერთოდა საზოგადო სახელების მიცემით, ნათესაობითსა და უთანდებულო მოქმედებით ფორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელი იყო: 1. კომპოზიტის ნაწილი, 2. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, 3. ზმნიზებად გამოყენებული. ეს წესი ძველ ქართულში მტკიცედ იყო დაცული. (ძოწენიძე, 1956, გვ. 219-220)

თურქულ აღწერაში ზემოხსენებული სოფლების საკუთარი სახელები იწარმოება აფიქსებით: მაბუნა, ბაბუნა, ბაბილინა, საქუნა, დათუნა, ბიძინა, გოგინა, მამულა, თანდილა, მახარა, თამაზა, ზალინა, ზაღლუკა, ჯათუნა, ბექუნა, საბინა, ზაჯუნა და სხვ.

დასკვნა

როგორც ქართული, ისე თურქული აღწერები არის ძვირფასი ძეგლები, რომელთა მიხედვით ჩვენი ისტორიის, ენობრივი საკითხების ბევრი საკითხის გარკვევა შეიძლება. ეს კი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ჩვენი ენის ისტორიის გამდიდრებისათვის.

ბიბლიოგრაფია:

ზაგრატიონი, ვ. (1997). *საქართველოს გეოგრაფია*. თბილისი: მეცნიერება.

თაყაიშვილი, ე. (1907). *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი* (წ. 1). ტფილისი.

მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მახარაძე, მ. (რედ.). (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი*. (ს. ჯიქია, & ნ. შენგელია, შემდგენლები). (წ. 1). თბილისი.

ჩიქობავა, ა. (მთ. რედ.). (1951). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (ტ. II). თბილისი.

ძიძიგური, შ. (1946). ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 1.

ძოწენიძე, ქ. (1956). ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*, 1.

ჭუმბურიძე, ზ. (1987). *დედაენა ქართული*. თბილისი: ნაკადული.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

ANTHROPONYMS OF GORGE PRONE VILLAGES ACCORDING TO GEORGIAN AND TURKISH XVIII CENTURY DESCRIPTIONS RESUME

The most interesting historical monument about Gorge Prone is „the book of the episcopal of Ruisi, 1715“ and the Turkish source „The great book of Tbilisi Vilayet, 1728“. This book was prepared for publish by an academician Sergi Jikia and a professor Nodar Shengelia. In the Georgian description the population of Gorge Prone is given by surname and name, in the Turkish description it's given by name and father's name.

The present village of Tormanauli is described as „Tormanauli“, in the Georgian description. In this description „Ergneti“, are close by sound and they are different villages.

Both of this descriptions give us important onomastic materials. Generations of many surnames were based on their own names. For example: Naskida – Naskidashvili, Beri – Beridze, Zakara – Zakarashvili, Tandila – Tandilashvili, Giorgi – Giorgadze and etc.

Both of this descriptions are precious monuments and number of historical and linguistic issues can be identified thought them.

Keywords: Prone Gorge, Description, Anthroponyms, Surnames.

ელენე ქართველიშვილის მხატვრული (პროზაული) და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნააზრევები

საკვანძო სიტყვები: დარიანი, პროზა, ცისფერყანწელები, ლიახვის ხეობა, ერედვი, გლეხკაცობა.

ელენე ქართველიშვილის (ბაქრაძე-ბერიშვილი, ფსევდონიმი-დარიანი, 1897-1979)¹ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც მის მდიდარ არქივშია დაცული, მაღალმხატვრული პოეტური ქმნილებების - სადავოდ მიჩნეული ე.წ. დარიანული და სხვა ლექსების გვერდით საგულისხმო ადგილი უკავია პროზას. მისი ვრცელი, დღიურის ტიპის მემუარები, მინიატურები, ნოველები და მოთხრობები, კრიტიკულ-პუბლიცისტური ნააზრევი, სხვადასხვა საინტერესო ჩანაწერები თუ პირადი წერილები,² ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს უცნაური და ტრაგიკული ბედის „ცისფერყანწელი“ პოეტესა თვითმყოფადი ნიჭის პროზაიკოსიც იყო, შესანიშნავად ერკვეოდა მიმდინარე ქართულ და რუსულ-ევროპულ ლიტერატურულ პროცესებში. იგი თარგმნიდა კიდეც. როგორც რუსული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე (პოეტი თითქმის 30 წლის განმავლობაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში), იკვლევდა ცნობილი რუსი მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ელენე ქართველიშვილი თავისი ბიოგრაფიით მჭიდროდ იყო დაკავშირებული პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვთან - დედუღეთთან (დედით იგი ფავლენიშვილი იყო, მამა კი - თევდორე ბაქრაძე, რაჭველი აზნაური გახლდათ). ამიტომ, აქ გატარებულ ბავშვობის წლებს, ერედვსა და მის მიმდებარე სოფლებში ნანახ-განცდილს, საგანგებო ადგილი მიუჩინა მოგონებებში. ავტორი მეტყველი შტრიხებით აცოცხლებს პაპის - თავად ილიკო ფავლენიშვილისა და ბებუის (თამარ ხიმშიაშვილი), მშობლების ცხოვრების ეპიზოდებს. ყმაწვილი ქალის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა სოფლური ყოფის სურათები, ლიახვის ხეობის განუყოფელი ბუნება, ისტორიული სიძველეები. მემუარისტი დიდი სიყვარულით აღწერს რელიგიურ დღესასწაულებს - ერედვისა და გერის გიორგობას, მცხეთისჯვრობას, არბოს გერისთობას (იგივე გიორგობას): „სამი კვირის განმავლობაში, აღნიშნავს იგი, შარაზე უწყვეტ ნაკადად მდინარებდა ჩარდახიანი ურმები სალოცავისთვის შეთქმული ცხვრებითა თუ მოზვრებით...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 9) ელენე ბაქრაძე განსაკუთრებულ სითბოს ავლენს აქაური გლეხკაცობის მიმართ. მას სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა გაჭირვებულ, მაგრამ კეთილშობილ გლეხთა სახეები. პოეტი ნეტარებით იხსენებს ძიძა სიდონიას და მის მონაყოლ ზღაპრებს, ხაზგასმით გამოკვეთს, რომ მისთვის „მამაკაცის იდეალური გარეგნობა დღემდე დაკავშირებულია ქართლელი, სახელდობრ, ერედველი გლეხის გარეგნობასთან. დარბაისელი, მაღალი, კუნთოვანი, ძლიერი გლეხკაცობა“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 99) ელენეს ასეთებად წარმოდგენია მეურმე ნიკა ხუბულური, საშა და გოლა ჟუჟუნაშვილები. ასეთი ვაჟკაცები მას ბუნებიდან ამოზრდილად ესახებოდა, რომელთაც „ქართული მიწის გემრიელი სუნი უდით...“ (2008 წლის აგვისტოს ომამდე ერედვში ამ გვარების არაერთი ოჯახი ცხოვრობდა. ეს ჩანაწერი იმითაცაა საინტერესო, რომ მეორე გვარი თავდაპირველი სახითაა წარმოდგენილი. შემდგომში გვარის ძირის ფონეტიკურმა ცვლილებამ ჟუჟუნაშვილი ჟუჟუნიაშვილად გადააქცია და დღეს იგი ამ ფორმით არსებობს). „ცისფერყანწელმა“ მეკალმემ არა მხოლოდ მემუარებით უკვდავყო მათი ხსოვნა. მათგან თავის თხზულებებში დაუვიწყარი მხატვრული სახეები გამოძერწა (ნაწარმოებებს ქვემოთ განვიხილავთ).

პოეტი ქალის მოგონებები თავისი მრავალმხრივი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანია. რთულმა და ტკივილიანმა აწმყომ (ელენეს პაოლოსაგან „ბოდებული“ დარიანობა ჩამოართვეს. ცოცხალი ადამიანი არარსებულ, გამოგონილ პოეტად ჩათვალეს. ამ იდეას სათავე პაოლო იაშვილის ლექსების შემდგენელ - გამომცემელმა (მისი რეაბილიტაციის შემდეგ), შალვა დემეტრაძემ დაუდო, რომელიც აცხადებდა, რომ ელენე დარიანი ფსევდოპოეტი, პაოლო იაშვილის პოეტური გარდასახვის ნაყოფი იყო). (იაშვილი, 1975,

¹ ელენეს საკუთარი გვარია ბაქრაძე. ქართველიშვილის გვარი 1937 წელს რეპრესირებული მეუღლის, ცნობილი იურისტის, შალვა ქართველიშვილის ხსოვნის საპატივსაცემოდ მიიღო. ასევე ატარებდა უდროოდ გარდაცვლილი პირველი მეუღლის - გოგი ბერიშვილის გვარსაც. დარიანი ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მიხედვით პაოლომ შეარქვა, რომელიც მის ფსევდონიმად იქცა.

² საარქივო მასალების ნაწილი დარიანული ლექს-დღიურების ხელნაწერ ვარიანტებთან ერთად მეცნიერული ანალიზით პირველად გამოაქვეყნა გ. ჯავახიშვილმა.

გვ. 29) მას ვერ წაართვა ადამიანური ღირსება. მან გულახდილად გადმოგვცა საკუთარი ცხოვრების, ქართველ თუ არაქართველ მწერალ-მოდგაწეებთან, მათ შორის, პაოლოსთან პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობის ეპიზოდები. ელენე ბაქრაძე ბევრ ბუნდოვან საკითხს ჰფენს ნათელს. მემუარისტი საინტერესოდ მსჯელობს ქვეყნის იმჟამინდელ ლიტერატურულ-კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებაზე, მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. მოგონებები მხატვრულ-დოკუმენტური, დანაწევრებული ნოველისტური სტილითაა დალაგებული. მაგალითისთვის გამოდგება მისი დასაწყისი მონაკვეთი, რომელსაც სათაურად შეიძლება „გატეხილი სურა“ ვუწოდოთ. უკვე ასაკს მიღწეული ქალბატონი, ყმაწვილქალობაში სიმბოლიზმითა და პაოლოს სიყვარულით შთაგონებული, დარიანული ციკლის ლექსების შემქმნელად, ქართულ პოეზიაში „ქალური ლირიკის დამწყებად“ (კ. გამსახურდია) მიჩნეული, თავის ცხოვრებას ფრანგი მხატვრის - გრეზის¹ ტილოს - „გატეხილ სურას“ ადარებს: „ჩემს წინ გრიოზის „გატეხილი სურა“ ჰკიდია. ამ წუთში მე დამებადა სურვილი გადავხედო ჩემს ცხოვრებას... „ცისფერყანწელების“ და ვიყავი და ელენე დარიანის სახელი დავტოვე იქ... რას წარმოადგენდა ელენე დარიანი და რატომ უნდა დამყოლოდა სახელი პოეტი ქალისა, რომელიც წერდა ეროტიულ ლექსებს?...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 98)

როგორც ვხედავთ, სამოცს გადაცილებული ელენე ქართველიშვილი განსხვავებული, გონებისმიერი თვალთ უყურებს 18-19 წლის სიყვარულით გაცისკროვნებული ელენე დარიანის ეროტიულ პოეზიას, რომელსაც „ხანდახან შიზოფრენულ გამოვლინებადაც“ ნათლავს. მას გულწრფელად უკვირს და კითხულობს - რამ უბიძგა ასეთი ლექსების შექმნისკენ, „რატომ დაჰყვა მათ ავტორს სახელი პოეტი ქალისა?“ პასუხს იგი მაშინდელ ეპოქალურ მოვლენებში ეძიებს, როდესაც „სულს დაფავდა ძველი საუკუნე თავისი სოციალური შინაარსით და იზადებოდა ახალი... მონაბერ სიოს მოჰქონდა შორეული სანახის მოჩვენებანი... წარმოსახვანი... დასავლეთიდან მაგრად ჩაგვეჭიდა იბსენი, ბოდლერი... ოსკარ უაილდი... ეს ყველაფერი იყო განცდა, მე ვიტყვოდი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა.“ ავტორის თქმით, სიმბოლიზმი ყველაფერში ახლის ძიებისკენ უბიძგებდა შემოქმედთ. „ძველს უარგყოფდით, ჩვენთვის იგი ნიშნავდა მემჩანობას, დოგმატურობას, რომელსაც უნდა შევებრძოლებოდით ახალი თაობა... ელენეს აზრით, ეს იყო რევოლუციური მოძრაობა ლიტერატურაში (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 20-24)

საკითხს უფრო ცხადს ხდის ირაკლი აბაშიძისადმი მიწერილი ბარათი. „ცისფერყანწელთა“ და დასძენს, რომ მისი პოეტად ჩამოყალიბების საფუძვლად ახალი ევროპული ლიტერატურული სიხალეები იქცა. წერილიდან ირკვევა, როგორ ებრძოდა პოეტში ერთმანეთს ქართულ-ტრადიციული ოჯახისშვილობა და მოდერნისტულ ლიტერატურაზე აღზრდილის შეგნება. ამასთან, შემოქმედების დასაწყისშივე სრულიად ახალგაზრდა ელენეს პაოლოსთან შეხვედრამ იმ ეტაპზე დიდწილად განსაზღვრა მისი ხასიათი და მიმართულება მეორის სასარგებლოდ (თუმცა ბოლომდე დარჩა ეროვნულობისა და სამშობლოს ერთიანობის დამცველი, რასაც მოწმობს პოეტის არაერთი ლექსი, მათ შორის, „15-ს“, რომელიც 1923 წელს დახვრეტილი 15 ქართველი მამულიშვილის ხსოვნას მიუძღვნა, ასევე მოგონება 1920 წელს ინგლისელებისგან ბათუმის საქართველოსთვის გადმოცემის შესახებ და სხვა). იგი, როგორც აღნიშნავს, თავისი „შემოქმედებით მჭიდროდ დაუკავშირდა პაოლოს... ყოველ უცნაურობას აქვს ახსნა...“ მემუარისტი უცნაურობას უწოდებს იმ მოვლენას, რომ „პაოლო ასეთ ეროტიულ ლექსებს განიცდიდა ისე, როგორც ისინი იწერებოდნენ ჩემს მიერ, ე. ი. არაჩვეულებრივად, არაეროტიულად...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 55) ცხადია, ზემოთქმულ მიზეზებთან ერთად ლექსების ამ ციკლის შექმნას მთავარ ბიძგს მათი სიყვარული აძლევდა, თუმცა მოგონებებით ხაზგასმულია, რომ ელენე და პაოლო სულაც არ თვლიდნენ მათ ფიზიოლოგიური ინსტიქტების უხეშ გამოვლინებად. მათთვის ისინი უპირველესად აღიქმებოდა პოეტური ხელოვნების ნიმუშებად. ავტორის მითითებით, მიუხედავად ერთმანეთისადმი ძლიერი გრძნობით გამოწვეული ლტოლვისა, „ორივემ ფიზიკური (ეროტიკული - ზ. ო.) მოვათავსეთ წერილებში (იგულისხმება ლექს-დღიურებიც) და სულიერად არაჩვეულებრივად ახლო ვიყავით დამალულნი...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 55) დარიანულ ლექსებში წამყვან ადგილს ფორმა იკავებდა, შინაარსი კი წარმოსახვითი ვნებებისა და განცდების ასპარეზს წარმოადგენდა, გამოხატულს მაღალმხატვრული ეროტიკული სახეებით. იგი იყო პროტესტი ძველი, ერთფეროვანი სატრფიალო ლირიკის წინააღმდეგ, რომელიც აბრკოლებდა ჭეშმარიტი სამიჯნურო პოეზიის განვითარებას.

დარიანობამ ბევრი ბედნიერი წუთი აჩუქა ელენეს და დიდი უსიამოვნებაც მოჰგვარა: თვითმარქვიად, პლაგიატად მიიჩნიეს. წუხდა, ისეთად რომ არ იცნობდნენ, როგორც იყო. მისი შინაგანი სიმართლე გაუგებარი აღმოჩნდა გარეშეთათვის. ტატოსავით მარტოსული, თავის შინაგან წუთისოფელს თვითონ გრძნობდა. ამაო აღმოჩნდა ხვეწნა-მუდარა: ვერ წარმოიდგენთ, როგორი დიდი სურვილი მაქვს ეს იგრძნოთ ისე, როგორც იყოო...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 55) „გატეხილი სურა“ იქცა პოეტის უნუგემო

¹ ჟან ბატისტ გრეზი (1725 – 1805) - ყოფილი ჟანრის ფრანგი ფერმწერი. „გრიოზი“ რუსულის გავლენით არის მიღებული.

ყოფის სიმბოლოდ. მან „მიმითითა ჩემს გულგატეხილ დღევანდლობაზე“. ამიტომ მის წინ დადებული პირობა - ობიექტურად შეხედავდა წარსულს და გულწრფელობას შეინარჩუნებდა ბოლომდე, პირნათლად შეასრულა.

პოეტის პირველი პროზაული ტექსტები - მინიატურები 1910-იან წლებში პირველი დარიანული ხმაურიანი ლექსების გამოქვეყნების (1915) პარალელურად იქმნებოდა და იბეჭდებოდა კიდევ ქუთაისურ პრესაში. მისი ბიძა - იაზონ ბაქრაძე, ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი იმდროინდელ ქუთაისში, სამწერლო ნიჭს უქებდა ნორჩ ქალიშვილს, ურჩევდა მინიატურებთან ერთად მოთხრობების შექმნაც ეცადა. „შენი მინიატურა ძლიერ მომეწონა... თუ მოთხრობებსაც ისე ლამაზად დასწერ, როგორც მინიატურა დაგიწერია, მე მაშინ მოთხრობების წერას მივცემდი უპირატესობას, რადგან მოთხრობებში შეგიძლია დახატო ცხოვრების სურათები, ადამიანის სულის განსახიერება მისი ტანჯვითა და სიხარულით“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 26-27) დამწევი შემოქმედის მხატვრული თხზულებები მოიწონა კიტა აბაშიძემ. კრიტიკოსი იმედოვნებდა, რომ მომავალში ისინი ყმაწვილი ქალის მაღალი ნიჭით „სხვა მინაარსით შეივსებოდა“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 54)

1915 წელს ელენე ბაქრაძე განჯაში წერს მინიატურას - „მე მთვრალი ვარ, მთვრალი ბედნიერი“. ოთახი - ჩაკეტილი სივრცე სულს უხუთავს ავტორს. მას უსაზღვროება სწადია და აჰა - ეზმანება, რომ „კედლები დაიკარგა სადღაც... ვხედავ მხოლოდ ოქროსფერ მიუწვდომელ მინდორს და იქ ცეკვავენ მარიონეტები... ჰაერში იკარგებიან მელოდიათა ღვთიური აკორდები... ისმის ჰანგი აღტაცებისა.“ ხილვა სრულდება და გმირი გონდაკარგული ეცემა ძირს. მის წინ აწყვია „არეული, ძველი გაყვითლებული წერილები“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 42) ისინი სატრფოს, პაოლოსგან მიღებული ბარათებია. აღნიშნულს მოწმობს დარიანული ციკლის ლექსებში - „მახილი“, „ზამთარში“ (1915), ასევე 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ ბერიშვილის გვართ გამოქვეყნებული ლექსი „თავად დარიანს“ (იგი არ შედის დარიანული ციკლის 14 ლექსში, მაგრამ მხატვრული სახეებით, განცდათა სიმძაფრით ვერ დავამორებთ მას), რომლებშიც მსგავსი ვარიაციებით მიმართავს „ცისფერყანწელთა“ ლიდერს: „ჩუმი ვკითხულობ შენს ძველ წერილს ყვითელს, დახეულს“ („მახილი“), „შიშით გადავშლით, ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით“ („ზამთარში“) (იაშვილი, 1975, გვ. 122-123), „ძვირფასო თავადო, წახვედი შორს ჩემგან, ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან“ („თავად დარიანს“). (ბერიშვილი, 1922, გვ. 3) ეს წერილები ახსენებენ რა საყვარელ ადამიანს, შემოქმედებითად აღანთებენ ახალგაზრდა ქალბატონს. ავტორის მხატვრული წარმოსახვა არღვევს ყოფით ჩაკეტილ წრეს და ირეალურ სამყაროს უერთდება. მინიატურაში ასახული არამიწერი მშვენიერება და სილამაზე, მისით თრობა, უცხო ხმაური, ზეციური მელოდიები და სხვა, მის ამკარად სიმბოლისტურ-მოდერნისტულ ხასიათზე მიგვითითებს. როგორც შემდეგ წერდა ავტორი, რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის მძლავრი გავლენით, ჩვენ „მისტიკურად ვჭვრეტდით ყოველ მოვლენას მთელს სამყაროსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 20) სიმბოლისტურ პრინციპებს ამჟღავნებს იმავე ხანებში შექმნილი მინიატურა - „სტიროდა ვარდი“.

განჯაში იწერება პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშიც - „ბეთჰოვენის მეორე სიმფონია“ (1918). იგი თავისი რიტმული გამართულობითა და მწყობრი ვერსიფიკაციით ლირიკული ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. მინიატურის ლირიკული გმირის საბურველში ტრაგიკული ბედის შეყვარებული პოეტი ქალის სახე ილანდება: „მე შენ ფერხთა ვარ, მე შენ გეტრფი, შენს ალერსს ველი... აჰა, ბაგენი ცეცხლით დამწვარნი... აჰა, ეს სმენა, სმენა მდინარის ჰანგის ამკრეფი. აჰა თითები, მკლავნი ჩემნი ვნებიანნი, ალერსიანი... სულ ჩემს დიდებას შენს ფერხთ წინა ვდებ და ველი სულის, შენი სულის ამონახეთქ ცრემლს...“ „დილის ცისკართან დაბადებულს“ სატრფოს სიმორე განწყობას უფუჭებს. მასთან შეხვედრის სურვილით წუხს და იტანჯება: „ვაიმე სად ხარ?!... მინდა გიყურო, გაჩნდი, წამოდი... შეხვედრა ჩვენი, ალერსის მწველი და სასურველი იქნება ლაღი...“ (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 42-43)

აღნიშნული დღიურის სტილის ტექსტები მათში გამოვლენილ განცდათა უშუალოებით ავტორის ლირიკულ აღსარებას წარმოადგენენ. ისინი, სიტყვიერად უადრესად დაწნეხილნი, მაღალი ხელოვნებით შესრულებულნი და უმწვავესი წარმოსახვებით გამძაფრებულნი, იმ ათეულობით სატრფიალო ლექს-ბარათს განასახიერებენ, ელენე და პაოლო ერთურთს რომ უძღვნიდნენ ათიან წლებში. მინიატურებში გამოყენებულ მხატვრულ სახეებს („გაყვითლებულ ძველ წერილებს“, „თეთრ მკლავებს ვნებიანს“, „ალერსს მწველსა და სასურველს“ და სხვა) მცირედი სახესხვაობებით არაერთგზის ვხვდებით დარიანულ ლირიკასა და ელენეს არქივში დაცულ ლექსებში („მახილი“, „ზამთარში“, „იყო ზღაპარი“, „თავად დარიანს“).

როგორც ითქვა, ელენე ქართველიშვილმა დედუღეთურ შთაბეჭდილებათა ცალკეული ფრაგმენტების საფუძველზე ნოველებისა და მოთხრობების მთელი ციკლი შექმნა. ავტორმა თავის თხზულებებში მხატვრულად გააცოცხლა აწ ოკუპირებული, მიწასთან გასწორებული ერედვისა და მიმდებარე სოფლების თითქმის საუკუნე-ნახევრის წინანდელი ყოფა, რომელთა გმირებად და სიუჟეტებად „იდეალად“ წარმოჩენილი ლიახვის ხეობის გლეხკაცობა და მასთან დაკავშირებული

რეალური ისტორიები აქცია. მათგან სამი ნოველა - „ჩაჩანი ემენა“, „ზურაბა“ და „კოჭლი კეკე“ 1934 წლის ჟურნალ „მნათობში“ (N7-8) გამოქვეყნდა. რედაქციას იმდენად მოსწონებია ისინი, რომ ავტორისთვის უთხოვია - „ჩქარა, ჩქარა, კიდევ მოგვიტანეთ სხვა ნაწარმოებებიო“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 54) ამავე მიზეზით ი. გრიშაშვილს „მნათობიდან“ ამოულია ნოველები და პირადი ბიბლიოთეკისთვის ცალკე აუკინძავს. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 49) გამოქვეყნებული თუ არქივში დავანებული თხზულებები ძირითადად ყოფით საკითხებს - სიყვარულს, მეგობრობასა და სხვადასხვა წოდების ადამიანთა დამაბულ ურთიერთობებს ეხებიან. მათი გმირები მძიმე ყოფისაგან დალდასმული უბრალო ადამიანები არიან თავიანთი განცდებითა და მისწრაფებებით.

პირველი ორი ნოველა მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში, კერძოდ, შიდა ქართლის სოფლებში წარმოებული ცხარე სოციალური ბრძოლების მხატვრული ანარეკლია. ავტორმა მხატვრულ სახეთა და მოვლენათა განზოგადებით გვიჩვენა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის გაჩენილი მწვავე კონფლიქტის არსი, ჩვენი ხალხის იმჟამინდელი სულიერი განწყობილებანი. ნოველები ორიგინალური სიუჟეტებითა და მოქმედებათა სიმწვავეთ გამოირჩევიან. პროზის ეს ჟანრი ზუსტად შეეფერებოდა ნაწარმოებებში განვითარებულ დამაბულ ფსიქოლოგიურ პერიპეტებს, პერსონაჟების მარტივ ბუნებას. ელენე ბაქრაძე, როგორც წესი, ნოველის გმირების ცხოვრებიდან ყველაზე არსებითსა და შთამბეჭდავ ამბავს წარმოაჩენს, რომელიც სათანადო წარმოდგენას გვიქმნის თხზულების სუბიექტებსა და ეპოქის ტენდენციებზე. ამ მხრივ საყურადღებოა „ჩაჩანი ემენა“. იგი გამოკვეთილი ხასიათებით, ამ მხატვრული ნოველისათვის დამახასიათებელი ლაკონიური, მაგრამ აზრობრივად მდიდარი სიტყვა-ფრაზებით, მძაფრი კოლიზიით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და წრფელი ადამიანური გრძნობების ჩვენებით, ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ემენა, დაღესტნელია, თუმცა მოქმედება ქართლის სოფელში ვითარდება. მოხუცი პაპა მისგან ადათის მიხედვით სისხლის აღებას მოითხოვდა, ემენას კი, არ უნდოდა სისხლი. ამიტომ სამშობლოდან საქართველოში გადმოიხვეწება. იქ რჩება სატრფო, რომელსაც ყოველდღე უნაზესი ფიქრებით ეფერება. შეყვარებული ხიზანი იძულებულია ფულის სანაცვლოდ ერთ-ერთი ქართველი თავადის ოჯახის უსაფრთხოება დაიცვას. სამსახურის დროს მოულოდნელად კაცი შემოაკვდა. ემენას თავზარი დაეცა. იგი კიდევ უფრო გააღიზიანა შეგრძნებამ, რომ მკვლელობის საფასურად ფული ჰქონდა მიღებული. მან მთელი რისხვა თავადისკენ მიმართა: „მე სისხლი არ მინდოდა... შენ ფული მომეცი...“ (ქართველიშვილი, 1934, გვ. 98) ლექმა ერთი გასროლით ისიც გვერდით მიუწვინა მოკლულს.

ხსენებული ეპოქის ქართლის სოფლებში აქაური ხანდაზმული ადამიანების ცნობით, მრავლად შეხვედებოდათ სამუშაოს მაძიებელ დაღესტნელებს. სავარაუდოდ, ნოველის სიუჟეტი ვინმე იქაურის ქართლში თავგადახდენილ და ავტორის მიერ ერედვში მოსმენილ ამბავზეა აგებული. პოეტი და პროზაიკოსი თხზულების დასაწყისშივე გვამცნობს ახალგაზრდა კაცის შინაგან წესიერებას. იგი სიკეთისა და სიცოცხლისკენ სწრაფვას გმირის ბუნებრივ თვისებად მიიჩნევს, რომელსაც კიდევ უფრო აცხოველებს სიყვარული. ეს გრძნობა ზნეობრივად ამაღლებს, მტრობაზე მაღლა აყენებს მთავარ მოქმედ პირს. ემენა უარს ამბობს საუკუნეობრივი შუღლის გაგრძელებაზე, რადგან ფიქრობს, რომ ღმერთს მხოლოდ „სიცოცხლისა და სიყვარულისთვის გაუჩენია“. მისი ოცნება სამშობლოში დაბრუნება და სატრფოსთან ერთად ბედნიერი ოჯახის შექმნაა. ემენას სურს მშვიდი ცხოვრება, მაგრამ გმირის ფსიქიკაში გაჩენილი კოლიზია საეჭვოდ ხდის მის აღსრულებას. ელენე ქართველიშვილი სულიერ-ფსიქოლოგიური მომენტების დემონსტრირებით წარმოაჩენს პიროვნების შიგნით მიმდინარე ბრძოლას. იგი გაორებულია: თავისუფლების მოტრფიალე, სამშობლოდან სისხლსა და მტრობას გამორიდებული საპირისპირო გადაწყვეტილებას იღებს, თავისუფლებას იზღუდავს - თავადის დაცვის სამსახურში დგება (რომელმაც შესაძლოა მკვლელადაც აქციოს). ამ მომენტიდან მკითხველი ერთგვარი ტრაგიკული მოვლენების განვითარების მოლოდინშია. ავტორი ნაწარმოებში ასახულ მოვლენებში, კონფლიქტის ხასიათში მეტი სიცხადის შეტანასა და მათი საყოველთაოობის ჩვენებას ორი სიტყვით - „1905 წელია“ - ახერხებს. ნათელი ხდება, რომ „ჩაჩანი ემენა“ სოფლად 1905-07 წლების რევოლუციურ გამოსვლებს ეხება, რომელიც საქართველოში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. თავადს გლეხთა მღელვარების ეშინია, ამიტომ ქირაობს ემენას. ისიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას - აღკვეთს თავადზე თავდასხმას, კლავს ეჭვიმტანილ მოძალადეს. თითქოს ესაა ნოველის კულმინაცია, მაგრამ მწერალი აქ არ სვამს წერტილს, უკიდურესად ამძაფრებს მოვლენათა განვითარებას. ისმის კითხვა - რამდენად ბუნებრივია კაცისაგან, რომელსაც „არ უნდა სისხლი“, მეორე ადამიანის მოკვლა? ვფიქრობთ, შემოქმედი არ ღალატობს მხატვრულ ზომიერებას და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ გმირის მოქმედება შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ეს ყოველივე განსაკუთრებულ ღირსებას მატებს ნაწარმოებს. ელენე ბაქრაძე დიდი ფსიქოლოგის თვალთ გვიჩვენებს უმძიმეს სიტუაციაში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცის სულიერ მოძრაობას. მან იცის - ადამიანის ბუნებისთვის შეუსაბამო გადაწყვეტილება ზხარს უჩენს პიროვნების მთლიანობას და იგი ხშირად მძიმე შედეგებით

მთავრდება. ემენამ მყისვე ინანა ჩადენილი. იგი მწყობრიდან გამოიყვანა სულთმობრძავის უკანასკნელმა ფრაზამ - „რისთვის მომკალი ძმაო?“ ლეკი საშინელმა სულიერმა კრიზისმა მოიცვა. თითქოს შინაგანი ხმა პასუხობდა - ფულისთვისო და პატიებას ითხოვდა. ტექსტის სტრიქონებს შუა ავტორის აზრი იკითხება - მომაკვდავი კაცი თავადის უსამართლობამ (ზოგადად, მძიმე სოციალურმა ყოფამ) დააყენა შურისძიების გზაზე. ემენამ მოკლულის თვალებსა და სიტყვებში თავისი დამქირავებლის სიავკაცე ამოიკითხა, მიხვდა საკუთარ დანაშაულსაც - მატერიალურზე დამოკიდებულებამ წართვა თავისუფალი ნება და მიიყვანა მკვლელობამდე. მას მსხვერპლისადმი ღრმა სიბრაღისა და სოლიდარობის გრძნობა გაუჩნდა. მთავარი პერსონაჟის მოთმინების ბოლო წვეთი მოკლულის მიმართ თავადის აგდებული სიტყვები აღმოჩნდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნოველებში გამოვლენილი ღრმა ჰუმანიზმი, სისხლის ადების მავნე ტრადიციის უარყოფა. ადამიანის სულიერი სამყაროს დიდი ცოდნითაა შესრულებული ის ადგილი, როდესაც ემენა მის მიერვე სასიკვდილოდ დაჭრილს დაუფიქრებლად საშველად მივარდება: „ადამიანს მოეხვია და ფრთხილად დაუშვა მიწაზე... ორი წყვილი თვალი ერთი მეორეში ჩაიძირა... ძმაო, ძმაო - წამოსწია მხრებში მოკლული და მიუჯდა თავთან“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 97) ეს სცენა თავისი შინაგანი დრამატიზმით ფსიქოლოგიურად უმწვავეს სურათს წარმოადგენს. ის გარემოება, რომ ემენა მორწმუნე მაჰმადიანია (იგი ხშირად ახსენებს ალაჰს), გარდაცვლილი კი - ქრისტიანი, უკანა პლანზე იწევს. ელენე ბაქრაძეს დაღესტნელი ნაციონალური და სარწმუნოებრივი ჩარჩოებიდან გამოჰყავს და ვაჟას გმირების მსგავსად, შინაგანი ზნეობრივი კოდექსით ამოქმედებს. მოკლული მისთვის უპირველესად ადამიანია. მწერალი ბევრს ფიქრობს გმირების ბედზე, ამხელს მათ წინააღმდეგობრივ ქმედებებს, თუმცა ექომაგება კიდეც. პოეტის თხრობის მანერაში აშკარად გამოსჭვივის თანაგრძნობა როგორც მიცვალებულის, ისე მონანიე მკვლელისადმი. ავტორი ამბის დამაჯერებელი გადმოცემით იმდენად მოქმედებს მკითხველის სულიერ განწყობებზე, რომ მას ერთდროულად აქცევს დატრიალებული ცოდვა-ბრალის მხილველადაც და გულშემატკივრადაც. იგი თვლის, რომ არასწორი გადაწყვეტილებებისკენ პერსონაჟებს ეროვნულ-სოციალურ ჩაგვრაზე დამყარებული რუსული მმართველობის მახინჯი სისტემა უბიძგებს. ნოველისტი ოსტატურად წარმოაჩენს უკუღმართი დროების სურათებს, ავლენს სინამდვილის შეგრძნებისა და მისი მაღალმხატვრული სახეებით გადმოცემის უნარს. შექმნილი ვითარება ემენას აიძულებს ჯერ სამშობლო დატოვოს, შემდეგ კი, მისთვის მიუღებელი საქმე აკეთოს, რასაც ტრაგედია მოსდევს. უხამსი სინამდვილე ფეხქვეშ თელავს კავკასიელი მთიელის იდეალებს, უზარმაზარ დაღს ასვამს გმირის მომავალს. მის მსხვერპლსაც იგივე გარემო სხვა გზას არ უტოვებს შურისძიების გარდა. შემოქმედი სიკვდილის პატარა ეპიზოდით ახერხებს დადუპული მემბოხის ცხოვრებაში ჩაგვახედოს.

1900-იანი წლების სინამდვილეა ასახული ნოველაშიც „ზურაბა“. განსახილველი თხზულებაც გლეხებსა და თავადებს შორის გამწვავებულ ურთიერთობას ეხება. ემენას მსგავსად, ამ ქვეყნიური სიამეებით ტკბობის ნაცვლად უღმობელი რეალობა მკვლელობას ჩაადენინებს ნაწარმოების ახალგაზრდა გმირს - ზურაბასაც. მოქმედება ერედვეში ვითარდება. ზურაბას მამა თავადმა გლეხთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო აითვალწუნა. მან გლეხს ოჯახის ერთადერთი მარჩენალის - მიწის წართმევა არ აკმარა და მოურავს ცემით მოაკვლევინა, მეტიც, ჭაბუკს ოჯახის განადგურებით დაემუქრა. გამწვარებულმა ბიჭმა სიცოცხლეს გამოასალმა მრისხანე თავადი. ავტორმა მხატვრულ ქმნილებათა გმირები, მათ შორის წინამდებარე ნოველისა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თავიანთი თავგადასავლებით რეალური ყოფიდან შემოიყვანა. ერთ-ერთი უხუცესი ერედველის¹ მონათხრობით, წარსულში ერთ მდიდარ მემამულესა და გლეხის ოჯახს შორის მიწის გულისთვის მსგავს დაპირისპირებას მართლაც ჰქონია ადგილი. ამ ფაქტს მწერალი არა განკერძოებულ, შემთხვევით მოვლენად, არამედ ქვეყანაში განვითარებული მძაფრი სოციალური პროცესების ჭრილში განიხილავს. მისი განზოგადებით გვიჩვენებს სოფლად სხვადასხვა წოდების ადამიანთა დამაბულ ურთიერთობებს. იგი სანამ მთავარ ამბავს შეეხება, გლეხის ოჯახის გაჭირვების სურათებს გვაწვდის: „გაჭირვებისაგან სასოწარკვეთილმა დედამ პურის ცხობაში მიღებული ორი შოთი ამოიღო: ქალბატონს თავის ბიჭისთვის მოჯამაგირეობა გამოსთხოვა“. (ქართველიშვილი, ნოველები, 1934, გვ. 100)

ნაწარმოებში გაშიშვლებულია უხემ ძალაზე დამყარებული სოციალური გარემო. პოეტმა გაწაფული ნოველისტის ოსტატობით წარმოგვიდგინა როგორ გააავპირა მემამულის თვითნებობამ გლეხის შვილი და უბიძგა შურისგებისაკენ: „დაუჭმუნხია შუბლი, დაუკუმშია მუშტი და მგელივით გამოიყურება“. ზურაბამ ვეღარ აიტანა მორიგი დამცირება, გაახსენდა „დასისხლიანებული მამა, აწიოკებული დედა, ნაკელით შელესილი მიწური“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 101) ელენე ბაქრაძემ უზადლო ფსიქოლოგიური სურათ-ხატებით გადმოგვცა მკვლელობის წინ ყმაწვილი კაცის სულიერი მდგომარეობა,

¹ იგი გასული საუკუნის მიწურულს გვიამბო აქაურმა მკვიდრმა, მ. ქელესაშვილმა.

მოუსვენრობა: „ზეზე წამოვარდა. სოფელში აირბინა. მეზობლისას მივარდა. რაღაც დაუბარა. ხევში ჩაირბინა. ჩაკუნტა, შურდული მოიმარჯვა“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 102) ავტორს შეუნიშნავი არ რჩება გმირის თითოეული მოძრაობა, გრძნობს და ჩვენც განგვაცდევინებს მისი აწრიალებული სულის დღევას.

ელენე ბაქრაძე მუქი ფერებით ხატავს ორივე ნოველის თავად - პერსონაჟს. ფაქტობრივად, ეს ბატონები ერთი ხასიათები არიან. ორივე მათგანი მთლიანად პირად მე-ს ემორჩილება. მათთვის სრულიად უცხოა სიბრალულის გრძნობა. მწერლის თქმით, „ზურაბას“ თავადი თავისი ღრიალით „სისხლს უყინავდა მინდვრად მომუშავე გლეხებს“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 102) სამწუხაროდ, სახელოვანი ქართველი თავადაზნაურების გვერდით ამგვარნიც იყვნენ. ისინი არად დაგიდევდნენ გაჭირვებული თანამოქმედისა თუ სამშობლოს ინტერესებს. აღნიშნული პირები ამ უკანასკნელთ განასახიერებენ. შემოქმედი წუხს „ქართული მიწის გემრიელი სუნით“ გაჟღენთილი გლეხკაცის მძიმე ხვედრის გამო, რომელსაც უზადრუკი სინამდვილე ადამიანურ ოცნებებსა და იმედებს უმსხვრევს, სიცოცხლისა და სიყვარულისთვის მოვლენილს კაცის მკვლელად აქცევს.

ნოველა „კოჭლი კეკე“ ჭეშმარიტი სიყვარულის სადიდებელია. იგიც რეალურ ამბავზეა აგებული და ახალგაზრდა კაცის უანგარო სიყვარულზე მოგვითხრობს. მოქმედება ერედში - სოფლის მთავარი რელიგიური დღესასწაულის - მცხეთისჯვრობის ფონზე იმდება. აქაურებს მოწვეულ სტუმრებთან ერთად მცხეთისჯვრის სახელობის ტაძრის ეზოში ლხინი გაუმართავთ (ეს დღეობა ცნობილი იყო მრავალსტუმრიანობით. იმართებოდა აღდგომიდან მესამე პარასკევს. იგი წმინდა დღედ ითვლებოდა და ასეა დღესაც. მას ერედველები დევნილობაშიც არ ივიწყებენ და შეძლებისდაგვარად აღნიშნავენ). ერთ-ერთი სტუმარი, ტირმნისელი საბა, ერედველმა კეკემ ცეკვით ისე მოხიბლა, რომ ბიჭმა ხელი სთხოვა. ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა, რადგან კეკე ორივე ფეხით კოჭლი იყო. საბას არჩევანი ოჯახშიც დაუწუნეს, თუმცა სასიძომ ყველას ხმამაღლა განუცხადა: „ჩემს თვალში კეკე მუდამ ლეკურს თამაშობსო“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 99)

ავტორი მნიშვნელოვან როლს აკისრებს რელიგიურ დღესასწაულს სიუჟეტის განვითარებაში. იგი ეროვნულ კოლორიტსა და საზეიმო ელფერს სძენს ნაწარმოებს, მეტი პატივისცემით განაწყობს მკითხველს მოქმედი პირებისადმი. „ცისფერყანწელი“ მგოსანი ნოველის დასაწყისშივე მიმზიდველი საღებავებით ხატავს სტუმრის სახეს, შესაბამისი მხატვრული ხერხებით წარმოაჩენს გამრჯე გლეხის ფიზიკურ და სულიერ სიმრთელეს. მისი შეფასებით, ყველა იცნობდა „პატიოსნებით სავსე დარბაისელს, წყნარსა და მშვიდს, მარჯვენალონიერ ალიაანთ საბას“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 99) მწერალი, ხაზი რომ გაუსვას საბას სიყვარულის ნიჭსა და მაღალსულიერებას, იქვე წინ გვიყენებს საცოლის კონტრასტულ - „ორივე თემო ამოვარდნილი კოჭლი კეკეს“ სურათს, იმასაც გვეუბნება - ახალგაზრდა ტირმნისელს სხვა ლამაზი და მოხდენილი გოგონებიც აჩვენეს, მაგრამ გულმა მაინც კეკესკენ გაუწიაო. მოლოდინი - საბა სიკოჭლის შეტყობისთანავე უარს იტყოდა კეკეზე, არ გამართლდა. სხვისთვის თემო ამოვარდნილი ქალიშვილი, მისთვის „გედივით ყელმოღერებული იყო და საცეკვაო წრეს წყალზე გაცურებული ნავივით უვლიდა“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 98)

კეკე ცოცხალი ხასიათია. იგი მართლაც ლამაზია, თუმცა ფიზიკური ნაკლის გამო ვერ თხოვდება. ახლა კი განთქმულ ვაჟკაცზე გათხოვების შანსი მიეცა. ავტორი შესანიშნავად გვიხატავს სიყვარულით აღმოედებული ქალიშვილის განცდებს, შინაგან პატიოსნებას: მას არ უნდა საბა მისი სილამაზით მოტყუედეს, ფიქრობს, უთხრას თავისი კოჭლობის ამბავი. ყველასგან დაწუნებულ კეკეში სიყვარულმა ნამდვილი ადამიანი გააღვიძა, რომელიც „თავისუფლად იყურებოდა და ნაგრძნობ სიამოვნებას ლაღი გატაცებით მისცემოდა“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 98) მწერალმა ლიახვის ხეობაში კეკესა და საბას სახით აღმოაჩინა ერთმანეთის, სამშობლოსა და საკუთარი მიდამოს მიმართ უანგაროდ შეყვარებული ადამიანები. კეკეს უმძიმს მშობლიური სანახების დატოვება. ტირმნისისკენ ქმრის ოჯახში ურმით მიმავალმა „თავი სოფლისაკენ იბრუნა, მისი სიახლოვე იგრძნო...“ მას ეიმედება, რომ მისთვის საყვარელი ლიახვი ტირმნისსაც გვერდით ჩამოუვლის. ახალშეუღლებულნი ეალერსებიან ლიახვის ხეობას, ღმერთს მადლობენ ლიახვის გაჩენისთვის, რადგან მისი წყალობით „ამ შემოდგომაზე კარგა ხილს გაიტანენ სოფლიდან“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 99) ეს ფრაზები დედუღეთისადმი პოეტი ქალის დამოკიდებულებაზე მეტყველებენ. მას ხომ ყველაზე მეტად უყვარდა ნოველაში ნახსენები „მეურმის ტკბილი ღიღინი“ და „ქართლის მოჭედილი ცა“, მამაკაცის იდეალად მიჩნეული აქაური გლეხკაცობა.

ელენე ქართველიშვილის „მნათობში“ დაბეჭდილსა თუ გამოუქვეყნებელ თხზულებებს წითელ ზოლად გასდევს ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული. ამ ნოველით თავად უცნაური და ტრაგიკული სიყვარულის მატარებელმა წმინდა სიყვარულის არსებობა ცხადყო. ადამიანის სულის სიღრმეში წარმოშობილ ისეთ სპეტაკ გრძნობას უმღერა, კეკეს მსგავს ფიზიკური ხინჯის, მაგრამ მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონეთაც თავის ორბიტაში რომ აქცევს, სათნოებასა და სისპეტაკეს სძენს ადამიანს, მის გარშემო მყოფთ.

ნოველისტი ინდივიდუალური სახეების გარდა, მოზეიმე სოფელს მთლიანობაშიც მშვენივრად გამოკვეთს. მცხეთისჯვარობის დღეობის აღწერით ავტორი ძველი ქართული ყოფის იდილიურ სურათს იძლევა: როგორი სიწირფელით უყვარდათ ღმერთი, სამშობლო და ადამიანი ჩვენს წინაპრებს, რა უანგარო, შეურყვნილი გრძნობით ეტრფოდნენ ერთმანეთს. თხზულებაში სოფლის მოსახლეობა თავის სტუმრებიანად არა უბრალო მასად, არამედ მთავარი ამბის გულშემატკივრად, სულიერად მოაზროვნე კრებულადაა წარმოდგენილი. ისინი, ზომიერად ბახუსმიდებულნი, სტუმარ-მასპინძლის მოვალეობის მაღალი გრძნობითა და ერთმანეთზე ზრუნვით არიან გამსჭვალულნი. ეს სურათი გულგრილს არ დატოვებს დღეს დევნილობაში მყოფ ერედველებს, განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებს. ზემოთ განხილულ ტექსტებში ელენე ბაქრაძე ხალხოსანი მწერლისთვის დამახასიათებელი ფერებით ხატავს სოფელს. მას ძლიერი და შრომისმოყვარე გლეხობა ეგულვება ქვეყნის სინდის-ნამუსად, სიმაგრედ. მხატვრულ ქმნილებებში თვითმხილველის დამაჯერებლობით არის გადმოცემული მოვლენები. ისინი ლექსიკურად ისე არიან კონსტრუირებულნი, რომ თითოეულ მომდევნო წინადადებას მეტი სინათლე შეაქვს პერსონაჟთა სულიერ სამყაროში. მათში ხელშესახებად ჩანს ავტორის პოზიცია, რაც მხატვრულ ფაქტს პუბლიცისტურ სინამდვილეს მატებს. აღნიშნული იმანაც განაპირობა, რომ ერედვზე შეყვარებულმა ელენემ, თუ ნათქვამს გავიმეორებთ, თავისი თხზულებები რეალურ ამბებზე ააგო: თავად ნახა, განიცადა, მოისმინა, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, მათი თანამონაწილედ შეიქნა. ნოველების მოქმედ პირებს შორის ვხვდებით მწერლის მემუარებში ნახსენებ სახელებს (სიდონია, იობაანთ სალომე, მეურმე ნიკა ხუბულური, ნატა, მაისურაანთ ნიკა და სხვა), რომელთაგან ზოგს პირადად, ზოგს კი - გადმოცემით იცნობდა. დღეს ერედვისა და შიდა ქართლის სხვა სოფლების ოკუპაციის, მტრის მიერ ქართული კვალის გაქრობის მუდმივი მცდელობის პირობებში, ელენე ქართველიშვილის მემუარები და მხატვრული პროზა სხვა მნიშვნელობასაც იძენს. ისინი ადასტურებენ, რომ ლიახვის ხეობა თავისი ისტორიული სიძველეებითა და იქ მცხოვრებთა ტრადიციებით, უძველეს ქართულ მიწა-წყალს წარმოადგენს. იგი მოგონებებსა და პროზაულ ტექსტებში არაერთ აქაურ ტოპონიმს (რომელსაც განსაკუთრებული აგრესიით ებრძვის მოძალადე) ახსენებს: მცხეთისჯვარი, ქვაბთები, ხოდაბუნები, ბაგების ვენახები, ბაგების ორღობე, დიდი ხევი, გაღმა ერედვი, შუა ერედვი, გერი, არბო... ეს ტოპონიმები, რომელთა უმეტესობა დღესაც ცოცხალია, ერთგვარად აცხოველებს საკუთარ მიწას მოწყვეტილი ადამიანების ისტორიულ მეხსიერებას და მომავლისადმი იმედით განაწყობს.

ძირითად მხატვრულ საშუალებას, რითაც ავტორი ახდენს ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ გააზრებას, მეტაფორა, ეპითეტი, კონტრასტი და შედარება წარმოადგენს. იგი ისეთ ღრმა შინაგან კავშირს პოულობს შესადაურებელ ობიექტებს შორის, რომ ტროპული მეტყველების ეს ხერხი განსაკუთრებულ სიმაღლეზე აყვავს. მწერალი მისთვის მიუღებელ პერსონაჟებს მკითხველისთვის უარყოფითად აღსაქმელ საგნებთან და მოვლენებთან აწყვილებს, რაც აშკარა ავტორისეულ ტენდენციას მიუთითებს. მაგ.: „ზურაბას თვალები თავის თვალებში (მოურავის - ზ.ო.) მინდვრის ეკლებივით ჩაესო“, ან - „იქ დაუხვდი, როცა ამ ლეშს (თავადს - ზ.ო.) ამოათრევინ“. (ქართველიშვილი, 1934, გვ. 102) სამაგიეროდ, მხიარულ ასოციაციას აღძრავს შემდეგი: „სიდოს ხმა ისე წკრიალებდა, როგორც ლამაზიანთ დეკეულის ყელზე შებმული პაწაწინა ზარი...“ „კეკეს ყელი გედივით მოედერებინა და წყალზე გაცურებული ნავივით უვლიდა გარშემო...“ (ქართველიშვილი, 1934, გვ. 100, 98) მშვენიერი ქართული დიალექტით ამეტყველებული კოლორიტული მხატვრული სახეები საოცარ ფერადოვნებას ანიჭებენ ნაწარმოებებს. ერედვისა და მოსაზღვრე დასახლებების ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი პოეტი ქალის მოთხრობებშიც („მჭედელი ნიკა“, „მატყუარა გიგო“, „მარინე“, „ნატა“ და სხვა), რომლებშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი პროზაული ნიჭი.

მძიმე და სევდიანი აწმყოს მიუხედავად, ელენე ქართველიშვილს - სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტს, ხანგრძლივი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში თავჩენილი სიახლეები. თავისი ეპისტოლური მემკვიდრეობით (რომლის მცირე ნაწილია გამოქვეყნებული) იგი ჩვენს წინაშე წარსდგება როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მწერლობისა და ხელოვნების საკითხებში ღრმად ჩახედული პიროვნება. 50-იანი წლების ერთ-ერთ ეპისტოლეში ავტორი კმაყოფილია იმით, რომ საზოგადოება აფასებს პოეტ ქალებს - მარიკა ბარათაშვილს, მაყვალა მრეველიშვილსა და მარიჯანს (მარიამ ალექსიძე). მისი აზრით, მარიკა ბარათაშვილი საინტერესო მოღვაწეა ლიტერატურაში, აქებს მარიჯანის პოეტურ ნიჭსაც, მაგრამ იქვე, საკუთარი უბედობის ხაზგასმით, მრავლისმეტყველად ასკვნის: „მე უბედური, აღზრდილი მეტად დახვეწილ პოეზიაზე, ძნელია სხვაც ვიგრძნო, გარდა ანა კალანდაძისა“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 56) პუბლიცისტი სხვათაგან აშკარად გამოარჩევს ასპარეზზე ახლად გამოსულ „მოდოდა ნინო მთებით“ ავტორს, რაც მის ორიგინალურ პოეტურ გემოვნებაზე მიგვანიშნებს.

ელენე დარიანის ფართო მხატვრული ნიჭისა და გონებრივი ჰორიზონტის დამადასტურებელია ლადო გუდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვრცელი პუბლიკაცია, რომელიც 1957 წლის მაისში

მხატვრის ნახატების გამოფენასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“ (1957, N20). ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. მათი უანგარო მეგობრობა ელენეს სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. პოეტი დიდი ხელოვანის ნამუშევრების ერთ-ერთი პირველი შემფასებელი იყო. არქივში მრავლად მოიპოვება ამ ურთიერთობის ამსახველი მასალები¹ (იგი სიტყვიერადაც დაგვიმოწმა პოეტი ქალის დისშვილმა - ქალბატონმა მარინე მხეიძემ). პალოს მუზა აღტაცებულია ლადო გუდიაშვილის ტილოების ფერთა სიუხვითა და თემატური მრავალფეროვნებით. მისი შეფასებით, გუდიაშვილის ნახატებში აჟღერებული ფერები ცხოველმყოფელ სიცოცხლეს აფრქვევენ ირგვლივ: „ნელ-ნელა გადმოგაქვთ თვალი ერთი ტილოდან მეორეზე და გრძნობთ ამ გამოჩენილი მხატვრის შემოქმედების მთელ ევოლუციას“. წერილის ავტორი მას ორიგინალურ მხატვრად მიიჩნევს, რომელიც „არავის არ ჰგავს... ყველგან გამოირჩევა ნახაზის რთული სტილითა და ფერებით... გუდიაშვილის ფუნჯის ქვეშ ფერები ცოცხლდებიან და მეტყველებენ... ყველგან სუნთქავს სიცოცხლე, რომელსაც მაყურებელი თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობს...“ (ქართველიშვილი, 1957, გვ. 2) პუბლიცისტის აზრით, ფერმწერი განუმეორებელ სიმაღლეს აღწევს პორტრეტის სფეროში. ხელოვანის „ყველა პორტრეტი წარმოადგენს პიროვნების ფსიქოლოგიის გახსნას. ხოლო ფსიქოლოგია ყველა მათგანისა მთლიანად განპირობებულია თანამედროვე სინამდვილით“. (ქართველიშვილი, 1957, გვ. 2) ელენე ქართველიშვილის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს წარსულით, ქართული ხალხური სიტყვიერებით შთაგონებული ტილოები. პოეტის დაკვირვებით, ისინი ჩვენი ერის გარდასულ ჟამს, ჩვენს ეროვნულ ხასიათსა და მისწრაფებებს წარმოაჩენენ. იგი პროფესიონალი შემფასებლის დინჯი ემოციით ერთობ აკადემიურ სტილში განიხილავს მათ. აღნიშნავს, რომ შემოქმედი შეუდარებელია თავის ზღაპრებში, „იმ მესტვირესა ჰგავს, რომელიც ზღაპარში - „დედების მაყრობა“, სიცოცხლეს უმღერის... ის ქმნის ზღაპარს, მესტვირეს გულისხმიერად გაუწვდია ხელი საქორწინო კორტეჟისაკენ. ამ სურათში ყველა დამორჩილება სიყვარულს, როგორც სიცოცხლის საწყისს: მაყრონი მიჰქრის იქით, სადაც სიმხიარულე ზეიმობს... მთელი სურათი გიწვევთ გაჰყვით მათ, თუ გინდათ იგრძნოთ სიხარული, რადგან ქორწილი მუდამ ნიშნავს ახალი სიცოცხლის დაბადებას... ძნელია წარმოიდგინოთ ამაზე უფრო სიცოცხლის დამამკვიდრებელი ზეიმი!“ (ქართველიშვილი, 1957, გვ. 2) თავად ლადო გუდიაშვილისთვის ელენე იყო „ძვირფასი სიყრმის მეგობარი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, პოეტური თბილისის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ახალი ქართული პოეზიისა და პროზის ფუძემდებელი, ენთუზიასტი, მოსიყვარულე და სათნო ადამიანი“. (ჯავახიშვილი, 2007, გვ. 62)

„ჩაჩანი ემენას“ ავტორის სამწერლო-ანალიტიკური აზროვნების უნარმა გაიბრწყინა დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძის“ შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომშიც („მნათობი“, 1960, N1). იგი დეტალურად განიხილავს ნაწარმოებს, დაწვრილებით ეხება მის პრობლემატიკას, ავლებს მოთხრობის სიუჟეტის პარალელებს ევროპული მწერლობის ნიმუშებთან, ამომწურავად მსჯელობს გმირისა და ტიპის ურთიერთმიმართებაზე. ელენე ბაქრაძე მართებულად მიუთითებს, რომ „მწერალი, რომელიც ღრმად იგრძნობს თავის ეპოქას, მთავარ გმირად ირჩევს არა წამყვან, თუნდაც ისტორიულ პიროვნებას, არამედ რიგით ადამიანს, მასში ასახავს ზოგად მოვლენას და შექმნის თავისი დროისათვის დამახასიათებელ ტიპს. ამ გზით მწერალი აშუქებს ამა თუ იმ პროცესს, რომელსაც განიცდის მთელი ხალხი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მომენტში“. (ქართველიშვილი, 1960, გვ. 75) ასეთ ნაწარმოებად თვლის კრიტიკოსი „განძს“. იგი მოთხრობის მთავარი იდეის (სიკეთისა და ბოროტების, სულიერისა და მატერიალურის დაპირისპირება) წარმოჩენით სწორად განსაზღვრავს მის თემას - როგორ აკარგვინებს პიროვნებას სულიერ წონასწორობას, ადამიანურ სახეს სიხარბე, სიმდიდრისადმი სწრაფვა. საკუთარი შეხედულების თანახმად, „ცისფერყანწელი“ ქალბატონი თხზულების მთავარ გმირად უბრალო, ღარიბი გლეხის გამოყვანის გამო მხატვრულ ალღოს უწონებს მწერალს. მისი თქმით, გმირის მარტივმა ბუნებამ საშუალება მისცა ავტორს მეტი დამაჯერებლობა მიეცა პიროვნებაში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური კონფლიქტისთვის. ლიახვის ხეობელთა მხატვრული მემკვიდრეა ფსიქოლოგიურ ნაწარმოებად მიიჩნევს „განძს“, რომელშიც ნაკლებად გვხვდება ფიზიკური მოძრაობა, მაგრამ მოცემულია ცენტრალურ პერსონაჟთა ისეთი მძაფრი განცდები და დამაბული სიტუაციები, რომ მას ნოველის ხასიათი ეძლევა. კრიტიკოსის მოსაზრებით, დემნა შენგელაია მოქმედი პირების სულის ლაბირინთებში იხედება, იქ პოულობს სარწმუნო მიზეზებსა და ფერებს მწვავე დრამატული კოლიზიის შესაქმნელად.

განძის მოულოდნელმა პოვნამ რადიკალურად შეცვალა მთავარი გმირის, საულის ბუნება. მან ინტერესი დაკარგა ყველაფრის, მათ შორის საყვარელი მეუღლის, ფუნდუსა და მომავალი შვილის მიმართაც. საულიამ მთელი იმედები ნაპოვნ ოქროზე დაამყარა. რეცენზენტის თქმით, საულიას ასეთი უეცარი ფერისცვალება გაუგებარი იქნებოდა, თუ არა გმირში ავტორის მიერ ჩადებული სხვა, ერთი

¹ იხ. „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“, გ. ჯავახიშვილი, 2001, გვ. 58-63. ელენე დარიანის არქივს ამშვენებს ლ. გუდიაშვილის მიერ ნაჩუქარი საკუთარი ნახატების ალბომი.

შეხედვით უმნიშვნელო სახასიათო ელემენტები, რომლებიც მკითხველს ამზადებენ მის ფსიქოლოგიაში ატეხილი მიმე კონფლიქტისთვის. კრიტიკოსი მახვილი თვალთ შენიშნავს - ცოლის მოსიყვარულე საულია ფუნდუს დახასიათებით, „უხეში და უხიაგიც“ იყო. კეთილშობილ გლეხში თითქოს სხვა პირიც სახლობს. ამ უცხო ადრე „ერთი მტკაველა მიწის გულისთვის მეზობელი სიცოცხლეს კინადამ გამოასალმა“. (ქართველიშვილი, 1960, გვ. 77) იგი საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ მისი სულის ფსკერზე „ყვითელმა ეშმაკმა“ მიძინებული მავნე ინსტიქტები აამოქმედა და მთლიანად დააუფლა გმირის არსებას. წერილის ავტორის სადი განსჯით, მეუღლის სულში გაღვიძებულ უკეთურ ძალას მწერალი ფუნდუს სიკეთის საწყისზე აღმოცენებულ წრფელ სულიერ ხედვას უპირისპირებს. პოეტი ქალი მომავალი დედის სიკვდილს განიცდის, მაგრამ ფაქტს არ თვლის მწერლური ზომიერების დალატად. მისი შეფასებით, მწერალმა სამართლიანი მსჯავრი დასდო სიმდიდრისაკენ მანიაკალურ სწრაფვას და „მხატვრული ძალღონით შეებრძოლა მას“ (ქართველიშვილი, 1960, გვ. 75), მოვლენათა ტრაგიკული განვითარებით გამოამყდავან ადამიანის ბუნებაში დაღეჩილი ბოროტების ძალა, რომელიც შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე იჩენს თავს. რეცენზენტი თუმცა ბოლომდე ვერ უვლის გვერდს საბჭოურ იდეოლოგიურ დოქტრინას, მაგრამ აღნიშნავს: ფინალში საულისაგან ოქროს კოლმეურნეობის კანტორაში მიტანა არა იმდენად ე.წ. კომუნისტური მორალით, გმირის გაახალადამიანებით, არამედ პერსონაჟის მიერ საკუთარ ქმედებებსა და ჩიხურ მდგომარეობაზე თვითჩაღრმავებითაა განპირობებული. იგი აღიარებს, რომ ფუნდუს უხეშად მოექცა (მან ჯერ არ იცის მისი სიკვდილის ამბავი), რომ ყოველგვარი საშუალება ამ „სიმდიდრის რეალიზაციისათვის წართმეული აქვს... ამას ვერავის ეტყვის და ვერავის ენდობა“. ამიტომ, ასკვნის კრიტიკოსი, „ჩვენს პირობებში ადამიანი იძულებულია განიტვირთოს მესაკუთრეობის ინსტიქტისაგან“. (ქართველიშვილი, 1960, გვ. 79)

ვფიქრობთ, ზემოთ განხილული მხატვრული პროზის ნიმუშები დღიურ-მემუარებთან, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებთან და ეპისტოლარულ მემკვიდრეობასთან ერთად, კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს ობიექტურ მკითხველს თუ მათი ავტორის სახით, რა დონისა და მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე შემოქმედ ქალბატონს ვიმეტებდით (და ახლაც ვიმეტებთ) დასავიწყებლად.

ბიბლიოგრაფია:

- ბერიშვილი, ე. (1922). თავად დარიანს. *ბახტრიონი* (24).
ელენე დარიანის არქივი. გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი. სოფ. პატარძელის.
 იაშვილი, პ. (1975). *პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები*. თბილისი.
 ოქროპირიძე, ზ. (2011). ზოგი რამ დარიანული ლექსების ავტორის შესახებ. *სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი: სამეცნიერო შრომების კრებული*. 2. თბილისი: უნივერსალი.
 ქართველიშვილი, ე. (1934). ნოველები. *მნათობი* (7-8).
 ქართველიშვილი, ე. (1957). ლადო გუდიაშვილი. *ლიტერატურული გაზეთი* (20).
 ქართველიშვილი, ე. (1960). დემნა შენგელაიას „განძი“. *მნათობი* (1).
 ჯავახიშვილი, გ. (2007). *ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე*. თბილისი.

Zurab Okropiridze

Gori State Teaching University

FROM THE PROSE AND CRITICAL-PUBLICISTIC THOUGHT OF ELENE KARTVELISHVILI RESUME

Elene Kartvelishvili's (Bakradze-Berishvili, pseudonym - Darian) prose also stands beside her highly artistic poetic creation: novels, short stories, as well as critical-publicistic writings, memoirs (An important part of the her literary heritage was first published by Professor Giorgi Javakhishvili with scientific analysis). Several novels and letters about issues of Georgian literature were published in poet's lifetime ("Mnatobi", 1934, N7-8; 1960, N1). The main topics of the prose texts are the heavy presence of peasants in Liakhvi Valley, strained social relationships and love in the rural areas. They make it clear that Elene Dariani is one of the most talented prose-writer who brilliantly knows current literary processes.

Keywords: Darian, Prose, Blue Horns, Liakhvi gorge, Eredvi, Peasantry.

Chaucer and the Misogynist Tradition in *The Canterbury Tales*

Abstract

There is no shortage of scholarly books and journal articles regarding women in *The Canterbury Tales*. While some of these works ask the question, “Was Chaucer a misogynist?” there is no convincing case for one answer or the other. This paper examines the evidence and invites the reader to join the conversation about the question. We start with the task of defining the term. What is the formal definition of the word “misogyny,” and how has that definition changed over time? Then we pose the question, “Was Chaucer a misogynist?” and look for evidence both for an affirmative answer and a negative answer. There is a substantial amount of evidence both in *The Canterbury Tales* itself and in the life and times during which Chaucer wrote the epic poem, and that evidence may be used to support either case. Our conclusion is that the answer to the question is found less in the evidence than in the interpretation of the evidence by the reader.

Keywords: Chaucer, Canterbury Tales, Misogyny.

The literature surrounding Geoffrey Chaucer’s treatment of women is abundant (Vaněčková, 2007; Wallace, 1992). Within that literature, we find a range of views. In this study, we draw on that range of the literature to examine questions of whether and to what extent Chaucer displays a bias against women.

Definitions

Manne (2017) differentiates between *misogyny* and *sexism*. Manne theorizes that *sexism* is an ideology, the belief that women are inherently inferior to men, and *misogyny* is the “police force” that enforces that ideology in the society, the system of patriarchy, or male dominance. Moreover, Manne suggests that misogyny is “context dependent,” that whether attitudes or behaviors are misogynist depends on the situation; i.e., a belief or action that may be considered misogynist in one situation may not be considered misogynist in a different context. As to the origins of the “police force” of misogyny, Manne writes, “I won’t be able to speak to the interesting anthropological question of why misogyny arose in the first place, and why it has persisted in so many times, places, and cultures” (p. 12).

Prior to the year 2002, the *Oxford English Dictionary* defined the word “misogyny” using the literal meaning from the Greek as “hatred of women.” In that year, the *OED* changed its definition to “hatred or dislike of, or prejudice against women” (Zimmer, 2014). Manne (2017) calls the traditional definition a “naïve conception” (p.18) and “It makes misogyny a virtually nonexistent and politically marginal phenomenon, as well as an inscrutable one” (p. 19).

For the purpose of this paper, we choose the latter, the 2014, *OED* definition, and we expand its application in literary analysis to two particular forms: (1) “active hostility toward women” and (2) “objectification of women.”

Active Hostility Toward Women

To fall into this category, a piece of writing would need to betray what Zimmer (2014) describes as a “pathological hatred” of women. Nowhere can we find a more vivid example of this than in the deranged Mr. Elliott Rodger, perpetrator of a 2014 “murderous rampage” in California, who wrote, “My hatred and rage towards all women festered inside me like a plague. Their very existence is the cause of all my torture, pain, and suffering throughout my life” (Zimmer, 2014, p. 1). We fail to find in *The Canterbury Tales* any evidence of overt examples of such hatred.

Objectification of Women.

This category “has more to do with ingrained prejudices against women than a pathological hatred of them” (Zimmer, 2014). In *The Knight’s Tale* Emelye is a beautiful object of the desire of cousins Palamon and Arcite (Hopper, 1970, pp. 55-196). There is little character development of Emelye; she remains principally an object in the tale while the male cousins are described in detail.

The Question

This paper poses the unresolved question, “Was Chaucer a misogynist?” While we may not provide a definitive answer to the question, we should look for clues in *The Canterbury Tales*, in the prologues and in the tales themselves.

Evidence for the Affirmative

Chaucer’s treatment of two women in particular give us clues as to his tendency to misogyny, Emelie in *The Knight’s Tale* and the Wife of Bath. These two women are shown to characterize the medieval stereotype of women (Rosen, 2016). The character of Emelie is an example of objectification, and the Wife of Bath sells her sex, albeit one at a time, mostly to old, rich husbands, by which means she herself grows rich (Lewis, 2019).

Writing of *The Canterbury Tales* as a whole, Gestsdóttir (2010) notes “that the female narrators and characters are representatives of women in that society, which was patriarchal and misogynist” (p. 1). It may be argued that all

writers are products of their times, and Chaucer, living in the late fourteenth century is no exception. He is, Gestsdóttir suggests, a product of his time and place. Whether the life and times caused Chaucer to be a misogynist, however, may be seen as a moot point. The question before us is not *how* Chaucer became, or did not become, a misogynist, but whether or not we can find evidence in his writings that he was or was not a misogynist.

Evidence for the Negative

Oberembt (1976) concludes that the Wife of Bath is—and, by extension, Chaucer is—anti-misogynist. Drawing extensively on the Bible, the Wife claims, “God placed Eve in the governance of Adam,” and Oberembt asserts, “Her anti-misogyny is, in effect, the frustration of God’s purpose” (p. 287). Similarly, Smith (2014) argues “The Wife of Bath is set far apart both [from] her fellow pilgrims as well as the women of Chaucer’s time with her distinctly matriarchal and feminist view points” (p. 76).

Van (1994) writes of the Wife of Bath, “...the *Prologue* is a brilliant shout in the street on behalf of women” (p. 179). Clearly, Van suggests that Chaucer is sensitive to the Wife’s situation: “The pairing of *Prologue* and *Tale* allows Chaucer to move us beyond gender antagonism to the theme of how to love well, for both *Prologue* and *Tale* close with hints about the need for an accommodation in human love strong enough to override the claims of eros and dominance” (p. 180). Hansen (1992) adds weight to the rejection of Chaucer as misogynist, writing about Chaucer’s treatment of the Wife of Bath with “empathy” and “understanding of feminine power” (p. 446).

Conclusion

Faced with such conflicting evidence, we turn to “reader response theory,” the idea that meaning in a text derives from the reaction of the reader to a particular text, perhaps more than the text itself. Two equally well qualified experts on Chaucer may well come away from *The Canterbury Tales* with quite different conclusions. For guidance in this area, we rely on Stanley Fish (1976).

We agree with Fish that, as he suggests with the sonnets of John Milton, and to paraphrase, the meaning in the works of Geoffrey Chaucer “are not meant to be solved but to be experienced,” and that “any procedure that attempts to determine which of a number of readings is correct will necessarily fail” (p. 465). This view is echoed in Gomes (2013): “Understanding how women lived and their role in society in the late fourteenth century is an ongoing task that raises many questions to which answers can never be definite. Historical evidence and the surviving literature from that time can give us the best guidance in such endeavor, even though one should be cautious when analyzing a body of literature which is mostly constituted by male authorship” (p. 1).

In the case of the Wife of Bath, in the General Prologue (Hopper, pp. 29-31), her Prologue (pp. 384-437), and her tale (pp. 438-465), one reader may find a body of evidence of Chaucer’s views, if not dispositive, then at least indicative.

References

- Fish, S. E. (1976). Interpreting the variorum. *Critical Inquiry*, 2(3), 465-485.
- Gestsdóttir, S. (2010). Chaucer’s female characters in *The Canterbury Tales*: Born to thralldom and penance, and to be under male governance. Retrieved from <https://skemman.is/bitstream/1946/4941/1/thesis.pdf>.
- Gomes, D. C. (2013). Chaucer’s Wife of Bath and the re-invention of women in the late 14th Century. Copenhagen: University of Copenhagen.
- Hansen, E. T. (1992). *Chaucer and the fictions of gender*. Berkeley: University of California Press.
- Hopper, V. F. (1970). *Chaucer’s Canterbury Tales (Selected): An interlinear translation*. New York: Barron’s.
- Lewis, J. J. (2019). Is the Wife of Bath a Feminist Character? Retrieved from <https://www.thoughtco.com/the-wife-of-bath-feminist-character-3529685>.
- Manne, K. (2017). *Down girl: The logic of misogyny*. New York: Oxford University Press.
- Oberembt, K. J. (1976), Chaucer’s anti-misogynist Wife of Bath. *The Chaucer Review*, 10(4), 287-302.
- Rosen, B. (2016). Misogyny in The Canterbury Tales. Retrieved from http://www.writersalon.com/literary_criticism/misogyny-in-the-canterbury-tales.
- Smith, T. J. (2014). The matriarch of Bath – Chaucer’s feminist insights. *International Journal of Literature and Arts* 2(3), 76-83. doi: 10.11648/j.ijla.20140203.14.
- Van, T. (1994). False Texts and Disappearing Women in the "Wife of Bath's Prologue and Tale". *The Chaucer Review*, 29(2), 179-193. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/25095883>
- Vaněčková, V. (2007). Women in Geoffrey Chaucer’s *The Canterbury Tales*: Woman as a narrator, woman in the narrative. Brno, Czech Republic: Masaryk University. Retrieved from https://is.muni.cz/th/74590/ff_m/chaucer.pdf.
- Wallace, J. (1992). Review of *Chaucer and the fictions of gender* by E. T. Hansen (1992). Berkeley: University of California Press. Peregón.
- Zimmer, B. (2014). Misogyny: Does It Mean Hate or Bias? *The Wall Street Journal*. Retrieved from <https://www.wsj.com/articles/misogyny-has-its-meaning-shifted-1401490009>.

**გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ელექტრონული აკადემიური გამოცემა:
წინაპირობები და პერსპექტივები**

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე; სამეცნიერო ელექტრონული გამოცემა.

დღეისათვის უკვე აღიარებულია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ მეოცე საუკუნეში ეროვნული და მსოფლიო მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილების სინთეზის გზით შექმნა უნივერსალური პოეტური სამყარო, ხოლო როგორც ნოვატორმა და რეფორმატორმა, სათავე დაუდო თვისებრივად ახალ პოეტურ აზროვნებას და ენას, ახალ ქართულ ლექსს. სწორედ ამიტომ, გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ გასული საუკუნისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების მართებული გააზრება, არამედ, ზოგადად, ქართული სიტყვიერი კულტურის, როგორც ტექსტის ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე წაკითხვა.

თავის მხრივ, გასათვალისწინებელი ისიც, რომ კლასიკოსი მწერლის შემოქმედების სიღრმისეული წვდომა შეუძლებელია მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის გარეშე, რომელშიც აისახება წინარე თაობათა ცოდნა და გამოცდილებაც და მეცნიერების შესაბამისი სფეროს თანამედროვე მდგომარეობა და დონეც.

ამ პროცესებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ „კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ტექსტოლოგია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მისი უმნიშვნელოვანესი პროდუქტი - თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელიც თავს უყრის კლასიკოსთა ნაწერებს და აღჭურავს მას მრავალმხრივი სამეცნიერო აპარატით, ბევრად უფრო ამომწურავი და სრულყოფილი უნდა გახდეს, რომ შეძლოს სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექნოლოგიებით განებივრებული თანამედროვე მკითხველის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება“. (ნინიძე, 2016, გვ. 10-11)

რა წინაპირობები არსებობს გალაკტიონის ელექტრონული აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად? ან როგორია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ისტორია?

გალაკტიონის პირველი პოეტური ნაწარმოებები 1908 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული კი - 1914 წელს. პოეტმა სიცოცხლეში განახორციელა ცამეტი კრებულის, ოთხი რჩეულის და თხზულებათა რვატომეულის გამოცემა. 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან გალაკტიონმა რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, რომ მომზადებულიყო მისი თხზულებების აკადემიური გამოცემა. პოეტი ხშირად სტუმრობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და როგორც რ. კუსრაშვილი იხსენებს, გალაკტიონის „სანუკვარი ოცნება იყო, ერთად თავმოყრილი ენახა თავისი პოეზიის ტომეულები. ერთი სული ჰქონდა, ჩქარა დაგვეწყო მუშაობა მის შემოქმედებაზე. თავად დიდ დახმარებასაც გვპირდებოდა“. (კუსრაშვილი, 2002, გვ. 212)

გალაკტიონის 1956-1957 წლების უბის წიგნაკებში არაერთი ისეთი ჩანაწერია, რომლებიც ამ მოგონებას ადასტურებს და გვარწმუნებს, თუ როგორ ჩქარობდა პოეტი აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დაწყებას:

„შევუდგეთ აკადემიური გამოცემის ამზავს“.

„აკადემიური გამოცემის შესახებ: 1. წინასწარ დავათვალიერეთ ტექსტოლოგიის მომუშავეთა ოთახები. მეუბნებიან: დავამთავრებთ აკაკისა და ილიას ტომების გამოცემას და შემდეგ შევუდგებითო (ამ კარადებში), დავალაგებთ შენს ნაწერებს აკადემიური გამოცემისათვისო“.

„ვიყავი აკადემიაში - შევატანიინე წინადადება მუზეუმის შესახებ. გეგმაში შეაქვთ: აკადემიური გამოცემა“.

„დიმიტრი ბენაშვილი ხელმძღვანელობს ჩემს I ტ. აკადემიურ გამოცემას. თუ?“.

„აკადემიური გამოცემის პრობლემა“.

„ქრონიკა აკადემიური გამომცემლობის შესახებ... სრული აკადემიური კრებული“.

აკადემიური გამოცემისა და არა აკადემიურის გამოცემის ყველა მასალები დაგროვდება აქ...“.

სამწუხაროდ, გალაკტიონის სიცოცხლეში აკადემიური გამოცემის მომზადების პროცესის დაწყება ვერ მოხერხდა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივის ძირითადი ნაწილი გადაეცა ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება აკადემიურ თორმეტტომეულზე მუშაობა.

როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძის არქივი მასალის სიუხვით აღმატება ყველა სხვა მწერლის არქივს, რაც თავის მხრივ, სირთულედ იქცა აკადემიური გამოცემის მომზადებისას: „ლიტერატურის მუზეუმში მისულთ, როდესაც გალაკტიონის არქივი გვაჩვენეს, საოცარი სურათი წარმოგვიდგა - მთელი მასალა უწესრიგოდ ეყარა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ტომებში და ყუთებში. ერთმანეთში არეული იყო ლექსები, მათი ნაწილები, ცალ-ცალკე გვერდები, ჩანაწერები...“ (კუსრაშვილი, 2002, გვ. 212)

ამ არქივის ნებადართული ნაწილის დამუშავების, გალაკტიონის თხზულებათა გამოცემების შესწავლისა და პერიოდული პრესის მონაცემთა გათვალისწინებით პოეტის აკადემიურ თორმეტტომეულზე მუშაობა გაგრძელდა და 1966-1972 წლებში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მიერ მომზადებული გ. ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეული გამოქვეყნდა. თხზულებათა ტომეულის პირველი-მეშვიდე ტომები მოიცავს ლექსებს, მერვე-მეთერთმეტე ტომები - პოემებს, ხოლო მეთორმეტე ტომში შეტანილია პოეტის ლიტერატურული წერილები, მიმოწერა, დღიურები და სხვადასხვა სახის ჩანაწერები.

გალაკტიონის აკადემიურ თორმეტტომეულზე მუშაობდნენ: ი. ლორთქიფანიძე, ც. კალაძე, ც. ყიფშიძე, ლ. სანაძე, ლ. მეგრელიშვილი, რ. კუსრაშვილი, ე. შარაშენიძე, ლ. ჭრელაშვილი, მ. ჭყონია და სხვები.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა რომ სრულად არ ასახავდა პოეტის შემოქმედების სურათს, ეს თორმეტტომეულის პირველი ტომის წინათქმაშივე მიუთითა იოსებ ლორთქიფანიძემ: „გ. ტაბიძის არქივი ჯერ საბოლოოდ მოწესრიგებული არ არის. მოსალოდნელია, პოეტის ნაწერები კიდევ აღმოჩნდეს როგორც არქივში, ისე კერძო პირთა ხელში. ყოველივე ამის გამო წინამდებარე თხზულებათა აკადემიურ გამოცემას აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არა აქვს“. (ტაბიძე, 1966, გვ. 8)

ის, რომ თორმეტტომეულში მითითებული და ასახული თხზულებათა ვარიანტები არასრულია, ათწლეულების შემდეგ აკადემიური გამოცემის ერთ-ერთმა მომზადებელმა ასე ახსნა: „გალაკტიონის არქივზე (და შემდეგ, ტომებზე) მუშაობა ადვილი არ იყო, როგორც ზოგს ეგონა და ახლაც ჰგონია. ჩვენმა დიდმა მონდომებამ და ენთუზიაზმმა, ავად თუ კარგად, დაძლია ეს ურთულესი საქმე. ახდა დიდი პოეტის ოცნება - მკითხველთა ფართო საზოგადოებამ მიიღო მისი თხზულებათა აკადემიური გამოცემა. **თუმცა რაღა აკადემიური ეთქმოდა, იმდენი მასალა ამოიღო საბჭოთა ცენზურამ აკადემიურად მომზადებული ტომებიდან!**“ (კუსრაშვილი, 2002, გვ. 214)

როგორც ოდნავ მოგვიანებით გაირკვა, მხოლოდ ეს არ ყოფილა გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემისათვის დამახასიათებელი ძირითადი ხარვეზები. თხზულებათა თორმეტტომეულის გამოქვეყნებას არაერთი გამომხმაურება, რეცენზია და კრიტიკული წერილი მოჰყვა. 1966 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა შალვა ალხაზიშვილის სტატია „უმეცრება თუ დაუდევრობა?“. ავტორი აღნიშნავს, რომ კომენტარები და შენიშვნები, რომლებიც ახლავს აკადემიურ თორმეტტომეულში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს „იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეტად დაბალ დონეზეა შესრულებული“. (ალხაზიშვილი, 1966, გვ. 192) სტატიაში მოტანილი და განხილული მაგალითების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა: „კომენტარებში მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის შეცდომამა დაშვებული. მაგრამ თუ კომენტატორი ლიტერატურულ და ისტორიულ საკითხებში ძნელად ერკვევა, ხომ უნდა ერკვეოდეს პოლიტიკურ ისტორიაში მაინც, მეტადრე უკანასკნელი დროის ისტორიაში. აქაც უნუგეშო მდგომარეობა“. (ალხაზიშვილი, 1966, გვ. 192)

1967 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ზაზა იამანიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა რევაზ თვარაძის სტატია „ლექსის ბედი“. ავტორი მიუთითებდა, რომ გ. ტაბიძის აკადემიურ თორმეტტომეულის სხვადასხვა ტომებში დაბეჭდილი იყო ერთი და იგივე ლექსები, ოღონდ განსხვავებული სათაურით, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთსა და იმავე ტომში ერთი ნაწარმოები ორჯერ ქვეყნდებოდა, ამჯერადაც სხვადასხვა სახელწოდებით. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე აჩენდა აზრს, რომ აკადემიური გამოცემის შემდგენლები ვერ ცნობდნენ პოეტის ნაწარმოებებს. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეულის პირველსა და მეორე ტომებში დაშვებულ შეცდომათა სიმრავლის გამო მათი აღნუსხვა მომავლის საქმეა. წერილი ამ სიტყვებით სრულდება: „პოეტის (მით უმეტეს - გალაკტიონ ტაბიძის!) თხზულებათა გამოცემა თავმომაბურებელი და ილაჯგამწყვეტი საკანცელარიო სამუშაო კი არ უნდა იყოს მხოლოდ, - ამ საქმის მტვირთველს უნდა

ამაღლებდეს, გემოვნებას უზვეწდეს და პოეტური ნაწარმოების ესთეტიკურად მრავალგზის აღქმის ხალისს არ უკარგავდეს“. (იამანიძე, 1967)

გალაკტიონის თორმეტტომეულის გამოცემა 1975 წელს დასრულდა, თუმცა აკადემიური გამოცემის ხარვეზებზე საუბარი არ შეწყვეტილა. სამეცნიერო სტატიებიდან, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ მსჯელობამ იუმორისტული ჟურნალის, „ნიანგის“ ფურცლებზე გადაინაცვლა. 1983 წელს პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ ფსევდონიმით ტია-ტია გამოაქვეყნა „კომენტარები გალაკტიონ ტაბიძის მე-13 ტომისათვის შედგენილი მე-12 ტომის კომენტატორთა მდიდარი გამოცდილების საფუძველზე“. (ტია-ტია, 1983) აქ სატირულ-იუმორისტული ფორმით წარმოდგენილი იყო ყველა ის კურიოზული შემთხვევა, რაც აკადემიური თორმეტტომეულის კომენტარებს ახასიათებდა.

გალაკტიონოლოგიის თანამედროვე მიღწევებიდან, მისი თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე აკადემიური თორმეტტომეული ობიექტურად ასე შეიძლება შეფასდეს:

გ. ტაბიძის არსებული აკადემიური გამოცემა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, 60-70-იანი წლების მიჯნაზე განხორციელდა, თავისი დროისთვის გარკვეული თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა მრავალი ნაკლი ახასიათებდა და მათ შორის უმთავრესი -ძირითადი ტექსტები კვლავაც კონიუნქტურის გათვალისწინებით შეარჩიეს, რაც უცვლელად ტოვებდა და განამტკიცებდა კიდევ ოფიციალურ ვერსიას გალაკტიონზე, როგორც რევოლუციური წარსულის მქონე, კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლ პოეტზე. (ტაბიძე, 2016, გვ. 7-8)

გ. ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეულის საგამომცემლო კონცეფციის ძირითადი ნაკლი, რომლის თავიდან არიდება შეიძლებოდა, იყო ის, რომ გალაკტიონის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ერთი ნაწილი დაიბეჭდა გამოქვეყნებულ ტექსტებთან ერთად, ხოლო - დანარჩენი ცალკე - მეშვიდე ტომში. გალაკტიონს, როგორც მისი ბიოგრაფია, დღიურები თუ ჩანაწერები ცხადყოფს, ნაწარმოების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სირთულე არასოდეს შექმნია. ის ტექსტები, რომლებსაც პოეტი არ აქვეყნებდა, მის მიერ მიჩნეული იყო ან დაუსრულებლად ან კიდევ მხატვრული თვალსაზრისით არასრულყოფილად და სწორედ ამიტომ არიდებდა იგი თავს მათ გამოქვეყნებას. ამის გათვალისწინებით, გამართლებული არ იყო გამოუქვეყნებელი ტექსტების ერთი ნაწილის ტომებში შეტანა გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ერთად. ასევე უცნაური და გაურკვეველი ჩანს, ეს, მათ მიერ შერჩეული პრინციპი ბოლომდე რატომ არ განხორციელდა და გამოუქვეყნებელი ტექსტების ერთი ჯგუფისათვის რატომ გამოიყო ცალკე - მეშვიდე ტომი. ამ შერეული პრინციპის გამო, ერთი მხრივ, გაურკვეველი გახდა, რა გამოაქვეყნა პოეტმა სიცოცხლეში და რა არ გამოაქვეყნა, ხოლო მეორე მხრივ, პოეტის შემოქმედებითი განვითარების ხაზი გაბუნდოვანდა.

უკვე ნახსენები მეშვიდე ტომი სხვა უცნაურობითაც ხასიათდება. ვგულისხმობ შემდგენელთა მიერ ნაწარმოებების დაყოფას მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერის მასალად, „უკეთესი ლექსების“ ცალკე ბეჭდვას და დანარჩენის მოთავსებას განყოფილებაში „Varia“, დაუმთავრებელი ლექსებისა და თარგმანების განცალკევებით გადატანას. ამგვარი სუბიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას, ვფიქრობ, აჯობებდა, გამოუქვეყნებელი ლექსები, შემდგენლისდაგვარად, ქრონოლოგიურად განელაგებინათ. გარდა ამისა, ტომში შეტანილი მასალა არასრულია, რასაც ადასტურებს მისი მოცულობა. ტექსტებს აქ ეთმობა 195 გვერდი (გვ. 10-205), ხოლო გალაკტიონის საარქივო გამოცემის მერვე ტომში, სადაც სწორედ გამოუქვეყნებელი ლექსებია დაბეჭდილი, მასალის მოცულობა შეადგენს 685 გვერდს (გვ. 7-692).

2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაფუძნდა ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგი - გალაკტიონოლოგია და დაარსდა „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“, პოეტის შემოქმედების შესწავლას სისტემატური ხასიათი მიეცა. თანდათან აშკარა გახდა, რომ გალაკტიონის თხზულებათა კვლევა აკადემიურ თორმეტტომეულზე დაყრდნობით შეუძლებელი ხდებოდა. მით უფრო, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ლიტერატურათმცოდნეობის პირველი რიგის ამოცანად იყო ქცეული საბჭოური იდეოლოგიური სტერეოტიპებისა და სქემებისაგან გათავისუფლება, რაც გალაკტიონთან მიმართებით გულისხმობდა მის გამოხსნას საბჭოთა კრიტიკის მიერ დამკვიდრებული ყალბი შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან, მისი პოეზიის დაბრუნებას რეალურ-ისტორიულ კონტექსტში.

გ. ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დაგეგმვის პერიოდში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ, უპირველეს ყოვლისა, გადაისინჯა პოეტის სიცოცხლეში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა: ლექსების პირველი კრებული (1914), „არტისტული ყვავილები“ (1919), „რჩეულები“ (1927, 1944, 1954, 1959) და თხზულებათა რვატომეული (1935-1957), რომლებშიც, როგორც

¹ რაც შეეხება საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ანტიტოტალიტარული ხასიათის ნაწარმოებებს, ე.წ. უჯრის ლექსებს, არც მათი დაბეჭდვა მიგვაჩნია მართებულად გამოქვეყნებული ლექსების გვერდით.

წესი, ტექნიკური ხარვეზებით, არასრულად, საბჭოთა პერიოდიდან კი - კონიუნქტურული სწორება-დამახინჯებებით არის დაბეჭდილი ტექსტები.

გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემის საგანგებოდ შესწავლის, მისი მომზადების პრინციპებზე დაკვირვების შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ თორმეტტომეული ტიპური საბჭოთა გამოცემა, ამჟამად სრულიად ამორტიზებული მეცნიერულადაც და მორალურადაც. როგორც ითქვა, გალაკტიონოლოგიის, როგორც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი დარგის განვითარება გადაუდებლად მოითხოვდა თვისებრივად ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებას, რომელშიც ტექსტები წარმოდგენილი იქნებოდა თავდაპირველი სახით, ავტორის ჩანაფიქრისა და შემოქმედებითი ნების სრული გათვალისწინებით, მეცნიერულად დადგენილი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

გალაკტიონის კვლევის ცენტრმა პოეტის ახალი აკადემიური თხუთმეტტომეულის მომზადება თეიმურაზ დოიაშვილის ხელმძღვანელობით 2014 წლიდან დაიწყო. 2016-2017 წლებში გამოქვეყნდა ახალი აკადემიური გამოცემის პირველი-ხუთი ტომი.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში გათვალისწინებული და გამოსწორებულია ყველა ის ხარვეზი, რაც წინარე გამოცემებს, განსაკუთრებით - აკადემიურ თორმეტტომეულს ახასიათებდა. კერძოდ:

1. ახალი აკადემიური გამოცემა, ზოგადად, აიგო დამკვიდრებული ქრონოლოგიურ-ჟანრობრივი პრინციპით (პოეზია, პროზა), მაგრამ პოეტური ჟანრები - ლირიკა და პოემები ერთმანეთისგან გამიჯნულ-მოწყვეტილი არ არის, როგორც ეს წინა აკადემიურ გამოცემაშია. ამას ორი მიზეზი აქვს:

ა) თითოეული ტომი გალაკტიონის შემოქმედებითი განვითარების გამოკვეთილ ეტაპს წარმოგვიდგენს, ლირიკისა და პოემების გვერდიგვერდ თანაარსებობა კი სრულ, ერთიან სურათს ქმნის;

ბ) გალაკტიონი ეპიკოსი პოეტი არ ყოფილა, მისი ე.წ. პოემები, როგორც წესი, ლირიკული ციკლებია, რომელთაც ძალიან მჭიდრო აზრობრივ-თემატური და ემოციურ-განწყობილებითი კავშირები აქვთ შესაბამისი პერიოდის ლირიკასთან. ლირიკისა და ე.წ. პოემების განცალკევებით დაბეჭდვისას ეს კავშირები შეუმჩნეველი რჩება არამცთუ მკითხველისთვის, მკვლევართათვისაც კი.

2. გალაკტიონის პირველი ორი წიგნი - „ლექსები“ (ქუთაისი, 1914) და „არტისტული ყვავილები“ (თბილისი, 1919) არ არის ჩვეულებრივი პოეტური კრებულები - ლექსთა უბრალო ნაკრები. თითოეული მათგანი, სიმბოლისტურ-მოდერნისტული ეპოქის ესთეტიკურ ტენდენციათა შესაბამისად, პოეტურ მთლიანობად იყო ჩაფიქრებული.

ამ ლექსების ნებისმიერი გადაადგილება, მათი თუნდაც ქრონოლოგიური პრინციპით დალაგება-გადანაწილება ანგრევს ამ წიგნების სტრუქტურულ მთლიანობას და უგულვებელყოფს ავტორის პირვანდელ ნებას. არსებულ აკადემიურ გამოცემაში ეს არ იყო შემჩნეული, გააზრებული და გათვალისწინებული - ლექსები მიმოფანტულია პირველ და მეორე ტომებში. ახალ აკადემიურ გამოცემაში პოეტის პირველი და მეორე წიგნები, როგორც სტრუქტურულ-ესთეტიკური მთლიანობანი, თავდაპირველი, ერთიანი სახით დაიბეჭდა.

იგივე უნდა ითქვას ოციან წლებში გამოქვეყნებულ „ას ლექსზე“ (ყ. „მნათობი“, 1925, №10). ლექსების დასახელებული სამი კრებული შესაბამის ტომებში წარმოდგენილია დაუშლელად, როგორც პოეტური მთლიანობანი.

3. წინა აკადემიური გამოცემის მთავარი ნაკლი, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი ტექსტის კონიუნქტურული შერჩევაა. ძირითად ტექსტად, ავტორის უკანასკნელი ნების არგუმენტის მოშველიებით, უმეტესწილად, აღებულია მოგვიანო, იდეოლოგიური მოსაზრებებით სახეცვლილი ვერსიები. ამის საპირისპიროდ, გ. ტაბიძის ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას შემდგენლები პრინციპულად მიმართავდნენ თავდაპირველ ტექსტებს, რომლებშიც ავტორის ჩანაფიქრი და ნება გაყალბებული არ არის.

4. ძველი აკადემიური თორმეტტომეულის მნიშვნელოვანი ხარვეზია მრავალი უზუსტობა და შეცდომა ლექსთა დათარიღებაში. ნაწარმოებების ქრონოლოგია, საერთოდ, გალაკტიონოლოგიის ურთულესი პრობლემაა, სადაც ფართო ასპარეზი აქვს თავად გალაკტიონისეულ მისტიფიკაციებს - ლექსების გადაადგილება-მოგზაურობას დროში კონტექსტის შეცვლის მიზნით. ახალ აკადემიურ გამოცემაში ეს რთული პრობლემა მოწესრიგდა თანამედროვე გალაკტიონოლოგიურ მიებათა პოზიტიური შედეგების სრული გათვალისწინებით.

5. კრიტიკას ვერ უძლებს აკადემიური თორმეტტომეულის სამეცნიერო აპარატი: შენიშვნები და კომენტარები ხშირად არამართო მექანიკური და ზედაპირულია, არამედ, რიგ შემთხვევებში, კურიოზულიც. ახალ აკადემიურ გამოცემაში სამეცნიერო აპარატი უშუალოდაა დაკავშირებული ტექსტთან, მის რეალიებთან, ავტორისეულ ჩანაფიქრსა და ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტთან. საჭიროების შემთხვევაში მითითებულია წყაროებიც ტექსტის გენეზისისა და ტიპოლოგიის შესახებ.

6. ძველი აკადემიური გამოცემის გადახედვამ გამოავლინა, რომ „პრემბულაში“ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, არ არის დაცული ავტორისეული პუნქტუაცია, რის გამოც, ნებისთ თუ უნებლიეთ, უგულებელყოფილია ის სასვენი ნიშნები, რომელთაც ემოციური მდგომარეობის ან მხატვრული ხერხის აქცენტირება ევალბათ. ტექსტები, განსაკუთრებით 10-20-იანი წლებისა, ნასწორებია ორთოგრაფიისა და გრამატიკის თანამედროვე ნორმების შესაბამისად, რაც შეუწყნარებელია აკადემიური გამოცემისათვის, რადგან ვეღარ იძლევა ზუსტ წარმოდგენას პოეტის ენაზე, როგორც ენის საერთო-ისტორიული პროცესის ფაქტზე.

ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას აღნუსხულ იქნა და გასწორდა ტექსტის დამახინჯების უამრავი შემთხვევა, რაც ავტოგრაფთა არასწორად ამოკითხვის, ან სულაც ტექსტში სუბიექტური, თვითნებური ჩარევის შედეგი იყო.

7. გალაკტიონის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა შეივსო ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოვლენილი, მანამდე უცნობი პოეტური ნაწარმოებებით და არსებული ტექსტების ახლად მიგნებული ვარიანტებით და რედაქციებით.

8. პოეტის ე.წ. პროზაულ კორპუსს – ჩანაწერებს და დღიურებს, რომელიც თორმეტტომეულში ერთ ტომად იყო წარმოდგენილი, ახალ აკადემიურ გამოცემაში ეთმობა ოთხი ტომი - დიდძალი საარქივო მასალის გადასინჯვის შედეგად შერჩეულია ლიტერატურულ-კულტურული ღირებულების ჩანაწერები, დღიურები და მემუარული ესკიზები, რასაც დაემატება ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ტექსტები აღჭურვილია სათანადო, სკრუპულოზური კომენტარებით.

გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ტომებში განლაგდა ქრონოლოგიური პრინციპით და ასეთი თანამიმდევრობით: **ტომი I** - ლექსები და პოემები (1908-1914); **ტომი II** - ლექსები (1915-1920); **ტომი III** - ლექსები და პოემები (1921-1927); **ტომი IV** - ლექსები და პოემა (1928-1931); **ტომი V** - ლექსები და პოემები (1932-1936); **ტომი VI** - ლექსები და პოემები (1937-1940); **ტომი VII** - ლექსები და პოემები (1941-1945); **ტომი VIII** - ლექსები და პოემები (1946-1952); **ტომი IX** - პოემა „მშვიდობის წიგნი“; **ტომი X** - ლექსები და პოემა (1953-1958); **ტომი XI-XII** - პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსები და პოემები; დაუმთავრებელი ტექსტები და სხვ. **ტომი XIII-XV** - პროზა: მხატვრული ესკიზები და მემუარული ჩანახატები, ლიტერატურული მანიფესტები და წერილები, ჩანაწერები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, დღიურები, პირადი წერილები.

გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური გამოცემა მომზადდა თვისებრივად ახალ კონცეპტუალურ საფუძველზე, გალაკტიონოლოგიისა და ტექსტოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა დონეზე.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ტექსტები - განწმენდილი იდეოლოგიური მინარევებისა და სხვა სახის მცდარობა-დამახინჯებათაგან, მეცნიერულ-კრიტიკულად შესწავლილი ნაწარმოებები და მათი ვარიანტები მკვლევართათვის მყარი დასაყრდენი გახდება მეოცე საუკუნის უპირველესი ლირიკოსის შემოქმედებით პროცესზე დასაკვირვებლად, ზოგადად, მისი შემოქმედებითი ევოლუციის გააზრებისათვის, ხოლო სამეცნიერო აპარატი სათანადო ინფორმაციას მიაწვდის ნაწარმოებთა ტექსტის ისტორიის, ტექსტთან დაკავშირებული რეალიების, ისტორიულ-კულტურული საკითხების შესახებ.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის სახით სამეცნიერო-ლიტერატურულმა საზოგადოებამ მიიღო ისეთი ხარისხის სანდო, მთლიან კორპუსი, რომელიც, ერთი მხრით, სტიმულს მისცემს გალაკტიონოლოგიური კვლევების სწორი მიმართულებით წარმართვას, მეორე მხრით კი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გალაკტიონის შემოქმედებითი ევოლუციის რეალური სურათის დამკვიდრებას. წმინდა სამეცნიერო-ტექსტოლოგიური პრობლემების გადაჭრასთან ერთად, გალაკტიონის პოეზია ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსცილდება ყალბ საბჭოურ-კონიუნქტურულ კონტექსტს და თავის ჭეშმარიტ კონტექსტუალურ სივრცეში – ქართული კლასიკური მწერლობისა და ევროპული (დასავლური) ლიტერატურის კულტურულ სივრცეში გადაინაცვლებს.

გალაკტიონ ტაბიძის აკადემიურ თხზულებებზე მუშაობა გრძელდება. პარალელურად, თანამედროვე ტექსტოლოგთა წინაშე ახალი ამოცანაა: უნდა მომზადდეს გალაკტიონ ტაბიძის ელექტრონული აკადემიური გამოცემა. საამისოდ თითქმის ყოველგვარი წინაპირობაა შექმნილი. ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის უპირველესი ლირიკოსის თხზულებათა ელექტრონული გამოცემის მომზადება მისი შემოქმედების კვლევისათვის აუცილებლობას წამოადგენს, მით უფრო, რომ სხვა ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს ამგვარი, ელექტრონული აკადემიური გამოცემების გამოცდილება.

ბიბლიოგრაფია:

- ალხაზიშვილი, შ. (1966). უმეცრება თუ დაუდევრობა? *მნათობი* (6).
- იამანიძე, ზ. (1967). ლექსის ბედი. *ლიტერატურული საქართველო* (52).
- კუსრაშვილი, რ. (2002). როგორ ვმუშაობდით გალაკტიონის არქივზე. *გალაკტიონოლოგია* (1).
- ნინიძე, მ. (2016). *კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა*. თბილისი.
- ტაბიძე, გ. (1966). *თხზულებანი თორმეტ ტომად* (ტ. 1). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ტაბიძე, გ. (2016). *თხზულებანი თხუთმეტ ტომად* (ტ. 1). თბილისი.
- ტია-ტია. (1983). კომენტარები გალაკტიონ ტაბიძის მე-13 ტომისათვის შედგენილი მე-12 ტომის კომენტატორთა მდიდარი გამოცდილების საფუძველზე. *ნიაზგი* (2).

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

SCOLARLY ELECTRONIC EDITION OF GALAKTION TABIDZE'S WORKS: PREREQUISITES AND PERSPECTIVES RESUME

Galaktion Tabidze created in the 20th century a universal poetic world by means of a fusion of the artistic and aesthetic experience of the nation and the whole world. As an innovator and reformer, he laid the foundation of a qualitatively new poetic thinking and language and new Georgian verse. That is why it is effectively impossible to not only correctly understand the literary process in the past and current centuries, but also the Georgian verbal culture as a text on the level of modern requirements of literary criticism without fundamental scientific research into G. Tabidze's literary legacy.

It is impossible to gain deep understanding of a classic writer's creation without access to an academic edition of his works, because such editions reflect the knowledge and experience of previous generations as well as the current state and level of development of the appropriate field of science.

The new academic edition of G. Tabidze's works is prepared on a qualitatively new conceptual basis and on the level of modern achievements of Galaktionology and textual criticism. Texts and their versions studied on the scientific level and cleaned of ideological admixtures and other types of mistakes and distortions became a firm basis for researchers working on the great poet's creative process. They will enable researchers to understand his creative evolution. In the meantime, the scientific apparatus provides them with appropriate information on the history of the text, the reality linked to it, and other historic and cultural issues.

Keywords: Galaktion Tabidze; Scholarly electronic edition.

ლუარა სორდია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვინც გრიგალების სიმღერებს მოჰყვა“ სახისმეტყველების ერთი ასპექტი ნიკო სამადაშვილის პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: პოეზია, ქარი, ბიბლია, ლიტერატურა.

ქართ დანტერესებას იჩენდა ბიბლია, ფილოსოფია, ლიტერატურა. ეს ცნება ყოველთვის იძლეოდა მრავალმნიშვნელოვანი გააზრების საფუძველს.

ჯერ კიდევ ინდოელთა ფილოსოფიაში ქარი ოთხი მთავარი ელემენტის შემადგენელი ნაწილი იყო მიწასთან, წყალთან, ცეცხლთან და მიიჩნეოდა სამყაროს მამოძრავებელ ძალად.

ინდური მოძღვრების მიხედვით, თვით სამყაროა გრიგალივით მოძრავი და ეს გრიგალია აქტიურობა, აზროვნება, ღმერთით გაპირობებული გონიერი მისწრაფება.

სული წარმოდგინათ, როგორც ფრინველი, წერო, გრიგალი, ცეცხლებრივი სუნთქვა, ნაკვერჩხალი, აჩრდილი. (ნოზადე, 1963, გვ. 322, 335)

„ანტიკის ხელოვანთა ნაწარმოებებში გრილი ნიავი გაპიროვნებული იყო და მისი სახით რომელიღაც სილფს (ქალს) ეთაყვანებოდნენ.

ოვიდიუსი ასე მოუხმობს ნიავს მეტამორფოზებში: „აურა... მოდი... ნიავო ჩემო, გამაგრილე, ჩამიკარ გულში“. (ლესინგი, 1986, გვ. 79)

ნიცშე ქარს ადარებს ზარატურტრას: „ძლიერი ქარია ზარატურტრა ყველა დაბლობთან“. (ნიცშე, 1993, გვ. 77)

ცოდვების ზღვაზე ამალეებული ზარატურტრა დაჰქრის სამხრეთის ქარივით: „თბილ ზღვებზე დავექრვიარ, როგორც მძიმე სამხრეთის ქარი“. (ნიცშე, 1993, გვ. 133)

ნიცშესთან ქარიშხალი სულია, რომელიც აღელვებულ ზღვაზე ცოდვებს ამარცხებს: „ქარიშხლით, რომლის სახელი სულია, დაგბერე შენს აღელვებულ ზღვას, განვაბნიე ყოველი ღრუბელი შენ ზედა, დავარჩვე თვით მახრჩობელა, რომელსაც ცოდვა ეწოდების“. (ნიცშე, 1993, გვ. 169)

„ესე იტყოდა ზარატურტრას“ ავტორი აცხადებს: „კურთხეული იყოს ეს კეთილი... ველური, ლაღი ქარიშხლის სული“. (ნიცშე, 1993, გვ. 219)

ნიცშესთან ყურადღებას იქცევს „მოლაპარაკე“ ქარი: „ქარი შემოიჭრა გასაღების ხვრელში და მითხრა: „წამოდი“. (ნიცშე, 1993, გვ. 123)

ასევე, აქცენტირებულია კეთილის მაუწყებელი მომავლის ქარები: „მომავლით იძვრიან ქარნი ფრთების იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება“. (ნიცშე, 1993, გვ. 63)

გალაკტიონის მიხედვით, პოეტის სული „გრიგალია, შერყევა“, პოეტების მეფე ქარია: „ეს მე ვარ ქარი“, ასევე, ის არის „ქარული“: „ვიცი, რადა ვარ ასე ქარული“. (დადგა აგვისტო) (ტაბიძე, რჩეული, 1977, გვ. 380)

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში „დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“, ქარია მისი „ცხოვრების ღერძი“, „ქარები სულში მღერაინ“.

კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობის“ მიხედვით, „ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“.

მიხეილ ჯავახიშვილის მიხედვით, „მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყნარა“ (როგორ იწერებოდა არსენა მარაბდელი).

უოტ უიტმენი მიმართავდა ქარებს: „მე თქვენთან ვრბოდი მძლავრო ქარებო, ზვირთებთან ერთად ვესალბუნე ზღვების ნაპირებს“. (მისალმება სამყაროსადმი) (უიტმენი, 1966, გვ. 13)

შარლ ბოდლერის პოეზიაში „პოეტი ღრუბლებს მბრძანებლობს და გრიგალთან ღამეს ათენებს“. (ალბატროსი) (ფრანგი პოეტები, 1984, გვ. 56)

ვაჟა-ფშაველას „უიღბლო იღბლიანის“ პერსონაჟი საბრალო მთის ქარია.

„დაჩაგრულ მესტვირეში“ ვაჟას სტვირის ხმა არის „ვით მთის ნიავი“.

„მთათა ერთობაში“ ნიავი მთის შვილია, მთის შიკრიკი.

პოემაში „სული ობლისა“ ობლის სული ჰაერში მყოფი უსახო ჰაერია: „ობლის სული ჰაერად იყო ჰაერში, სახე არ ებედებოდა“.

ბიბლიაში ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანის გაცოცხლება მასში ქარის, ნიავის შთაბერვად მოიაზრებოდა, ხოლო სახარებაში შთაგონების მომნიჭებელი სამების მესამე წევრის – სულიწმინდის მოვლინება გაიგივებული იყო ნიავის დაბერვასთან.

ასეთ ჭრილში გაგებული ქარი გვხვდება სასულიერო პოეზიაში „საღმრთო ნიავის“ სახით (ბასილი, გალობანი ეფთვიმი მთაწმინდელისანი). (ჩვენი საუნჯე, 1960, გვ. 508)

გალაკტიონის შემოქმედებაში ოცნებას, პოეზიას პირდაპირ უკავშირდება ქარის დაბერვა: „დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანქარა“, „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი... ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები), „... ჩემი ლურჯა ცხენები ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“ (ეფემერა).

ასეთივე გაგებისაა ტერენტი გრანელის „უხილავი ქარები“.

ამ ასპექტში უნდა მოვიაზროთ აკაკი წერეთლის „სულიკოს“ მახარობელი ნიავი.

„ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა“.

ამ „სულს“ სულიწმინდად მიიჩნევს ზვიად გამსახურდია და აღნიშნავს, რომ ტერმინები: „ბერვა, შთაბერვა“, „მობერვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულიწმინდასთან დაკავშირებით.

ვ. ლოსკი იმეორებს ნაზიანზელს, რომელიც ამბობს სულიწმინდაზე, რომ „ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“.

„ექვგარეშეა, რომ „ბერვა“ დაკავშირებულია ძველი აღთქმის შესაქმისას სულის „შთაბერვასთან“ (შესაქმე, 11,7).

„ამასვე უკავშირდება ისიც, რომ „მოციქულთა საქმეში“ სულიწმინდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“. „ახალ აღთქმაში ქრისტე არის „მომბერი“ სულისა, აღნიშნავს ზვიად გამსახურდია, ... იოანეს სახარებაში, აღდგომის შემდგომ მაცხოვარმა მოწაფეებს „შეჰბერა და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაი“ (იოანე, 2,20).

ზვიად გამსახურდია აქცენტს უკეთებს დიონისე არეოპაგელის შრომების იგივე ტერმინებს: „სადმროთ მობერვა“ და „მღვდელმთავრობითი მობერვა“ და „მობერვას“ უკავშირებს სულიწმინდას. (გამსახურდია, 1984, გვ. 190)

„სადმროთ სულითაა გაპირობებული „ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“, წერს გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის) კომენტარებში გაიგივებულია „სული მობერვა, შთაგონება. (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, გვ. 60)

ნიჭთა და მადლთა გამნაწილებელი არის სულიწმინდა (პავლე მოციქული, კორინთელთა (ახალი აღთქმის მიხედვით 12,7-11) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 374)

ვაჟა ფშაველას „ბუნების მგოსნებაში“ სულიწმინდა ჰაერთან შეზავებლად წარმოდგება.

მის „ქებათ ქებაშიც“ სულიწმინდის პერსონიფიკაცია ნიავია: „ნიავიც მიდუღუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასის წლის წინადა“.

შთაგონების ქარების მოკლინებაზე მრავალგზის კეთდება აქცენტი ანა კალანდაძის პოეზიაში.

„წარუვალის და მარადქარულის“ „სახით ეცხადება პოეტს შთაგონების, ნიჭის მომმადლებული სულიწმინდა: „მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარადქარული, მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი, შენთა პალატთა, ო, სიხარულო“ (მომიცავს იგი).

„ქართ მიმობერვის“ ანუ მუხის წყალობისთვის აუცილებელია „სუფთა თვალები“, სუფთა სული: „ცას სუფთა თვალთ უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭკრეტდეთ ქართ მიმობერვას“ (გვეამაყება).

ანა კალანდაძე განუმეორებელი სახეებით განგვაცდევინებს თავის შინა სამყაროში „ძლიერ ქართა“ დამკვიდრებას, რაც სამეუფო ლუსკუმის გახსნის, „დაუმრეტელი ცეცხლის“ (ღმერთის) მოვლინების ტოლფარდია და სიკვდილის დამმარცხებელი: „გადავივიწყე ქვეყნად სიკვდილი... გავხსენ ლუსკუმა მე სამეუფო, ქართა ძლიერთა გულისმიერი, მეუფლა ცეცხლი დაუმრეტელი“ (აჰა, გვირგვინი ვარდის შტოთაგან).

ამ საღვთო მობერვის მიზანია სიყვარულის მსახურების მისიის განხორციელება მხატვრული სიტყვით: „იალაღებით მობერილ ვარ სიყვარულისად“ (გამომეცხადა რჩეული ჩემი).

პოეტი ქალი ეთაყვანება „ამაყ, მაღალ ქარიშხლებს“, უსაზღვრობას.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ქარი მრავალნაირ ჭრილში მოიაზრება, მისი ფილოსოფიური ლექსი „მარად“ ეხმიანება ინდურ მოძღვრებას: „... პლანეტის უკან ქარბუქი მღერის, დასაბამიდან, სულ გამუდმებით“. (სამადაშვილი, პოეზია, 2010, გვ. 131)

ქარის ერთ-ერთი მნიშვნელობა შთაგონების მომნიჭებელ სულიწმინდას უკავშირდება.

„ფერისცვალების“ ავტორის შემოქმედებაში ერთდროულად გვხვდება „ზენა ქარი“ და „საწუთროს ქარი“. პირველი შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის მოვლინების მაცნეა, მეორე – საწუთროს მნგრეველი ბოროტი ძალა: „შენ ზენა ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გავლიძებს გულის ტირილი, გახსოვს, საწუთროს ქარმა რომ უცბად განათებული ცა გადაგლიჯა“ (წაშლილი კვალი) (სამადაშვილი, პოეზია, 2010, გვ. 141)

ქარცემული პოეტის „ავადმყოფობა“ იყო ლექსები: „შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინას“, თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი, ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი“ (ბუღალტერ ნიკო სამადაშვილს პოეტ ნიკო სამადაშვილისგან თუ პირიქით) (სამადაშვილი, 2004, გვ. 105-106)

ლექსში „არავის ერჩის“ (სამადაშვილი, 2006, გვ. 41) ქარიშხლებთან ღამისმთევარი ბოგანო „მწუხარ არიას“ მღერის, მთებით, ლაჟვარდებით მოხიბლული, მამხალასავით ანთებული და ბეთხოვენის ჰანგების მომლოდინე: „ის ბოგანოა, ხვალ შემოივლის და გამაგონებს მწუხარ არიას... ვერ მიუხვდები: მთებმა მოხიბლეს, თუ ლაჟვარდების უცნაურობამ!!! ის ხან ღამეებს უთევს ქარიშხალს, ის ხან ანთია მამხალასავით და ხან ბინდივით ელის ბეთხოვენს“.

პოეტი ლოცვის მოთხოვნილებას გრძნობს, ქარი კი იმის ამხსნელია, რატომ ისმის სამარიდან ბეთხოვენის ხმა: „ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვისხამ ზამთრის ღამეში, გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვას მომთხოვენ. ქარი ამიხსნის: რო ყვირიან აქ, სამარეში, გიჟი ღმერთები დასევან საწყალ ბეთხოვენს“ (ქარების გაჯახუნება) (სამადაშვილი, 2006, გვ. 80)

„ქარის სიმღერის“ ლოდინია ლექსში „ხეებთან“ (სამადაშვილი, 2006, გვ. 47): „მელოდებოდი ფოთლებთან ერთად, თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს, თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას და წუთისოფელს სულ ხმაგაკმენდილს“.

შემოქმედებით პროცესზე მიგვანიშნებს „ჰანგების დაფნა, შთაგონების ყრუ აგარაკი, ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, ყვავილთა მწუხრი, სიზმრები, ქარის ბალადა, განგების ჩრდილი, ლოცვა, ქარი, სიჩუმე, ქუხილი, ლაჟვარდების გაგიჟება“, რაც ლექსებით სრულდება: „...გადმოვარდება მალღობიდან ღრმა მდუმარება, ბუჩქებთან ქარში დაიბუდებს ჩემი სიჩუმე. თბილისი სადღაც დაიქუხებს, გაავდარდება და ლაჟვარდების გაგიჟებას ლექსებს აჩუქებს“ (სტვენა თბილისამდე) (სამადაშვილი, 2004, გვ. 6)

ქარის-შთაგონების მოვლინებას უკავშირებს „ზღაპრებს“ – მხატვრული გამოწვინი: „...მიყურებს ქარი. ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპრებს“ (მოკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს) (სამადაშვილი, 2004, გვ. 124-125)

მუხის სტუმრობას გვაუწყებს ქარში ხეზე „დამსხდარი“ ლექსები: „...როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები“ (მე ვიცი) (სამადაშვილი, 2004, გვ. 231)

ასეთივე ჩანაფიქრის მატარებელია „ხმაჩახლეჩილი ქარის სიმღერა“ (მომენატრება სიცოცხლე ძვირი) (სამადაშვილი, 2004, გვ. 118), „სიოს არაკი“ (აგარაკი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 67)

სულში „ზენა ქარი“ (შთაგონება) ჩაბუდებოდა, ღამე ნაკადულს ესაუბრებოდა, (ნაკადული საღმრთო სახელია), მაგრამ „საწუთროს ქარი განათებულ ცას“ ემტერებოდა და პოტს ამქვეყნად მოვლინების აზრს აძებნიდა: „შენ ზენა ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გაღვიძებს გულის ტირილი. ღამე ნაკადულს ესაუბრები და დილით მიხვალ ხმაჩაწყვეტილი. გახსოვს საწუთროს ქარმა რომ უცებ განათებული ცაა გადაგლიჯა... დარდი: დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხეტე?“ (წარსულის კვალი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 79)

პოეტი ებრძოდა „ავყია ქარებს“, ამავე დროს გვევლინებოდა, როგორც „ქარების მხედარი“: „მუხლი მწყდებოდა ქარების მხედარს“ (ის კიდევ წერდა ლექსებს) (სამადაშვილი, 2004, გვ. 126)

„ეს მე ვარ, ეს მე ვარ ქარი“, აცხადებდა გალაკტიონი.

ნიკო სამადაშვილი გვევლინება, როგორც „ქარბუქი“, თავისი გამორჩეული ნიჭით გასალკლდევებული, ქარბუქის ძალის: „...ბინდში ელავდნენ გრიგალებივით ბინდმორეული საფეხურები. სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები“, ნათქვამია „დაუსაზამობის ხილვაში“. (სამადაშვილი, 2004, გვ. 172-173)

ლექსში „გიშერი“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 45) ისევ პოეტია ქარბუქის ადრესატი: „...ამდამ ალბათ ნიკოც ილოთებს, კარს შემოაღებს, როგორც ქარბუქი“.

„ფერისცვალების“ ავტორისთვის ორგანულია „ქარის სიმღერა“, გრიგალივით დაუმარცხებელი პოეზიის შექმნა“. პოეტი მესამე პირით განგვაცდევინებს თავისი სტრიქონების ძალას: „... ვინც გრიგალების სიმღერებს მოჰყვა“ (მე ვიცი მხოლოდ შენი ნუგეში). (სამადაშვილი, 2004, გვ. 177)

გალაკტიონი იყო მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული ნიკო სამადაშვილის „მოსასხამი“ იყო ქარია. საოცარი ყოვლისშემძლეობის დასტურია მისი სტრიქონები: „მთვარეზე დავალ ჭადარივით ქარწამოსხმული“ (ჩუმი ფეხის ხმა მთვარისაკენ მარადისობის ნაკამარევი“. (სამადაშვილი, 2004, გვ. 143)

პოეტს „ზღაპრების დისკო, ფიქრების ჯანღი და ქარიშხლების ჯილაგი“ მოსდევს (გის ავტოპორტრეტი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 61)

„თამარის მღვიმეში“ (სამადაშვილი, 2010, გვ. 136) „ჰანგების დაფნა“, ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, ყვავილთა მწუხრი, სიზმრები, განგების ჩრდილი, „ქარის ბალადა“ აედევნება შთაგონებულ პოეტს.

ერთგან შთაგონება – „ქარი ბურტყუნებდა დედის ბალადას“, ხან კი მწირივით ყაყანებდა ხნიერ ცაცხვებზედ“ (მანიას მეუღლეს). (სამადაშვილი, 2004, გვ. 163)

მთვარე, შუქი, სისხლი, ქარში აგზნებაა პოეტის ხვედრი: „...თითქოს ქადაგად დავცემულიყავ საკუთარ ბედის ანთებულ ხატთან და ბნელ მთიების მამლის ყივილზე ავგზნებულიყავ ქარში თანდათან... სადღაც კიაფობს მთვარის ბულული, შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს. თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს“ (ქაოსებს შორის). (სამადაშვილი, 2004, გვ. 269)

ღამეებს, ბოროტ ქარიშხლებს დაცილებული, „ქარის მხედრად ქცეული პოეტი განთიადებს ეძებდა და ღვთისმშობლის სიბრალულს იძვიდა (ის კიდევ სწერდა ლექსებს). (სამადაშვილი, 2004, გვ. 26)

შავი ღამისგან, გრიგალისგან განშორებული, ლურჯ მინდვრებში დავანებული ყაჩაღივით მღვიმარე პოეტი ბედუინის სულში პალმა (სიცოცხლის ხის სიმბოლოა) შრიალებდა „გრიგალებს სძინავთ... იმღერე, დროა, პალმა შრიალებს, და ყაჩაღივით სძინავს ბედუინს“ (პალმებთან). (სამადაშვილი, 2010, გვ. 74)

სამყაროს, არსებულის გაღმა გაღწევის იმპულსი იყო მწვანე სიზმარი, ქუხილის შუქი, ქარი, აფრა (სულიწმინდა): „...გულზე ხავსივით მწვანე სიზმარი... ქუხილის შუქი... ქარი ნავიდან აგლეჯილ აფრებს მოაქვს და ტანზე ნელა გაფარებს... რა გენადვლება, შენს კარმიდამოს თრთვილივით ედოს პოეტის ნიჭი.

თუ უკვდავებამ სადმე მიკითხოს: „ნეტა სად არის ახლა ის ბიჭი?. მოუყევ; ქარებს გადაჰყვა ღამე, რაღაც საოცრად წაიმხედრულა, ორჯერ იკივლა სამყაროს გაღმა და უკან აღარ დაბრუნებულა“ (ღია ბარათი). (სამადაშვილი, 2010, გვ. 149-150)

ნიკო სამადაშვილი „გრიგალების სიმღერებს მოჰყვა“ (მე ვიცი მხოლოდ ჩემი ნუგეში). (სამადაშვილი, 2004, გვ. 177)

პოეტი ხან ქარის თანამგზავრია, ხან „ქარების მხედარა“, ხან „სულში ღვივდება ქარების თესლი“ (მზრუნველი თვალი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 11)

„ის ყურს უგდებდა ქარის სიმღერას“ (ხეებთან) (სამადაშვილი, 2004, გვ. 47), „ქარბუქში... სიცოცხლის აზრს“ ეძებდა (გათხრები). (სამადაშვილი, 2006, გვ. 85)

პოეტს „ქარიშხლების ჯილაგი“ მოსდევს. შემოხვევია „ხმაჩახლეჩილი ქარის სიმღერა“ (მომენატრება სიცოცხლე ძვირი), „ქართან შრიალებს... კამკამა ცრემლები“ (წარწერა).

ნიკო სამადაშვილი „იდუმალ ზარებს“ რეკავდა (სიზმრების ნაღვერდალი) (სამადაშვილი, 2004, გვ. 149), „ქარის ბალადას“ ქმნიდა (თამარის მღვიმე) „სიოს არაკს“ უსმენდა, „ჯოჯოხეთის პირქარ ქროლას“, ქვესკნელს თვალს უსწორებდა, „ქარშემოილი ღამეებს“, „ბნელ გრიგალებს“ არ უმინდებოდა, მისტერიები „ამორძალებად“ დაჰყვებოდნენ.

თვით პოეტი იყო „ლოცვებით მთვრალი“ „ქარბუქი“, რომელიც „ლექებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები“ (დაუსაბამობის ხილვა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 142-173)

მაგრამ ტანჯავდა შეუცნობლობა, დაუნახაობა, ირგვლივ გამეფებული უგულვებელყოფის დუმილი: „გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი, თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრების წარღვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი“ (სიმღერები გამოქვამულიდან). (სამადაშვილი, 2004, გვ. 258)

ქარის პერანგიანი არსება ისევ პოეტია, „ფიქრების წარღვნით“ გამორჩეული.

„ფერისცვალების ავტორს ესმოდა „უსასრულობის ქარბუქების ღმუილი“ (დამსაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს). (სამადაშვილი, 2010, გვ. 156)

ასტრალურ მოგზაურობას უკეთებს აქცენტს ლექსი „მარადისობის ნაკამარევი“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 143): „მთვარეზე დავალ ჭანდარივით ქარწამოსხმული“.

მშფოთვარე ქარს“ „მძლავრ ძმას“ უწოდებდა და ერთგულებას ეფიცებოდა გალაკტიონი (ზღაპრებიდან) (ტაბიძე, 1993, გვ. 173-174)

ლექსში „გზათ დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში (სამადაშვილი, 2004, გვ. 102) ქარი მიცვალებულის თანამგზავრია, რომელსაც ძმას უწოდებს ნიკო სამადაშვილი“. „...მარტო სწევს კუბოს გიჟი პოეტი, უკან ქარბუქი მიჰყვება ნელა. მე კი არავინ არ მიპატრონებს, შენ შემობრალე, ძმაო ქარბუქო“.

პოეტი ქვესკნელს თვალს არ არიდებდა, მაგრამ „ბნელ გრიგალებს წინ ეგდოთ, ქარებსაც შეეკრათ კრიჭა (უკუღმართობა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 256)

„მე ვიყავ ბედით გაოგნებული და ძვლებში მწარედ მივლიდა ქარი“, ნათქვამია ლექსში „ალიონამდე“. (სამადაშვილი, 2004, გვ. 60)

წუთისოფლის გრიგალები შიშს იწვევდა: „ჩვენ გვემინოდა ღია კარებთან აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების“ (ფილტვების სიყვითლე). (სამადაშვილი, 2010, გვ. 133)

ის „ბნელ გრიგალებს“ ვერ შერიგებოდა (გზათ – ვალალობა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 54-55)

„დაშლილ ტივს“ „ქარების ტაში“ მოსდევდა, „ვიღაც ხრჩოლავდა ქარში“ (სტრიქონების ქარაფი. ცილა თოფურიძეს). (სამადაშვილი, 2004, გვ. 69-70)

„ქარები სპობდნენ მისასვლელ ბილიკს“ (რას დაეძებდი, შე უბედურო) (სამადაშვილი, 2004, გვ. 28)

ქარები ემტერებოდნენ „მზის ლიანდაგს“.

„პოეტს ეჩვენება, რომ „ქარში ძაგმაგებს დაუმარხავი პოეტის გვამი“ (ჩაეფლათ მაინც). (სამადაშვილი, 2010, გვ. 147)

„ღრმა წყვდიადი და ქარამოტია“ ირგვლივ (სამადაშვილი, 2004, გვ. 161), ლაჟვარდის ველი ვერ იტევს „ნაქარევ ფოთლებს“ (თავის მინებება). (240)

„ჯოჯოხეთის პირქარში“ ბალდახინები, ფერადი ჭინკები, სულისშემხუთველი „მეძვივით დარია“ (დამშვიდობება და სინანული). (სამადაშვილი, 2010, გვ. 129)

„ქვენა ქარებით“ აბუჩად აგდებული პოეტი გოდებს: „როცა სადამო მოვა ხოლმე ქვენა ქარებით, თითქო ბედს ვყავდე აგებული ძალზე აბუჩად“ (სადამო და განწყობილება). (სამადაშვილი, 2006, გვ. 96-97)

„ორტოტა ქარის“ ვერაგობის მოლოდინია ლექსში „სინანული“ (სამადაშვილი, 2006, გვ. 111): „ორტოტა ქარი ჩაქოლავს თაღებს, იმ კვალს გადაშლის, ჩვენ რომ ვიარეთ“.

პოეტი წუხს, რომ „ვერ მოაგლიჯა საბინელ ქარმა (შთაგონება). (სამადაშვილი, 2004, გვ. 28)

გრიგალებში ქარდაქარ მავალს ბუს მზერა რგებოდა, და ეს უბედურება სამშობლოსკენ არის გადამისამართებული: „მე მოვდიოდი და გრიგალები მეღობებოდნენ მუდამ ქარდაქარ, ბუ ჩამცქეროდა ღია თვალებში, სამშობლო იყო ჩემი ქარაგმა“ (უკანასკნელი ზარების რეკა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 34-35)

გრიგალების ადრესატი ლექსების მეუფე, გაწამებული პოეტისთვის ისევ მისი თანამედროვეობაა: „ნუ მოიგონებ წამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ლექსის მეუფე დასცეს და გარყვნეს“. (სამადაშვილი, 2004, გვ. 34-35)

„ტყის ქარიშხლების“ კვალი პირდაპირ მიდის სამშობლოსკენ, რომელსაც სრულიად უსამართლოდ გაუწირავს „მარადისობის კოშკების“ პატრონი პოეტი: „...ჯერ კიდევ თითქმის დედიშობილას ტყის ქარიშხლები მაცვამდნენ შავებს, ეხლაც არ ვიცი, ჩემი სამშობლო რას მერჩის, ნეტავ რა დაუშავე?! ასე მეწერა ალბათ, მე ცოდვილს-მარადისობის კოშკების პატრონს“ (თელა და ჩიტი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 20-21)

შეუბრალებელი დრო „ჯანდაბამდე“ გზას უჩვენებდა სულთამხუთავით, მხოლოდ ქარები მოველინებოდა „საპანაშვიდოდ“, ასეთი იყო. პოეტის ირგვლივ შექმნილი რეალობა (წავლენ დღეები). (სამადაშვილი, 2004, გვ. 22)

ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟი მოუხმობდა თავისი „ლექსების ბრძენ ვაზირს“, დაეცვა ქარბუქიანი ღამისგან, მგელ-გველებისგან, მაგრამ ქარში დაკარგულის საფლავიც კი „ქარის ფეხებით“ იტკეპნებოდა (წავლენ, დღეები). (სამადაშვილი, 2004, გვ. 22)

გრიგალების კივილიში პოეტისთვის „დაიკარგა ბედის მშვენება“ (წვიმა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 24)

ქარიშხლები „უდაბნოს ხვითქში გაზრდილ მასხარებად“ აღიქმება ლექსში „განკითხვა“. (სამადაშვილი, 2006, გვ. 72)

ქარი ემტერებოდა მარადიულ ფასეულობას – პოეზიას. „საკუთარ ლექსებს ჩემს ძვლებზე ვაფენ, ამ სარეცხს მუდამ ძირს მიყრის ქარი“ (მწუხრი). (სამადაშვილი, 2006, გვ. 67)

პოეტი თავის თავს ადარებდა „ბნელი ქარებით წაქცეულ კანდელს“ (თამაზი) (სამადაშვილი, 2006, გვ. 65)

პოეტი ასკვნია: „პირქვე დაცემულს ქარიშხალიც ვერ ამაყენებს“ (დასასრული). (სამადაშვილი, 2004, გვ. 22)

პანაშვიდზეც ქარებს ელოდებოდა (წავლენ მუხთალი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 22)

„ქვენა ქარების“ მსხვერპლი „იქარვებდა ღვინით ბნელ ფიქრებს“ (სალამო და განწყობილება) (სამადაშვილი, 2004, გვ. 153)

„ხალხიც ქარს მიაქვს სადღაც, ბზესავით, წუხდა პოეტი (რა შემლილების კუნტრუში მეფობს). (სამადაშვილი, 2004, გვ. 159)

გულქვა საწუთროში გამეფებულიყო ავისმომასწავებელი გრიგალი, გადანგრეულიყო ცა, ქარს ტყვიასავით მიჰქონდა ადამიანები, ნისლიანი, მთვარეული, ქარაგმად ქცეული დედამიწა: „სადღაც ქვასავით იდგა საწუთრო და გრიგალივით სუნთქავდნენ გზები. ის ტყვიასავით წაიღო ქარმა, დილით ცა ჩანდა გადანგრეული, ნისლეთი იყო იმის ქარაგმა და დედამიწა კი მთვარეული“ (ზეკაცი და ნისლოვანება). (სამადაშვილი, პოეზია, 2010, გვ. 137)

„ქარები სპობდნენ მისასვლელ ბილიკს“ (რას დაემბედი შე უბედურო). (სამადაშვილი, 2004, გვ. 28)

„ქარი მართმევდა გზების სიმშვიდეს და მე ვგოდებდი საქართველოში“ (იქით) (სამადაშვილი, 2006, გვ. 55), გვამცნობს პოეტს.

„ასე მგონია, ჩემს თავის ქალას თითქოს ქარები აგორავებენ“ (მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით) (სამადაშვილი, 2004, გვ. 140), ასეთ შემზარავ განცდას ქმნის ქარების სახეში მოაზრებული მტარვალის სახე.

ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟი „გრიგალების, შუადამის მძევალია“ (გამიშვით). (სამადაშვილი, 2004, გვ. 106)

ზარს ქარიშხლებში ხმა ეკარგება (ხანდახან გხედავ). (სამადაშვილი, 2004, გვ. 183)

„უკაცო ქვეყანაში“ ქარის კივილია (გათხრები). (სამადაშვილი, 2004, გვ. 63)

„ქარბუქი ნთქავდა ზეცის კადეებს, ნანგრევზე ეგდო სამრეკლოს ზარი“ (თვალს არ აშორებდა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 253)

გაუთენებელ ღამეში მხოლოდ „ბნელ გრიგალების“ ფეხის ხმა მოისმის (ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებდა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 105)

„ქარები ქუჩის არამზადებია“ (ნაცარი) (სამადაშვილი, 2004, გვ. 129), ქარი ყვეს ხიდზე ძალივით (სიზმრების ნაღვერდალი). (სამადაშვილი, 2004, გვ. 149)

ქარს გულში უტრიალებს „შავი ბოდმა“, „ბოროტების მუშტები“ აქვს შემართული. (სამადაშვილი, 2004, გვ. 116)

„გრიგალები“ განსაკუთრებით პოეტებს, მათ შედევრებს ემტერებიან: „ნუ მოიგონებ წამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ჰანგების მეფე, დასცეს და გარყვნეს“ (უკანასკნელი ზარების რეკვა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 34-35)

„ქარები“ პანაშვიდზე ცხადდებიან, სიმართლის მსახურთა საფლავებს ტკეპნიან, მგლების დაუნდობლობა ახასიათებთ, გველური შხამი აქვთ (კაცო, სადა ხარ?) (სამადაშვილი, 2004, გვ. 23)

მაგრამ ცხედარი ქარში სიტყვას ამბობს (მარადისობის უარყოფა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 254), რადგან პოეტური სიტყვა ქარზე ძლიერი და დაუმარცხებელია.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში სახეზეა „ბნელი გრიგალების“, „ბნელ გრიგალებით შემოკვართული“ ვაიადამიანის – „ავყია ქარების“ მხილება, ლანძღვა (შადრევნის სიმღერა, გახსენება) (სამადაშვილი, 2004, გვ. 183, 187), თვით კი არის „ქარწამოსხმული“, „უსასრულობის ქარბუქების“ თანამდევი (დაგასაფლავეს მეგობრებმა და მიგატოვეს“. (სამადაშვილი, 2010, გვ. 156)

ლექსში „ის დაიბადა მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არ მომკვდარიყო“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 180), „ქაჯთა სიმაგრეს წააწყდება ფასკუნჯი ქარი“, ანუ აქცენტი კეთდება ამ ძალის დაუმარცხებლობაზე, მარადიულობაზე.

კაკლის ხეები ბავშვებივით კვიან ქართან ჭიდილში (გადამეყვლიფა გული დარდებით) (სამადაშვილი, 2004, გვ. 157), „ქარის კვალზე დადის ბაღი“ (მილოცვა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 27-28)

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ და შარლ ბოდლერის „მშვენეირების“ ასოციაციას ერთდროულად იწვევს ნიკო სამადაშვილის ლექსი „ბალახი როცა ამოვა“, რომელშიც მკვდარს ქარბუქმა უნდა მიაყაროს ქვიშა, ხოლო თავის ქალაში მინდვრის ბალახმა უნდა იპოვოს ადგილი: „...მკვდარს დაგყრება თებერვლის ნავლი და ქარბუქისგან მიყრილი ქვიშა. ქარი საფლავში ჩაგიგებს ზუმბულს, სიმსივნით გული გაიბერება. შენს თავის ქალას, ჯირკთან მიგდებულს, მინდვრის ბალახი გამოერევა“. (სამადაშვილი, 2006, გვ. 77)

ქარი ხან მასხარაა, ავყია, მოლაპარაკე, ხან აბურძენელი, ყაყანა, ბურტყუნა, ბნელი, დაძინებული, აძუნძულებული, აცეკვებული, ხმაჩახლეჩილი, აყვირებული, ონავარი, ცერებზე დამდგარი, აცრემლებული, აღრიალებული, კრიჭმეკრული, გაცრეცილი, ღრუბლიანი, მოცეკვავე, ამღერებული, ჩაცინებული, გაფრენილი, აკვილებული, შეციებული, ყვავილებიანი, შლეგი, შუქიანი, ბნელი, ქვენა ძალა...

საუბარია ქარების დოღზე, ქარების მხედარზე, ქარიშხლის ჯილაგზე, ქარის თესლზე, ქარის ტოტზე (მდრ. გალაკტიონი: „...ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა“...).

ქარი ცეკვავს ვერხვების დიდ უზუნდარაზე, ქარი მუნძულებს.

„ნიავის თეთრი ნაფეხურები შეიმჩნევა ყანებში (გასეირნება). (სამადაშვილი, 2006, გვ. 101)

გალაკტიონთან გვხვდება ფერადი ქარები, წითელი ქარი, თეთრი ქარი, ტერენტი გრანელთან – უხილავი ქარი.

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ქარი ხან ბნელია, ხან „სულ ბაჯაღლოა, მარმარილო და მინანქარი“ (ძველი სამყარო დაუძღურდა, გამოჩერჩეტდა). (სამადაშვილი, 2004, გვ. 156)

პოეტის იდეალია არა ქარიშხლებს დამონებული, არამედ ქარის დამურვებელი „ქარების მხედარი“, ხოლო ქარიშხლებისაგან თავდასაღწევ გზად ესახება რწმენა, საყდარი: „...მათი, ძველი საყდარი, კაცი ქარიშხალს რომ გამოსტაცოს“ (კაცის გუნება). (სამადაშვილი, 2004, გვ. 142)

ნიკო სამადაშვილი სულ ქარის პირისპირ, ანუ დინების წინააღმდეგ მავალი ოპოზიციონერი პოეტი იყო, რაც გახდა მისი უკვდავების საწინდარი.

გადაიარეს ეპოქის ავბედითმა გრიგალ-ქარებმა, გაიფანტა მრუმე წყვიდადი და სამშობლომ გვიან, მაგრამ მაინც მოიკითხა თავისი ღირსეული, უნიჭიერესი შვილი: „ღრუბელი ღელავს, ძირს ქარბუქია და საქართველო მაინც მეძახის“ (მაინც). (სამადაშვილი, 2004, გვ. 175)

ბიბლიოგრაფია:

ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1992). სტოკჰოლმი.

გამსახურდია, ზ. (1984). *„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე.* თბილისი: მეცნიერება.

ლესინგი, გ. (1986). *ლაოკოონი ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ.* თბილისი: ხელოვნება.

ნიცშე, ფ. (1993). *ესე იტყოდა ზარატუსტრა.* თბილისი.

ნოზამე, ვ. (1963). *„ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება.* პარიზი.

სამადაშვილი, ნ. (2004). *ფერისცვალება.* თბილისი.

სამადაშვილი, ნ. (2006). *ასი ლექსი.* თბილისი.

სამადაშვილი, ნ. (2010). *პოეზია.* თბილისი.

საქართველოს ეკლესიის კალენდარი. (1989). თბილისი.

ტაბიძე, გ. (1977). *რჩეული.* თბილისი.

ტაბიძე, გ. (1993). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. I). თბილისი.
უიტმენი, უ. (1966). *ბალახის ფოთლები*. თბილისი: ნაკადული.
ფრანგი პოეტები. (1984). (გ. მნელაძე, მთარგმნ.) თბილისი: მერანი.
ჩვენი საუნჯე. (1960). (ტ. I). თბილისი.

Luara Sordia
Sokhumi State University
**"WHO FOLLOWED SONGS OF THE GRIGGS" ONE ASPECT OF CRITICISM
IN NIKO SAMADASHVILI'S POETRY
RESUME**

One of the aspects of Niko Samadashvili's poetry symbolized by the wind is the inspiring Holy Spirit in medieval aesthetics. The hurricane, the storm, is often a paradigm of the evil forces of the era fought by the poet. Sometimes the wind is a symbol of the kindness of a poet accompanying a brother who calls him brother. In many cases the poet himself is a storm of force, an undeniable creative force. The master of the word "stingray" is very much a traveler of the astral world, born of the ability to see planets and the heavenly world. Niko Samadashvili never loses his originality when considering the wind, the hurricane, the storm.

Keywords: Poetry, Wind, Bible, Literature.

თამარ ყალიჩავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრბოს ფსიქოლოგია - თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“

საკვანძო სიტყვები: ანტიტოტალიტარული რომანი, მითოსი, თამაზ ბიბილური.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ბრუნვესიული „სტაგნაციის“ წლებში, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების შესუსტებამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა მწერლობა; როგორც თამაზ ბიბილური აღნიშნავს, ლიტერატურული ჟანრი უფრო მრავალფეროვანი გახდა: „თვალსაწიერი გაიზარდა, ალბათ იმ უცილობელი ჭეშმარიტების გამო, რომ შემოქმედებას ფართო და ლაღი სუნთქვა სჭირდება. ეგებ ამ ფართო თვალსაწიერში მითოლოგიურება, მითოლოგიური მოტივი თუ შენაკადიც იგულისხმება. ღმერთმა დაიფაროს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმემ თქვას, თავი დაანებეთ ამ მითოსს, ან მთვარეზე წერასო, ან ვარსკვლავების თვლასო. ვინმეს აჩემებით, არც ამქვეყნად და არც ლიტერატურაში, არაფერი ხდება, ან თუ ხდება, ხელოვნურია და დროებითი. ყველაფერი, რაც მართლა ხდება, ობიექტურ საფუძველს ემყარება. ხომ ყოფილა შემთხვევა იმისა, რომ რაც ერთბაშად ვერ მიგვიღია, წლების მერე ჩავვითვლია მონაპოვრად“. (ბიბილური, 2010, გვ. 371-372)

თამაზ ბიბილურის საკულტო რომანი „ჟამი კითხულისა“ 1974-75 წლებში დაიწერა. მისი დაბეჭდვა მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა, რადგანაც კრიტიკოსებმა პროტაგონისტის სახე სტალინს დაუკავშირეს. ავტორის თქმით, რომანში დაუწყიათ „უკუღმართი ანალოგიების ძებნა, რომ კითხულია სტალინი, ხირჩლა - ბერია და ა.შ. რა თქმა უნდა, აქ არის ფენომენი დიქტატურისა, მაგრამ მე მაინც ქვეშევსებულად ასეთი აზრი მქონდა, რაც უნდა დიდი ადამიანი გახდეს, რაც უნდა უფლებები მოიპოვოს, რაც უნდა მაღალ

კვარცხლბეკზე შედგე, ნურასოდეს დაგავიწყდება, რომ ხარ ჩვეულებრივი ადამიანი, თორემ შენი შედგომა კვარცხლბეკზე აუცილებლად კატასტროფით და მარცხით დამთავრდება“. (ბიბილური, 1993, გვ. 7)

ქართულ სალიტერატურო სივრცეში თამაზ ბიბილურის რომანის კვლევა და მასზე კამათი დღემდე გრძელდება. ჩვენთვის ნაცნობ მკვლევართაგან ამ თემაზე საგულისხმო თეორიული და კრიტიკული სტატიების ავტორები არიან: გურამ გვერდწითელი, ლუიზა ბოჩკოვა, ლევან ბრეგაძე, ჯარჯი ფხოველი, სოსო სიგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, თამარ ლომიძე, ევა ცხადაძე, თემურ შავლაძე და სხვა. რომანი 1978 წელს ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა; ეს არის ძალაუფლების მოხვეჭისაკენ, აღზევებისაკენ მიდრეკილი სულის ამბავი, ოდიტოგანვე კარგად დამუშავებული თავისი დასაწყისითა და ფინალით. რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და მთხრობელი გარეგანი ბერი ზოსიმე ამბობს: „ყველაფერი თითქოს წინასწარ იყო ცნობილი, წინასწარ დაწერილი ბედისწერის მწერლისაგან და ახლა ადამიანთაგან მხოლოდ ამბავიდა თამაშდებოდა. მე ეს წიგნი უკვე წაკითხული მქონდა და ამბის თავიც და ბოლოც თავდაპირველადვე იყო ცნობილი. ჩემ წინ ჯიქურ აღმართული სახეები, საკუთარი ვნებებითა და დაუოკებელი სურვილებით გახელებულნი, თავაწყვეტილნი მიისწრაფოდნენ დასასრულისაკენ...“ (ბიბილური, 2010, გვ. 7)

თამაზ ბიბილურის რომანი ორიგინალურადაა დაწერილი. ესაა „ამბავი, მოთხრობილი გარეგანი ბერის - ზოსიმესი (ერობაში მათე)“. მთხრობელი თავშივე გვიმხელს: „მე იმ პატარა სოფელში ვავიზარდე და ქვეყანაც ვნახე. და როცა იმ პატარა სოფელზე ვფიქრობ, მგონია, ქვეყნიერებაზე ვფიქრობ-მეთქი. ამის გაფიქრებამ შემმატა ძალა, როცა წერად ვკვდებოდი. ის ერთი ბეწო სოფელიც ერთბაშად გადიდა, სოფლის ასიოდე მხედარი ლაშქრად იქცა, სოფლის კითხული - ძლევამოსილ მეფედ და წინამძღოლად, სოფლის კომპები - სრასასახლეებად, ასიოდე კომლი - ხალხად და ჯამათად“. რომანს ორი ეპიგრაფი აქვს: „ამბავი, მოთხრობილი გარეგანი ბერის - ზოსიმესი (ერობაში მათე)“ და იქვეა ნაწყვეტი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“: - „ჟამი რაი წუხილითა და ავთა აღმოვფინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“ (ბიბილური, 2010, გვ. 3)

ცხადია, იმ პირობებში, როდესაც მწერალთა დევნას გაასმაგებული „მონდომებით“ ეწეოდა ტოტალიტარული სახელმწიფო, ტირანია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხალხისათვის მიუწვდომელი ყოფილიყო მწერლის სიტყვა ან მისი ნააზრებისათვის საპირისპირო მიმართულება მიეცა. მწერალი შიმის გაბატონებას ისე ასახავს, რომ პირველივე სტრიქონებიდან სიტყვის ყოვლიშემძღვებლობასთან შეაპირისპიროს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ სწორედ დავით აღმაშენებლის სიტყვებია დამოწმებული; სიტყვები, რომლებიც ყველაზე უკეთ გვიხსნიან სახელმწიფოს მოწყობის პროცესში ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვათა გარდუვალობას.

რომანის დაწერის ბიძგისმიმდევრად ბიბილური ქართული მთის ლეგენდებს ასახელებს. გიორგი თევდორაძის წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ მოთხრობილია თათია ბალიაურის საგულისხმო ამბავი, ვისი საქციელიც ხალხურმა სიბრძნემ ჭკუის სასწავლად შემოუნახა შთამომავლობას. თათია ბალიაური სოფლის კითხული, დინჯი და ჭკვიანი კაცი იყო. მას ეკითხებოდნენ ცოდო-მადლის განსჯას, მაგრამ ერთხელ ისიც მწარედ შემცდარა, შეუცოდავს. კითხულის გამკითხავი ვინ იყო და თვითონვე გამოუტანა მსჯავრი საკუთარ თავს - თავი მოიკლა. მხატვრულად დამუშავებული ეს ხალხური თქმულება, გავრცობილი, ფსიქოლოგიური ჩაღრმავებებით, თამაზ ბიბილურმა „ჟამი კითხულისას“ ეპიზოდად აქცია: ღულა ბალიაურს ას წლამდე უცოცხლია: „სოფლის საქმეთა განსჯაში სასწორი მრუდედ ერთხელაც არ გადაუწონია“. მცირე შეცოდებას თვალს უხუჭავდა, მაგრამ დიდ ცოდვას არავის პატიობდა, რადგანაც სწამდა, დაუსჯელ ცოდვას უფრო დიდი ცოდვა მოჰყვებოდა. ასე უცხოვრია ბერიკაცს, ვიდრე თვითონაც ცოდვას ჩაიდენდა - მეზობლის თხუთმეტი წლის გოგო შეჰყვარებია. მწერალი აგვიწერს მოხუცის განცდებსა და ტკივილებს: როდესაც კითხულმა ნახა როგორ ეალერსებოდა საკუთარი ძმისწული მეზობლის გოგონას, გააცნობიერა, რომ სოფლის მართვას ვეღარ შეძლებდა და სამუდამოდ დატოვა სოფელი.

„ჟამი კითხულისას“ ცოდვიან ადამიანთა გალერეას წარმოაჩენს; ზოგს გამოკვეთილი სახე აქვს და სახელიც შესაბამისი შეურჩევია ავტორს (ხეჩინა - ხირჩლა). ავტორი უმთავრეს ყურადღებას სოფლის მხატვრული სახის შექმნას უთმობს. სოფელი სამყაროს მიკრომოდელს წარმოადგენს, განზოგადებულ პერსონაჟთა გალერეა ცოდვის ჭაობში ჩაფლული კაცობრიობის ანარეკლია. ერთი შეხედვით, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება: ხალხი რუტინული, ყოველდღიური ყოფით ცხოვრობს, მაგრამ ამ უძრაობაში თვლემს ცოდვის საწყისი, მხატვრის ოსტატობით გვიხატავს ბიბილური, როგორ მზადდება ნიადაგი ეროვნული ცოდვის აღმოსაგენებელ-გასავითარებლად: მკითხველის ხელდასხმის შემდეგ ხალხი მშვიდად ამოისუნთქავს - ჰყავს წინამძღოლი, რომელსაც მათივე სულიერ მისწრაფებათა განხორციელება ხელეწიფება. ამაოდ ჩურჩულებს ზოსიმე მღვდელი: „ღმერთო, უშველე სოფელს!“ მწერალი გვიხატავს ღმერთსმოკლებულ საზოგადოებას; ეს სოციუმი უღმერთოდ ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ სოციუმი

შეკრულ-შედუღებულ მთლიანობა, ცოდვა აერთიანებთ ადამიანებს; უფორმო მასაქცეულ სოფელში ჭირს ინდივიდუალიზმის შენარჩუნება, იკარგება შინაგანი ნათლის გამომწეურების სურვილი.

რომანს სამი მთავარი პერსონაჟი ჰყავს - ზოსიმე, გიორგი და ხირჩლა. მწერალი ოსტატურად ხსნის თითოეულის ფსიქიკას, ცნობიერებას, ქცევას, ნებელობას და არა გარეგნობას, საუბრის თავისებურებას, ოჯახურ წრეს, პერსონაჟები შინაგანად ნათლებიან, მათი სულიერი პორტრეტი იძებნება. თამაზ ბიბილურის თქმით, გიორგი, არ არის „გაუაზრებლად, ერთი ხელის მოქნევით, შერქმეული სახელი“. ეს სახელი, როგორც ქართული ბუნების ერთგვარი გამომხატველი, მხოლოდ ამ რომანში არ გამოუყენებია ავტორს. გიორგი ჰქვია მისი მოთხრობის - „ჩივილის“ ჰაბუკ პერსონაჟს, რომელიც დიდ მსოფლიო ომში უნდა მოკვდეს, როგორც კვდებოდა წინათ მრავალი მისი თანატოლი, ვისაც გიორგი ერქვა... „გიორგი ჰქვია ბალიაურსაც - „ჟამი კითხულისას“ მთავარ პერსონაჟს. გიორგია ის ჰაბუკი, რომელიც რომანის ფინალში, თეთრ ცხენზე ამხედრებული ქედის თავზე გაიელვებს, როგორც მარადიული იმედი სიჭაბუკის, სინათლისა და განახლების. და ბოლოს, გიორგისთან შესახვედრად მიდის ჩემი ბოლო რომანის („შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, აბრია მახაური, რომელსაც გადაუწყვეტია იმ ქვეყნად წასვლის წინ თავის ყველაზე დიდ იმედს („შენ ჩემო დიდო იმედო“), ჰაბუკ შვილიშვილს, გიორგის უყუროს, როგორც გამართლებას ამქვეყნად ყოფნისა“. (ვაშაძე, 2008, გვ. 440)

მწერალი აღიარებს, რომ ასეთი „დამთხვევები“ შემთხვევით არ ხდება: „როცა რომელიმე ავტორი თავს იქებს, ჩემი გმირის აზროვნება ასოციაციურია, მეც არ ვიცი თავში რა მოუვა და, რას იტყვისო, ამგვარ განცხადებას ყოველთვის პირობითად ვიღებ. დაე, რაც სურს ისა თქვას ჩემმა გმირმა, როგორც თავისი ბუნება კარნახობს, ისე მოიქცეს, მაგრამ ჩემდათავად, სანამ არ მეცოდინება, ეს გმირი, რომელიმე კეთილშობილ საზოგადოებაში თავისთვის მიჯდება კუთხეში თუ გინებას მოჰყვება, წერას ვერ დავიწყებ. ჩემი გმირი მაინც ჩემია და მე მასზე ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, წინდაწინვე უნდა ვიცოდე. ეს აუცილებელია, თუკი შეგნებული გაქვს რისთვის იწყებ წერას. ყოველი ნაწარმოები პატივს უნდა სცემდეს თავის „ზეამოცანას“. (ვაშაძე, 2008, გვ. 440)

თამაზ ბიბილურის შეხედულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ტირანი ერთადერთ დამნაშავედ მივიჩნიოთ, ემთხვევა პიტირიმ სოროკინის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, დიქტატორებს საზოგადოება და ის სულიერი კრიზისი წარმოშობს, რომელიც გლობალურადაა სამყაროსა თუ ამა თუ იმ სახელმწიფოში: „რომანის მთავარი გმირი, გიორგი ბალიაური ისე არ მემეტება, როგორც რეცენზენტებმა გაიმეტეს, აქაოდა ტირანიაო. გახსოვთ თუ არა ცნობილი თქმა, ტირანებს ხალხი ქმნისო. გიორგი ბალიაურიც ხალხმა შექმნა, მისმა უტყვემა მორჩილებამ და განუსჯელობამ“. (ვაშაძე, 2008, გვ. 363) ტოტალიტარიზმმა ადამიანური კავშირები „საყოველთაო თანასწორობით“ დაანგრია. დიქტატურის დასამყარებლად ყალბ, ერთგვაროვან სივრცედ აქცია. ბრბოდქცეული მასის ფსიქოლოგიის კვლევას ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა, განსაკუთრებით ანტიტოტალიტარულ რომანში. საინტერესოა თამაზ ბიბილურის მიმართება აღნიშნული პრობლემისადმი.

ხალხსა და ბრბოს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს მწერალი, მათ აღრევას დაუშვებლად მიიჩნევს: „ხალხი“ ერის სინდისია, ერის გონებაა, ისტორიული გამოცდილებაა და მომავალზე ფიქრია... „ბრბო“ კი, დაბნეული, წუთიერ შთაბეჭდილებებს აყოლილი ან ვინმე ავანტიურისტის ანკესზე წამოგებული ადამიანთა კრებულია. ბრბოს აზრის ხალხის აზრად გასაღება ისევე დიდი დანაშაულია, როგორც ჭეშმარიტი ხალხის აზრის უგულვებლყოფა. „ბრბოს სახელით ლაპარაკი ან ბრბოს გულის მოგების ცდა, იმის იმედით - ხალხი მოვიმხროთო, შარლატანობაა. გიორგი ბალიაურს, მგონი, სურდა კიდევ, რომ ხალხი ბრბო არ ყოფილიყო. გაიხსენეთ კომკის სარკმლიდან მზირალი ბალიაური, როცა გამარჯვებით ალტკინებულ ბრბოს გასცქერის. იმ წუთში ეს კაცი დამცინავი ხდება... გაიხსენეთ, როგორ წაეკიდა ერთმანეთს ორი ჯარისკაცი ერთი ხანჯლის მისათვისებლად. აქაც გიორგი ბალიაური ვერ ხედავს ვაჟკაცობას...“ (ვაშაძე, 2008, გვ. 363)

რომანის საფუძველია სამი სიუჟეტური არქეტიპი, მათი ახსნა მითოლოგიურ მოდელს გვაპოვინებს. გიორგი კაენია, რომლის სიცოცხლეს აზრს აძლევს სულში დასადგურებული ძალაუფლების ნება. იგი მასისაგან განმდგარი, ერთადერთი ამაღლებული არსებაა. ზოსიმეს არსებაში ჩაკლულია ძლიერი პიროვნება. იგი სულიერად რეპრესირებული ადამიანია, რომელიც მოაშორეს სოფლის ბრუნვას. რომანის სიუჟეტს ავითარებს ორი კომპოზიციური წყვილი: ზოსიმე - ხეჩინა და გიორგი - ხირჩლა. ხეჩინა და ხირჩლა ერთი იდეის ორი ჰიპოსტასია. არაა შემთხვევითი, რომ სახელები ფონეტიკურადაც ძალიან წააგავს ერთმანეთს. რომანის მიხედვით, სოფელს გიორგი განაგებს, მაგრამ გიორგის ხირჩლა მართავს. მასზე განუზომელ გავლენას მოიპვებს, ლანდივით დასდევს ბალიაურს. კითხულის სახელით სოფელს აშინებს და აჩიავებს. ადამიანები უკვალოდ ქრებიან. არავინ იცის, ვის რა დანაშაული მიუძღვის. სოფელს გაუგონარი რისხვა დაატყდა თავს. იძებნება არარსებული მტერი, თავად ხირჩლას მოგონილი, რათა ხალხის გულში შიში დათესოს, კითხულის ნდობა მოიპოვოს და ამით თავისი სატანური ძლიერება იხეიმოს. გიორგი-ხირჩლას მოდელი ისტორიულად ცნობილია. ის ცხოვრებაში

ხშირად მეორდება და მუდამ ერთი დასასრული აქვს. ბოროტი სული იმორჩილებს ადამიანს და ღუპავს მას. ხირჩლამ ბოლოს თავად მოინდომა კითხულის ადგილის დაკავება, როცა იგრძნო, რომ ეს კაცი ვნებას მოუტანდა, მაგრამ მოცილება ვერ შეძლო.

საინტერესოა მწერლის მიმართება ენასთან, რომელსაც იგი შესანიშნავად ფლობს. რომანის ენობრივი გარსი თავიდანვე იმორჩილებს მკითხველს. ავტორის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტია სინამდვილის ენობრივი მოდელირება. თ. ბიბილურის მეტყველება ბუნებრივი, სადა და მომხიბლავია. ის გრძნობს, რომ ენა ინახავს ხალხის ფსიქიკის აუხსნელ ნიშნებს, კოლექტიურ გამოცდილებას. მისი ლალი მდინარება აღგვაქმევიანებს სტილიზებულ გარემოს.

სოსო სიგუა მიიჩნევს, რომ რომანის ყველა გმირი ერთნაირად მეტყველებს, ენობრივი ინდივიდუალიზება შეგნებულად უარყოფილია, ასევე - ზუსტი დეტალიზება, გარემოს კონკრეტიზირება. გარეგნულ ნიშნებს, ფიზიკურად არსებულ საგნებს ნაკლებად ვხედავთ, რადგან ბატონობს გაუცხოების მირაჟი, რომელიც გულისხმობს ადამიანური ურთიერთობის მარადიული მოდელების ხელახალ წვდომას, ზოგადი ლანდშაფტის შექმნას. (სიგუა, 2008, გვ. 118)

რომანი რთულ სიმბოლურ ინფორმაციას ემყარება. სოფელი სამყაროს მიკრომოდელია, ტერმინი „კითხული“ - ქვეყნის დესპოტი მმართველის ფარდი სახელი. ავტორი რომანის ჟანრობრივ თავისებურებას ძალზე მარტივად ხსნის: „გულახდილად რომ ვთქვათ, თავად რომ არ ვიყო ავტორი, „ჟამი კითხულისაში“ დავინახავდი არა რაიმე „მითოსურ მოდელს“, „ანტიმითს“, ან სხვა ამგვარს, არამედ ნაწარმოების სტილში გამოვლენილ „მითოსურ პოეტიკას“. პოეტიკა კი, მოგეხსენებათ, ინტუიციანაზეც არის დამოკიდებული და ზოგჯერ იმგვარ ასპექტში გამოვლინდება, რომ ქმნის ილუზიას, თითქოს ყოველივე მწერლისაგან დამოუკიდებლად მოხდა. მე კი მჯერა: მწერლის უნებურად ნაწარმოებში არაფერი არ ხდება“. (ვაშაძე, 2008, გვ. 440)

მწერლის თქმით, მან განგებ შეარჩია რომანისათვის ორაზროვანი სახელწოდება. „ჟამი კითხულისა“ - ანუ დრო, როცა მავანი კითხული ცხოვრობდა და მწყემსავდა თავის სამწყსოს, და „ჟამი კითხულისა“ - ანუ კითხულისა და მის სამწყსოს თავს დატეხილი ჟამი, ჭირიანობა. თვით „კითხულიც“ იღლიანად ნაპოვნ სიტყვად მივიჩნე. შეიძლება სადმე ვინმესაც ჰქონდეს, მაგრამ მაინცდამაინც მე არსად შემხვედრია. ეს სიტყვა ვიპოვე ექიმ თევდორაძის წიგნში, რომელიც ავტორმა ოციან წლებში გამოსცა და ხევსურეთში მის დასტაქრობას აღწერს. ამ წიგნში ერთადერთი, სულ ერთაზრაციანი ეპიზოდია ვინმე კითხულ კაცზე... ამ ეფექტურ ეპიზოდს, რომანში მხოლოდ რამდენიმე გვერდი უკავია, მიწერილი აქვს მოხუც გიორგი ბალიაურს, ახლანდელი კითხულის წინაპარს“. (ვაშაძე, 2008, გვ. 442)

რომანის მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედად თავისუფლებადაკარგულ პიროვნებათა განცდები, მათი მსოფლაღქმა გვევილენება. აქ ხშირად ვხვდებით სიტყვებს - მარტოობა, შიში. როგორც ჩანს, შიშის სინდრომი, მისი ფსიქოლოგიური საფუძველი, ანამნეზი თამაზ ბიბილურს იმთავითვე აინტერესებდა, ამიტომაც სხვა ნაწარმოებში „მთვარის შვილი“, ამ თემას ასე პასუხობს: „ბიჭმა იცოდა, რომ სოფლის შიში მარტო კაცის გოროზი ბუნებიდან მოდიოდა, რომ კაცი სულაც არ იყო საშიში და თვითონ უფრო ეშინოდა სოფლისა“. (ბიბილური, 2010, გვ. 300)

მითოსურ-პოეტურ რომანში დროს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს, გვხვდება მხატვრული ქრონოტოპის განსაკუთრებული გაგება. თამაზ ბიბილურის რომანი „ჟამი კითხულისა“ არ მოიცავს კონკრეტულ დრო-სივრცეს. ავტორი აღნიშნავს, რომ აღწერილ ამბავს არავითარი კავშირი არ აქვს არც ხევსურეთთან და არც საქართველოს სხვა რომელიმე კუთხესთან: „მე უფრო „მუდმივი დრო“ მიზიდავდა, „მუდმივ დროს“ კი არ უყვარს ერთი კონკრეტული ადგილი. სიუჟეტი „მუდმივი დროისა“ მუდამ ხეტიალშია, მთელ ქვეყანაზე დადის. მას არ აშინებს არც საზღვრები და არც სინამდვილის რეალიების ღალატი...“ (ვაშაძე, 2008, გვ. 442)

პირველად თამაზ ბიბილურის რომანის გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომასთან“ მსგავსებაზე გურამ გვერდწითელმა 1979 წლის „მნათობის“ №6-ში დაწერა. ეს შეპირისპირება უდავოდ საინტერესო იყო, რაკი საშუალებას გვაძლევდა ორი მწერლის მიერ, განსხვავებულ გარემოში შექმნილი ორი ნარატივით სამყაროს მრავალპლანიაანობასა და სიღრმეს ჩაგვწვდომოდით. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ორივე რომანში აქცენტირებული აზრი დიდად საყურადღებოსა და საგულისხმოს ხდიდა ამ რომანებს. ამასთან აახლოებდა კიდევ ერთმანეთთან, მაგრამ იგი იმ მოსალოდნელ მიტქმა-მოთქმასაც ითვალსწინებდა, რომელიც პირველწყაროს მიებას შეიძლებოდა გამოეწვია და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წერდა: „როცა თამაზ ბიბილურის რომანი იწერებოდა და, მგონი, უკვე დამთავრებულიც იყო, მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ ჩვენში ჯერ არავინ იცნობდა და არც არავის შეეძლო მის შესახებ რაიმე სცოდნოდა. სხვათა შორის კი, ისიც უნდა ითქვას ზოგიერთთა გასაგონად, რომ თუნდაც, მწერლობის წყალობით, მიღებული ნაპერწკალი, რომელიც თავად დაანთებს დიდ შემოქმედებით ხანძარს, არავითარი საძრახისი საქმე არ არის. მითუმეტეს, იმის მშვენიერი მაგალითებიც გვაქვს, როცა

ჩვენს დიდ წინაპრებს სიუჟეტებიც კი უსესხნიათ და ასე შეუქმნიათ მსოფლიო მწერლობის შედეგები. (გვერდწითელი, 1979, გვ. 163)

გურამ გვერდწითელისთვის მთავარი ამ ორი რომანის მწვავე პრობლემატურობაა, რაც მათ დიდ რეზონანსს ანიჭებს. ძნელია გამოარკვიო, როგორ იკითხება მარკესის გახმაურებული რომანი ორიგინალში, ესპანურ ენაზე, თარგმანებიდან მიღებული შთაბეჭდილებით კი ადვილად გაიზიარებ მკვლევრის იმ მოსაზრებასაც, რომ ამ ორი რომანიდან უფრო დიდ შთაბეჭდილებას „ჟამი კითხულისა“ ახდენს მკითხველზე.

ეს თემა არაერთგზისაა დამუშავებული, მაგრამ თამაზ ბიბილურის გამორჩეული მწერლური მანერა, ცხოვრებისეული ტრაგედიის თანამონაწილედ და განცდილ-აღქმულის განმსჯელად კიდევ ერთხელ გვაქცევს, რასაც აადვილებს ძალდაუტანებელი, მსუბუქი თხრობა, საინტერესო ამბავი და პერსონაჟთა რთული შინაგანი სამყაროს ოსტატურად ხატვა. რომანში ვერ ვხვდებით ყალბ სიტყვას, ფრაზას, დეტალს. ფსიქოლოგიური სიღრმით, მხატვრის ოსტატობით შექმნილი ტირანი დამაჯერებელი და რეალისტური პერსონაჟია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ XX საუკუნის მიწურულს ამ მიმზიდველ ჟანრს - მითოლოგიურ რომანს - მწერალი არ მიჯნავს რეალისტურისაგან.

თამაზ ბიბილური თავისი მწერლური მანერით შეუბრალებლად ამხელს საკუთარ პერსონაჟებს. მათ ცოდვებსა და ბნელ მხარეებს დაუფარავად აამკარავებს, რითაც უახლოვდება კიდევაც მათ სამყაროს. მთხრობელი - ბერი ზოსიმეა, რომლის საშუალებითაც ავტორი ნოვატორულ დამოკიდებულებას ვითავაზობს. მწერლის ალტერ-ეგო [მწერლის მოძღვრად, ბერად წარმოდგენა უცხო როდია ლიტერატურისათვის], იცავს ტირანს ბრბოდცეული მასისაგან, იმ საზოგადოებისაგან, რომელიც თვითონ შობს ხოლმე ამგვარ ტირანებს: „...სოფელს ჩემი შიში ვერ შეაკრთობდა, ჩემი შიში არავის არასოდეს ჰქონია. და მაინც სოფელმა ჩასაქოლად წამოკრეფილი ქვები მიწაზე დაყარა და ზურგი შემაქცია. მაშინ ალბათ მე და ჩემი მეგობარიც სოფელი ვიყავით და სოფელს საკუთარი თავისა შეეშინდა“. (ბიბილური, 2010, გვ. 244)

გამეფებულ მდუმარებას, ზარივით გადაუვლის ძახილი: „ჟამი!“. ბერი ზოსიმე სოფლის თავზე გადმოდგარ ხირჩლას დაინახავს. იგი თეთრ ცხენზე ამხედრებულმა პატარა გიორგი ბალიაურმა უნდა მოკლას, რის შემდეგაც „ცხენი ჭიხვინით შედგა, მერე საფიხვნოს გადმოეგლო და თავის მხედრიანად გაქრა. ვიდრე სოფელი გონს მოეგებოდა, იმ ადგილს გადავემხე, სადაც პატარა გიორგი ბალიაურის ტყვიით განგმირული ხირჩლა მეგულეობდა. იმ ადგილზე, ნახშირსა და ნაცარში, განგმირული გვამის ნაცვლად ერთი ნაბდისძველა ეგდო... ხირჩლა თითქოს არცა ყოფილა, თითქოს მის ნაცვლად სატანა დაძრწოდა აჩრდილივით და აქაურობას თავის ნებაზე დაატარებდა, თითქოს არც სახე ჰქონდა, არც ფერი, არც წარსული, არც მომავალი და ეს არსაითგან მოსული აჩრდილი ისევე გაქრა, როგორც მოვიდა...“

სოფელი თითქოს თვალდახელშეუა, ერთი დამახილით კვლავ დაიმცრო და დაილია. კოშკები დადაბლდნენ, სახლები დაპატარავდნენ, სოფელი მოიბუზა და ქედის ძირს მერცხლის ბუდეშავით შეეხიზნა, ამგვარი იყო ჩვენი ერთი ბეწო სოფელი, ქედის თავზე გადმოდგარმა პირველად რომ დავინახეთ. ამ ერთმა ბეწო სოფელმა მთელი ქვეყნის ცოდვა-მადლი ვერ დაიტია და ახლა, ამ ცოდვა-მადლში ჩაჩუმქრული და დარცხვენილი, კვლავ, მთების ყურეს შეეყუჟა. დაცარილებულ სოფელში ჟამმა ჩამოიარა“. (ბიბილური, 2010, გვ. 244-245)

დასკვნა:

მაინც რა თქვა მწერალმა, რა ჩატია მის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ მოდელში? მაინც როგორ უნდა მოხდეს ჟამიანობისაგან განკურნება? „იმისათვის, რათა განიკურნო დროის ნამოქმედარისაგან, „უნდა დაბრუნდე უკან“ და „სამყაროს დასაწყისს შეუერთდე“. „საწყისისაკენ დაბრუნებას“ სხვადასხვა ღირებულება აქვს. არქაულ და პალეო-აღმოსავლურ კულტურებში კოსმოგონიური მითის განმეორების მიზანს შეადგენდა განვლილი დროის მოსპობა და ხელუხლებელი სასიცოცხლო ძალებით არსებობის ხელმეორედ დაწყება. ჩინელი და ინდოელი „მისტიკოსების“ მიზანი აქ, მიწაზე, არსებობის ხელახალი დაწყება კი არ არის, არამედ უკან დაბრუნება და დასაბამიერი დიდი-ერთის აღდგენა. მაგრამ ამ და ჩვენ მიერ მოყვანილ სხვა მაგალითებში სპეციფიკური და გადაწყვეტი მომენტი ყოველთვის იყო „საწყისისაკენ დაბრუნება“. (ელაიადე, 2009, გვ. 77-78)

„...ტრადიციულ საზოგადოებაში იხსენებენ მითიურ მოვლენებს, ხოლო თანამედროვე დასავლეთში ყოველივე იმას, რაც ისტორიულ დროში მოხდა“. (ელაიადე, 2009, გვ. 121) „უნდა დაიძრა აწმყო დროის ერთი რომელიმე უახლოესი წუთიდან და დრო უკუსვლით გაირბინო (პატილომან), რათა მიაღწიო საწყისს (ად ორიგინემ), როცა სამყაროში პირველი არსებობის „ამოხეთქვამ“ დრო ამოქმედა და შეუერთდა იმ პარადოქსულ წამს, რომლის მიღმაც დრო არ არსებობდა, რადგან არაფერი იყო გაცხადებული. (ელაიადე, 2009, გვ. 76-77)

„და აწ უკვე გითხარით ამბავი, დასაბამითგან ყოველი, ვიდრე აქამომდე...“ ასე მთავრდება გარეჯელი ბერის - ზოსიმეს (ეროზაში მათე) მოთხრობა, მაგრამ ლეგენდა გრძელდება, ლეგენდა სხვაგვარ

დასასრულს გვთავაზობს. იმ სოფელში, სადაც დიდი ხნის წინათ ეს ამბავი მომხდარა, ახლა ხუთიოდე ჩამორღვეული სახლიდა დგას და ყორეზე ამდენივე ქერქდამწვარი მოხუცი ზის. კაცები ჯოხებს დაყრდნობიან და ჩაშრეტილი თვალებით შორეთს გასცქერაინ. ქალები შორიახლოს სხედან და წინდებსა ქსოვენ. ათასში ერთხელ ვინმე თუ ჩაივლის, გზად შეჩერდება და მოხუცებს გამოელაპარაკება, მოხუცებიც ერთხმად აჰყვებიან და ყველას უამბობენ თავიანთი სოფლის ამბავს. ბოლოს კი იტყვიან, რომ გიორგი ბალიაური და ზოსიმე მღვდელი დღესაც მიდიან წუთისოფლის გზაზე, დღესაც ეძებენ ერთმანეთს და ვერ უპოვიათ; ხირჩლა სადღაც არი მიმალული და არავინ უწყის, ხვალ რომელ სოფელში გამოჩნდება, ან ვის სულში ჩასახლდება. თეთრ ცხენზე ამხედრებულ ჭაბუკ გიორგის კი ამას წინათაც გადაუვლია ქედის თავზე და ისევ გამქრალა... ბებრებს იმედი აქვთ, რომ ჭაბუკი გიორგი კვლავ გამოჩნდება... (ბიბილური, 2010, გვ. 246)

ამ ხერხის აზრი და მიზანი გასაგებია: ის, ვინც დროს უკუსვლით გაივლის, მან აუცილებლად უნდა იპოვოს საწყისი წერტილი, რომელიც საბოლოო ჯამში კოსმოგონიას ემთხვევა. გააცოცხლო წარსული სიცოცხლეები, ნიშნავს გაიგო ისინი და ერთგვარად „დაწვა“ საკუთარი „ცოდვები“, ე.ი. ყველა ქმედება, რომელიც უმეცრებითა და არსებობიდან არსებობამდე კარმის კანონით დაგროვდა... სხვა სიტყვებით, დროის ხანგრძლივობის რომელიმე მომენტიდან გასვლით შეიძლება ამ ხანგრძლივობის უკუსვლით ამოწურვა და ბოლოს, უდროობაში, მარადიულობაში შესვლა. (ელიადე, 2009, გვ. 76-77)

„წარსული მიწაში იმარხება, მაგრამ ჩვენ ამ მიწაზე ვცხოვრობთ და მიწიდან გვესმის ყრუ გუგუნი... ეს წარსული გუგუნებს და თავის თავს გვახსენებს“. (ბიბილური, 2010, გვ. 246) სწორედ ასე ხდება ადამიანური ყოფის საზღვრებიდან გასვლა. აქ მთავარ როლს მეხსიერება თამაშობს: „დროის ნამოქმედარისაგან თავისუფლდები გახსენებით, ანამნეზისით. მთავარია გაიხსენო ყველა ის მოვლენა, რომლის მოწმე იყავი დროულ ხანგრძლივობაში. ცხადია, დროში უკუსვლა გულისხმობს პიროვნულ მეხსიერებაზე დაქვემდებარებულ გამოცდილებას, მაშინ როდესაც საწყისის ცოდნა სანიმუშო დასაბამიერი მოვლენის, მითის შეგრძნებამდე და აღქმამდე დაიყვანება. თუმცა სტრუქტურები ერთმანეთს მიუგავთ: საუბარია დეტალურ და ზუსტ გახსენებაზე, იმაზე, თუ რა მოხდა საწყისების ხანაში და მის შემდეგ“. (ელიადე, 2009, გვ. 79)

„ჟამი კითხულისა“ ერთგვარი აბსტრაგირების ნაყოფია. მწერლის მიზანია ადამიანური არსებობის მარადიული მოდელების გააზრება. „მე ერთი სურვილი მქონდა, - ცხოვრების ჩემეული მოდელი შემექმნა, პატარა მოდელი, რომელშიც რაიმეს „ჩავტევი“... (ვაშაძე, 2008, გვ. 360) ამიტომ ის არა ეპიკური, არამედ ანალიტიკური თხზულებაა, სადაც მთავარ ადგილს იჭერს განსჯა, ანალიზი, მონოლოგი, ჭკრეტა; რომანის სტრუქტურას ქმნის ავტორის კონცეფცია, რომელიც შესაბამის სურათებს ამოზიდავს სინამდვილის სფეროდან. თამაზ ბიბილურის მიერ შექმნილი სამყაროს მიკრომოდელში - „...ერთფერად კეთილისა და ერთფერად ბოროტის მტვირთველ სოფელში“ (ვაშაძე, 2008, გვ. 243) კომფორმიზმსა და უნიათობას შეურიგებლობა უპირისპირდება, წარმავალსა და დროებითს - მარადიული. მწერალი მიგვახვედრებს, რომ ამ უზარმაზარ სამყაროში ძალიან იშვიათია ისეთი პროტაგონისტი, რომელიც საერთო უბედურებას შეეწინააღმდეგება.

საბჭოთა სისტემა აქტიურად მიმართავდა მითს, მითოლოგიზაციას, მითისქმნადობის მექანიზმს, საზოგადოებაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად და წარმატებულ მართვისათვის. ასეთ დროს უდიდესი დემითოლოგიზების როლს იძენს ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ მწერალთა, მხატვართა როლი, როგორებიც გაბრიელ გარსია მარკესი, მიხაილ ბულგაკოვი და თამაზ ბიბილური არიან.

განალიზებულ მწერალთა აზრით, ადამიანის ბუნებას შიში არ სჩვევია - ის ისტორიული, სოციალური სფეროს წარმონაქმნია. ადამიანს უნერგავენ შიშის - და ეს უკანასკნელი ეუფლება მას, ძვალ-რბილში უჯდება, გრძნობებს იქვემდებარებს და თვით ცხოვრებას ემსგავსება. შემდგომ ადამიანი იდეოლოგიურად ეკიდება შიშს, თვითდამცველ ფსიქოლოგიას შეიმუშავებს ხოლმე. (მირესაშვილი, 2005, გვ. 88)

ერთი შეხედვით, ეს მწერლები გვეუბნებიან, რომ დრო და ისტორია საკუთარი, ჩვენგან დამოუკიდებელი გზებით ვითარდება. გარემოებებთან და „მზა“ ცხოვრებასთან შეჭიდებული ადამიანი ის ძალაა, რომელიც ისტორიას წარმართავს. სამივე რომანში, როგორც ზემოთ გავანალიზეთ, დრო ყველაზე ძლიერი ფენომენია. შესწავლილი რომანების პროტაგონისტები, ერთსა და იმავე დროს, წარსულისა და მომავლის შვილები არიან, მითოლოგიური დროიდან მოდიან და ჩვენს ეპოქასა და მომავალშიც პოულობენ ანალოგებს.

ოთარ ჩხეიძე ლიტერატურის წარმმართველ ჟანრად რეალიზმს მიიჩნევდა და თვლიდა, რომ რეალიზმის ისტორია მითოსისაგან, მითოლოგიზმისაგან თავის დაღწევის ისტორია გახლდათ:

„მხატვრულ-ესთეტიკური შინაგანი ჭიდილი, მითოსისაგან განთავისუფლებისათვისა, რადგან საწყისი მითოსია და განვითარებაც საწყისისაგან დაშორებას უნდა გულისხმობდეს. უნდა გულისხმობდეს და ასედაცაა, დახვეწილია რეალიზმი, განწმენდილია, განთავისუფლებულია მოვლენათა მითოსური წარმოსახვისაგან, ჭეშმარიტების მითოსური ძიებისაგან, მითოსური ესთეტიკისაგან, განთავსუფლებულია მითოსური სიუჟეტებისაგან, მითოსური გმირებისაგან, მითოსური ჰიპერბოლებისა თუ მეტაფორებისაგან, გამოხსნილია, განთავისუფლებულია“. (ჩხეიძე, 1984, გვ. 4)

თუმცა არც რეალისტური ჟანრის დიდოსტატი ავლებდა წყალგამყოფს და რეალისტური ჟანრის რომანში მითოსური პლასტების არცთუ უმნიშვნელო შენაკადს გამოყოფდა: „მაინცაა შემორჩენილი რაღაც ისეთი, მთლად და სრულიად განთავისუფლებას რო არა გულისხმობს; ეს რაღაც არც ისე პატარა თუ უმნიშვნელო რამ გახლავთ, - ესაა: ემოციურობა და სიმეტრია, ანთუ კომპოზიცია სრულყოფილი, და ვარიაცია მითოსური გმირისა - ხასიათი, ტიპური ხასიათი, ესაა და არც ისე მცირე თუ უმნიშვნელო რამ არის, ცხადია, ოღონდ უარყოფილიც საგრძნობლად მნიშვნელოვანია და უფრო თვალსაჩინოა და თუ რამ შემორჩათ, ამას იმდენადაც აღარ განიცდიდნენ რეალისტი შემოქმედნი, ანთუ საჭირო აუცილებლობად მიაჩნდათ თავიანთი დროის ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. (ჩხეიძე, 1984, გვ. 4)

ამ რომანებს ხშირად ორი პლანი გასდევს: მითოსური და რეალური. რეალურია სურვილისა და სინამდვილის შეუთავსებლობა. პროტაგონისტთა უუნარობა, თავი დააღწიონ ტოტალიტარულ ყოფას, რასთანაც ასოცირებულია მითოსური ასპექტები. მითოსური და რეალური დინების პარალელიზმი ბოლოს რომანებში ერთმანეთს ემთხვევა, სადაც არა მხოლოდ მოტივებისა თუ სიმბოლოების დამთხვევასთან გვაქვს საქმე, არამედ გმირის არქეტიპთან თანაზიარობასთანაც. (ჩხეიძე, 1984, გვ. 4)

მითებს შემდეგი ოთხი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ:

1) მითები ეწოდება ნაცნობ წარმოდგენებს, რომლებიც გულისხმობენ თქმას იმაზე, რაც მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში;

2) მითები ფორმას აძლევენ უნივერსალურ ბრძოლას, მათი ორ ძალას შორის კონფლიქტამდე დაყვანით;

3) სიკეთისა და ბოროტების გამოხატულების დრამატიზებით, მითები ჩვენს ჩართულობას იწვევენ. არ არის აუცილებელი წონასწორობის არსებობა ამ ორ წარმოდგენას შორის. განსაზღვრულია, რომ ერთი უნდა იყოს აშკარად კარგი ან ცუდი, აქედან გამომდინარე, მეორეც განსაზღვრულია;

4) მითები ან არქეტიპულნი არიან, ან განმეორებადი ბუნებით ხასიათდებიან. პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფიზიკურ მცველებს, მათი ცვალებადი ნიღბების გამო, მუდმივად ცვალებად სიტუაციებში. განსაკუთრებული კოდებისა და სიმბოლოების დახმარებით, ხალხს შეიძლება ვასწავლოთ მოცემულ სიტუაციაში მითიური დრამის ამოცნობა.

ცხადია, ჩვენ მიერ შესწავლილ მწერლებს მხოლოდ ტირანიის პრობლემა არ აინტერესებდათ. სხვა რამ იყო მთავარი - ამ რომანებში პრობლემაა ბრბოდ ქცეული და სახედაკარგული პიროვნება, შესაბამისად, უღვთო საზოგადოება და განმღრთობილი კაცი.

როგორც გამოიკვეთა ამ ნაწარმოებებში მთავარ როლს მეხსიერება თამაშობს: დროის ნამოქმედარისაგან თავისუფლდები გახსენებით, ანამნეზისით. მთავარია გაიხსენო ყველა ის მოვლენა, რომლის მოწმე იყავი დროულ ხანგრძლივობაში. ეს ტექნიკა ჰგავს იმ არქაულ კონცეფციას, რომელზედაც ჩვენ დიდხანს შევჩერდით და რომელიც საგნის ისტორიასა და საწყის ცოდნას მოითხოვს - საგნისავე დასამორჩილებლად. ცხადია, დროში უკუსვლა გულისხმობს პიროვნულ მეხსიერებაზე დაქვემდებარებულ გამოცდილებას, მაშინ როდესაც საწყისის ცოდნა სანიმუშო დასაბამიერი მოვლენის, მითის შეგრძნებამდე და აღქმამდე დაიყვანება. თუმცა სტრუქტურები ერთმანეთს მიუგავთ: საუბარია დეტალურ და ზუსტ გახსენებაზე, იმაზე, თუ რა მოხდა საწყისების ხანაში და მის შემდეგ. (ელიადე, 2009, გვ. 79)

ანტიტოტალიტარული მითოლოგიური ჟანრის რომანთა შესწავლამ გამოკვეთა და განსაზღვრა ამ მწერალთა შემოქმედების როლი, ტოტალიტარული კულტურული სივრცის შეფასებისას, მის დემითოლოგიზაციაში. თვალსაჩინოა (ამ მწერალთა) პოლემიკა ტოტალიტარული ლიტერატურის მითისმქმნელებთან; ჩვენ ეს ნაწარმოებები განვიხილეთ, როგორც შეწინააღმდეგება ტოტალიტარული მითისადმი, რამაც კიდევ ერთხელ დაგვაწმუნა, რომ ყველაზე ტოტალიტარული ყოფის დროსაც კი იქმნება ნაწარმოებები, რომელთაც, წლების მერეც არანაკლები ინტერესით კითხულობენ. ასე იყო XX საუკუნეშიც. თამაზ ბიბლიური ამ პარადოქსულობას ასე ხსნის: „ზოგჯერ ტოტალიტარულობა გვაიძულებს კიდევ, მთელი ძალის დაძაბვას და ერთი მიზნისაკენ წარმართვას. ასეთ დროს აზროვნება დამუხტულია (რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი შემოქმედის აზროვნებას ვგულისხმობ). რაც არ უნდა თავი მხიარულად დაიჭირო, შინაგანი სულიერი დრამა თავის თავს აჩენს და ნაწარმოებშიც აშკარად ვლინდება“. (ვაშაძე, 2008, გვ. 429)

ჩვენ მიერ განხილულ რომანებში დიდოსტატის უბრალოებითაა განხორციელებული ნამდვილი მწერლობის მთავარი ფუნქცია. ასე უნდა იქცეს ნაწარმოები მითოსად და არა პირიქით. მითოსის ხელოვნურად ზემოქმედებისათვის გამოყენება, ალბათ, მწერლობას არ შეუძლია. სამივე რომანში გენიალური სისადავით, სიღრმით, სტილური მრავალმხრიობითა და აზრობრივი ცხოველმყოფლობითაა წარმოჩენილი სოფლის, ქვეყნიერების ცოდვის ფონზე ტირანიის, დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი პროტაგონისტის ადამიანური ტრაგედია, რომელიც შეიძლება ფორმულადაც გავიაზროთ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის დროს ავამოქმედოთ: აღმასვლა - დაცემა - კათარზისი.

ბიბიოგრაფია:

ბიბილური, თ. (1993 წლის 22 იანვარი). რადიოინტერვიუ. *ლიტერატურული საქართველო*, გვ. 5-6.

ბიბილური, თ. (2010). *ჟამი კითხულისა*. თბილისი.

გვერდწითელი, გ. (1979). უსიყვარულოდ არ არსებობს... *მნათობი* (6), 153-166.

ელიადე, მ. (2009). *მითის ასპექტები*. (მ. ბაქრაძე, & ბ. წვერაძე, მთარგმნ.) თბილისი.

ვაშაძე, თ. (რედ.). (2008). *თამაზ ბიბილური - დიდებული ჰარმონიის მაძიებელი*. თბილისი: აბული-7.

მირესაშვილი, მ. (2005). *ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი (XX საუკუნის II ნახევარი)*. თბილისი.

სიგუა, ს. (2008). *ჟამი კითხულისა*. წიგნში: *თამაზ ბიბილური - დიდებული ჰარმონიის მაძიებელი*. თბილისი: აბული-7.

ჩხეიძე, ო. (1984 წლის 10 აგვისტო). „ჩემი სოფლის ეტიუდები“ [დიალოგი მწერალთან]. *ლიტერატურული საქართველო* (33 (2318)), გვ. 6-7.

Tamar Kalichava

Sokhumi State University

THE CROWD PSYCHOLOGY - TAMAZ BIBILURI'S "THE TIME OF THE PLAGUE" RESUME

A lot of space is devoted to the study of the psychology of crowd in literature, especially in an anti-totalitarian novel. In that respect, we considered Tamaz Bibiluri's attitude to the problem interesting. "The Time of the Plague" depicts an array of the sinned; some have distinct faces and names are chosen respectively (Khechina-Khirschla). The author pays a great attention to the portrayal of the artistic image of a village. A village is a micro-model of the world, generalized gallery of characters - the reflection of the mankind sunk in the swamp of the sin. At first glance nothing extraordinary happens: people follow the origin of sin. With the artist's mastery, the writer illustrates how the ground is being prepared for the development of the national sin: after appointing the chief the people become relieved - they have a leader, who can exercise their spiritual aspirations.

The polemics of these writers with the creators of the myths of the totalitarian literature is obvious; we have discussed these works as the antithesis of the totalitarian myth, which once again proved that even under the totalitarian regime such works are created which even after years are read with an avid interest.

Keywords: Anti-totalitarian novel, Myth, Tamaz Bibiluri.

მადლი, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობის პარადიგმა ილია მართლის შემოქმედებაში

საკვანძო სიტყვები: მადლი, მსოფლმხედველობა, პარადიგმა, შემოქმედებითი ჩანაფიქრი, წმინდა წერილი, ახალი აღთქმა, ილია მართალი.

მეცხრამეტე საუკუნეში სამოციანელთა შემოქმედებითმა ნააზრევმა საფუძველი ჩაუყარა ქართველი მოქალაქის სწორი ღირებულებებით აღზრდის საქმეს, სწორედ თერგდალეულებმა იხსნეს თავიანთი საუკუნე. საგანმანათლებლო სისტემის განახლების თანამედროვე ეტაპზე ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებითი ნააზრევის, როგორც ეროვნული ცნობიერების ძირითადი წყაროს მნიშვნელობა, შესწავლა და შენარჩუნება კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. ერის კულტურის საგანძურად ქცეული ილია ჭავჭავაძის (ილია მართლის) მხატვრული თუ პუბლიცისტური ნააზრევი პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებადაა მიჩნეული. „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრული“, უმოდვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე, ...აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა...“ - „აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა“ ილია მართალი. - ეს იყო კრედო და ცხოვრების მიზანი ილია მართლის ცხოვრებისა, საზომი ამქვეყნად მისი ყოფნისა, საუკუნის მიღმა მკითხველი კვლავ ეძებს იმ მიზნულ მარგალიტებს, რომელმაც გზა ერის ხნის უნდა გამართოს, შეასწოროს კიდევ და ახალიც ააშენოს. ერის მოძღვრის ხმა მუდამ გასათვალისწინებელია და გასაზომი, რამეთუ „თითოეული წამი მისი ცხოვრებისა - მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის“. (ილია მართალი) შემოქმედებასთან ყოველი შეხება სამყაროს უკეთ შეცნობისა და სულიერი განვითარების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

ავტორის მსოფლმხედველობა ის უმნიშვნელოვანესი ღერძია, რომელზედაც დამყარებულია თხზულებათა შემოქმედებითი ჩანაფიქრი. რელიგიური აღმსარებლობისადმი დიდი ყურადღება ნათლად ჩანს ქართველ სამოციანელთა რელიგიური მორალით დამოდვრილ თხზულებებში და განსაკუთრებით მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებში. ამის შესახებ უკვე არაერთი ნაშრომია შექმნილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და კიდევ ბევრი დაიწერება, რადგან ამოუწურავია მათი შემოქმედებითი აზროვნება და მხატვრულ-გამომსახველობითი სამყარო. დღეს რთულია გამართო ლიტერატურული დისკუსი ილია მართლის შემოქმედებაზე მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსის გაანალიზების გარეშე. ამ მიმართულებითაც უამრავი კვლევა იქნა გამოქვეყნებული იდეოლოგიური წნეხისაგან თავის დარწვევისთანავე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა კვლევებმა კიდევ უფრო მეტ შემოქმედებით სიღრმეებში ჩაგვახედა. ასეთი ნაშრომების კვალდაკვალ ცოდნისა და განცდებისთვის უფრო ფართო ასპარეზი შეიქმნა. ილია მართლის მსოფლმხედველობითი მრწამსის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები იქნა შექმნილი მკვლევრების მათა ნინიძის, ბელა წიფურას ... მონოგრაფიებსა თუ სამეცნიერო სტატიებში.

განათლების სისტემის განვითარების ალტერნატიულ გზას ქვეყნის საერო და სასულიერო წარმომადგენლები მეცნიერებისა და სარწმუნოების სინთეზში ხედავენ. „შეუძლებელია ილაპარაკო პიროვნების აღზრდაზე მისი სულისა და რწმენის განვითარების გარეშე... მე ვფიქრობ, დროა, ამოვწიოთ ჩვენი არცთუ შორეული წარსული, ის დრო, როცა არსებობდა სასულიერო სემინარიები, გიმნაზიები, აკადემიები... მაშინ საოცრად იყო შერწყმული ცოდნა და რწმენა“. (ალიბეგაშვილი, 2008, გვ. 27) უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ საქართველოს კარგი მომავალი საზოგადოების განათლებასა და ცოდნაზე დამოკიდებული. „საქართველომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეითვისა მადალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახალი არ იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განღმრთობისა სარწმუნოებისა და სიყვარულის საშუალებით.“ (ილია II, 1997, გვ. 144) ქართველ 60-იანელთა შემოქმედების გაანალიზება, სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება, სწავლება „გონების განახლებაზე“ (პავლე მოციქული, რომ. 12,2), რომელიც ათავისუფლებს „წუთისოფლის“ მიდრეკილებებისაგან და ჩვენი „ფერისცვალების“ დასაწყისს წარმოადგენს, საფუძველია ქვეყნის განვითარებისა. მადლი ღვთით მოცემული სიკეთე და სიყვარულია, რომელსაც აქვს თვისება, ბუნება, უნარი, ჩვენი ადასრულოს უძღურთა კურნება, ნაკლულევანთა

აღვსება, რომელმაც არცა სანაცვლოდ, არცა მოყვრობისათვის, არცა შიშისათვის კეთილი და ქველის საქმე აღასრულოს. უფალმან მდაბალთა ზედა განისვენოს, ხოლო „სიმდაბლე მადლი არს გამოუთქმელი“, - ამბობს იოანე კიბისაღმწერელი. გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ „მადლი ეძლევა არა იმას, ვინც ლაპარაკობს, არამედ იმას, ვინც სიკეთით ცხოვრობს“. თუ ბასილი დიდს დავესესხებით, - სულიწმინდის მადლი მზის სხივის მსგავსად ყველაზე ერთნაირად იღვრება, მაგრამ ყველას როდი აქვს უნარი მისი ერთნაირად მიღებისა. მადლის მიღება ნიშნავს არა სულიწმინდის ფიზიკურ მიახლოებას კაცთან, არამედ იმ ვნებათა განდევნას, რომელნიც კაცის სულში ცოდვით დაცემის „...ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოდიკამ გზა შეიშალა... სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვედარავის გაურჩევიათ, ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა... ყველანი ვხედავთ ამას... და ვიშვნევთ, და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას... თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეაჩნდათ და ამის გამო ბოროტს, ტყუილს და ცოდვასდა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა, მართალმა ვერ შესძლევს“ - წერს ილია სტატიკაში „უარყოფლობა ჩვენში“

ახალ აღთქმაში და განსაკუთრებით, წმინდა პავლესთან მადლი აღნიშნავს ღვთის მიერ ადამიანისათვის საკუთარი სიცოცხლის უანგარო მიძღვნას ქრისტეს მსხვერპლშეწირვით, რის შედეგადაც ქრისტიანები ნათლისღებისა და სულიწმინდის ნიჭის მეშვეობით „ღმრთის შვილად“ იქცევიან (რომ. 6:3, შმდ; 8:14, შმდ.) სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მადლი“ არის სამსახური, უანგარო დახმარება, რომელსაც ღმერთი გვიწევს, რათა მის მოხმობას ვუპასუხოთ: ვიქცეთ ღმრთის შვილებად, აყვანილ შვილებად, გავხდეთ ღვთაებრივი ბუნების, მარადიული ბუნების თანამონაწილენი“ წმინდის მიერ აღბეჭდილები, რომელთაც მისგან მიღებული მადლი მოყვასის სამსახურისათვის გამოიყენეს, გაიგონებენ: „კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“ (მათე 25,21), ხოლო ვინც მინიჭებული წყალობა მოძმეთ არ გაუნაწილა და ამ გზით არ გაამრავლა, მას ისიც წაერთმევა, რაც მიიღო და სხვას მიეცემა. როგორც მოციქული ამბობს, ამგვარნი სრულიად განიკვეთებიან (ლუკა 12,46). განკვეთა - სული წმიდისაგან ადამიანის საბოლოო გაუცხოებას გულისხმობს. სული განიკვეთება, რადგან შეითვისა ცოდვილი სიბრძნე და სხეულს თანამოზიარედ ექმნა ბოროტების ჩადენისას. იმიტომაც არ არის „სიკუდილსა შინა მოხსენიება და ჯოჯოხეთსა შინა აღიარება“ (ფსალ. 6,5) მადლი ღვთისმეტყველურად განიხილება, როგორც ძალა, რომლითაც ღმერთი ეცხადება კაცობრიობას, მოქმედებს ადამიანზე და ეს უკანასკნელი მისი მეოხებით გადალახავს რა საკუთარ ქმნილებლივ შეზღუდულობას, დასძლევს რა საკუთარ ცოდვილობას, აღწევს „განფრთობას“ [გაშლა ფრთებისა (ეზეკ. 16, 8),]

„მ ა დ ლ ი ს არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს ტანჯვას. რადგან თუ დანაშაულისათვის გცემენ და ითმენ, რა საქებარია? ხოლო თუ კეთილისმოქმედნი იტანჯებით და ითმენთ, ეს მ ა დ ლ ი ა ღვთის წინაშე. ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეს ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგვიტოვა, რათა მის კვალს მიჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ზაგეს; რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს, რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი ხორციით, რათა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ ცოდვისათვის მკვდრებმა. მისი ჭრილობით თქვენ განიკურნეთ.“ (I პეტრე 2, 19-24) ...ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია. (ეფესელთა მიმართ პავლეს ეპისტოლე 2:8) ...მართლმადიდებლობა ყოველგვარი უკიდურესობებისგან გამიჯნული სამეფუეო გზაა. აქედან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია თავგანწირვა, მაგრამ მიუღებელია ფანატიზმი, დამახასიათებელია შემწყნარებლობა, მაგრამ მიუღებელია ფსევდოლიბერალიზმი (ყველაფრის დაშვებულობა). (ილია II, საადღგომო ეპისტოლე, 2008 წელი)

ეკლესიის მამები სულიერ ადამიანს ისეთ ადამიანად მოიაზრებენ, რომელიც „სულის ენერგიას“ ფლობს, მაშინ, როცა აღნიშნავენ, რომ სულიერი ადამიანი „სამი ელემენტისგან: ზეცათა სულიწმინდის მადლის, ლოგიკის მქონე სულისა და მიწიერი სხეულისგან შეიქმნა“, რომელიც ასევე სულიერი ხდება, როდესაც სულიწმინდის მადლში მონაწილეობს.

ახალ აღთქმაში მადლის ცნება უფრო დაზუსტდა. განასხვავებენ მის ორ ძირითად მნიშვნელობას: პირველი - საღვთო ანუ ქრისტეს მადლში იგულისხმება ჩვენი გადარჩენის მთელი განგებულება, რომელიც ძე ღვთისას ამქვეყნად მოსვლით, ჯვარზე სიკვდილით, აღდგომითა და ზეცად ამალგებით აღსრულდა: „მადლითა ხართ გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს: არა საქმეთაგან, რადთა არავინ იქადოს“ (ეფ. 2,8-9). მეორე - მადლი ეწოდება სულიწმინდის ნიჭებს, რომლებიც ვლინდება და გარდამოდის ქრისტეს ეკლესიაში მისი წევრების განწმედის, სულიერი ზრდისა და მათ მიერ ზეციური სასუფევლის მისაღწევად. ამ მეორე, ახალი აღთქმისეული მნიშვნელობით მადლი არის ზეციდან გარდამოვლენილი და ქრისტეს ეკლესიაში დავანებული ძალა

ღვთისა, ამაღორძინებელი, მაცოცხლებელი, სრულმყოფი, მორწმუნე და კეთილმსახური ქრისტიანის წარმართავი უფალ იესო ქრისტეს მიერ ბოძებული ცხოვნების მისაღებად. მართლმადიდებელ მოსაგრეებს თავიანთი გამოცდილება კარნახობს, მთელი ძალით მოუწოდონ ქრისტიანებს, თავმდაბლად შეიგნონ თავიანთი უძლურება, რათა იმოქმედოს ღვთის მაცხოვრებელმა მადლმა. ამის თაობაზე შთამბეჭდავია ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის დარიგებანი (XI ს.): „თუ ეშმაკის შეგონებით აზრად მოგივა, რომ შენი ცხოვნება მოხდება არა შენი ღმერთის ძალით, არამედ პირადი სიბრძნითა და ძალისხმევით, და თუკი ამ შეგონებებს სული დაეთანხმება - მას მადლი განემორება. ჩვენს უკანაკნელ ამოსუნთქვამდე მართებს სულს, მასში აღმოცენებულ ამ ძლიერ და უმძიმეს ბრძოლას ღვაწლით შეეწინააღმდეგოს. როგორც ნეტარი პავლე მოციქული ამბობს, სულმა უნდა იღადადოს მთელი ხმით, კაცთა და ანგელოზთა გასაგონად, რომ მოქმედებს არა თავად, არამედ „მადლი იგი ღმერთისაა, რომელი იყო ჩემ თანა“ (I კორ. 15,10). მოციქულები და წმიდანები, მოწამენი და იერარქები, ღირსნი და მართალნი - ყველა აღიარებს სულიწმიდის ამგვარ მადლს. ისინი ასეთი აღიარებისათვის იღვწოდნენ და მისი (მადლის) შემწეობით აღასრულეს ღვაწლი კეთილი და სლვაჲ თვისი“.

„ქრისტიანის სახელის მატარებელს, - ვკითხულობთ იმავე მამასთან, - თუ გულით არ სწამს, რომ სარწმუნოებით ბოძებული საღვთო მადლი არის წყალობა ღვთისა... თუ იგი იმ მიზნით არ იღვწის, რომ პირველად საღვთო მადლი ნათლისღებით მიიღოს, ან თუ გააჩნდა და ცოდვის ჩადენის გამო დაკარგა, ისევ მოიპოვოს სინანულით, აღსარებითა და თავის დამამდაბლებელი ცხოვრებით: და ამის ნაცვლად არიგებს მოწყალებას, მარხულობს, მღვიძარებს, ლოცულობს და ა.შ. და თან ფიქრობს, რომ მნიშვნელოვან სათნოებებსა და თავისთავად დასაფასებელ კეთილ საქმეებს ასრულებს, ამაოდ გაირჯება და დაშვრება“. წმინდა ილია მართალი აღნიშნავს: „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზე და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია.“ მადლის, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობის პარადიგმის შესახებ ილია მართალი მსჯელობს წერილში: „ვფიქრობთ, აღნიშნული პუბლიცისტური წერილი წმინდა ნინოს შესახებ მთელი მისი შემოქმედების ერთ ძლიერ იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს.

„ილიას შემოქმედებაში საპროგრამო ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ პროზიდან - „მგზავრის წერილები“, ლირიკიდან - „პოეტი“, პუბლიცისტიკიდან - „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“, ეპოსიდან - „განდევილი“, ხოლო ილიას ქრისტიანული მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებულია ილიას წერილში - „წმინდა ნინო“. ქრისტიანული ადამიანთმცოდნეობითი პარადიგმები ილიას შემოქმედებაში მოხმობილია იმისთვის, რათა ადამიანმა თავისი ქმედებით იხსნას სული ხორცის ტყვეობისაგან და შეემსგავსოს მამა ღმერთს. ადამიანური სრულყოფილების სიმბოლოდ ილიას ზეციური მამა ჰყავს წარმოდგენილი, ამის საფუძველია მაცხოვრის მოწოდება, რომ დავემსგავსოთ მამა ღმერთს, სრულყოფილების უმაღლეს ნიმუშს. ქრისტე მთაზე ქადაგებისას მოუწოდებდა ხალხს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე, 5,48). ეს მოწოდება მრავალმხრივაა ხორცშესხმული ილიას მხატვრულ შემოქმედებაში. (ვარდოშვილი, 2008)

„მახსენდება სემინარიაში და აკადემიაში სწავლის პერიოდი. ჩვენ რექტორი გვასწავლიდა, რომ როცა ტაძარში ხარ და ამ ლოცვას მოისმენ, აუცილებლად პირჯვარი უნდა დაიწერო, რათა ღვთისაგან გადმოსული მადლი შეგეხოს. ადამიანი ბოლომდე ვერ ახსნის, რა არის ეს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ღვთისაგან გამოსულია. როცა ეკურთხება დიაკონი მღვდელი ან ეპისკოპოსი, იქ ამბობს პატრიარქი: მადლი ღვთისა უძლურთა მკურნალი, ნაკლულებათა აღმავსებელი - ესე იგი ჩვენი უძლურების მკურნალია მადლი ღვთისა და ნათლის აღმავსებელი. ეს არის დიდი ძალა რომელიც აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის. ჩვენ გულში უნდა გვქონდეს ეს მადლი, სულში უნდა გვქონდეს, გონებაში უნდა გვქონდეს. მე მახსენდება ერთი ებრაელი მოხუცებული კაცი, რომელიც ამბობდა: თუ შენ დაკარგე სიმდიდრე, შენ არაფერი არ დაგიკარგავს, თუ შენ დაკარგე ჯანმრთელობა, შეიძლება ცოცხალი დარჩე, მაგრამ იყო ავადმყოფი, მაგრამ თუ შენ დაკარგე მადლი ღვთისა, ყველაფერი დაკარგულია.“ (ილია II)

ბიბლიოგრაფია:

ალიბეგაშვილი, გ. (2008). ჰაგიოგრაფიული თხრობა. *ქართული სიტყვა* (2).

ბაქრაძე, ა. (2004). *აკაკი ბაქრაძე - სკოლას*. უნივერსალი: თბილისი.

ბენაშვილი, გ., & კენჭოშვილი, ი. (რედ.). (2000). *კრიტიკური ლიტერატურის თეორია, ისტორია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია / ლიტერატურული ძიებანის პერიოდული დამატება*. თბილისი.

ბურუსი - თენგიზ ვერულავა. (2010 წლის 16 თებერვალი). ილია ჭავჭავაძე - ბიოგრაფია. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2010/02/16/ilia-chavchavadze-15/>

ვარდოშვილი, ე. (2008). ქრისტიანული ანთროპოლოგიური პარადიგმები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. *ინტელექტუალი* (6), 7-12.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. (1997). *ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი* (ორ ტომად). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

ჭავჭავაძე, ი. (1896). სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/gabriel.htm>

ჭილაძე, ო. (1998). *სხვა ვარსკვლავი*.

Neli Champuridze
Gori State Teaching University
**GRACE AS A PART OF THE CHRISTIAN WORLDVIEW ARCHETYPE IN ILIA
CHAVCHAVADZE'S WORK
RESUME**

Ilia Chavchavadze's artistic or publicist thought, which has become a treasure of the nation's culture, is considered to be the saving doctrine of the person and the nation. Nowadays it is difficult to hold a literary discussion on the work of Ilia Martali without analyzing his worldview beliefs. In the work of Ilia, the God grace is considered as a saving favour of the individual and the nation. The writer clearly showed the God blessing as a solid foundation force and significance of the nation in his creation.

Keywords: Grace, Worldview, Paradigm, Creative intent, Scripture, New Testament, Ilia the Righteous.

გიორგი ხორბალაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**დათო მალრაძის მხატვრული აზროვნება და ლექსის თავისებურებანი
(პოეტური კრებულის „უსადაურო“ მიხედვით)**

საკვანძო სიტყვები: პოეზია, ლექსი, მხატვრული სტილი, რითმა.

დავით მალრაძის პოეტური კრებული „უსადაურო“ მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებას მოიცავს, თუმცა, ვიდრე წიგნის მხატვრულ ღირებულებათა ანალიზს შევუდგებოდეთ, აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი თავის თავში აერთიანებს რამდენიმე (თუ შეიძლება ასე ითქვას) შემოქმედებით ეტაპს. საინტერესო კი ამ ყველაფერში ის არის, რომ წიგნში დემონსტრაციულად არის დაყოფილი ეს პირობითი ეტაპები და მათი ერთობლიობა წარმოადგენს არსებითად ერთიან და განუყოფელ ლიტერატურულ ტილოს. წიგნის კითხვის პროცესში არაერთგზის ჩნდება განცდა, თითქოს არა ლექსების კრებული, არამედ, პოსტმოდერნისტული ელემენტებით შესრულებული ავტობიოგრაფიული რომანი იყოს მკითხველის წინაშე. გარდა იმისა, რომ პოემა „ჯაკომო პონტი“, რომელმაც ჩვენ ზოგადი პათოსით ფრანსუა ვიონი გაგვახსენა, სწორედ, ავტორის შინაგანი მრწამსისა თუ ფრაგმენტული თავგადასავლების ერთობლიობად გვესახება, წიგნის დანარჩენი ნაწილი ასევე გაიძულებს ამავე დამოკიდებულებით დარჩე ყოველი მცირე თუ დიდი ლექსის კითხვისას, იქნებ სწორედ ეს იყო განზრახული როდესაც „პირველთავი დასაწყისი“ ამ „ავტობიოგრაფიული რომანისა“, როგორც ჩვენ მას უკვე ვუწოდეთ, „ჯაკომო პონტი“ დაიწყო, სადაც ლექსთა ერთიანობა ცალკეობის შემთხვევაშიც მოიაზრება და მკითხველიც მზა

განწყობით რჩება ამავე დამოკიდებულებასთან პოემის შემდგომაც. ავტორის ზოგადი სახე, ფიქრიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული, ამასთან ერთად მიმტევებელი თანამომობელი, მეტად სერიოზული და ამავდროულად იუმორითა და სარკაზმით გამოხატული ჩანს პოემიდან და გადაინაცვლებს მთლიან კრებულშიც. ვრცელი თემატიკა წიგნისა გამომამზეურებს არაერთ საინტერესო საკითხსა თუ პოეტურ ჩანაფიქრს, მაღალი პოეტური ოსტატობით შესრულებულს, როგორც თავად ავტორი იტყოდა: „დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს, დეტალიდან ჩანს დიდი ამბავი“, ამიტომ ამ წიგნის დიდ ამბავში ჩვენ ვეცადეთ დეტალები გამოგვეცალკევებინა, რომლებიც დიდ ამბებს გასაღებადაც მოერგებოდა მთელ რიგ ისტორიებსა თუ დამოკიდებულებებს, საბოლოოდ კი ეს მოცულობითი ლექსების კრებული კიდევ უფრო გაიზარდა შინაარსობრივად, რამდენადაც, მასში მოძიებულმა დეტალებმა უთუოდ შეისხა დიდი ამბები, პირველ ყოვლისა კი სწორედ პოეტის მრწამსი, მისი ეროვნული ორიენტირები და ცხოვრებისეული პორტრეტი ამოიშალა თვალსაწიერზე, პიროვნული ისტორიით, გამარჯვებებითა და მარცხით, იმედითა და უიმედობით, სიხარულით და ტკივილით.

პოეზია რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთიანობას წარმოადგენს, ვერც მხოლოდ რითმების მოძებნა შობს ლექსს და ვერც მხოლოდ მეტაფორისა და მხატვრულ სახეთა მიგნება, რამდენადაც თითოეულ მათგანს საკუთარი ლოგიკური ადგილი უნდა გააჩნდეს ლექსის წიაღში, ამ წიაღს კი მისი სხეული - შინაარსი და ჟღერად მუსიკალური არქიტექტონიკა წარმოადგენს... რომლებიც ასევე თავისთავადად ვერ შექმნიან პოეტურ კომპოზიციას ზემოთ ნახსენებ სალექსო ნიუანსთა გარეშე. რამდენიმეს გამოკლებული ერთი ზოგჯერ დასაშვებია და მიზნამდე მისავალ გზას იგნებს, მაგრამ ერთს გამოკლებული დანარჩენი ვერასდროს იქნება პოეზია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, პოეტის სრულფასოვნების მასშტაბებს განაპირობებს პოეტური ტექნიკის არსენალის მრავალფეროვნება შერწყმული პოეტურ აზროვნებასა და მე ვიტყვოდი პოეტურ ფილოსოფიასთანაც კი, რამდენადაც მგონია, რომ ჭეშმარიტ პოეზიას უთუოდ აქვს ერთგვარი საკუთარი ფილოსოფია.

როგორ გამოიყურება დათო მალრამის პოეტური ფილოსოფია და მხატვრული არსენალი კრებულში, ბუნებრივია არის ყველაზე საინტერესო რიგითი მკითხველისთვისაც და მკვლევართათვისაც, თუმცა ძალიან დაკვირვებული წაკითხვაც კი ხშირად ბევრ შეუმჩნეველ ნიუანსს ტოვებს, რომელთა ამოკითხვის გარეშე, წარმოუდგენელია წიგნის სრულ შეცნობაზე გვექონდეს პრეტენზია. ამდენად, შევეცადეთ ამოგვეცნო კრებულის სივრცეში არსებული რამდენიმე ტენდენცია და ამავდროულად, გაგვემახვილებინა ყურადღება მხატვრული ოსტატობის ნიუანსებზეც, რომელთაც ბუნებრივია, სრულად ვერც ჩვენ ამოვწურავდით მათივე მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თუმცა, ვფიქრობთ ის დეტალები, რომლებზეც გვაქვს ყურადღება გამახვილებული, საინტერესოა და მნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის კვლევის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ დათო მალრამის პოეზია უპირატესად კონვენციური სალექსო ფორმისაგან შემდგარი ლექსების ერთობლიობას წარმოადგენს, თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ მის შედარებით მცირე, მაგრამ საინტერესო ვერლიბრის სალექსო ფორმით შესრულებულ ლექსებს ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს და შესაბამისი მაღალი ოსტატობა მათაც შესანიშნავად ატყვიათ, თუმცა ჩვენ დეტალურად ჩავუღრმავდებით დათო მალრამისეულ რითმას, რაც კონვენციის შემთხვევაში სწორედაც რომ ერთ-ერთი უმთავრესი სამკაულია ლექსისა და შესაბამისად, ორიგინალური სარიტმო სიტყვების მოძიების უნარიც მთავარ ასპარეზთაგანს წარმოადგენს პოეტური ოსტატობის დემონსტრირების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, ვიდრე მალრამისეული რითმის ანალიზს შევუდგებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ წიგნის მთავარი მისია პოეტს ვერლიბრის ფორმით აქვს დაპატენტებული: „პოეტის ლექსი დარჩება, როგორც გზის ნიშნული გზაჯვარედინზე: - სიცოცხლისაკენ! - სიკეთისაკენ! - სიყვარულისკენ!“, წერს პოეტი და გასაგებია, რა მთავარი მოტივაცია ამომრავებს პოეზიის მჩქეფარებას მის მარღვებში. ხოლო რაც შეეხება რითმას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი საგანს წარმოადგენს წინამდებარე რეცენზიაში სხვა რამდენიმე საკითხთან ერთად, თუმცა, ის რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, მხოლოდ არასრული ნაწილი იქნება ერთი მთლიანობისა, რამდენადაც უფრო მეტი გამოწვლილვითი ანალიზის შემთხვევაში აუცილებლად აღმოჩნდება კიდევ ბევრი საინტერესო მაგალითი და ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება უთუოდ არის პერსპექტიული იდეა. ამასთანავე ორიგინალურ სარიტმო მიგნებებს შორის ჩვენ გამოვყავით მხოლოდ ზედაქტილური ხუთმარცვლიანი რითმის ნიმუშები და მხოლოდ მათი რამდენიმე სახეობა იქნება დემონსტრირებული ჩვენ მიერ. მოვიტანთ მაგალითებს: განა შაურის - დანაშაულის, იმისათვის, რომ აზრობრივი გამართულობა და პოეტური წინადადებების კონსტრუქციაში მათი ორგანული შერწყმა ნათლად გამოჩნდეს, მაგალითებს შესაბამის სტრიქონებთან ერთად მოვიხმობთ: „ოქროს ფასი აქვს, **განა შაურის**, დღესასწაულის გაზიარება ნიშნებს შეიცავს **დანაშაულის**“; „სიყვარულს ვერსად **დაკვებნიო**, - ასე საზღვრავდნენ ქვეყნის ყოჩები, მოგელის მრწოლა **საიმქვეყნიო**, ამქვეყანაში როცა მორჩები“; „დაივარცხნა და წავიდა დილით და შემრჩა ღამე **ლაღად ნათევი**, როგორც სურნელი ნაწვიმარ თბილისს რჩება

მზისაგან *ნალალატევი*“; „ფლირტი, სმა, იმტა, *ლამპით ბულვარი*... მაგრამ მე უკვე კარგად ვიცანი პიტი, *ნახიშტარ-ნაპიტბულარი*“; ასეთივე სარიტმო წყვილს წარმოადგენს მასებს უარი - აქსესუარი. („მათ უთხრეს სიცოცხლეს, სიცოცხლეს - ნახვამდის! ღირსებას - სალამი! და *მასებს* - უარი და სულის კედელზე შემორჩა ნახატი, გაქრა ის ხალხი და ის *აქსესუარი*“).

ზოგადად, ზე-დაქტილური რითმა რთული შესაწყვილებელია და თუ მათი შეწყვილება უპრეცედენტოა, რითმა თავისთავად ორიგინალური და საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, დათო მალრამე როგორც გამორჩეულად ნიჭიერი შემოქმედი ახერხებს თავისთავად ორიგინალურს შესძინოს მეტი ხიბლი და დამატებითი მხატვრული სიახლეები შექმნას, მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი სტრიქონები „- დრო მე გამასწრებს, და ან დროს თუ მე?!“ ახალ კოსტუმსაც დაედო მტვერი, არც რამე ხდება *საამკოსტუმე*“, აქ, არათუ, ზედაქტილური რითმის მაგალითთან გვაქვს საქმე, არამედ დაკვირვების საგანს წარმოადგენს კიდევ ერთი ნიუანსი, ერთ, ხუთმარცვლიან სარიტმო სიტყვასთან შეწყვილებულია ხუთი, ერთმარცვლიანი სიტყვის კომბინაცია, რის ანალოგიც საკმაოდ რთული მოსამიებელია ზოგადად პოეზიაში, თუ საერთოდ არის მოძიებადი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიხსენებთ, თუმცა, ცალსახად გამორიცხვას საფუძვლიანი კვლევის გარეშე ბუნებრივია ვერ დავადასტურებთ. დათო მალრამის რითმაზე საუბრისას, ასევე, უნდა აღინიშნოს, მის მიერ შექმნილი სარიტმო წყვილებიდან, ერთ-ერთი სარიტმო სიტყვის, ასე ვთქვათ, ჩატეხვის მეშვეობით მიღწეული ეფექტი, რომლის ანალოგიც მართალია მოიძიება, მაგრამ არა იმ ინტენსივობითა და სიხშირით, რასაც დათო მალრამის შემოქმედებაში ვხვდებით, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პოეტს ეს ნიუანსი განვითარების მაღალ საფეხურზე აჰყავს და ამითიც ჰქმნის ერთ საინტერესო ტენდენციას. ასეთი რითმის შექმნა გარდა იმისა, რომ ერთგვარი იშვიათობაა თანამედროვე პოეზიაში, ასევე არ არის მარტივი შესასრულებელი, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაშიც, ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითები მარტოდენ ზე-დაქტილური რითმებზე იქნება ფოკუსირებული და შესაბამისად ორმაგი სირთულის დამლევას და ოსტატობის მაღალ გამოხატულებას გულისხმობს. მაგალითად: „*ნაკურთხს შევეთა* - მამები“ (სიტყვა - შევეთამამების მეორე ნაწილი „მამები“, გადატანილია მომდევნო სტრიქონში და შესაბამისად, *ნაკურთხს შევეთა* გარიტმულია სიტყვასთან - *საკურთხეველთან*, რისი მეშვეობითაც ხუთ მარცვლიანი სარიტმო წყვილია მიღებული. ამავე პრინციპით არის ასეთი სარიტმო წყვილი შემოთავაზებული: „*ამ ლექსს ანტრ* - აქტის დროს“ სადაც, სიტყვა - ანტრაქტის, ასევე გაყოფილია და მეორე ნაწილი „აქტის“ სახით გადატანილია ახალ სტრიქონში. შესაბამისად, მიღებულია ხუთმარცვლიანი სარიტმო წყვილი და *ალექსანდრ* თან გარიტმულია *ამ ლექსს ანტრ*. ორმაგ პოეტურ გათვლას საჭიროებს ასევე ჩატეხილი სარიტმო სიტყვის მეშვეობით შექმნილი ერთგვარი ომონიმური და ამავდროულად, ახლებურად ომონიმური რითმა, რომელსაც დათო მალრამე ასე წარმოადგენს: *ისრაელ - ის რა ელ* - ვარებს, სადაც სიტყვის ნაწილი „ვარებს“ ასევე მომდევნო სტრიქონშია გადატანილი და სიტყვას „ისრაელ“ ერთმეზა სიტყვათა კომბინაცია - *ის რა ელ*. აღსანიშნავია, ასევე საინტერესო ვარიაციები ქართულ სიტყვასთან საერთაშორისო ტერმინოლოგიის მოშველიებით შეწყვილებული სარიტმო ჟღერადობის ეფექტის მიღებისა, მაგალითად სიტყვა - *ამორეო*, პოეტს გარიტმული აქვს წყლის ქიმიურ ფორმულის დასახელებასთან *H₂O*, რაც ერთობ საინტერესოა ჩვენი აზრით, მით უფრო, რომ მსგავსი მაგალითები თავადვე არაერთი შევნიშნეთ პოეტის შემოქმედებაში, თუმცა ყველა მათგანის განხილვის შესაძლებლობას ერთი კვლევის ფორმატი არ გვაძლევს.

პოეტის მხატვრული არსენალის მრავალფეროვნების დემონსტრირების თვალსაზრისით, კონკრეტულად კი მისი რითმის კვლევისათვის, ასევე აღსანიშნავია პოეტის კონსონანსური რითმების საინტერესო და ორიგინალური ვარიანტებიც, რომელთა მაგალითებს აქ აღარ მოვიყვანთ, რამდენადაც სხვა მიმართულებითაც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამ გვაქვს სათქმელი და მხოლოდ რითმების ანალიზით ვერ შემოვიფარგლებით, თუმცა, ამ ნაწილის დასასრულს კვლავ დავძენთ, რომ ერთია, რითმების - თუნდაც ურთულესის მოძიება და მეორე, მათი ისეთნაირად გაწყობა პოეტურ ხატწერასა და მთავარ სათქმელს შორის, რომ თავად რითმა ჟღერდეს გემოვნებით მორგებულად და არა სათქმელი რითმაზე დაშენებულად, რომელ ამოცანასაც თუ წარმატებით არ დასძლევს პოეტი, მაშინ ამ რითმების ძიებასაც აზრი და მნიშვნელობა ეკარგება. ხოლო, რამდენადაც, ჩვენ ამ მიმართულებით დიდი ინტერესით ვიმუშავებთ, ვფიქრობთ გამოვხატეთ კიდევ საკუთარი დამოკიდებულება, ეს ურთიერთშერწყმა რამდენად დახვეწილად გამოიყურება დათო მალრამის ლექსში.

საინტერესო გადასვლა გამოგვივა თუ მეორე ეტაპზე წინა პლანზე გამოვიტანთ პოეტის შემოქმედების კიდევ ერთ თვისებათაგანს, რაც მნიშვნელოვნად მივიჩნით და ვფიქრობთ, ამ ტენდენციის აღქმის გარეშე პოეტის ლექსის სრულყოფილ დაგემოვნებას გემოვნებიანი მკითხველი აუცილებლად მოსცილდება. აქ განვმარტავთ, რომ წინა წინადადებით გამოვხებმაურეთ დაანონსებულ ტენდენციას და ვეცადეთ პოეტის საყვარელ ენაზე გვეთქვა სათქმელის ეს ნაწილი. მხედველობაში გვაქვს პოეტის მიერ შემოთავაზებული ერთგვარი „სიტყვებით თამაშის“ ფართო არსენალი, რაც მნიშვნელოვნად

გამოარჩევს მას და გარკვეულ ინდივიდუალურ-სტილურ ნიუანსადაც წარმოგვიდგება. წიგნის ფარგლებში მსგავსი პოეტური მიგნებები, რასაც ჩვენ პირობითად, „სიტყვებით თამაში“ ვუწოდებთ, არაერთი აქვს ავტორს, რომელთაგან კიდევ შეიძლება ორი მიმართულება იქნას გამოიჯნული: ერთი, შინაარსობრივად ურთიერთგამომრიცხავი ანტიპოდური სიტყვებით თამაშია, ხოლო მეორე, ქლერადობის მიხედვით, ანუ, ალიტერაციის პრინციპით, ბგერითი თანხვედრის გათვლით დაჯგუფებული სიტყვებით თამაში, რომლებიც ბუნებრივია ლექსში ერთგვარ მისამღერებს ჰქმნიან და მუსიკალობის კულმინაცია ლექსისა პიკში აჰყავთ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელთაგან ამ ორი ჯგუფის გამოკვეთა ზოგჯერ შესაძლებელია, ზოგჯერ კი ისინი ორივე ფუნქციას ერთდროულად ითავსებენ, თუმცა ჩვენი მოსაზრების არგუმენტად იმდენად ნათლად წარმოჩინდებიან, რომ ამ შემთხვევაში ერთგვარი ჩამონათვალის შემოვიფარგლებით, რამდენადაც მთავარი, რაც უნდა გავიგოთ და მოვისმინოთ, თავად ეს ფრაზებია: „თავისუფლება უფლებას მამლევს, რომ ვიუარო თქვენი უარიც“; „თუ მიენდობი ამ ლექსის ავტორს, - მარტო დამლევიც არ არის მარტო“; „და უარყოფაც იქნებ უარყო და ეს პროტესტიც - შავად შობილი, გამოშრა ვერცხლის ჭიქა უარყოფ, უარყოფისგან უარყოფილი“; „მალლა ღმრთია, ქვევით - შტატები და მანკეტენის ღამის ნათება, აქ რასაც გინდა, შეემატები, ამით თუ რამე შეგემატება“; „მივენდე, როგორც ქალის ბუნებას, როგორც ჭერიდან დაშვებულ ბაწარს, ომში წასულის შინ დაბრუნებას, როცა სიკვდილსაც სიკვდილის არ სწამს“; „რომ დავძრა ჩემი ოცნების ეტლი, თუნდ წამოედოს ვიწროში ქვიანს, „არიოლ-რემკა“ ავაგდო მედლის, თვით სიტყვა - გვიან რომ იყოს გვიან“; „მახვრიპეს მარანში მერანი მირონის“; „ბრუნვაზე რადგან ბრონი აქვს ბრუნოს, ბრინჯაოს ბრუნოც ამბობს, რომ: - ბრუნავს!...“; „დრომ დრო წაშალა იმ დილით, წლები არ მახსოვს კარგად, რადგან „რა დროა“-ს კითხვით მე დრო არ დამიკარგავს“; „ჭერის ლაქები ნაქები ბოთლის შადრევნის ქაფია, მახსოვს გრაფების ნაგები სასახლის ბიოგრაფია“; „უარის არია, არია უარის, მარაოს ირავ განიშნებს კარისკენ“; „და სეკუნდანტები დგებიან შორიშორ, შარი სდევს, შური სდევს შლეიფის შარიშურს, - აშორე ბოროტი, შეაბი გიშერი... აშარის მკლავების სიშიშვლე მიშველის“; „გუგუნი ბოლო ვაგონის მე ამ გოგონას მაგონებს. გოგენის გოგნი-გოგონა...“; „ლოგინიდან ლოდინამდე თვალი ცრემლებს გამოედენის, როდინიდან როდენამდე რუდუნია რაოდენი“; „...ამ არემ ამირა ომარის სამარე დრო-ჟამით გამურა“; „და მატთანე ავტომატთან გადაიწერა ზეწოლის ძალით“... ფაქტია, რომ თითოეულ ამ სიტყვით გათამაშებას გარდა ფორმისა, თვისი შინაარსობრივი ღრმა დატვირთვა გააჩნია, რის გამოც ჩვენ შეგნებულად არ ვუწოდებთ ცალსახად ალიტერაცია, რამეთუ გვგონია, რომ მათი ორიგინალური შინაარსობრივი სპეციფიკა შერწყმული ბგერათა თანხვედრასთან იძლევა ალიტერაციის განსხვავებულ ვერსიასაც კი. რა თქმა უნდა, ამ ლოგიკის სრულყოფილი დადასტურებისთვის შემდგომი კვლევის საჭიროება იკვეთება და მათი მხოლოდ ასეთი სახით ჩამოთვლა არც თავად მიგვაჩნია საკმარისად, თუმცა მსგავსი კიდევ მრავალი მაგალითია დათო მალრამის პოეზიაში და იმ იმედით, რომ ამ ფორმით მყარად გამოვკვეთეთ კვლევის კიდევ ერთი კონკრეტული ასპექტი, გადავინაცვლებთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ტენდენციათა მიმართულებით, რამდენადაც ამ შემთხვევაში, ჩვენი ამოცანაა შეძლებისდაგვარად გამოვკვეთოთ უმთავრესი აქცენტები და კვლევის მიმართულებები, რაც როგორც აღმოჩნდა წიგნის სივრცეში არაერთია და შესაბამისად, გვიწევს რიგ საკითხებზე მხოლოდ ზოგადი ანალიზით შემოვიფარგლოთ, კვლევას ფორმატისა და იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე გახლავთ ინდივიდუალური კვლევის საგანი.

რამდენადაც კვლევის დებიუტშივე ჯერ პოეტის მხატვრული ოსტატობის ირგვლივ გამოვუყვებით ფიქრთა მდინარებას, მესამე ნაწილში ამავე მიმართულების კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას. ვიდრე პოეტის ზოგად მრწამსსა და მისეულ ფილოსოფიაზე გადავინაცვლებდეთ, რაც ასევე ძალიან საინტერესოდ გამოიყურება პოეტის შემოქმედებაში, თვალი გადავავლოთ დათო მალრამისეული მხატვრული სახეებისა და მეტაფორული გააზრებების თავისებურებებს, რაც მთავარი გამმიჯნავია პოეტური აზროვნებისა პროზაული ნარატივისაგან.

პოეტი წერს: „და წვიმას შენი შიშველი მკერდი უჩანდა, როგორც მედლები სარდალს“. აქ ერთ წინადადებაში დახატულია ზოგადად წვიმის პოეტური ეშხიც და ის არსებული თუ დასაშვები ესთეტიკური მშვენიერება, რომელიც წვიმას შეუძლია შექმნას, ლამაზი ქალის სხეულის გამოკვეთით, თუმცა პროზაულად ეს ყველაფერი ძალიან ბანალურად გამოითქმება, გამოხატვა კარგავს ესთეტიურობას და ფაქტის უხამს კონსტატაციასთან ახლოვდება, პოეზიაში კი ქალს თითქოს სულაც არ შეხებია წვიმის გავლენა, იგი იყო მშვენიერი და დარჩა მშვენიერად, უბრალოდ წვიმას გამოუჩნდა მისი შიშველი მკერდი, ისიც სწორედ წვიმას - და არა ქალს!

თუ რას განიცდის ადამიანი, როდესაც საყვარელ ადამიანს აცილებს ხანგრძლივად, როდესაც არსებობს დიდი სევდა და პერსპექტივა სულაც დაშორებისაც, გაცილებისას კი ტრანსპორტის გასვლის დრომდე დარჩენილ რამდენიმე წუთს დესერტივით აგემოვნებენ კაფეში და ორიოდე ჭიქით ეთხოვებიან ერთურთს, ხომ ძალიან ბანალური და ჩვეულებრივი ამბავია, რომლის მსგავსიც ყველას თუ არა თითქმის

ყველას გადახდენია, მაგრამ ერთი წინადადებით ამ ყველაფრის მოყოლა რამდენადაა შესაძლებელი, რაც არ უნდა ნაცნობ სიუჟეტს ასახავდეს ეს ნარატივი? შესაძლებელია, პოეტური ენით, როდესაც რამდენიმე სიტყვა თავადვე ხდება კიდევ მრავალი სიტყვის გაფიქრების ინსპირატორი, ასე მაგალითად: „ჩავყურებ ჭიქას ნოტიო სევდით, და განშორების ბილეთით სავსეს“. ამ სიტუაციაში ხომ განშორებისას შევსებული ჭიქა და განშორების ბილეთი იმდენად ერთი ხდება ემოციურად, რაც არ უნდა რადიკალურად სხვადასხვა ნივთს წარმოადგენდნენ რომ, რატომაც არ შეიძლება, ჭიქა მწერლის წარმოსახვაში არა სასმელით არამედ განშორების ბილეთით იყოს სავსე, რა თქმა უნდა პროზაულად ეს აბსურდია, მაგრამ პოეტურად მრავალმნიშვნელოვანი და სევდიანად მშვენიერი.

პოეტურად უკეთესია თუ ქორი ცაში უბრალოდ კი არ იფრენს, არამედ „...ქორი ცის კიდეზე ჰკიდია ჭალივით“ ან „და დროს საათის ისრების ნაცვლად, ფრთებით აჩვენებს ცაზე თოლია“. ამ შემთხვევაში პოეტური სახე ფილოსოფიური დატვირთვისაა და მასში არა მხოლოდ ცის უკიდევანო სივრცეში კენტად მოფარფატე თოლიას დალანდავ, არამედ მყისიერად გაგეფიქრება დროის პირობითობასა და უსასრულობაზე, რა დიდია დრო, რა უსასრულო და ხშირად რა პატარაა ჩვენი თვალსაწიერი ამაზე დასაფიქრებლად, ეს დაფიქრება თუ დაუფიქრებლობა კი იმად ადარდებს ავტორს, რომ ადამიანები ძალიან მოკლე სივრცეში ვიყურებით და ხშირად მხოლოდ დღევანდელი დღის პერსპექტივით ვცხოვრობთ და არა სამომავლო.

ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერს: „რადგან გულს ვეღარ გადავაცოლებ თიხის ქოთანში მივარდნილ აპრილს“ აპრილი გაზაფხულის დასაწყისია, გაზაფხული სიცოცხლესთან და თავისუფლებასთან ასოცირდება, თიხის ქოთანში მივარდნილი გაზაფხული კი ჩაკეტილი სივრცის განცდას აღძრავს, სიცოცხლის არასრულფასოვან შემეცნებას. ამიტომაც არ ხიბლავს პოეტს ჩვეულებრივი და ბანალური გათენება, რიტუალებში გადასული ერთფეროვნება, რომელიც პოეტისეულ დილის ასახვაში ქვეცნობიერად იკვეთება. დილა როგორი შეიძლება იყოს ალბათ უამრავი ვერსიას, თუმცა „მღვიმარებით დაცხრილულ დილა“ - ისეთი მეტაფორული სახეა, რომელიც მხოლოდ ერთხელ და ერთმა შეიძლება თქვას. სრული სტრიქონის კონტექსტი კი: „მღვიმარებით დაცხრილულ დილას და ოფისების ერთჯერად ყავას“, სწორედ ერთფეროვნებაზე მწუხარე და შესაბამისად უპერსპექტივობაზე ჩაფიქრებული პოეტის განცდასთან ასოცირდება ჩვენი თვალსაზრისით. ამ ყველაფერს პოეტი ლექსში დეტალურად არ და ვერ დაწერს, ამაზე მკითხველს უნდა გაეფიქროს, რამდენადაც ლექსი განწყობაა პირველ ყოვლისა და შემდგომ ამ განწყობიდან დანახული ამბავი, რაც პროზის შემთხვევაში პირიქით გახლავთ, კითხულობ ამბავს და გექმნება განწყობა. ამიტომ წერს ერთ-ერთ ლექსში პოეტი: „არ ითარგმნება პოეტის მზერა საყოველთაო ფოტოენაზე“, პოეტს სხვა თვალსაწიერი აქვს და ამ თვალსაწიერს სხვანაირი ამოხსნა სჭირდება, მიხვედრა იმისა, რაც ერთი შეხედვით სულაც არსად ჩანს. როგორ შეიძლება გავსებდეს სიცარიელე, მაგრამ თუ პოეტის განწყობას მოერგები, გამოვა რომ შეიძლება, დათო მდრამე წერს: „...სახეში მიცქერს დაცლილი ბოთლი და მავსებს მისი სიცარიელე“. ამ შემთხვევაში, მკითხველი თუ პირდაპირ მხოლოდ იმას გაიგებს, რომ ბოთლი ცარიელია, და არ მოერგება ავტორის მიერ შეთავაზებულ განწყობილებას, რომელიც კარნახობს, რომ ბოთლის ამჯერად სიცარიელეში მისი მანამდელი სისავსეობა შეიცნობა, მაშინ ვერც იმას მიხვდება რაში მდგომარეობს ამ მდგომარეობის პოეტური ბოჰემურობა.

ამდაგვარი, მრავალთემატური და საინტერესო დამოწმებათა მოყვანა ასევე ბევრი შეგვიძლია, რად ღირს თუნდაც რომ: „მტვრიან კედლებში მზუტავი გამა, დამცხრალი ვნების არის ნიშანი“, ან „მეტადრე, თუ სიტყვა ხარ თქმული საჯაროდ... რეპერტუარისთვის დაბალი ჭერია“, „ცის მიზიდულობის კანონზე ვმუშაობ, ფარავდეს ცა, ვისაც იმედი ცისა აქვს“, პირველ შემთხვევაში მტვრიანი კედლებში მზუტავი გამა, გაუკაცურების სიმბოლოა, ადამიანს მოკლებული, ნებისმიერი, ყოფილი მყუდრო კერა სიცოცხლესა და ვნებას რომ აკლდება ეს უკვე თავისთავადია, თუმცა საქმე აქ არა ფაქტის აღწერაში, არამედ შთამბეჭდავ გადმოცემაშია. მეორე შემთხვევაში კი უფროოდენ გადააზრებაა მნიშვნელოვანი და რეალობის კრიტიკული აღქმა, რომ საჯაროდ თქმული სიტყვის შემთხვევაში რეპერტუარისთვის ჭერი ამალდეს. ხოლო რაც შეეხება ცის მიზიდულობის კანონზე მუშაობას, ეს იმდენად პოეტური გამოხატვაა საკუთარი პოეტური სულისკვეთებისა, ჩვენ შეგნებულად აღარაფერს დავამატებთ.

ამ ნაწილის დასასრულს ერთ სრულ სტროფს მოვიტანთ მაგალითად, რამდენადაც მისი პოეტური ღირებულება, სახისმეტყველება, მხატვრული დახვეწილობა თუ მეტაფორული გადააზრება იმდენად შთამბეჭდავია, მის გარეშე კვლევის ამ ნაწილის ჩამთავრება წარმოუდგენლად გვეჩვენება: „გზა მიდის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე და გწამს სიკვდილზე ქრისტეს რევანშის, როდესაც ხედავ ალაზნის ზვარზე მზე როგორც ჩადის მწიფე მტევანში“. ვფიქრობთ სიტყვებიც კი ზედმეტია, მაგრამ რომ არ აღვნიშნოთ, ისიც გვიჭირს, რომ ჯერ ალაზნის ზვარზე მტევანში მზის ჩასვლის ამდაგვარი დანახვა და აღწერაა საქმე და მერე იმ განცდასა და კავშირის გათვითცნობიერება, რომ ამ სურათს ძალუძს სამყაროს უსასრულობა, სიკეთის გამარჯვების გარდაუვალობა და ღმერთი აღგაქმევის და გულმხურვალედ გარწმუნების კიდევ.

ამდენად, წინამდებარე კვლევამ საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით დათო მაღრაძის ლექსებში გამოხატულ ფიქრთა მდინარებს და გამოგვეკვითა ავტორის მხატვრულ-პოეტური ორიგინალური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიუანსები. აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი შინაარსობრივი ანალიზის პარალელურად, კვლევა, ასევე, დავაფუძნეთ პოეტური ოსტატობის გამომხატველი ელემენტების წინა პლანზე წამოწევაზეც, რამაც, პრაქტიკულად ორმაგი ეფექტი შესძინა ჩვენს ნარკვევს და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო გახდა კვლევის პროცესი და მისი შედეგები, რამდენადაც, ერთია, პოეტური აზროვნება, რომელიც თავისთავად პოეტურ პროზასა და პროზაულ პოეზიაშიც შეიძლება მნიშვნელოვნად დომინირებდეს, ხოლო მეორეა ის ლექსწყობის კანონზომიერებები თუ ინდივიდუალური პოეტური ოსტატობის მანევრირებანი, რომლებიც ტრადიციული ლექსის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენენ და რომლის გარეშეც, ჩვენი აზრით, ლექსის სრულყოფილება ვერ მიიღწევა.

Giorgi Khorbaladze

Gori State Teaching University

**DATO MAGHRADZE'S ARTISTIC THINKING AND PECULIARITIES OF THE POEM
(ACCORDING TO THE POETRY COLLECTION “USADAURO”)
RESUME**

Poetry represents the unity of various components, nor only does the finding of the rhythms create the poem, neither the finding of the metaphor or artistic characters, as each of them should have their logical place in the depth of the poem, whereas the depth should be featured by its body – essence and the sonorous-musical architectonics... which on their own cannot create the poem, without taking into consideration the abovementioned nuances. Subtraction of one to the others is sometimes allowable and can find the way to the goal; however subtraction of others and leaving one can never be called poetry. Thus, we think that the value of the poet is conditioned by the arsenal of the poetic techniques mixed with poetic thought and we would add, mixed with poetic philosophy, as we think that the true poetry has its genuine, peculiar philosophy.

How is Dato Magradze's poetic philosophy and artistic arsenal reflected in the collection – “Usadauro”, is without any doubt, solely interesting for ordinary readers and scholars, however even the observant reader will be left with unnoticed nuances, as without understanding them it is impossible to fully understand the work.

Thus in the work, we try to understand the several tendencies in the space of the work and also to focus on the artistic nuances of the author to a certain extent, as the full understanding is impossible due to its diversity. We however, think that the details on which we focus our work, is important to research the artistic laboratory of the poet.

Keywords: Poetry, Verse, Artistic style, Rhyme.